

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**სამერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**  
**„გლობალიზაცია და სტატისტიკა“**

**კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის დაარსების 70-ე წლისთავს**

**International Scientific Conference**  
**Globalization and Statistics**  
**The conference is dedicated to the 70th anniversary of establishment of the**  
**Department of Statistics at Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**შ რ ო მ ე ბ ი ს    კ რ ე ბ უ ლ ი**  
**P r o c e e d i n g s**

**თბილისი**  
**2014**

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2014 წლის 23-24 ოქტომბერს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაცია და სტატისტიკა“ წარმოდგენილ მოხსენებებს.

კონფერენციის ორგანიზატორია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა; კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანიიდან, უნგრეთიდან, შვედეთიდან, ლატვიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან მოწვეული ცნობილი მეცნიერები.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა, ასევე მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა.

## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

**თეიმურაზ ბერიძე** – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, თავმჯდომარე

**სიმონ გელაშვილი** – ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, თავმჯდომარის მოადგილე

**ნოდარ ხადური** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**დავით ნარმანია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**ქეთევან მარშავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**ეთერ ხარაიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**ნინო აბესაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**მარინე მინდორაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**მარინა ჩაგლეიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**ზამირა შონია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

**მაია გიორგობიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

**მანანა ლობჯანიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

**ქეთევან ჩიტალაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორის ასისტენტი

**აკაკი მიქაბერიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

**გიორგი გაფრინდაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

**ურა გოგიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

### Organizing Committee of Conference

**Teimuraz Beridze** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Dean of the Faculty of the Economics and Business, Professor

**Simon Gelashvili** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Professor

**Nodar Khaduri** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Professor, Finance Minister of Georgia

**Davit Narmania** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Professor, Mayor of Tbilisi

**Ketevan Marshava** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Professor

**Eteri Kharashvili** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Professor

**Nino Abesadze** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Associated Professor

**Marine Mindorashvili** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Associated Professor

**Marina Chavleishvili** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Associated Professor

**Zamira Shonia** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Assistant Professor

**Maia Giorgobiani** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Assistant Professor

**Manana Lobjanidze** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Assistant Professor

**Ketevan Chitaladze** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Assistant Professor

**Akaki Mikaberidze** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Deputy of Dean

**Giorgi Gaprindashvili** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Assistant Professor

**Ucha Gogishvili** – Ivane Javakishvili Tbilisi State University, Doctoral student

## სარედაქციო კოლეგია

**სიმონ გელაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ქეთევან მარშავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**ნინო აბესაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**მარინე მინდორაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**მერაბ ხმალაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**ქეთევან ჩიტალაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორის ასისტენტი

## Editorial Collegium

**Simon Gelashvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

**Ketevan Marshava** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

**Nino Abesadze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

**Marine Mindorashvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

**Merab Khmaladze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

**Ketevan Chitaladze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

# სარჩევი

## Contents

### აბესაძე ნინო

ტურიზმის სტატისტიკური შეფასების გერმანული მოდელი და მისი აპრობირება საქართველოში . . . . .

### Abesadze Nino

German model of statistical evaluation of tourism and its probation in Georgia

### აბესაძე ოთარი

საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი .

### Abesadze Otari

The economical-statistical analysis of the European integration processes of Georgia

### Абдуллаева Ирада

Совершенствование финансово-кредитного механизма жилищной ипотеки . . . . .

### Irada Abdullaeva

Improving the financial and credit mechanism residential mortgage

### ათანელიშვილი თამარი

პოსტსაბჭოური ქვეყნების ზოგიერთი შედარებითი ეკონომიკური მაჩვენებელი EC-თან ასოცირებული ხელშეკრულების ფონზე . . . . .

### Atanelishvili Tamar

Some Comparative Economic Indicators of Post-soviet States in the light of EU Association Agreement

### ანანიშვილი იური

ოუკენის კანონისა და კოეფიციენტის ალტერნატიული ვერსიები . . . . .

### Ananiashvili Iuri

Alternative Versions of Okun's Law and Coefficient

### არჩვაძე იოსებო

ოფიციალური სტატისტიკის საზოგადოებრივი როლისა და ფუნქციების გაძლიერების ზოგიერთი მიმართულების შესახებ . . . . .

### Joseph Archvadze

About some Aspects of the Strengthening of the Social Roles and Functions of the Official Statistic

### ასლამაზიშვილი ნანა

სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციური მოდელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის. . . . .

### Aslamazishvili Nana

Innovative Statistical Business Process Model for National Bank of Georgia

### ახვლედიანი ნონა, მეტრეველი მარინა, ბაკურაძე ალექო

საქართველოს პრიორიტეტები თანამედროვე ეტაპზე: ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი . . . . .

### Akhvlediani Nona, Metreveli Marina, Bakuradze Aleko

The economic -statistical analysis and the priorities in Georgia at the present stage

### ბარათაშვილი სათუნა

ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში . . . . .

### BaraTashvili Khatuna

Globalization and Features of its Development

### ბარბაქაძე სათუნა

საბრუნავი კაპიტალის მართვის სრულყოფის შესახებ . . . . .

### Barbakadze Khatuna

About the improvement of working capital management

### ბალახაშვილი ჟანა

საოცნებო ჯანმრთელობა საოცნებო მედიცინის და საოცნებო სამედიცინო დაზღვევის ფასად . . . . .

**Balakhashvili Jana**

Dream health for Medical dream insurance payment

**ბებნაძე ხათუნა**

მცირე ბიზნესის რეგიონული განვითარების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოში . . . . .

**Bebnadze Khatuna**

Regional development Problems and Solutions for Small Businesses in Georgia

**ბერაია ჯულიეტა**

სტატისტიკის ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს სტატისტიკა . . . . .

**Beraia Julieta**

International standards of statistical quality management and statistics of Georgia

**ბენაშვილი ინგა**

არაფინანსური კორპორაციების სექტორის წარმოების ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები . . . . .

**Benashvili Inga**

The production account of non-financial corporations sector Methodological and practical aspects

**ბერიძე ლამარა**

მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის ასპექტები . . . . .

**Beridze Lamara**

Macroeconomic Aspects of Ensuring the population's employment

**Гандилова Саадет**

ОЦЕНКА РАЗВИТИЯ ТУРИСТИЧЕСКИХ ПРЕДПРИЯТИЙ В АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ РЕСПУБЛИКЕ . . . . .

**Gandilova Saadet**

EVALUATION OF TOURIST ENTERPRISES IN THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

**გვარამია ნაზი**

რისკის შეფასების ზოგიერთი ასპექტი აუდიტორულ საქმიანობაში . . . . .

**Gvaramia Nazi**

Some aspects of the risk assessment of audit activities

**გელაშვილი სიმონი**

ზოგიერთი ანალიზური მოდელის აგება და გამოყენება ეკონომიკური პროცესების სტატისტიკურ პროგნოზირებაში . . . . .

**Gelashvili Simon**

Development of Some Analytic Models and its Usage in statistical Prognosis of Economic Processes

**გელაშვილი მადონა**

საეაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი . . . . .

**Gelashvili Madona**

TRENDS OF FOREIGN TRADE AND ITS DEVELOPMENT IN GEORGIA

**Gigineishvili Natia**

Can Scandinavia be measured as a unity? . . . . .

**გიგინეიშვილი ნათია**

სკანდინავია – ჰომოგენური ერთობლიობა?

**გლოველი ეკატერინე**

სისხლის სამართლის სტატისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები . . . . .

**Gloveli Ekaterine**

Theoretical and Methodological Issues of Criminal Justice Statistics

**გულუა ეკატერინე**

გლობალიზაცია და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გამოწვევები . . . . .

**Gulua Ekaterine**

Globalization and Human Resource Management Challenges

**Гурбанов Натик, Нурходжа Акбулаев, Гурбанов Вугар**

ПРОБЛЕМЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ СТРАТЕГИЙ УПРАВЛЕНИЯ ЗНАНИЯМИ В ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНЫХ ОРГАНИЗАЦИЯХ . . . . .

**Gurbanov Natick, Nurhodzha Akbulaev, Gurbanov Vugar**

Problems of knowledge management strategy in intellectual organizations

**Gurbanov Vugar**

Compensation Systems and Their Effects: Survey in Azerbaijan Firms . . . . .

**გურბანოვი ვუგარ**

საკომპენსაციო სისტემები და მათი ეფექტები: დაკვირვება აზერბაიჯანულ ფირმებზე

**დარსაველიძე დავითი**

კლასტერში ჩართულ მხარეთა ქსელური თანამშრომლობის შესწავლის

მეთოდოლოგია

**Darsavelidze David**

The methodology for studying stakeholders' networking behavior in a cluster

**დაუშვილი მერი**

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამულ-

მეთოდოლოგიური საკითხები . . . . .

**Daushvili Meri**

Methodological and organizational Issues of the 2014 General Population Census

**ვირსალაძე ნაირა**

საქართველოს სოფლის მეურნეობა გლობალური სოციალური

პრობლემების ფონზე . . . . .

**Virsaladze Naira**

Georgian Agriculture Against the background of Global Social problems

**ზაზაძე ნანა**

საერთაშორისო შრომის ბაზრის ფორმირება გლობალიზაციის

პირობებში . . . . .

**Nana Zazadze**

Formation of Global labor market during Globalization

**ზურიკაშვილი ნიკა, სადარეიშვილი ნინო, გელაშვილი ნინო**

მეცნიერების ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველ 10 წელიწადში:

სტატისტიკური ასპექტები . . . . .

**Zurikashvili Nika, Sagareishvili Nino, Gelashvili Nino**

Transformation of the Science in the First Decade of the Post-Soviet Georgia:

Statistical Aspects

**თეთრაძე ლელა**

დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის მიმართულებები .

**TeTradze Lela**

Demographic Problems in Georgia

**თეთრაული გიორგი**

ეკონომიკური ციკლურობის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია . . . . .

**Tetrauli Georgi**

Modern Methodic of Research of Economic Cyclicity

**თოდუა ნუგზარი**

საქართველოს ბაზარზე ინტერნეტ-მაღაზიების მომხმარებელთა მოტივაციის

მარკეტინგული კვლევა . . . . .

**Todua Nugzar**

Marketing research of internet-shop consumers' motivation on the Georgian market

**თოდრაძე გოგიტა**

დაუკვირებელი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის მიზეზები

და მათი შემცირების გზები ბიზნეს სტატისტიკაში . . . . .

**Todradze Gogita**

The reasons of escalation of non-observed economy in business statistics and the ways of their reduction

**კაკაშვილი ნატო**

სადაზღვევო ურთიერთობათა სტატისტიკური ხასიათი . . . . .

**Kakashvili Nato**

The statistical nature of the insurance relationship

**Karmowska Grażyna, Marciniak Mirosława**

THE IMPACT OF THE EU ACCESSION OF CENTRAL AND EASTERN EUROPEAN COUNTRIES ON THE LIVING STANDARDS OF CITIZENS . . . . .

**კარმოსკა გრაჟენა, მარჩინიაკ მიროსლავა**

ევროკავშირში შესვლის გავლენა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეების ცხოვრების დონეზე

**კვარაცხელია ღია, ყურაშვილი გულიკო**

საინჟინრო ფსიქოლოგიის და ერგონომიკის მიზნები . . . . .

**Kvaratskhelia Lia, kurashvili Guliko**

The Main Goals of Engineering Psychology and Ergonomics

**კიკორია გიგა**

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება . . . . .

**Kikoria Giga**

Population Ageing in Georgia

**კონჯარია ელგუჯა**

სტატისტიკის არსი, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია . . . . .

**Konjaria Elguja**

Essence of statistic, its origin and developing history

**Kotchlamazashvili Zurab**

Determining MS Regimes for Georgian Exchange Rates . . . . .

**კოჭლამაზაშვილი ზურაბ**

საქართველოს გაცვლითი კურსებისთვის MS რეჟიმების განსაზღვრა

**Klodt Henning**

Why it will Happen Again: the Psychology of Financial Crises . . . . .

**ჰენინგი კლოდტ**

რატომ მოხდება ეს ისევ: ფინანსური კრიზისების ფსიქოლოგია

**Кучмаева Оксана**

Сочетание семейной и профессиональной занятости россиян: статистическая оценка . . . . .

**Kuchmaeva Oksana**

The Combination of family and professional Employment of Russians: Statistical Evaluation

**ლაზარიაშვილი თამარი**

სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები – სტატისტიკური ანალიზი . . . . .

**Lazariashvili Tamar**

Agricultural development trends and statistical analysis

**ლობჯანიძე გელა**

გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს განვითარების პერსპექტივები . . . . .

**Lobjanidze Gela**

Globalization Challenges and Development Prospects of Georgia



**მარშავა ქეთევანი**

სტატისტიკის სწავლებისა და სწავლის ძირითადი გამოწვევები და გამოყენებული სტრატეგიები თსუ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე . . . . .

**Ketevan Marshava**

Key challenges and strategies used in the teaching and learning of statistics at Tsu Department of Economic and Social Statistics

**მარქარაშვილი ლაშა**

განვითარების გზების ძიებაში: საყურადღებო ცვლილებები საქართველოს 2014 წლის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებში . . . . .

**Markarashvili Lasha**

In investigation of development ways: Important changes of external trade indexes in Georgia, 2014 year

**მაკალათია ირაკლი**

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის სტატისტიკური ანალიზი .

**Makalatia Irakli**

Statistical analysis of Georgians income inequality

**მამულაშვილი ლეილა, ლიპარტელიანი ნინო**

ევროინტეგრაციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში . . . . .

**Mamulashvili Leila, Liparteliani Nino**

Economic Politics of European Integration in Georgia

**Matcharashvili Tamar**

Analysis of the Variation of the Exchange Rate of the Armenian Azerbaijan and Georgian National Currencies by the Algorithm of Lempel-Ziv Complexity Measure Calculation . . . . .

**მაჭარაშვილი თამარ**

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსების ვარიაციის ანალიზი ლემპელ-ზივის ალგორითმული სირთულის გამოთვლის მეთოდით

**მეძმარიაშვილი თინათინი**

საქართველოს საგარეო ვაჭრობა დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე - სტატისტიკური ანალიზი . . . . .

**Medzmariashvili Tinatin**

Dependency of foreign trade in Georgia over the 20 years – statistical analysis

**მეტრეველი შორენა**

ტურისტული საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება . . . . .

**Metreveli Shorena**

Public regulation of tourism activity

**მეტეხელი გურამი**

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ბიზნესის თავისებურებანი და განვითარების პრობლემები საქართველოში . . . . .

**Metekheli Guram**

Information and communication business-features of development in Georgia

**მინდორაშვილი მაია**

სტერეოტიპები და “მითები” საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკაში

**Mindorashvili Maia**

Stereotypes and Myths about Income Statistics in Georgia

**მიქიაშვილი ნინო**

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ზოგიერთი თავისებურების შესახებ . . . . .

**Mikiashvili Nino**

About some peculiarities of the economic growth of the country

**მუჩიაშვილი მარინა**

ფისკალური მდგრადობა და მისი შეფასების ინდიკატორები . . . . .

**Muchiashvili Marina**

Fiscal Sustainability and the sustainability indicators

**მღებრიშვილი ბაბულია (დოდო)**

მარკეტინგული ეთიკის თავისებურებები საცალო ვაჭრობაში . . . . .

**Mghebrishvili Babulia (Dodo)**

The characteristics of marketing ethics in retail trade

**ნიკვაშვილი მაია**

კონფლიქტი, როგორც პერსონალის მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხი . . . . .

**Nikvashvili Maia**

Conflict as the most significant issue of Personnel Management

**Носова Ольга, Носова Татьяна**

МОДЕЛИ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ РЕГИОНОВ УКРАИНЫ . . . . .

**Nosova Olga, Nosova TaTiana**

COMPETITIVENESS MODELS of Ukraine regions

**ონიანი იულია, კუხიანიძე ნონა**

ტურიზმის ინდუსტრიის სეზონურობის სტატისტიკური ანალიზი . . . . .

**Oniani Iolia, Kukhianidze Nona**

Tourism industry Seasonality Statistical Analysis

**რობიტაშვილი ნატალია**

უმუშევრობის გამომწვევი ფაქტორები და შედეგები სტატისტიკურ  
ჭრილში . . . . .

**Robitashvili Natalia**

Unemployment causing factors and results in statistical context

**სანიკიძე ზეზვა**

საქართველოს საპენსიო სისტემა და მასთან დაკავშირებული ძირითადი მაჩვენებლები

**Sanikidze Zezva**

Statistical Analysis of Georgia's Pension System

**სიხარულიძე დავითი**

თავისუფალი ეკონომიკური ზონების მნიშვნელობა განვითარებად და განვითარებულ  
ქვეყნებში . . . . .

**Sikharulidze David**

Special Economic Zones in developed and developing countries

**Ščulovs Deniss, Gaile-Sarkane Elīna**

E-environment influence on SMEs business development . . . . .

**შეულოვის დენის, გაილე-სარკანე ელინა**

ელექტრონული გარემოს გავლენასაშუალო და მცირე ზომის ბიზნესის განვითარებაზე  
ფარესაშვილი ნინო

მოლაპარაკებების როლი კონფლიქტების მარეგულირებელ დონისძიებათა სისტემაში

**Paresashvili Nino**

The Role of Negotiations in a System of Activities Regulating Conflicts

**Parjiani Shorena**

Foreign Direct Investment on Economic Growth by Industries: Evidence from Central and Eastern  
European Countries . . . . .

**ფარჯიანი შორენა**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ცენტრალურ და  
აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

**ქადაგიშვილი ლეილა**

ორგანიზაციული კულტურის გავლენა ორგანიზაციის განვითარებაზე . . .

**Kadagishvili Leila**

The Impact of Organizational Culture on the Development of an Organization

**ქეშელაშვილი გიული**

იდეების გენერირება და მომხმარებლის მოთხოვნილებები ქართულ კომპანიებში . . . . .

**Keshelashvili Giuli**

Generation of Ideas and Costumers' Demand in Georgian Companies

**ქინკლაძე რუსუდანი**

სიღარიბის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში . . . . .

**Kinkladze Rusudan**

Statistical analysis of poverty in Georgia

**ყორდანაშვილი ლარისა**

გლობალიზაცია და საქართველოს ინტეგრაციული სტრატეგია . . . . .

**Korganashvili Larisa**

GLOBALIZATION AND INTEGRATION STRATEGY OF GEORGIA

**ყურაშვილი გუგული**

საქართველო მსოფლიო ფინანსურ ინტეგრაციაში . . . . .

**Kurashvili Guguli**

Georgia's Role into the global financial integration

**შამუგია ასმათი**

საქართველოს ტურიზმის მდგრადი განვითარება . . . . .

**Shamugia Asmat**

SUSTAINABLE DEVELOPMENT OF TOURISM IN GEORGIA

**შელია მზია**

მოსახლეობის დაბერების პროცესის კვლევის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი

**Shelia Mzia**

Some Methodological Issues in the Study of Population Aging Process

**შონია ზამირა, გიორგობიანი მაია**

საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკური შესწავლა (აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონში მცხოვრები ქართველების მაგალითზე) . . . . .

**SHONIA ZAMIRA, GIORGOBIANI MAIA**

STATISTICAL RESEARCH/STUDY OF PUBLIC OPINION (IN TERMS OF GEORGIANS RESIDING IN GALI REGION OF ABKHAZIAN OCCUPIED TERRITORIES

**Щербakov Александр**

Государственное воздействие на производительность труда

**Shcherbakov Aleksandr**

State effects on labor productivity

**ჩარეჭიშვილი ლია**

საქართველოში უმაღლესი განათლების მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი და მისი გავლენა დასაქმებაზე . . . . .

**Charekishvili Lia**

Statistical Analysis of Condition of Higher Education in Georgia and its influence on Employment

**ჩიქობავა მალხაზი**

გლობალიზაციის პროცესები და თანამედროვე კრიზისის სპეციფიკა . . . . .

**Chikobava Malkhaz**

The process of globalization and the specificity of the modern crisis

**ჩიტაღაძე ქეთევანი**

უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში . . . . .

**Chitaladze Ketevan**

Statistical analysis of unemployment in Georgia

ცაგარეიშვილი პაატა

წარმატების ფორმულა 1 . . . . .

**Tsagareishvili Paata**

Formula 1 of Success

**Pirveli Erekle, Zimmermann Jochen**

Time-series Properties of Earnings: First Evidence from the Georgian Stock Exchange . . . .

**პირველი ერეკლე, იოხენ ციმერმანი**

შემოსავლების დროითი მწკრივების მახასიათებლები: პირველი მტკიცებულება საქართველოს სააქციო ბაზრიდან

**Цхададзе Нелли, Ахмадеев Денис**

Неформальная экономическая деятельность: эволюция концепций . . . . .

**Tshadadze Nelly, Akhmadeev Denis**

Informal economic activity: the evolution of concepts

**ძებისაური ლია, მაისურაძე ირინე**

რუსეთის ბაზარი და ქართული ღვინის ექსპორტის სტატისტიკა აქტიური გლობალიზაციის პირობებში . . . . .

**Dzebisauri Lia, Maisuradze Irine**

Russian market and Georgian wine export statistics during the globalization

**ჭანია მაია**

გათანაბრებითი ფინანსური პოლიტიკის გლობალური ტენდენციები განვითარებულ ქვეყნებში . . . . .

**Chania Maia**

The Global Tendencies of the Financial Equalization Policy In the Developing Countries

**Charaia Vakhtang**

Sustainable Economic Development in Georgia and EU, Comparative Analysis . . . . .

**ჭარაია ვახტანგ**

მდგრადი ეკონომიკური განვითარება საქართველოსა და ევროკავშირში, შედარებითი ანალიზი

**ჭილაძე იზოლდა, ლომიძე ნინო**

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საჯაროობის პრობლემა საქართველოში

**Chiladze Izolda, Lomidze Nino**

The problem of financial statement transparency in Georgia

**ხარაიშვილი ეთერი**

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრისათვის

**Kharaishvili Eteri**

Statistics for defining Agriculture policy and strategy

**ხარხელი მანანა, ჯინჯარაძე ტრისტანი**

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში . . . . .

**Kharkheli Manana, Jincharadze Tristan**

The World Globalization Process

**ხარხელი მანანა, მორჩილაძე გიორგი**

ცლილებები და გარდაქმნები საქართველოს ბიზნეს სუბიექტებში როგორც ანტიკრიზისული ღონისძიებები . . . . .

**Kharkheli Manana, Morchiladze Giorgi**

Changes and transformation of Georgia's business entities as anti-crisis arrangement

**ХАНКИШИЕВА ДЖАМАЛЯ**

РОЛЬ ВУЗов В РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКЕ . . . . .

**Khankishiyeva Jamal**

The ROLE OF HIGH SCHOOLS IN THE MARKET ECONOMY

**Ханкишиев Ханкиши**

ОЦЕНКА КОРПОРАТИВНОЙ СОЦИАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ, ОСУЩЕСТВЛЯЕМОЙ  
АЗЕРБАЙДЖАНСКИМ БИЗНЕСОМ . . . . .

**Khankishiev Khankishi**

ASSESSMENT OF CORPORATE SOCIAL POLICY IMPLEMENTED in Azerbaijani business

**ხმალაძე მერაბი, ახალაია ნანა**

მოკვლეობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუცია . . . . .

**Khmaladze Merab, Akhalaia Nana**

Evolution of mortality and life expectancy

**ჯუღლაყიძე მერაბი**

საქართველოს მაკროსისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

საოპტიმიზაციო მოდელი და მისი რეალიზაციის შედეგები. . . . .

**Julakidze Merab**

Optimization Macro model of Social and Economic development Georgia and Merab Julakidze  
results of its implementation

**ჯღარკავა ნანა**

შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების დემოგრაფიულ-სტატისტიკური  
მაჩვენებლების ანალიზი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (მხარეში) . . . . .

**Jgarkava Nana**

Analysis of statistical data of formation and use of labor in Samtskhe-Javakheti Region

**Henrysson Allan, Kakichashvili Ia**

Example of Swedish- Georgian cooperation in Statistics . . . . .

**ჰენრისონი ალან, ყაყიჩაშვილი ია**

შვედურ-ქართული თანამშრომლობის მაგალითი სტატისტიკაში

## ტურიზმის სტატისტიკური შეფასების გერმანული მოდელი და მისი აპრობირება საქართველოში

ნინო აბესაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი*

ფაქტია, რომ მსოფლიოში ყველაზე მზარდი ეკონომიკური პოტენციალი მომსახურების სფეროშია. ტურიზმი, როგორც მომსახურების ერთ-ერთი წარმატებული საქმიანობა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ამიტომ ლოგიკურია, რომ გაიზარდა ტურიზმისადმი ინტერესი. შესაბამისად გაჩნდა ახალი მოთხოვნები მომსახურების ამ სექტორის მიმართ, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ყოველივე ამის პარალელურად საზოგადოებაში თანდათან გამოიკვეთა ტურიზმის ობიექტური ინფორმაციისა და მისი მეცნიერული კვლევისადმი მზარდი ინტერესი. ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად აუცილებელია ობიექტური ინფორმაცია. ეს მოითხოვს ტურიზმში სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფასა და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებას. ამის ძირითადი მიზეზი არის ტურიზმის ინფორმაციის მოპოვების სირთულე და არასრული აღრიცხვა. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორში ტურიზმი, როგორც დარგი ცალკე არ არის გამოყოფილი. ამიტომ ის ინფორმაცია, რომელიც გარკვეული დოზით მოიცავს ტურისტულ მოვლენებს, ჩაშლილია მომსახურების სხვადასხვა დარგებში. გარდა ამისა, მთლიანად არ მოიცემა მომსახურების სფეროს ის ობიექტებიც, სადაც ტურიზმია გაბნეული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან ტურიზმის სფეროში კვლევების განხორციელების ფუნქცია ისევ დაუბრუნდა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, რომელმაც 2006 წლიდან შეაჩერა სტატისტიკური რეგულარული გამოკვლევების განხორციელება ტურიზმის სფეროში, რის გამოც ტურიზმის ძირითად ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და საგადამხდელო ბალანსის მონაცემები, აგრეთვე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კვლევის მასალები და ექსპერტული შეფასებით მიღებული შედეგები წარმოადგენს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით ჩატარებული კვლევები გერმანული ექსპერტების გამოცდილებას ეყრდნობოდა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის ამოსავალ ბაზას წარმოადგენს ეროვნული ანგარიშები. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ტურიზმის სფეროს შეფასების ბაზად მიჩნეულია: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საერთაშორისო რეკომენდაციები “International Recommendations for Tourism Statistics (IRTS) 2008” (UNWTO 2010) და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო პუბლიკაცია ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებზე. (2008 Tourism Satellite Account: Recommended Methodological Framework”(UNSD/Eurostat/OECD/UNWTO 2008)<sup>1</sup>

საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით ტურიზმის კომპლექსური და მრავალმხრივი რაოდენობის დახასიათებისთვის გამოიყენება სტატისტიკური მაჩვენებელთა სისტემა. იგი მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებს ტურიზმს მთლიანობაში. გერმანული მოდელის მიხედვით სისტემის სტრუქტურა განისაზღვრება დასმული სტატისტიკური ამოცანით, რომლის ქვეშაც იგულისხმება ტურისტული რესურსების მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ანალიზი, ტურიზმის

<sup>1</sup> Claude Kasper Management in Tourismus. 2 Auflage. Bern, Stuttgart, Wien, Haupt 1995. Seite 95, 111, 204

ინდუსტრიის საქმიანობა და ტურიზმის ზეგავლენის შეფასება ეკონომიკაზე. შესაბამისად, ტურიზმის სტატისტიკის სისტემა ეყრდნობა მაჩვენებელთა 2 ძირითად ჯგუფს – ტურისტული ბაზრის მონიტორინგი და ტურიზმის ეკონომიკური როლის შეფასება. ტურისტული ბაზრის მონიტორინგის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ჩამოსული, გასული და შიდა ტურისტული ნაკადების ტურისტული ხარჯები, ფასიანი მომსახურების მოცულობა, ასევე სხვა სახის მაჩვენებლები – დასაქმება, საშუალო შრომის ანაზღაურება ტურინდუსტრიის სხვადასხვა სექტორებში და ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოცულობა. ტურიზმის ეკონომიკური როლის შეფასება მდგომარეობს მისი მულტიპლიკატიური ეფექტის შეფასებაში მთლიან შიდა პროდუქტში წილის, დასაქმების, ინვესტიციების და სხვ. გზით.<sup>1</sup>

ტურიზმის სტატისტიკური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: აღწერონ და ანალიზი ჩატარონ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებას; უნდა მიესადაგებოდნენ ეროვნულ ანაგრიშთა სისტემის ეასის 2008 წლის ვერსიას და მხედველობაში მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის და ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები ტურიზმის სფეროში.

გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტურისტული ხარჯების აღრიცხვას, რადგან სწორედ ტურისტული ხარჯები განიხილება ტურიზმის სტატისტიკის ცალკე სფეროდ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციებში, რაც პირდაპირ უკავშირდება ტურიზმის ერთიანი პროდუქტის მოხმარებას, როგორც მატერიალური და არამატერიალური ფაქტორების მიხედვით.<sup>2</sup>

ტურისტული შემოსავლები და ხარჯები მოიცავს ტურიზმის ღირებულებით შეფასებას, რაც აუცილებელია ეროვნულ ეკონომიკაზე მისი გავლენის შეფასებისათვის, კერძოდ ის მოიცავს საგადამხდელ ბალანს, აგრეთვე, ტურიზმის ინდუსტრიის სექტორების დახასიათებას.

ტურისტული ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებასთან და აისახებიან ეროვნულ ანაგრიშთა სისტემაში.

ტურისტული ხარჯების შედგენილობა განისაზღვრება დანახარჯების გაწევის დროითა და ტურიზმის ტიპებით. შესაბამისად გამოიყოფა შიდა ტურისტული ხარჯები, დაკავშირებული რეზიდენტების ქვეყნის შიგნით მოგზაურობასთან და საერთაშორისო. მოგზაურთა კლასიფიკაციის ეკონომიკური ბუნების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოგზაურთა მოძრაობის მიმართულებას თავისი ქვეყნიდან დანიშნულების ქვეყნამდე. გამავალი ტურისტული ნაკადი შეესაბამება საერთაშორისო ტურისტული ხარჯების კატეგორიას, ხოლო შემავალი – უკავშირდება საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლებს. ტურისტული ხარჯები შეიძლება დაჯგუფებულ იქნეს შემდეგი ჯგუფების მიხედვით: კომპლექსური ტურები; განსახლება; კვება; ტრანსპორტი; რეკრეაციული, კულტურული, სპორტული საქონელი და მომსახურება; მაღაზიაში შენაძენები; სხვა ხარჯები.<sup>3</sup>

მოთხოვნის სხვადასხვა ფორმებიდან გამომდინარე ტურისტული ხარჯები შეიძლება დაყვით ორ კატეგორიად: ხარჯები, რომლებიც ტურპაკეტზეა მითითებული და რომლებიც წარმოადგენენ სხვა ხარჯების შემადგენელ ნაწილს.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ღირებულებით მაჩვენებელთა დინამიკაზე გავლენას ახდენს არა მარტო სავალუტო კურსის ცვლილება, არამედ ინფლაციაც. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ეროვნული ფულადი

<sup>1</sup> Harry Rudolph-Tourismus-Betriebswirtschaftslehre. 2 Auflage. M. München,Wien.Seite. 282

<sup>2</sup> Harry Rudolph-Tourismus-Betriebswirtschaftslehre. 2 Auflage. M. München,Wien. Seite271, 280,291

<sup>3</sup>Internationale Tourismus von Prof. Dr.U.Karla Henschel.München.2002. Seite 33,35,38

ერთეულის შესუსტება გამოიწვევს ფასების ზრდას, ხოლო ინფლაციის დონის შემცირება ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გამყარებას. დროის ხანგრძლივი მონაკვეთში ეს რჩევები რეგულირდება. ამიტომ ეკონომიკურ ანალიზში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ღირებულებადი საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპები.<sup>1</sup>

ფაქტია, რომ ტურიზმის სტატისტიკური სურათის მიღებისათვის აუცილებელია კვლევების სისტემატური ჩატარება. ამასთან ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის მოძიებას ტურისტების განთავსების, კვების, ტრანსპორტის, რეკრეაციული, კულტურული და სპორტული საქმიანობის, მაღაზიების მონახულებისა და სხვ. აგრეთვე შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმში ხარჯების დროისა და ადგილის, აგრეთვე დაფინანსების წყაროების მიხედვით. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ოჯახური, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული, სოციალური, წამახალისებელი და პრემიალური ტურიზმის შესახებ ინფორმაციის სრულ პაკეტის ფორმირებას. დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები მოწესრიგებისა და დაჯგუფების შემდეგ გახდება ტურისტული ხარჯების შეფარდებითი და განზოგადოებული მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველი აპრობირებული სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველზე.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საერთაშორისო მეთოდოლოგიური რეკომენდაციების მიხედვით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ 2011-2013 წლებში განახორციელა ტურისტული ბაზრის ხარჯების სეგმენტის გამოკვლევა, როგორც საერთაშორისო ისე შიდა ტურიზმისათვის. აღნიშნული გამოკვლევა ეფუძნებოდა კვლევების ჩატარების სწორედ გერმანულ მოდელს.

კვლევის სამიზნე სეგმენტი მოიცავდა საქართველოში შემოსულ ვიზიტორებს, რომლებიც იყვნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები და ასევე იმ პირებს, რომლებიც იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და სხვა ქვეყნის რეზიდენტები. შიდა ტურიზმის კვლევის სამიზნე სეგმენტი მოიცავდა საქართველოს 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომელმაც სამიზნე თვის მანძილზე განახორციელა ვიზიტი სხვა მუნიციპალიტეტში და ეს ვიზიტი არ იყო სისტემატური ხასიათის.

გერმანული მოდელის მიხედვით ტურიზმის კვლევისას თითოეულ სტრატაში განისაზღვრება პირველადი და საბოლოო შერჩევის ერთეულები. პირველადი შერჩევის ერთეულისათვის გამოიყენება PPS (Probability Proportional to Size Sampling) მეთოდი, კლასტერის შიგნით შინამეურნეობის შერჩევა კი ხორციელდება შემთხვევითი ხეტიალის მეთოდით, რისთვისაც წინასწარ განისაზღვრება საწყისი წერტილი, მოძრაობის წესები და ბიჯი. უკვე შერჩეულ ოჯახში პოტენციური რესპონდენტის შესარჩევად კი გამოიყენება ბოლო დაბადების დღის პრინციპი. კვლევის შედეგების განზოგადებისათვის იანგარიშება წონითი კოეფიციენტები. (წონითი კოეფიციენტების გამოსათვლელი ფორმულა ასე გამოიყურება:  $W_i = \frac{N_i}{n_i}$  სადაც  $i$  სტრატების რაოდენობაა.<sup>2</sup>

იმპუტირებისათვის მიდგომები იდენტურია, როგორც საერთაშორისო ისე შიდა ტურიზმისათვის. იმპუტაციის მეთოდის გამოყენება გულისხმობს ხარჯების გამოსათვლელად იმ მონაცემების გათვალისწინებას, სადაც რესპონდენტები უარს ამბობენ პასუხზე ან არ ახსოვდათ კონკრეტული ხარჯი. იმპუტირებისათვის საჭიროა: პირველ რიგში მოხდეს ყველა ხარჯის გადაყვანა ერთ ვალუტაში, შემდგომ ეტაპზე ხდება მთლიანი პირადი ხარჯების იმპუტირება(აპრობირებული სტატისტიკური მეთოდების საფუძველზე) და ხარჯების იდენტიფიცირება თითოეული ტიპის დანახარჯის მიხედვით. დანახარჯების დეტალურ ხარჯებში გადასანაწილებლად, საჭიროა იმპუტირების პროპორციების იდენტიფიცირება. თითოეული ტიპის

<sup>1</sup> J.Christopher Holloway-The businee of Tourism.Firth Edition.2013 Seite.89.

<sup>2</sup>Reinhold Hatzinger, Herbel Nage- Statistik mit SPSS. München, 2013. Seite57



ხარჯისთვის, იდენტიფიცირდება საშუალო ღირებულება იმ შემთხვევებიდან, სადაც მონაცემების დანაკლისი არ არის. ცხადია, იმპუტირების დროს, მთლიანი თანხის დეტალურ ხარჯებზე ნაკლებობის ან მეტობის, ასევე ნებისმიერი სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, მონაცემები ლოგიკურად სწორდება.

თითოეული ტიპის ხარჯის იმპუტირების ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$IME_i = \frac{PM_i}{VPM} (T - SE)$$

სადაც T - რესპონდენტების მთლიანი ხარჯები; SE- ვალიდური ხარჯების ჯამი; PMi - თითოეული ტიპის ხარჯის მარტივი საშუალოს გამოთვლილი ღირებულება; VPM=ΣPMi - ჩანაწერების პროცენტული წილების ჯამი, რომელთათვისაც საჭიროა იმპუტაცია; IMEi - კონკრეტული იმპუტირებული ღირებულება;<sup>1</sup>

გაწეული ხარჯების შესაბამისი თანხების გარდა, საჭირო ხდება იმ ადამიანების რაოდენობა იმპუტირებაც, რომლებმაც განახორციელეს კონკრეტული ტიპის ხარჯი. მათთვის, ვისაც აქვს მითითებული კონკრეტული ტიპის ხარჯი და ადამიანების რაოდენობაც, ვისზეც დაიხარჯა აღნიშნული თანხა, გამოითვლება 1 ადამიანზე გაწეული ხარჯი. ამის შემდეგ, ყველა დაუფიქსირებელი შემთხვევებისათვის, სადაც არც თანხამოცემული და არც ადამიანების რაოდენობაა მითითებული, კონკრეტული თანხა იყოფა ზემოთ ნახსენებ 1 ადამიანზე გაწეული ხარჯის საშუალო არითმეტიკულზე და შედეგად მიიღება ადამიანების იმ რაოდენობას, რომელთა იმპუტირებაც უნდა მოხდეს.

შეწონვისა და იმპუტირების აღნიშნული მეთოდოლოგია საკმაოდ სრულყოფილი და პრაქტიკული თვალსაზრისით ადვილად რეალიზებადია. როგორია გერმანიის ტურიზმის სტატისტიკურის ურათი?

ცნობილია, რომ გერმანიის ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან ინდიკატორს ტურიზმის მძლავრი ინდუსტრია წარმოადგენს. ის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მყარი, საიმედო პლატფორმაა. ტურიზმის ძირითადი, პირდაპირი ეფექტი არის ტურიზმის სფეროს დამატებული ღირებულება, რამაც 2013 წლისათვის 214,1 მილიარდი ევროს გადააჭარბა. ს მთელი ქვეყნის მთლიანი დამატებული ღირებულების 9,7%-ია.

2013 წელს ტურისტების მთელმა სამომხმარებლო ხარჯებმა 278,3 მილიარდი ევრო შეადგინა, მათ შორის 241,7 მილიარდი, ანუ 87% შიდა ტურიზმზე მოდიოდა, მხოლოდ 13% საერთაშორისო ტურიზმზე. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით მარტო საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4,5%-ით გაიზარდა და 35 მილიარდი ევრო შეადგინა ამასთან გერმანია მსოფლიო ტურისტული ბაზრისათვის ტურისტული ნაკადების დიდი მიმწოდებელიცაა ამიტომ მისი ტურისტული ხარჯების წილი ინტერნაციონალურ ტურისტულ სივრცეში 4,1%-ს შეადგენს. 2013 წელს გერმანელების 30,3%-მა დასასვენებლად შიდა ტურიზმი აირჩია, ხოლო 69,7% გაემგზავრა საზღვარგარეთ. საერთაშორისო ტურიზმის დროს ტურისტთა დიდი ნაწილი (34%) ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს იჩევს, დასავლეთ ევროპას 13,8%, აღმოსავლეთ ევროპას 7,4%, ხოლო სკანდინავიის ქვეყნებს მხოლოდ 3,3%. მოკლევადიანი მოგზაურობისას გერმანელების თითქმის თანაბრად ირჩევენ ავსტრიას,იტალიას, ჰოლანდიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს ესპანეთსა და შვეიცარიას, (რომელთა წილი შესაბამისად შეადგენს 3,7%,2,6%, 2,6%, 2,5%, 2,4%, 1,7%,1,6%)ხოლო ქვეყნის შიგნით ბაიერნს,(12,7%) ბერლინს,(7,8%) ბადენ ვურტემბერგს(6,7%). არანაკლებ 5 დღით მოგზაურობის შემთხვევაშიც ქვეყნის შიგნით მოგზაურობის ადგილის უპირობო ლიდერი ბაიერნია, რომლის წილი მოთხოვნად მოსანახულებელ ადგილებს შორის 6%-ია,(პირველ ათ ქალაქს შორის ბოლო ადგილზე ბრანდერბურგია, 0,7%-ით), ხოლო ქვეყნის გარეთ ესპანეთი შესაბამისად

<sup>1</sup>Reinhold Hatzinger, Herbel Nage- Statistik mit SPSS. München, 2013. Seite54

12,6%-ით, შემდეგ მოდის იტალია-7,6%-ით და თურქეთი 7,4%. ტოპ ათეულის სიას ასრულებს დანია, რომლის წილი მხოლოდ 1,7%-ია. თუმცა შიდა გადაადგილებისას ყველაზე საყვარელ ქალაქად გერმანელებისათვის მაინც ბერლინი, რასაც გერმანელების 11,3% ადასტურებს, შემდეგ ადგილზეა მიუნხენი(6,3%) მას მოჰყვება ჰამბურგი (5,9%), ფრანკფურტი (4,5%), კიოლნი (3%) და დრეზდენი (2,5%) ხოლო საერთაშორისო გამსვლელი ტურიზმის შემთხვევაში სურათი მეტად განსვავებულია, გერმანელების საყვარელი ქალაქების სიაში თანაბრად მოხვდა ლონდონი პარიზი და ვენა, ამსტერდამი, ბარსელონა, პრედა და ლისაბონი, შესაბამისად 1,7%, 1,0%და 0,8, 0,8%, 0,8%, 0,5%და 0,5%-იანი წილით.<sup>1</sup> საშუალოდ მოგზაურობის ხანგრძლივობა 10,3 დღეს შეადგენს. გერმანელების უმრავლესობა, 51,3%, სატრანსპორტო საშუალებებიდან უპირატესობას ანიჭებს მსუბუქ ავტომობილს, 31,9% -თვისმფრინავით გადაადგილდება, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტს ირჩევს 7,8, ავტობუსს კი ტურისტების 5,8%.

გერმანელების ტურისტულ მომსახურებას ახორციელებს 9729 ტურისტული ბიურო, სადაც დასაქმებულია 67 570 ადამიანი, რომლის ბრუნვამ 2013 წელს 22,7 მლრდ, ევრო შეადგინა.

ტურისტების განთავსებისათვის ფუნქციონირებს 34986 სასტუმრო, 948 825 ოთახით, 1707773 ადგილით. სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი დაახლოებით 66, 3% და თითოეული ნომრის საშუალო ფასი 94 ევროა. შიდა ტურიზმის ინტენსივობიდან გამომდინარე საკმაოდ მაღალია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სასტუმროებით სარგებლობის მაჩვენებლები. 2013 წელს წინა წელთან შედარებით 0,6 მილიონით მეტია, ანუ 339,3 მილიონმა გერმანელმა, ხოლო 71,6 მილიონმა საერთაშორისო მოგზაურმა(რაც წინა წელთან შედარებით 2,8 მილიონითაა მეტი) ისარგებლა სასტუმროს მომსახურებით.<sup>2</sup>

გერმანიაში საკმაოდ აქტუალური და პოპულარულია ონლაინ ტურისტული ბაზარი. თუ გადავხედავთ ტურ პაკეტების შექმნის ობიექტების სტრუქტურას, დაახლოებით 30% ონლაინ შექმნაზე მოდის. რომლის ყველაზე დიდი ნაწილი ანტალიის ტურისტული პაკეტის შექმნას უკავშირდება(20%), შემდეგ მოდის პალმა დე მალიორკა 17%-ით და ჰურგადა 6%-ით. აღმოჩნდა რომ ონლაინ მომხმარებელთა შორის ყველაზე მეტი (27%) 61-70 წლის ასაკობრივ ჯგუფიდანაა. ონლაინ გაყიდვების მოდულური ფასია 1000-1500 ევრო, რადგან მას უპირატესობას ანიჭებს ყველაზე მეტი, მომხმარებელთა 29%, და ამ მომხმარებელთა 69% ირჩევს 2 კაციან საგზურს.

როგორც ავლნიშნეთ სამომხმარებლო ხარჯების თითქმის 87%(!) შიდა ტურიზმზე მოდის. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, იმას რომ 2013 წელს გერმანიაში მარტო 530 575 ათასი ერთდღიანი ტურიზმის შემთხვევა დაფიქსირდა. გერმანელების დიდი ნაწილი (მთლიანი ერთდღიანი ტურიზმის 94,7%) გერმანიის ფარგლებში, ხოლო 5,3% საზღვარგარეთ მიემგზავრება ერთი დღით. გერმანია მსოფლიოს, ყველა ეროვნების მოსახლეობისათვის საყვარელი მოსანახულებელი ქვეყნების ათეულში მეშვიდე ადგილს იკავებს 31, 5%(რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1,1 პროცენტული პუნქტით მაღალია).სიის უპირობო ლიდერი საფრანკეთია 89,3%-ით, შემდეგ მოდიან ა.შ.შ და ესპანეთი, შესაბამისად 69,8% და 60,7%-ით.<sup>3</sup>

სამომხმარებლო ხარჯების ანალიზმა ცხადყო, რომ ხარჯების დიდი ნაწილი (79%) საქმიან ტურიზმს უკავშირდება. ტურისტების მიერ გაწეული ხარჯების 75% ისარგება განთავსების საშუალებებსა და კვებაზე, , საავიაციო მომსახურებაზე, დასვენებაზე, სპორტზე და ა.შ. ხოლო მეოთხედი ხარჯებისა გათვლილია სუვენირების, ტანსაცმელსა და სხა მისი მსგავსი ტიპის ხარჯებზე.

<sup>1</sup> Fakten und Zahlen . Eine Übersicht zusammengestellt vom Branchenverband der Touristik.2013. Seite. 5-22

<sup>2</sup> <http://www.deuschertourismusverband.de>

<sup>3</sup>Fakten und Zahlen . Eine Übersicht zusammengestellt vom Branchenverband der Touristik.2013. Seite 22

ასეთი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება გერმანიის სტატისტიკის სრულყოფილმა ინფორმაციულმა ბაზამ მოგვცა, რომელიც მიმდინარე და პერიოდულ განახლებას ექვემდებარება. სისტემატიური კვლევები არის გერმანული სტატისტიკის საიმედოობისა და ყოვლისმომცველობის მთავარი ინდიკატორი.

იმედია, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სპეციალურად ორგანიზებული კვლევების რეგულარული ჩატარება განაპირობებს ტურიზმის სტატისტიკის სრულყოფას როგორც პროგრამულ-მეთოდოლოგიური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით, რაც საერთო ჯამში ტურიზმის სტატისტიკის განვითარებასა და სრულყოფას შეუწყობს ხელს. ეს კი შეაფასებს ომ ინფორმაციული ვაკუუმს, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ასე მწვავედ არსებობდა ქართული სტატისტიკის რეალობაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Claude Kasper Management in Tourismus. 2 Auflage. Bern, Stuttgart, Wien, Haupt 1995
2. John Schwarze –Grundlagen der Statistik. Lehrbuch. 2012
3. Internationale Tourismus von Prof. Dr. U. Karla Henschel. München. 2002. p33
4. Harry Rudolph-Tourismus-Betriebswirtschaftslehre. 2 Auflage. M. München, Wien. p.17-25
5. Reinhold Hatzinger, Herbel Nage- Statistik mit SPSS. München, 2013
6. J. Christopher Holloway-The business of Tourism. Fifth Edition. 2013
7. Fakten und Zahlen . Eine Übersicht zusammengestellt vom Branchenverband der Touristik. 2013.
8. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
9. <http://www.deutschtourismusverband.de>
10. <https://www.destatis.de/EN/Homepage.html>

#### German model of statistical evaluation of tourism and its probation in Georgia

Nino Abesadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

#### Summary

The paper considers the questions of methodological improvement of tourism statistics, and the statistical study of the tourism costs is emphasized. The paper also considers the theoretical issues of the study of the market tourism segment on the example of a German model and plans the measures to further improve the tourism statistics by considering the practical value of the given model.

# საქართველოს ეკონომიკური პროცესების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი

ოთარ აბესაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი*

დღეს, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია წარმოადგენს.

ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმებით, საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობები თვისობრივად ახალ საფეხურზე გადადის, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან დაახლოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით. ამიტომ, საქართველოს მთავრობის უმთავრესი მიზანია ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული რეფორმების გადრმაგება და ამ პროცესების განვითარების დინამიკური სურათის მეცნიერული შეფასებები, რაც ცხადია ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია. ის ითვალისწინებს საქონლითადა მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ასევე, ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის და ინსტიტუტების დაახლოებას ევროკავშირის რეგულაციებსა და ინსტიტუტებთან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას უდიდესი, შეიძლება ითქვას სიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია საქართველის ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზართან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდასა და უცხოური ინვესტიციების წახალისებას; ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უცხოური ინვესტიციების სტიმულირების შედეგად; ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას; ქართული ექსპორტის ზრდას; ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას; ეკონომიკის ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.

ყოველივე ამის პარალელურად აუცილებელია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამთავრობო და კერძო სექტორების ინფორმირება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, სამეწარმეო გარემოსა და საქართველოში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებზე; სისტემატიურად უნდა მოხდეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში წარმატებით განხორციელებული რეფორმების წარმოჩენა;

საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების გარანტი შეიძლება გახდეს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისა და ეკონომიკური რეფორმების შესახებ პარტნიორ ქვეყნებთან გამოცდილების გაზიარება და ამის ბაზაზე ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნეს-წრეებს შორის გამოცდილების გაზიარება;

უდავოა ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული განზომილების გაძლიერების აუცილებლობაც. ყოველივე ეს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ტენდენციების სისტემატური განხილვის ფონზე უნდა მიმდინარეობდეს, რათა შეძლებისდაგვარად დროულად გამოიკვეთოს არასასურველი ტენდენციები და მისალოდნელი ეკონომიკური „ვარდნები“. დღეს როგორც არასდროს აუცილებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების

პარალელურად ინტეგრაციული პროცესების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის საკითხი, რაც გულისხმობს ამ მიმართულებით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობის სრულყოფას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას.

დღეს საგარეო სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან. საქსტატი ამ ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს: სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს ძირითადი ინფორმაციული ველების მიხედვით; ძირითადი საქონლის მიხედვით ზღვრული ფასის კონტროლს და შესაბამისად, რაოდენობის, ღირებულების ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას; იმ საქონლის ამოღებას შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდები, ბანკოტები და მონეტები) და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ 2008-2013 წლებში საქართველოში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა მთლიანად 38,3%-ით გაიზარდა, ექსპორტი 2013 წელს 2008 წელთან შედარებით 94,6%-ით, ხოლო იმპორტი 25,0%-ით გაიზარდა, საქართველოს მთავარი პრობლემა კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსია. ამავე პერიოდისათვის ექსპორტისა და იმპორტისათვის საშუალოწლიური ზრდის ტემპებმა შესაბამისად 108% და 114% შეადგინა.<sup>1</sup>

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის საღლო 2013 წლის მონაცემებით -4965 მლრდ აშშ დოლარია, რაც 2008 წელთან შედარებით 10 %-ითაა გაზრდილი. ეს კი ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორც საქართველოა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

თუ გადავხედავთ 1995-2013 წლების ექსპორტისა და იმპორტის დინამიკას, თვალში საცემია იმპორტის ზრდის ტემპების მკვეთრი ზრდის ტენდენცია. ადვილი მისახვედრია, რომ ადგილობრივ ბაზარზეც კი ქართული პროდუქციის ადგილს უცხოური იაფფასიანი, ხშირ შემთხვევაში, უხარისხო პროდუქცია იკავებს. შედეგად, ვლენობით იმას, რომ საქართველოში სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტის პარალელურად შეინიშნება ექსპორტის ზრდის ტენდენცია, ჯერ კიდევ დაბალია ექსპორტის ზრდის ტემპები. ბოლო მონაცემებით იმპორტი 3-ჯერ აღემატება ექსპორტს.

მართალია 2007-2013 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ თითქმის 10%-ით გაიზარდა, მაგრამ უფრო მაღალი ტემპით გაიზარდა სავაჭრო დეფიციტი და შესაბამისად არ მოხდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტის ზრდა. მართალია გაიზარდა ვაჭრობის გეოგრაფია და სავაჭრო პერტნიორი ქვეყნების რაოდენობა, მაგრამ არა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. მთლიანობაში გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით საექსპორტო მაჩვენებელი, მაგრამ არ შეცვლილა საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურა.

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი -4965 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა (რაც წინა წელთან შედარებით 10 %-ითაა შემცირებული) და საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს ქვეყნისათვის, მაინც მაღალია როგორც ექსპორტისა და იმპორტის წლიური მაჩვენებელი, ასევე მთლიანად სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი, რომელმაც 10784 მლნ. აშშ. დოლარს გადააჭარბა. ამავე პერიოდში(2006 წლის შემდგომ) სისტემატიურად იზრდებოდა ექსპორტის წილი, რომელმაც 2013 წელს 27,0% შეადგინა( წინა წელთან შედარებით

<sup>1</sup>განგარიშებიანი წარმოებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ის 3,4%-ითაა გაზრდილი), და მისი საშუალოდ წლიური მატების ტემპი 14%-ს გაუტოლდა, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი იმავე პერიოდში 51%-ით გაიზარდა და მთლიანი ბრუნვის 73,0% შეადგინა.

2013 წელს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვაჭრობის ყველა მაჩვენებლების მიხედვით დაფიქსირებულია მატების ტემპები (იხ. ცხრილი 1), მაგრამ სახეზეა დინამიკაში მატების ტემპების შემცირების ტენდენცია, მაგალითად თუ 2011 წელს წინა წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში დაფიქსირებული ზრდის ტემპი შეადგენდა 333%-ს, 2012 წელს მისი მატების ტემპი წინა წელთან შედარებით მხოლოდ 10,5% იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 70%-ით ჩამორჩება. 2013 წელს კი 5,8%. თითქმის ანალოგიური სურათია ექსპორტის მაჩვენებლების მიხედვითაც. ამან კი საბოლოოდ სალდოს მაჩვენებელი -10%-მდე დაიყვანა.


**ცხრილი №1**

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ცვლილება(%)  
(ცვლილება გაანგარიშებულია წინა წელთან შედარებით)**


	2008	2009	2010	2011	2012	2013
ექსპორტი	21.4	-24.2	48.0	30.5	8.6	22,9
იმპორტი	20.9	-28.6	16.8	34.3	11.1	1,4
ბრუნვა	21.0	-27.7	23.1	33.3	10.5	5,8
სალდო	20.8	-30.0	6.3	36.0	12.2	-10.0

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს, მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, მადნები და კონცენტრატები, თხილი, კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი, სპილენძის მადნები, სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი და სხვა. საიმპორტო პროდუქციაში სჭარბობს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ხორბალი, სამკურნალო საშუალებები, ნავთობის აირები, და სხვ.(იხ. დიაგრამა 1,2)

უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში 2013 წელს



უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში 2013 წელს




მიმდინარე პროცესების ფონზე უთუოდ საინტერესოა საქართველოს ევროინტეგრაციისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განვითარების სტატისტიკური სურათი.

რეტროსპექტიული ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

1995-2010 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა საშუალოდ 14,8%-ით გაიზარდა. ამასთან, იმპორტი – 14,6%-ით, ხოლო ექსპორტი – 15,5%-ით. 1995-2002 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა საშუალოდ გაიზარდა 14,8%-ით, იმპორტის საშუალო

წლიურმა მაგბამ 8.9%, ხოლო ევროკავშირ-საქართველოს ექსპორტის – 15,9% შეადგინა. 2003-2008 წლებში შესაბამისმა მაჩვენებელმა 28,1%, 34,4% და 34,8% შეადგინა. მაშინ როცა აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ექსპორტი წლიურად საშუალოდ 27,1%-ით, ხოლო იმპორტი 40,5%-ით იზარდებოდა. მარტო 2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, მათ შორის ექსპორტი 335,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო იმპორტი 1756 მლნ აშშ დოლარს ანუ იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას 5-ჯერ აღემატებოდა. ევროკავშირის ქვეყნების წილად მოდიოდა სავაჭრო ბრუნვის 26,5%, მათ შორის ექსპორტის 22,4% და იმპორტის 27,5%.

2013 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2008 წელთან შედარებით 37,2%-ით გაიზარდა და 2878925,4 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27,0% დაიკავა. ამასთან, ექსპორტი 81,5%-ით გაიზარდა, 608,140.3 ათასი აშშ დოლარით შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 21,0% დაიკავა, ხოლო იმპორტი 28,7%-ით გაიზარდა, 2,270,785.1 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 29% დაიკავა. (იხ. დიაგრამა 3,4)



ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილები, მანქანები და კონცენტრატები, კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი, სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი და სხვა. საიმპორტო პროდუქციაში სჭარბობს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ტრანსფორმატორები ელექტრული, სტატიკური გარდაქმნელები და სხვ.

ამრიგად, ევროკავშირი მთლიანობაში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც ორმხრივი ვაჭრობა საკმაოდ დინამიურად ვითარდება.

2013 წელს, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 134- შეადგენდა (წინა წელთან შედარებით 14%-ით არის შემცირებული), რაც 2008 წელთან შედარებით 4 ერთეულით (3,1%) გაიზარდა და. აქედან, 42 ქვეყანასთან დაფიქსირდა დადებითი სავაჭრო ბალანსი. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2012 წელს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს, 148, მიაღწია.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა თურქეთია. 2013 წელს თურქეთიდან სავაჭრო ბუნვა 2008 წელთან შედარებით 27,0%-ით გაიზარდა და 1,528,900.8 ათას აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 14,02%-ია. თურქეთის შემდეგ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი (სავაჭრო ბრუნვის 12,5, რაც 0,2%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე), უკრაინა (7,4% შენარჩუნებულია წინა წლია ტემპი), შემდეგ ადგილზე გადმონაცვლა რუსეთმა 7,2%-ით, (წინა წელთან შედარებით მისი წილი გაზრდილია-2,52%-ით) ჩინეთი (5,5%) რაც უმნიშვნელოდ 0,1%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს და ა.შ.

2013 წლის მიხედვით უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების სიას ლიდერობს აზერბაიჯანი (24% მთლიან ექსპორტში), შემდეგ მოდიან სომხეთი (11%), რუსეთი (7%),

უკრაინა(7%), თურქეთი (6%), ხოლო უმსხვილეს საიპორტო ქვეყნების ათეულის უპირობო ლიდერი კვლავ თურქეთია(17% მთლიან ექსპორტში), შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი(8%),უკრაინა (8%), რუსეთი(7%), ჩინეთი (7%) და ა.შ.

ამრიგად, ევროკავშირი საქართველის ერთ-ერთი საიმედო პარტნიორად გვევლინება, რომელთანაც ღრმა ეკონომიკურ თანამშრომლობას განაპირობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოველმხრივი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირება. მას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას, ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ევროკავშირის ბაზართან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას, რასაც თავისთავად მოჰყვება საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდა. ეს კი პირდაპირ უცხოური ინვესტიციების შემოზღოვებას შეუწყობს ხელს. რომლის შედეგადაც შედეგად შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ყოველივე ზემოთაღნიშნული საქართველოს ეკონომიკის ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. აბესაძე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტატისტიკური მახასიათებლები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული.თბ., 2014;
2. გელიტაშვილი ნ., ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2011;
3. მარშავა ქ.,სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის საკითხისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები IX ტომი, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2011 წ;
4. ყანდაშვილი თ., საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირება, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2002;
5. ძევისაური ლ., „საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011;
6. ძევისაური ლ., „სტატისტიკა საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის კვლადაკვალ“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2012;
7. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, PMSG, თბილისი, 2010;
8. რ.ფუტკარაძე -საქართველო-ევროკავშირისსავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. 2010;
9. O.Abesadze., The main trends of transformation of foreign trade in Georgia.Azerbaijan State Economic University.Baky.2nd International Scientific –Practical Conference “Business Administration and Corporate Social Responsibility”, 2014;
10. Carlo A. “Regional Economic Integration and the Location of Multinational Firms, Review of World Economics,, Vol.143. 2007;
11. Is the EU regional policy the source of inspiration for the countries beyond the EU? (2009), Bulletin 4-15.
12. www. geostat.ge
13. <http://www.visegrad.info/statistics.html/>
14. <http://www.economy.ge/ge/dcfta>



**Summary**

The paper considers the question of agreement about the essence and action plan of the European neighborhood policy and thorough and comprehensive free trade area with the European Union. Major statistical characteristics of foreign trade are analyzed and the quantitative analysis of the trade relations with the EU member countries is emphasized. The main trends of the economic integration with the EU and further perspectives of its improvement are identified.

**Совершенствование финансово-кредитного механизма  
жилищной ипотеки**

**Абдуллаева Ирада**

Азербайджанский Экономический  
Государственный Университет

Основная задача государства в становлении системы ипотечного жилищного кредитования предполагается в создании законодательной базы и нормативном регулировании процесса с целью снижения финансовых рисков участников и повышения доступности жилья для граждан. С развитием ипотечного кредитования государственное бюджетное финансирование будет направлено на непосредственную поддержку граждан, уровень доходов которых не позволяет им самостоятельно улучшить свои жилищные условия, в форме предоставления им целевых адресных безвозмездных субсидий на приобретения жилья. Этим достигается обеспечение функционирования взаимно дополняющих друг друга рыночных механизмов решения жилищных проблем граждан и механизмов социальной поддержки .

Определяя основные направления и подходы к созданию эффективного рыночного механизма жилищного финансирования, позволяющего обеспечить комплексное решение жилищной проблемы, выделяют следующие основные взаимосвязанные блоки:

- долгосрочное ипотечное жилищное кредитование населения;
- кредитование жилищного строительства;
- государственная бюджетная поддержка приобретения жилья населением (система целевых адресных субсидий).

Внедрение системы ипотечного кредитования в Азербайджане началось еще в конце 2002 года. По указу общенационального лидера Гейдара Алиева были даны поручения в контексте исполнения бюджета 2003 года начать подготовку к внедрению системы ипотечного кредитования в Азербайджане. В последующие годы была изучена практика ипотечного кредитования в других странах, на основе чего, применительно к местным условиям, была разработана модель ипотечного кредитования в Азербайджанской Республике. Данная модель была утверждена законом «Об ипотеке» в 2005 году и другими законодательными и нормативными актами, утвержденными президентом республики. Развитие системы ипотечного кредитования является частью социально-экономической политики государства, направленной на улучшение условий жизни граждан.

В 2005 году Правительства республики предприняло ряд мер, направленных на решение существующих проблем, препятствующих формированию и развитию рынка ипотечного жилищного кредитования. В частности был принят Закон «Об ипотеке» [2], кроме того, были изданы несколько указов Президента и постановлений Кабинета Министров.

Несмотря на это, некоторые существенные правовые препятствия развития первичного рынка ипотечного жилищного кредитования в стране до сих пор не устранены. К таким препятствиям относятся:

- обременительная процедура регистрации права собственности и залога на жилую недвижимость;

- существующие противоречия между Законом «Об ипотеке», Гражданским кодексом и Законом о государственном реестре недвижимого имущества.

Более того, законодательство, регулирующее деятельность других отраслей, связанных с ипотечным жилищным кредитованием, а также функционированием рынка ценных бумаг, также нуждается в дальнейшем усовершенствовании.

В настоящее время некоторые банки и небанковские финансовые институты уже выдают кредиты, включая кредиты на приобретение жилья, принимая в залог недвижимые жилые имущества в качестве обеспечения надлежащего исполнения обязательств по кредитному договору. Однако данный вид кредитования связан с существенными рисками, возникающие в процесс приобретения жилья с использованием ипотечного кредита. Эти риски, первую очередь, обусловлены недостатками в существующем законодательстве в области регистрации прав на недвижимое жилое имущество и сделок с ним. Прежде всего, это касается одной из наиболее актуальных проблем, связанных с наличием временного разрыва между моментом перехода права собственности на недвижимость от одного собственника к другому и моментом оформления его залога. Причем данный временной разрыв может превышать 30 дней. В связи с этим, банки, предоставляющие ипотечные жилищные кредиты, предпочитают брать в качестве временного залога другое равноценное недвижимое имущество.

Введение в действие нового Гражданского кодекса Азербайджанской Республики явилось серьезной основой для создания соответствующей правовой базы и формирования цивилизованного рынка недвижимости в Азербайджане. Являясь системным нормативным актом, ГК Азербайджанской Республики оставляет возможность принятия и действия законов, которые развивают, конкретизируют, детализируют его. Главное, чтобы разрабатываемые и принимаемые законы, регулирующие рынок недвижимого имущества, следовали бы логике ГК АР, не вступали в противоречие с его нормами.

Азербайджанское законодательство не дает юридического определения собственности. В Гражданском кодексе Азербайджанской Республики указывается лишь на то, что собственнику принадлежат права владения, пользования и распоряжения своим имуществом, в частности, недвижимым имуществом.

Участие государства и местных органов самоуправления в реализации ипотечных программ особенно на первых этапах является определяющим для ее успеха и требует эффективных механизмов такого участия. При разработке соответствующих механизмов учитывается ограниченность финансовых возможностей государства и необходимость преимущественного использования надежных методов государственной поддержки и участия в программе.

Данный механизм предусматривает предоставление гарантий от политических и некоторых других видов риска, ограниченное использование на возвратной основе средств бюджетов развития, использование предусмотренных законодательством жилищных субсидий и других мер по повышению покупательского спроса населения на жилье в условиях

произошедшего падения жизненного уровня населения и возросшей макроэкономической нестабильности, а также государственного стимулирования ипотечного кредитования с целью усиления его мультипликативного народнохозяйственного эффекта. Основные направления государственного стимулирования жилищного ипотечного кредитования могут быть представлены следующим образом:

Совершенствование правовой основы и нормативной базы осуществления ипотечного кредитования.

- Осуществление ряда мер по снижению рисков, связанных с долгосрочным кредитованием, повышением прибыльности и привлекательности подобного кредитования для банков.
- Создание общенациональной системы ипотечного кредитования, которая включала бы функции вторичного рынка ипотечных займов, выданных кредитными организациями для поддержания уровня ликвидности этих организаций, обеспечения и эффективного распределения кредитных ресурсов.
- Принятие дополнительных мер по поощрению участия банков в ипотечном кредитовании, например, привлечение банков к управлению средствами безвозмездных субсидий предоставляемых гражданам на строительство и приобретение жилья.
- Оказание помощи семьям со средним и низким доходами в приобретении жилья за счет предоставления им субсидий на оплату первоначального взноса при использовании ими ипотечного кредита на приобретение жилья.
- Поощрение организаций и предприятий, имеющих долгосрочные ресурсы, например, пенсионные фонды, вкладывать свои средства в ценные бумаги, обеспеченные ипотечными кредитами.

Принятие Гражданского Кодекса Азербайджанской Республики стало решающим шагом развития Азербайджанского законодательства в части развития проблемы ипотечного жилищного кредитования. В части касающейся отношений, связанных с ипотечным жилищным кредитованием, кодекс установил общие правила обеспечения кредитов залогом недвижимости, в том числе жилой; положения о праве собственности и других вещных правах на жилые помещения и др. Принятие Гражданского Кодекса Азербайджанской Республики, в котором имеются основные нормы, касающиеся получения и обеспечения кредита, создало правовую среду, благоприятствующую всем видам предпринимательской деятельности.

Закон «О государственном реестре недвижимого имущества» стал нормативным актом, непосредственно связанным с осуществлением кредитования недвижимости.

Вторым важным законом стал принятый в 2005 году Закон Азербайджанской Республики «Об ипотеке». Закон значительно расширяет возможности использования ипотеки в качестве средства обеспечения кредита:

Особую роль, особенно на начальном этапе создания системы долгосрочного ипотечного жилищного кредитования населения призвано играть государство. Государство определяет концепцию развития системы ипотечного жилищного кредитования:

- формирует правовую базу для надежного и эффективного функционирования системы ипотечного кредитования;
- создает механизм социальной защиты заемщиков;
- проводит налоговую политику, стимулирующую участников рынка ипотечного кредитования;
- создает необходимые институты для организации рынка и участвует в управлении ими.

Если снизить процентные ставки до определенного уровня, снять с населения требование по первичному взносу в 30% от общей стоимости жилья, то это будет означать возврат к старой

неэффективной распределительной системе. Механизм ипотеки должен быть приближенным к рыночным условиям, чтобы обеспечить возобновляемость финансовых средств.

Оборачиваемость средств - важный фактор, от этого зависит эффективность системы ипотечного кредитования, будущий объем вторичного финансирования и массовость охвата ипотечным кредитованием в целом. Снижение и правильное управление рисками, совершенствование механизма регистрации и реализации закладываемого жилья, становление рентабельного ипотечного института, развитие финансовых рынков и макроэкономическая стабильность - все это должно повлиять на понижение стоимости ипотечного кредита. Для этого также требуется экономически эффективная модель, где должны быть такие котировочные ставки, чтобы в дальнейшем появилась возможность выпускать ценные бумаги и привлекать дополнительные средства от пенсионных фондов или других институциональных инвесторов, которым АИФ придется платить определенные проценты. В настоящее время основным источником является госбюджет, а дополнительными могут стать внутренние и внешние инвесторы, заинтересованные во вложении в выпускаемые АИФ ценные бумаги в местной валюте. Это могло бы привести к росту активов фонда, что может использоваться для рефинансирования средств по предоставлению ипотечных кредитов.

Для предоставления кредита в обязательном порядке требуется купчая - документ, удостоверяющий право собственности гражданина на объект недвижимости. Это является одним из основных условий в системе ипотеки, так как это служит залогом выплат по ипотечным кредитам. Со времен античной Греции, где зародилась идея ипотеки для получения финансовых средств, предоставлялся залог, на который имел право заемщик. Чтобы предоставить какой-то объект недвижимости или какую-то собственность в залог, заемщик должен доказать свое право на собственность.

Незавершенные объекты строительства не могут служить предметом ипотеки. Иными словами, не могут закладываться в качестве залогового обязательства. Конечно, со временем будет создана система кредитных историй заемщиков ипотечного кредитования, как это произошло в развитых странах. Тогда может произойти какое-то смягчение и даже снижение требований к минимальной оплате из-за расширения информационной базы и спектра данного вида кредитования. Например, в Казахстане и России ипотечное кредитование выдается и при покупке недостроенных домов, даже проведении ремонтно-строительных работ на уже приобретенной квартире. Но на первоначальном этапе основная задача в реализации ипотечной системы - обеспечить доступ максимальному количеству граждан к получению ипотечных кредитов и улучшению своих жилищных условий. В настоящее время готовится законопроект "О кредитных историях". Будут учитываться предоставленная банками информация о платежеспособности гражданина по ранее полученным кредитам, своевременности выплат с его стороны при предоставлении ипотечных кредитов. Это очень важный вопрос, потому что такая система является не только частью инфраструктуры ипотечного кредитования, но и финансовых услуг. Одним из важных элементов является создание базы данных - кредитных историй заемщика. На сегодняшний день такая система существует при ЦБА, где собирается информация с банков по своевременности выплат по тем или иным заемщикам, они обрабатываются, суммируются. По ипотечному кредитованию также будет создана база данных, и информации будут поступать не только в АИФ, но и в Центральный реестр кредитных историй при ЦБА. В будущем это будет очень важным элементом для банков при анализе платежеспособности и аккуратности выплат по кредитным долговым обязательствам клиентов.

Реализация законопроекта «О кредитных историях» приобретает особое значение для налаживания прозрачных кредитных отношений и построения современной кредитоспособной экономики. Накопление и использование кредитных историй позволит значительно расширить

кредитование экономики в целом и в первую очередь придаст импульс развитию потребительского, ипотечного кредитования а также кредитованию малого бизнеса. То есть тем видам кредитования, при которых сложно оценить кредитоспособность заемщика по раскрываемым в данный момент обращения за кредитом и необходимо обеспечить возможность быстрой (порядка четверти часа) оценки кредитоспособности заемщика. Основная цель бюро кредитных историй состоит в накоплении определенного перечня информации, характеризующей платежную дисциплину заемщика по исполнению договоров займа (кредита) и в совокупности составляющей кредитные истории юридических и физических лиц. Современный зарубежный опыт показывает, что кредитная история служит не только для фиксации факта о получении и возврате кредита(ов), но должна позволить оценить кредитоспособность заемщика. Таким образом, становится необходимым накопление значительного объема информации, описывающей заемщика и его договора кредита, займа.

В целом, основные проблемы, связанные с процессом передачи права собственности на недвижимость и оформления его ипотеки, можно сгруппировать в следующем образом:

1. Риски, связанные с передачей права собственности на недвижимость.

2. Регистрация ипотеки.

3. Дополнительная регистрация ипотеки.

4. Обязательное нотариальное удостоверение договора ипотеки.

5. Переоформление ипотечной закладной.

6. Права землепользования. Выделение земельных участков под жилищное строительство происходит в основном из земельных площадей, находящихся в муниципальной собственности. Существует три правовых режима по выделению муниципальной земли под жилищное строительство:

- частные земельные участки под индивидуальное строительство;

- бесплатное срочное землепользование под строительство многоквартирных домов частными коммерческими компаниями;

- бесплатное бессрочное землепользование под строительство многоквартирных домов жилищно-строительными кооперативами.

Земельное законодательство предусматривает экспроприацию ранее выделенных земельных участков для государственных, муниципальных и общих нужд. В отсутствие согласия со стороны владельца земли, экспроприация возможна только на основе решения суда. Согласно Земельному кодексу экспроприирующая сторона должна оплатить владельцу земельного участка рыночную стоимость экспроприируемого участка на момент экспроприации. При согласии владельца земельного участка заинтересованная сторона может предложить ему эквивалентный участок земли [4].

7. Процедура обращения взыскания на предмет ипотеки и выселения.

8. Внесудебная процедура обращения взыскания на предмет ипотеки на практике.

9. Высокая стоимость услуг судебного исполнителя.

10. Банковское регулирование ипотечных операций.

На основании данного исследования, предложенные нами рекомендации по формированию устойчивого национального рынка ипотечного жилищного кредитования сгруппированы по следующим трем основным направлениям:

1. Совершенствование правовой среды для формирования системы жилищного финансирования:

2. Создание условий для становления основных участников ипотечного рынка и дальнейшего развития их институционального потенциала:

-

3. Совершенствование государственной жилищной политики:

## Список использованной литературы:

1. Закон Азербайджанской Республики «Об ипотеке» Ваку, «Qanun», 2005.
2. Гражданский Кодекс Азербайджанской Республики. Ваку, «Qanun», 2001.
3. Земельный Кодекс Азербайджанской Республики. Ваку, «Qanun», 2001.
4. Довдиенко И.В. Ипотека: Учебно-практическое пособие / Под ред. В.З. Черняка, М.: Изд-во КДЛ, 2003, 272 с.

## Improving the financial and credit mechanism residential mortgage

IRADA ABDULLAEVA

### Summary

In this paper, specifying the main task of the state in the development of the mortgage lending system, the basic directions and approaches to the creation of an effective market mechanism housing finance which gives a comprehensive solution to the housing problem, highlights the main interconnected blocks.

At the same time, revealed significant legal barriers of the primary mortgage market in the country, grouped into major problems associated with the process of transferring ownership of the property and the execution of its mortgage. At the end of the article the author offers advice on the formation of sustainable national mortgage market.

## პოსტსაბჭოური ქვეყნების ზოგიერთი შედარებითი ეკონომიკური მაჩვენებელი ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ფონზე

თამარ ათანელიშვილი


*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ახისტენტ პროფესორი*

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების და ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყნების ხარჯზე ევროკავშირის გაფართოების მეორე ეტაპი ფაქტობრივად 2013 წლიდან დაფიქსირდა: ევროკავშირის ასოცირებული წევრი უნდა გახდეს საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ამ ქვეყნებში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მერყეობს 2.2 დ 3.9 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებია [1;4]. ამ ქვეყნებიდან 1990 წლის მშპ-ის დონეს მიაღწია: უკრაინამ - 2005 წელს, საქართველომ და მოლდოვამ კი 2006 წელს [1-5]. (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1.

მშპ-ს-ს დინამიკა მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში 1990-2013 წწ. ( %-ში, 1990 წ. = 100)<sup>1</sup>


<sup>1</sup> გაანგ.: <http://data.worldbank.org/indicator>



საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს მკვეთრად ჩამორჩება მოლდოვას, საქართველოსა და უკრაინის მონაცემები მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ის მიხედვითაც. [1; 4-5]. (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2.


მშპ მოსახლეობის 1 სულზე მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში 1990-2013 წწ.(აშშ დოლ).<sup>1</sup>



მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით, 1990 წლის დონეს მიაღწია: უკრაინამ - 2005 წელს, საქართველომ და მოლდოვამ კი - 2007 წელს. 2013 წლის შედეგებით, ეს მაჩვენებლები გაზრდილია, მაგრამ მაინც დიდად ჩამორჩება

<sup>1</sup> <http://data.worldbank.org/indicator>

ერთ-ერთ მთავარ ევროპულ „კონვერგენციულ კრიტერიუმს“ [1]. უფრო მეტიც, პროგნოზირებული ეკონომიკური ზრდის ტემპების (მოლდოვა: 5 - 6.5%, 2014-20 წწ.; უკრაინა: - 6-7%, 2014 წ). მიხედვით, არარეალურია, რომ მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით, უკრაინამ მიაღწიოს 2014 წელს - 8500 აშშ დოლ., 2020 წელს 16000 აშშ დოლ. , ხოლო მოლდოვამ კი 10-12 ათ. აშშ დოლარს [1; 8-11]. გრაფიკი 3.



გრაფიკი 3.

ეკონომიკის ზრდის ტემპები მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში 2010-2013 წწ.(%-ში წინა წელთან შედარებით)<sup>1</sup>

მოლდოვას, წინა წლის „ჩავარდნის“ ფონზე, ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალი ტემპი ჰქონდა გასულ წელს. რუსეთთან მოსალოდნელი ეკონომიკური ურთიერთობების გაუარესების შემთხვევაში, მოლდოვას უახლოეს წლებში ზრდის ასეთი მაღალი ტემპის შენარჩუნება გაუჭირდება. დასავლეთის ბაზრებზე დამკვიდრებას კი ეროვნული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და გარკვეული დრო სჭირდება. ასევე, ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპებით არც უკრაინა გამოირჩევა და 2014 წელს განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად, აქ ეკონომიკის მასშტაბები შესამჩნევად შეიკვეცა, მდგომარეობის გამოსწორება დიდ დროს და ფინანსებს მოითხოვს. „სტრატეგია 2020“-ის მიხედვით, საქართველოში კი, რეალისტულია 2014 წელს 6.0-6.5%-იანი ეკონომიკური ზრდა. საქმე ისაა, რომ რუსეთთან საქართველოს ეკონომიკა, უკრაინის და მოლდოვას ეკონომიკასთან შედარებით, ნაკლებად ინტეგრირებულია.

მთლიანობაში, ევროკავშირთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები, ასოცირებული ხელშეკრულების ფონზე, წაახალისებს ზემოაღნიშნული ქვეყნების ეკონომიკებს, მაგრამ შესამჩნევ ცვლილებებს მოკლე დროში არ უნდა ველოდოთ - განსაკუთრებული საგარეო ფინანსური დახმარებების გარეშე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ათანელიძე თ., სილაგაძე ა. (2014). ევროკავშირის ეკონომიკური ინდიკატორები და საქართველო. „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“.თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, გვ. 50-52.

<sup>1</sup> <http://data.worldbank.org/indicator> 10.10.14.



2. Papava, V.(2013). *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York: Nova Science Publishers.
3. Tvalchrelidze, A., Silagadze A... (2011). *Georgia's Social Economic Development Program*. «Nekeri», Tbilisi, [Http://www.ifsdeurope.com/prezation.html](http://www.ifsdeurope.com/prezation.html)
4. <http://data.worldbank.org/indicator>
5. <http://geostat.ge>
6. [http://www.economy.ge/uploads/news/giorgi\\_kvirkashvili/Strategy2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirkashvili/Strategy2020.pdf)
7. <http://www.statistica.md/index.php?l=ru>
8. <http://ukrstat.org/en>
9. [http://www.gov.md/public/files/Moldova\\_2020\\_RUS.pdf](http://www.gov.md/public/files/Moldova_2020_RUS.pdf)
10. <http://korrespondent.net/ukraine/politics/3424635-poroshenko-predstavyl-tezisy-prohammy-razvytyia-ukrayny-k-2020-hodu>
11. [http://rus.newsru.ua/finance/17sep2014/prognoz\\_natsbank.html](http://rus.newsru.ua/finance/17sep2014/prognoz_natsbank.html)

## **Some Comparative Economic Indicators of Post-soviet States in the light of EU Association Agreement**

**Tamar Atanelishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Assistant Professor, Candidate of Economic Sciences / PhD in Economics

### **Summary**

Post-soviet states (Moldova, Georgia, Ukraine) have recently signed EU Association Agreement. These countries cannot be distinguished with high rates of social-economic development even among post-soviet countries. Unfortunately, modernization of economy in the three states has been slow and territorial integrity has been violated. The work considers some comparative economic indicators of these countries revealing that in the mid-term period (2020) they will not be able to meet convergence economic criteria required for becoming an EU member state.

## **ოუკენის კანონისა და კოეფიციენტის ალტერნატიული ვერსიები**

**იური ანანიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პროფესორი*

### **შესავალი**

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასწყისში ამერიკელმა ეკონომისტმა არტურ ოუკენმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის – ეკონომიკური ზრდის ტემპისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის – ცვლილების ტენდენციები ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა. 1962 წელს მან გამოაქვეყნა სტატია “პოტენციური მთლიანი ეროვნული პროდუქტი: მისი გაზომვა და მნიშვნელობა”[1], სადაც ემპირიული განტოლებისორი ვერსიაა მოცემული. ერთ მათგანში

დამოკიდებულება განიხილება უმუშევრობის დონის ცვლილების სიდიდესა და რეალური გამოშვების მატების ტემპს შორის, მეორეში კი – უმუშევრობის დონესა და რეალური პოტენციური გამოშვებიდან რეალური ფაქტობრივი გამოშვების გადახრის (ჩამორჩენის) სიდიდეს შორის. აღნიშნული განტოლებებიდან პირველს **სხვაობითი ვერსია** (*The difference version*), მეორეს კი **გარღვევის ვერსია** (*The gap version*) ეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განტოლებები ერთმანეთისაგან შინაარსობრივად რამდენადმე განსხვავდება, ორივე მათგანში ასახულმა რაოდენობრივმა შესაბამისობებმა ცოუკენის კანონის სახელწოდება მიიღო.

არტურ ოუკენი თავისი განტოლებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად მათ სიმარტივეს მიიჩნევდა. ამან განაპირობა მაკროეკონომიკის პრობლემების შესწავლით დაინტერესებული მკვლევარების მიერ ოუკენის ორიგინალური დამოკიდებულებების რამდენიმე მოდიფიკაციის შემოთავაზება [2-5]. დღეს ამ მოდიფიკაციებსაც, სწავის განტოლებებისგან გარკვეული განსხვავების მიუხედავად, ოუკენის განტოლებებად, მათში ასახულ დამოკიდებულებებს კი ოუკენის კანონით მოიხსენიებენ.

ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელიც მიიღება როგორც ორიგინალური, ასევე მოდიფიცირებული განტოლებებიდან, არის ოუკენის კოეფიციენტი. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაკროეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზის პროცესში. განტოლებების მსგავსად ოუკენის კოეფიციენტის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. წარმოდგენილ სტატიაში ოუკენის კანონის განტოლების გარდაქმნილ ვერსიებზე დაყრდნობით და აშშ-ის 1948-2013 წლების სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით ნაჩვენებია, რომ კოეფიციენტის ეს ვარიანტები ერთმანეთისაგან როგორც შინაარსობრივად, ასევე რაოდენობრივად განსხვავდება.

### ოუკენის განტოლებისა და კოეფიციენტის სტატისტიკური ვარიანტები

მაკროეკონომიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებში ოუკენის კანონი, ხშირ შემთხვევაში, შემდეგი ფორმულირებით არის მოცემული: **ეკონომიკაში ციკლური უმუშევრობის ყოველი ერთი პროცენტით ზრდა იწვევს პოტენციურ და ფაქტობრივ რეალურ გამოშვებებს შორის  $\rho$ %-იან გარღვევას** [6]. ამ შემთხვევაში პოტენციური გამოშვების ქვეშ, როგორც წესი, სრული დასაქმების შესაბამისი გამოშვების მოცულობა იგულისხმება. რაც შეეხება  $\rho$ -ს, მას ოუკენის პარამეტრი (კოეფიციენტი) ეწოდება, სხვადასხვა ეკონომიკისათვის სხვადასხვაა და შეიძლება ცვლილებას განიცდიდეს, აგრეთვე, დროის გარკვეულ ხანგრძლივობის შუალედებში.

ოუკენის კანონის მოყვანილი ფორმულირება მათემატიკურად რამდენიმე ვარიანტად შეიძლება წარმოვადგინოთ. სტატიის მოცემულ ნაწილში ორ მათგანზე შევხერხდებით, რომლებიც ოუკენის ზემოთ აღნიშნული “გარღვევის ვერსიის” ორიგინალისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდებიან. ერთ ვარიანტს შემდეგი სახე აქვს

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = \rho_1 (u_t - u_t^*), \quad (1)$$

ხოლო მეორეს, რომელიც უფრო ხშირად განიხილება თეორიული ანალიზის პროცესში, შემდეგი სახე –

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t} = \rho_2 (u_t - u_t^*). \quad (2)$$

ამ ფორმულებში  $Y_t^*$ , რეალური პოტენციური გამოშვების მნიშვნელობაა, რომელიც შრომის ბაზრის წონასწორობას და სრულ დასაქმებას შეესაბამება  $t$  პერიოდში;  $Y_t$  რეალური ფაქტობრივი გამოშვებაა  $t$  პერიოდში;  $u_t$  აღნიშნავს უმუშევრობის ფაქტობრივ დონეს  $t$  პერიოდში;  $u_t^*$  – უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობაა  $t$

პერიოდში. ამ მაჩვენებელს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოკლევადიანი მნიშვნელობა. მისგან განსხვავებით  $u^*$ , რომელიც (2)-შია მოცემული უმუშევრობის ბუნებრივი დონის გრძელვადიანი მნიშვნელობაა;  $\rho_1$  და  $\rho_2$  ოუკენის პარამეტრებია. ორივე  $\rho$  შინაარსობრივად გვიჩვენებს პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების ჩამორჩენის პროცენტულ ცვლილებას უმუშევრობის ფაქტობრივი დონის მისი ბუნებრივი მნიშვნელობიდან ერთი პროცენტული პუნქტით გადახრის შემთხვევაში. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველის ( $\rho_1$ -ის) გაანგარიშებას საფუძვლად უდევს დაშვება უმუშევრობის ბუნებრივი დონის ცვალებადობის შესახებ, მეორის ( $\rho_2$ -ის) გაანგარიშებას კი – დაშვება უმუშევრობის ბუნებრივი დონის მუდმივობის შესახებ. ორივე მაჩვენებელი არადაკვირვებად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ჯგუფს მიეკუთვნება და, განმარტების თანახმად, აკმაყოფილებს პირობას  $\rho_1 > 0, \rho_2 > 0$ . როცა ფაქტობრივი უმუშევრობის დონე აღემატება ბუნებრივს, მაშინ ადგილი აქვს პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენას, ხოლო, როცა უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივ დონეზე ნაკლებია, მაშინ ფაქტობრივი გამოშვება პოტენციურს აღემატება. ადვილად შევნიშნავთ, რომ (1) და (2) გამოსახულებები მოვლენას სტატიკაში აღწერენ – მათში შემავალი ყველა მაჩვენებელი ერთი და იგივე პერიოდს მიეკუთვნება – ამიტომ (1) და (2) გამოსახულებებს შეიძლება ვუწოდოთ ოუკენის სტატიკური განტოლებები, ხოლო  $\rho_1$ -სა და  $\rho_2$ -ს ოუკენის სტატიკური კოეფიციენტები (პარამეტრები).

ამ კოეფიციენტების კონკრეტული სიდიდის ცოდნას დიდი მნიშვნელობა გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისა და გამტარებლებისთვის. სხვა არადაკვირვებად მაჩვენებლებთან ერთად, რეალურთან მიახლოებული  $\rho_1$ -ისა და  $\rho_2$ -ის მნიშვნელობის დადგენა ერთ-ერთ საინტერესო საკითხია. არანაკლებ საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა შესაბამისობაში იმყოფება ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთთან. ფორმალური ანალიზის გამოყენებით ამ შესაბამისობის დადგენა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მივმართოთ ეკონომეტრიკულ ანალიზს და (1) და (2) გამოსახულებები წარმოვადგინოთ რეგრესიული განტოლებების სახით, რომლებშიც დამოკიდებულ ცვლადს შეესაბამება პოტენციურ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის გარღვევის სიდიდე, დამოუკიდებელ ცვლადს კი – უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან ფაქტობრივი დონის გადახრის სიდიდე.

დასაწყისში შევჩერდეთ (1) გამოსახულებაზე და შევაფასოთ  $\rho_1$ -ის ადსანიშნავია, რომ დაკვირვებად  $Y_t$  და  $u_t$  ცვლადებთან ერთად (1) შეიცავს, აგრეთვე, არადაკვირვებად  $Y_t^*$  და  $u_t^*$  სიდიდეებს. ამიტომ ვიდრე უშუალოდ  $\rho_1$ -ის შეფასებაზე გადავალთ, წინასწარ, სპეციფიკური მიდგომების გამოყენებით, უნდა განვსაზღვროთ  $Y_t^*$ -სა და  $u_t^*$ -ს შეფასებები, რაც, თავის მხრივ, არანაკლები სირთულის პრობლემაა, ვიდრე  $\rho_1$ -ს შეფასება. ამ პრობლემის გადალახვის რამდენიმე გზა არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით უნდა ავაგოთ მოდელთა კომპლექსი, რომელშიც, ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან მახასიათებელთან ერთად, შეფასებას ექვემდებარება პოტენციური გამოშვება და უმუშევრობის ბუნებრივი დონე. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითის საქართველოს ეკონომიკისთვის განხილულია [7]-ში. უფრო მარტივ სიტუაციაში  $Y_t^*$ -სა და  $u_t^*$ -ს შესაფასებლად შეიძლება მივმართოთ ჰონდრიკ-პრესკოტის, კალმანის, ბევერიჯი-ნელსონის ან სხვა რომელიმე ფილტრს, რომელიც დროით მწკრივში ტრენდული და ციკლური კომპონენტების გამოყოფის საშუალებას იძლევა. საქმე ისაა, რომ გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, პოტენციური გამოშვებისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობებად, ხშირ შემთხვევაში,

ფილტრით მიღებული ტრენდის შესაბამისი სიდიდეები განიხილება [8-9]. ცხადია ასეთი მიდგომის გამოყენება ფუნქცია გამარტივებულ დაშვებას იმის შესახებ, რომ გამოშვების ფაქტობრივი მნიშვნელობა ირხევა  $Y_t^*$ -ს გარშემო, უმუშევრობის ფაქტობრივი დონე კი  $u_t^*$ -ს გარშემო. თუ ჩვენც ამ დაშვებიდან გამოვალთ და, მაგალითად, ჰონდრიკ-პრესკოტის ფილტრით მოვახდენთ აშშ-ის რეალური მთლიანი გამოშვებისა და უმუშევრობის დონის 1948-2013 წლების დროით მწკრივებში<sup>1</sup> ტრენდების გამოყოფას, მაშინ მივიღებთ, რომ(1) გამოსახულების საფუძველზე აგებული რეგრესიული განტოლებით შეფასებული ოუკენის სტატიკური კოეფიციენტის,  $\rho_1$ -ის, მნიშვნელობა აშშ-ისთვის დაახლოებით 1,79-ს შეადგენს<sup>2</sup>.

ახლა განვიხილოთ (2) გამოსახულება და ვნახოთ მნიშვნელოვნად შეიცვლება თუ არა ოუკენის პარამეტრის მნიშვნელობა იმ შემთხვევისთვის, როცა განსახილველ პერიოდში უმუშევრობის ბუნებრივი დონე უცვლელ სიდიდეს წარმოადგენს.

$\rho_2$ -ის შეფასების მისაღებად, ისევე როგორც  $\rho_1$ -ის შემთხვევაში, ახლაც დავუშვათ, რომ გამოშვების ფაქტობრივი მნიშვნელობა ირხევა  $Y_t^*$ -ის გარშემო, ხოლო უმუშევრობის ფაქტობრივი დონე – ბუნებრივი დონის,  $u^*$ -ს, გარშემო, რომელიც მუდმივი სიდიდეა. ეს დაშვება საშუალებას გვაძლევს  $Y_t^*$ -ის მნიშვნელობები განვსაზღვროთ ტრენდის გამოყოფის გზით, მაგალითად, ჰონდრიკ-პრესკოტის ფილტრით, ხოლო  $u^*$ -ის მნიშვნელობად კი განვიხილოთ უმუშევრობის ფაქტობრივი დონეების საშუალო პერიოდული სიდიდე<sup>3</sup>, რომელიც აშშ-ისთვის 1948-2013 წლების მონაცემების მიხედვით დაახლოებით 5,83%-ის ტოლია<sup>4</sup>. ამ პირობებში (2)-ის რეგრესიული ანალოგის შეფასების შედეგად მივიღებთ, რომ  $\rho_2$ -ის, მნიშვნელობა აშშ-ისთვის დაახლოებით 1,55-ს შეადგენს<sup>5</sup>. როგორც ვხედავთ,  $\rho_2$ -ის შეფასება საგრძნობლად ნაკლებია  $\rho_1$ -ის ზემოთ მოყვანილ მნიშვნელობაზე. მაშასადამე, ოუკენის სტატიკური კოეფიციენტის სიდიდეს სხვა გარემოებებთან ერთად მნიშვნელოვანი ხარისხით განსაზღვრავს უმუშევრობის ბუნებრივი დონის ქცევას. როდესაც ეს უკანასკნელი სტაბილურად მუდმივ მნიშვნელობას ინარჩუნებს, მაშინ პოტენციურ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის უმუშევრობის დონის ცვლილებით გამოწვეული გარღვევა იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა უმუშევრობის ცვალებადი ბუნებრივი დონის პირობებში.

### ოუკენის განტოლებისა და კოეფიციენტის დინამიკური ვარიანტები

<sup>1</sup>The US Unemployment Rate – 1948 to 2013; <http://www.miseryindex.us/urbyyear.asp> ;

[www.bea.gov](http://www.bea.gov) – აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტი.

<sup>2</sup>უნდა აღინიშნოს, რომ განხილული მონაცემების პირობებში შესაფასებელი რეგრესიის განტოლების  $(Y_t^* - Y_t)/Y_t^* = (u_t - u_t^*) + e_t$  ნარჩენობითი  $e_t$  წევრებისათვის ადგილი აქვს ძლიერ ავტოკორელაციას. ამიტომ  $\rho_1$ -ის შეფასების მისაღებად ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდის ნაცვლად გამოვიყენეთ კოხრენ-ორკატის გარდაქმნაზე დაფუძნებული სპეციალური პროცედურა.

<sup>3</sup>უმუშევრობის ბუნებრივი დონის ცნების ქვეშოგჯერ განიხილება დროის გარკვეული შუალედის ფაქტობრივი დონეების საშუალო არითმეტიკული (იხ. მაგ. [12 , გვ. 200]).

<sup>4</sup>აღსანიშნავია, რომ საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით უმუშევრობის ბუნებრივი დონის ასეთივე მნიშვნელობა მიიღება მაშინაც, როცა გამოთვლის პროცესში ფაქტობრივი დონეების ნაცვლად განიხილება ფილტრით მიღებული ტრენდული მნიშვნელობები.

<sup>5</sup>ისევე როგორც  $\rho_1$ -ის შეფასებისას, ამ შემთხვევაშიც ავტოკორელაციის პრობლემის გადასაღებად გამოვიყენეთ კოხრენ-ორკატის გარდაქმნაზე დაფუძნებული სპეციალური პროცედურა.

წმინდა თეორიული თვალსაზრისით ზემოთ მოყვანილი სტატიკური განტოლებები კარგად გადმოსცემენ ოუკენის კანონის არსს. მაგრამ მათ პრაქტიკულ გამოყენებას ართულებს არადაკვირვებადი  $Y_t^*$ ,  $u_t^*$  და  $u^*$  ცვლადების არსებობა. ამ ცვლადების შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა გულისხმობს (1) და (2) გამოსახულების ისეთ გარდაქმნას, რომ მხოლოდ დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით მივიღოთ ოუკენის პარამეტრის,  $\rho$ -ს, შეფასება. შესაძლებელია გარდაქმნის რამდენიმე ვარიანტი და, შესაბამისად,  $\rho$ -ს მნიშვნელობის შეფასების ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე მოდელის აგება. ამ ნაწილში ჩვენ შევხერდებით მოდელის იმ ვარიანტზე, რომლის საფუძველზეც მიღებული შედეგები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მაკროეკონომიკის და ეკონომიკის სახელმძღვანელოებში ოუკენის პარამეტრის კონკრეტული რიცხობრივი მნიშვნელობის როლში [6, გვ. 137; 10, გვ. 270; 11, გვ. 29]. ამ ვარიანტს, რომელსაც ოუკენის კანონის “სხვაობითი ვერსია” ეწოდება, შემდეგი სახე აქვს

$$g_t = g_t^* - \rho_3 \Delta u_t, \quad (3)$$

სადაც  $\Delta u_t$  უმუშევრობის დონის ცვლილების სიდიდეა:  $\Delta u_t = u_t - u_{t-1}$ ;  $\rho_3$ -ოუკენის კოეფიციენტის ვარიანტია;  $g_t^*$  აღნიშნავს პოტენციური გამოშვების მატების ტემპს, ხოლო  $g_t$  – ფაქტობრივი გამოშვების მატების ტემპს:

$$g_t^* = \Delta Y_t^* / Y_{t-1}^*; \quad g_t = \Delta Y_t / Y_{t-1}.$$

ჩავთვალოთ, რომ პოტენციური გამოშვების მატების ტემპი  $g_t^*$  დამოკიდებული არ არის  $t$ -ზე და მუდმივი სიდიდეა:  $g_t^* = g^*$ . ამის სანაცვლოდ (3)–შიჩაერთოთ ცდომილებების აღმნიშვნელი შემთხვევითი სიდიდე  $\varepsilon_t$ . მაშინ მივიღებთ შემდეგი სახის რეგრესიის განტოლებას

$$g_t = g^* - \rho_3 \Delta u_t + \varepsilon_t, \quad (4)$$

რომლის საფუძველზე დაკვირვებადი  $g_t$ -სა და  $\Delta u_t$ -ს მნიშვნელობებით შესაძლებელია  $\rho_3$  პარამეტრთან ერთად შევაფასოთ  $g^*$ . განმარტების თანახმად,  $\rho_3$  დადებითი სიდიდეა, ამიტომ მის წინ მდგარი უარყოფითი ნიშანი გვიჩვენებს, რომ, თუ რომელიმე პერიოდში უმუშევრობის დონე წინა პერიოდის დონესთან შედარებით გაიზარდება, მაშინ ეს, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფითად აისახება გამოშვების მოცულობის მატების ტემპზე, რაც ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, როდესაც უმუშევრობის დონე სტაბილურია, მაშინ პოტენციური და ფაქტობრივი გამოშვებების მატების ტემპები ერთმანეთის ემთხვევა.

ასეა, რომ (4)-ის შინაარსობრივი მხარე რამდენადმე განსხვავდება ოუკენის სტატიკურ (1) და (2) ფორმულებში ასახული პროცესის შინაარსისგან. (4) მოვლენას დინამიკაში აღწერს, რადგანაც მასში შემავალი როგორც მატების ტემპის,  $g_t$ -ს, ასევე უმუშევრობის დონის,  $\Delta u_t$ -ს, მახასიათებლები დროში ცვლილებას გამოხატავს. აქედან გამომდინარე,  $\rho_3$ -ს შეიძლება ვუწოდოთ **ოუკენის დინამიკური კოეფიციენტი**, ხოლო (4) განტოლებას – **ოუკენის დინამიკური განტოლება**. შინაარსობრივად  $\rho_3$  გამოსახავს უმუშევრობის დონის დროში ცვლილების გავლენას ფაქტობრივი მთლიანი შიგა პროდუქტის მატების საშუალო ტემპზე. მაშასადამე,  $\rho_3$  არ წარმოადგენს ოუკენის პარამეტრს იმ თვალსაზრისით, როგორც ეს უკანასკნელი მოცემულია ზემოთ ფორმულირებულ ოუკენის კანონში და ასახულია სტატიკური მოდელის კოეფიციენტებში.

ოუკენის სტატიკურ და დინამიკურ პარამეტრებს შორის შინაარსობრივ განსხვავებასთან ერთად, სავარაუდოდ, უნდა არსებობდეს რაოდენობრივი განსხვავებაც<sup>1</sup>.იმის გასარკვევად თუ რამდენად დიდია ასეთი განსხვავება, კვლავ მივმართოთ აშშ-ის 1948-2013 წლების მონაცემებს და მათ საფუძველზე შევაფასოთ (4) განტოლება. მივიღებთ

$$g_t = 0,0336 - 1,8552\Delta u_t + e_t, \quad R^2 = 0,724; \quad F = 167,6; \quad DW = 1,334$$

(t) (21,397) (-12,946) , (5)

სადაც რეგრესიის კოეფიციენტების ქვეშ ფრჩხილებში მოცემულია სტიუდენტის  $t$  სტატისტიკის მნიშვნელობები;  $e_t$  რეგრესიის ნარჩენობით წევრს აღნიშნავს.

რომ არა დარბინ-უოტსენის  $DW$  კოეფიციენტის შედარებით მცირე მნიშვნელობა (ავტოკორელაციის პრობლემა), შეიძლება ვთქვათ, რომ (5) განტოლება და მისი კოეფიციენტების შეფასებები წმინდა ფორმალური და სტატისტიკური თვალსაზრისით სრულიად მისაღებად გამოიყურება. თუმცა ავტოკორელაციის პრობლემის გადაჭრის შემდეგაც  $g^*$ -ისა და  $\rho_3$ -ის მნიშვნელობები დიდად არ შეიცვალა და შემდეგი სურათი მივიღეთ  $g^* = 0,0366$ ,  $\rho_3 = 1,8674$ . აღსანიშნავია, რომ პოტენციური გამოშვების მატების ტემპის  $g^*$ -ს შეფასება 0,0336 (ანუ 3,36%) მცირედენ აღემატება ფაქტობრივი მატების ტემპის საშუალო პერიოდულ სიდიდეს, რომელმაც აშშ-ისთვის 1948-2013 წლებში 3,26% შეადგინა. ეს გარემოება საღ აზრთან სრულ შესაბამისობაშია. რაც შეეხება  $\rho_3$ -ის შეფასებას, 1,8674-ს, იგი რამდენადმე აღემატება სტატიკური მოდელის  $\rho_1$  და  $\rho_2$  კოეფიციენტების მნიშვნელობებს. უნდა იყოს თუ არა სტატიკურ და დინამიკურ კოეფიციენტებს შორის ასეთი თანაფარდობა, ძნელი სათქმელია.

შეგვიჩვენებთ რამდენიმე ისეთ მომენტზე, რომელიც (4)-ის ტიპის დინამიკური მოდელის და მისგან მიღებული შეფასებების კორექტულობის შესახებ კითხვებს ბადებს.

პირველი მნიშვნელოვანი გარემოება უმუშევრობის დონის აბსოლუტური  $u_t$  მნიშვნელობებიდან ნაზრდით (დიფერენცირებულ)  $\Delta u_t$  მნიშვნელობებზე გადასვლას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ასეთი ნაბიჯით უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ყოველწლიურ ნაზრდებს ვაიგივებთ უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან გადახრის სიდიდესთან, რაც არასწორია. გარდა ამისა, ამ ცვლილებით ორი ეკონომეტრიკული ხასიათის პრობლემა წარმოიქმნება. ერთი მათგანი (5) მოდელის შეფასების პროცესში გამოყენებული დროითი მწკრივების სტაციონარულობას უკავშირდება. ანალიზი

<sup>1</sup>მრავალი მკვლევარი არ ანსხვავებს სტატიკურ და დინამიკურ პარამეტრებს და ოუკენის კანონის რაოდენობრივი გამოსახვისთვის ძირითადად მიმართავს (4) განტოლებას ან მის შებრუნებულ ვარიანტს.ჩვენს შემთხვევაში (4)-ის შებრუნებული ვარიანტი შემდეგი სახით

შეიძლება ჩავწეროთ  $\Delta u_t = \left( \frac{g^*}{\rho_3} \right) - \frac{1}{\rho_3} g_t + \xi_t$ , სადაც  $\xi_t$  რეგრესიის შემთხვევით წევრს

აღნიშნავს. როგორც წესი, ეს ორი განტოლება  $\rho_3$ -ის ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავებულ მნიშვნელობას იძლევა, რადგანაც  $g_t$ -სა და  $\Delta u_t$ -ს შორის კავშირი, თუკი იგი არსებობს, სტატისტიკურია და არა ფუნქციონალური. გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტის მიხედვით  $g_t$  და  $u_t$  ერთმანეთის მიზეზის როლში გვევლინება. ამის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპიდან გამომდინარე, (4)-სა და მის შებრუნებულს შორის არჩევანის გაკეთებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს (4)-ს.

გვიჩვენებს, რომ აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის მატების წლიური ტემპის,  $g_t$ -ს, დროითი მწკრივი სტაციონარულია. დიკი-ფულერის  $ADF$  ტესტის 5%-იანი კრიტიკული წერტილების, ასევე ალტერნატიული  $KPSS$  ტესტის 1%-იანი და 5%-იანი კრიტიკული წერტილების მიხედვით სტაციონარულს მიეკუთვნება, აგრეთვე, უმუშევრობის დონის,  $u_t$ -ს, დროითი მწკრივი<sup>1</sup>. ასეთ პირობებში რეგრესიის მოდელში ამხსნელ ცვლადად  $u_t$ -ს ნაცვლად მისი პირველი რიგის სხვაობის  $\Delta u_t$ -ს განხილვა, როგორც წესი, რიგ არასასურველ შედეგს იწვევს. კერძოდ, “დიფერენცირებული”  $\Delta u_t$  მწკრივი, მიუხედავად იმისა, რომ სტაციონარულობის თვისებას ინარჩუნებს, ხშირად საწყის  $u_t$  მწკრივთან შედარებით უფრო მაღალი დისპერსიით ხასიათდება [14, გვ. 381], ხელს უწყობს მწკრივის მომდევნო მნიშვნელობებს შორის ე. წ. პარაზიტული (ცრუ) ავტოკორელაციის გაჩენას, მწკრივის მცურავი საშუალოს  $MA$  ნაწილს არაშებრუნებადს ხდისდა, საბოლოოდ, ეს გარემოებები რეგრესიის კოეფიციენტების შეფასებებზეც აისახება [15, გვ. 450].

რეგრესიის განტოლებაში სტაციონარული  $u_t$  მნიშვნელობებიდან ნაზრდით მნიშვნელობებზე გადასვლით გამოწვეული მეორე პრობლემა ეკონომეტრიკულთან ერთად შინაარსობრივ დატვირთვასაც ატარებს. საქმე ისაა, რომ ნაზრდით  $\Delta u_t$  სიდიდეებზე გადასვლის გამო, მოდელმა შეიძინა დინამიკური ხასიათი, მაგრამ დაიკარგა ინფორმაცია გრძელვადიანი კავშირის შესახებ [16, გვ. 449-453], რომელიც რეალურად არსებობს მშპ-ის მატების ტემპსა და უმუშევრობის დონეს შორის. ამის გამო,  $t$  წლის შესაბამისი  $g_t$ -ს ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც  $t$  წლის, ასევე წინა წლების უმუშევრობის დონეების ცვლილებით, მთლიანად მიეწერება მხოლოდ  $t$  წლის შესაბამის  $\Delta u_t$ -ს. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში (5) განტოლებით შეფასებული  $\Delta u_t$ -ს კოეფიციენტი  $\rho_3$  შეიძლება არაკორექტული აღმოჩნდეს.

### ოუკენის განტოლებისა და კოეფიციენტის კვაზიდინამიკური ვარიანტები

განვიხილოთ ოუკენის კანონის ამსახველი განტოლების კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც თავისუფალია (4) მოდელის ძირითადი ნაკლოვანებებისაგან. განტოლების ამ ვარიანტის მისაღებად დავუბრუნდეთ (2) გამოსახულებას და მის მარცხენა მხარეში შემდეგი გარდაქმნები განვახორციელოთ:

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = \rho_2(u_t - u^*) \Rightarrow 1 - \frac{Y_t}{Y_t^*} = 1 - \frac{Y_t}{Y_{t-1}} \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = 1 - (1 + g_t) \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = \rho_2(u_t - u^*),$$

სადაც  $(1 + g_t)$  მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპს აღნიშნავს. ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

$$(1 + g_t) = \frac{Y_t^*}{Y_{t-1}} - \frac{Y_t}{Y_{t-1}} \rho_2(u_t - u^*). \quad (6)$$

შეფარდება  $Y_t^*/Y_{t-1}$  აღვნიშნოთ  $q_t$ -თი. განმარტებიდან გამომდინარე,  $q_t$  უახლოვდება პოტენციური გამოშვების ზრდის ტემპს  $(1 + g_t^*)$ -ს, მაგრამ უმეტესად აღემატება მას, რადგანაც ზოგად შემთხვევაში  $(Y_t^*/Y_{t-1}^*) \leq (Y_t^*/Y_{t-1})$ . ამიტომ  $q_t$ -ს ვუწოდოთ პო-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკურ დროით მწკრივებს შორის უმუშევრობის დონის მწკრივის სტაციონარულობას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნავდნენ დროითი მწკრივების ცნობილი მკვლევარები ნელსონი და პლოსერი (იხ. [13, p. 139-162])

**ტენციური გამოშვების ზრდისკვაზიტემპი.** ამასთან, დავუშვათ, რომ  $q_t$  დამოკიდებული არ არის  $t$ -ზე და ამის სანაცვლოდ (6)-ში ჩავრთოთ ცდომილების აღმნიშვნელი შემთხვევითი სიდიდე  $\varepsilon_t$ . მაშინ არაწრფივი რეგრესიის შემდეგ განტოლებას მივიღებთ

$$(1 + g_t) = q - q\rho_2 (u_t - u^*) + \varepsilon_t, \quad (7)$$

რომელშიც  $(1 + g_t)$  და  $u_t$  დაკვირვებადი სიდიდეებია.

ზემოთ განხილულ (4) მოდელისგან განსხვავებით (7)-ში მხოლოდ ერთი ცვლადია დინამიკური,  $(1 + g_t)$  – ფაქტობრივი გამოშვების ზრდის ტემპი. რაც შეეხება ამხსნელ ანუ რეგრესორულ ცვლადს,  $(u_t - u^*)$ -ს, იგი დროში ცვლილებასთან არ ასოცირდება და გამოხატავს მოცემულ პერიოდში უმუშევრობის დონის მისი ბუნებრივი მნიშვნელობიდან გადახრას. ამის გათვალისწინებით (7)-ს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **კვაზიდინამიკური მოდელი**, ხოლო  $(u_t - u^*)$ -ს კოეფიციენტს,  $q\rho_2$ -ს, – **ოუკენის კვაზიდინამიკური კოეფიციენტი**. აღვნიშნოთ იგი  $\rho_4$ -ით,  $\rho_4 = q\rho_2$ . როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი განისაზღვრება ოუკენის სტატიკური კოეფიციენტისა ( $\rho_2$ ) და პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპის ( $q$ ) ნამრავლით. რადგანაც მზარდი ეკონომიკის პირობებში  $q$  – პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპი – უნდა აკმაყოფილებდეს პირობას  $q > 1$ , ამიტომ ვღებულობთ, რომ  $\rho_4 > \rho_2$ . რაც შეეხება  $\rho_4$ -ის დინამიკურ კოეფიციენტთან,  $\rho_3$ -თან, მიმართებას, ძნელია რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ რაიმეს თქმა, მაგრამ აშკარაა მათ შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავება: კვაზიდინამიკური კოეფიციენტი  $\rho_4$  გამოშვების ზრდის ტემპის მაჩვენებელს აკავშირებს უმუშევრობის დონის მისი ბუნებრივი მნიშვნელობიდან გადახრასთან, მაშინ, როცა დინამიკური კოეფიციენტი  $\rho_3$  გამოშვების მატების ტემპს აკავშირებს უმუშევრობის დონის დროში ცვლილებასთან. ეს მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება ფორმალური თვალსაზრისით ნიშნავს, რომ **კვაზიდინამიკური კოეფიციენტი, სტატიკური კოეფიციენტის მსგავსად, პირველი რიგის წარმოებულთა განისაზღვრული სიდიდეა, დინამიკურ კოეფიციენტს კი მეორე რიგის წარმოებულთა შეესაბამება.**

მიუხედავად იმისა, რომ (7) მოდელში შემავალი  $u^*$ -ის მნიშვნელობა უცნობია, ეს სულაც არ გვიშლის ხელს, მოცემული დაკვირვებადი  $(1 + g_t)$ -სა და  $u_t$ -ს მნიშვნელობებით შევაფასოთ ოუკენის კვაზიდინამიკური კოეფიციენტი  $\rho_4 = q\rho_2$ . ეს (7) მოდელის ერთ-ერთი და მთავარი დადებითი თვისებაა. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ (7) მოდელის პირობებში  $u^*$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობას  $\rho_2$ -ისა და  $q$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობა შეესაბამება, მაგრამ მათი ნამრავლი  $q\rho_2$ , ანუ კვაზიდინამიკური კოეფიციენტი  $\rho_4$ , დამოკიდებული არ არის უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობაზე,  $u^*$ -ზე. ამის ნათელ დადასტურებას იძლევა ცხრილი 1, სადაც  $u^*$ -ის რამდენიმე შესაძლო ვარიანტისათვის მოცემულია ჩვენს მიერ აშშ-ის 1948-2013 წლების მონაცემების მიხედვით შეფასებული  $\rho_4$ -ის,  $q$ -სა და  $\rho_2$ -ის მნიშვნელობები.

**ცხრილი 1.** აშშ-ის უმუშევრობის ბუნებრივი დონის, პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპისა და ოუკენის კვაზიდინამიკური პარამეტრის მნიშვნელობები

	$\rho_4 = q\rho_2$	$q$	$\rho_2$
--	--------------------	-----	----------



$u^* = 0,04$	0,5676	1,0429	0,5442
$u^* = 0,045$	0,5676	1,0401	0,5457
$u^* = 0,05$	0,5676	1,0372	0,5472
$u^* = 0,055$	0,5676	1,0344	0,5487
$u^* = 0,06$	0,5676	1,0316	0,5502
$u^* = 0,065$	0,5676	1,0287	0,5517

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ:

- უმუშევრობის ბუნებრივი დონის სხვადასხვა მნიშვნელობას ოუკენის კვაზიდინამიკური კოეფიციენტის,  $\rho_4$ -ის, ერთი და იგივე სიდიდე – 0,5676 შეესაბამება;
- უმუშევრობის ბუნებრივი დონის სიდიდეზე დამოკიდებულია პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპი (ასევე, დიდი ალბათობით, – ნამდვილი ტემპი). რაც უფრო მაღალია უმუშევრობის ბუნებრივი დონე, მით ნაკლებია პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპი (ასევე, დიდი ალბათობით, – ნამდვილი ტემპი);
- უმუშევრობის ბუნებრივი დონის სიდიდეზე დამოკიდებულია ოუკენის სტატიკური კოეფიციენტის მნიშვნელობა  $\rho_2$ : რაც უფრო მაღალია უმუშევრობის ბუნებრივი დონე, მით მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა. შინაარსობრივად ეს ნიშნავს, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან ფაქტობრივი დონის ერთი ერთეულით (პროცენტული პუნქტით) გადახრას მით მეტი გაგვლენის მოხდენა შეუძლია პოტენციურ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის გარღვევის სიდიდეზე, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის ბუნებრივი დონე.

აღსანიშნავია კიდევ ერთ საინტერესო გარემოება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1948-2013 წლებში აშშ-ის უმუშევრობის დონის საშუალო პერიოდული მნიშვნელობა 5,83%-ს შეადგენდა. ასეთ სიტუაციაში, თუ აშშ-ის უმუშევრობის ბუნებრივ დონედ პირობითად ავიღებთ ამ მაჩვენებელს და მისი გათვალისწინებით შევაფასებთ კვაზიდინამიკურ მოდელს, (7)-ს, შემდეგ განტოლებას მივიღებთ

$$(1 + \hat{g}_t) = 1,0326 - 1,0326 \times 0,5497(u_t - 0,0583); R^2 = 0,15, F = 11,3, DW = 1,73 \quad (8)$$

$$(t) \quad (376,02) \quad (-3,3644)$$

დეტერმინაციის  $R^2$  კოეფიციენტის მცირე მნიშვნელობის მიუხედავად (8), სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისით, სრულიად დამაკმაყოფილებელია. როგორც ვხედავთ, მოყვანილ განტოლებაში პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპის,  $q$ -ს, შეფასება შეადგენს 1,0326-ს. ეს მაჩვენებელი ზუსტად ემთხვევა 1948-2013 წლების ფაქტობრივი გამოშვების საშუალო პერიოდულ ზრდის ტემპს. მეორე მხრივ, ცხრილი 1-ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ  $q$  მხოლოდ იმ შემთხვევაში აღემატება 1,0326-ს, როცა  $u^*$  დებულობს 0,0583-ზე ნაკლებ მნიშვნელობას. მაშასადამე, უმუშევრობის ბუნებრივი დონის როლში საშუალო პერიოდული მნიშვნელობის განხილვა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ეკონომიკა სრული დასაქმების პირობებში ფუნქციონირებს და პოტენციური გამოშვება ფაქტობრივს ემთხვევა. მაგრამ, თუ მიგვაჩნია, რომ, ზოგადად, პოტენციური გამოშვება აღემატება ფაქტობრივს, რაც რეალობასთან ახლოა, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, ასევე, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე ფაქტობრივი დონეების საშუალო პერიოდულ მნიშვნელობაზე ნაკლები უნდა იყოს.

(8) განტოლებაში უმუშევრობის ბუნებრივი დონის 5,83%-იანი მნიშვნელობის შესაბამის  $q$ -სთან ერთად მოყვანილია ოუკენის სტატიკური პარამეტრის,  $\rho_2$ -ის, შეფასება. ამჯერად იგი 0,5497-ის ტოლია.  $u^*$ -ის ანალოგიური მნიშვნელობისათვის  $\rho_2$  ჩვენ უკვე შევავასეთ სტატიკური მოდელის (2) ვარიანტის გამოყენებით და მივიღეთ საგრძნობლად განსხვავებული, თითქმის სამჯერ მაღალი, მნიშვნელობა – 1,55. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ამ ორი შეფასებიდან რომელია მეტ-ნაკლები ხარისხით რეალობის შესატყვისი? პასუხის გასაცემად უნდა გავანალიზოთ ის მოდელები და დაშვებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ შეფასებების მიღებას.

დავიწყოთ სტატიკური მოდელის, (2)-ის, განხილვით. იგი სრულიად მისაღები ფორმალისებული კონსტრუქციაა იმის საჩვენებლად, თუ რაში მდგომარეობს ოუკენის კანონის არსი (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როცა წინასწარ ცნობილია  $\rho_2$ -ის, მნიშვნელობა). ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ (2) და მისი შესაბამისი რეგრესიული ვარიანტი

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = \rho_2(u_t - u^*) + e_t \quad (9)$$

$\rho_2$ -ის შესაფასებლად გამოუსადეგარი იქნება ამის მიზეზია არა მარტო ის, რომ მოდელში შემავალი  $Y_t^*$  და  $u^*$  არადაკვირვებადი სიდიდეებია და ცალკე მათი შეფასებაა საჭირო. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ეს ორი მახვენებელი განსაზღვრავს არამარტო  $\rho_2$ -ს, არამედ ერთმანეთსაც. სამწუხაროდ, (9)-ის პირობებში ეს გარემოება არ (ან ვერ) გაითვალისწინება და შეფასებისას  $Y_t^*$ -ის და  $u^*$ -ს მნიშვნელობების განსაზღვრა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება, რაც არასწორია. ცხადია, ასეთ პირობებში მიღებული  $\rho_2$ -ის შეფასება ნაკლებად გამოსადეგია ოუკენის სტატიკური პარამეტრის როლში.

განსხვავებულ სიტუაციას აქვს ადგილი კვაზიდინამიკური მოდელის, (7)-ის, შემთხვევაში, რომელიც (2)-ის მსგავსად, კარგად გადმოსცემს ოუკენის კანონის არსს. ერთად-ერთი რისი შეფასებაც (7) მოდელში გარედან მოითხოვება, არის  $u^*$  – უმუშევრობის ბუნებრივი დონის სიდიდე. მასზე დაყრდნობით მოდელიდან მიიღება პოტენციური გამოშვების ზრდის ტემპთან მიახლოებული მახვენებელის,  $q$ -ს, და ოუკენის სტატიკური პარამეტრის,  $\rho_2$ -ის, შეფასებები. ამ ყველაფერთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ის უმუშევრობის ბუნებრივი დონის შესაძლო მნიშვნელობათა არედან აღებულ  $u^*$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის (7)-ის შეფასებული ვარიანტები, მათ შორის (8), ფორმალურ-სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისითაც სრულიად დამაკმაყოფილებელია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოუკენის სტატიკური პარამეტრის შესაფასებლად უნდა გამოვიყენოთ კვაზიდინამიკური მოდელი (7) და არა სტატიკური მოდელის რეგრესიული ანალოგი (9).

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Arthur M. Okun.** “Potential GNP: Its Measurement and Significance,” American Statistical Association, *Proceedings of the Business and Economics Statistics Section*, 1962, pp. 98–104.
2. **Edward S. Knotek, II.** How Useful is Okun’s Law? Federal Reserve Bank of Kansas City. Economic Review. Fourth Quarter, 2007. [www.kc.frb.org/publicat/econrev/pdf/4q07knotek.pdf](http://www.kc.frb.org/publicat/econrev/pdf/4q07knotek.pdf).
3. **Moazzami, Dadgostar.** Okun’s Law Revisited: Evidence From OECD Countries. *International Business & Economics Research Journal – August 2009. Volume 8, Number 8.*

4. **22. Mary C. Daly, John G. Fernald, Oscar Jorda and Fernanda Nachio.** Okun's Macroscope: Changes in the Cyclical Behavior of Productivity and the Comovement between Output and Unemployment. 2013.

[https://editorialexpress.com/cgi-bin/conference/download.cgi?db\\_name=SED2013&paper\\_id=1155](https://editorialexpress.com/cgi-bin/conference/download.cgi?db_name=SED2013&paper_id=1155)

5. **21. Jim Lee.** The Robustness of Okun's Law: Evidence from OECD Countries. *Journal of Macroeconomics*. Spring, 200, Vol. 22, no. 2

[http://www.faculty.tamucc.edu/jlee/research/JMACRO\\_2000pdf](http://www.faculty.tamucc.edu/jlee/research/JMACRO_2000pdf).

6. **Абель Э., Бернанке Б.** Макроэкономика. 5-е изд. Пер. с англ. СПб.: Питер, 2010.

7. **ახანიაშვილი ი.** საქართველოს ეკონომიკის უმუშევრობის ბუნებრივი დონე – მოდელი და შეფასების გამოცდილება. // *მეგრაცია*, №5. თბილისი, უნივერსალი, 2011.

8. **Ахундова О. В., Коровкин А. Г.** Опыт оценки естественного уровня безработицы в экономике России. [http://www.ecofo.ru/pdf.php?id=books/kor\\_04/25](http://www.ecofo.ru/pdf.php?id=books/kor_04/25)

9. **Mishkin Frederic S.** Estimating Potential Output // Remarks at the Conference on Price Measurement for Monetary Policy, Federal Reserve Bank of Dallas. Dallas, Texas, May 24, 2007. <http://www.federalreserve.gov/newsevents/speech/mishkin20070524a.htm>.

10. **Сакс Дж. Д., Ларрен Ф. Б.** Макроэкономика. Глобальный подход. Пер. с англ. Москва, Дело, 1996.

11. **Дорнбуш Р., Фишер С.** Макроэкономика. Пер. с англ. Москва, МГУ, 1997.

12. **Мэнкью Н. Г.** Макроэкономика. Пер. с англ. Москва, МГУ, 1994.

13. **Nelson C. R. and Plosser C. I.** Trends and Random Walks in Macroeconomic Time Series: Some Evidence and Implication // *Journal of Monetary Economics*, 1982, Vol. 10, p. 139-162.

14. **Канторович Г. Г.** Анализ временных рядов. // *Экономический журнал ВШЭ*, №3, 2002.

15. **Наско В. П.** Эконометрика. Кн. 1, Ч. 1, 2. Москва, Издательский дом «ДЕЛО» РАНХиГС, 2011.

16. **Вербик М.** Путеводитель по современной эконометрике. Пер. с англ. Москва, Научная книга, 2008.

### Alternative Versions of Okun's Law and Coefficient

Iuri Ananiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor

### Summary

The article addresses static, dynamic and quasi-dynamic versions of the model connected to the Okun's law. The static model describes the dependence between the extent of potential and actual output gap to the extent of cyclic unemployment. The dynamic model presents dependence between actual output growth rate and unemployment rate change over time. The quasi-dynamic model explores the influence of actual level deviation from natural unemployment level on actual output growth rate.

Each aforementioned model enables to calculate the Okun's coefficient. There exist minimum three variations of such coefficient. In this article based on the USA statistical data for 1948-2013 years there is shown that these versions of Okun's coefficient differ from each other essentially as well as quantitatively. This circumstance downplays the practical significance of Okun's law to some extent because it is not clear which coefficient should be given preference in making decision.

ოფიციალური სტატისტიკის საზოგადოებრივი როლისა და ფუნქციების  
გაძლიერების ზოგიერთი მიმართულების შესახებ

იოსებ არჩვაძე

ქუთაისის უნივერსიტეტი  
პროფესორი

„სტატისტიკა მეტად სერიოზული რამ არის,  
იგი მარტოოდენ სტატისტიკოსებს რომ მივანდოთ“.

**ზოგიერთი პოლიტიკოსის შეხედულება**

„პოლიტიკა ძალზე სერიოზული საქმეა  
საიმისოდ, რომ მას სტატისტიკის  
დაუხმარებლად ახორციელებდე“.  
**მართლმორწმუნე სტატისტიკოსის აზრი**

ოფიციალურ სტატისტიკას უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია აკისრია სახელმწიფოს ფუნქციონირების, მასში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეფასების, ეკონომიკაში არსებული “ვიწრო ადგილების” გამოვლენისა და ამ უკანასკნელთა დაძლევის საქმეში. უფრო მეტიც, ზოგადად, ოფიციალური სტატისტიკის სტატუსი, მისი ინსტიტუციური და საზოგადოებრივი წონა თავად წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის, ამ უკანასკნელის ეფექტურობის, დემოკრატიულობისა და გახსნილობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს. **განვითარებული სტატისტიკური სისტემის მქონე ყველა ქვეყანა არაა დემოკრატიული, მაგრამ ვერ ერთი ქვეყანა ვერ იქნება დემოკრატიული, განვითარებული სტატისტიკური სისტემის გარეშე.** სამოქალაქო საზოგადოება, ჭეშმარიტი დემოკრატია სრულყოფილი სტატისტიკის გარეშე წარმოუდგენელია.

ობიექტურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნილება დემოკრატიული საზოგადოების წევრთა იმანენტური უფლებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ სტატისტიკა დემოკრატიული საზოგადოების ორგანული სისტემა და თავად ასეთი საზოგადოების დემოკრატიულობის უაღრესად მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

სტატისტიკა იმანენტურადაა მოწოდებული იყოს ობიექტური და, როგორც ასეთს, თავად გამოაქვს ვერდიქტი ამა თუ იმ მოვლენის პროგრესულობისა და ეფექტურობის თაობაზე, განსაზღვრავს ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკური წამოწყებისა თუ რეფორმის წარმატებულობას. ამ მხრივ, ობიექტური სტატისტიკა და მისი მწარმოებელი სამსახური თავადაა ავტორიტეტი და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი. **სამოქალაქო საზოგადოებაში სტატისტიკა ფაქტობრივად სოციალური მენტორის როლს ასრულებს და სიმართლის ვერდიქტი გამოაქვს რაოდენობრივ გაზომვას დაქვემდებარებულ ნებისმიერ მოვლენასა თუ პროცესზე.**

**დამოუკიდებელი და ობიექტური სტატისტიკა შინაგანად ყოველთვის გამოდის ნებისმიერი ხელისუფლების კონსტრუქციული ოპონენტის როლში.** აქედან გამომდინარე, იმის-და მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია სახელმწიფო სტატისტიკა, რამდენად მნიშვნელოვანი როლი უკავია მას საზოგადოების ცხოვრებაში, რამდენად სარგებლობენ და ითვალისწინებენ მის ინფორმაციას, შეიძლება საკმაოდ მაღალი ალბათობით ვიმსჯელოთ თავად მოცემული საზოგადოების დემოკრატიულობის, მისი გახსნილობისა და მიმდინარე რეფორმების წარმატებულობაზე.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან განვლილ პერიოდში ქართულმა საზოგადოებამ, თუმცა კარგად გაითავისა დამოუკიდებლობის ატრიბუტები – დროშა, გერბი, ჰიმნი, ეროვნული ვალუტა, მაგრამ რისი „გათავისებაც“ ბოლომდე ვერ შეძლო – ეს სტატისტიკაა, მისი როლი, მნიშვნელობა და ძალა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭირო „მასალაა“ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, როგორც ჯარი, პოლიცია თუ საგადასახადო სამსახური.

სტატისტიკა, ცნობილი მიზეზების გამო, ბოლო წლებში ნაკლებად ახდენდა სათანადო გავლენას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე. უფრო მეტიც, იგი თავად აღმოჩნდა ასეთი გადაწყვეტილებების მიმწველი. სიტუაცია რაღაცით დაემსგავსა შემთხვევას დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის ცხოვრებიდან. - როდესაც ერთხელ მას მორიდებით შეახსენეს, რომ მის ნათქვამს ციფრები არ ადასტურებდნენ, ფილოსოფოსმა მართლაც და ფილოსოფიურად უპასუხა: მით უარესი ციფრებისთვისო.

ერთერთი სერიოზული პრობლემა, სტატისტიკის დღემდე არსებული შედარებით დაბალი რეიტინგისა საზოგადოებაში, არის მისი რესურსებისა და შესაძლებლობებისადმი დაბალი ხელმიწვდომობის დონე. მართალია, სტატისტიკის საიტს ყოველდღიურად რამდენიმე ასეული მომხმარებელი აკითხავს, თუმცა ეს ციფრი შეიძლება ჯერადად დიდი ყოფილიყო, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს თავის საიტზე მის ხელთ არსებული ინფორმაციული რესურსის დიდი ნაწილი რომ გამოეფინა. აქ არაა ლაპარაკი ფიზიკური და იურიდიული პირების პერსონალურ, კონფიდენციალურ და მგრძნობიარე ინფორმაციაზე - საუბარია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის მახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ ინდიკატორებზე.

სტატისტიკის საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის ზრდას გარკვეულწილად ხელს უშლის კომერციალიზაციის, ჩვენი აზრით, რამდენადმე მაღალი დონე. ბევრი ინდიკატორი, რომელთაც მაღალი საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნიათ, მომხმარებლებს მხოლოდ მაღალი საფასურის ნაცვალგებით მიეწოდებათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოებისათვის აუცილებელი ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება.

აღნიშნული გარემოების გამო, სტატისტიკური ინფორმაციის სულ უფრო მეტი მომხმარებელი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ინფორმაციის წყაროდ ირჩევს არა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტს, არამედ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური, აგრეთვე სპეციალიზებული ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, იუნესკო და სხვ.) საიტებს.

ფაქტობრივად, ქართული სტატისტიკის მთავარი პრობლემა განვითარების თანამედროვე ეტაპზე არის მისი, როგორც ბრენდის (უწყება, რეალობის შემეცნების ინსტრუმენტი, მეთოდოლოგია) სანდოობისა და ტრანსპარენტულობის დღევანდელი დღის მოთხოვნებთან შედარებით დაბალი დონე. თანამედროვე სტატისტიკა მნიშვნელოვნადაა ჩამორჩენილი დივერსიფიცირებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე საზოგადოებრივი, მათ შორის სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის მოთხოვნისაგან. არასრული, დაგვიანებული და ცალმხრივი ინფორმაცია ხელს უშლის არა მარტო საზოგადოების სრულ და ობიექტურ ინფორმირებას, არამედ ამ უკანასკნელთა პოლიტიკური პროცესების ობიექტურ და რეალურ შეფასებაში, საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებას და საარჩევნო უფლების სწორ რეალიზაციას.

რა მიმართულებით უნდა წარიმართოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობა, რათა ის მთლიანად შეესაბამებოდეს თანამედროვე, საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებებს?

ყველაზე მარტივად, ლაკონურად შეიძლება ეს წარმოვსახოთ სტატისტიკის ე.წ. „სტრატეგიული ტრიადის“ სახით. ესაა: სტატისტიკის სამსახურის სტატუსი; 2. კადრები. 3. საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა.

რა თქმა უნდა, თითოეული კომპონენტი შეიცავს სისტემის მრავალ ქვეელემენტსაც. მაგალითად, სტატუსში იგულისხმება სამსახურის უფლებამოსვალეობანი, ზემოქმედების სამართლებრივი ინსტრუმენტები პირველადი ინფორმაციის მომწოდებლებზე და სხვ. კადრების საკითხში იგულისხმება არა მარტო მათი სათანადო კვალიფიკაციის დონე, არამედ ხელმძღვანელობის მოქალაქეობრივი, პრინციპული პოზიცია, დაიცვას ინფორმაციის ობიექტურობა და ხარისხი, არ გახდეს პოლიტიკური კონიუნქტურის მძევალი. ფინანსური უზრუნველყოფა უნდა მოიცავდეს არა მარტო მიმდინარე, ტრადიციული, არამედ იმ ახალი სამუშაოების დაფინანსებასაც, რომელთა შედეგებშიც არსებობს საზოგადოებისა და მისი ცალკეული სოციალური ჯგუფების, ხელისუფლების მოთხოვნილება (პირველ რიგში, კონიუნქტურული და სპეციალიზებული კვლევები, საბალანსო სამუშაოები და სხვ.).

ზოგადად, სტატისტიკის სამსახურის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება გამოხატულებას ჰპოვებს შემდეგ ასპექტებში:

**დროულობის მიმართულებით** - ინფორმაციის მიღებისა და გაცემის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ვადების გათვალისწინება და მათი ზუსტი დაცვა;

**სანდოობა** - ინფორმაციის სათანადო ხარისხისა და საიმედოობის უზრუნველყოფა;

**გამჭვირვალეობა** - სტატისტიკის სამსახურის მიერ მონაცემების გამოქვეყნება ე.წ. საპასპორტო მონაცემებით (გაანგარიშების მეთოდი, ინფორმაციის წყაროები და ა. შ.), ანუ გამოქვეყნებული მაჩვენებლების დოკუმენტირება მეტა მონაცემებით;

**მისაწვდომობა** - ინფორმაციის მომხმარებლების სტატისტიკურ ინფორმაციაზე სრული, თანაბარი და თავისუფალი მისაწვდომობა. რა თქმა უნდა, პირველადი მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა პერსონალური იდენტიფიცირების, ანუ სამისამართო ნაწილის გარეშე.

პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია 2004 წლამდე არსებული საკანონმდებლო მუხლის აღდგენას **რესპონდენტების ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებაზე**. - საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სტატისტიკური სამსახურისათვის ამ უკანასკნელთა მოთხოვნისას სტატისტიკური ინფორმაციის უპირობო და უფასო მიწოდება ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივი გარანტიით. მაშინ, როდესაც გადასახადების დამაღვასა და არგადახდაზე სისხლის სამართლის კოდექსში დღემდე რჩება პასუხისმგებლობის შესაბამისი მუხლი, სერიოზული ეჭვი გვიჩნდება ბიზნესის მიერ სრული ობიექტური ინფორმაციის ნებაყოფლობით მიწოდებაზე. - **რატომ გვგონია, რომ ბიზნესის წარმომადგენლები სტატისტიკურ სამსახურთან ურთიერთობაში უფრო მაღალ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ შეგნებას გამოამჟღავნებენ, ვიდრე საგადასახადოსამსახურთან ურთიერთობისას?!**

სახელმწიფოს ფუნქციონირება საგადასახადო შემოსავლებზეა დამოკიდებული, თუმცა მისი ეფექტურობა და სამართლიანი გადაანაწილება ძლიერი სტატისტიკის გარეშე შეუძლებელია. ამ კუთხით საზოგადოებისათვის ცალკეულ პირთა ფისკალურ პასუხისმგებლობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მათივე *ინფორმაციული პასუხისმგებლობა*აგრძელვადიანი **სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის სტატისტიკას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტს**. - თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ თავად სახელმწიფო ბიუჯეტიც მნიშვნელოვანწილად ფინანსური სტატისტიკაა.

საზოგადოების ყველა წევრმა და ინსტიტუტმა კარგად უნდა გაიცნობიეროს, რომ პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის ამ უკანასკნელის მიერ კონფიდენციალობის სრული დაცვის პირობებში - ეს, ფაქტობრივად, ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა

„საინფორმაციო გადასახადი“ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მდგომარეობის განზოგადოებული სურათის მისაღებად.

აღნიშნული მიმართულებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ არა მარტო იურიდიულ პირთა, ბიზნესის წარმომადგენელთა იურიდიული პასუხისმგებლობის აღდგენას სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის პირველადი ინფორმაციის მიწოდების წესებისა და ფორმატის დაცვაზე, არამედ პერსპექტივაში **სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებასაც მოქალაქეთა მოსახლეობის საყოველთაო აღწერებში სავალდებულო მონაწილეობის თაობაზე**, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია უზრუნველყოფილი.

სტატისტიკა ინსტიტუციურად მიეკუთვნება მმართველობის სფეროს, თუმცა თავისი შინაგანი, იმანენტური თვისებით იგი სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობაა. ამიტომაც ვერ იტანს იგი ზედმეტ ადმინისტრირებას, ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიაში ხელოვნურ ჩარევებს, ვოლუნტარიზმს... შესაბამისად, სტატისტიკის თანამშრომლებისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს მაქსიმალურად დელიკატური, ხელმძღვანელის შეცვლის პარალელურ რეჟიმში არ უნდა ხდებოდეს გამოცდილი, პასუხისმგებელი მუშაკების დათხოვნა. ამასთან, სტატისტიკურ სისტემაზე საერთოდ არ უნდა გავრცელდეს მმართველობის სფეროში დასაქმებულთა შემცირების კომპანიების მოთხოვნები და “ლიმიტები”. უფრო მეტიც: მმართველობის სხვა სფეროებში (შესაძლო) შემცირების პარალელურად რამდენადმე უნდა გაიზარდოს სტატისტიკის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა, რათა **სტატისტიკამ შეძლოს მმართველობის სხვა სფეროებიდან ინფორმაციის მიღების წყაროების შემცირების კომპენსირება**.

სწორედ თანამშრომელთა სიმცირე და არასაკმარისი დაფინანსება უნდა მივიჩნიოთ ქართული ოფიციალური სტატისტიკის დროის მოთხოვნებთან ჩამორჩენის ერთერთ (თუმცა არა ერთადერთ) მიზეზად. მაგალითად, ამჟამად ყოველ 100 ათას მცხოვრებზე საქართველოში სტატისტიკოსთა რაოდენობა შეადგენს 3.9-ს, რაც ესტონეთის ანალოგიურ მაჩვენებელს 7.6-ჯერ ჩამორჩება, ლატვიას, შესაბამისად, – 6.6-ჯერ, აზერბაიჯანისას – 4.3-ჯერ, ლიტვისას – 4.1-ჯერ, სომხეთისას – 2.8-ჯერ. ამასთან, სტატისტიკის სახელმწიფო დაფინანსება მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე, ისევე როგორც სტატისტიკოსთა თანაბარ რაოდენობაზე, მნიშვნელოვნად, ჯერადად ჩამორჩება ზემოხსენებული ქვეყნების, აგრეთვე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს.

ეკონომიკურად, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით საქართველო ბულგარეთს ჩამორჩება 2.5-ჯერ, ხოლო სტატისტიკის დაფინანსებით - 5.5-ჯერ, ესტონეთს, შესაბამისად, 3.7-ჯერ და 20.5-ჯერ. ლიტვაში მოსახლეობის ერთ სულზე სტატისტიკის დაფინანსება 18.8-ჯერ აღემატება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს, მაშინ როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ აქ მხოლოდ 3.4-ჯერ უფრო მაღალია საქართველოსთან შედარებით.

სტატისტიკისადმი არასათანადო ფინანსური მხარდაჭერა გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებას გაცილებით ძვირი დაუჯდება. – იაფი სტატისტიკა, სწორი, ობიექტური სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობა და ვაკუუმი, როგორც წესი, ქმნის მავანთა მიერ პიარით, ვირტუალური „წარმატებებით“ თუ „წარუმატებლობით“ (იმისდა მიხედვით, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელია თუ ოპოზიციის) საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების ცდუნებას, ამის პრაქტიკულ შესაძლებლობას, რაც შემდეგ ქვეყანას, მთელ საზოგადოებას მეტისმეტად ძვირი უჯდება...

**სტატისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას.** მმართველობის სისტემის ყოველ დონეს უნდა შეესაბამებოდეს სტატისტიკის სამსახურის შესაბამისი

მოდელი. შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონის (ოლქის, მხარის) ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების მიხედვით ამჟამად არსებულ სტატისტიკურ სამსახურებთან ერთად აღსადგენია, მძლავრი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვილი, სტატისტიკის ადგილობრივი განყოფილებები საქართველოს მუნიციპალიტეტებსა (რაიონებსა) და მსხვილ ქალაქებში . ეს განსაკუთრებით საშური საქმეა თვითმმართველობის ინსტიტუტის რეალური გაძლიერებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ფონზე. აღნიშნული განყოფილებებმა უნდა უზრუნველყონ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები და მოსახლეობა შესაბამისი რეგიონის (მუნიციპალიტეტის) ეკონომიკური პოტენციალის, რესურსების ფორმირებისა და მათი დეფიციტის მასშტაბებზე, კომუნალური მეურნეობის მდგომარეობაზე, სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოებზე, მთლიანად ექსკლუზიურ და დელეგირებულ უფლებამოსილებათა რეალიზაციის მიმდინარეობაზე, აგრეთვე როლზე რეგიონის (ოლქის, მხარის) და მთლიანად ქვეყნის შესაბამისი მანქნებლების ფორმირებაში.

ამასთან, აქცენტი აღებული უნდა იყოს იქითკენ, რომ სტატისტიკის განყოფილებები ქვეყნის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს სტატისტიკური ინფორმაციით უნდა ამარაგებდნენ არა მარტო მათ მიერ შეგროვებული და დამუშავებული, არამედ ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მიერ მოცემული რეგიონის (მუნიციპალიტეტების) ჭრილში გაანგარიშებული ინფორმაციის ხარჯზე.

**შესამუშავებელია მუნიციპალიტეტზე უფრო დაბალი დონის მმართველობის და თვითმმართველობის ერთეულების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და განზოგადების ფორმატიც.**

სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება განიხილება მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების გაძლიერების, საჭირო ფინანსური რესურსების ადგილობრივი წყაროებიდან არსებითი ზრდისა და საგადასახადო შემოსავლების ამჟამინდელი ზეცენტრალიზაციის ფორმატიდან დეცენტრალიზაციის ფორმატში გადაყვანის კონტექსტში.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა საზოგადოებრიობისათვის მიწოდების პერიოდულობის არსებითი გაუმჯობესება. არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, რომ უმუშევრობის დონისა და მოსახლეობის შემოსავალ-ხარჯების მანქნებლები მომხმარებლებისათვის მიწოდების ამჟამინდელი დროებითი ფორმატი (წლიური პერიოდულობა). ბოლო უნდა მოეღოს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი, სენსიტიური ინფორმაციის ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომლობის პრაქტიკას. მაგალითად, მოსახლეობის კეთილდღეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, როგორცაა მოსახლეობის განაწილება შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით (ე.წ. დეცილური კოეფიციენტის მიხედვით), უკვე რამდენიმე წელიწადია, რიგითი მომხმარებლისათვის საერთოდ ხელმიუწვდომელია.

უნდა აღდგეს სტატისტიკური დაკვირვებისა და ცალკეული ინდიკატორების გაანგარიშების ყოველთვიური პერიოდულობა ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, ნაცვლად ამჟამინდელი კვარტალური პერიოდულობისა. – ეროვნულ ეკონომიკაში იმდენად სწრაფად მიმდინარეობს ცვლილებები, იმდენად სწრაფია დინამიკა, რომ დაკვირვების კვარტალური პერიოდულობა მოპოვებულ ინფორმაციას მნიშვნელოვნად უკარგავს აქტუალობას;

- სტატისტიკამ უნდა აღადგინოს იმ ინფორმაციის პუბლიკაცია, რომლის განსაჯაროება შეწყდა ბოლო წლებში (ზოგიერთი ნატურალური მანქნებელი, ეკონომიკური ინდიკატორები საქმიანობათა სხვადასხვა სფეროში), აგრეთვე გააფართოს ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება საზოგადოებრივი ცხოვრების



მთელი რიგი ასპექტების მიხედვით, რომლებზეც დღეს საზოგადოებრივი მოთხოვნა და ინტერესები მინიმალურადაც ვერ კმაყოფილდება (მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის სტატისტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკასა და შინამეურნეობებში და ა.შ.);

- აღსადგენია მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სტატისტიკის სამსახურს “შეკრას”, დაახასიათოს კონკრეტული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, რეგიონის, მუნიციპალიტეტის მდგომარეობა;

- არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ბიზნეს-რეგისტრის წარმოების პროცესი და გამოყენებითი ღირებულება; შესაძლებელი უნდა გახდეს რეგისტრიდან მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაციის მიღება არა მარტო საქმიანობის პროფილსა და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, არამედ აქტიურობის ფაქტობრივი ფაზის (მოქმედი, დროებით შეჩერებული, გაუქმებული) მდგომარეობაზე.

- სტატისტიკის განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა წარმოადგენდეს ინსტიტუციური ცვლილებებისა და გატარებული რეფორმების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების სტატისტიკურ შესწავლა, ეკონომიკური ზრდის, ბიზნეს სექტორის, დასაქმებისა და სიღარიბის სტატისტიკური დახასიათება;

- თვისებრივად ახალ დონეზეა ასაყვანი „სარკისებური შედარებების“ ჩატარება ძირითად პარტნიორ ქვეყნებთან;

- გარემოს დაცვის სამინისტროსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან უნდა შემუშავდეს და დაინერგოს გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგის მაჩვენებელთა სისტემა;

- აქტუალობას იძენს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის სტატისტიკური მეთოდოლოგიის მომზადება და სტატისტიკური კვლევების დაწყება, ისევე, როგორც გენდერული სტატისტიკის არეალის გაფართოება და რელიგიის სტატისტიკის მეთოდოლოგიის მომზადება;

- მიზანშეწონილია აღდგეს კონიუნქტურული და ამა თუ იმ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პროცესზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა (რა თქმა უნდა, მიმდინარე სტატისტიკური საქმიანობის არასახიანოდ), მათ შორის “ეკონომიკური ქცევის ბარომეტრის” ყოველკვარტალური კვლევა, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებდა 1998-2002 წლებში;

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერების სავალდებულო 10-წლიანი პერიოდის პარალელურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღწერებშია პერიოდებში მოსახლეობის 5%-იანი სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევის ჩატარება;

- სტატისტიკამ უნდა დაიბრუნოს პოლიტიკური კონიუნქტურისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ფუნქცია. სხვადასხვა კვლევის ცენტრები, ინსტიტუტები, საიდუმლო არ არის, ხშირად დებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება აღნიშნული კვლევების დამკვეთთა (სპონსორთა) ინტერესებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამ მხრივ, თავისი სამართლებრივი სტატუსით და პოტენციალით, მაქსიმალურად იქნება დაცული ასეთი „გადაცდომებისაგან“;

- სტატისტიკის სამსახურმა ყურადღება უნდა დაუთმოს წინა პერიოდის მონაცემების დაზუსტებას, თავის დროზე სხვადასხვა მიზეზით არ/ვერ გაანგარიშებული მონაცემების გაანგარიშებას;

- მეტი სისტემური და კომპლექსური ხასიათი უნდა მიეცეს სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ღონორ სუბიექტებთან თანამშრომლობას სახელმწიფო სტატისტიკის სფეროში;

- სტატისტიკურმა სამსახურმა უნდა შეიმუშავოს და დანერგოს მცირე გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული არეალის (დასახლებული პუნქტი ან პუნქტის ნაწილი, პუნქტები, ეტკ.) მახასიათებელ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა;

ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ძლიერი მენეჯმენტთან ერთად სტატისტიკის საზოგადოებრივი ფუნქციის გაძლიერებისათვის აუცილებელია სტატისტიკის ფიარ-მხარდაჭერა, რომელსაც ორი ასპექტი გააჩნია:

1. საზოგადოებაში მედიის მეშვეობით იმის კულტივირება, რომ ნებისმიერი დონისა და ფორმის სახელისუფლებო გადაწყვეტილება, საზოგადოებრივი დამოკიდებულების გამოხატვა უნდა ეფუძნებოდეს ადეკვატურ, სრულყოფილ და ობიექტურ სტატისტიკურ ინფორმაციას. შესაცვლელია ამჟამად საზოგადოების დიდ ნაწილში და ხელისუფლებაში წარმოქმნილი ნიჰილიზმი სტატისტიკურ ინფორმაციაზე (ამ მხრივ მისაბაძია აშშ, სადაც სტატისტიკას მესამე ადგილი უკავია ყველაზე პრესტიჟულ პროფესიათა შორის). ამაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ძირითადი მონაცემების კომპიუტერული ბაზების ნებისმიერი კატეგორიის მომხმარებლებისათვის ხელმიწვდომობა.

2. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობაზე საზოგადოების უკეთ ინფორმირება, მისი ცნობადობის გაზრდა როგორც ბეჭდვითი-, ისე ელექტრო- მედია საშუალებების, მათ შორის სოციალური რეკლამის გამოყენებით.

სტატისტიკური ინფორმაციისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტატისტიკის სამსახურის მუშაობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სამსახურის თანამშრომლებთან უშუალო კონტაქტის სისტემის დამკვიდრება და ზოგადად, სტატისტიკის სამსახურის ცნობადობის გაზრდა. აუცილებელია სტატისტიკურ ინფორმაციაზე, ოფიციალური სტატისტიკის მიმართ საზოგადოებაში არსებული მოლოდინებისა და სურვილების, მომხმარებლის მიერ სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მუდმივი მონიტორინგი.

საზოგადოებრივი ნდობის დაბრუნების გარეშე სტატისტიკა ვერ გაართმევს თავს მის წინაშე მდგარი ამოცანებს, – ისევე, როგორც სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენების გარეშე ვერც ერთი სამთავრობო დაწესებულება ვერ გაართმევს თავს მის წინაშე მდგარ ამოცანებს. ამისათვის სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების სწრაფ – ელექტრონულ ფორმასთან ერთად უნდა გამრავალფეროვნდეს სტატისტიკური პუბლიკაციები, მათ შორის – თემატური - მაკროეკონომიკურ, დარგობრივ, სექტორალურ, რეგიონულ და სხვა ჭრილში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტზე. საბოლოოდ უნდა დაძლეულ იქნას მდგომარეობა, როდესაც საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური იშვიათად სარგებლობს უფლებით, კომენტარი გაუკეთოს სტატისტიკური მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციას ან არასწორ გამოყენებას.

სტატისტიკის დემოკრატიულობის და ტრანსპარენტულობის ობიექტურ პირობად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ობიექტური ინფორმაციის დროული გავრცელება, არამედ შესაბამისი სამართლებრივი ნორმების, კანონებისა და დონისძიებების განსაჯაროება.

ვფიქრობ, აღნიშნული დონისძიებების გატარება, შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაზრდიდა სტატისტიკის საზოგადოებრივ როლსა და ფუნქციებს, პრესტიჟს, დაუბრუნებდა სტატისტიკას იმ სოციალური სარკის ფუნქციებს, რომელშიც ხელისუფლება, საზოგადოება, მისი ცალკეული სოციალური ჯგუფები და ყოველი ადამიანი დაინახავდა ქვეყნის განვითარების და მდგომარეობის რეალურ სურათს.

რეალური სურათის დანახვა კი რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების უმნიშვნელოვანესი პირობაა...

## About some Aspects of the Strengthening of the Social Roles and Functions of the Official Statistic

Joseph Archvadze  
Kutaisi University  
Professor

### Summary

The status of the official statistic, its institutional and social weight is as one of the most major indicator of the statehood, its efficiency, democracy and openness. **All countries, which have developed statistical system, are not democratic, but none of the countries can be democratic, without having a developed statistical system.**

The official statistic of Georgia faces a lot of serious challenges. It is necessary to be taken some measures to transmit it on the level of modern, social demand. The success is based on the statistic, on so called “statistical triad”: 1. On the status of the statistical agency; 2. On the Staff; 3. On the financial support of the work.

The firsthand statistical information should be delivered to the national statistical agency, with the guarantee, that the latter would keep the confidentiality-This is almost the “informational payment” made by the private and legal persons of the country, in order to get a general picture of the social-economy development of the country.

### სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციური მოდელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის

ნანა ასლამაზიშვილი  
საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის  
მონეტარული სტატისტიკის განყოფილების უფროსი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

### შესავალი

ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული ნაკადების თავბრუდამხვევი ზრდა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. გარდა იმისა, რომ ინფორმაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის ფენომენია საზოგადოებისათვის, იგი საკმაოდ ძვირი ფუფუნებაცაა.

როგორ გავხადოთ ინფორმაცია იაფი და ხელმისაწვდომი?

ეს კითხვა ყოველდღიურად სულ უფრო აქტუალური ხდება და მასზე პასუხის გასაცემად პროფესიონალი სპეციალისტები მთელ მსოფლიოში ძალისხმევას არ ზოგავენ. როგორია ქართველი სპეციალისტების როლი ამ „ორომტრიალში“? სწორედ ამ კითხვაზე პასუხს ეძღვნება ჩვენი სტატია.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკა ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სტატისტიკური აქტივობის წარმოჩენის საქმეში საერთაშორისო მასშტაბით, მონაწილეობს რა არაერთ საერთაშორისო ინიციატივაში მონაცემთა გავრცელების კონტექსტში. ამდენად, უადრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მეცნიერულად დასაბუთებული, მოქნილი და სტატისტიკის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი მოდელის დანერგვა და გამოყენება.

წინამდებარე სტატიის მიზანია აღვწეროთ იმ ინოვაციური ხედვის ფორმირების წინაპირობებისა და დანერგვის პროცესის განხორციელების მიმდინარეობა ეროვნულ ბანკში, რაც ამ უწყებაში, და არა მარტო, ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაციის, სტანდარტიზაციისა და ცენტრალიზაციის ამოცანების გადაჭრას ემსახურება.

სტატია შემდგენიარადაა ორგანიზებული: პირველ თავში აღწერილია წინაპირობები, რომლებმაც ობიექტურად წარმოშვა საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის შეცვლის აუცილებლობა.

მეორე თავში საუბარია სეხსტატზე, როგორც ეროვნული ბანკის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ახალ ინოვაციურ მოდელზე, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკური საქმიანობის სტანდარტიზაციას, ოპტიმიზაციასა და ცენტრალიზაციას ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით.

მესამე თავი ეძღვნება სეხსტატის კონცეფციის აღწერას და იმ მიდგომებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა მისი დანერგვის პროცესში.

ბოლოს, მოცემულია დასკვნები და უპირატესობები, რაც გააჩნია სეხსტატს.

## 1. სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციური გადაწყვეტის აუცილებლობა

სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ორგანიზების ამოცანა თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე სტატისტიკის სფეროში არსებულ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი აქტუალურია საკითხია არაერთ ქვეყანაში. საკითხის სირთულე უკავშირდება, ერთი მხრივ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის შინაარსის სწორად განსაზღვრას, ხოლო მეორე მხრივ, მისი წარმოების ბიზნეს-პროცესის ოპტიმალური მოდელის შერჩევას.

ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის რეფორმირების აუცილებლობა ორმა მთავარმა წინაპირობამ განსაზღვრა: არსებული ბიზნეს-პროცესის ნაკლოვანებებმა და თანამედროვე ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის სტანდარტებისა და მოთხოვნების დანერგვის აუცილებლობამ.

რაში მდგომარეობს ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ნაკლოვანებები ეროვნულ ბანკში?

ძირითადი ნაკლოვანებებია:

- დეცენტრალიზებული სტატისტიკური ბიზნეს-პროცესი და მონაცემთა მოთხოვნის დუბლირება, რაც ამძიმებს რესპონდენტთათვის საანგარიშგებო ტვირთს;
- ექსელზე დაფუძნებული სტატისტიკური კითხვარები;
- მონაცემების არასაკმარისი მოცვა ფინანსური ინსტიტუტების საბალანსო ანგარიშებში რეზიდენტობის, სექტორების და სხვა პარამეტრების მიხედვით;
- ერთიანი მონაცემთა ბაზის არარსებობა.

როცა ნაკლოვანებები იდენტიფიცირებულია, სტატისტიკის წარმოების ბიზნეს-პროცესის შეცვლის აუცილებლობის დასაბუთება მოითხოვს საერთაშორისო

სტანდარტების მოთხოვნების სიღრმისეულ ანალიზს და სასურველი საბოლოო სტატისტიკური პროდუქტების მკაფიოდ განსაზღვრას.

თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკური პრაქტიკა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის ნაწილში ეფუძნება სექტორული ბალანსების მონაცემთა სტრუქტურას, რომლის არსიც მდგომარეობს ფინანსური/არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დეტალურ დისაგრეგაციას:

- ვალუტების (ეროვნული/უცხოური),
- რეზიდენტობის (რეზიდენტი/არარეზიდენტი), და
- სექტორების (არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სამთავრობო სექტორი, შინამეურნეობები, შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი) მიხედვით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფინანსური ინფორმაციისადმი თანამედროვე მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ გარკვეული თარიღისათვის მათი ნაშთების აღრიცხვით. აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება მათი ნაკადების შესახებაც, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ ინსტრუმენტის ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორებიცაა:

- ოპერაციები
- გადაფასება, გამოწვეული:
  - ფასების ცვლილებით
  - გაცვლითი კურსის ცვლილებით
- აქტივების სხვა ცვლილებები.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა და თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების ნათლად იდენტიფიცირების ფონზე ჩვენ განვსაზღვრეთ ეროვნული ბანკის კომპეტენციაში არსებული სტატისტიკის ჩარჩოები, ანუ იმ მიზნობრივ მონაცემთა მოცულობა და სტრუქტურა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა შეძლოს თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკური მოთხოვნების შესაბამისი მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის წარმოება და თავისი ძირითადი ფუნქციის - მონეტარული პოლიტიკის სრულყოფილად წარმართვა. თუმცა, აღნიშნულმა დღის წესრიგში შემდეგი და უადრესად სერიოზული ამოცანა დააყენა - შესაბამისი ბიზნეს-პროცესის მოდელის შექმნის აუცილებლობა.

ამდენად, ამგვარი ლოგიკური მიდგომით განხორციელდა ეროვნულ ბანკის სტატისტიკური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობის დასაბუთება და მკაფიოდ განისაზღვრა სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ახალი მოდელის მიზნობრივი ორიენტირები.

## 2. სებსტატი: ჩვენი არჩევანი სტატისტიკის შემდგომი განვითარებისათვის

რაში მდგომარეობს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ახალი მოდელის არსი და მისი კონცეპტუალური არქიტექტურის ინოვაციური გადაწყვეტა?

როგორც წესი, მონაცემთა შეგროვების მკაცრად განსაზღვრული უნიფიცირებული წესი არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყანა, თუ სტატისტიკური ორგანო ამ საკითხს წყვეტს ინდივიდუალურად, დამკვიდრებული სტატისტიკური პრაქტიკის, არსებული რესურსების რაოდენობისა და კვალიფიკაციის, და ა.შ. ბაზაზე.

იმისათვის, რომ მიგვეღწია დასახული მიზნებისთვის, ე.ი. მოგვეხდინა, თავისი შინაარსითა და ფორმით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის სტანდარტიზაცია, ოპტიმიზაცია და ცენტრალიზაცია და, შესაბამისად, როგორც სტატისტიკის მომწოდებლების, ისე სტატისტიკის მწარმოებელთა საანგარიშგებო ტვირთის შემსუბუქება, ჩვენ შევქმენით ეროვნული

ბანკის ფინანსური, სტატისტიკური და მაკროეკონომიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ინფორმაციული სისტემა – სეზსტატი.

სეზსტატი ამავე დროს წარმოადგენს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მოდელს, რომლის ფუნქციონირების მექანიზმი ეფუძნება მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის ჩვენ მიერ შექმნილ სპეციფიკურ სქემას, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების პროცესების ცენტრალიზაცია და ავტომატიზაცია ზედმიწევნით უნიფიცირებული ფორმით. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას სეზსტატი ინფორმაციის მისაღებად არა მარტო ბანკებიდან, არამედ სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდანაც. და მეტიც: სეზსტატის კონცეპტუალური არქიტექტურა აბსოლუტურად მისაღებია გამოსაყენებლად სტატისტიკის სხვა მიმართულებებშიც, რამდენადაც იგი ძალზედ მოხერხებულია გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების თვალსაზრისით.

**3. მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა: როგორ აღვწეროთ სტატისტიკური მთხოვნები სტანდარტიზებული გზით?**

მონაცემებს ვხვდებით ყველგან. თუმცა, იმისათვის, რომ გავიგოთ მათი შინაარსი, ჩვეულებრივ, ისინი აღწერას (განმარტებას) საჭიროებენ.

ტრადიციულად, ჩვენ შევეჩვიეთ მონაცემთა ვიზუალურ წარმოდგენას, მაგალითად ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 1). თუმცა, ამ მონაცემების ერთობლიობა, ან თითოეული მათგანი ცალ-ცალკე აღწერის (განმარტებების) გარეშე, ყოველგვარ აზრს მოკლებულია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 1			
ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი და ეროვნული ვალუტით გაცემული სამომხმარებლო სესხის შესახებ			
		ლარი	
		მათ შორის:	
წლიური საპროცენტო განაკვეთი, %	სესხები	რეზიდენტ იურიდიულ პირებზე	რეზიდენტ შინამეურნეობებზე
სულ	9,852,349	5,410,323	4,442,026
%	18.20%	18.10%	18.40%
16.00%	4,127,935	2,137,237	1,990,698
17.00%	432,433	281,656	150,778
17.50%	158,503	-	158,503
18.00%	2,153,075	1,329,062	824,012
19.00%	787,369	534,792	252,577

ცხრილი 2			
	9,852,349	5,410,323	4,442,026
	18.20%	18.10%	18.40%
16.00%	4,127,935	2,137,237	1,990,698
17.00%	432,433	281,656	150,778
17.50%	158,503	-	158,503
18.00%	2,153,075	1,329,062	824,012
19.00%	787,369	534,792	252,577

დღეისათვის ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოცულობამ ისეთ გლობალურ მასშტაბებს მიაღწია, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე მისი მოპოვება, დამუშავება და გავრცელება უბრალოდ წარმოუდგენელია. ამდენად, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ადამიანის თვალისა და გონებისათვის აღსაქმელი მონაცემები, არა თუ არასაკმარისი, არამედ თითქმის გამოუსადეგარია.

როგორ გავხადოთ ინფორმაცია გასაგები კომპიუტერული ტექნოლოგიისთვის?  
როგორ მოვახდინოთ მონაცემთა შეგროვების პროცესის სტანდარტიზაცია, შესაბამისი პროცესების ავტომატიზაციის მისაღწევად?

ამისათვის საჭიროა მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა და ამ გზით მათი საიდენტიფიკაციო ინსტრუმენტის ფორმირება.

მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა გულისხმობს მონაცემთა ორგანიზებას გარკვეული წესის მიხედვით, რაც ემსახურება კონკრეტულ მიზნებს და აუცილებელია მათი შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების სტანდარტიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, კონკრეტული ალგორითმის შესაბამისად.


ჩვენ მიერ მონაცემთა სტრუქტურის აღწერა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

**პირველ ეტაპზე** მოვახდინეთ ეროვნულ ბანკში არსებული ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების ერთგვაროვან ჯგუფებში გაერთიანება და ე.წ. მონაცემთა ოჯახების შექმნა. მონაცემთა ოჯახების ფორმირებას საფუძვლად დაედო მათი სტრუქტურის აღწერის ერთგვაროვნების პრინციპი.



**მეორე ეტაპზე** განხორციელდა ექსელის კითხვარებში არსებული მონაცემების სტრუქტურის აღწერა, იმ მიზნით, რათა დაგვედგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა არსებული მონაცემები, თავისი შინაარსის მიხედვით, მიზნობრივ მონაცემებს, გამოგვევლინა „გამოტოვებები“, რომელთა შევსება აუცილებელი იყო სრულყოფილი მონაცემების მისაღებად, და შეგვემუშავებინა მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის სტანდარტიზებული წესი. ამდენად, ამ ეტაპს საფუძვლად დაედო **მემკვიდრეობითობის პრინციპი**.

## მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა არსებული სტატისტიკური კითხვარის საფუძველზე



აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრისას ჩვენ ვიხელმდვანგელეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მთავარი კითხვით, რაც უკავშირდება ფონდების ნაკადების სიღრმისეულ ანალიზს და მონაცემთა შინაარსის დეტალურად და სწორად განსაზღვრის ამოცანას: “ვინ რას საქმიანობს, ვისთან ერთად, რის სანაცვლოდ, რა საშუალებით, რა მიზნით, რა ცვლილებების მისაღებად ფონდებში? როგორც მოცემულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოშია აღნიშნული, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ყველა ეკონომიკური ნაკადისა და ფონდისთვის, ყველა ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში იძლევა უადრესად დიდი მოცულობის ინფორმაციას ეკონომიკური ურთიერთკავშირების შესახებ<sup>1</sup>.

**მესამე ეტაპი** გულისხმობდა წინა ეტაპზე აღმოჩენილი „გამოტოვებების“ აღმოფხვრას, ანუ მონაცემების სტრუქტურაში საჭირო ახალი პარამეტრების დამატებას, ასევე ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ზემოაღნიშნული კითხვიდან გამომდინარე.

**მეოთხე ეტაპზე** მოხდა თითოეული ოჯახის მონაცემთა სტრუქტურის ყველა ელემენტისათვის კლასიფიკატორების შემუშავება.

ამდენად, აღნიშნული გზით შემუშავდა კონკრეტული ინსტრუმენტი საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად ბანკებისათვის, ნაცვლად მანამდე არსებული ტრადიციული ექსელზე დაფუძნებული კითხვარებისა.

რას წარმოადგენს ეროვნული ბანკის საანგარიშგებო მოთხოვნა ბანკების მიმართ? ეს არის კონკრეტული მონაცემის მიდენტიფიცირებელი უნიკალური კოდი, ე.წ. გასაღები, რომელიც მოიცავს ამ მონაცემის დამახასიათებელ ყველა პარამეტრს (მონაცემთა ოჯახი, მომწოდებელი ფინანსური ინსტიტუტი, პერიოდულობა, ინსტრუმენტის ტიპი, დენომინირების ვალუტა და ა.შ.). მოთხოვნათა ერთობლიობა მოიცავს შესაბამის მონაცემთა გასაღებების სიას.

სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელის არსი გულისხმობს იმას, რომ ბანკები ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი ინფორმაციის

<sup>1</sup> “Who does what,with whom, in exchange for what, by what means, for what purpose,with what changes in stocks?”.System of National Accounts 2008. Commission of the European Union, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank.P.16.

<sup>2</sup> იქვე, გვ.16.



ფორმირებას ახდენენ მონაცემთა გასაღების მიხედვით და ასეთი გასაღებების ერთობლიობას ტვირთავენ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ვებ-პორტალზე, სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი რამდენიმესაფეხურიანი კონტროლის გავლის შემდეგ. ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების პროცესის ამგვარი ორგანიზება მნიშვნელოვნად ამარტივებს სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მსოფლიოში დღემდე ცნობილ მოდელს (სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის შედგენა, კითხვარებისა და ინსტრუქციების შედგენა, ინსტრუმენტარის ტესტირება და ა.შ.), მნიშვნელოვნად ზოგავს ფინანსური და ადამიანური რესურსების ხარჯებს და ათავისუფლებს მეტ დროს სტატისტიკური ანალიზისა და დასკვნების გასაკეთებლად.

#### 4. დასკვნები

ამდენად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სებსტატი უდაოდ ინოვაციური მოდელია საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ:

- მან შეცვალა სტატისტიკური ანგარიშგების ტრადიციული კითხვარები საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების შესაბამისად სტრუქტურირებულ მონაცემთა უნიკალური ელექტრონული გასაღებების სისტემით;
- მისი კონცეპტუალური და ტექნოლოგიური არქიტექტურა ემყარება მონაცემთა სტრუქტურის აღწერის ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ალგორითმს, რაც გულისხმობს:
  - ჯერ ერთი, ერთგვაროვანი მონაცემების ჯგუფებად წარმოდგენას და მონაცემთა ოჯახების ფორმირებას;
  - მეორე, მონაცემთა თითოეული ოჯახის შიგნით სასურველ მაჩვენებელთა სისტემის ფორმირებას;
  - მესამე, კლასიფიკატორების სისტემის შემუშავებას თითოეულ ოჯახში შემავალ მაჩვენებელთა სისტემის ელემენტების სტრუქტურის დეტალური აღწერისათვის საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების შესაბამისად;
  - მეოთხე, მის თავსებადობას და გამოყენებადობას ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის ანგარიშგებაში, ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯის გარეშე.
- იგი მნიშვნელოვნად ამარტივებს ცნობილ ზოგადი სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მოდელს (Generic Statistical Business Process Model), რაც ნიშნავს სტატისტიკის წარმოების ხარჯების სერიოზულ ოპტიმიზაციას;
- მისი ადაპტირება ადვილად შეიძლება ნებისმიერი სტატისტიკური გამოკვლევის მიზნებისათვის.

სებსტატის უპირატესობები მდგომარეობს იმაში, რომ:

- ეფუძნება რა მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის კონცეფციას, იგი უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სტანდარტიზაციას და სრულ ავტომატიზაციას;
- მნიშვნელოვნად ამცირებს მონაცემთა ხარისხის კონტროლის, დამუშავებისა და გავრცელებისათვის საჭირო დროს;
- უზრუნველყოფს ეროვნული ბანკის კომპეტენციაში არსებული სტატისტიკური პროდუქტების (სექტორული ბალანსები, მონეტარული მიმოხილვები და სხვ.) კომპიუტერულ დამუშავებას;
- უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის ერთმნიშვნელოვან გაგებას მონაცემთა მომწოდებლებისა და მწარმოებლებისათვის და შედეგად – მონაცემთა მაღალ ხარისხსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;

- განკუთვნილია ინფორმაციის მოპოვებისათვის ყველა ტიპის ფინანსური ინსტიტუტიდან;
- მოხერხებულია გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით;
- შესაძლებლობას ქმნის ეფექტიანი სტატისტიკური თანამშრომლობისა აღნიშნულ სფეროში როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სებსტატის როგორც კონცეპტუალური, ისე ტექნოლოგიური ასპექტები გათვლილია იმგვარად, რომ ფინანსური სფეროს განვითარების კვალობაზე სტატისტიკური ინფორმაციის გაფართოების ამოცანა გადაიჭრას მინიმალური ძალისხმევით, ან საერთოდ ყოველგვარი დანახარჯის გარეშე.

სებსტატის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შინაარსი და მასშტაბები, მისი შედეგები და ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის წარმოების დანერგვისა და ფუნქციონირების პრაქტიკა იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ძალიან სერიოზული განზრახვები სტატისტიკის განვითარების სფეროში, რაც მისდამი მომხმარებელთა ნდობის ამაღლების სერიოზული წინაპირობაა. გარდა ამისა, სებსტატი მომთხოვნიდა ამ სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი, რაც მათი უწყვეტი განათლებისა და განვითარების მნიშვნელოვანი მოტივაციაა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aslamazishvili N., (2012). New Conceptual and IT Frameworks for Statistics in the National Bank of Georgia. UNECE. Seminar on New Frontiers for Statistical Data Collection. Viewed December 2013 <<http://www.unece.org/stats/documents/2012.10.coll.html>>
2. Aslamazishvili N., (2013). Data Collection Strategy in the New Informational Environment. UNECE. Seminar on Statistical Data Collection. Viewed December 2013, <<http://www.unece.org/stats/documents/2013.09.coll.html>>
3. Harmonised structural metadata (code lists) progress report. (2012). Eurostat.
4. Monetary and Financial Statistics Manual. (2000). International Monetary Fund. Washington D.C. IMF.
5. System of National Accounts (2008 SNA). (2008). European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank. New-York. 2009.

#### **Innovative Statistical Business Process Model for National Bank of Georgia**

**Nana Aslamazishvili, PhD**

Head of Monetary Statistics Division  
Macroeconomic and Statistics Department  
National Bank of Georgia

#### **Summary**

We all are witnesses of the terrific speed with which the world economy and society as a whole are being changed. Correspondingly, an interest in statistics, which is designed to reflect these changes, their progress and outcomes, is growing at the exponential rates. Moreover, it is obvious, that traditional survey-based data collection becomes more and more obsolete nowadays. All this calls for strengthening a statistical capacity and directing it towards a production of more reliable and timely

information. In this context, Central Banks, like many NSOs, need to rethink own traditional data production framework and design a new statistical business process strategy.

The purpose of this paper is to discuss recent ideas and approaches how to new way of thinking and innovations, using new methods and technologies help to build a basis for re-engineering central bank statistics whole system and streamlining statistical business process.

## საქართველოს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და პრიორიტეტები თანამედროვე ეტაპზე

ნონა ახვლედიანი

*ა.წ.ს.უ. ასოცირებული პროფესორი*

მარინა მეტეველი

*ს.ტ.უ. სრული პროფესორი*


ალეკო ბაკურაძე

*ა.წ.ს.უ. ასოცირებული პროფესორი*

ეკონომიკური მდგრადობა ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკური მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობა-გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე. ქვეყნისთვის ეკონომიკური მდგრადობის მიღწევისა და შენარჩუნების წინაპირობაა საქართველოს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და შესაბამისად პრიორიტეტების განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე. ოპტიმალური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებით შეიძლება ეკონომიკის ზომიერი სტიმულირება და პოზიტიური ეფექტების მოხდენა ეკონომიკის ზრდაზე. ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრული ინიციატივები ხელს შეუწყობს სტაბილურობის განცდის დამკვიდრებას და გააუმჯობესებს გაურკვეველობის შეგრძნებას, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის აქტიურობის ზრდას და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლებას. ეკონომიკური სტაგნაციის პერიოდში, როდესაც კერძო სექტორს არ სურს ან ვერ ახერხებს ეკონომიკური სტიმულების შექმნას სახელმწიფო ინტერვენციის გარეშე, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, მიზნობრივი ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის სტიმულირება მოახდინოს. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლების ინდიკატორად ყველაზე ხშირად იყენებენ მშპ-სა და მეპ-ს ერთ სულ მოსახლეზე. მიიჩნევა, რომ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ყველაზე უკეთ სწორედ ეს მაჩვენებლები გამოხატავს. სხვა რაოდენობრივი ინდიკატორები ვიწრო ასპექტებს ასახავს. ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხაღურის მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე – „2014 წლის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზების კუთხით არსებული ვითარებისა და მიმდინარე წლის იანვარ-მაისში ეკონომიკური ზრდის ტენდენციების შესახებ“, მთლიანი შიდა პროდუქტმა 2014 წლის პირველი კვარტალში შეადგინა 6, 879 მლნ ლარი, რაც 605 მლნ ლარით მეტია 2013 წელთან (6,274 მლნ ლარი) ხოლო 1 მლრდ 97 მლნ ლარით მეტია 2012 წელთან (5,781 მლნ ლარი) შედარებით; 2014 წლის იანვარ-აპრილში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ შეადგინა 9,312 მლნ ლარი, რაც 739 მლნ ლარით მეტია 2013 წელთან (8,573 მლნ ლარი), ხოლო 1 მლრდ 354 მლნ ლარით მეტია 2012 წელთან (7, 958 მლნ ლარი) შედარებით; 2014 წლის აპრილში მშპ-ის მოცულობამ შეადგინა 2,433 მლნ ლარი, რაც 133 მლნ ლარით მეტია 2013 წლის აპრილთან (2,300 მლნ ლარი), ხოლო 256 მლნ ლარით მეტი 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან (2,177 მლნ ლარი) შედარებით; ქვეყნის ეკონომიკაში ზრდის შენელება, და უარყოფითი ზრდაც კი, ბოლოს გლობალური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

შეინიშნებოდა (გრაფიკი 1). მას შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, ეკონომიკური ზრდა საკმაოდ სტაბილური იყო. გარდამავალი ქვეყნების საშუალო ეკონომიკური ზრდა 2.2%-ს შეადგენს 2013 წელს. რეგიონში ეკონომიკური ზრდა სტაბილური რჩება ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებში, რასაც ვერ ვიტყვით ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებზე. მშპ-ს ზრდა იანვარში - 8,2%, თებერვალში - 5,6%, მარტში - 8,3% დაფიქსირდა, ხოლო იანვარ-მარტის საშუალო ზრდამ 7,4% შეადგინა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით განსაკუთრებით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობა (ძირითადად ალკოჰოლური და არაალკოჰოლური პროდუქტების წარმოება) და მშენებლობა, ასევე გაზრდილია სასტუმროების და რესტორნების სექტორი, მაგრამ შემცირებულია სამთომომპოვებითი მრეწველობა. პირველ კვარტალში, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,0%-ით (65,8 ლარით), ხოლო 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 17,7%-ით (119,4 ლარით) გაიზარდა და 795,5 ლარი შეადგინა.


გრაფიკი 1



წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge), [www.imf.org](http://www.imf.org)

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრში 2013 ოქტომბერში ანალიტიკური ორგანიზაციების ინსტიტუციონალური და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდების (EPRC) ფინანსური მხარდაჭერით, მომზადდა ანგარიში „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა - 2013“ პროგრამის ფარგლებში. რომლის მიხედვითაც 2012 წლის ბოლოდან საქართველოს ეკონომიკური ზრდა ძირითადად შენეულა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებისა და არჩევნებით გამოწვეული გაურკვეველობის გამო. ოთხი მაჩვენებლიდან შემცირდა სამი: ერთობლივი მოთხოვნა, ინვესტიციები და სამთავრობო ხარჯები; მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) თავდაპირველად პროგნოზირებული 6%-იანი ზრდის მიღწევა ვერ მოხერხდება; მეტიც, ამ ზრდის 3-4%-მდე შემცირებული პროგნოზიც საეჭვოა, რომ გამართლდეს. 2013 წელს, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საშუალო ეკონომიკური ზრდა 2.2%-ს შეადგენს. თითქმის ერთი წელია, რაც საქართველოს ეკონომიკაში დეფლაცია შეინიშნება. საქართველოში დეფლაციური პროცესების ძირითად გამომწვევ მიზეზად მოთხოვნის კლება სახელდება; მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელფასები სოფლის მეურნეობის (21,2%), თევზჭერის (18,4%), მშენებლობის (16,1%), საფინანსო საქმიანობის (9,9%), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (9,4%), დამამუშავებელი მრეწველობის (8,1%) და სხვა სექტორებში.

გრაფიკი 2




წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge), [www.imf.org](http://www.imf.org)

2014 წლის პირველ კვარტალში, ასევე, გაიზარდა არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი და 819,1 ლარი შეადგინა, რაც 9,6%-ით (72 ლარით) აღემატება 2013 წლის და 25,4%-ით - 2012 წლის პირველი კვარტლების მაჩვენებელს. 2013 წელს ბიზნეს-სექტორის ბრუნვა (2012 წელთან შედარებით) დაახლოებით 4,2%-ით გაიზარდა და 41 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო 2013 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 40,6%-ით არის გაზრდილი. ბიზნეს-სექტორის გამოშვება 199 მლნ ლარით არის გაზრდილი 2012 წელთან შედარებით. თუ ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს საქმიანობის ტიპების მიხედვით გავანალიზებთ, ყველაზე დიდი კლება სამშენებლო სექტორში მოხდა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 34%-ით შემცირდა. 2014 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვამ დაახლოებით 10 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 16,1%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემს, ხოლო 2012 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელს 22,7%-ით. 2014 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 495,7 ათასს გაუტოლდა. ამ პერიოდში 10 000 ადამიანით მეტი იყო დასაქმებული, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში და 25 672 ადამიანით მეტი, ვიდრე 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში.

გრაფიკი 3.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა




წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge),

2013 წელი ქართულ ავიაბაზარზე ასევე 6 ახალი კომპანიის შემოსვლითაც არის მნიშვნელოვანი. საქართველოში ფრენები დაიწყო უნგრეთის, ისრაელის, უკრაინის, თურქეთის თითო და ერაყის ორმა ავიაკომპანიამ, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება საქართველოსკენ მომავალი მგზავრთნაკადის ზრდასა და ტურიზმის განვითარებაზე. კერძოდ, 2013 წლის 10 თვის მონაცემებით, გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31%-ით გაიზარდა და 1,562,000.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულები საქმიანობის მიხედვით

გრაფიკი 4.



წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge),

მგზავრი შეადგინა. მოსახლეობის დაბალმა შემოსავლებმა, შეზღუდულმა ფისკალურმა რესურსებმა და განუვითარებელმა საბაზრო ინსტიტუტებმა, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარგობრივმა კრიზისებმა ხელი შეუწვევს დასაქმების შემცირებას. დაუსაქმებელ მოსახლეობას ხშირად უწევს მუშაობა მოკლევადიან, მცირედანაზღაურებად სამუშაოზე, რაც ხშირად ვერ

უზრუნველყოფს მათ მინიმალურ მატერიალურ მოთხოვნებს. შემწეობის მცირე განაკვეთის გამო კვლავაც მაღალია არარეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი. აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ უმუშევარი ან ნაკლებ კვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. უმუშევრობა, უფრო სწორად ფორმალური დასაქმება, ხანგრძლივი პრობლემაა საქართველოს რეალობაში მთლიანი სამუშაო ძალის მხოლოდ 32%-ია ფორმალურად დასაქმებული, ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი 15%-ს შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის უკანასკნელი პროგნოზის თანახმად ეს მაჩვენებელი 2014 წელს 17%-მდე გაიზრდება.

**ცხრილი 1.**

**დასაქმება და უმუშევრობა**

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ეკონ აქტ. მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8
უმუშევრობის დონე, %	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14.6

წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge),

2013 წელს მრეწველობის ბრუნვა, 2012 წელთან შედარებით, 7,2%-ით, ხოლო გამოშვება 7,6%-ით არის გაზრდილი. 2014 წლის I კვარტალში, მრეწველობის ბრუნვის მოცულობამ დაახლოებით 2 მლრდ ლარს მიაღწია, რაც 15%-ით აღემატება 2013 წლის I კვარტლის, ხოლო 16,4%-ით - 2012 წლის პირველი კვარტლის მონაცემს, ხოლო გამოშვებამ 1 656,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემს, ხოლო 2012 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელზე 18%-ით მეტია. ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 2013 წელს 3,4 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 11,4%, 2011 წელთან შედარებით - 17%-ით, ხოლო 2007 წელთან - კრიზისამდე პერიოდთან შედარებით 41%-ით არის გაზრდილი. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სწორედ ის ქვეყნები, სადაც მაღალია ცხოვრების დონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევენ. ასე მაგალითად, აშშ-ში იგი ტოლია 46,5 მილიარდი დოლარის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ის, ევროკავშირის ქვეყნებში - 121,4 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1,3%), იაპონიაში - 48,7 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1,4%).

**ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები**

**ცხრილი 2.**

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსაღ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	7.3	6.2	3.2	5.0	5.0	5.5	5.5	5.5	
ნომინალური მშპ (მლნ. ლარი)	24.344	26167,3	26824,9	29152,3	32140,1	35264,1	38505.7	42045,4	
მშპ. ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3230,7	3523,4	3596,6	3715,2	4096,4	4494,2	4907,3	5358,4	
სამომხმ. ინდექსი(საშ. პერიოდის განმავლობაში)	ფასების	8,5	-0,9	-0,5	3,5	5,0	4,0	3,5	3,5
მიმდინარე ანგარიში (პროცენტუალად მშპ-თან)	-12,3	-11,7	-6,0	-6,4	-7,2	-7,6	-7,4	-6,7	

წყარო: "ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2014-2017 წლებისათვის", საქართველოს მთავრობა

დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების ანალიზის მიხედვით 2014 წლის იანვარ-აპრილში ეკონომიკის აქტივობა დარგების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: სოფლის მეურნეობა - 31,10%, მშენებლობა - 28,60%, ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით - 18,9%, სამთო და დამამუშავებელი მრეწველობა - 13,70%. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში კლება შეინიშნება შემდეგ სფეროებში: კომუნალური და პერსონალური მომსახურების გაწევის სექტორი (მ.შ სათამაშო ბიზნესი) (- 13,00% ), საფინანსო საქმიანობის სექტორში (-1,40%). 2014 წლის იანვარ-მაისში: საგადასახადო შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 2 786,6 მლნ ლარი, რაც 130,6 მლნ (4,9%) ლარით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

გრაფიკი 5.



2014 წლის იანვარ-მაისის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 101,0%-ით შესრულდა და ნომინალურ გამოხატულებაში ფაქტიურმა მაჩვენებელმა საპროგნოზოს 27,9 მლნ ლარით გადააჭარბა. საშემოსავლო გადასახადის სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 820.5 მლნ ლარი, რაც 61 მლნ ლარით აღემატება გასული წლის, ხოლო 164 მლნ ლარით 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 1 აპრილიდან დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება და აპრილ-მაისში 300 ათას ფიზიკურ პირს ჯამში 89,2 მლნ ლარი დაუბრუნდა. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, 5 თვის მონაცემით, მობილიზებულია 1 269,3 მლნ ლარი, რაც 12,3%-ით (139,0 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 150.8 მლნ ლარით აღემატება. შემოსავლების ამოღება, რაც მას ხარჯების შემცირებისკენ უბიძგებს. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის მაისიდან, დღგ-ის გადამხდელთა ბრუნვაში უარყოფითი ცვლილება აღინიშნა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 2013 წლის ივლისში -3.5% შეადგინა. ქვეყნის დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედებენ სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული, რელიგიური და სხვა ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ დემოგრაფიულ განწყობას, ე.ი. ადამიანების დამოკიდებულებას დემოგრაფიული პროცესების მიმართ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში საჭიროა დროული ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც უნდა დაეყრდნოს დემოგრაფიული პროცესების ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს. ბუნებრივია იგი გულისხმობს ასაკობრივი, ტერიტორიული, საქმიანობის, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით განსხვავებული ჯგუფების დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა გარჩევას. საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორთა შორის, ერთ-ერთ ძირითად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ხელის შეწყობა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სტატისტიკით, მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ადამიანიდან, 48% - მამაკაცი, ხოლო 52% ქალბატონია. რეგისტრირებული მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტი დედაქალაქში ცხოვრობს. თბილისში სულ რეგისტრირებულია ქვეყნის მთელი მოსახლეობის 26% - 1 223 319 პირი. აქედან 45% მამაკაცია, ხოლო 55%

ქალბატონი.  
ცხრილი 3.

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 401.3	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5
მათ შორის:									
ქალაქად (ათასი კაცი)	2 310.4	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 410.8	2 411.7
სოფლად (ათასი კაცი)	2 090.9	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 073.0	2 078.8
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	47 795	49 287	56 565	63 377	62 585	58 014	57 031	57 878	
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	42 255	41 178	43 011	46 625	47 864	49 818	49 348	48 553	


წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge),

მნიშვნელოვნად იზრდება ტურიზმის ინდუსტრია. 2013 წელს ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება 2,9 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც 251 მლნ ლარით აღემატება 2012 წლის მონაცემს. პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება საგარეო ვაჭრობაში, რაც ექსპორტის 11%-იანი ზრდით გამოიხატა 2013 წლის 8 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 8 თვის მონაცემების მიხედვით, მინერალური წყლების ექსპორტი 56%-ით, ხოლო ღვინის ექსპორტი 67%-ით გაიზარდა, ყველაზე დიდი კლება - 40%-მდე - ხორბლის იმპორტში აღინიშნა (მონეტარულ გამოსახულებაში). რუსეთის ბაზრის გახსნის შედეგად არა მხოლოდ ექსპორტი, არამედ იმპორტიც გაიზარდა. 2013 წლის 8 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იმპორტი რუსეთიდან 43%-ით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა; ქართული ექსპორტი 30%-ით გაიზარდა 2010-დან 2011 წლამდე და კიდევ დამატებით 8%-ით 2011-დან 2012-მდე. ექსპორტის ზრდა ძირითადად ქართული ღვინისა და მინერალური წყლებისთვის 2013 წლის ზაფხულში რუსეთის ბაზარზე ხელახლა დაშვების შედეგია. 2013 წლის 14 ოქტომბრიდან, შეიდწლიანი ემბარგოს შემდეგ, რუსეთმა თავის ბაზარზე საქართველოდან ხილის რამდენიმე სახეობაც დაუშვა. ხილის ასეთ სახეობებს შორის არის კაკალი, ციტრუსი, ყურძენი, ვაშლი, მსხალი და კომში. მეორე მხრივ, დადამავალი ტენდენცია აჩვენა იმპორტმა (4%-იანი კლება), რაც 2009 წლის შემდეგ პირველად მოხდა. მეორე მხრივ, ნავთობპროდუქტების იმპორტში 5%-იანი კლება პირდაპირ გამოიხატება მოხმარების კლებაში, რადგან აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის გამო, 2013 წლის ივნისიდან ფასები ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე იზრდება. მნიშვნელოვანი, 20%-იანი ზრდა აღინიშნა მედიკამენტების იმპორტში, რაც შეიძლება ჯანდაცვის სისტემაში სამთავრობო პროგრამების განხორციელებას და შესაბამისად, ამ სისტემის გაზრდილ სახელმწიფო დაფინანსებას უკავშირდებოდეს. ავტომობილების იმპორტიც იზრდება, რაც ასევე საქართველოს წამყვანი საექსპორტო პროდუქციაა (საქართველოდან ავტომობილების რე-ექსპორტი ხდება მეზობელ და ცენტრალური აზიის ქვეყნებში). რუსეთის ბაზრის გახსნის შედეგად არა მხოლოდ ექსპორტი, არამედ იმპორტიც გაიზარდა.

გრაფიკი 6.

ექსპორტ/იმპორტის ტენდენციები






წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ფაქტია, რომ ბოლო რამდენიმე წელია ავტომობილებით ვაჭრობა ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ბიზნესი გახდა საქართველოში. ამაზე მეტყველებს ექსპორტ-იმპორტის ოფიციალური მაჩვენებლებიც: თუ 2006 წელს მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა 295 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 50 მლნ შეადგინა, 2013 წელს მისი იმპორტი 710 მლნ-მდე, ხოლო ექსპორტი 704 მლნ-მდე გაიზარდა. ავტომობილების იმპორტის ზრდა, ძირითადად, ექსპორტის, უფრო სწორად კი, რეექსპორტის ხარჯზე მოხდა და ის ერთ-ერთ მსხვილ ბიზნესად იქცა საქართველოში, რომელშიც პირდაპირ თუ ირიბად ათასობით ადამიანია დასაქმებული.

მინერალური წყლებისა და ნატურალური ყურძნის ღვინის ექსპორტის ტენდენციების გაანალიზება გვიჩვენებს, რომ ექსპორტი მკვეთრად შემცირდა 2006 წელს რუსეთის მიერ იმპორტზე ემბარგოს დაწესების შემდეგ. თუმცა, უკვე 2012 წელს საქართველოს მწარმოებლებმა, როგორც ჩანს, ახალი ბაზრები მოიძიეს და საექსპორტო პორტფელის დივერსიფიკაცია შეძლეს. 2013 წლის გაზაფხულ-ზაფხულში რუსეთის ბაზარზე ხელახლა შესვლის შემდეგ, ამ ორი სასაქონლო კატეგორიის საექსპორტო მოცულობები გარკვეულწილად გაიზარდა, თუმცა ეს მონაცემები მხოლოდ 2013 წლის აგვისტომდე პერიოდს ასახავს, რაც საკმარისად წარმომადგენლობითი არ არის. 8 თვის მონაცემების მიხედვით, 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მინერალური წყლების ექსპორტში 56%-იანი, ხოლო ღვინის ექსპორტში 67%-იანი ზრდა აღინიშნა. ფულად გამოსახულებაში ექსპორტი გაიზარდა უმეტესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან და ქვეყანათა ჯგუფებიდან, გარდა აშშ-სა. ექსპორტმა რუსეთში 50%-ით იმატა. თუმცა, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი კვლავ აზერბაიჯანია, რომელზეც მთლიანი საექსპორტო ბრუნვის 27%-იანი წილი მოდის 2013 წლის რთველი გამორჩეული იყო. გადამუშავებული ყურძნის რაოდენობამ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია ბოლო 20 წლის განმავლობაში. სახელმწიფო საწარმომ 91,2 ათასი ტონა ყურძენი ჩაიბარა, ხოლო მოსახლეობამ შემოსავლის სახით დაახლოებით 100 მლნ ლარი მიიღო. ამ თანხიდან სახელმწიფომ მხოლოდ პირდაპირი სუბსიდიის სახით 32 მლნ ლარი გასცა, ხოლო საკუთარი საწარმოების საშუალებით თავად შეისყიდა 15,6 ათასი ტონა ყურძენი, რაც დაახლოებით 18 მლნ ლარის ღირებულებისაა. სულ სახელმწიფომ რთველზე, გარდა საორგანიზაციო ხარჯებისა, ბიუჯეტიდან 50 მლნ ლარი დახარჯა.

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით გრაფიკი 7.



წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ამ ხარჯებში არ შედის ის თანხები, რაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის გამოიყოფა. რუსეთის ბაზრის გახსნამ გავლენა იქონია ღვინის ექსპორტზე. თუ მისი

მაჩვენებელი 2012 წელს 65 მლნ დოლარი იყო, 2013 წელს ის თითქმის გაორმაგდა და 128 მლნ დოლარს მიაღწია.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ. აშშ დოლარი)

ცხრილი 4.

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014* წ. ინვარი-აგვისტო
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9247	10277	10793	7411
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1232	1495	1134	1677	2189	2375	2908	1914
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5212	6302	4500	5257	7058	7902	7885	5497
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4869	-5527	-4977	-3584

წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

დღეს საქართველოსათვის ევროკავშირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა არა ყველაზე მთავარი სავაჭრო პარტნიორია. 2013 წლის მდგომარეობით, ევროკავშირის წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26.7%. ამასთან, იმპორტი სამჯერ აღემატებოდა ექსპორტს. შედარებისათვის: დსთ-ის წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 35.1%. საქართველოს ექსპორტით იმპორტის გადაფარვა ევროკავშირთან დაახლოებით 1.5-ჯერ უფრო დაბალი აქვს, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოსთან: სულ ექსპორტით იმპორტის გადაფარვა საშუალოდ - 36.9%, ევროკავშირთან - 26.8%, დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის გარეშე - 41.1%. დღეისათვის საქართველო შეადგენს ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 0.6%-ს. თუმცა ევროკავშირი მაინც იჩენს სიფრთხილეს, რომ საქართველოდან არ მოხდეს უკონტროლო ექსპორტი ამ გაერთიანებაში. საქართველოში ისედაც დაბალი იმპორტის (საბაჟო) გადასახადებია და მათი მეშვეობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად მობილიზებული თანხა მხოლოდ დაახლოებით 90 მლნ ლარია - ამჟამინდელი საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 1.2 პროცენტი. შესაბამისად, ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების კლება დაახლოებით 25-30 მლნ. ლარი იქნება.


გრაფიკი 7.



რაც შეეხება ქვეყანაში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებში დადგენილი ტენდენცია 2012 წელს, 2011-თან შედარებით 20%-იანი კლებით აღინიშნა. 2012 წელს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 31% (2011 წელს მხოლოდ 15%) იმ ახალ ბიზნეს-ინიციატივებში ინვესტირებისკენ წარიმართა, ( რომლებიც უფრო პროდუქტიულია

ეკონომიკური ზრდის და დასაქმების გენერირების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 18%-ით შემცირდა ეკონომიკური კრიზისისა და ეკონომიკური პოლიტიკის ბუნდოვანების გამო. კლება საქართველოს ეკონომიკის სექტორების უმეტესობაში მოხდა. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ენერჯეტიკის, სამთო-მომპოვებელ და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორებში, ხოლო ინვესტიციების ყველაზე დიდი ვარდნა სამშენებლო სექტორმა განიცადა.

გრაფიკი 8.



წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

2013 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემებით, ყველაზე მსხვილი ინვესტიცია, განხორციელებული ინვესტიციების 26%-ზე მეტი, ლუქსემბურგიდან შემოვიდა. ეს ყველაზე დიდი ინვესტიციაა, რაც კი ამ ქვეყნიდან განხორციელებულა. ნიდერლანდები, აზერბაიჯანი და თურქეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით სტაბილურ წყაროებს წარმოადგენენ; ამ ქვეყნებიდან შემოსულმა ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 22% (ნიდერლანდები), 13% (აზერბაიჯანი) და 8% (თურქეთი) შეადგინა. მკვეთრად გაიზარდა ინვესტიციები ჩინეთიდან, რომელზეც მთლიანი ინვესტიციების 20% მოდის. შესაბამისად, ეს ქვეყანა მესამე ადგილზეა საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებლით. **ეკონომიკის სამინისტრომ 2014 წლის ივნისში გამოაქვეყნა ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2014 წლის პირველ კვარტალში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 260 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 15%-ით აღმატება 2013 წლის I კვარტლის, ხოლო 20%-ით - 2013 წლის IV კვარტლის მონაცემებს. აღნიშნულ პერიოდში ინვესტიციების ყველაზე მაღალი წილი საფინანსო სექტორზე მოდის (მთლიანი ინვესტიციების 34%), შემდეგ პოზიციაზეა დამამუშავებელი მრეწველობა (18%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (17%), სამთომპოვებითი მრეწველობა (6%), უძრავი ქონება (5%), მშენებლობა (2%), ენერჯეტიკა (2%). 2014 წლის პირველ კვარტალში უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს შორისაა ნიდერლანდები (28%), აზერბაიჯანი (18%), გაერთიანებული სამეფო (13%), თურქეთი (12%), რუსეთი (8%), საუდის არაბეთი (7%), აშშ (7%). 2014 წლის პირველი კვარტალი ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა. საქართველოს ექსპორტი ბოლო 8 წლის მანძილზე (2006-2013 წლებში) საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა დაახლოებით 16.5%-ით ხოლო იმპორტი 15.7%-ით. ფაქტობრივად, გამოდის, რომ შეთანხმების შემდეგ ექსპორტის ზრდის ტემპი შემცირდება, ხოლო იმპორტისა - უცვლელი დარჩება. პროდუქციის ხარისხის ზრდა და ევროკავშირის, მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანა გამოიწვევს უახლოეს წლებში არა მარტო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, არამედ ევროკავშირში ექსპორტის რეალურ ზრდას საშუალოდ 1.5-2-ჯერ, ანუ 300-600 მლნ დოლარით, რაც ქვეყანაში მშპ-ის დაახლოებით 2%-იანი ზრდის ეკვივალენტი იქნება.**

მაშასადამე გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებით შეიძლება ეკონომიკის ზომიერი სტიმულირება და პოზიტიური ეფექტების მოხდენა ეკონომიკის ზრდაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრული ინიციატივები ხელს შეუწყობს სტაბილურობის განცდის დამკვიდრებას და გაფანტავს

გაურკვევლობის შეგრძნებას, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის აქტიურობის ზრდას და საბოლოო ჯამში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებას.

### **The economic -statistical analysis and the priorities in Georgia at the present stage**

**Nona Akhvlediani**

Akaki Tsereteli State University

Associated Professor

**Marina Metreveli**

Georgian Technical University

Professor

**Aleko Bakuradze**

Akaki Tsereteli State University

Associated Professor

### **Summary**

In the article "The economic -statistical analysis and the priorities of the **present** stage" deals with the country's economic growth factors, and appropriate statistical analysis of employment trends, the average annual inflation rate, the main macro-economic indicators, foreign direct investment, export-import trends, budget expenditure categories according to the business activities of employees, etc. The unemployed face to special risk, from times lose qualification and for this reason an opportunity of employment. Also it is great depth and an acuteness(a witticism) of poverty in Georgia. It is accepted a significant direction development and realization of an effective and fair politics, an all-around development of practical realization of the state investment politics and increase of efficiency of the budgetary investment. On a national economy the negative balance of foreign trade that speaks that realization of a protectionist politics is paid small attention operates. Also business on growth of offences not safely is. That speaks that else much should be made after reduction to socially economic and legal problems. Finally, we can say that a prudent fiscal and monetary policy can stimulate the economy and a moderate positive effect on economic growth.

### **გლობალიზაცია და მისი განვითარების თავისებურებები**

**ნათუნა ბარათაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი*

გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის ზრდით.

არსებობს სრული და არასრული, ნაწილობრივი გლობალიზაციის ფორმები. სრული გლობალიზაცია მის გამთლიანებულ სისტემას გულისხმობს და ცოცხალ და არახოხცალ, მატერიალურ და არამატერიალურ სისტემებს მოიცავს. ნაწილობრივი გლობალიზაციის ფორმებია: ვირტუალური სივრცის გლობალიზაცია, სოციალური გლობალიზაცია, სამხედრო გლობალიზაცია, ეკონომიკური გლობალიზაცია, კულტურული გლობალიზაცია და სხვ.

გლობალიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების დონესთან. საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეზე იგი სუსტად ვლინდება და პირიქით.

რაც შეეხება ეკონომიკურ გლობალიზაციას, იგი ეკონომიკური და პოლიტიკური უნიფიკაციის პროცესია და სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუტების, მსგავსი ბიზნეს-გარენოს არსებობას, ცხოვრების დონის და ხარისხის გამოთანაბრებას გულისხმობს.

ინდუსტრიულ სტადიაზე ეკონომიკური ინტეგრაციის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კოოპერირების გადრმაგების ობიექტური მოთხოვნა, შიგა ბაზრების გაფართოების, მოგებისზრდის, ეკონომიკური ზრდის დაჩქარების, დასაქმების ამაღლების, საერთოდ მატერიალური და ფინანსური სარგებლიანობის მიღების ფაქტორები. შესაბამისად განვითარდა შენდები ფორმები: თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, საცალურო კავშირი.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე ხელშემშლელ ფაქტორად მიჩნეულია ის ვითარება, როცა ქვეყანა ვერ ახერხებს ადამინური კაპიტალის, განათლების, მეცნიერების, კულტურის პოსტინდუსტრიული მოთხოვნების დროულად განვითარებას, ამ შემთხვევაში იგი ინტეგრაციული პროცესების მიღმა რჩება.

მნიშვნელოვანია კითხვა, შეიძლება თუ არა ქვეყნებს შორის სხვადასხვა დაპირისპირების დაძლევა, ეკონომიკური ინტეგრაციის რომელიმე ფორმით განხორციელებისას. საერთაშორისო გამოცდილება— ევროკავშირს, NAFTA და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების, დსთ-ს მაგალითებზე, გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაშითუ სახელმწიფო გლობალიზაციის პროცესისათვის პოლიტიკურ ნებას, კომპრომისზე წასვლის სურვილს ამჟღავნებენ. თუ ასეთი ნება არ არსებობს ეკონომიკური ინტეგრაციის ინტერესები პოლიტიკურ ინტერესებს ეწირება.

გასული საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიომ საერთო ეკონომიკური ქაოსი განიცადა. ქვეყნებისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო გაერთიანება და ურთიერთდახმარება ამ კრიზისიდან გამოსასვლელად. 50–60-იან წლებში ეკონომიკურმა ინტეგრაციის პროცესმა, მთელი ძალით იჩინა თავი, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ აღმავლობას. იმ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი იყო ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვემ რადგან იოლი უფრო იოლი იყო სასაქონლო ნაკადების მოძრაობა, განაწილების არხების შექმნა და სხვ. მაგ. შეიქმნა ლათინო ამერიკული ასოციაცია, მოხდა აშშ-სა და კანადას შორის შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურობრი განვითარების იერარქია შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონა. საბაჟო გადასახადების მოხსნა დაჯგუფებების ქვეყნებს შორის.
2. საბაჟო კავშირი. საბაჟო გადასახადების უნიფიკაცია მესამე ქვეყნების მიმართ.
3. საერთო ბაზარი. რესურსების მოძრაობის ლიბერალიზაცია (კაპიტალი, სამუშაო ძალა და ა. შ.) ინტეგრაციული დაჯგუფების ქვეყნებს შორის.
4. ეკონომიკური კავშირი. შიდა ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია და უნიფიკაცია მონაწილე ქვეყნებს შორის ერთიან ბაზარზე გადასვლის ჩათვლით.

ინტეგრაციული პროცესების „ახალი ტალღა“ 1990 წ. დაიწყო. ყველაზე წარმატებულ ბლოკად ცნობილია 1991 წელს დაარსებული სამხრეთ კონუსის საერთო ბაზარი (მერკოსური).

ასევე აღსანიშნავია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატების ან ორგანიზაციების კონფედერაცია, რომელიც შედგება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სავაჭრო სანრეწველო პალატების ან ასოციაციების ერთობილისაგან და რომლის შექმნამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში სულ ახალ-ახალ სახელმწიფოები ერთვება და ამ პროცესში დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში

მონაწილეობით თავისთავად ებმება საქართველო- განვითარებადი დემოკრატიულ სახელმწიფო, რომელიც მიიღტვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ და ეკონომიკური გაძლიერებისაკენ. შესაბამისად, დღეს, როგორც არასოდეს, საქართველოსთვის პრიორიტეტულია მსოფლიო მასშტაბით წარმოების ინტერნაციონალიზაცია, კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მარკეტინგის გამიცდილების სწრაფი გაცვლა. საერთო ბაზრის ჩამოყალიბება.

გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. მისი ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

დადებითი ეფექტი უპირველეს ყოვლისა, გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საქართველოს არა აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში, გლობალიზაციის პროცესი კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. ეს მოიხიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში დააბანდებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას, გამოიყენებენ საქართველოს შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავალებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. გლობალიზაციით შექმნილი ხელსაყრელი პირობები შესატყვისი იქნება უცხოური ინვესტიციების ზრდისა, რაც ამავე დროს, ხელს შეუწყობს საქართველოს შიდა ინვესტიციური რესურსების ეფექტიან მიმოქცევას. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები ასრულებენ გადამწყვეტ როლს ინტეგრირებული ინტერნაციონალური საწარმოო სისტემის – გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის საწარმოო ბირთვის შექმნისათვის.

სავარაუდოდ, გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანაზე არა მარტო დადებით, არამედ უარყოფით ზემოქმედებასაც მოახდენს. საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებამ, შესაძლებელია ჩაახშოს ეროვნული საწარმოების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობა. ჩვენი ქვეყნის საწარმოები ჯერ კიდევ არ არიან აღჭურვილი უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, აქედან გამომდინარე დაბალია პროდუქციის ხარისხი და მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას.

გლობალიზაციის პროცესში, საქართველოთი დიდი სახელმწიფოების დაინტერესება გაიზრდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს საქართველოს მთლიანობის და უსაფრთხოების ავტომატურ უზრუნველყოფას, საქართველომ თვითონ საკუთარ სიძლიერეზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება.

თუ რამდენად მომგებიანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანება, მთლიანად დამოკიდებულია მის პოლიტიკაზე. მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონივრული, აწონდაწონილი, წინასწარ ღრმად გააზრებული პოლიტიკა დაეხმარება ამა თუ იმ ქვეყანას დიდი წარმატებების მიღწევაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. რუსთაველის ფონდი. ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში. თბილისი 2009.
2. გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი. – საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი, 2003.

3. თ. ბასილიცა, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი 2001.
4. გ.ვ. პაპავა. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა.

## Globalization and Features of it's Development

**Khatuna BaraTashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Doctoral Student

### Summary

The world globalization process, the new states are involved in this process is linked to a large international projects in Georgia: an emerging democratic state, which seeks to restore territorial integrity and economic strengthening. Therefore, today, as never before, the priority for the world-wide production of internationalization, the free flow of capital, information, ideas, modern management and marketing gamitsdilebis a quick exchange. The overall market.

## საბრუნავი კაპიტალის მართვის სრულყოფის შესახებ

**სათუნა ბარბაქაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოციირებული პროფესორი*

საბრუნავი კაპიტალის მართვა გულისხმობს ადმინისტრაციის მუშაობას საბრუნავი კაპიტალის შესახებ პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით<sup>1</sup>. ამასთან, საბრუნავი კაპიტალის მართვა წარმოადგენს მოკლევადიანი დაგეგმვის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ის აუცილებელია იმისათვის, რომ მენეჯერებმა იცოდნენ, თუ როგორი სიდიდის უნდა იყოს, როგორც თითოეული ელემენტი, ასევე კაპიტალის სტრუქტურა, რადგან შესაძლებელია წარმოიქმნას დანახარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება საბრუნავი აქტივის როგორც ჭარბ, ისე არასაკმარის მოცულობასთან. საერთოდ, საბრუნავი საშუალებების მართვა გაგებული უნდა იქნეს, როგორც პროცესი, რომელიც ორიენტირებული იქნება იმისკენ, რომ მიღწეული იქნეს ამ საშუალებათა ოპტიმალური და ეფექტიანი გამოყენება.

ამავე დროს, აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე. პირველ რიგში, აუცილებელია ოპერატიული კონტროლის განხორციელება შემუშავებული გეგმიური მაჩვენებლების თითოეულ საწარმოო ერთეულამდე, საწარმოს ქვედანაყოფებამდე დაყვანაზე, ასევე საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაზე, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგისა და დანახარჯის მდგომარეობაზე.

საბრუნავი საშუალებების გამოყენებაზე კონტროლის ერთ-ერთი იარაღია საბრუნავი საშუალებების ანალიზი, რომელიც ძირითადად საბუღალტრო ბალანსის საშუალებით ხორციელდება. ანალიზმა უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორიცაა საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა, მათი რაციონალური განლაგება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების მიხედვით, საკუთარი საბრუნავი საშუალებების, ბანკის კრედიტების გამოყენება, მარაგის და დანახარჯების მდგომარეობა, დებიტორები,

<sup>1</sup> ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი, უმცრ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009.

კრედიტორები, საწარმოს გადახდისუნარიანობა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა და სხვა. ამასთან აუცილებელია შემუშავდეს ზოგადი პრინციპები საწარმოების საბრუნავი საშუალებების მართვის შესახებ, რაც ერთგვარი ორიენტირი იქნება საწარმოებში საბრუნავი საშუალებების მართვის ახალი სისტემის დანერგვისათვის. ამდენად, ბიზნესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად მენეჯერები მუდმივად უნდა ცდილობდნენ ამ ხარჯების თავიდან აცილებას. მაშასადამე, საბრუნავ კაპიტალზე მიღებულ გადაწყვეტილებას არა ერთჯერადი, არამედ პერმანენტული ხასიათი გააჩნია.

საბრუნავი კაპიტალის მართვის პრინციპები გავლენას ახდენს ლიკვიდობის შემცირებაზე, როდესაც საბრუნავი აქტივების ზრდა მთლიანად დაფინანსებულია მოკლევადიანი ვალდებულებების ხარჯზე. საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტიანობის გაზრდა იწვევს ლიკვიდობის გაუმჯობესებას.

საბრუნავი კაპიტალი განისაზღვრება, როგორც საბრუნავი აქტივების სიდიდეს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები ანუ კრედიტორული დავალიანება ერთ წელზე ნაკლები ვადით დაფარვისას. საბრუნავი კაპიტალი წარმოადგენს წმინდა ინვესტიციებს მოკლევადიან აქტივებში, ამ აქტივების მოძრაობა წარმოქმნის მუდმივ ბრუნვას, რაც აუცილებელია ყოველდღიური წარმოების უზრუნველსაყოფად.

საბრუნავი საშუალებები ანუ მიმდინარე აქტივები არის საწარმოო კაპიტალის ნაწილი, რომლის ღირებულება მთლიანად გადადის წარმოებულ პროდუქტში და მისი რეალიზაციის შემდეგ ბრუნდება ფულადი ფორმით. საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობაშია: ნაღდი ფული, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, სასაქონლომატერიალური მარაგები, არარეალიზებული მზა ნაწარმი, დებიტორული დავალიანება, სხვა საწარმოების მოკლევადიანი დავალიანება კორპორაციისადმი.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია მათი სწორი ორგანიზაციის გარეშე. აუცილებელია, რომ თითოეულ საწარმოსა და ორგანიზაციაში დადგინდეს საბრუნავი საშუალებების რაციონალური სტრუქტურა; ამავე დროს, მიღწეულ იქნეს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში მატერიალურ და დანარჩენ აქტივებში დაბანდებულ საბრუნავ საშუალებებს შორის არსებული თანაფარდობის მკვეთრი გაუმჯობესება ზედმეტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემცირებით.

საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობით მნიშვნელოვნად განისაზღვრება კომპანიის საერთო ეფექტიანობა, ამიტომ მისი მართვა მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. კომპანიის ეფექტიანი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის ხარისხზე. არასაკმარისი მოცულობის საბრუნავი საშუალებების პირობებში შეუძლებელია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგების საკმარის რაოდენობით შექმნა, ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს წარმოების მოცულობას და პირიქით, ზედმეტი მარაგების პირობებში ხდება წარმოების პროცესში მათი არაეფექტიანი, უყაირათო ხარჯვა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბრუნავი საშუალებების სწორად განსაზღვრას და ნორმირებას.

ეკონომიკის ნებისმიერი დარგის საწარმოებში საბრუნავი კაპიტალის ფორმირება ხდება როგორც საკუთარი რესურსების: ა) მოგება; ბ) მყარი პასივები; გ) სხვა საკუთარი საშუალებები, ასევე, ნასესხები რესურსების: ა) კრედიტები და სესხები; ბ) კრედიტორული დავალიანების ხარჯზე. საბრუნავი კაპიტალის ფორმირებასთან დაკავშირებით ფრიად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს თანაფარდობა საკუთარ და ნასესხებ წყაროებს შორის. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან აუცილებელია დადგინდეს წყაროებს შორის ისეთი თანაფარდობა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და ფულადი რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას და ამავე დროს, შესაძლებელს გახდის



ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას ამ რესურსების შენახვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე.

საბრუნავი კაპიტალის საკუთარ და ნასესხებ წყაროებს შორის სწორი თანაფარდობის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელია თითოეულ საწარმოში საბრუნავი კაპიტალის საჭიროების დადგენა. ამასთან უნდა განისაზღვროს, ეს საჭიროება მთლიანად დაიფარება საკუთარი წყაროებით, თუ გამოყენებული იქნება ბანკის კრედიტებიც. საერთო ჯამში, საწარმო უნდა შეეცადოს, რომ საბრუნავი კაპიტალის გეგმიური საჭიროება დაფაროს საკუთარი წყაროებით, თუმცა გამორიცხული არ არის ბანკის კრედიტის გამოყენება, მაგრამ ბანკის კრედიტები ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს სეზონური და სხვა დროებითი საჭიროებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს წარმოეშობა საკუთარი საბრუნავი კაპიტალის დანაკლისი გეგმიურ საჭიროებასთან შედარებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკუთარი წყაროების ხვედრითი წონის მკვეთრი შემცირება, კრედიტის, კრედიტორებისა და სხვა წყაროების ხვედრითი წონის ზრდის ხარჯზე, მოძიებულ უნდა იქნეს საკუთარი წყაროები აღნიშნული დანაკლისის შესავსებად.

დამოკიდებულება საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის (კაპიტალის სტრუქტურის თეორია) - ამ თეორიის ავტორები **ფ. მოდელიანი და მ. მილერი**<sup>1</sup> გამოთვლებს აწარმოებდნენ იდეალურ ბაზრის (გადასახადების დაბეგვრის გარეშე) პირობებში, რომლის დროსაც კომპანიის ღირებულება დამოკიდებულია არა კაპიტალის სტრუქტურაზე, არამედ მხოლოდ კომპანიის მიერ საინვესტიციო პროექტების დაფინანსების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული გადაწყვეტილება განსაზღვრავს მომავალ ფულად ნაკადებს და მათ რისკის დონეს. ავტორების ძირითადი იდეა მდგომარეობს შემდეგში: თუ კომპანიის საქმიანობის დაფინანსება უფრო ხელსაყრელია ნასესხები კაპიტალის მეშვეობით (კაპიტალის საკუთარი წყაროების გამოყენების მაგივრად), მაშინ ამ შერეული სტრუქტურის მქონე კაპიტალის კორპორაციის აქციების მფლობელებს შეუძლიათ გაყიდონ ნაწილი აქციებისა და შეიძინონ იმ ემიტენტების აქციები, რომელთაც კაპიტალის სტრუქტურაში ნასესხებ კაპიტალს უჭირავს მცირე მოცულობა. ესეთი კომპანიის დეფიციტი შეივსება ნასესხები კაპიტალის საშუალებით.

ნასესხო კაპიტალის შედარებით დიდი და შედარებით პატარა ხვედრითი წილის მქონე კორპორაციების ფასიანი ქაღალდებით ერთდროული ოპერაციები შეძლებენ საბოლოო ჯამში ასეთი კომპანიების ფასის გათანაბრებას. შედეგად, მოდელიანის და მილერის თეორიიდან გამომდინარე, კორპორაციების აქციების ღირებულება დამოკიდებული არ არის სასესხო და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობაზე. ეს თეორია სწორია გარკვეული წინა პირობების არსებობის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, იმ პირობების გახსნით, რომელთა დროსაც კაპიტალის სტრუქტურა ზეგავლენას არ ახდენს კომპანიის ფასზე, ამ თეორიის ავტორებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს სასესხო დაფინანსების შესაძლო გავლენის არსის გაგებაში.

შემდგომში მოდელიანმა და მილერმა შეცვალეს თავისი თავდაპირველი თეორია ანუ სცნეს გადასახადების დაბეგვრის ზეგავლენა კორპორაციის კაპიტალის სტრუქტურაზე. ამგვარად, გადასახადებისთვის გადასახდელი თანხის ეკონომიის ხარჯზე შესაძლებელია კომპანიის ღირებულების ზრდა ამ თანხის სასესხო კაპიტალად გამოყენების შემთხვევაში. ამასთან, სასესხო კაპიტალის ოდენობის ზრდის გარკვეული მომენტიდან (იგულისხმება ის მომენტი, როდესაც მიღწეული იქნა კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა) კორპორაციის ღირებულება შეიძლება შემცირდეს, რადგანაც საგადასახადო ეკონომიამ შეიძლება ვერ დაფაროს ის

<sup>1</sup> ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი, უმცრ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ვალის დაბრუნებასთან (კრედიტორებისათვის საპროცენტო გადასახადები).

მოდელიანის და მილერის თეორიის მოდიფიკაცია (კორპორაციის გადასახადის დაბეგვრის ფაქტორის გათვალისწინებით) გულისხმობს, რომ: კომპანიის ბალანსის პასივში სასესხო კაპიტალის ზომიერი ოდენობა კომპანიას დადებით შედეგს მოუტანს; სასესხო კაპიტალის დიდი ოდენობით მოზიდვა იწვევს კომპანიის ფინანსურ არამდგრადობას (კრედიტორებისთვის გადასახადელი თანხების ზრდის საფუძველზე); ყველა კომპანიისთვის არსებობს პასივში სასესხო კაპიტალის (ამ კომპანიისათვის განსაზღვრული) ოპტიმალური წილი.

ამგვარად, მოდელიანის და მილერის მოდიფიცირებული თეორია, რომელსაც საგადასახადო თანხების შემცირებით გამოწვეულ ეკონომიასა და ფინანსურ დანახარჯებს შორის კომპრომისის თეორიასაც უწოდებენ, საშუალებას იძლევა უკეთ იქნეს გაგებული

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ა. ინგოროყვა, გ. ცაავა. ფინანსური მენეჯმენტი. თეორია, მეთოდები და პრაქტიკა, ტ. II, თბ., 2011
2. ჯემს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი, უმცრ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009.
3. Financial Management - Theory and Practice - E. F. Brigham and M. C. Ehrhardt – 11-th edition, - 2010;
4. **Брейли Р. Майерс С. Принципы корпоративных Финансов.** ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2009.
5. **Зви Боден. Роберт К. Мертон** Фининсы. Изд. Дом Вильмс Москва Санкт–Петербург Киев 2004;
6. **Бочаров В.В., Леонтьев В.Е.** Корпоративные финансы. Санкт-Петербург изд., Питер. 2004.

#### **About the improvement of working capital management**

**Khatuna Barbakadze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

#### **Summary**

Management of working capital means working of administration in order to form policy about working capital. Managers need to know what size should be each element as well as structure of the capital, because expenses can be arisen, which will be related to excess of working capital as well as to insufficient volume. Generally, management of working capital should be understood as a process which will be oriented on achievement of optimal and effective usage of these facilities. In addition, it is necessary to develop general principles about the management of working facilities of enterprises, which will be some kind of orient for implementing new system of working facilities management. Thus, in order to conduct business efficiently, managers should try to avoid these expenses. Therefore, decision made on working capital has permanent character.

**საოცნებო ჯანმრთელობა საოცნებო მედიცინის და საოცნებო  
სამედიცინო დაზღვევის ფასად...**

**ქანა ბალახაშვილი**  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*  
*დოქტორანტი*

ჯანმრთელობაზე უფრო ძვირფასი ადამიანისთვის არაფერია, ამიტომ არის რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ჯანმრთელობის ხელშეწყობის ასეთი დევიზი აღიარა: „მოქალაქეებისთვის იმის უზრუნველყოფა, რომ მათ უკეთესად გააკონტროლონ თავიანთი ჯანმრთელობა მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და ამით გაუმჯობესონ ჯანმრთელობა“.

იმის მიუხედავად რომ ამ უკანასკნელ წლებში საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა, რაც უშუალოდ ეხება ჯანდაცვის სისტემასაც, ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მისი კლინიკური შედეგები მხოლოდ წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით კი კვლავაც დიდად ჩამორჩენილი ვართ.

PMCG და Oxford Policy Management (OPM) მიერ მომზადებულ კვლევაში – „ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსთვის 2010-2015 წ.წ.-ში“ პირდაპირ ვკითხულობთ: „შემაშფოთებელია, რომ საქართველოში ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები საშუალო ევროპულ პარამეტრებთან შედარებით გაცილებით დაბალია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 2007 წელს იყო 75.1 წელი, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე 2007 წელს შეადგენდა 14-ს, დედათა სიკვდილიანობა კი – 15.6-ს [1, გვ. 8-9]. 2007 წლის ეს მაჩვენებლები შედარებით გაუმჯობესდა 2009-2010 წლებისათვის და მან შეადგინა: სიცოცხლის ხანგრძლივობა 73.8 წელი (2009), ბავშვთა სიკვდილიანობა – 12%, დედათა სიკვდილიანობა – 14,0 [2, გვ. 10]. ამის მიუხედავად საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ეს მაჩვენებლები კვლავაც დაშორებულია ევროპის ქვეყნების შესაბამის საშუალო მაჩვენებლებთან. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იქ შეადგენს 78,5 წელს, ბავშვთა სიკვდილიანობა ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე 7-6, ხოლო დედათა სიკვდილიანობა 12,3-ს [3]. ევროპის ეს მაჩვენებლები სამიზნე მაჩვენებლებათ არის ჩათვლილი საქართველოს 2010-2015 წ.წ.-ის ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიაში.

ამ სტრატეგიის დანერგვის გადაუდებელ მნიშვნელობას ადასტურებს საქართველოში არსებული სიკვდილიანობის მიზეზების მიმოხილვა: გულსისხლძარღვთა დაავადებები – 71%, სიმსივნეები – 12%, გადამდები დაავადებები – 5%, ტრამეები – 4%, დიაბეტი – 2% და სხვ.

კვლავაც საგანგაშოა ტუბერკულოზით დაავადების მაჩვენებლები – ყოველ 100.000 კაცზე – 95, ხშირია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ოფიციალური მონაცემებით 1992 წლიდან ფსიქიკური დარღვევების გავრცელების მაჩვენებელი 3-ჯერ გაზრდილია [4], შიდსის დაავადება ყოველ 100.000 კაცზე 1,8-დან (2000 წ.) 7,8-მდეა (2007 წ.) გაზრდილი და ა. შ.

ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის მთავრობის უპირველეს საზრუნავს. მართალია, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, მაგრამ ჯანმრთელობის

ხელშეწყობის საკითხში (საკვების უსაფრთხოება, სანიტარული პირობები, ჯანსაღი ცხოვრების წესი) ჩართული უნდა იყონ სხვა სტრუქტურებიც.

მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით ყველა ამ სტრუქტურების მუშაობა საბოლოო ჯამში დაფინანსებაზე დამოკიდებული.

ჯანმრთელობის ხელშეწყობას საქართველოში ბევრი პრობლემა აქვს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია [1, გვ. 22-23]:

- ეკონომიკური კრიზისი და ჯანდაცვის სახელმწიფო ბიუჯეტზე მისი უარყოფითი ზეგავლენა;
- სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაში უთანასწორობა. უსახსრობის გამო თვითმკურნალობის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რასაც ჯანმრთელობისთვის სავალალო შედეგები მოაქვს;
- ავადმყოფობის პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის პრაქტიკის განვითარებისთვის პოლიტიკური ნების არარსებობა;
- მულტისექტორული მუშაობის სირთულე;
- არასაკმარისად მძლავრი პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება უთანასწორობის შემცირებისაკენ შემოსავლის და აქედან გამომდინარე ჯანმრთელობის საკითხებთან მიმართებაში;
- სუსტი პირველადი ჯანდაცვა;
- არაადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსები ჯანმრთელობის ხელშეწყობის თვალსაზრისით;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნებისთვის არსებული კანონების აღსრულების სისუსტე.

რაღა თქმა უნდა, რომ საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისკენ მიმართული ძალისხმევა უნდა ითვალისწინებდეს ამ პრობლემების გადაჭრას და იმ შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობით ეს შეიძლება მოხდეს. პრობლემათა ამ ჩამონათვალიდან მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ჯანდაცვისთვის გამოყოფილ სახსრების არაადეკვატურობის პრობლემას. ცნობილია, რომ საზღვარგარეთის მთელ რიგ სახელმწიფოებში ჯანმრთელობის ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ პროცენტულად შეადგენს აშშ-ში – 15,2%, შვეიცარიაში – 11,5%-ს, საფრანგეთში – 10,1%-ს, ავსტრალიაში – 9,5%-ს, ბელგიაში – 9,4%-ს და ა. შ. [5, გვ. 70]. ევროკავშირის ქვეყნებში ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები ბიუჯეტის 14-15%-ია, საქართველოში კი 2012 წელს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი – 1768,0 მლნ ლარი, აქედან უშუალოდ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე (სამედიცინო დაზღვევის ჩათვლით) და სამედიცინო დაწესებულებების აშენება-რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე – 365,3 მლნ ლარი, ანუ ქვეყნის მთელი ბიუჯეტის (6,049 მლრდ ლარი) მხოლოდ – 6,1% [7, გვ. 33].

საქართველოს 2012 წლის ბიუჯეტით ჯანმრთელობის დაზღვევაზე გამოყოფილი იყო – 168,5 მლნ ლარი. ამ თანხით სახელმწიფომ ბენეფიციარის წილობრივი მონაწილეობის მეთოდით 2012 წლის 1 სექტემბრიდან საკუთარი ჯიბიდან სამედიცინო ხარჯები შეუმცირა ყველა პენსიონერს და პირველი ჯგუფის ინვალიდს (690 ათასი ბენეფიციარი) და 0-5 წლის ასაკის ყველა ბავშვს (290 ათასი ბენეფიციარი) [6, გვ. 36]. მართალია 2012 წელს მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევისთვის უფრო მეტი თანხა იყო გამოყოფილი ვიდრე გამოიყოფოდა წინა წლებში (რის გამოც 2007-2008 წლებში მოსახლეობის – 76%-ს დაზღვევის არმქონენი შეადგენდნენ და მხოლოდ – 24% იყო დაზღვეული [7, გვ. 21]. აქედან სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით დაზღვეულები – 18%, ნებაყოფლობით დაზღვეულები – 1%, დამქირაველების მიერ დაზღვეულები (კორპორატიული დაზღვევა) – 5%), მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დღევანდელი უკიდურესი გაჭირვებიდან გამომდინარე, დაზღვევისთვის გამოყოფილი ეს თანხაც არ არის საკმარისი. მოსახლეობის ასეთი ფინანსური გაჭირ-

ვება ქმნის მათ მიერ სამედიცინო სერვისის მიღებაში დიდ დაბრკოლებებს (ბარიერებს). ფინანსური დაბრკოლებების დაძლევა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ეს ბარიერი მთლიანად თუ არა დიდწილად უნდა მოხსნას სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის შემოღებამ.

ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ საქართველოს პრალამენტის უმრავლესობის წინადადებას საქართველოში საყოველთაო საბაზრო პაკეტით მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის შემოღების შესახებ, რომელიც შეეხება მთელ მოსახლეობას და ამასთან, ყველა ძირითადი სახის დაავადებას და არა მის ნაწილს, როგორც ახლა არის.

გაუდერდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ტრიპარტიზმის პრინციპით (სახელმწიფო + ექიმები + პაციენტები) შეიქმნება სადაზღვევო ფონდი, რომელსაც საჯარო შეთანხმებით და სრული გამჭვირვალობით უხელმძღვანელებს ეს სამი სუბიექტი. საქართველოში მოქმედი ეხლანდელი სადაზღვევო კომპანიებისგან განსხვავებით ფონდი არ იქნება მომგებიანი ორგანიზაცია და არ იბრუნებს იმაზე, რომ ნაკლებ პაციენტს უმკურნალოს, რათა თავისი მოგება გაზარდოს, რასაც აკეთებენ საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიები. საქართველოს კონტროლის პალატის ცნობით სახელმწიფოს მიერ დაზღვევისათვის 2008-2010 წლებში გამოყოფილი თანხების – 58% „მათ ყულაბაში დაღუქილა“. მათგან განსხვავებით ტრიპარტიზმის პრინციპით შექმნილი ფონდის ამოცანა იქნება, რაც შეიძლება მეტი პაციენტის მომსახურება და მათთვის დიდი მოცულობის სამედიცინო-სერვისის შეთავაზება. ცხადია, ეს მოსკობს ამ სფეროში ამჟამად არსებულ მონოპოლიურ კონგლომერატებს, რომელშიც გაერთიანებული არიან და არა პაციენტს, არამედ საკუთარ მოგების გაზრდას ემსახურებიან – სადაზღვევო კომპანია, კლინიკა, აფთიაქი და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ბანკი და ბიუჯეტიც კი.

საქართველოს მთელი მოსახლეობა და განსაკუთრებით მისი უღარიბესი ნაწილი დიდი იმედით ელის ამ სიახლის გატარებას საქართველოში. მართალია 2012 წლის 1 სექტემბრიდან 690 ათასმა პენსიონერმა და პირველი ჯგუფის ინვალიდმა მიიღო სამედიცინო დაზღვევის პაკეტი, მაგრამ ეს ხომ ღარიბთა ფენის 25-30%-ია მხოლოდ. რა ქნან დანარჩენებმა, როგორ იმკურნალონ, როცა არც ხელფასი აქვთ და არც პენსია? ამასთან, დაზღვეულ ბენეფიციარებსაც კი მხოლოდ რამდენიმე სახის დაავადება უფინანსდებათ და ისიც ნაწილობრივ. ამ პაციენტებს დაავადების თვითდაფინანსების სახსრები რა თქმა უნდა არ გააჩნიათ, რის გამოც ისინი უკურნებელი რჩებიან. ასეთ დროს, ერთ-ერთ მუშა დოკუმენტში, რომელიც ეხება ჯანდაცვის ხარისხს, ვკითხულობთ [8, გვ. 8]: „მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც გეოგრაფიულად, ისე **ფინანსურად** და ხარისხობრივად. არ უნდა არსებობდეს ისეთი სისტემა, როდესაც პაციენტი უარს ღებულობს სამედიცინო მომსახურებაზე რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გამო ან გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური შესაძლებლობის არქონის გამო“.

საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მატერიალურად უჭირს. ცხოვრების არასრულფასოვანმა პირობებმა – უბინაობამ, სიცივემ, შიმშილმა და სხვა რისკ-ფაქტორებმა უარყოფითი გავლენა იქონია მოსახლეობის ჯანრთელობაზე. 2010 წელს გარდაიცვალა – 46625 კაცი, ანუ 4370 კაცით მეტი, ვიდრე 2006 წელს. მოკვდაობის კოეფიციენტი შეადგინა ყოველ 1000 კაცზე ანგარიშით – 10,6 [9, გვ. 40].

უცხოელი ექსპერტები აღიარებენ რომ საქართველოსთვის სიღარიბე უმწვავესი სოციალური პრობლემაა და ძირითადი შიდა საფრთხეა. მათი მონაცემებით 2003 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი 54,5%-ს შეადგენდა, რომელიც მათივე გამოთვლით 2007 წელს – 21,3%-მდე შემცირდა. გასულ 5 წელიწადში კი მოსახლეობის სიღარიბე უფრო გამწვავებულა. ამას გვიჩვენებს ჯინის კოეფიციენტი, რომელიც თუ 2004 წელს შედგენდა 22:1-თან [10, გვ. 69], ამჟამად შეადგენს 40,8:1-თან [11, გვ. 8]. ჯინის კოეფიციენტის ზღვრული კრიტიკული

მაჩვენებელი არის 10:1. მაშასადამე, დღეს საქართველოში თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ 10%-იანი ჯგუფების შემოსავლებს შორის 4-ჯერ აღემატება მსოფლიოში მიღებულ კრიტიკულ ზღვარს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველოს ახალი მთავრობის მიერ სამოქმედო პროგრამით დეკლარირებულ მოსახლეობის საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის საბაზო პაკეტის შემოღებისას, არასწორად მიგვაჩნია მისით საქართველოს მდიდარი მოსახლეობის მოცვატ. მათ, თავიანთი ცხოვრების დონიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი თანადგომა არ სჭირდებათ. უმჯობესია ეს სახსრები ისე ღარიბ მოსახლეობას მოხმარდეს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსთვის 2010-2015 წ.წ.-ში. თბ., 2009 წ. ივნისი, გვ. 8-9.
2. ნ. გალახვარიძე, რეგიონების მდგრადი განვითარების კონცეპტუალური ანალიზი, ქ. სოციალური ეკონომიკა, №2, 2012, გვ. 103.
3. Georgia Health System Performance Assessment, 2008, full report, MolHSA.
4. The Situation of People with mental Health Problems and People with Intellectual Disabilities, [www.osmhi.org/contentpies](http://www.osmhi.org/contentpies).
5. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობით“, 2011. იანვარი, გვ. 70.
6. საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2012.
7. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება, თბ., 2009, გვ. 21.
8. ი. სასანია, ჯანდაცვის ხარისხის სტრუქტურა და მისი გაზომვის საშუალებები, თბ., ივლისი, 2010, გვ. 8.
9. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2011, გვ. 40.
10. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი), თბ., FES, 2007, გვ. 69.
11. ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოს 2010-2015 წ.წ. თბ., 2009. ივნისი.

#### **Dream health for Medical dream insurance payment**

**Jana Balakhashvili**

Georgian Technical University

Doctoral Student

#### **Summary**

In Jana Balakhashvili's article "Dream health for Medical dream insurance payment", as we see from the title, has been discussed the modern situation of healthcare and medical insurance in Georgia. Comparing to the past years and besides the achievements in this fields, it isn't developed according to the European standards.

In the article the author pays special attention to the situation of poor population healthcare in Georgia and raises a question to necessity of their general Medical insurance.

**მცირე ბიზნესის რეგიონული განვითარების პრობლემები და მათი  
გადაწყვეტის გზები საქართველოში**

**ხათუნა ბებნაძე**

*სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი*

საქართველო სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა ეტაპზე შეიმუშავებს მიზანმიმართულ და შედეგზე ორიენტირებულ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას. მისი ძირითადი მიმართულებები მთლიანად ქვეყნისა და ცალკეული რეგიონის დონეზე ითვალისწინებს ქვეყნის მშპ-ს ზრდას, რეგიონული საწარმოო პოტენციალის ოპტიმალურ გამოყენებას, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ამაღლებას, საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებას.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ხორციელდება სოციალური პროგრამები, რომლებიც სიღარიბის დაძლევისკენაა მიმართული, რაც ბუნებრივია ერთჯერადი კომპენსაციებითა და დახმარებებით შეუძლებელია. ის უნდა განხორციელდეს აქტიური დასაქმებით, რომელიც ბიზნესის დაჩქარებულ განვითარებას და აღმავლობას უკავშირდება. ბიზნესის წარმოება ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი შრომით, საკუთარი რისკის ფასად გამოავლინოს თავისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები, გახდეს საზოგადოების სრულყოფილი და აღიარებული, ღირსეული წევრი. დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა არა მხოლოდ „ხსნის ჰორიზონტებს“, არამედ გარკვეულ პასუხისმგებლობასაც აკისრებს ადამიანებს, რომელიც უბიძგებს მათ თვითგანვითარებისა და განათლების დონის ამაღლებისაკენ, დადებითად მოქმედებს მოსახლეობის ეკონომიკურ განათლებაზე, ბიზნეს ურთიერთობების კულტურის სრულყოფაზე.

ამ თვალსაზრისით ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციაა ბიზნესის ხელშეწყობა. ქვეყნის გეოგრაფიულ და მეურნეობრიობის თავისებურებების, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნების, ტრადიციების გათვალისწინებით პერსპექტიულად გვესახება მცირე ბიზნესის განვითარება. რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან აღსანიშნავია რეგიონის დემოგრაფიული თავისებურებები, რესურსების ათვისების ხასიათი, ინფრასტრუქტურის დონე, რეგიონული ხელისუფლების დამოკიდებულება და სხვა.

მცირე ბიზნესის განვითარების რეგიონული მართვის პრინციპების პერსპექტიულობას ამტკიცებს შემდეგი პირობაც: საქართველო კლასიკური მთიანი ქვეყანაა და მცირე კომლიანი დასახლებული პუნქტების (განსაკუთრებით სოფლებში) სიმრავლით ხასიათდება. აქ მცხოვრები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისათვის ხელსაყრელია მცირე საწარმოთა ამოქმედება. ეს ერთის მხრივ, სასარგებლოა მეწარმესათვის, რადგან საშუალება ეძლევა დაასაქმოს ადგილზე მცხოვრები იაფი მუშახელი, ხოლო მეორეს მხრივ, თავიდან გვაცილებს მოსახლეობის გადაადგილების საჭიროებას სამუშაოს მოძებნასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესს ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში. ამასთან მცირე ბიზნესის განვითარება რეგიონებში უნდა დაეუკავშიროთ აქტიურ სტრუქტურულ პოლიტიკას. ეს უმჯობესია განხორციელდეს მიზანმიმართულად, იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ეფექტიანობას. დღევანდელ პირობებში პერსპექტიულად მიგვაჩნია შემდეგი მიმართულებები: ფერმერული მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის

გადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება, ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა, მომსახურების სფერო, საექსპორტო პროდუქციის, იმპორტ-მექცვლელი პროდუქციის წარმოების ზრდა, ინოვაციების სფერო, ხალხური რეწვა, მაღალტექნოლოგიური წარმოება.

დღეს საქართველოს რეგიონებში გვაქვს მცირე ბიზნესის არარაციონალური სტრუქტურა, რაც გამოიხატება რეგიონების, მხარეების, ქალაქებისა და დაბების მიხედვით მათ არათანაბარ განვითარებაში. უპირატესობა ენიჭებათ ისეთ რეგიონებს, სადაც ინფრასტრუქტურა გაცილებით განვითარებულია, მდებარეობს გასაღების ბაზრებთან, ყავს კვალიფიციური კადრები. რეგიონებში მცირე მეწარმეობის განვითარების დონე დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის შემოსავლების დონე, განვითარებული ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება.

თბილისში მცირე საწარმოთა დიდი რაოდენობით კონცენტრირება აიხსნება იმით, რომ დედაქალაქი ფლობს განვითარებულ საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურას, მის ტერიტორიაზე კონცენტრირებულია საწარმოო სიმძლავრეები და კვალიფიციური კადრები. სამაგიეროდ სუსტად არის განვითარებული ეკონომიკის ეს სექტორი მომცრო ქალაქებში და სოფლებში, თუმცა სწორედ ასეთ დასახლებულ პუნქტებში უფრო იგრძნობა საქონლისა და მომსახურების დეფიციტი, დასაქმებისა და კულტურული კეთილდღეობის პრობლემა. გამოკვეთილია ქ. თბილისის დომინირებადი ადგილი ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მომდევნო ადგილზეა აჭარა, ქვემო ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და სხვა რეგიონები. აღსანიშნავია წარმოებული პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვანი ზრდა თითქმის ყველა რეგიონში – თბილისში 92%-ით, გურიაში 97%-ით, აჭარაში 49%-ით, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში შესაბამისად 77%-ითა და 69%-ით, კლება დაფიქსირდა კახეთსა (11,2%) და რაჭა-ლეჩხუმში (41%). მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნებოდა დასაქმების კუთხითაც. თბილისში მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა 2011 წელს 2009 წელთან შედარებით გაიზარდა 50%-ით, მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნებოდა ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარასა და მცხეთა-თიანეთში (30-35%).

მოყვანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ მცირე ბიზნესში ჩართვას სულ უფრო მზარდი ხასიათი აქვს. ბრუნვისა და პროდუქციის მაჩვენებლების ზრდა, ცხადია დაკავშირებულია ინფლაციის პროცესებთან, მაგრამ უფრო მეტად სამეწარმეო აქტივობის გაძლიერებას, საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნას ეუკავშირებთ, რაც მისასაღამებელი ფაქტია. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ზრდას – მთლიანად გამოწვეულია ინფლაციით და საარსებო მინიმუმის ზრდასათანა კავშირში.

თანამედროვე საბაზრო ტენდენციათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში გამძაფრდა კონკურენცია ყველა სახის ბაზარზე. ამ ფონზე გადარჩენისა და განვითარებისათვის მსხვილი კომპანიებიც ცდილობენ რისკების გაზიარებისა და საკუთარი კონკურენტული უპირატესობების გამყარებისათვის შექმნან ან შევიდნენ ურთიერთობათა ქსელებში. ეს გამოიწვევს ქსელური კონკურენციის ახალი ტიპის წარმოშობას. ასეთ პირობებში მცირე მეწარმე სუბიექტებმა, რომელთაც აქვთ რესურსული შეზღუდულობა, სერიოზულად უნდა გადახედონ ტრადიციულ მიდგომებს და შეიმუშაონ ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები. მცირე ბიზნესი თავისი მოქნილობის წყალობით წარმატებულად ინტეგრირდება ბიზნეს-გარემოში, ესამება საბაზრო ცვლილებებს და თანამშრომლობს პარტნიორებთან, მაშინ როცა მსხვილ საწარმოებს ამისათვის სჭირდებათ ხანგრძლივი შეთანხმებები და სპეციალური მმართველობითი პროცედურები. ასეთ ურთიერთობათა ჩამოყალიბება საქართველოსა და უცხოეთში სრულიად სხვადასხვაგვარია ინსტიტუციონალური და სხვა სახის განსხვავებათა გამო, რაც ართულებს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების პირდაპირ გამოყენებას. საქართველოში



მცირე მეწარმე-სუბიექტთა ურთიერთობების დიდი ნაწილი ეფუძნებოდა მსხვილ სახელმწიფო საწარმოებთან ისტორიულ კავშირებს ან კიდევ საწარმოს ხელმძღვანელთა არაფორმალურ კავშირებს. ამიტომაც მხოლოდ 2000-იანი წლების დასაწყისიდან შეიძლება საუბარი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირებაზე მცირე ბიზნესში, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფასა და განვითარებას.

თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების ეტაპის დასრულება მოითხოვს მისი დარგობრივი სტრუქტურის რაციონალიზაციის, რეგიონული დისპროპორციების გათანაბრებას, ეკონომიკის ამ სექტორის ეფექტიანობის ამაღლებას ამ მიმართულებით. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია „კლასტერების“ ჩამოყალიბებისადმი მიდგომების განვითარება საქართველოში. სტრატეგიული მართვის თეორეტიკოსის, მაიკლ პორტერის მიხედვით „კლასტერის ფორმირებისას მასში არსებული ყველა წარმოება ურთიერთმხარდაჭერას განიცდის. სარგებელი ვრცელდება კავშირების ყველა მიმართულებით. აქტიური კონკურენცია ერთ დარგში ვრცელდება კლასტერის ყველა სხვა დარგზე“. კლასტერული სტრატეგია გადაიქცა მსოფლიოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მოქმედების ერთ-ერთ სტრატეგიად. ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის მონაცემებით, აშშ-ს ეკონომიკაში დასაქმებულთა 32%-ზე მეტს კლასტერები უზრუნველყოფენ, შვედეთში - 39%-ს, შრომის მწარმოებლურობა ასეთ სექტორებში ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 44%-ით მეტია. უფრო მეტიც, კლასტერული სექტორი არის ლოკალური ბაზრის მომსახურე სექტორების განვითარების მამოძრავებელი ძალა. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ რაც უფრო განვითარებულია კლასტერები ცალკეულ ქვეყანაში, მით უფრო მაღალია ამ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე და კომპანიების კონკურენტუნარიანობა.

აგრარული კლასტერების წარმატება დადასტურებულია უცხოეთის გამოცდილებითაც. მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში დანია მიეკუთვნებოდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ სასურსათო პროდუქციის იმპორტზე, კლასტერების შექმნის შემდეგ კი ის წარმატებით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს (60%). საქართველოს აგრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისათვის პერსპექტიულად მიგვაჩნია რეგიონული კლასტერების შექმნა, რომლის ცენტრშიც იქნება მცირე საწარმოთა დამსაქმებელი ძლიერი საწარმო. ერთობლივი ძალისხმევით უფრო უკეთ მოხდება კონკურენტუნარიანი, ინოვაციური პროდუქციის წარმოება.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი, რომლის სიძლიერესა და სიჯანსაღეზეა დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა და საზოგადოების თითოეული წევრის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს აქტიური პირდაპირი ჩარევის გარეშე კონკრეტული შედეგების მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა. დარგის განვითარებისათვის აუცილებელია კონცეფციის შექმნა, რომელშიც გაწერილი იქნება ის, თუ რა მდგომარეობაა ამ სფეროში, რა პრობლემები არსებობს და რა გვსურს, გვქონდეს სამი, ოთხი ან ხუთი წლის შემდეგ. ასევე უნდა შედგეს განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმები. განვითარებადი ქვეყნები სწორი აგრარული პოლიტიკის გარეშე ვერასოდეს გადაწყვეტენ დასაქმებისა და სიღარიბის პრობლემას. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის მნიშვნელოვანია როგორ აგრარულ პოლიტიკას განახორციელებს. ამ მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება ფასდაუდებელია, რადგან ისინი ტექნიკურ დახმარებას უწევენ განვითარებად ქვეყნებს ფერმერთა განათლებისა და აგროკულტურების განვითარების თანამედროვე მეთოდების დანერგვაში. უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის მაჩვენებელი სოფლებში განსაკუთრებით მაღალია და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა სოციალური დახმარების მომლოდინეა. ამიტომაც მის დასაძლევად ერთადერთ გზას წარმოადგენს ადგილებზე დასაქმება და წარმოებული პროდუქციისათვის სარეალიზაციო ბაზრის მოძიება. სიღარიბესთან ბრძოლის

პრობლემა და მისი დაძლევის კონკრეტული გზების დასახვა-შემუშავება კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყანაში აგრარული რეფორმების გატარების უაღტერნატივობას. მიგვანჩნია, რომ საქართველოს აგრარული მეურნეობა არის ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ბაზა და მეურნეობის ამ სფეროში სწორი პოლიტიკის წარმართვით შესაძლებელია ამაღლდეს ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე და ჩვენი სამეურნეო სტრუქტურა მოეწყოს ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე. აგრარული სტრატეგია საქართველოში უნდა წყვეტდეს შემდეგ ამოცანებს:

1. მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა საკუთარი რესურსების ათვისებით;
2. საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგების განვითარება და ქვეყანაში საკვები პროდუქტების შემოტანის მინიმინზაცია;
3. ადგილებზე სამუშაო ძალის დასაქმების მიზნით მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების სტიმულირება და მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესება;
4. კონკურენტუნარიანი და ინოვაციური პროდუქციის წარმოებით მსოფლიო ბაზარზე გასვლა.

საქართველოს რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარების არანაკლებ პერსპექტივას ქმნის ტურიზმი. ტურიზმის წარმატებული განვითარება ადეკვატურად აისახება მთელი რეგიონისა თუ ცალკეული რეგიონების ეკონომიკის ისეთ საკვანძო დარგებზე, როგორებიცაა: კავშირგაბმულობა და ტრანსპორტი, ვაჭრობა, მშენებლობა, კომუნიკაციები, სოფლის მეურნეობა და ფართო მოხმარების საგნების წარმოება და სხვა. აქედან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის ტურისტული ინდუსტრიის ფართო ქსელის შექმნა უმნიშვნელოვანესი მომენტი. მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც აქტიურად მიმდინარეობს ტურიზმის სფეროს განვითარება, სახელმწიფო სერიოზულად ეხმარება ამ დარგს – იგულისხმება როგორც პირდაპირი ინვესტიციები, ასევე საგადასახადო და საბაჟო შეღავათები, რაც დამატებით სტიმულად გვევლინება საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესების, შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის. თანამედროვე ტურიზმი მიჩნეულია სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორად, მისი მიზანმიმართული და კომპლექსური განვითარება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს. ტურიზმის სფეროში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ქმნის სულ მცირე ორ ახალ სამუშაო ადგილს მომიჯნავე დარგებში, როგორებიცაა ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კულტურა, განათლება, ჯანდაცვა და სხვა. ტურისტები არა მარტო ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების მატარებელია, არამედ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტზე მოთხოვნილების მქონე ადამიანიც. ამიტომ ამ პროდუქტს იგი იძენს და გაყიდული საქონელი ექსპორტირებულია იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად მისი გაგზავნისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თვით მომხმარებელი ჩამოდის მის შესასყიდად. ეს კი ქვეყნის შემოსავალს ზრდის. ტურიზმიდან მიღებული მოგების ნაკადი ერთეულ ეკონომიკურ ბრუნვაში და იძლევა ეფექტს. ჩვეულებრივ ითვლება, რომ უცხოელი ტურისტები სატრანსპორტო ხარჯებთან ერთად თავისი ხარჯების დაახლოებით 40%-ს ხარჯავს კვებაზე, სასტუმროებზე – 30%-ს, ქვეყნის შიგნით მოგზაურობაზე – 8%-ს, სხვა დანარჩენზე -22%-ს.

განსაკუთრებით ხელსაყრელია მცირე ბიზნესი მთიანი რეგიონების ტურისტულ განვითარებაში. საქართველო მთიანი ქვეყანაა რომელზეც მოდის მთელი ტერიტორიის 54,4%. მთიანეთი დღემდე წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს, ეს იქნება არქიტექტურის ძეგლები თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, ხალხური რეწვა თუ ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ქვეყნის მთიანეთი გვევლინება შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პოტენციურ რესურსად. მდგრადი ტურიზმის ფარგლებში ტურიზმის განვითარება კონტროლდება, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას,

განსაკუთრებით სოფლებში, სადაც მოსახლეობის დასაქმება სეზონურ და შემთხვევით ხასიათს ატარებს. მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოებს განვითარებაში. ასევე ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უპირატესობა უნდა მიენიჭოს მცირე მეწარმეობის განვითარების რეგიონულ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს განვითარების ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, რაც ბუნებრივია, მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას არ გულისხმობს. იგი ბაზარზე სწორი ორიენტაციის არჩევაშიც უნდა დაეხმაროს მეწარმეს. ამასთან ერთად, დაიცვას იგი საშინაო ბაზარზე, ხელი შეუწყოს საგადასახადო, სატარიფო, საბაჟო მექანიზმების გამოყენებით და სხვა. შემუშავდა საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2011-2017 წლებისათვის, რომლის მიზანსაც წარმოადგენს რეგიონული საინოვაციო სისტემის თანმიმდევრობითი განვითარების, რეგიონების შედარებითი უპირატესობის გამოყენებისა და სისტემური თანამშრომლობის საფუძველზე ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ყველა მონაწილე სუბიექტის აქტიური ჩართულობა და ინოვაციებზე ორიენტირებული სამეწარმეო ბიზნესის განვითარება.

თანამედროვე პირობებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საჭიროა მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის საკუთარი ინფრასტრუქტურის ფორმირება. რომლის საქმიანობის მიზანიც იქნება მცირე ბიზნესის განვითარებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა. ეს შეიძლება იყოს: მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრები და ფონდები, ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, კონსალტინგური ფირმები, საინფორმაციო სააგენტოები, ბიზნეს-ცენტრები და სხვა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს აჭარის ეკონომიკური განვითარების გეგმაში შესული მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორის შექმნის სახით. ის შეიქმნა გაეროს განვითარების პროგრამის, რუმინეთის მთავრობისა და აჭარის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. ეს არის სრულიადახალი ინიციატივა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დამწყებ კომპანიებს და დააჩქაროს მათი განვითარება. ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორის ჩვიდმეტი კომპანიიდან გასული წლის სექტემბერში ოთხმა მათგანმა ინკუბატორი დატოვა, როგორც წარმატებულმა ფირმებმა და დამკვიდრდნ ბაზარზე. ბიზნეს-ინკუბატორის კომპანიებში პირდაპირ დასაქმებულია 32 ადამიანი, ხოლო ირიბად მთელი წლის განმავლობაში 100-ზე მეტი. შთამბეჭდავია მათი შედეგებიც. 2012 წლის მდგომარეობით კომპანიების ჯამური ბრუნვა 300 ათას ლარს შეადგენდა, აქედან სულ გაცემული ხელფასების რაოდენობა 70 ათასს, ხოლო ბიუჯეტში შენატანი 50 ათას ლარს აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ ინკუბატორის დახმარებით შექმნილი ყოველი სამუშაო ადგილის დანახარჯი დაახლოებით 1100 აშშ დოლარია, იმ დროს როცა იგივე სამუშაო ადგილის შექმნა სახელმწიფოს 10 000 აშშ დოლარი უჯდება. ყოველი 1 აშშ დოლარის გაწეული სუბსიდია თითოეული კომპანიისაგან გადახდილი ადგილობრივი გადასახადის სახით 45 აშშ დოლარის ოდენობით უბრუნდება სახელმწიფოს. გაეროს განვითარების პროგრამისა და ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორის 2011 წლის 6 ივნისის შეთანხმების საფუძველზე ბიზნეს-ინკუბატორის დამატებითი ფუნქცია გახდა რეგიონში არსებული ინკუბატორის არაწევრი კომპანიებისათვის კონსულტაციების გაწევა. დღეის მდგომარეობით ამ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 35-მა კომპანიამ.

ამრიგად, ბიზნეს-ინკუბატორი ეხმარება ბიზნესს განვითარებისათვის საჭირო ფინანსური და ტექნიკური საშუალებების მოძიებაში. ინკუბატორის მიერ მიწოდებული საოფისე ფართი და აღჭურვილობა, კონსულტაციები შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს თავი აარიდონ დამატებით ხარჯებს, რაც მცირე ფირმების რაციონალური

და ეფექტური ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა საკონსულტაციო მომსახურება, ინფორმაციული ბაზა და საგანმანათლებლო ღონისძიებები ესმარება მეწარმეს თანამედროვე გარემოსთან შეგუებასა და განვითარებაში. ბიზნეს-ინკუბატორი ამცირებს მცირე ბიზნესის გაკოტრების რისკებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე მცირე მეწარმეობისათვის მუნიციპალურ მხარდაჭერას, იმდენად რამდენადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკეთ იცის მიზნობრივი უპირატესობები და ისიც თუ ვის სჭირდება დახმარება. რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ მუნიციპალურ ფონდებს, რომლებმაც მცირე ბიზნესის სუბიექტთა დასახმარებლად შეიძლება გამოიყენონ დაფინანსების სხვადასხვა სახეები: გრანტები,

შელავათიანი კრედიტები, უპროცენტო სესხები და სხვა. ასევე მათ შეუძლიათ მცირე ბიზნესზე გარანტიების წარდგენა, სპეციალურ ღონისძიებათა ჩატარება (გამოფენები, კონკურსები, ბაზრობები, აუქციონები), ქონებრივი და საინფორმაციო მხარდაჭერა. რეგიონებში მცირე ბიზნესის სტიმულირებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმებოდა, თუ სახელმწიფო მიიღებდა გადაწყვეტილებას ბიზნესიდან მიღებული გადასახადების ადგილობრივ ბიუჯეტებში წარმართვის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში თვით ადგილობრივი ხელისუფლება იქნებოდა დაინტერესებული ბიზნეს-სუბიექტების რიცხვის ზრდითა და მათი საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავებით, შესაბამისად კი ადგილობრივ ბიუჯეტებში შენატანების გაზრდით.

დღეისათვის საქართველოში მცირე ბიზნესში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ჯერ კიდევ ფორმირების დაბალ საფეხურზეა. მოთხოვნებს ჩამორჩება მისი ზრდის ტემპიც. ამ სფეროს რადიკალური გარდაქმნა-განვითარებისათვის აუცილებლობად გვესახება სახელმწიფო-მარეგულირებელი ფუნქციების გააქტიურება და მასშტაბების გაზრდა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ანზორ, „ინოვაციები თანამედროვე ბიზნესში“. თბილისი 2010 წ.
2. ასათიანი რ., ასათიანი ს., „ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია“. თბილისი 2009 წ.
3. ბარათაშვილი ევგენი, ქოქიაური ლამარა, „მენეჯმენტის პრინციპები“. თბილისი 2010 წ.
4. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., გრძელიშვილი ნ., „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება“. თბილისი 2010 წ.
5. ბოლქვაძე ბესიკ, „ბიზნესის ფინანსური ანალიზი: თეორია და პრაქტიკა“. თბ. 2007 წ.
6. ეთერია ემირ, „გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა“, თეორია და პრაქტიკა. თბ. 2009 წ.
7. ვაშაკიძე თამაზ, „ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში,“ თბ. 2009.
8. როსტიაშვილი თამარ, “მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სტრატეგია”, თბ. 2010 წ.
9. Ларичева З.М. Стрелкова Л.В. «Малый Бизнес: проблемы и перспективы его развития», Ж. «Менеджмент в росии и за рубежом» №5. 2006 г.
10. Small business in transition economies. Editid Jacob Levitsk. 1996.
11. Rachman D.J., Mescon C.L. Bovee. Business Tudey. Ten edition. McGraw-hill. Inc. N.Y. 2006.

## Regional development Problems and Solutions for Small Businesses in Georgia

Khatuna Bebnadze

Gori State Study University

Associate Professor

### Summary

The most important direction of economic reforms in Georgia represents the development of small and medium sized enterprises. Exactly effective function of this sector is what is depended on market competition, consumer market saturation degree, creation of new work places. The necessity of accelerated development of small and medium sized business in Georgia is conditioned by this circumstance that small sized business reveals flexibility, viability, because it is characterized with the ability of fast react toward market require, high quality of specialization, more opportunities of mobilization of resources. It represents an important source for tax income; it has a special role for the purpose of innovative development as well.

Elaboration and realization of the measures of small sized business effectiveness is an instrument of the development of national and regional economics, the improvement of social environment, the solution of political problems. The heads of economic subjects, business “makers” need accessibility on mechanisms of vision of perspectives of development and making strategic management decisions. These mechanisms should be based first of all on the complex and systemic approaches, the analysis of internal and external environmental factors, the aspiration to this that it should be achieved the development of “small business” as a component of the united economic system and guarantee for competitive economics.

### სტატისტიკის ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს სტატისტიკა

ჯულიეტა ბერაია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახური, ფასების სტატისტიკის

სამმართველოს უფროსისპეციალისტი,

ეკონომიკის მაგისტრი

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სტატისტიკურ მეთოდოლოგიასა და სტანდარტებსაფუძველად დაედო საერთაშორისო სტანდარტები და ჯერაც სრულყოფის პროცესშია. მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო ანალოგებთან დიდ როლს ასრულებს ინფორმაციის შესადარისობის კუთხით. საქართველოსთვის, როგორც ევროპულად ორიენტირებული ქვეყნისათვის, და მათ შორის სტატისტიკის სამსახურისათვის, მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიისა და სტანდარტების ევროპულ ანალოგებთან თავსებადობა. ამ მხრივ საქსტატის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) ფასების სტატისტიკაც არ წარმოადგენს გამონაკლისს.

კერძოდ, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ეროვნული მეთოდოლოგია ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოს “სამომხმარებლო ფასების ინდექსი”<sup>1</sup> და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს “სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოება”<sup>2</sup>. პერიოდულად ხორციელდება სამუშაო შეხვედრები შესაბამისი დარგის უცხოელ ექსპერტებთან, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება და განხორციელება პრაქტიკაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია “საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შვედეთის სტატისტიკის თანამშრომლობის პროექტი”<sup>3</sup> (დაიწყო 2011 წლის სექტემბერში). პროექტის მიზანია სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფა საქართველოში. მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ფასების სტატისტიკაც. ამავე პროექტის ფარგლებში ხორციელდება თანამშრომლობა სტატისტიკური მონაცემების ხარისხის მართვის საკითხებშიც.

ხარისხიანი ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვნება ძალიან დიდია მდგრადი განვითარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ანალიზისა და პრინციპული გადაწყვეტილებების მისაღებად, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისა და სახელმწიფოების ზრდადი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მსოფლიო მასშტაბით, რაც თავის მხრივ ღიაობასა და ტრანსფარანტულობას მოითხოვს. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ფუნდამენტური ღირებულებებისა და პრინციპების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, რაც სტატისტიკური საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს, გარანტად უნდა იქცნენ იურიდიული და ინსტიტუციონალური მექანიზმები. ყოველივე ზემოაღნიშნული თავმოყრილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის მიერ მიღებულ “ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებში”<sup>4</sup>.

თავის მხრივ ევროპული სტატისტიკის ხარისხის მართვის საფუძველია “ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი”<sup>5</sup>, რომელიც ეყრდნობა სტატისტიკის ზემოხსენებულ ფუნდამენტურ პრინციპებს.

**ევროსტატის<sup>6</sup> პრაქტიკის კოდექსის პრინციპებია:**

1. **პროფესიული დამოუკიდებლობა** – სტატისტიკური ორგანოების პროფესიული დამოუკიდებლობა სხვა პოლიტიკური, ადმინისტრაციული ან ადმინისტრაციული ორგანოებისა და უწყებებისაგან, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებისაგან, ევროპის სტატისტიკის სანდოობას უზრუნველყოფს;
2. **მონაცემთა შეგროვების მანდატი** – სტატისტიკურ ორგანოებს აქვთ კანონიერი უფლება მოიპოვონ ინფორმაცია სტატისტიკური მიზნებისათვის. ადმინისტრაციული ორგანოები, საწარმოები და შინამეურნეობები, ასევე მთელი საზოგადოება შესაძლოა ვალდებული იყვნენ ხელმისაწვდომი გახადონ ან

<sup>1</sup> Inter-secretariat Working Group on Price Statistics, “Consumer Price Index Manual: Theory and Practice (2004): <http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/guides/cpi/index.htm>

<sup>2</sup> United Nations, “Practical Guide to Producing Consumer Price Indices” (2009): [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/price/Practical\\_Guide\\_to\\_Producing\\_CPI.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/price/Practical_Guide_to_Producing_CPI.pdf)

<sup>3</sup> საქსტატი, საერთაშორისო თანამშრომლობის მიმდინარე პროექტები (2014): [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=1234&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1234&lang=geo)

<sup>4</sup> United Nations Statistics Division, “Fundamental Principles of Official Statistics”: <http://unstats.un.org/unsd/dnss/gp/fundprinciples.aspx>

<sup>5</sup> European Statistical System Committee, “European Statistics Code of Practice”: [http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY\\_OFFPUB/KS-32-11-955/EN/KS-32-11-955-EN.PDF](http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-32-11-955/EN/KS-32-11-955-EN.PDF)

<sup>6</sup> EUROSTAT (European Statistics): <http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home>

მიაწოდონ მათ ხელთ არსებული მონაცემები ევროპული სტატისტიკური მიზნებისათვის, სტატისტიკური ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად;

3. **რესურსების ადეკვატურობა** – სტატისტიკური ორგანოებისათვის ხელმისაწვდომი რესურსები შეესაბამება ევროპის სტატისტიკის მოთხოვნებს;
4. **ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულება** – სტატისტიკური ორგანოების მოწოდებაა ხარისხის შენარჩუნება. ისინი სისტემატურად და რეგულარულად ადგენენძლიერ და სუსტ მხარეებს, რათა მუდმივად მოხდეს სტატისტიკის წარმოების პროცესისა და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება;
5. **სტატისტიკური კონფიდენციალურობა** – ინფორმაციის მომწოდებლების (შინამეურნეობების, საწარმოების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვა რესპონდენტების) პირადი ხელშეუხებლობა, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ამ უკანასკნელის გამოყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის აბსოლუტურად გარანტირებულია;
6. **მიუკერძოებლობა და ობიექტურობა** – სტატისტიკური ორგანოები, სამეცნიერო დამოუკიდებლობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმისა და გამჭვირვალობის დაცვის საფუძველზე, შეიმუშავენ, აწარმოებენ და ავრცელებენ ევროპულ სტატისტიკას, რომლის ყველა მომხმარებელი თანასწორია;
7. **სრულყოფილი მეთოდოლოგია** – სრულყოფილი მეთოდოლოგია სტატისტიკის ხარისხის საფუძველია. ამისათვის საჭიროა შესაბამისი საშუალებები, პროცედურები და გამოცდილება;
8. **სტატისტიკური პროცედურების შესაბამისობა** – შესაბამისი სტატისტიკური პროცედურები, რომელებიც ხორციელდება მონაცემთა შეგროვებიდან მათ კონტროლამდე, სტატისტიკის ხარისხის საფუძველს წარმოადგენს;
9. **რესპონდენტების გადაჭარბებული დატვირთვისაგან თავის არიდება** – ანგარიშგების ტვირთი მომხმარებლების მოთხოვნების პროპორციულია და რესპონდენტებისათვის არ არის გადაჭარბებული. სტატისტიკური ორგანიზაციები სისტემატურად ახორციელებენ რესპონდენტების დატვირთვის მონიტორინგს და დროთა განმავლობაში მისი შემცირების მიზნით ადგენენ მათ მიზნობრიობას;
10. **ღირებულების ეფექტიანობა** – რესურსები გამოიყენება ეფექტიანად;
11. **შესაბამისობა** – ევროპის სტატისტიკა ითვალისწინებს სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების მოთხოვნებს;
12. **სიზუსტე და საიმედოობა** – ევროპული სტატისტიკა ზუსტად და საიმედოდ ასახავს რეალურ მდგომარეობას;
13. **დროულობა და პუნქტუალურობა** – ევროპული სტატისტიკა ქვეყნდება დროულად და პუნქტუალურად;
14. **თანმიმდევრულობა და შესადარისობა** – ევროპული სტატისტიკა თანმიმდევრულია დროში და შესადარისია რეგიონებსა და ქვეყნებს შორის; შესაძლებელია სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შესაბამისი მონაცემების გაერთიანება და მათი ერთობლივად გამოყენება;
15. **ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა** – ევროპული სტატისტიკა გადმოცემულია ნათლად და გასაგებად, ქვეყნდება შესაფერისი და ხელსაყრელი ფორმით, თანაბრად ხელმისაწვდომია თანდართული მეტამონაცემებითა და სახელმძღვანელოებით.

სტატისტიკის სამყაროში ხარისხს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ევროპული სტატისტიკის ფუნდამენტურ ნორმატიულ-სამართლებრივობაზის საშუალებით (მათ შორის აღსანიშნავია “ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი” და “ხარისხის საიმედო მართვა ევროპული სტატისტიკისთვის” [“Towards robust quality management for European Statistics”]) ევროპული სტატისტიკის სისტემა (ESS –

**the European Statistical System**)თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ხარისხი ყოველგვარი სტატისტიკური აზროვნების გულს წარმოადგენს.

ხარისხის ანგარიშის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაამყარა ევროპული სტატისტიკის შესახებ №223/2009 რეგულაციამ<sup>1</sup>. ოფიციალურ სტატისტიკის მწარმოებლები წარმოადგენენ გარანტს იმისა, რომ ევროპული სტატისტიკის წარმოება და გავრცელება ხდება ერთიანი სტანდარტებისა და ჰარმონიზებული მეთოდების საფუძველზე. გარდა ამისა, სტატისტიკის მომხმარებლებს აქვთ გარანტირებული წვდომის მქონე მეთოდებისადმი, რომლებიც აღწერს სტატისტიკური მონაცემების ხარისხს, ასე რომ მათ შეუძლიათ სტატისტიკის სწორი ინტერპრეტირება და გამოყენება.

ESS-ის ხარისხის ანგარიშის სტანდარტის დოკუმენტი და მისი სტრუქტურა აგებულია ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის თხუთმეტ პრინციპზე. ESS-ის ხარისხის ანგარიშის სახელმძღვანელო<sup>2</sup>(the ESS Handbook for Quality Reports–EHQR) განკუთვნილია ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისათვის, ევროსტატისა და სხვა ეროვნული ინსტიტუტებისათვის, როგორც ევროპული სტატისტიკის შემუშავებლების, მწარმოებლებისა და გამავრცელებლებისათვის. ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ხარისხის ჰარმონიზებული ანგარიშის (რეპორტის) წარმოება სტატისტიკურ პროცესებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ჯვარედინი შედარებებისა და ინფორმაციის გაცვლის გამარტივების მიზნით.

ESS-ის ხარისხის ანგარიშის სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია მითითებების შეთავაზება სტატისტიკური პროცესებისა და მათი შედეგების ხარისხის შესახებ კომპლექსური ანგარიშების მოსამზადებლად. მოცემულ კონტექსტში ტერმინი *სტატისტიკური პროცესი* გულისხმობს შერჩევით გამოკვლევას, აღწერას, ადმინისტრაციული მონაცემების კვლევას, ფასების ან სხვა ინდექსების გაანგარიშებას, ან ნებისმიერი სხვა სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, რომელსაც ჩვეულებრივ ახორციელებს ევროსტატი ან ეროვნული სტატისტიკური სამსახურები. ტერმინი *ეროვნული სტატისტიკური სამსახურები* ეროვნულ სტატისტიკურ ინსტიტუტებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული სტატისტიკის სისტემაში ან ნებისმიერ სხვა ეროვნულ სააგენტოსა თუ სამმართველოში, რომლებიც აწარმოებენ ევროპულ სტატისტიკურ სისტემასთან (ESS) დაკავშირებულ ოფიციალურ სტატისტიკას.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თანმხლები რეკომენდაციების კრებული ერთიანი ინტეგრირებული მეტამონაცემების სტრუქტურისათვის<sup>3</sup>(the Single Integrated Metadata Structure \_ SIMS). იგი უზრუნველყოფს ხარისხის შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმების ანალიზს, ასევე მოცემულია კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ უნდა იქნას ისინი წარმოდგენილი. ერთიანი ინტეგრირებული მეტამონაცემების სტრუქტურა წარმოადგენს დინამიურ აღწერას და კონცეპტუალურ საფუძველს ევროპული სტატისტიკური სისტემის ხარისხისა და სარეკომენდაციო მეტამონაცემების ცნებებისათვის, უნიკალური განსაზღვრებითა და ანგარიშების მკაფიო მითითებებით. ერთიანი ინტეგრირებული მეტამონაცემების სტრუქტურაში გაერთიანებულია ევროპული სტატისტიკური სისტემის ორი არსებული ანგარიშთა სისტემა: ESMS და ESQRS (Euro-SDMX [Statistical Data and Metadata Exchange])

<sup>1</sup>REGULATION (EC) No 223/2009 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 March 2009, [http://www.statistics.gr/portal/page/portal/ESYE/BUCKET/General/RegulationEuropStats223\\_09OJL8731March09en.pdf](http://www.statistics.gr/portal/page/portal/ESYE/BUCKET/General/RegulationEuropStats223_09OJL8731March09en.pdf)

<sup>2</sup>Eurostat, ESS Handbook for Quality Reports 2014:[http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/quality/documents/ESS\\_Handbook\\_for\\_Quality\\_Reports\\_2014.pdf](http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/quality/documents/ESS_Handbook_for_Quality_Reports_2014.pdf)

<sup>3</sup>Eurostat, Technical Manual of the Single Integrated Metadata Structure (SIMS): [http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/quality/quality\\_reporting](http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/quality/quality_reporting)



Metadata Structure \_ ESMS; ESS Standard for Quality Reports Structure \_ ESQRS).მათგან პირველი ორიენტირებულია სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელზე, ხოლო მეორე – მწარმოებელზე.

განვიხილოთ ერთიანი ინტეგრირებული მეტამონაცემების სტრუქტურის რამოდენიმე პუნქტი საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსისათვის(სფი).

აღნიშნულ სტანდარტში თავდაპირველად განხილულია კონკრეტული სტატისტიკური მაჩვენებლის, ამ შემთხვევაში სამომხმარებლო ფასების ინდექსის განმარტება, მოკლე მეთოდოლოგიური მიმოხილვა<sup>1</sup>, გამოყენების სფერო და ისტორია. მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის საკითხიც, რომელიც ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის ერთ-ერთ პრინციპს შეესაბამება და საქართველოში რეგულირდება ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონით, მუხლი 28: “სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა”<sup>2</sup>. კონფიდენციალურია პირველადი ინფორმაცია ფასების შესახებ და დეტალური წონები ანუ იმ მიკრომონაცემთა ბაზა, რომელიც გამოიყენება კრებისთი მაჩვენებლების: საშუალო ფასებისა და ინდექსების გაანგარიშებისათვის. შესაბამისად მათი გავრცელება არ ხდება.

ხელმისაწვდომობისა და მკაფიოობის პრინციპის შესაბამისად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების კალენდრის<sup>3</sup> არსებობა. ფასების სტატისტიკაში ამ მხრივაც მოწესრიგებული ვითარებაა და ყოველთვიური ინფლაცია სტატსამუშაოების კალენდრის მიხედვით ყოველი თვის 3 რიცხვში (დასვენების დღეების შემთხვევაში ეს თარიღი ვარიირებს 1 დღის განსხვავებით). განურჩევლად ყველა მომხმარებელს აქვს სიახლეებისადმი ერთდროული წვდომა გამოქვეყნებისთანავე.

ხარისხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სტატისტიკური ინფორმაციის შესაბამისობა მომხმარებლების მოთხოვნებთან. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მოხსენება სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისობის შესახებ<sup>4</sup>, რომელშიც საუბარია მომხმარებლებთან თანამშრომლობის და მათი მოთხოვნების გათვალისწინების მხრივ საქსტატის მიღწევებზე. ამ კუთხით ხარისხის მენეჯმენტის მიერ კვლევა ახლო მომავალშიც იგეგმება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ა.წ. მაისიდან საქსტატში შეიქმნა მეთოდოლოგიისა და ხარისხის მართვის განყოფილება, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე იმუშავებს. ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის აპარატის დებულებითაა<sup>5</sup> განსაზღვრული. 2014 წლის ბოლოს იგეგმება ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის მიღება, ასევე ხარისხის მართვის მიმართულებით გარკვეული მონახაზების გაკეთება, ფასების სტატისტიკის სამმართველოსთვის ხარისხის ანგარიშისა და რუტინული აღწერილობის მომზადება.

<sup>1</sup> ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ ([http://www.geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/price/samomxmareblo%20kalatis%20metodologiis%20shesaxeb%202014.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/price/samomxmareblo%20kalatis%20metodologiis%20shesaxeb%202014.pdf)); სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ([http://www.geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/price/CPI%20metodologia%202013.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/price/CPI%20metodologia%202013.pdf))

<sup>2</sup> საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ, 2009 წლის 11 დეკემბერი, მუხლი 28, გვ.: 12. [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/law\\_geo.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/law_geo.pdf)

<sup>3</sup> სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდარი: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=22&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=22&lang=geo)

<sup>4</sup> INTERNATIONAL MONETARY FUND, Report on the Observance of Standards and Codes (ROSC), 2012, გვ.:4: [http://www.geostat.ge/cms/files/ROSC\\_Geo\\_2011\\_Report\\_Final.pdf](http://www.geostat.ge/cms/files/ROSC_Geo_2011_Report_Final.pdf)

<sup>5</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის აპარატის დებულება, 2014 წლის 10 თებერვალი, გვ.: 2-3: [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/debuleba/2014/aparati.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/debuleba/2014/aparati.pdf)

მოცემული ხარისხის რეპორტის სტრუქტურა იმდენად ფართო და მრავლის-მომცველია, რომ ჩვენ მისი მხოლოდ მცირედი საწყისი ნაწილი განვიხილეთ და ბოლოს შევჩერდებით მის ერთ-ერთ შემადგენელ კრიტერიუმზე – სიზუსტე და საიმედოობა. სხვა პრინციპებთან ერთად, მოცემული პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და საკმაოდ ფართოდ არის გაშლილი აღნიშნული მოსხენების სტრუქტურაში. სიზუსტე გულისხმობს გაანგარიშებებისა და შეფასებების მიახლოებულობის ხარისხს ზუსტ ან რეალურ სიდიდეებთან, რის გასაზომადაც არის განკუთვნილი აღნიშნული მაჩვენებელი. საიმედოობა კი თავის მხრივ გულისხმობს წინასწარი და დაზუსტებული მაჩვენებლების მიახლოებულობის ხარისხს. ეს უკანასკნელი სფი-ს არ შეეხება, ვინაიდან გამოქვეყნებული მაჩვენებლები საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის სიზუსტის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მეთოდოლოგიური რეკომენდაციების დაცვა. წონებისათვის გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა მონაცემები, რომლის ხარისხიც ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ზუსტი კალათის შესარჩევად, რაც თავის მხრივ საბოლოო მაჩვენებლების სიზუსტეს უზრუნველყოფს. ფასების რეგისტრაცია წარმოებს ფასების რეგისტრატორების მიერ უშუალოდ სავაჭრო ობიექტებზე ან ცენტრალიზებულად ტელეფონისა და ინტერნეტის გამოყენებით. თავის მხრივ ობიექტების შერჩევა დამოკიდებულია შემდეგ კრიტერიუმებზე: ბრუნვის მოცულობა და სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა ამ კონკრეტულ ობიექტზე.

სამომხმარებლო ფასების გაანგარიშებისას გარკვეული წვლილი მიუძღვის შეცდომებს შერჩევებისას, ვინაიდან ეს უკანასკნელი დაფუძნებულია სამომხმარებლო ფასებისა და შინამეურნეობების დანახარჯების შერჩევაზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი ყოველი ფასისათვის/დანახარჯისათვის. საქსტატი არ აწარმოებს შერჩევის შეცდომის შეფასებას, სამომხმარებლო ფასების ინდექსის რთული სტრუქტურისა და მიზნობრივი შერჩევის ზოგადი გამოყენების გამო. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქსტატი ცდილობს მაქსიმალურად შეამციროს შესაძლო ცდომილებები შერჩევების პროცესში და არსებული რესურსების პირობებში ცდილობს დააკვირდეს სამომხმარებლო ფასების შესაძლო მაქსიმალურ მოცულობას, ოპტიმალურად გადაანაწილოს რესურსები ფასების რაოდენობის მითითებით თითოეული გეოგრაფიული რეგიონისათვის და კალათის შემადგენელი პროდუქტების თითოეული კატეგორიისათვის. ფასებზე დაკვირვება ხდება ყოველთვიურად, დაახლოებით 1500 ობიექტზე, და მოიცავს 11000-მდე საქონელსა და მომსახურებას. აღნიშნული კვლევები წარმოებს 5 ქალაქში, ესენია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი.

სიზუსტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქსტატი გეგმავს სფი-ის საპილოტო კვლევის დამატებას კიდევ ერთ ქალაქში (ზუგდიდი), რათა შეაფასოს მისი მნიშვნელობა და გავლენა მთლიან ინდექსზე.

სამომხმარებლო ფასების ინდექსისთვის შერჩევის ეტაპის გარდა სხვა შეცდომების რაოდენობრივი შეფასებაც საკმაოდ არაეფექტური და რთულია არსებული რესურსების პირობებში. საქსტატი ცდილობს შეამციროს ასეთი ცდომილებები მეთოდოლოგიის უწყვეტი სრულყოფის გზით და კვლევის პროცესის გაუმჯობესებით, რაც შესაძლებელს გახდის აღმოიფხვრას კოდირებისა და ინფორმაციის პროგრამაში შეყვანის შეცდომები.

ზუსტი მაჩვენებლების მისაღებად აუცილებელია აღმოიფხვრას ასევე შეცდომები კვლევისას მოპოვებული ინფორმაციის (ფასებისა და შესაბამისი ზომის ერთეულების) შეყვანის პროცესში. ამისათვის ფასების სტატისტიკაში გამოიყენება პირველადი ლოგიკური კონტროლი ფასების რეგისტრაციის სავსე სამუშაოების პარალელურად. რეგისტრირებული ფასები იმავე დღეს “იგზავნება” ცენტრალურ

ოფისში, სადაც ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება შესაბამის ქალაქზე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ და მისი მითითებით მომდევნო დღეს რეგისტრატორი ახდენს ფასების ან შესაბამისი ზომის ერთეულების გადამოწმებას.

აქვე საკმაოდ მწვავედ დგას საკითხი გამოპასუხებასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ არ ავალდებულებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მიაწოდონ ინფორმაცია საქსტატს მოთხოვნის შესაბამისად. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი კომპანია უარს აცხადებს საქსტატთან თანამშრომლობაზე და ასეთ შემთხვევაში ფასების რეგისტრატორებს არა აქვთ შესაძლებლობა დააკვირდნენ ფასებს ამ კონკრეტულ ობიექტებზე. თუმცა, “უახლოეს მომავალში ბიზნესისათვის სტატისტიკური მონაცემების წარდგენა სავალდებულო გახდება. საკანონმდებლო ცვლილებებზე მთავრობა უკვე მუშაობს და კანონთა პაკეტის ცვლილებების ინიცირებით პარლამენტს ოქტომბერ-ნოემბერში მიმართავს. კანონი, რომელიც ბიზნესსუბიექტებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების წარდგენას დაავალდებულებს, სავარაუდოდ 2015 წლიდან ამოქმედდება. იმ კომპანიებს, რომლებიც სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენაზე უარს იტყვიან, სანქციები დაეკისრებათ.”<sup>1</sup>

მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისას დაშვებული შეცდომების შეფასება და მათი აღმოფხვრა სიზუსტის ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელი შემდეგი კრიტერიუმია. ამ ეტაპზე ფასების სტატისტიკა მიმართავს პირველადი მონაცემების ანალიზს ინდექსებისა და საშუალო ფასების გაანგარიშების შემდეგ, რომლის დროსაც ხდება ხუთივე ქალაქის მიხედვით ინდექსების შედარება და მკვეთრად განსხვავებული მაჩვენებლის სისწორის გადამოწმება, ასევე საშუალო ფასებისა და დეტალური ინდექსების დინამიკის გაანალიზება.

რაც შეეხება შესადარისობის პრინციპს, ამ მხრივ ფასების სტატისტიკაში პრობლემები არ გვხვდება. ვინაიდან გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს. შესადარისობის პრობლემა არ არსებობს არა მარტო ქვეყნის რეგიონებს შორის, არამედ საერთაშორისო დონეზეც სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ასევე იყენებენ საერთაშორისო სტანდარტებსა და მეთოდოლოგიას.

ზემოხსენებული და ხარისხის მართვის სხვა სტრუქტურული კომპონენტების სისტემატიური ანალიზი ნაკლოვანი მხარეების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. შედეგად შესაძლებელი ხდება განსახორციელებელი რეფორმების სწორად გატარება მათ შესამცირებლად ან სრულად აღმოსაფხვრელად, რაც ხარისხიანი სტატისტიკის საფუძველია.

და ბოლოს, ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაცია ხარისხიანი ეკონომიკური ანალიზისა და სწორი გლობალური მნიშვნელობის გადაწყვეტილებების საწინდარია!

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. “საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ”, დამტკიცებულია 2009 წლის 11 დეკემბერს;
2. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის აპარატის დებულება”, დამტკიცებულია სსიპ “საქსტატის” აღმასრულებელი დირექტორის 2014 წლის 10 თებერვლის №27 ბრძანებით;

<sup>1</sup> “ბიზნესის მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენაზე რეგულაციები მკაცრდება”, ლაშა კელიხაშვილი, BusinessPressNews, 11 სექტემბერი 2014:  
<http://www.bpn.ge/biznesi/6258-biznesis-mier-statistikuri-informaciis-tsardgenaze-regulaciebi-mkacardeba.html?lang=ka-GE>

3. “სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო”, დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის №3 დადგენილებით;
4. “ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ”, საქსტატის ფასების სტატისტიკის სამმართველოს ონ-ლაინ პუბლიკაცია;
5. “სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდარი”, საქსტატის ყოველწლიური ონ-ლაინ პუბლიკაცია;
6. “ბიზნესის მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენაზე რეგულაციები მკაცრდება”, ლაშა კელიხაშვილი, BusinessPressNews, 11 სექტემბერი 2014;
7. “Consumer Price Index Manual: Theory and Practice”, Inter-secretariat Working Group on Price Statistics, 2004;
8. “Practical Guide to Producing Consumer Price Indices”, United Nations, 2009;
9. “Fundamental Principles of Official Statistics “, United Nations Statistics Division, 1994-2013;
10. “European Statistics Code of Practice”, European Statistical System Committee, 2011;
11. REGULATION (EC) No 223/2009 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 March 2009;
12. ESS Handbook for Quality Reports, Eurostat, 2014;
13. Technical Manual of the Single Integrated Metadata Structure (SIMS), Eurostat, 2014;
14. Report on the Observance of Standards and Codes (ROSC), INTERNATIONAL MONETARY FUND, 2012.

### **International standards of statistical quality management and statistics of Georgia**

**Julieta Beraia**

Geostat Price Division, major specialist, MA in economics

#### **Summary**

The purpose of this study is to identify some strong and weak sides of the national Georgian statistics. The object of the research is the Georgian national statistics. The main issues of the article are: the importance of quality in the world of statistics; 15 Principles of The European Statistics Code of Practice covering the institutional environment, the statistical production processes and the output of statistics; the role of quality reporting; the main European standards of quality reporting; the short analyses of Georgian statistics quality reporting based on the Single Integrated Metadata Structure (SIMS) (reviewing some structural points).

Asystematical analyses of structural components from SIMS for national statistics helps to identify problematic areas in the institutional environment, the statistical production processes and the output of statistics. As a result, reforms in national statistics are more effective which is fundamental to improve the quality.

This research highlights the importance of the quality reporting to improve statistics in all aspects through showing some practical examples from SIMS for Consumer Price Index calculation process in Georgian national statistics.

Key words: statistical quality management, The European Statistics Code of Practice, statistical principles, quality reporting, Single Integrated Metadata Structure, Georgian national statistics.

## არაფინანსური კორპორაციების სექტორის წარმოების ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები

ინგა ბენაშვილი

*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის  
ეროვნული ანგარიშების სამმართველოს  
უფროსი სპეციალისტი, ეკონომიკის დოქტორი*

საქართველოს ეკონომიკის სექტორული ჭრილით განხილვა-გაანალიზება აქტუალურია. თუმცა სტატისტიკურ პრაქტიკაში მსგავსი ინფორმაცია გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ჯერჯერობით არ მოიპოვება. 1996 წლის შემდეგ სექტორული ანგარიშები არ შედგენილა. 2010 წლის ჩემს სადოქტორო ნაშრომში 2009 წლის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილია წარმოების ანგარიში, შემოსავლების ფორმირების ანგარიში და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. სხვა ანგარიშების შედგენა ჩემს საკვლევ თემას სცილდებოდა.

საქსტატში მიმდინარეობს მუშაობა სექტორული ანგარიშების შესადგენად.

ეკონომიკის სექტორებიდან არაფინანსური კორპორაციების სექტორი გამოვყავი, ვინაიდან აღნიშნულ სექტორს უდიდესი წილი უკავია ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში. 2009 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე არაფინანსური კორპორაციების გამოშვების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში 60.5 % შეადგენდა, შუალედური მოხმარების წილი ქვეყნის შუალედურ მოხმარებაში – 57.3 %, ხოლო დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში – 62.5 %-ს. ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში არაფინანსური კორპორაციების სექტორის პირველადი შემოსავლების სალდომ მთლიან ეროვნულ შემოსავალში 26 % შეადგინა.

არაფინანსური კორპორაციების სექტორის ანგარიშების შედგენა წარმოების ანგარიშით დაიწყო. მეთოდოლოგიური საფუძველი ეას 93-ია. თუმცა ეას 2008-ზე გადასვლასთან დაკავშირებით მცირეოდენი ცვლილებები მოხდება. ეს ძირითადად კვლევებსა და დამუშავებებს ეხება. ძირითად ინფორმაციულ წყაროს ბიზნეს სტატისტიკის მონაცემები წარმოადგენს. გაანგარიშებები გაკეთებულია 2013 წლის კვარტალური და წლიური პერიოდულობით. აქვე შევნიშნავ, რომ მონაცემები წინასწარია.

არაფინანსური კორპორაციების სექტორის მთლიანი გამოშვების დეტალური სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 001-2004 მიხედვით ნაჩვენებია 1 ცხრილში. (აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (NACE Rev.2) დანერგვა პრაქტიკაში.)

### ცხრილი 1. არაფინანსური კორპორაციების სექტორის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
მარცვლოვანი კულტურებისა და სხვა კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში	0.6	4.9	6.4	3.5	15.4
ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა	1.4	2.4	1.9	4.3	10.0
ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალიზებული მეხაღეობა და სანერგე პროდუქციის წარმოება	0.5	1.7	2.2	1.8	6.2
მეცხოველეობა	25.0	28.0	30.3	39.8	123.1
სასოფლო სამეურნეო მომსახურება	3.8	15.0	11.3	8.1	38.2
მეტყვეობა და ხე-ტყის დამზადება	2.0	5.0	4.0	2.0	13.1
თევზჭერა, მეთევზეობა	8.9	5.6	2.3	4.2	21.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	69.1	86.6	76.5	80.6	312.8
საფქველი მრეწველობის პროდუქტების წარმოება; მზა საკვების წარმოება	91.4	97.0	100.1	101.1	389.7
პირუტყვისათვის პურის, ორცხობილის, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	60.7	59.6	61.4	65.6	247.3
კვების სხვა პროდუქტების წარმოება	192.6	183.6	276.8	330.4	983.4
მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება	76.7	132.9	141.3	129.1	480.1
ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება	75.2	113.9	149.0	201.5	539.6
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	17.7	17.8	19.5	15.5	70.5
მსუბუქი, ცელულოზა-ქაღალდის, მერქნის მრეწველობა, საგამომცემლო საქმე	90.4	105.3	111.7	117.3	424.6
ნავთობპროდუქტების, ქიმიური, პლასტმასების, მინერალური და საშენი მასალების წარმოება	260.0	330.7	346.3	353.8	1290.7
მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება	227.0	256.5	292.0	262.4	1037.9
მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება	71.1	101.6	106.5	140.1	419.3
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	275.6	234.9	230.9	322.8	1064.3
ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები	415.8	703.1	581.2	794.0	2494.1

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
ავტოსტრადების, გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა	106.0	149.7	200.7	244.6	701.0
სხვა სამშენებლო სამუშაოები	81.3	89.8	101.0	131.7	403.8
საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით	276.3	317.0	332.6	401.7	1327.7
საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	465.2	500.3	538.0	558.6	2062.2
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და ტექნიკური მომსახურება	12.3	13.5	12.3	12.0	50.1
საწვავის საცალო გაყიდვა შიდაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის	55.6	75.5	137.3	113.7	382.1
სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება	35.5	42.9	63.5	41.9	183.8
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება	114.8	146.9	150.4	157.0	569.1
სარკინიგზო ტრანსპორტი	101.0	93.0	120.4	115.6	429.9
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	55.6	61.4	68.3	73.5	258.8
მილსადენებით ტრანსპორტირება	87.2	81.3	79.4	79.9	327.8
საჰაერო ტრანსპორტი	18.9	34.0	53.3	28.9	135.1
ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	66.4	64.6	71.1	70.6	272.6
სხვა დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობა	61.0	71.2	81.9	81.7	295.7
სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	78.0	85.3	96.5	111.9	371.8
კავშირგაბმულობა	212.5	207.6	232.2	227.6	880.0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	410.5	505.8	503.1	562.9	1982.4
განათლება	172.7	188.9	119.0	190.1	670.8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	251.7	275.2	264.6	271.8	1063.2
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	291.1	300.7	271.7	304.1	1167.6
<b>გამოშვება საბაზისო ფასებში</b>	<b>4919.2</b>	<b>5790.7</b>	<b>6048.8</b>	<b>6757.8</b>	<b>23516.6</b>
(+) გადასახადები პროდუქციაზე	838.9	816.8	937.3	969.7	3562.7

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	27.2	29.7	22.4	26.1	105.4
<b>გამოშვება საბაზრო ფასებში</b>	<b>5731.0</b>	<b>6577.8</b>	<b>6963.6</b>	<b>7701.4</b>	<b>26973.9</b>

შუალედური მოხმარების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ შუალედური მოხმარების წილი გამოშვებაში საქმიანობის სახეების მიხედვით. არარფინანსური კორპორაციების სექტორის შუალედური მოხმარების დეტალური სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 001-2004 მიხედვით ნაჩვენებია მე-2 ცხრილში.

**ცხრილი 2. არაფინანსური კორპორაციების სექტორის შუალედური მოხმარება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)**

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
მარცვლოვანი კულტურებისა და სხვა კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში	0.4	3.4	4.5	2.5	10.7
ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა	0.8	1.5	1.1	2.7	6.2
ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალიზებული მეხაღებო და სანერგე პროდუქციის წარმოება	0.2	0.8	1.0	0.8	2.9
მეცხოველეობა	16.3	18.3	19.8	26.0	80.4
სასოფლო სამეურნეო მომსახურება	2.5	9.7	7.3	5.3	24.8
მეტყვეობა და ხე-ტყის დამზადება	1.0	2.5	2.0	1.0	6.5
თევზჭერა, მეთევზეობა	7.2	4.6	1.9	3.4	17.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	28.2	35.4	31.2	32.9	127.6
საფქველი მრეწველობის პროდუქტების წარმოება; მზა საკვების წარმოება	65.4	69.4	71.6	72.3	278.7
პირუტყვისათვის					
პურის, ორცხობილის, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	43.3	42.5	43.8	46.8	176.5
კვების სხვა პროდუქტების წარმოება	152.5	145.4	219.2	261.6	778.6
მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება	47.4	82.2	87.3	79.8	296.7
ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება	50.8	76.9	100.6	136.1	364.4
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	13.9	14.0	15.3	12.2	55.4
მსუბუქი, ცელულოზა-ქაღალდის, მერქნის მრეწველობა, საგამომცემლო საქმე	55.5	64.7	68.6	72.1	260.9



	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
ნავთობპროდუქტების, ქიმიური, პლასტმასების, მინერალური და საშენი მასალების წარმოება	177.0	225.1	235.8	240.9	878.8
მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება	134.5	152.0	173.0	155.5	615.0
მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება	43.8	62.6	65.7	86.4	258.6
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	100.2	85.4	83.9	117.3	386.7
ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები	246.3	416.5	344.3	485.5	1492.5
ავტოსტრადების, გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა	76.7	108.3	145.2	164.1	494.4
სხვა სამშენებლო სამუშაოები	48.1	53.1	59.8	77.9	238.9
საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით	63.0	72.3	75.8	91.6	302.7
საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	81.4	87.5	94.1	97.7	360.8
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და ტექნიკური მომსახურება	6.6	7.3	6.6	6.5	27.1
საწვავის საცალო გაყიდვა შიდაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის	24.5	33.3	60.6	50.1	168.5
სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება	17.3	20.9	30.9	20.4	89.4
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება	77.1	98.7	101.0	105.5	382.3
სარკინიგზო ტრანსპორტი	29.0	26.8	34.6	33.2	123.6
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	27.9	30.8	34.2	36.8	129.7
მილსადენებით ტრანსპორტირება	57.7	53.8	52.6	52.9	217.1
საჰაერო ტრანსპორტი	15.3	27.6	43.2	23.4	109.4
ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	22.2	21.6	23.8	23.6	91.3
სხვა დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობა	16.4	19.1	22.0	21.9	79.3
სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების	35.8	39.1	44.3	51.3	170.5

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
აღმოჩენა					
კავშირგაბმულობა	64.8	63.3	70.8	69.4	268.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	124.0	152.8	152.0	170.1	598.9
განათლება	42.3	46.3	29.2	46.6	164.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	58.7	64.2	61.7	63.4	247.9
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	116.8	120.7	109.0	122.0	468.5
<b>შუალედური მოხმარება სულ</b>	<b>2193.2</b>	<b>2660.2</b>	<b>2829.3</b>	<b>3169.4</b>	<b>10852.1</b>

დამატებული ღირებულება კი გავიანგარიშეთ როგორც სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის. არაფინანსური კორპორაციების სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულების დეტალური სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 001-2004 მიხედვით ნაჩვენებია მე-3 ცხრილში.

**ცხრილი 3. არაფინანსური კორპორაციების სექტორის დამატებული ღირებულება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)**

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
მარცვლოვანი კულტურებისა და სხვა კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში	0.2	1.5	1.9	1.1	4.7
ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა	0.5	0.9	0.7	1.7	3.8
ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალიზებული მებაღეობა და სანერგე პროდუქციის წარმოება	0.3	0.9	1.2	1.0	3.3
მეცხოველეობა	8.7	9.7	10.5	13.8	42.7
სასოფლო სამეურნეო მომსახურება	1.3	5.3	4.0	2.9	13.4
მეტყვეობა და ხე-ტყის დამზადება	1.0	2.5	2.0	1.0	6.5
თევზჭერა, მეთევზეობა	1.6	1.0	0.4	0.8	3.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა	40.9	51.3	45.3	47.7	185.2
საფქველი მრეწველობის პროდუქტების წარმოება; მზა საკვების წარმოება პირუტყვისათვის	26.1	27.7	28.5	28.8	111.0

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
პურის, ორცხობილის, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	17.4	17.1	17.6	18.8	70.8
კვების სხვა პროდუქტების წარმოება	40.1	38.2	57.6	68.8	204.8
მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება	29.3	50.8	54.0	49.3	183.4
ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება	24.4	37.0	48.4	65.4	175.3
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	3.8	3.8	4.2	3.3	15.1
მსუბუქი, ცელულოზა-ქადალდის, მერქნის მრეწველობა, საგამომცემლო საქმე	34.8	40.6	43.1	45.2	163.7
ნავთობპროდუქტების, ქიმიური, პლასტმასების, მინერალური და საშენი მასალების წარმოება	83.0	105.5	110.5	112.9	411.9
მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება	92.5	104.5	119.0	106.9	422.9
მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება	27.2	38.9	40.8	53.7	160.7
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	175.5	149.5	147.0	205.5	677.6
ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები	169.5	286.6	236.9	308.6	1001.6
ავტოსტრადების, გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა	29.3	41.4	55.5	80.5	206.6
სხვა სამშენებლო სამუშაოები	33.2	36.7	41.2	53.8	164.9
საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით	213.3	244.7	256.8	310.1	1025.0
საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	383.8	412.8	443.9	460.9	1701.4
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და ტექნიკური მომსახურება	5.6	6.2	5.7	5.5	23.0
საწვავის საცალო გაყიდვა შიდაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის	31.1	42.2	76.7	63.5	213.5
სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება	18.2	22.0	32.6	21.5	94.4
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება	37.7	48.2	49.4	51.5	186.7
სარკინიგზო ტრანსპორტი	71.9	66.3	85.8	82.3	306.3

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	27.7	30.6	34.1	36.6	129.0
მილსადენებით ტრანსპორტირება	29.5	27.5	26.8	27.0	110.7
საჰაერო ტრანსპორტი	3.6	6.5	10.1	5.5	25.7
ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	44.1	42.9	47.3	47.0	181.3
სხვა დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობა	44.6	52.1	59.9	59.8	216.4
სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	42.2	46.2	52.2	60.6	201.3
კავშირგაბმულობა	147.7	144.3	161.4	158.2	611.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	286.5	353.0	351.1	392.9	1383.5
განათლება	130.4	142.6	89.8	143.5	506.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	193.0	211.0	202.9	208.4	815.4
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	174.3	180.0	162.7	182.1	699.1
<b>დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში</b>	<b>2726.0</b>	<b>3130.6</b>	<b>3219.4</b>	<b>3588.4</b>	<b>12664.5</b>
(+) გადასახადები პროდუქციაზე	838.9	816.8	937.3	969.7	3562.7
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	27.2	29.7	22.4	26.1	105.4
<b>დამატებული ღირებულება საბაზრო ფასებში</b>	<b>3537.8</b>	<b>3917.7</b>	<b>4134.3</b>	<b>4532.0</b>	<b>16121.8</b>

როგორც შედეგებიდან ჩანს, არაფინანსური კორპორაციების სექტორის გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 61.2%-ია. შუალედური მოხმარების წილი ქვეყნის შუალედურ მოხმარებაში – 62.9%, ხოლო აღნიშნული სექტორის დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში – 60.1 %.

მნიშვნელოვანია ასევე დამატებული ღირებულების სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის საბითუმო და საკომისიო ვაჭრობაზე, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა (13.4%). შემდეგ – ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (10.9%), საცალო ვაჭრობა ავტომობილებისა და მათი ნაწილებით ვაჭრობის ჩათვლით (8.1%), ნაგებობათა საერთო მშენებლობა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოები (7.9%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6.4%) და ა. შ.

წარმოების ანგარიში 2013 წლისათვის მოცემულია მე-4 ცხრილში.

#### ცხრილი 4. არაფინანსური კორპორაციების სექტორის წარმოების ანგარიში

(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	2013 I	2013 II	2013 III	2013 IV	2013
<b>რესურსები</b>					
გამოშვება	4 919.2	5 790.7	6 048.8	6 757.8	23 516.6
გადასახადები პროდუქციაზე	838.9	816.8	937.3	969.7	3562.7
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	27.2	29.7	22.4	26.1	105.4
<b>სულ</b>	<b>5 731.0</b>	<b>6 577.8</b>	<b>6 963.6</b>	<b>7 701.4</b>	<b>26 973.9</b>
<b>გამოყენება</b>					
შუალედური მოხმარება	2193.2	2660.2	2829.3	3169.4	10852.1
მთლიანი დამატებული ღირებულება	3537.8	3917.7	4134.3	4532.0	16121.8
<b>სულ</b>	<b>5 731.0</b>	<b>6 577.8</b>	<b>6 963.6</b>	<b>7 701.4</b>	<b>26 973.9</b>

ამდენად, არაფინანსური კორპორაციების სექტორი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკაში. მთლიანი გამოშვებისა და დამატებული ღირებულების უდიდესი წილი (60 %-ზე მეტი) მოდის აღნიშნულ სექტორზე. აღნიშნული სექტორის დამატებული ღირებულების სტრუქტურაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით უდიდესი ხვედრითი წილი უკავია ვაჭრობას; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტს (23.4%). შემდეგ მას მოჰყვება დამამუშავებელი მრეწველობა (15.2%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა (10.9%), მშენებლობა (10.8%), ტრანსპორტი (9.2%), ჯანდაცვა (6.4%). ვფიქრობ, წინამდებარე სტატია კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სექტორული ანგარიშების შედგენის თვალსაზრისით. ის დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს-ეკონომისტებს შესაბამისი სამუშაოების შესრულებაში.

**The production account of non-financial corporations sector**

**Methodological and practical aspects**

**Inga Benashvili**

Geostat SNA major specialist, PhD

**Summary**

Non-financial corporations sector is the significant in the total economy of a country. It comes more than 60% of output (61.2%) and value added (60.1%) from the total output and Gross Domestic Product (GDP) of Georgia in 2013.

In the same year, the highest share in the total value added of non-financial corporations sector comes to wholesale and retail trade; repair of motor vehicles, motorcycles and personal and household goods (23.4%). Then comes manufacturing (15.2%), real estate, renting and business activities (10.9%), construction (10.8%), transport (9.2%), health and social work (6.4%).

## მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის მაკროეკონომიკური ასპექტები

ლამარა ბერიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
აკადემიური დოქტორი*

საქართველოში, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, დასაქმებისა და ქმედითი შრომის ბაზრის ჩამოყალიბების მდგომარეობას სხვა ზოგად ფაქტორებთან ერთად ართულებს ეკონომიკის ატროფირებული სექტორული და რეგიონული სტრუქტურა. პირველ რიგში, ეს არის ეგრეთწოდებული მონოქალაქების პრობლემა. საქართველოში გვაქვს ათეულობით დასახლება, რომლებშიც ცხოვრება პრაქტიკულად ერთი-ორი საწარმოს ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ასეთებია ქალაქები: რუსთავი, გორი, ზესტაფონი, ჭიათურა, ტყიბული და სხვა. საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ტრადიციული საწარმო-ეკონომიკური კავშირების მოშლის შედეგად აღნიშნულმა სამრეწველო ცენტრებმა, აგრეთვე, ეგრეთწოდებული საკავშირო სპეციალიზაციის მქონე რეგიონებმა (კახეთი – ყურძენი; სამგრელო, გურია – ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები, შიდა ქართლი – ხილბოსტნეული და ა.შ.) მნიშვნელოვანწილად დაკარგეს საგარეო სავაჭრო ფუნქცია და აღმოჩნდნენ აღწარმოების უნარს მოკლებულნი, აქედან გამომდინარე მძიმე სოციალური შედეგებით (მასობრივი უმუშევრობა, ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემა, მიგრაცია და სხვა).

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მაღალმთიანი რეგიონების (ძირითადად მეცხოველეობის სპეციალიზაციით) და სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტების რიგი დასახლებები, რომლებიც გამოირჩევიან დეპრესიულობის მაღალი ხარისხით: მცირე და მწირი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რთული რელიეფი, მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა და ზოგადად, მძიმე სოციალური ფონი.

ჩვენს სინამდვილეში დასაქმების პოლიტიკას სპეციფიური ხასიათი აქვს, რაც ზემოაღნიშნული მდგომარეობითაა განპირობებული. შესაბამისად, დასაქმების პოლიტიკის მექანიზმების მზა რეცეპტები არ გაგვანია. ამასთან, არ გამოგვადგება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ადეკვატური მოდელები და მექანიზმები. ხშირად ადგილი აქვს მათი მექანიკურად გადმოდებისა და გამოყენების წარუმატებელ მცდელობებს. რატომ უნდა შევისწავლოთ და შემოქმედებითად გამოვიყენოთ დასავლეთის, პირველ რიგში, ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკა დასაქმების პოლიტიკის რეგულირების სფეროში. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ მიერ განვლილი ეკონომიკური განვითარების გზა ჩვენთვის ატარებს ზოგადმეთოდურ ხასიათს და გამოსაყენებელია პერსპექტივაში, ანუ დაბალანსებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პირობებში.

განსხვავებით ევროპის განვითარებული ქვეყნებისაგან, სადაც სახელმწიფოთა შიდა რეგიონული პოლიტიკა მიმართულია უპირატესად სექტორული და რეგიონული განვითარების დისბალანსის დაძლევისა და საბაზრო წონასწორობის შენარჩუნებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა გადაწყვიტოს ურთულესი ამოცანა. ესაა სამეურნეო სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე. იგულისხმება სათანადო გარემოს შექმნა ეკონომიკის

პირველადი სტრუქტურების, მათ შორის, მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის; ინვესტიციების მოზიდვისა და საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებისათვის; სათანადო სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის; ახალი სტრუქტურულ-ინვესტიციური პოლიტიკის გასატარებლად. ყოველივე ამის შედეგად მიღწეულ უნდა იქნას ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმების ბუნებრივი დონე, ფინანსური ბაზრის განვითარება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა საარსებო მინიმუმის დონეზე, მოსახლეობის უზრუნველყოფა სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებით, სერვისებზე სათანადო ხელმისაწვდომობა, დამაკმაყოფილებელ დონეზე განვითარებული საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა.

ყურადღებას გაავამახვილებთ მოცემულ სფეროში დასაქმების რეგულირების სისტემის შემდეგ მაკროეკონომიკურ მიმართულებებზე:

### **I. სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვნად გაზრდა მოსახლეობის დასაქმების რეგულირების საქმეში.**

აუცილებელია განხორციელდეს შრომის ბაზარზე მიმდინარე ძვრების პროგნოზირება, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მასობრივი უმუშევრობის გამომწვევი სტრუქტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და რეგიონული პოლიტიკის შედეგებზე. შრომის ბაზარზე სახელმწიფო ზემოქმედების ზომებს განეკუთვნება:

- ეკონომიკური მეთოდები (შეღავათიანი დაბეგვრა და დაკრედიტება, მეწარმეთა მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკა შეინარჩუნონ და შექმნან სამუშაო ადგილები, განახორციელონ კადრების პროფესიული სწავლება და სხვა);
- ორგანიზაციული მეთოდები (დასაქმებისა და შრომითი მოწყობის სამსახურების შექმნა, შრომის ბაზრის მომსახურე ინფორმაციული სისტემების, პროფორიენტაციის, კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემების ჩამოყალიბება და სხვა);
- ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო მეთოდები (შრომითი ხელშეკრულებების დადების წესის, სამუშაო დროის ხანგრძლივობის, ზეგანაკვეთურ სამუშაოთა რეგლამენტირება, მეწარმეთათვის სავალდებულო ანარიცხების შემოღება დასაქმების ეროვნულ ფონდში, შრომითი ცხოვრების პერიოდის რეგულირება და სხვა).

დასაქმების პრობლემების გადაწყვეტის ძირითად გზებზე გვესახება: სამუშაო ადგილების სისტემის განვითარების რეგულირება; სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის რეგულირება; კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება. სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის დიდი ადგილი უჭირავს აქტიური რეგულირების იმ ზომებს, რომელნიც ახდენენ მასობრივი უმუშევრობის პრევენციას.

დასაქმების პრობლემაზე სახელმწიფოს ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტად მიგვაჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებულ საინვესტიციო პროექტების შეფასება დასაქმებაზე ზემოქმედების კრიტერიუმის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია გამოყენებულ იქნას დამსაქმებელთა ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმები ისეთი თონისძიებების განხორციელებისათვის, როგორცაა: კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამუშაო ადგილების შემქმნელი კერძო ინვესტიციების წახალისება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეორად დასაქმებას, ქალების და ახადგაზრდების სეზონურ დასაქმებას, მოზარდთა პროფესიული ორიენტაციის სისტემის განვითარებას, ახადგაზრდებისა და ქალთა მეწარმეობისა და დასაქმების მხარდაჭერას, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა შრომით მოწყობას.

უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა საზოგადოებრივი სამუშაოები. იგი წარმოადგენს სოციალური დაძაბულობის შემცირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიღებულ იქნას საზოგადოებრივ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივ სამუშაოთა ფართოდ გავრცელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანასა და უმუშევართა არმიის შემცირებას.

## **II. რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის დასაქმების სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება.**

მოსახლეობის დასაქმების ანალიზი და შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგი სეგმენტების მიხედვით:

- შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები;
- სამუშაო ძალის რეგიონული ბაზარი;
- დასაქმების დონისა და სტრუქტურის ანალიზი დასაქმების სახეობებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით;
- უმუშევრობის დონე და სტრუქტურა;
- პროგრამები და ღონისძიებები უმუშევრობის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით.

სტრატეგიის მიხედვით უნდა შემუშავდეს ღონისძიებათა კომპლექსი ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარებისა და დასაქმების დონის ამაღლების მიზნით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლებასა და პროფესიულ გადამზადებას.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს შრომითი რესურსების პროფესიული გადამზადებისა და რეგიონების გადამამუშავებელ მრეწველობაში არსებული პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობა. რეგიონში მოქმედი პროფესიული გადამზადების ცენტრები უზრუნველყოფენ მუშახელის გადამზადებას პრიორიტეტულ სფეროებში.

საჭიროა შესაბამისი კვლევის წარმართვა იმის გამოსავლენად, თუ რა პროფესიებზე არის მოთხოვნა მრეწველობის სფეროში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით უნდა მოხდეს რეგიონში ახალი პროფესიული სასწავლებლების ამოქმედება, ან არსებული სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების მისადაგება ადამიანური რესურსების განვითარების გამოვლენილ საჭიროებებზე. ამ მხრივ, ასევე, მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორისა და რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური თანამშრომლობა.

რეგიონებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის უზრუნველსაყოფად უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად ჩატარდეს კვლევა, რათა გაანალიზდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა და მიწოდება. კვლევის შედეგებს გამოიყენებენ როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე, თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვის დროს.

დასაქმების პრობლემების გადაჭრის საქმეში მნიშვნელოვანია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ეფექტიანად განხორციელება. პროგრამის მიზანია:

- ა) სოფლის პირველი რიგის პრობლემების გადაწყვეტა;
- ბ) თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა;

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელზე გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმებია:



ა) შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტისადმი და მათი სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას;

ბ) შესრულებულ სამუშაოს უნდა გააჩნდეს ხანგძლივი გამოყენების ეფექტი და არ უნდა იყოს მიმართული ერთჯერადი მოხმარებისათვის;

გ) სამუშაო უმთავრესად შესრულებული უნდა იქნეს სოფლის მოსახლეობის მიერ;

სოფლის მოსახლეობის მონაწილეობა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელებაში გამოიხატება:

1) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრისას.

სოფლის მოსახლეობამ უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრაში;

2) სამუშაოთა შესრულების პროცესში. სოფლის მოსახლეობა უშუალოდ უნდა აკონტროლებდეს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმდინარეობას. სამუშაოთა შესასრულებლად უპირატესად დაქირავებული უნდა იქნეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა;

3) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ ანგარიშის განხილვაში. გამგეობის რწმუნებული ვალდებულია სოფლის მოსახლეობას გააცნოს ანგარიში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- სოფლის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის გაფართოება;

- გამგეობის რწმუნებულების პასუხისმგებლობის გაზრდა სოფლის მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარების ორგანიზების საქმეში. მიზანშეწონილია გამგეობის რწმუნებულებისათვის მოეწყოს ტრენინგ-სემინარები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და პრობლემების შერჩევისათვის, აგრეთვე მოსახლეობის კრებების სათანადოდ ჩატარების მეთოდური უზრუნველყოფის მიზნით;

- მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის როლის ამაღლება ცალკეული პროექტის ანუ სამუშაოების შესრულების დროს. ამისათვის საჭიროა მათი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქმედითი სისტემის შექმნა.

**III. მოსახლეობის დასაქმების ღონის ამაღლების სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება მთიანი და დეპრესიული რეგიონებისათვის.**

საქართველოს მთიანი და დეპრესიული რეგიონებს ახასიათებთ სპეციფიკური გარემოებები: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირე და შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე; რთული ფიზიკური და კლიმატური პირობები; სატრანსპორტო კომუნიკაციების განუვითარებლობა; მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე და მიგრაციული პროცესები; მდიდარი მინერალური და რეკრეაციული რესურსები და სხვა. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ სახელმწიფო მიდგომას.

აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა მთიანი და დეპრესიული რეგიონების განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა განსახორციელებლად. მას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი.

სახელმწიფო მიდგომა მოცემული პრობლემის მიმართ უნდა მდგომარეობდეს შემდეგში:

1. მთიანი (მაღალმთიანი) და/ან დეპრესიული, განსაკუთრებული დასახლებების დანარჩენი ტერიტორიებიდან ნათლად გამოიჯვნა, რათა გამოირიცხოს სუბიექტური

მიდგომები და მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული საბიუჯეტო შესაძლებლობები;

2. რეგიონების (დასახლებების) სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ უნდა იქნას: საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება და წარმოების განვითარება ადგილობრივი რესურსების სრული და ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე; მოსახლეობის დასაქმება, სოციალური ობიექტების რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება; გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა და შენარჩუნება, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობისა და მეურნეობის სტაბილური ენერგომომარაგება და სერვისების მიწოდება;

3. მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის კონსალტინგური და ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება ხელსაყრელ დარგებსა და სფეროებში. გამოიყოფა ტურიზმი, განსაკუთრებით მისი ისეთი სახეობები, როგორიცაა: აგროტურიზმი, რეკრეაციული ტურიზმი და სხვა. ფინანსური ხელშეწყობის ღონისძიებებზე გვესახება:

- არასაბანკო მცირე სესხები;
- თავდებობა ბანკების წინაშე;
- საბანკო პროცენტის სუბსიდირება;
- წარმოების დანახარჯების სუბსიდირება;
- სუბვენცია;
- სალიზინგო მომსახურება და სხვა.

4. ინდუსტრიის განვითარებისა და დასაქმების სტიმულირების მიზნით სოციალური შეღავათების დაწესება. კერძოდ, შესამუშავებელია წინადადებები რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებულ მოცემული სფეროს ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა ხელფასებსა და პენსიებზე დანამატების დაწესების, აგრეთვე, დასაქმებული პენსიონერებისათვის ხელფასთან ერთად პენსიის სრული ოდენობით მიცემის შესახებ;

5. საგადასახადო შეღავათები მეწარმეობის სფეროში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს. საყურადღებოა წინადადებები აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობის დაწყებიდან გარკვეული დროის (ვთქვათ, პირველი ხუთი წლის) განმავლობაში მოგების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ. უნდა გამოვიყენოთ სტიმულირების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა: საგადასახადო კრედიტები, საგადასახადო არდადეგები, დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმები და სხვა;

6. მთიან და დეპრესიულ რეგიონებში პროდუქციისა და საქონლის (მომსახურების) სახელმწიფო შესყიდვების სტიმულირების მიზნით მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ სახელმწიფო შესყიდვების განთავსება კონკურსის მეშვეობით, უპირატესად ამ რეგიონების ტურისტული მომსახურების საწარმოებზე. შესაძლებელია მოთხოვნების დაწესება, რათა დიდი მოცულობის კონტრაქტები დანაწილდეს ლოტებად, ქვეკონტრაქტების დადების და მცირე ტურისტულ ფირმებთან თანამშრომლობის მიზნით და სხვა.

**IV. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.** საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაციის გაძლიერება ქვეყნის მთიანი და დეპრესიული რეგიონების რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე. დღის წესრიგში დგას სწორი რეგიონული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების, რეკრეაციული რესურსების ტურისტულ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის დასაქმების, სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მიზნით.

აღნიშნულ რეგიონებში სამამულო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება და ეფექტიანად გამოყენება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. ეს კომპლექსური ამოცანაა და მისი გადაჭრა შეუძლებელია რეგიონული მმართველობისა და თვითმმართველი ორგანოების აქტიური საქმიანობის გარეშე. ეს საქმიანობა გამოხატულებას ჰპოვებს რეგიონული სტრატეგიის, რეგიონული საინვესტიციო პროგრამებისა და სხვა კომპლექსური დოკუმენტების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება რეგიონის საინვესტიციო პასპორტის შედგენას. საინვესტიციო პასპორტი წარმოადგენს რეგიონის (ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე, მუნიციპალიტეტი) საინვესტიციო პოტენციალის შემფასებელი მახასიათებლებისა და მაჩვენებლების ერთობლიობას. პასპორტის შემუშავების მიზანია მხარის საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრა და საინვესტიციო წინადადებების მომზადება, რათა უზრუნველყოფილ იქნას: ადგილობრივი ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების სრული და ეფექტიანი გამოყენება; საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, ქვეყნის შიდა და გარე ურთიერთობების განვითარება და გადრმაგება; დეპრესიულ ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება; სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება; გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება. საინვესტიციო პასპორტი მოიცავს ღონისძიებათა იმ წრეს, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს და ხელს უწყობს მისი განვითარების სტრატეგიის რეალიზაციას. საინვესტიციო წინადადებები შემუშავდება მეურნეობის ცალკეული დარგების ჭრილში და მოიცავს მონაცემებს განსახორციელებელი საქმიანობის შინაარსის, მატერიალური რესურსების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ფინანსური სახსრების (საკუთარი და მოზიდული) და მოსალოდნელი შედეგის შესახებ.

## **V. მთიანი და დეპრესიული რეგიონების მეურნეობის დარგების განვითარების პასპორტების შემუშავება.**

პასპორტმა უნდა მოიცვას შემდეგი ძირითადი განყოფილებები და საკითხები:

განყოფილება I. დარგის განვითარების მდგომარეობა რეგიონში (ბუნებრივ-გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული პირობები; რეგიონის ზოგადი დახასიათება; სანედლეულო – რესურსული პოტენციალი: მინერალური და რეკრეაციული რესურსები სახეებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მათი მარაგების ოდენობა, წიაღისეულის დახასიათება: რეკრეაციული (საკურორტო, ტურიზმის, სამკურნალო – გამაჯანსაღებელი და სხვ.) რესურსების დახასიათება. არსებული მინერალური, სანედლეულო და რეკრეაციული რესურსების საექსპლუატაციო შესაძლებლობების შეფასება; ტყის რესურსები - ტყის რესურსების დახასიათება (ფართობი, ჯიშობრივი შემადგენლობა, ფლორა და ფაუნა); მინერალური წყლები - მინერალური წყლების მარაგი სახეების მიხედვით და მათი შეფასება სამკურნალო და ბალნეოლოგიური თვალსაზრისით; სამონადირეო-სარეწაო რესურსები - ფაუნის დახასიათება ცხოველთა და ფრინველთა სახეების მიხედვით.

მაგალითისათვის ტურიზმის მიხედვით განვითარების შესაძლებლობების შეფასებას ექნება შემდეგი სახე:

- ტურისტული ნაკადების დახასიათება.

- ტურისტული ფირმები და სააგენტოები.

- ტურისტული რესურსები და პროდუქტები (ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ობიექტების ერთობლიობა, რაც საშუალებას იძლევა კონკრეტულ მომხმარებელს მიეწოდოს ტურისტული მომსახურება. ტურისტული რესურსების

განვითარების რეგიონული პროგრამის ფარგლებში იქმნება შესაძლებლობა განისაზღვროს ერთიანი მიდგომები ტურისტული ფირმებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობაში).

- სასტუმრო მეურნეობა და განთავსების სხვა საშუალებები.

- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

- კადრების მომზადება (უმაღლესი დაწესებულებები, სასწავლო ცენტრები და სხვ).

- რეკლამა, საგამომცემლო საქმიანობა.

ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამა მიზანშეწონილია შემუშავდეს შემდეგი თანმიმდევრული სტრუქტურული განყოფილებების მიხედვით:

1. პროგრამის არსი და მისი შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება: რეგიონში არსებული ტურისტული რესურსების დახასიათება, ტურისტული ინდუსტრიის მდგომარეობის ანალიზი და მისი ფუნქციონირების მაჩვენებელთა დინამიკა, ტურისტული პოტენციალის ათვისებასა და ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ზოგადსისტემური პრობლემები, ტურიზმის სფეროში სიტუაციის განვითარების შესაძლო სცენარები, რეგიონში ტურიზმის განვითარების პრობლემების პროგრამული მეთოდით გადაწყვეტის აუცილებლობის დასაბუთება;

2. პროგრამის ძირითადი მიზანი და ამოცანები, მისი რეალიზაციის ეტაპები და ვადები. ძირითადი მიზანია: რეგიონში თანამედროვე მაღალეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ტურისტული კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელიც შექმნის, ერთის მხრივ, რეგიონის, საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეთა ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფართო შესაძლებლობებს, ხოლო, მეორეს მხრივ, წვლილს შეიტანს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში ბიუჯეტში შენატანების, უცხოური ვალუტის მოდინების, სამუშაო ადგილების გაზრდის, ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ-ისტორიული პოტენციალის შენარჩუნებისა და გადიდების სახით. ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი (საშუალოვადიანი) პროგრამის შემუშავების დროს რეკომენდებულია მისი დაყოფა ორ ძირითად ეტაპად: I ეტაპი – ტურისტული საქმიანობის ძირითადი პარამეტრების სტაბილიზაცია; მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნილებებისა და პრობლემების შეფასება. II ეტაპი – სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ინფორმაციულ, საკადრო და სხვა სფეროებში დაგროვილი რესურსების ამოქმედება და რეალიზაცია თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატურ დონეზე;

3. პროგრამული ღონისძიებების სისტემა. პროგრამული ღონისძიებები მოიცავს: ნორმატიულ-სამართლებრივი სფერო, ტურისტული საქმიანობის ორგანიზაცია და ტურიზმის განვითარების მართვა, სამამულო ტურისტული პროდუქტის შიდა და საგარეო ბაზარზე გასვლის სარეკლამო-საინფორმაციო უზრუნველყოფა, ტურიზმის განვითარების საკადრო უზრუნველყოფა, ტურიზმის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფა;

4. პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა. პროგრამის რეალიზაციის მიზნით შესაძლებელია მოზიდულ იქნას ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური (მანქანები და მოწყობილობები, მასალები, ნედლეული, სათბობი) და შრომითი (სამუშაო ძალა, კვალიფიციური კადრები) რესურსები;

5. პროგრამის რეალიზაციის მექანიზმი. მართვისა და კონტროლის ორგანიზაცია. პროგრამის რეალიზაციის მექანიზმი ითვალისწინებს ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტების გამოყენებას, როგორცაა: ფულად-საკრედიტო მექანიზმი, სახელმწიფო საკონტრაქტო სისტემა და საგადასახადო კანონმდებლობა, რომელნიც უზრუნველყოფენ ინვესტიციური აქტიურობის ზრდას ტურიზმის სფეროში, რეგიონული ტურპროდუქტის ხარისხსა და საბოლოო ჯამში მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შიდა და საგარეო ბაზარზე;

6. პროგრამის რეალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა შედეგების ეფექტიანობის შეფასება. ტურიზმის განვითარების რეგიონული (მუნიციპალური) პროგრამის ეფექტიანობა ფასდება პროგრამული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლების მათ რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებთან შედარების გზით. პროგრამის ეფექტიანობის მაჩვენებლები გაანგარიშებულ უნდა იქნას რეალიზაციის ეტაპების, ღონისძიებების (ღონისძიებათა ჯგუფის), ცალკეული საინვესტიციო პროექტის ჭრილში. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნას პროგრამის საბოლოო შედეგების სრული კომპლექსი, მათ შორის, შედეგები, რომლებიც ვლინდება ეკონომიკის მომიჯნავე სფეროებში, იმ მაჩვენებლების გამოყოფით, რომლებიც ახასიათებენ პროგრამის რეალიზაციის შედეგებს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა ასპექტებში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2010.
2. შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 199, 2013 წ. 2 აგვისტო.
3. The economic development of e region is the basis of self-government. Interntional Conference "Local and Regional Development in Europe – Contemporary Challenges". COUNCIL OF EUROPE, GTZ, MRDI. July 8-9, Batumi, 2010
4. კ. ხმაღაძე. რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მეთოდური ასპექტები. ჟ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", ოქტომბერი-ნოემბერი, 2011 წ.

### **Macroeconomic Aspects of Ensuring the population's employment**

**Lamara Beridze**

Doctor of Economics, Visiting Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
Chief specialist of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

#### **Summary**

The macroeconomic regulation of population's employment shall be done in following direction:

- The role of the government shall be increased in terms of regulation of population's employment. The measures to be taken by the government at the labor market shall include: economic methodology, organization methodology, administrative-legislative methodology.
- The strategies and programs of population's employment shall be worked out according each region and self-governing units. Effective implementation of the "Rural Support Program" has the important role in resolution of employment issues.
- The social-economic action plan for improvement of employment rate shall be elaborated for highland, remote and depressive regions.
- The investment environment shall be improved. The State's economic vector shall focus on effective use of the highland and depressive regions of the country.
- The special appraisal forms shall be developed for development of business sectors in highland and depressive regions

# ОЦЕНКА РАЗВИТИЯ ТУРИСТИЧЕСКИХ ПРЕДПРИЯТИЙ В АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ РЕСПУБЛИКЕ

Гандилова Саадет Таги кызы

*Азербайджанский государственный экономический университет, Декан Подготовительного Факультета, Проректор по работе со студентами  
Доктор экономических наук, Доцент*

## Введение

В современных условиях туризм стал важным социальным и экономическим явлением, оказывающим решающее влияние на экономику многих стран. Являясь выгодной и высокодоходной отраслью, туризм играет значительную роль в формировании валового внутреннего продукта, активизации внешнеторгового баланса, создании дополнительных рабочих мест и обеспечении занятости населения.

Туризм также оказывает стимулирующее воздействие на такие ключевые отрасли экономики, как транспорт и связь, строительство, сельское хозяйство, производство товаров народного потребления и другие, то есть выступает своеобразным катализатором социально - экономического развития. В свою очередь, на развитие туризма воздействуют различные факторы: демографические, природно-географические, социально-экономические, исторические, религиозные и политико-правовые.

Туризм оказывает значительное влияние на экономику Республики Азербайджан, обеспечивая занятость населения, поддерживая стабильность платёжного баланса и стимулируя рост ВВП. Индустрия туризма Республики Азербайджан в 2012 г. по данным Государственный комитет по статистике Азербайджанской Республики и АРА обеспечила рабочими местами 8 тысяч человек, ВВП в размере (1,2 млрд. манат) 1,5 млрд. долларов США<sup>1</sup>.

### 1.1. Теоретико-методологические основы развития рынка туристских услуг

Туризм - одна из отраслей экономики, которая быстро отреагировала на происходящие реформистские процессы и оказалась более восприимчивой к экономическим преобразованиям, что предопределило формирование рынка туристских услуг, появление новых частных туристских фирм альтернативных государственным. Вместе с этим намечается процесс монополизации туристского рынка, так как процесс концентрации производства привел к созданию крупных компаний, оказывающих влияние на развитие туристского бизнеса.

Интерес предпринимателей Азербайджанской Республики к туризму объясняется следующими факторами: туристскому бизнесу не требуется больших инвестиций; в данной сфере вполне успешно взаимодействуют крупные, средние и малые фирмы, что позволяет быстро оборачивать капитал; возможности в сфере международного туризма извлекать выгоды за счет валютных операций; решение важных социальных задач, как обеспечение отдыха и укрепление здоровья населения республики.

В настоящее время на рынке туристских услуг происходит процесс формирования и развития туризма как отрасли и как кластера, а исследование этих тенденций и определение перспектив имеет актуальное значение. Это обеспечит устойчивый рост занятости и доходов населения, стимулирование развития смежных с туризмом отраслей и увеличение притока инвестиций в национальную экономику.

### 1.2. Туризм в Азербайджане

Туризм один из широко распространенных и массовых видов активного отдыха. Каждый год тысячи людей подключаются к ряду любителей путешествия и таким образом туризм ещё

---

<sup>1</sup>Государственный комитет по статистике Азербайджанской Республики, <http://www.stat.gov.az/source/tourism/indexen.php>25.12.2013 и <http://az.apa.az/news/291833>, 01.02.2014

больше расширяется. Туризм это не просто интерес и мода. Он превратился в жизненную потребность, ставшей привычкой людей в последние 20-25 лет<sup>1</sup>.

Начиная с I четверти 1990-го года всесоюзные и международные туристические маршруты в Азербайджане ликвидировались. Война и нестабильная ситуация на границах стали причиной возникновения и других проблем в области туризма. Например, из 10 туристических баз, находящихся в составе Профессионального Союза, две остались на оккупированных территориях, а в остальных местах, как было отмечено выше, были размещены вынужденные переселенцы. В сентябре 1991-го года был ликвидирован существующий департамент по иностранному туризму, а вместо него был создан Совет по Иностранному Туризму при Кабинете Министров Азербайджанской Республики.

Только в конце 90-ых годов тенденция развития туризма нашла свое отражение в законодательных актах страны. Уже в начале XXI века в Баку, Гяндже, Нахчыване и других городах страны стали функционировать современные гостиницы и отели, способные принимать иностранных гостей.

Охватывающие все регионы республики более 200 туристических компаний занимаются приемом иностранных туристов и оказанием местному населению туристических услуг, 520 отелей были официально зарегистрированы. В тех самых отелях общее количество мест более 15834. В благоприятных районах для туризма и отдыха сданы в пользование частные оздоровительные центры и центры отдыха современного уровня. Число иностранных туристов прибывающих в нашу республику превысило 2 миллиона человек.

Туризм в Азербайджане - это одна из отраслей экономики, которая стремительно развивается в последние годы. Сравнительно небольшая по территории «страна огней», расположена на стыке Европы и Азии, что делает её очень привлекательным для развития туристического бизнеса. Из 11 существующих климатических зон нашей планеты, 9 представлены на территории Азербайджана, начиная от субтропиков и заканчивая высокогорными альпийскими лугами.

Вместе с тем, несмотря на большую диаспору азербайджанцев в России, туризм из России в Азербайджан практически равен нулю, исключая поездки российских азербайджанцев на историческую Родину<sup>2</sup>. В 2012 году количество туристов, посетивших Азербайджан составило 2.484.048 человек (В основном туристы из Европы, Азии, Северной Америки, и т.д. В Азербайджане на данный момент функционируют 221 туристических компаний, 520 гостиниц и объектов гостиничного типа<sup>3</sup>).

В Азербайджане приватизация санаториев, строительство вокзалов и дорог в рамках программы развития курортов на 2009-2018 годы в Азербайджане предусмотрено поэтапное переселение беженцев и вынужденных переселенцев с санаториев в рамках утвержденной Государственной программы развития курортов в 2009-2018 годах<sup>4</sup>. В рамках утверждённой Государственной программы развития курортов в 2009-2011 годах были предусмотрены подготовка предложений по сертификации курортных услуг, строительство зданий для санаторно-курортных учреждений, разработка нормативов инфраструктурного обеспечения, питания, экологии др.; организация курсов для медперсонала санаторно-курортных учреждений, подготовка соответствующих специальностей в вузах. «В 2009-2018 годах предусмотрено осуществление мероприятий по рекламированию курортных услуг как внутри страны, так и за рубежом, определение туристических маршрутов, связанных с историческими памятниками на местах, где расположены курорты. Также планируется проведение необходимых мероприятий для поэтапного переселения беженцев и вынужденных переселенцев, которые занимают

<sup>1</sup> Министерство культуры и туризма в Азербайджанской Республики, О туризме в Азербайджане, <http://www.mct.gov.az/service/lang/ru/page/35/>, 01.02.2014

<sup>2</sup> Туризм в Азербайджане, <http://ru.wikipedia.org/wiki/01.02.2014>

<sup>3</sup> APA, Azərbaycanın turizm sektorunda çalışanların sayı son 9 ildə 3 dəfə artıb, <http://az.apa.az/news/291833>, 01.02.2014

<sup>4</sup> Баку, Fineko/abc.az

санаторно-курортные учреждения в новые посёлки. Кроме того, намечено проведение работ по восстановлению санаториев, и приватизации этих объектов согласно законодательству и привлечению инвесторов для восстановления, управления и организации услуг на курортах, восстановление дорог, ведущих к курортам, строительство автовокзалов современного типа, заправок. Также планируется проведение научно-практических конференций и организация исследований». Финансирование обеспечит государственный бюджет, государственные фонды, местные и иностранные инвесторы, другие не противоречащие законодательству источники<sup>1</sup>.

**Курорты Азербайджана:** С древних времён в Азербайджане в лечебно-профилактических целях широко использовались такие целебные природные факторы, как промысловые воды, грязи различных видов нефти и вулканические грязи. Страна была прославлена экспортом лечебной нефти, как редкого лекарства, на протяжении веков посредством Великого Шелкового Пути. Начиная с XIX века, приступили к научным исследованиям природных ресурсов лечебного характера в различных уголках Азербайджана. Результаты проведенных исследований дали возможность назвать Азербайджан курортным краем.

Начиная с XX века в Азербайджане, стало претворяться в жизнь организованное формирование сети курортов. В зависимости от благоприятных климатических условий, запасов различных минеральных вод, лечебной грязи и нефти была определена классификация природных курортов лечебного характера, расположенные в отдельных климатических зонах республики, и таким образом созданы соответствующие инфраструктуры.

В 1936-ом году при организации Института Курортологии и Физиотерапии было положено начало новому этапу исследования природных курортов с научной точки зрения. Во второй половине XX века в Азербайджане уже существовала сформированная сеть курортов. Созданная в тот период система санаторий, пансионатов и домов отдыха охватывала, можно сказать, почти всю территорию Азербайджана. В обладающих курортно-лечебным значением Нахичиваньской Автономной Республике, на Абшеронском полуострове, в регионах Гянджа-Аджикенд-Гёйгёль, Шеки-Закатала, Шуша-Туршсу, Губа-Хачмаз-Набрань, Ленкорань-Астара и других были созданы необходимые условия для отдыха и лечения.

Развитию курортов в Азербайджане начиная с 1970-го года уделялось особое внимание. Именно в том году по решению правительства СССР курорты Абшеронского полуострова, Нафталан и Илису были введены в список курортов всесоюзного значения.

А в 1980-ых годах по специальному решению правительства хоть и подразумевалось расширения сети курортов в Азербайджане, в том числе реализации широкомасштабных проектов в зоне Хачмаз-Набрань, начавшие происходить сложные политические процессы, помешали претворению в жизнь этого плана.

После обретения Азербайджаном независимости в развитии курортного дела наступил новый этап.

А именно, в 2007-ом году президент Азербайджанской Республики Ильхам Алиев подписал указ о государственной программе «**Курорты Азербайджана**». Кроме этого, в 2009-ом году Кабинет Министров Азербайджанской Республики приняли решение о подтверждении «Образцового Устава о Курортах».

В Азербайджане курортом считается территория, обладающая целебными запасами и необходимыми условиями использования этих самых запасов в целях восстановления, профилактики и лечения. Территория Азербайджана богата курортами. На этих территориях организуются предприятия, обеспечивающие отдых и лечение (санатории, дома отдыха, пансионаты, бальнеологические и грязевые лечебные очаги, курортные поликлиники, центры по восстановлению и т.д.), зоны санитарной защиты и другие курортные инфраструктуры.

---

<sup>1</sup>В Азербайджане начнётся приватизация санаториев, строительство вокзалов и дорог в рамках программы развития курортов на 2009-2018 годы, <http://abc.az/rus/news/32098.html>, 09.02.2009 17:28/01.01.2014



По природным лечебным запасам в Азербайджане существуют такие виды курортов, как бальнеологический, климатический, лечебно-грязевые курорты и курорт Нафталановой нефти. К бальнеологическим курортам, в основном относятся курорты использования природных минеральных вод. На территории Азербайджана есть каждый из восьми групп минеральных вод, принятой во всём мире по их лечебным свойствам. Климатические курорты обладают целебным климатом. Характерные факторы климатических курортов (морская вода, солнечные ванны, горячие песочные ванны, горный климат и др.) считаются, с точки зрения профилактики многих болезней, весьма важными. На лечебно-грязевых курортах проводятся лечения с использованием грязи, особенно иловой грязи (грязи озёр Масазыр и Зыг) и холмистой (вулканической) грязи. В нефтяном курорте Нафталан проводится лечение нафталановой нефтью, обладающей особенными уникальными целебными и высоко действующими свойствами.

По географическому размещению курортные ресурсы Азербайджана делятся на следующие зоны<sup>1</sup>:

- **В зоне Большого Кавказа** существуют более тридцати источников термальной и холодной с содержанием различной серной концентрацией и органических веществ, слабо минерализированной минеральной воды. Широко распространенные в Азербайджане грязевые вулканы находятся в этой зоне.

- **Зона Малого Кавказа** в основном отличается бальнеологическими курортами минеральных вод, богатыми углеродными солями. Обладает исцеляющим климатом. В этой зоне расположены нефтедобывающие промыслы известной, как естественный лечебный фактор, нефти Нафталан.

- **Прибрежная зона Каспийского моря** по своему климату и бальнеологическим свойствам делится на три курортные части. Пояс Худат-Ялама (курорт Набрань) богат песчаными пляжами, лесами, запасами йодо-бромных вод. Абшеронский полуостров охватывает курорты Мярдаканы, Бильгя, Зугульба, Бузовна, Сураханы. На этой территории наряду с морским климатом проводят лечение различными минеральными водами, такими как, термальная сульфидная вода Шых, многочисленные йодо-бромные воды. Серные воды Сураханы, иловые грязи Масазыра и Зыга также используются в лечебных целях.

- **Субтропическая Ленкорань-Астаринская зона** богата источниками термальных и минеральных вод. В регионе богатой минеральными водами (150 источников воды), имеющие важное значение для курортного лечения.

- **В Нахичеванской Автономной Республике** расположены курорты Сираб, Бадамлы, Вайхыр, Дарыдаг и Батабат.

- **На Кура-Араксинской впадине** расположены бальнеологические курорты и многочисленные метановые, азотные, высоко и очень высоко минерализированные, кремнистые, йодобромные запасы термальных вод обладают лечебной важностью<sup>2</sup>.

**Санатории:** В Азербайджане, на территории которого в ещё в советское время проводились курортные лечения, и сегодня действуют санатории, занимающиеся лечением различных болезней. Из них более известны санатории сердечно-сосудистых, костно-мышечных, кожных болезней, болезней нервной системы, периферической нервной системы, периферических сосудистых болезней, гинекологических и урологических болезней и др. лечебные санатории (Нафталан, Мердекан, Бильгя, Гызыл Гум, Масаллы, Ленкорань, Нахчивань и т.д.).

**Охотничий туризм:** В республике существуют условия развития большинства видов туризма – лечебно-оздоровительного, экологического, культурного, социального, коммерческого, спортивного и т.д. Еще одним видом туризма, весьма развившимся за последние годы, является охотничий туризм. Охота на Дагестанского тура, на дикую

---

<sup>1</sup> Курорты Азербайджана, [http://azerbaijans.com/content\\_892\\_ru.html](http://azerbaijans.com/content_892_ru.html), 02.01.2014

<sup>2</sup> Курорты Азербайджана, [http://azerbaijans.com/content\\_892\\_ru.html](http://azerbaijans.com/content_892_ru.html), 02.01.2014


свинью, охота на зайцев, на лесных голубей, на перепела, на куропаток, на водоплавающую дичь (гуси, утки, лысухи), на кулика, на лесного кулика и на серну. Для регулирования численности фауны Азербайджана охота в республике ограничена соответствующими охотничьими участками и хозяйствами<sup>1</sup>.

## 1.2. Оценка эффективности деятельности предприятий

Эффективность представляет собой относительный эффект, результативность процесса, операции, проекта, определяемые как отношение эффекта, результата к затратам, расходам, обусловившим, обеспечившим его получение<sup>2</sup>. Наиболее популярным коэффициентом, характеризующим эффективность деятельности предприятия, является коэффициент рентабельности операционной деятельности предприятия. Его динамику можно проследить как на уровне отдельного предприятия или региона, так и на уровне государства в целом. Данный показатель рассчитывается как отношение финансового результата от операционной деятельности к затратам от операционной деятельности<sup>3</sup>.

По данным Государственного комитета по статистике Азербайджанской Республики показатели рентабельности от операционной деятельности гостиниц в 2006-2012 гг. выше аналогичных показателей санаториев, пансионатов, домов отдыха и туристических агентств (рис.1.). Однако динамика показателя рентабельности от операционной деятельности гостиниц имеет большую амплитуду изменения, чем других предприятий индустрии туризма АР.

**Рис. 1. Основные показатели туристических компаний**



Источник: График составлен по данным государственного комитета по статистике Азербайджанской Республики, <http://www.stat.gov.az/source/tourism/indexen.php> 25.12.2013


По данным государственного комитета по статистике Азербайджанской Республики в 2002-2012 годы, наблюдается рост туристических предприятий на 335,89%, а сотрудников на 442,32%. Азербайджан предпринимает ряд мер для придания импульса развитию туризма – открывает новые отели, проводит международные мероприятия, что помогает укрепить туризм в стране и привлечь гостей в Азербайджанскую Республику.

**Рис. 2. Доходы и расходы туристических компаний за 2002-2012 годы (тыс. манат)**

<sup>1</sup> Охота в Азербайджане, [http://azerbaijans.com/content\\_1774\\_ru.html](http://azerbaijans.com/content_1774_ru.html), 02.01.2014

<sup>2</sup> Райзберг Б.А. Современный экономический словарь / Б.А. Райзберг, Л.Ш. Лозовский, Е.Б. Стародубцева. - 2-е изд., испр. М.: ИНФРА-М, 1999. - 479 с.


<sup>3</sup> Максимюк Н.В. Оценка эффективности деятельности предприятий индустрии туризма Автономной республики Крым, Экономика. Управління. Інновації. - 2011. - №1 (5).



Источник: График составлен по данным государственного комитета по статистике Азербайджанской Республики, <http://www.stat.gov.az/source/tourism/indexen.php> 25.12.2013


С 2005 года наблюдается положительная тенденция по отношению к расходам в туристических предприятиях. Данная тенденция касается как числа приездов, так и расходов иностранных граждан на территории Азербайджана. Данные Государственного комитета статистики за период 2002-2012 гг. указывают на увеличение числа иностранных туристов, приезжающих в Азербайджан, а также на увеличение пребывания в стране. Результаты денежных поступлений за период 2002 – 2012 гг. представлены в рис.2.

**Рис. 3. Показатели принятых и отправленных туристов (чел.)**



Источник: График составлен по данным Государственного комитета по статистике Азербайджанской Республики, <http://www.stat.gov.az/source/tourism/indexen.php> 25.12.2013

**Рис. 4. Рентабельность роста, %**



На рис. 4 наблюдается пик в 2007-2012 гг. для большинства предприятий индустрии туризма, что обусловлено ростом количества отдыхающих и высоким коэффициентом загрузки номеров. Кроме того, в 2007-2012 гг. наблюдается значительный рост рентабельности от операционной деятельности санаторно-курортных учреждений.

Основной причиной сложившейся кризисной ситуации является снижение числа количества обслуженных туристов за 2008-2009 гг. по сравнению с аналогичным показателем за 2008-2010 гг. за счет уменьшения иностранных туристов и продолжительности отдыха.

#### Выводы

В ходе проведенной работы было установлено, что:

- Туристический бизнес является успешно и динамично развивающейся отраслью, которая вносит большой вклад в развитие экономики Азербайджана. А также, туристический бизнес способствует созданию рабочих мест, развитию международной торговли.

- В 2002-2012 гг. наблюдалась положительная тенденция развития туристического бизнеса в республике.

- Положительная тенденция в развитии мирового туристического бизнеса продолжилась в 2013 году. В этом году количество международных прибытий впервые за всю историю превысило 2,3 млн. В 2002-2012 гг. во въездном туризме в Азербайджане наблюдался положительный тренд. Увеличилось как количество международных приездов, так и расходы иностранных граждан на территории Азербайджанской Республики. В 2012-2013 гг. денежные поступления от туристического бизнеса продолжили расти.

Подводя итог, стоит отметить, что в целом туристический бизнес Азербайджанской Республики развивается достаточно хорошо для того, чтобы Азербайджанская Республика могла по праву считаться одним из лидеров туристического рынка Евро-Азии.

#### Список использованной литературы

1. APA, Azərbaycanın turizm sektorunda çalışanların sayı son 9 ildə 3 dəfə artıb, <http://az.apa.az/news/291833>, 01.02.2014
2. Баку, Fineko/abc.az
3. В Азербайджане начнется приватизация санаториев, строительство вокзалов и дорог в рамках программы развития курортов на 2009-2018 годы, <http://abc.az/rus/news/32098.html>, 09.02.2009 17:28/01.01.2014
4. Государственного комитета по статистике Азербайджанской Республики, <http://www.stat.gov.az/source/tourism/indexen.php> 25.12.2013
5. Курорты Азербайджана, [http://azerbaijans.com/content\\_892\\_ru.html](http://azerbaijans.com/content_892_ru.html), 02.01.2014
6. Максимюк Н.В. Оценка эффективности деятельности предприятий индустрии туризма Автономной республики Крым, Экономика. Управління. Інновації. - 2011. - №1

7. Министерство культуры и туризма в Азербайджанской Республики, О туризме в Азербайджане, <http://www.mct.gov.az/service/lang/ru/page/35/>, 01.02.2014
8. Райзберг Б.А. Современный экономический словарь / Б.А. Райзберг, Л.Ш. Лозовский, Е.Б. Стародубцева. - 2-е изд., испр. М.: ИНФРА-М, 1999. - 479 с.
9. Туризм в Азербайджане, <http://ru.wikipedia.org/wiki>, 01.02.2014

## **РЕЗЮМЕ**

Туризм - это одна из важнейших сфер деятельности современной экономики, нацеленная на удовлетворении потребностей людей и повышение качества жизни населения. В настоящее время туризм является одной из ведущих и наиболее динамичных отраслей мировой экономики. Кроме того туризм является сферой услуг, которое очень быстро развивается по всему миру. Во многих странах туризм играет важную роль в формировании валового внутреннего продукта, создании дополнительных рабочих мест и обеспечении занятости населения; а так же активизации внешнеторгового баланса.

Цель и задачи данного исследования является оценка эффективности деятельности предприятий индустрии туризма Азербайджанской Республики за 2006-2012 гг.

Объектом исследования являются субъекты туристского бизнеса Республики Азербайджан.

Предметом исследования выступает совокупность организационных, экономических и социальных отношений, складывающихся при становлении и развитии туристской предпринимательской деятельности в Республике Азербайджан.

## **EVALUATION OF TOURIST ENTERPRISES IN THE REPUBLIC OF AZERBAIJAN**

**Gandilova Saadet**  
Associate Professor  
Doctor of Economics

### **SUMMARY**

Tourism - this is one of the most important fields of activity of the modern economy, aimed at meeting the needs of the people and improving the quality of life of the population. Currently, tourism is one of the leading and most dynamic industries in the world economy. In addition, tourism is the services sector, which is growing rapidly worldwide. In many countries, tourism plays an important role in the formation of gross domestic product, creating jobs and providing employment; as well as the activation of the trade deficit.

The purpose and objectives of this study is to evaluate the effectiveness of the enterprises of the tourism industry of the Azerbaijan Republic for 2006-2012 years.

The object of study are the subjects of the tourist business in the Republic of Azerbaijan. The subject of research is the set of organizational, economic and social relations which are formed during the formation and development of tourism entrepreneurship in the Republic of Azerbaijan.

## რისკის შეფასების ზოგიერთი ასპექტი აუდიტორულ საქმიანობაში

ნაზი გვარამია

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი*

თანამედროვე ეტაპზე დიდ ინტერესს იწვევს კომპანიებში რისკების შეფასებისა და აუდიტის საკითხები. თეორიულ დისციპლინებში, რომლებიც ორგანიზაციის მართვის საკითხებს ეხება, რისკს ზოგადად განკერძოებულად განიხილავენ, თუმცა ამავე დროს ხორციელდება კვლევები იმ მიმართულებით, თუ როგორ უკავშირდება რისკი ორგანიზაციის შიდა საქმიანობას. აქედან გამომდინარე, რისკის მართვა შიდა კონტროლის მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო შიდა კონტროლი, თავის მხრივ კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ ჩვენ მხოლოდ სინანულით, უმოქმედოდ ვაკვირდებით წარსულში მომხდარ მოვლენებს და არაფერს ვცვლით, შიდა კონტროლის სისტემამ შეიძლება ვერ შეძლოს რისკების სათანადოდ გაკონტროლება. ამიტომ ცხადია ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციამ შეიცნოს და რაოდენობრივად შეაფასოს ის რისკები, რომლებსაც აწყდება თავის საქმიანობაში.

ზემოთ აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში ყურადღებას დაუთმობთ სწორედ რისკების შეფასების ძირითად ასპექტებს.

როგორც ცნობილია, არსებობს ზოგადი წარმოდგენა რისკის შესახებ და შესაბამისად, საზოგადოებაც შემოიფარგლება გარკვეული ცოდნით აღნიშნული საკითხის გარშემო. კერძოდ, რისკის ერთ-ერთი ქმედითი და პრაქტიკული განმარტება შემდეგია: “რისკი არის არარეალიზებული სამომავლო ზარალი, რომელიც წარმოიქმნება მიმდინარე პერიოდის რომელიმე ქმედებიდან ან უმოქმედობიდან.” საშუალოდ, უკუგება (მოგება) არის რისკის ფუნქცია. “რისკის წილი” ფულადი საშუალებები ის საშუალებებია, რომელთაც დიდი რაოდენობის შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ყველაზე დიდი უკუგების მიღების შესაძლებლობა უნდა იყოს საუკეთესო სცენარი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში შეიძლება გათამაშდეს (მაგალითად, ინვესტიციის დაბანდება კომპანიებში). რისკი აუდიტის მნიშვნელოვანი ფაქტორია და იგი ორ კატეგორიად იყოფა:

❖ კონკრეტული დავალების რისკი (ე.წ. აუდიტორული რისკი);

❖ ბიზნესის (კომპანიის) რისკი, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ დამკვეთთან და შეიძლება თანდაყოლილი რისკის ნაწილი იყოს, აქედან გამომდინარე, კი გავლენას იქონიებს აუდიტზე.

რისკი აუდიტორულ საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. აუდიტის ჩატარების ყველაზე მეტად გავრცელებული მიდგომა გულისხმობს ამ რისკების შეცნობას.

უდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ასს 300) “ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა” – აღნიშნულია: “აუდიტორის მიზანია იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ იგი რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს.” აღნიშნული სტანდარტი ეხება ორ დოკუმენტს: აუდიტის საერთო სტრატეგიას და აუდიტის გეგმას. უდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტში ზოგად ასპექტებშია ჩამოყალიბებული, თუ როგორ ჩატარდება აუდიტი. შესაბამისად, აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

❖ გარიგების (დავალების) სპეციფიკა;

❖ მოცემული გარიგების საანგარიშგებო მიზნები, აუდიტის ვადები და საჭირო ინფორმირების ხასიათი;

- ❖ მნიშვნელოვანი ფაქტორები, გარიგების გაფორმებამდე ჩასატარებელი წინასწარი სამუშაოების შედეგები და მოცემული დამკვეთისათვის შესრულებული სხვა გარიგებებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება;
- ❖ მოცემული გარიგების შესასრულებლად საჭირო რესურსების ხასიათი, მოცულობა და მათი გამოყენების დროის განსაზღვრა.

აუდიტის გეგმაში დეტალიზებულია კონკრეტული პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და აუდიტის ჩასატარებლად. შედარებით მცირე მასშტაბის კომპანიებში, სავარაუდოდ აუდიტის სტრატეგია წარმოდგენილი იქნება მოკლე ჩანაწერების სახით, ხოლო აუდიტის გეგმა – აუდიტის რამდენიმე სტანდარტული ადაპტირებული პროგრამით. უდიტის სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტში აღწერილი იქნება აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება მტკიცებულებების შესაკრებად. ერთ-ერთ ძირითად ასპექტს ამ მიმართულებით წარმოადგენს რისკზე დაფუძნებული აუდიტი, რაც თავის მხრივ გულისხმობს აუდიტის ჩატარების ისეთი მეთოდის შემუშავებას, რომელიც განკუთვნილია აუდიტში რისკის ფაქტორებზე რეაგირებისათვის. ამ შემთხვევაში აუდიტორები პროფესიულ განსჯას მიმართავენ იმის დასადგენად, თუ რა დონის რისკი უკავშირდება დამკვეთის სისტემის სხვადასხვა სფეროს, რის საფუძველზეც გეგმავენ შესაბამის აუდიტორულ ტესტებს.

ზემოთ აღნიშნულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ აუდიტორების განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება ფინანსური ანგარიშგების ისეთ სფეროებზე, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი უზუსტობების არსებობა, რაც ცხადია შეცდომების გამოვლენის ალბათობას ზრდის და ამავე დროს ამცირებს ზედმეტი დროის ხარჯვას “უსაფრთხო” სფეროების ტესტირებაზე. რისკზე დაფუძნებული აუდიტის ტექნიკის ფართოდ გამოყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი:

- ❖ სამეწარმეო გარემოს მნიშვნელოვანი და მუდმივად მზარდი ტენდენცია თავის მხრივ ზრდის თაღლითობისა და უზუსტობების წარმოქმნის შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორცაა: კომპიუტერული სისტემების ფართოდ გამოყენება და კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ზრდა;
- ❖ აუდიტის დამკვეთების ზეწოლის გაძლიერება აუდიტორებზე, რაც გულისხმობს პროფესიული მომსახურებისათვის ანაზღაურების დაბალ ტარიფებს, ხოლო მომსახურების ხარისხის მაღალ დონეს.

შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც აპროექტებს და ნერგავს კომპანიის ზედა რგოლების ხელმძღვანელი პერსონალი, რომლებიც სწორედ იმ მიზნით არიან დანიშნულნი, რომ ეფექტიანად მართონ კომპანია. დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად, მენეჯერებმა უნდა წარმოადგინონ იმის გარანტია, რომ კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული მართვის მკაცრი პრინციპები და მათ აქვთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია მუშაობს შეთანხმებული სტრატეგიის ანუ დასახული მიზნების შესაბამისად. მაგალითად, კორპორაციული მართვის პრინციპების ერთ-ერთი მოთხოვნა მდგომარეობს შემდეგში: კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ:

- ❖ კომპანიაში არსებობს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საიმედო პროცესი და ეს პროცესი ეფექტიანად მუშაობს;
- ❖ მიღწეული იქნება მომსახურების დასახული დონეები;
- ❖ ყველა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნა შესრულდება.

შიდა კონტროლის დანიშნულებაა მინიმუმადე დაიყვანოს რისკები, რომელსაც კომპანია ექვემდებარება და თუ რისკები მაინც წარმოიქმნება, ეს ხელს ვერ შეუშლის კომპანიას სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს 315) - “არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით” – აღნიშნულია: “აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ასევე მტკიცების დონეზე, სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რისი საშუალებითაც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკების მიმართ საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის.” ამ მიზნის მისაღწევად აუდიტორს მოეთხოვება რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ❖ ხელმძღვანელობის გამოკითხვას;
- ❖ ანალიზურ პროცედურებს;
- ❖ დაკვირვებასა და დათვალიერებას.

შიდა კონტროლი მოიცავს კონტროლის ყველა სფეროს და მოითხოვს რომ აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლის გარემოს შესახებ. სტანდარტში გამოყენებული ტერმინოლოგიის თანახმად, შიდა კონტროლი ხუთი ელემენტისგან შედგება:

- ❖ კონტროლის გარემო;
- ❖ სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული რისკის შესაფასებელი პროცესი;
- ❖ საინფორმაციო სისტემა, მათ შორის მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების შესაფერისი ბიზნეს – პროცესები და ინფორმირება;
- ❖ მაკონტროლებელი საქმიანობა;
- ❖ კონტროლის პროცედურების მონიტორინგი.

სამეურნეო სუბიექტის შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, აუდიტორმა უნდა შეისწავლოს ერთი მხრივ, შიდა კონტროლის სტრუქტურა, რათა გაიგოს, რომ ის ეფექტურია არსებითი უზუსტობის თავიდან აცილების და/ან გამოვლენის თვალსაზრისით; მეორეს მხრივ, ხორციელდება თუ არა პრაქტიკულად მაკონტროლებელი საქმიანობა, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული პერიოდის მანძილზე სათანადოდ მუშაობდა კონტროლის სისტემა.

რისკის შეფასება და აუდიტი არის იმ რისკების შეცნობის სისტემური გზა, რომელსაც კომპანია აწყდება თავისი საქმიანობის პერიოდში. იმის გამო, რომ დიდი რაოდენობის და მრავალი ტიპის რისკები არსებობს, ლოგიკურია რისკის შეფასება და მისი აუდიტი რთული და კომპლექსური პროცესი იყოს. ფინანსური აუდიტისგან განსხვავებით რისკის აუდიტის ჩატარება კომპანიებისათვის სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ მაღალ დონეზე რეგულირებად სექტორებში (მაგალითად, როგორცაა საბანკო საქმე და საფინანსო მომსახურება), ბევრ ქვეყანაში გარკვეული ფორმით, რისკის შეფასება და აუდიტი სავალდებულოა. ზოგიერთი კომპანია იწვევს შიდა რისკების სპეციალისტებს რისკის “შიდა” აუდიტის ჩასატარებლად, სხვა შემთხვევაში ამ ფუნქციას გარე კონსულტანტები ასრულებენ. ცხადია, ორივე მიდგომას გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიდა ფუნქციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტორები სავარაუდოდ კარგად იცნობენ აღნიშნულ კომპანიას, მის სისტემებს, პროცედურებს, მარეგულირებელ გარემოსა და კულტურას, რაც გულისხმობს კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებულ შეფასებას. ნაკლოვანება კი გამოიხატება ისეთი საფრთხეების წარმოქმნაში, როგორცაა: დამოუკიდებლობის შელახვა და ზედმეტი ინფორმირებულობით განპირობებული თავდაჯერებლობა. ამ მიზეზით კომპანიები ამჯობინებენ რისკის შეფასება და აუდიტი გარე მხარეებს მიანდონ.



რისკის ნებისმიერი ტიპის აუდიტს (შიდას თუ გარეს) ოთხი სტადია ახასიათებს:

- ❖ რისკის დადგენა;
- ❖ შეფასება;
- ❖ მიმოხილვა;
- ❖ ანგარიშის მომზადება.

რისკის აუდიტის პირველი ეტაპია **რისკების დადგენა**. რისკების წარმოშობასა და არსებობას განაპირობებს კომპანიების საქმიანობის ცვალებადი ბუნება, ასევე იმ გარემოს მუდმივი ცვალებადობა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ახალი რისკები ჩნდება და ძველი ქრება, ამიტომ ცხადია რისკების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპანიებისათვის, რომლებიც ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოში ფუნქციონირებენ.

შემდეგი ეტაპი **რისკის შეფასებაა**. ნებისმიერი გამოვლენილი რისკი უნდა შეფასდეს ორ ცვლადთან მიმართებაში: რისკის რეალიზების (მატერიალიზების) ალბათობა და რისკის გავლენა, ანუ რა შედეგი ან საფრთხე მოჰყვება, თუ რისკი რეალიზდება. ეს არის ორი საინტერესო კოორდინატა ღერძი, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ალბათობის/გავლენის წერტილების კოორდინატების დასადგენად და ინდივიდუალური რისკის ქცევის შესახებ თეორიული წარმოდგენის შესაქმნელად. “თეორიული”, რადგან ზოგჯერ შეუძლებელია საკმარისი ინფორმაციის მოპოვება რისკის შესახებ, რათა მისი გავლენის და/ან ალბათობის ზუსტი სურათი მივიღოთ. რისკის შეფასების ასეთი სტრატეგია გამოიყენება მრავალ სიტუაციაში, აქციების პორტფელის მართვით დაწყებული ინტერნაციონალურ სტრატეგიულ კურსზე რისკების გავლენის შესაცნობად. რისკის აუდიტის ჩატარებისას აუდიტორი განიხილავს ყველა ღონისძიებას, რომელიც კომპანიამ გაატარა თითოეულ გამოვლენილ და შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

**მიმოხილვის** სტადიაზე აუდიტორი აანალიზებს კონტროლის იმ საშუალებებს, რომლებიც კომპანიას აქვს იმ შემთხვევისათვის, თუ რისკი მატერიალიზდება. მაგალითად, როდესაც აუცილებელია, აუდიტორმა შეიძლება შეამოწმოს დაზღვევა და მისი პირობები, თუ რა ღონეზება რისკის პორტფელი დივერსიფიცირებული და ნებისმიერი სხვა კონტროლის საშუალება, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. რისკებისათვის, რომელიც კომპანიას თავის თავზე აქვს აღებული, აუდიტორი ამოწმებს იმ ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანობას (როგორცაა მაგალითად, ევაკუაცია, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და ა.შ.), რომლებიც მაშინ გატარდება, როდესაც რისკი მატერიალიზდება. მიმოხილვა უნდა იყოს არსებითი ამოცანა, რადგან თითოეულ შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის გატარებული ღონისძიება მიმოხილვის ნაწილია და შეიძლება პრაქტიკაში ბევრი რისკი იყოს განსახილველი.

ფინალურ ეტაპზე მიმოხილვის შედეგების მიხედვით დაიწერება **ანგარიში** და გადაეცემა დამკვეთს, რომელიც ხშირად წარმოადგენს ხელმე თავად იმ კომპანიის საბჭოს, რომლის აუდიტიც ტარდება. ხელმძღვანელობას სჭირდება ინფორმაცია, ძირითადი რისკების დონის შესახებ (კერძოდ: რისკები, რომელთაც წარმოშობის დიდი ალბათობა გააჩნიათ; რისკები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ და განსაკუთრებით ისეთი რისკები, რომელთაც გააჩნიათ დიდი ალბათობაც და გავლენაც), რისკების შეფასება და სახეზე არსებული კონტროლის საშუალებების ეფექტიანობა. ნათელია, რომ ნებისმიერი არაეფექტური კონტროლის საშუალება ანგარიშის ძირითადი კომპონენტი იქნება და მათ დაუყონებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება ხელმძღვანელობამ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში შევეცადეთ გადმოგვეცა რისკების შეფასების და აუდიტის ზოგადი მიმოხილვა, საკვანძო საკითხები და წარმოგვედგინა წინადადებები, თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში

რისკების შეფასების სტრუქტურა მათი საქმიანობის შესაბამისად. ჩვენი აზრით, გონივრული იქნება სეგმენტირება კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე. აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, კერძოდ რისკების შეფასების და აუდიტის სფეროში დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყოფს ხელს ბიზნესის სფეროში კომპანიების საქმიანობის სწორად დაგეგმვას, რისკების სწორად შეფასებას, შიდა კონტროლის სისტემის დახვეწას, რაც ცხადია იქნება ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ACCA წიგნი P7. აუდიტი და მარწმნებელი მომსახურება (საერთაშორისო პროგრამა, უმაღლესი დონე). სახელმძღვანელო, თარგმნილი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ, 2010 წ.
2. ნ. გვარამია. აუდიტის მსოფლიო კონცეფციები და განვითარების ტენდენციები საქართველოს საბანკო სექტორში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 6-7 აპრილი, თბილისი, 2012 წ.
3. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. ქ. ბუღალტრული აღრიცხვა, №11, თბილისი, 2010 წ.
4. საქართველოს კანონი შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ. 2010 წ. 26 მარტი, თბილისი.
5. А. Кушнареев. Журнал«Аудит»; #2-3, 2011 г.

#### Some aspects of the risk assessment of audit activities

Nazi Gvaramia

Sokhumi State University

Associate Professor

#### Summary

The scientific work highlights the role and importance of tourism as one of the priority directions in the 21<sup>st</sup> century. It as the quite profitable field of world economy has become an important factor of successful development of the national economy and business of our country. Development of tourism is directly connected to social, cultural, educational and economic spheres, and at the same time it greatly stipulates economic relation between states. Hence, the sphere mentioned in the studies is characterized as an interfiled complex which simultaneously fulfils double (both entrepreneurial and non-entrepreneurial) function in a country's economy. High multiplicative effect is characteristic to tourism. It can equalize the levels of development of economy in different regions. Somehow, development of tourism plays a role of stimulator (a catalyst). That is why this field, in comparison with other fields of economy, can bring more important positive social-economic effect.

The work gives us the analysis of the mechanisms of effective functioning of travel agencies from the view of registry, risk evaluation and audit; in particular, the elements of internal control, the requirements of international standards of audit are presented and the advantage of audit of risks as of internal performance of a company is given, correspondingly, this means the evaluation carried out considering company's expectations and norms, following legislative requirements, using a proper technical language. Four stages are characteristic to any type of audit (internal or external) of risk. According to the above mentioned, in our opinion, the issues of risk evaluation and audit in travel agencies attract great interest which is highlighted in the presented scientific work. The studies are about the existed general approaches to risks and one of the practical explanations is analyzed, accordingly, returns the description of the function of risks and the best scene of possibilities of its making is presented.

As the world politics show, with the purpose of enhancement of a country's social-economic development as well as providing effective performance of separate economic subjects, the stability of a country's economic system is of great importance. One of the prerequisites of this is the creation of the system of risk evaluation and audit. Without this system it is impossible to develop economy. Hence, we think the application of the above mentioned system in travel agencies in Georgia will guarantee their effective performance.

### **ზოგიერთი ანალიზური მოდელის აგება და გამოყენება ეკონომიკური პროცესების სტატისტიკურ პროგნოზირებაში**

**სიმონ გელაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პროფესორი*

პროგნოზირების თვალსაზრისით, მრავალი ეკონომიკური მოვლენა და პროცესი ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე შესწავლილი. ეს შეეხება როგორც მათს ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ისე კვლევის მეთოდებსა და ხერხებს, ადეკვატური საპროგნოზო მოდელის აგებას და მათ საფუძველზე რეალური პროგნოზების გაანგარიშებას. ასეთი პროცესების პროგნოზირებისას შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული მრავალი მეთოდი და მოდელი, მათ შორის, სხვადასხვა სირთულის ანალიზური მოდელი.

ეკონომიკური პროცესების სტატისტიკურ პროგნოზირებაში ანალიზური მოდელის გამოყენების სპექტრი მრავალფეროვანია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი აგების მეთოდების, გამოყენების სფეროს, სირთულის ხარისხის და სხვა არსებითი ნიშნების მიხედვით. მათი საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა ეკონომიკური პროცესის განვითარების ზოგადი ტენდენციების კვლევა, რომლებიც წარმოადგენენ კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების სისტემის ასახვას. აქედან გამომდინარე, ასეთი მოდელები უმეტესად გამოიყენება პროგნოზული კვლევის საწყის და შუალედურ ეტაპებზე, რომელთა დახმარებით ყალიბდება შესასწავლი ობიექტის ცვლილების საზღვრებისა და პროპორციების წინასწარი შეფასებები. თავის მხრივ, ასეთი შეფასებების საფუძველზე მუშავდება მათი მომავალი ცვლილების კონცეპტუალური დასკვნები და წინადადებები.

პროგნოზული ამოცანების გადაწყვეტა ანალიზური მოდელის გამოყენებით გულისხმობს იმას, რომ კვლევის ობიექტის მომავალი განვითარების მოდელი ასახავს მისი ცვლილების თავისებურებებს, შინაგან სტრუქტურას და ურთიერთკავშირებს. ასეთი მოდელის აგებისას გაითვალისწინება მოვლენათა ცვლილების შესახებ

არსებული ჰიპოთეზები, რომლებიც იმავდროულად პროგნოზული ინფორმაციის ერთ-ერთი წყაროცაა.

პრინციპში, ყოველგვარი მოდელი წარმოადგენს რაიმე ობიექტის (მოვლენის ან პროცესის) სქემას, მის ფორმალურებულ გამოსახულებას. ფართო და ჭეშმარიტად ნამდვილი მეცნიერული გაგებით, მოდელირება გულისხმობს არა მხოლოდ მოდელის აგებას, არამედ აგებული მოდელის საფუძველზე ამა თუ იმ სტრატეგიული კონცეფციის (ან მეცნიერული ჰიპოთეზის) შეფასებას, აგრეთვე შესასწავლი ობიექტის ფუნქციონირების დადგენას. აქედან გამომდინარე, მოდელირების დროს უნდა განხორციელდეს შემდეგი ეტაპები (1, გვ. 37):

1. საპროგნოზო ორიენტაციის, ანუ პროგნოზირების ობიექტის, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა;
2. პროგნოზირების ობიექტის და მისი მაფორმირებელი ფაქტორების შესახებ ინფორმაციული ბაზის ფორმირება;
3. საპროგნოზო ობიექტზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;
4. საპროგნოზო მოდელის აგება და მისი ადეკვატურობის შეფასება;
5. პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება;
6. მიღებული პროგნოზების ვერიფიკაცია;
7. კვლევის ობიექტის მომავალი ცვლილების მარეგულირებელი რეკომენდაციების შემუშავება.

თავის მხრივ, ყოველი სტადია მოიცავს კვლევის პროცესის რამდენიმე ერთგვაროვან და ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს, ყოველი ეტაპი კი აერთიანებს სხვადასხვა ოპერაციებს. რეალური პროგნოზების მისაღებად აუცილებელია ყველა ჩამოთვლილი სტადიის განხორციელება.

ანალიზური საპროგნოზო მოდელები შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი სახის ანალიზური მოდელები ემყარებიან იმ ჰიპოთეზას, რომ მოცემული მოვლენის მომავალი ცვლილება ფუნქციონალურ კავშირშია მის მაფორმირებელ ფაქტორებთან. ასეთი ჰიპოთეზა ზოგადად შეიძლება გამოისახოს შემდეგი ტიპის განტოლებით:

$$y(t) = qN(t), \text{ სადაც} \quad (1)$$

- $y(t)$ - მაჩვენებლის პროგნოზული მნიშვნელობებია  $t$  მომენტში;
- $N(t)$ - მაჩვენებლის მაფორმირებელი ელემენტების (ფაქტორების) რიცხვი;
- $q$  - პროპორციულობის კოეფიციენტი.

შედარებით მარტივი სახის ანალიზური საპროგნოზო მოდელის ასაგებად შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: მთლიანი შიგა პროდუქტი ან ეროვნული შემოსავალი  $t$  პერიოდისათვის  $y(t)$ , დაგროვება  $U(t)$ , მოხმარება  $C(t)$  და სხვ.

მოდელის კონკრეტული ტიპის შერჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ უშუალოდ მკვლევარზე, არამედ საპროგნოზო ობიექტის მაფორმირებელი ფაქტორების ზემოქმედების ხასიათზე და ზომაზე, რაც ვლინდება წინასწარი ლოგიკური ანალიზის შედეგად. მაშასადამე, მოდელის ტიპის შერჩევისას გამოიყენება ლოგიკური და სტატისტიკური მიდგომა. პირველი მიდგომა - ეს არის მოდელის შერჩევის საწყისი ეტაპი, რაც გულისხმობს „აზრობრივი“ (აბსტრაქტული) მოდელის აგებას. შემდეგ მას მოსდევს მეორე - სტატისტიკური მიდგომა, რის შედეგადაც „აზრობრივი“ მოდელი იქცევა რეალურ (კონკრეტული სახის მქონე) ანალიზურ (ან სხვა ტიპის) საპროგნოზო მოდელად. ამრიგად, ასეთი მოდელები წარმოადგენს ლოგიკური და სტატისტიკური მიდგომის ურთიერთკავშირის ასახვას.

ეკონომიკური მოვლენები და პროცესები უმეტესად რთულ ხასიათს ატარებენ. შესაბამისად, მათი პროგნოზირების დროს უმეტესად გამოიყენება რთული სახის ანალიზური მოდელები. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. პერლის მრუდი, რომელიც მათემატიკურად შემდეგნაირად გამოისახება (2, გვ. 238):

$$y(t) = \frac{L}{1 + ae^{-bt}}, \quad \text{სადაც} \quad (2)$$

$L$  - მოცემული მაჩვენებლის სიდიდის ზედა საზღვარია;

$e$  - ნატურალური ლოგარითმის ფუძეა;

$a$  - მუდმივი სიდიდეა (კონსტანტა);

$b$  - ცვალებადი სიდიდეა.

საპროგნოზო ამოცანების გადაწყვეტისას აღნიშნული მოდელის გამოყენება განსაკუთრებით დადებით შედეგებს იძლევა მაშინ, როდესაც შესასწავლი ობიექტის ცვლილების კანონზომიერებანი ექვემდებარებიან რაოდენობრივ გაზომვას და ასახვას.

არსებობს ისეთი ტიპის ეკონომიკური პროცესები, რომლებსაც განვითარების საზღვრები გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ შეზღუდული აქვთ, ანუ ზრდა ჩერდება. ასეთი ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს ე.წ. გომპერცის მრუდი, რომელსაც გრაფიკულად S-სახის ფორმა აქვს. იგი მათემატიკურად შემდეგნაირად გამოისახება (6, გვ. 197):

$$y(t) = Le^{-be^{-kt}}, \quad \text{სადაც} \quad (3)$$

$L$  - მოცემული მოვლენის სიდიდის (დონის) ზედა საზღვარია;

$e$  - ნატურალური ლოგარითმის ფუძეა;

$t$  - დროის მომენტი;

$b$  - ცვალებადი სიდიდეა.

გრაფიკულად გომპერცის მრუდი ასიმეტრიულია. მისი პარამეტრები შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სახის ანალოგიური წრფივი ფუნქციის კოეფიციენტების შეფასების გზით:

$$x(t) = \ln b - kt, \quad (4)$$

როგორც პერლის (2), ისე გომპერცის (3) ფუნქციები ეკონომიკური პროცესების გარდა შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად შესაძლო (მოსალოდნელი) შედეგების შეფასებების დროს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა შემდეგი მომენტების გათვალისწინება:

— ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისება (და უშუალოდ მათი შექმნაც) წარმოადგენს გაუწონასწორებელ, უთანაბრო პროცესებს, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოიცავენ როგორც მოძველებულ, უკვე არსებულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, ისე ჯერ კიდევ პრაქტიკაში უცნობს, ახალს;

— ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების პრაქტიკაში დანერგვა ძირითადად ხორციელდება უსისტემოდ და შეზღუდული მასშტაბებით (ვთქვათ, 1-2 ფირმაში), განსაკუთრებით დასაწყისში. მათი ერთდროულად ათვისება ყველა ან უმრავლეს საწარმოში და მოკლე დროში, როგორც წესი, შეუძლებელია;

— ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისების შედეგად გარკვეული პერიოდის შემდეგ ადგილი აქვს სამეურნეო აქტივობის მკვეთრ ზრდას, რაც

ნორმალურ პირობებში გულისხმობს წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას და, შესაბამისად, იზრდება საწარმოს მოგებაც;

— ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა-ათვისება გარკვეული ციკლური პროცესებია, რომლებიც დროის მიხედვით შემოსაზღვრულია, ანუ ყოველ ციკლს აქვს თავისი საწყისი და ბოლო ეტაპი. მათი დანერგვის ეფექტიანობის ზღვრული დონე მიიღწევა არა საწყის, არამედ ბოლო ეტაპზე.

გარდა ამისა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის პროცესების პროგნოზირებაში ანალიზური მოდელების აგებისა და გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე ინვესტიციების მოცულობა და მათი განხორციელების მომგებიანობის დონე. ამის შესახებ სწორად აღნიშნავს ჯ. მარტინო თავის ნაშრომში „ტექნოლოგიური პროგნოზირება“ (5, გვ. 183), რისთვისაც გამოყენებული აქვს შემდეგი სახის ფორმულა:

$$W(t) = \frac{x(t+1) - x(t)}{L - x(t)}, \quad \text{სადაც} \quad (5)$$

$x(t)$ - იმ საწარმოთა რიცხვია, რომლებშიც დროის  $t$  მომენტისათვის დაინერგება ახალი ტექნიკა და (ან) ტექნოლოგია;

$L$  - მოცემული დარგის საწარმოთა მთლიანი რაოდენობაა.

ამასთანავე, თუ დავუშვებთ, რომ საწარმოთა მომგებიანობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია იმ საწარმოთა ხვედრიწილთან, რომლებშიც უნდა მოხდეს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისება, ხოლო კაპიტალური დაბანდების მოცულობის მაჩვენებლებთან კი უკუკავშირშია, მაშინ მოცემული ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$W(t) = f \left[ \frac{x(t)}{L, P, Q} \right], \quad \text{სადაც} \quad (6)$$

$P$  - მომგებიანობის (სარგებლიანობის) მაჩვენებელია;

$Q$  - კაპიტალური დაბანდების მოცულობაა.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკურ მეცნიერებაში და კერძოდ, ეკონომიკურ პროგნოზირებაში მიმდინარეობს ეკონომიკის ოპტიმალური განვითარების ისეთი ახალი კრიტერიუმების ძიება, რომლებიც უფრო ადეკვატური იქნება საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის მოთხოვნებისადმი. ასეთი კრიტერიუმების შემუშავების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ის მიდგომა, რომელიც ემყარება საზოგადოებრივი განვითარების ეფექტიანობის დემოგრაფიული მაჩვენებლების გამოყენებას, კერძოდ კი მოცემულ ქვეყანაში (ან რომელიმე რეგიონში) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელს. მრავალი განვითარებული ქვეყნის (მაგალითად, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, შვედეთი, ნორვეგია და სხვ.) სტატისტიკური მონაცემები ნათლად მიუთითებენ მათი მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და მოხმარების დონის ზრდას შორის არსებულ პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაზე. გარდა ამისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ფართოვდება და იზრდება საწარმოო სიმძლავრეები, რაც ხშირად იწვევს ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრებისთვის მავნე ახალი ფაქტორების გამოჩენას (მაგალითად, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება). ყოველივე ეს შეუძლებელია არ იქნეს გათვალისწინებული პროგნოზირებაში და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის

შემუშავებისას როგორც მოცემული ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონებისა და მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით.

მრავალი სახის ეკონომიკური პროცესის პროგნოზირებისას (მაგალითად, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობა, სასაქონლო რესურსების მოძრაობა, სამუშაო ძალის მიგრაცია, განსაკუთრებით ქანქარისებური და სხვ.) ფართო გამოყენება ჰპოვეს ისეთმა ანალიზურმა მოდელებმა, რომელთა აგებისას მხედველობაში მიიღება და აღირიცხება სისტემის ენტროპია. ასეთი მოდელების აგებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი მომენტები (6, გვ. 229):

— სისტემაში (კვლევის ობიექტში) წონასწორობის მდგომარეობა მიიღწევა მისი ენტროპიის მაქსიმუმის დროს;

— სისტემის რესურსების მოცულობას გააჩნია დასრულების (ამოწურვის) საზღვარი.

ენტროპიული მოდელების დახმარებით გადასაწყვეტი პროგნოზული ამოცანის ფორმირება შესაძლებელია შემდეგნაირად:

საპროგნოზო ობიექტი (სისტემა) მოიცავს  $N$  რაოდენობის ელემენტებს, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ,  $t$  მომენტში მოიცავს  $x_i(t)$  ერთეულებს ( $i=1,2,\dots,N$ ). ეს ერთეულები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და ურთიერთშორის მოძრაობენ. საჭიროა განისაზღვროს ამ ერთეულების განაწილება  $i$  და  $j$  ელემენტების წყვილებს შორის დროის  $t, t+1$  ინტერვალში. ამასთანავე,  $j$ -ურ ელემენტში დროის  $t+1$  მომენტში ( $j=1,2,\dots, M$ ) მისი შემადგენელი ერთეულების რიცხვი ტოლი იქნება  $y_j(t+1)$ -ის. გასაგებია, რომ ზოგად შემთხვევაში  $N \neq M$ . სისტემის შიგნით ერთეულთა გადაადგილებაზე (მოძრაობაზე) ჯამური დანახარჯების მოცულობა აღვნიშნოთ  $-D$ . მაშინ ასეთი ამოცანის გადაწყვეტისას უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები:

$$\sum_{i=1}^N x_{ij} = y_j(t+1), \quad (7)$$

$$\sum_{j=1}^M x_{ij} = x_i(t), \quad (8)$$

$$\sum_{i=1}^N \sum_{j=1}^M x_{ij} = D. \quad (9)$$

ეკონომიკურ პროცესებში  $x_i$  წარმოადგენს წარმოების მოცულობას დარგში, ქვედარგში ( $i$ -ურ ელემენტში);  $y_j$  არის შესაბამისად მოხმარების მოცულობა  $j$ -ურ ელემენტში;  $D$  არის ჯამური დანახარჯები გადაზიდვებზე (საქონლის, ნედლეულისა და მასალების და სხვ.).

რეგიონულ სისტემებში (მაგალითად, ქალაქის ტიპის აგლომერაციებში)  $x_i$  არის შრომითი რესურსების რაოდენობა  $i$ -ურ რაიონში (ან დასახლებულ პუნქტში),  $y_j$  არის შესაბამისად სამუშაო ადგილების რიცხვი  $j$ -ურ ტერიტორიაზე, ხოლო  $D$  - სამუშაო ძალის გადაადგილებაზე საჭირო დანახარჯების ჯამური მოცულობა.

ანალიზური საპროგნოზო მოდელები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული საქონელზე და მომსახურებაზე მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნისა და მოხმარების პროგნოზების განსაზღვრისას. ასეთი მოდელები საშუალებას იძლევა აისახოს ყველა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანი ზომით მოქმედებს მოთხოვნისა და მოხმარების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებაზე. ამასთანავე, ამ მოდელების აგებისას დაიშვება ის პირობა, რომ ყველა მომხმარებელი, რომელიც აყალიბებს მოთხოვნის ჯამურ მოცულობას, შეიძლება დახასიათდეს განსაზღვრულ ერთგვაროვან ერთობლიობაში (სისტემაში) გაშუალებული (ე. წ. საშუალო) მომხმარებელით. სასაქონლო ბაზარზე

მომხმარებლის ქცევა მიმართულია მისი მოთხოვნის მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე. მათემატიკურად ეს სიტუაცია შეიძლება გამოისახოს ე.წ. სარგებლიანობის ფუნქციით  $U(x)$ , სადაც  $x$  წარმოადგენს საქონლის (ან მომსახურების) ასორტიმენტულ სტრუქტურას ( $x_1, x_2, \dots, x_n$ ). დროის მოცემულ ინტერვალებში ( $t, t+1$ ) და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების განსაზღვრული მოცულობების პირობებში ასეთი ფუნქცია ყოველთვის დადებითია. ამასთანავე, მისი აგებისას გაითვალისწინება აგრეთვე საქონელზე და მომსახურებაზე ფასების დონე და თანაფარდობა, ე. ი.  $P_i(t)$ , სადაც  $i=1, 2, \dots, n$ . როგორც წესი, მომხმარებლის შესაძლებლობები განისაზღვრება მისი შემოსავლების მოცულობით, რომელიც დროის ფიქსირებულ ინტერვალებში ( $t, t+1$ ) ტოლი იქნება  $(t)$ -ის. როდესაც ცნობილია  $D(t)$ -ის და  $P_i(t)$ -ის რაოდენობრივი მნიშვნელობები, მაშინ ადვილია სარგებლიანობის ფუნქციის  $U(x)$  განსაზღვრა. ამასთანავე, სასაქონლო ბაზარზე მომხმარებლის ქცევა სარგებლიანობის ფუნქციას უბიძგებს მაქსიმიზაციისაკენ -  $\max U(x)$ . მაგრამ მისი მაქსიმალური მნიშვნელობა შემოსაზღვრულია შემოსავლების სიდიდით, ე.ი.

$$D = \sum_{i=1}^n P_i x_i, \quad \text{სადაც} \quad (10)$$

$P_i$ - ი-ური საქონლის ერთეულის ფასია.

ამ შემთხვევაში, მოსახლეობის რეალიზებული მოთხოვნის (მომხმარებლის) პროგნოზული ფონის დახასიათება შეიძლება დროის ყოველი ინტერვალისათვის ( $t, t+1$ ) მოცემული ფასებისა  $P_i(t)$  და შემოსავლების დონის  $(t)$  საფუძველზე. მოცემული პროგნოზული ამოცანის გადაწყვეტას წარმოადგენს შემდეგი ტიპის ვექტორული ფუნქცია:

$$x' [P(t), D(t)], \quad \text{სადაც} \quad (11)$$

$x'$  – რეალიზებული მოთხოვნის (მომხმარებლის) მოცულობა, ანუ შესყიდული საქონლის ერთობლიობაა.

ზემოთ მოცემული მოდელების გარდა, ეკონომიკურ პროგნოზირებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა სახის ანალიზური მოდელები, როგორცაა მაგალითად, ლეონტიევის მოდელი, ნეიმანის მოდელი და სხვ.

განხილული მეთოდებისა და მოდელების გამოყენების პრაქტიკა ეკონომიკური პროცესების სტატისტიკურ პროგნოზირებაში ჯერ კიდევ არასაკმარისია, რაც ძირითადად დაკავშირებულია გამოთვლების შრომატევადობასთან და მცირე ინფორმაციულ უზრუნველყოფასთან. მაგრამ მრავალ კონკრეტულ შემთხვევაში ანალიზური მოდელების გამოყენება მიზანშეწონილია და რეალურ შედეგებს იძლევა. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ურთულეს პრობლემას წარმოადგენს ისეთი ანალიზური საპროგნოზო მოდელის შემუშავება, რომელიც ამა თუ იმ ეკონომიკური პროცესის განვითარების სრულად ადეკვატური იქნება. თუმცა თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით შესაძლებელია მეტ-ნაკლებად ვარგისი მოდელების აგება და სათანადო პარამეტრების განსაზღვრა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში შედარებით უფრო მაღალი ხარისხის პროგნოზული მაჩვენებლების განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მეთოდის კომპლექსურ გამოყენებას. ასეთი მიდგომა გულისხმობს არა ერთი რომელიმე მოდელის, არამედ საპროგნოზო მოდელების სისტემის აგებას, რომლის შემადგენელი ყოველი ქვესისტემა უნდა ასახავდეს კვლევის ობიექტის რომელიმე ასპექტს. ასეთი გზით მიღებულ პროგნოზულ მაჩვენებლებს აქვს ალტერნატიული ხასიათი, რომელთა შედარებითი ანალიზის



შედეგად მოხდება ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა. ეს მოტივანად ეხება ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებას. მიუხედავად მათი ძლიერი რხევადობისა, ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია ანალიზური მოდელების გამოყენება და რეალური პროგნოზების შემუშავება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.
2. გელაშვილი ს. საბაზრო პროცესების სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდოლოგია (დისერტაცია ეკონომიკის მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად). თბ., 1998.
3. Gelaschwili S. Anwendung der Spieltheorie bei der Prognose von Marktprozessen. „Statistische Diskussionsbeiträge“, Nr. 11. Universität Potsdam, 1999.
4. Gelaschwili, S. Einführung in die statistische Modellierung und Prognose. „Statistische Diskussionsbeiträge“, Nr. 26. Universität Potsdam, 2007.
5. Мартино, Дж. Технологическое прогнозирование. Перев. с англ., М., 1977.
6. Wilson, J.H. and B. Keating. Business Forecasting. Sixth Edition. McGraw-Hill, N.Y., 2009.

#### **Development of Some Analytic Models and its Usage in statistical Prognosis of Economic Processes**

**Simon Gelaschwili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor

#### **Summary**

Some analytic models (Perly's, Gomperz's and Martino's) and their usage features in economic prognosis are discussed in the article. The usage of the models gives positive results when resolving the tasks of prognosis, especially, if the features of the changes of study subject maybe measured in quantitative terms. Besides usage of Perly's as well as Gomperz's and Martino's functions for economic prognosis, it may be successfully deployed for evaluation of the possible results of new technics and progressive technologies' implementation.

The models of analytic prognosis maybe simple and complex. Simple models are based on the hypothesis that the future change of the event is in functional relation with the factors of its formation.

The selection of the type of the model is depended not on the researcher, but the independent variables' character of influence and the magnitude, which are found by the results of the logical analyses.

Therefore, while the selection of the type of the model, logical and statistical approaches are used.

It is obvious, that the creation of the fully adequate analytical forecasting models of the development of economic process is a complex issue. However, with the use of modern personal computer applications, more or less valid models maybe developed and special parameters established which would result in a good quality forecasting.

**სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი**

**მადონა გელაშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი*

*სსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შემთხვევაში შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ვაჭრობაში დამნიშვნელოვანდგაზარდოსსავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა მსოფლიო თანამეგობრობასთან. დღესსაქართველო მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების ინტერესების სფეროშიამოქცეული. დამოუკიდებელ საქართველოს მიეცა შესაძლებლობა იყოს დამაკავშირებელი ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს უცხოეთის ბაზრებზე შედწევას და ადგილობრივ საექსპორტო სექტორში წარმოებისა და ხარჯების პირობების გაუმჯობესებას. ორივე ეს ასპექტი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკების საგანია, რომელიც განსაზღვრავს თუ რა პირობებით გაუღებენ სავაჭრო პარტნიორები ერთმანეთს თავიანთ ბაზარს. სავაჭრო მოლაპარაკებების დროს ყოველი პარტნიორი ცდილობს, მეორისგან მიიღოს გარკვეული შეღავათები იმ დარგებში, რომლებშიც ფარდობით უპირატესობა გააჩნია. საექსპორტო პოტენციული საქართველოს შრომატევად წარმოებაში უფრო აქვს, ვიდრე მარტივი პროდუქტების წარმოებაში, რომელიც არ ავლენს რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას მასობრივ წარმოებასთან შედარებით. საქართველო ძირითადად დაინტერესებულია ევროკავშირის ბაზრის გახსნით სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და შრომატევადი ნაწარმისთვის. მეორე მხრივ, ისეთი მაღალინდუსტრიული ეკონომიკები, როგორც ევროკავშირია, ძირითადად მასშტაბის ეკონომიის მქონე დიფერენცირებული, ტექნოლოგიურად თანამედროვე პროდუქციის ექსპორტს ახორციელებენ. ამიტომ ამ ქვეყნების ინტერესია ბაზრებზე შერწყვა აღნიშნული პროდუქტებით და მათთან დაკავშირებული მომსახურებით. ამასთან, ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებს ისეთ რთულ ბაზრებზე დაშვებაზეც, როგორც ფინანსური ბაზრებია და ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ ისეთ ასპექტებზე, როგორც ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა. თითოეული პარტნიორის განსაკუთრებული ინტერესის საგანს განსხვავებული ბაზრები წარმოადგენს.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ტენდენციების უკეთ შეფასებისათვის უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი-იმპორტი, უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები და სხვა მახვენებლები.

2000 წელს ქვეყანა მიიღეს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში (მგო), რის შედეგადაც ქვეყანაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სავაჭრო პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით, რაც შემდეგში გამოიხატა:

- დაწესდა დაბალი საიმპორტო ტარიფები ხშირ შემთხვევაში კი მთლიანად გაუქმდა იგი;
- 16 ტარიფიდან დარჩა მხოლოდ სამი (0%, 5%, 12%);
- გაუქმდა იმპორტისა და ექსპორტის კვოტები;
- დღგ და აქციზი ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელზე გათანაბრებულია;
- შეიზღუდა საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების რაოდენობა.

ქვეყანაში მიღწეულ იქნა ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები, რაც მას მსოფლიოს ბაზრებზე მიზიდველს ხდის. ეს აისახა აიმაში, რომ, ჯერ ერთი, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებთან ერთად შემუშავდა ტარიფების ერთიანი სისტემა, რომელიც დაბალია მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით; და მეორე, უპირატესი ვაჭრობის რეჟიმი დაწესდა აშშ-თან, კანადასთან, შვეიცარიასა და იაპონიასთან. 2000 წელს უკვე მსოფლიოს 87 სახელმწიფოში საქართველოდან განხორციელდა \$323.9 მლნ ღირებულების ექსპორტი. იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 92 ქვეყნიდან \$709.5 მლნ შეადგინა. 2001 წელს 81 ქვეყანაში ექსპორტირებული

პროდუქციის მოცულობამ \$317.2 მლნ შეადგინა, ხოლო 104 ქვეყნიდან იმპორტირებულ იქნა \$752 მლნ ღირებულების პროდუქცია.

2002 წლის მონაცემებით, საქართველოდან 86 ქვეყანაში განხორციელდა \$345.7 მლნ ღირებულების პროდუქციის ექსპორტი. იმპორტის მოცულობამ კი \$794.7 მლნ შეადგინა მსოფლიოს 111 სახელმწიფოდან.

2003 წელს ექსპორტირებულ იქნა \$461.3 მლნ პროდუქცია 83 ქვეყანაში, ხოლო 112 ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქცია \$1,139 მლნ-ია.

2004 წელს ექსპორტის მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და \$646.9 მლნ შეადგინა მსოფლიოს 80 ქვეყანაში. იმპორტი კი \$1,844.3 მლნ იყო 117 ქვეყნიდან.

2005 წელს საქართველომ აამოქმედა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო განაკვეთები. საგადასახადო სისტემაში მოხდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები. შემცირდა გადასახადების რაოდენობა, 5 სახელმწიფო: საშემოსავლო, აქციზი, დღგ, საბაჟო, მოგების გადასახადები და 2 ადგილობრივი. ადგილობრივი გადასახადები განისაზღვრება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ. 2005 წლის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტმა \$865.5 მლნ-ს მიაღწია. პროდუქციის გატანა ხდებოდა მსოფლიოს 94 სახელმწიფოში, ხოლო 120 ქვეყნიდან იმპორტირებული იქნა \$2,487.5 მლნ ღირებულების საქონელი.

2006 წელს მსოფლიოს 100 ქვეყანაში საქართველოდან განხორციელდა \$993.2 მლნ ღირებულების ექსპორტი. იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 121 ქვეყნიდან \$3,680.8 შეადგინა.

2007 წელს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 100 პარტნიორ ქვეყანასთან სავაჭრო დეფიციტის სახით 4122,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 104 ქვეყნისა და 2850,8 მლნ. აშშ დოლარისა, რაც დაფიქსირდა 2006 წელს. 2007 წელს ქვეყანას დადებითი სავაჭრო ბალანსი ქონდა 23 ქვეყანასთან(145,8 მლნ. აშშ დოლარი), ნაცვლად 28 ქვეყნისა და 109,2 მლნ. აშშ დოლარისა, რაც წინა წელს დაფიქსირდა. ექსპორტმა შეადგინა \$1,232.1 მლნ., ხოლო იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ \$5,212.2 მლნ-ს მიაღწია.

2008 წელს 20%-იანი სოციალური გადასახადი, რომელსაც იხდიდა ბიზნესი და საშემოსავლო გადასახადი 12%-ის ოდენობით, გაერთიანდა 25%-იან საშემოსავლო გადასახადში; 2008 წლის 1 იანვრიდან კორპორაციული მოგების გადასახადი შემცირდა 20-დან 15%-მდე, დივიდენდები გათავისუფლდა გადასახადისგან; 28%-იანი დღგ არის აუცილებელი იმ მეწარმეებისათვის, რომელთა წლიური ბრუნვა აჭარბებს 100 ათას ლარს; ექსპორტის საერთაშორისო გადაზიდვები, ტურიზმი და სხვა მომსახურება ექვემდებარება ნულოვან დღგ-ს. 2010 წელს ჩატარებული საგადასახადო რეფორმის შედეგად ბიზნესი დაექვემდებარა დიფერენცირებულ დაბეგვრას. გამოიყო მისი სახეები: მიკრო, მცირე და საშუალო. მეწარმეების 30 ათას ლარზე ნაკლები საშუალო წლიური ბრუნვა არ ექვემდებარება დაბეგვრას.

იმ მიზნით, რომ ქვეყანაში არ შეზღუდულიყო ბიზნესის განვითარება, მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის მოთხოვნები, ლიცენზიები შემცირდა 98%-ით, გაუქმდა 756 ლიცენზია, დაწესდა ლიცენზირების ახალი რეჟიმები. საქართველოს სავაჭრო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს 2008-2013წლებში ასახავს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ფაქტობრივად ისევე როგორც წინა წლებში იზრდება საქართველოს სავაჭრო სავაჭრო ბრუნვა, მაგრამ უფრო მაღალი ტემპით იზრდება სავაჭრო დეფიციტი და შესაბამისად არ იზრდება ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი. იზრდება ვაჭრობის გეოგრაფია და სავაჭრო ქვეყნების რაოდენობა, მაგრამ არ იზრდება ქვეყანათა რაოდენობა, რომელთანაც საქართველოს დადებითი

სავაჭრო ბალანსი აქვს. ასევე მართალია მთლიანობაში წინა პერიოდთან შედარებით საექსპორტო მაჩვენებელი იზრდება, მაგრამ არ იცვლება საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურაც.

ცხრილი №1.

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მაჩვენებლები 2008-2013 წწ.**

მლნ. აშშ დოლარი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი
ექსპორტი	1 495	1 134	1 677	2 189	2 377	2 909
იმპორტი	6 302	4 500	5 257	7 058	7 842	7 874
ბრუნვა	7 797	5 634	6 935	9 247	10 220	10 784
საღარი	-4 806	-3 367	-3 580	-4 869	-5 465	-4965

ცხრილი №2.

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2008-2012 წწ.**

მლნ. აშშ დოლარი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
<b>ექსპორტი, სულ</b>	<b>1 495</b>	<b>1 134</b>	<b>1 677</b>	<b>2 189</b>	<b>2 377</b>
მათ შორის:					
ევროკავშირის ქვეყნები (27) -	335	238	310	424	353
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები -	884	697	898	1 185	1 331
სუამის ქვეყნები -	339	251	374	578	805
დსთ-ის ქვეყნები -	541	416	677	1 053	1 246
მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნები -	920	667	931	1 051	1 034
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები -	752	521	741	814	790
<b>იმპორტი, სულ</b>	<b>6 302</b>	<b>4 500</b>	<b>5 257</b>	<b>7 058</b>	<b>7 842</b>
მათ შორის:					
ევროკავშირის ქვეყნები (27) -	1 756	1 336	1 467	2 053	2 427
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები -	2 981	2 288	2 620	3 553	3 761
სუამის ქვეყნები -	1 269	835	1 050	1 323	1 241
დსთ-ის ქვეყნები -	1 998	1 298	1 588	1 942	1 997
მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნები -	3 886	2 926	3 226	4 432	5 089
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები -	3 069	2 303	2 516	3 388	3 930

2013 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან 2879 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 3 პროცენტით მეტია.

აქედანექსპორტი 608 მლნ. აშშდოლარიყო (72 პროცენტითმეტი), ხოლოიმპორტი 2271 მლნ. აშშდოლარი (7 პროცენტითნაკლები). საქართველოსსაგარეოსავაჭრობრუნვაში ამ ქვეყნებისწილმა 27 პროცენტიშეადგინა, მათშორისექსპორტში 21 პროცენტი და იმპორტში 29 პროცენტი. (2012 წელსშესაბამისად 27, 15 და 31 პროცენტი).ევროკავშირისქვეყნებზემოდიოდასავაჭროდეფიციტის 33 პროცენტი (2012 წელს 38 პროცენტი).

დსთ-ის ქვეყნებთანსაგარეოსავაჭრობრუნვამ 2013 წელს 3787 მლნ. აშშდოლარიშეადგინა (2012 წელთანშედარებით 17 პროცენტითმეტი). აქედანექსპორტმა 1621 მლნ. აშშდოლარს (30 პროცენტითმეტი), ხოლოიმპორტმა 2166 მლნ. აშშდოლარსმიადწია (8 პროცენტითმეტი). საქართველოსსაგარეოსავაჭრობრუნვაშიდსთ-ის ქვეყნებისწილი 35 პროცენტიყო, მათშორისექსპორტში 56 პროცენტი და იმპორტში 28 პროცენტი. (2012 წელსშესაბამისად 32, 52 და 25 პროცენტი).2013 წელსდსთ-ის ქვეყნებზემოდიოდასავაჭროდეფიციტის 11 პროცენტი(2012 წელს 14 პროცენტი).ზოგადად 2013 წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 27% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, 35% დსთ-ს ქვეყნებზე, ხოლო 38% დანარჩენ ქვეყნებზე.

2013 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66 პროცენტი შეადგინა.უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1529 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1348 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (795 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდას ევროკავშირთან. ევროკავშირის ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში და მასზე მოდის დაახლოებით მსოფლიო ვაჭრობის 20%. საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში მზარდი ტენდენცია ახასიათებს, მაგრამ იმპორტის მოცულობასტან შედარებით უმნიშვნელოა, რაც მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ბალანსითხასიათდება. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდას. მით უფრო როცა საქართველოს სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესში შედის ევროკავშირის წევრობისკენ სვლა. მნიშვნელოვანია აგრეთვე,ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში, ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნა. არნიშნულს აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები, მაგრამ პერსპექტივაში, გრძელვადიან პერიოდში საქართველო აუცილებლად მოიგებს. ორმხრივი ეკონომიკური საზღვრების გახსნა ხელს შეუწყობს საქსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებლობას ცალკეულ ბაზრებზე. ევროკავშირის დიდ ბაზარზე საქართველოს ექსპორტის უმნიშვნელო მოცულობის გათვალისწინებითქართული პროდუქციის იმპორტი არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში, კი ხელს შეუწყობს ქვეყნის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყანაში საშუალო ფენის გაძლიერებას, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმების დამკვიდრებას, სტანდარტებთან და სხვა არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებას. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მანველებლების გაზრდას, რაც თავის მხრივ გაზრდის სავაჭრო თანამშრომლობას განვითარებულ ქვეყნებთან.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა დამოკიდებულია იმპორტის სასაქონლო სტრუქტურისაგან. როდესაც იმპორტი თითქმის 450%-ით მეტია ექსპორტზე, იმპორტი არაა ორიენტირებული ინვესტიციურ საქონელზე, ხოლო

ექსპორტს სანედლეულო მიმართულება აქვს, მასში მზა პროდუქციის ხვედრითი წილი მცირეა.

ცხრილი №3.

**უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს ექსპორტში**

დასახელება	2010 წელი	2011წელი	2012 წელი
<b>ექსპორტი, სულ</b>	<b>1 677 472</b>	<b>2 189 136</b>	<b>2 377 455</b>
% - ში	100%	100%	100%
მათ შორის:			
მსუბუქიავტომობილები	227 360	450 297	587 296
% - ში	14%	21%	25%
ფეროშენადნობები	263 966	254 911	260 478
% - ში	16%	12%	11%
სასუქებიმინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	84 155	144 091	137 221
% - ში	5%	7%	6%
ოქროდაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული	117 647	109 890	87 977
% - ში	7%	5%	4%
კაკალისხვა, ახალი ან გამხმარი	75 134	130 086	83 659
% - ში	4%	6%	4%
ეთილისსპირტი არადენატურირებული, სპირტისკონცენტრაციით 80 მოც.%-ზენაკლები, სპირტიანისასმელები	55 705	67 852	80 027
% - ში	3%	3%	3%
ყურძინსნატურალური ღვინოები	41 138	54 103	64 871
% - ში	2%	2%	3%
მინერალური და მტკნარი წყლები	36 917	47 607	59 341
% - ში	2%	2%	2%
მადნები და კონცენტრატები სპილენძის	74 504	85 135	53 535
% - ში	4%	4%	2%
დანარჩენისაქონელი	693 704	838 995	910 987
% - ში	41%	38%	38%

2013 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა და 704 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთელი ექსპორტის 24 პროცენტი. ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 230 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში 8 პროცენტს. მესამე ადგილზე თხილისა და სხვა კაკალის ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 167 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 6 პროცენტი შეადგინა. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვითაც. ქვეყნის ექსპორტის

გაზრდის მიზნით საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა. კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს საექსპორტო წარმოებისა და საექსპორტო ოპერაციების დაზღვევისა და დაკრედიტების სისტემა. ამასთან დასავლეთის ბაზარზე დამკვიდრებისათვის, საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის, საექსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ადგილობრივ წარმოებასი თანამედროვე ტექნოლოგიების, მანქანა-დანადგარების დანერგვაზე იქნება მიმართული.

არასახარბიელოა საქართველოს ექსპორტი იმპორტთან შედარებით. თუმცა იმპორტის სტრუქტურაში უმნიშვნელო ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ტექნოლოგიები და მანქანა-მოწყობილობები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა უფრო მეტად უნდა იყოს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაზე ორიენტირებული, რაც საექსპორტო ბაზის განვითარების საფუძველია. ამისათვის ადგილობრივი წარმოების განვითარება უპირველეს პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ დარგებს, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული საექსპორტო შემოსავლები მოუტანოს ჩვენს ქვეყანას. საქართველოში შემოდის ბევრი ისეთი პროდუქცია, რომელთა წარმოებაც საქართველოში შეიძლება და არანაკლები ხარისხით.

მსგავსი ტენდენციები შენარჩუნებულია 2014 წელსაც. პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით იმპორტის მოცულობამ შეადგინა 1 827021 ათასი აშშ დოლარი, ექსპორტმა 696148 ათასი აშშ დოლარი, შესაბამისად სავაჭრო ბრუნვა კვლავ დეფიციტურია და სალდო -1 130 873 ათას აშშ დოლარს შეადგენს. საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი პირველი კვარტლის მიხედვით გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ექსპორტი კვლავ ძირითადად მოდის მსუბუქი ავტომობილების, ფეროშენადნობების და მადნებისა და სპილენძის კონცენტრატების, ხოლო იმპორტი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მსუბუქი ავტომობილებისა და სამკურნალო საშუალებების ხარჯზე. შენარჩუნებულია აგრეთვე ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წარმომადგენლობაც. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა როგორც ექსპორტის, ისევე იმპორტის მოცულობა რუსეთში, 2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით მან შეადგინა იმპორტის მოცულობის 9,7%-ი, გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს მცირედებით აღემატება. გაიზარდა იმპორტის მოცულობაშიც რუსეთის ხვედრითი წილი, რაც უკრაინიდან იმპორტის მოცულობის შემცირებით იყო გამოწვეული. 2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით საქართველოს იმპორტის მოცულობაში ლიდერობენ თურქეთი, აზერბაიჯანი და ჩინეთი. ამ სამი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან იმპორტში სამი თვის განმავლობაში 35,5%-ს შეადგენს, მეოთხე ადგილზეა რუსეთი და მასზე მოდის 6,7%-ი.

ამდენად, ცხადია რომ, საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები მთელი რიგი პრობლემებითა და თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ვიდრე განვითარების იგივე ღონის ქვეყნებთან. ამას უპირატესად განაპირობებს ქვეყნის მზარდი ტექნოლოგიური დამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდის და მათი მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს; საქართველოს ექსპორტის სტიმულირებას და საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდოს შემცირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. უდაოა რომ, უნდა გაიზარდოს განვითარებული ქვეყნების წილი საქართველოს ექსპორტში, რაც გაზრდის საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. განვითარებულ ქვეყნებთან

სავაჭრო თანამშრომლობის გაზრდა არის არა მართო ადგილობრივი წარმოების განვითარების სტიმული, არამედ ინვესტიციების მოზიდვის საფუძველი; საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ევროკავშირის ქვეყნებთან; და რაც მთავარია საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების პერსპექტივა რეალობად უნდა ვაქციოთ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიო თანამეგობრობასთან და გლობალიზაციის პირობებში ხელს შეუწყობს, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ვაჭრობაში.

საქართველოს ხელისუფლებისათვის ექსპორტი მომავალი ეკონომიკური ზრდის წყაროა. საქართველოს მცირე საექსპორტო ბაზის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმატებული რეფორმები უფრო ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნას შეუწყობს ხელს, ვიდრე არსებულის გაფართოებას. ეს ვარაუდი განსაკუთრებით მართლდება, როდესაც არსებული საექსპორტო კალათა თითქმის არანაირ გადამამუშავებელ პროდუქტს არ შეიცავს. ჯერჯერობით საქართველოს მრეწველობის რამდენიმე სექტორი შრომის საერთაშორისო დანაწილების მიღმაა. საექსპორტო პოტენციალი კვლავ გამოუყენებელია. რეალური ეკონომიკური ზრდის არსებითი მატება, სავარაუდოდ, საქართველოს საექსპორტო კალათის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს დაემთხვა. ამიტომ, ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის მიზანი იმავე პროდუქტის მოცულობის გაზრდა კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ახალი საექსპორტო პროდუქტების აღმოჩენა და გამოყენება, რომელთა კონკურენტული წარმოება შესაძლებელია შედარებით დაბალი სავაჭრო ბარიერებისა და ბაზრის განვითარების ხელშეწყობი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლამაზიშვილი ნ., საგარეო ვაჭრობა, თბ., 2003
2. გელაშვილი მ., მაკროეკონომიკა, თბ., 2009
3. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, ახალი საქართველო, თბ., 2010
4. Michael P. Todaro, Stephen C. Smith, Economic Development, 2008
5. [http://embassy.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=eng&sec\\_id=19](http://embassy.mfa.gov.ge/index.php?lang_id=eng&sec_id=19)
6. <http://www.economy.ge/?category=23&lang=geo>
7. [http://www.government.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=132&info\\_id=985](http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=132&info_id=985)
8. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=136&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)
9. [www.eprs.ge](http://www.eprs.ge), საქართველოს ეკონომიკის 2012 წლის მიმოხილვა“
10. [www.econpolicyfact.ge](http://www.econpolicyfact.ge) “მაკროეკონომიკური საკითხები“
11. [www.24saati.ge](http://www.24saati.ge) “საქართველოს ექსპორტ-იმპორტის პოტენციალი“.

## TRENDS OF FOREIGN TRADE AND ITS DEVELOPMENT IN GEORGIA

**Madona Gelashvili**

Sokhumi State University  
Associate Professor

### Summary

At current stage, deepening of the trade & economic relations with the developed countries is of greater significance than with the countries at the same development level. This is mostly caused by the



increasing technological dependence on the developed countries. For the developing and transition economies it is of critical significance to attract foreign investments providing the basis for economic development, exports growth and integration into the world trade and economics.

To evaluate the directions of the foreign trade relations of Georgia, the work offers discussion of the foreign trade turnover, export & import, largest trade partner countries, largest groups of import and export goods and other indicators. Georgian government supports the idea of export-oriented policies. Reduction of import tariffs and liberal local policies of recent years are best suitable for such approach. Export-oriented policies imply entry to the foreign markets and improvement of situation, with respect of production and costs in domestic export sector. Both of these aspects are subject of trade agreements, determining the conditions for opening markets for one another by the trade partners. And such negotiations deal not only with the tariff and non-tariff barriers but legislation regulating and forming the markets in general, as well.

Trade policies of a country comprise significant part of the economic politics, as exports promotion is associated with economic growth, especially, where the trade partner, e.g., such as EU, implements the policies oriented towards foreign markets.

### **Can Scandinavia be measured as a unity?**

**Natia Gigineishvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Doctoral Student*

#### **Introduction**

Sometimes we like to generalize and group some events to call them one name. This is what happens when we talk about Nordic, or Scandinavian countries. If you look at the map, you see Norway, Sweden, Denmark, Finland and Iceland so close to each other. If you look at yearbooks of these countries, or annual reports from EU, you definitely see these countries close to each other in the graphs and tables, the pace of development seems to be quite similar. Scandinavian countries are usually described as the communities, which can teach the whole world a lesson how to reach gender equality and welfare status. Quite many researchers studied the area and they found two main spheres where Nordic countries, but especially Scandinavian countries have major similarities: Gender equality and the capacity of government to serve society in a way to be called a welfare country. Well, having read enough about the history of development of these countries, what brought them to this status, definitely lead me to conclusion, that you can't simply say Nordic, or Scandinavian countries and mean one context, as study shows that with some major similarities, the countries in the region demonstrate major differences as well! What we want to find out with this paper is to display the factors that make for instance Sweden and Norway, or Iceland and Finland similar, or different.

#### **Gender equality visions in Scandinavia**

There are three visions, three different gender models which define the track for achieving gender equality chosen by policy makers and social movements' activists. You could observe all three of them in Scandinavian countries. As it hadn't been decided which one would lead to effective political system inspiring and implementing gender equality, therefore it was named equality-difference dilemma. Politicians and social movement representatives believed that one specific model should have been chosen, as they were logically conflicting and couldn't co exist, while Fraser called equality-difference dilemma a social construction and turned down the well spread idea that only single model can advance gender equality (Borchorst Anette, 2008, p. 29). The difference between the models was based on work distribution: who should do the unpaid caring work in the family and who should work outside the family and earn money.

*The universal breadwinner* model is based on sameness and aims to make women more like men by encouraging women to involve into citizen workers. Because breadwinner role is supposed to

be universal, being caregiver at home without reimburse is supplemented by being a wage earner. Both parents work, earn and are involved in taking care of children and household, while children are in well organized childcare facilities established by the government. This model is constructed in order to move care work from the family to the market and the state.


*The caregiver parity model* is based on difference and keeps the gendered pattern of work division and task sharing. Women are the housewives who take care of the household, while men support family financially. Although there is evident role division, the model tries to make difference between men and women costless by giving the same value to women’s work at home as to the men’s work outside family, so that staying at home and doing every day work usual for women could be classified as supporting family indoors, similar to men working outdoors.

*The universal-caregiver model* was offered by Fraser (Borchorst Anette, 2008, p. 30) as the third and the most applicable model to stimulate gender equality, mix of the previous two models, which includes only the best qualities of the two. While in previous models we see men as superiors and the examples of what every woman should strive for, the last model suggests to make women’s life patterns the norm for both men and women without the gendered separation of duties and responsibilities.

It’s obvious that some policy elements unite Scandinavian countries under one group and we often meet the term “Scandinavian countries” as representing one entity. Due to Nordic Council of Ministers, institutionalized coordination of the three countries, and the fact that feminists and political parties in all three countries engaged in policy making, they shared similar tendencies on gender equality.

Scandinavian countries have had different experiences concerning welfare in comparison with other liberal countries. The reason to that is that women in Norway, Sweden and Denmark had almost achieved full citizenship, what lead to forming Gender equality as a symbol of Scandinavian countries. In 1970-1980 a lot of women integrated in the labour force, as policy supported women’s involvement in public sphere. Because of these processes in Scandinavia, Norwegian political scientist Helga Hernes called Scandinavian welfare states “woman-friendly” and “state feminist” (Borchorst, Anette and Birte Sim, 2008, p.3).

Chart 1. Total duration of paid maternity and paternal leave, Year 2011




As the chart shows, all Nordic countries support families by giving them opportunity to take care of family both to women and men. Sweden in the leader in the region by legitimating 60 weeks of paid maternity and paternal leave. Sweden hasn’t always been the leading country in parental leaves duration, but nowadays, different from Norway, which recently decreased the paid weeks of parental leave, Sweden chose to keep the leading positions in Nordic countries, as being the most family friendly. Second comes Denmark and then Norway. While gaining ground in Europe, the shared

parental leave policy, which aims to help women return to the workplace and men to become more involved in caring for new babies, is unknown in much of the world. Some large countries – China and India, for example – allow no leave, paid or unpaid, for fathers at all.

However, chart 2 shows that although Sweden lets fathers stay home longer, employers are obliged to pay for only 10 weeks of the paternity leave, while 13 of 26 weeks, 50% of the total period is paid in Iceland. In Denmark, from 50 weeks of parental leave only 2 weeks (4%) are paid for men; from 60 only 10 weeks (17%) are paid for men in Sweden and 12 from 35 weeks (34%) in Norway.

Chart 2. Paid paternity leave, Year 2011



Sociologist Esping-Andersen states that Scandinavian welfare state model “distinguishes itself from the liberal and the conservative-corporatist welfare state models” (Borchorst Anette, 2008, p. 30) and the difference is mostly about level of decommodification, what is a criterion for ranking welfare states according to him. Although Scandinavian regimes of family allowances, tax deductions and children care facilities make the countries defamilialised, still Borchost argues against the opinion, that defamilisation was the factor that brought Scandinavian countries to development, as parental leave and daddy quotas, which are implemented in these countries, work for refamilisation.

All three, Norway, Sweden and Denmark adopted three types of care policies: maternity and parental leaves, day-care services and homecarer allowances. These actions were essential to conform caring responsibilities and working life. But the analysis of Scandinavian gender equality policies reveal the differences between the three countries, like: Denmark has never implemented a universal caregiver gender vision and represents the only Scandinavian and Nordic country which didn’t maintain daddy leave. The reason of not having gender equality as a primary political goal is that economic crisis hit Denmark earlier and harder, than the other two Scandinavian countries and the government had to deal with more serious problems than equality ((Borchorst Anette, 2008, p. 39).

Different from Denmark, Sweden didn’t face economic crisis before implementing gender equality measures. Gender was kept high on political agenda. Though the policy main philosophy was based on breadwinner model, Sweden established daddy month and endorsed universal-caregiver model too.

Norway was the first to adopt daddy quota and implement a universal-caregiver model. The caregiver allowance promoted a caregiver-parity model and what is more, as Norway had always been a traditional country of housewives with the universal breadwinner model, women didn’t tend to enter labour force, what makes Norway’s case different from other countries. The main reason is that religion, Lutheran Protestantism had had a significant political influence, not the same in Sweden and Denmark.

In Denmark, the feminist movement was very active in 1970-1980, but within parliament gender concerns were not popular enough to be reflected in the policies. In Sweden, most of the political parties declared themselves as feminists and as the strong feminist force was part of party politics, no autonomous movements were needed for enhancing gender equality. What concerns Norway, it can be placed somewhere in between. The most significant reason why gender equality policy was concerned there was Christian party (Borchorst, Anette and Birte Sim, 2008, p.211).

### **Gender and the Making of Welfare States: Norway and Sweden**

Diane Sainbury in her article "Gender and the Making of Welfare States: Norway and Sweden" states that while speaking about Nordic countries' welfare system and gender equality policy, Finland and Denmark usually are outliers, while Norway and Sweden are more or less similar. As it appeared, mothers in Norwegian policies were normally seen as housewives, while Swedish and Danish policies assumed mothers as employed individuals.

Married women in Norway were the first in Scandinavia to attain majority and be recognized as legal persons (Diane Sainbury, 2004, p 4). The early endorsement of universal suffrage in Norway is different from changes in Sweden, which was the last country in Scandinavia to pick up political rights both for both genders. Whereas unmarried women had economic, civil, and political rights, all these rights had to be given up after marriage. The injustices against married women arose women in all social classes.


Sainsbury argues that in order to examine the relationship between welfare state variations and gender, it's necessary to reconceptualize gendered concepts and assumptions. Rather than amend Esping-Andersen's welfare typologies with gender dimensions, Sainsbury's research opts to analyze welfare states based on two contrasting ideal types: the male breadwinner model and the individual model to highlight gender separately (Sainsbury, 1996, p.41). Her work examines comparative variations in four countries around specific dimensions including familial ideology, entitlement, bases of entitlement, recipient of benefits, unit of benefit, taxation, employment and wage policies, and the organization of care work (Sainsbury, 1996, p.42). A focal point of the research concerns the bases of entitlement for women (as either mothers, wives, citizens, or workers), which she argues constitutes a crucial factor determining women's capacity to achieve a socially acceptable standard of living independent of the family (Sainsbury, 1996, p.43). Sainsbury's findings demonstrate how entitlements based on need and work can disadvantage women due to their disadvantaged position in the labor market; how women's entitlements as wives tends to support the gendered division of labor and the family wage a part of the male breadwinner model; and how women's entitlements as mothers and citizens may provide an acceptable standard of living independent of family relationships.

Sainsbury has demonstrated how women's roles determine the different entitlements that therein create incentives and disincentives to work, and influence women's abilities to balance employment and care work. The basis of entitlement to benefits varies cross-nationally. Entitlement bases have also been distinguished based on an individual/collective unit divide: benefits granted on the basis of the family involves the transfer of provisions to one member on behalf of the family, typically the breadwinner, thereby constructing or reinforcing power relations between the family and reinforcing the gender division of labor within the family. Entitlement benefits allocated to the unit of the individual typically reduce gender inequality and facilitate women's independence and employment, essentially "defamilizing" welfare provision.

The reason why Sweden and Norway offered different gender equality policy regimes was hidden in married women's majority. Before having the right to vote in Norway women were busy with class conflicts, they didn't fight against the same problem, as their problems between classes were indeed different, whilst in Sweden no matter poor or rich, all women united and fought for their rights after marriage, not to lose their own freedom and not be just an attribute to their husbands.

Numbers even today show inequality in occupational concentration, as blue squares on the chart 3 are always higher than orange columns. Proportion between men and women concentration is slightly decreasing by time. In Norway we see that the decline is due to increased number of women occupations, while in Sweden the number of women doesn't change, while men concentration declines.

Chart 3. Occupational concentration, by sex, Year 2009



Source: OECD Secretariat estimates based on EULFS 1995-2009

Women were always supposed to be caregivers and their main role was to take care of the household, that's why an ideal job for females still stays in the services sector. In services sector you

don't see significant difference between Nordic countries, they are all similar, High concentration of female labour force is observed.

Industrial sector doesn't look promising for women, as chart 4 shows industry a place strictly for male workers, as well as agriculture.


Chart 4. Population in employment by aggregate sector and sex, Year 2011.




Although Nordic countries are on top of the Gender Equal Countries list, situation is not as smooth as it might seem. Gender pay gap is still an issue for governments. Pay gap is constantly shrinking in Norway and reached 6,41%, what is almost 3 times less than in Finland. Sweden can't

maintain the gap below 15%, while Denmark with Norway steadily decrease the gap between male and female wages.


Chart 5. Wage Gender Pay Gap



Source: OECD Employment Database



Source: OECD Employment Database



Source: OECD Employment Database

### Conclusion

After reviewing insignificant number of articles about Nordic and Scandinavian models, I would add family as an important area of similarity in the Scandinavian region to gender equality and welfare policy. Though the populations in these countries are economically active and involved in labour force, still, family stays a crucial social community that represents Nordic citizens. A well-organized family life is one of the most important requirements for people's welfare and quality of life.

Another trend I would say is more or less similar in Nordic countries is the care for social outcasts and vulnerable groups in society. When it comes to minorities, no matter sexuality or nationality, the Nordic Region tries to facilitate their adaptation in economic citizenship. Although multiculturalism doesn't make Scandinavians happy (this is my assumption), the government takes care of all citizens and makes central goal is to create opportunities for all to take part in the social life and not be underrepresented in the decision-making process in society.

I would call it a Nordic feature to support women to enter the labour market and the political arena to a greater degree than in other parts of the world.

After World War II the changes in Gender equality policies initialized by state are more seen in Norway and Sweden than in any other Scandinavian countries. Danish government doesn't try to follow the path of other Scandinavian countries, what makes it irrelevant for me to unite these three countries under one league. Their approaches of sameness-difference and other above discussed topics are more different, than similar, in my point of view.



## References

Borchorst, Anette (2008): "Women-friendly policy paradoxes? Childcare policies and gender equality visions in Scandinavia". Melby, Kari, Anna-Birte Ravn and Christina Carlsson Wetterberg (eds.), Gender equality and welfare politics in Scandinavia. The limits of political ambition?, Policy Press.

Borchorst, Anette and Birte Siim: "Women friendly policies and state feminisms: Theorizing Scandinavian gender equality" in *Feminist Theory* 2008 9:207 (15p), Sage publications.

Melby, Kari, Anna-Birte Ravn and Christina Carlsson Wetterberg (2008): "A Nordic model of gender equality? Introduction". Melby, Kari, Anna-Birte Ravn and Christina Carlsson Wetterberg (eds.), Gender equality and welfare politics in Scandinavia. The limits of political ambition?, Policy Press.

Langvasbråten, Trude (2008): "A Scandinavian Model? Gender Equality Discourses on Multiculturalism", *Social Politics: International Studies in Gender, State & Society* 2008, 15: pp. 32-52 (21p).

<http://sp.oxfordjournals.org/content/vol15/issue1/index.dtl#ARTICLES>.

Balkman, Dag, LeeAnn Iovanni and Keith Pringle: "A Reconsideration of Two "Welfare Paradises": Research and Policy Responses to Men's Violence in Denmark and Sweden" in *Men and Masculinities* 2009 12: 155 (15p).

<http://jmm.sagepub.com/content/early/2008/05/07/1097184X08318183.full.pdf+html>

Sainsbury, Diane: "Gender and the Making of Welfare States: Norway and Sweden. In *Social Politics* Spring 2001.

Rydström, Jens: "Summary and conclusions" in Rydström, Jens: *Odd Couples. A History of Gay Marriage in Scandinavia*. 2011.)

## სკანდინავია – ჰომოგენური ერთობლიობა?

ნათია გვიგინეიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ნორდიკული ქვეყნების (ნორვეგია, შვედეთი, დანია, ფინეთი, ისლანდია) გენდერული მეინსტრიმინგის მსგავსებები და განსხვავებები სახელმწიფო დონეზე. დაკვირვებამ ცხადყო, რომ მსგავსებების მიუხედავად, ეს სახელმწიფოები არ იზიარებენ ერთსა და იმავე მიდგომებს გენდერული პოლიტიკის წარმოებაში, რაც განაპირობებს სტრუქტურულ განსხვავებებს გენდერულ ინდიკატორებში.

## სისხლის სამართლის სტატისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები

ეკატერინე გლოველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი

სისხლის სამართლის სტატისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისა და სწორად განხორციელების პროცესში. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის სტატისტიკა უნდა იყოს ზუსტი, სარწმუნო და საჯარო.

აღნიშნულ მიზანს ემსახურება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა 5 უწყებას შორის (შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო, სასჯელაღსრულება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) 2010 წლის აპრილის თვეში. 2010 წლის მაისიდან კი ყოველთვიურად ხორციელდება სტატისტიკური ანგარიშგება.

მემორანდუმის განუყოფელი ნაწილია მისი დანართი, რომელიც შედგება სისხლის სამართლის სტატისტიკის ზოგადი კონცეფციის, ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების, გამოქვეყნების წესებისა და დანაშაულთა კლასიფიკაციის სტანდარტული სქემისაგან.

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში შსს-ს მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიღების წყაროს წარმოადგენს საადრიცხვო ფორმები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №423 ბრძანებით. დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის ფორმებია:

1. წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი (ფორმა №1);
2. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის აღრიცხვის ბარათი (ფორმა №1ა);
3. წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან საქმის გადაგზავნის აღრიცხვის ბარათი (ფორმა №2);
4. დაზარალებულ პირთა მონაცემების აღრიცხვის ბარათი (ფორმა №7).

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველს (წყაროს) 2011 წლის ჩათვლით წარმოადგენდა სტატისტიკური აღრიცხვის ფორმები, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს მთავარი პროკურატურის №136 §1 ბრძანებით 19.10.2009 წელს. დღეს ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს სტატისტიკურ-ანალიტიკური მოდული, რომელიც ფუნქციონირებს 2012 წლიდან და მოიცავს:

1. სტატისტიკური ფორმა მუხლობრივი მონაცემების მიხედვით;
2. სტატისტიკური ფორმა საპროცესო მოქმედებების მიხედვით.

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიღების წყაროს წარმოადგენს სტატისტიკური ბარათები და სტატისტიკური ფორმები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან 18.02.2002 წლის №15/03-08/01 წერილით.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად I ინსტანციის სასამართლოებში პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებია:

1. სტატისტიკური ბარათები სასამართლოში შემოსულ და დამთავრებულ სისხლის სამართლის საქმეებზე (ფორმა №1-ო, ფორმა №2-ო, და ფორმა №2-ო დამატება)

2. მონაცემები I ინსტანციის სასამართლოების მიერ საგამოძიებო ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ (ფორმა №X-07).

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო წარმოადგენს სტატისტიკურ ინფორმაციას ორი მიმართულებით: თავისუფლების აღკვეთის, ანუ პენიტენციური და არასაპატიმრო სასჯელაღსრულებითი, ანუ საპრობაციო სტატისტიკა. თითოეულ მიმართულებაში სტატისტიკური ინფორმაცია დაყოფილია სასჯელის მოხდის მიმდინარეობის სხვადასხვა ასპექტის მიხედვით.

მონაცემების შეგროვება ხორციელდება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტატისტიკურ-ანალიტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული აღრიცხვის ცხრილების საშუალებით.

სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოებაში ჩართული უწყებები დანაშაულის სტატისტიკას აწარმოებენ **დანაშაულთა კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად**. აღნიშნული სქემის მიხედვით, დანაშაულები დაყოფილია კლასიფიკაციის სამი დონის მიხედვით: **პირველ დონეზე** ერთმანეთისაგან გამიჯნულია ძალადობრივი და არაძალადობრივი დანაშაულები. **მეორე დონე** ითვალისწინებს დანაშაულების დაყოფას განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულების მიხედვით. კლასიფიკაციის **მესამე დონე** ითვალისწინებს დანაშაულების დაყოფას ობიექტების/სისხლის სამართლის კოდექსის თავების მიხედვით. მათ შორის, ცალკე არის გამოყოფილი გავრცელებული დანაშაულები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უწყებათაშორისი თანამშრომლობის მეორანდუმი წარმოადგენს სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოების მნიშვნელოვან სამართლებრივ ბაზას საქართველოში. მასში საუბარია ასევე იმ ფორმებსა და ბლანკ-ბარათებზე, რომლებიც დამტკიცებულია და რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციის მიღების წყაროს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის იანვრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც მოხდა საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაზე გადასვლა და დაინერგა ანალიტიკური მოდული, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს სწორედ ამ პროგრამით და, შესაბამისად, აღნიშნული პერიოდიდან ინფორმაციის მიღების წყაროს მათთვის წარმოადგენს მხოლოდ ეს ელექტრონული პროგრამა.

ევროკავშირის არა აქვს მიღებული ერთიანი სტანდარტები სისხლის სამართლის სტატისტიკის საკითხებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ევროპული ქვეყნების მიერ დანაშაულის სტატისტიკის პრაქტიკის განხილვა იძლევა ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრის საშუალებას, რაც მნიშვნელოვანია სრულყოფილი და ეფექტიანი სისხლის სამართლის სტატისტიკის სისტემის შესაქმნელად. სწორედ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ჩვენეული რეკომენდაციების წარმოდგენა გახლავთ თემის ამ ნაწილის მიზანი.

საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკის კარგი სისტემის შესაქმნელად აუცილებელია:

- მონაცემთა ეფექტური აღრიცხვა;
- მონაცემთა ერთიანობისა და ხარისხის მაღალი დონე;
- საზოგადოებისათვის მონაცემების მარტივი ხელმისაწვდომობა;
- დანაშაულთა სტატისტიკის სისტემის მხარდაჭერის ადეკვატური რესურსები, მათ შორის, ტექნიკური უზრუნველყოფა და თანამშრომელთა განათლება.

დღეს საქართველოში პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სისხლის სამართლის დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა ხდება სხვადასხვა უწყების მიერ (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) და ეს მაჩვენებლები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს კი იწვევს იმას, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკას ნდობის

დაბალი მაჩვენებელი აქვს და არანაირი ღონისძიებები არ ტარდება აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

სისხლის სამართლის სტატისტიკის სფეროში მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მონაცემთა შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მაჩვენებელთა განსხვავებული აღრიცხვიანობით, ანუ განსხვავებულია მონაცემთა დამუშავების მეთოდოლოგია. ზოგჯერ უწყებების მიერ წარმოდგენილი პარამეტრები, მართალია, ერთი და იგივე სახელით არის წარმოდგენილი, თუმცა შინაარსი განსხვავებულია, ან/და, პირიქით, ერთნაირი შინაარსის მატარებელია და დასახელებაა განსხვავებული, რაც საბოლოო ჯამში ქმნის უხერხულ მომენტს მაჩვენებელთა შედარების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად გთავაზობთ ორ გზას:

პირველი, ჩვენი აზრით, თითოეული უწყებიდან უნდა მოხდეს კომპეტენტური კადრების შერჩევა-სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლებიც დეტალურად ჩამოაყალიბებენ და იმსჯელებენ აღრიცხვის მეთოდიკაზე, ანუ იმაზე, თუ რა ინფორმაციას გულისხმობს ესა თუ ის მაჩვენებელი და, რა ინფორმაციას უნდა გულისხმობდეს. უნდა შეიქმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელიც იქნება ერთგვარი სახელმძღვანელო, სადაც მკაფიოდ და მარტივ ენით (გასაგები იყოს საზოგადოების ნებისმიერი სფეროს წარმომადგენლისათვის) იქნება ჩამოყალიბებული აღსარიცხი პარამეტრების შინაარსი. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღრიცხული ინფორმაცია რეგისტრირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით არ არის იდენტური პროკურატურის მიერ აღრიცხული გამოძიების დაწყების, თუმცა კონკრეტულად რას გულისხმობს რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა ამაზე ინფორმაცია, სამწუხაროდ, არ არის ცნობილი. სწორედ ამიტომ, კარგი იქნება, თუ თითოეული უწყება გამოქვეყნებულ ანგარიშს თან დაურთავს ინფორმაციას მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით (რა ხერხები და მეთოდები გამოიყენება ამა, თუ იმ მაჩვენებლების მისაღებად და ა.შ) და ასევე ინფორმაციას ტერმინთა განმარტებების შესახებ.

რაც შეეხება პრობლემის მოსაგვარების მეორე გზას, ამგვარია: უნდა მოხდეს უწყებებს შორის აღსარიცხ პარამეტრთა მკაცრი გამიჯვნა. პოლიციამ აწარმოოს ინფორმაციის აღრიცხვა რეგისტრირებულ დანაშაულებზე (გადაკვალიფიცირება, შეწყვეტა), გახსნის მაჩვენებელზე, პროკურატურამ დევნის დაწყება, დევნის შეწყვეტა, სასამართლოში წარმართვა, ანუ ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც მის უშუალო კომპეტენციაში შედის, ხოლო სასამართლომ ინფორმაცია აღკვეთ ღონისძიებებთან, გამოტანილ განაჩენებთან და სასჯელებთან დაკავშირებით (ანუ რაც სასამართლოს პრეროგატივაა). ეს კი, ჩვენი აზრით, საბოლოო ჯამში, მოხსნის პრობლემას მონაცემთა განსხვავებებთან დაკავშირებით და, აღნიშნული კუთხით საზოგადოების მხრიდან აღარ გაჩნდება კითხვები.

ჩვენ ასევე გთავაზობთ ჩვენეულ მოსაზრებებს სისხლის სამართლის სტატისტიკის სრულყოფილი და ხარისხიანი სისტემის შესაქმნელად. ერთ-ერთი გზა, რაც სისხლის სამართლის სტატისტიკის სანდოობის ხარისხს აამაღლებს, ეს არის საზოგადოებისათვის ინფორმაციის მარტივი ხელმისაწვდომობა, რასაც საერთაშორისო გამოცდილებაც ადასტურებს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეს პრობლემა მწვავედ დგას, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში. და მეორე გზა, უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ გაცხადებული დანაშაულების რაოდენობა (რომელიც, როგორც წესი, პოლიციის მიერ არის რეგისტრირებული) შეიძლება წარმოდგენდეს ჩადენილი დანაშაულის ოდენობის ცუდ ალტერნატივას, ვინაიდან ჩადენილი დანაშაულის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის რეგისტრირებული ოფიციალური უწყებების, ანუ პოლიციის მიერ. ევროპის ქვეყნებში (მაგალითად, დანიასა და გერმანიაში) იმისათვის, რომ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია დანაშაულის ოდენობაზე, მუდმივად ტარდება სათანადო კვლევები (იუსტიციის სამინისტროსთან და პოლიციასთან თანამშრომლობით). ამ კვლევების ფარგლებში

მოქალაქეთა ნაწილის გამოკითხვა ხდება იმის თაობაზე, იყვნენ თუ არა ისინი დანაშაულის მსხვერპლნი გარკვეულ პერიოდში. ასეთი “დაფარული ციფრების” კვლევა შეიძლება წარმოადგენდეს სერიოზულ დახმარებას გაცხადებული დანაშაულის სტატისტიკისთვის. იმისათვის, რომ ვიქონიოთ დაახლოებითი ციფრები ოფიციალური დანაშაულის/პოლიციის სტატისტიკის ვალიდურობაზე, ასეთი სახის კვლევები უმნიშვნელოვანესია და საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სანდო მონაცემები დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სტატისტიკის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ძველი სისტემის გარდაქმნისა და მისი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საერთაშორისო სტანდარტების დეტალური ანალიზისა და ევროპის კავშირის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა სისხლის სამართლის სტატისტიკის კონცეფცია – სტატისტიკის წარმოების სრულიად ახალი, თანამედროვე მეთოდოლოგია.

**სისხლის სამართლის სტატისტიკის ზოგადი კონცეფცია** საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განსაზღვრავს სისხლის სამართლის სტატისტიკის მიზნებს, ადგენს, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სრულყოფილი სტატისტიკური სისტემა, როგორი უნდა იყოს მისი ორგანიზაციული მოწყობა, რა უნდა იყოს სისხლის სამართლის სტატისტიკის ძირითადი ობიექტი, დაკვირვების (აღრიცხვის) ერთეული და ა.შ.

კონცეფციის მომზადებითა და მისი ხელმოწერით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სისხლის სამართლის სტატისტიკაში. ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგია უზრუნველყოფს უწყებათა მონაცემების მაქსიმალურ თანხვედრას, შესაძლო უზუსტობებისა და შეუსაბამობების აღრიცხვას და რაც მთავარია, ახალი მეთოდების გამოყენებით მონაცემთა უფრო სრულყოფილ აღრიცხვას.

The purpose of asking these questions regarding the compensation management in the survey is to reveal how efficient the compensation system is. In order to reach this purpose, there has been done a factor analysis to see if these questions make up a meaningful unity among themselves. As a result of the carried out factor analysis (Varimax management) there were found that all the questions explaining the 68.71% of the variance and with the load factor over 68 were grouped under a single factor. As a result of the above mentioned, taking the arithmetic average of all the questions the evaluation was conducted according to a single dimension. If the arithmetic average reaches the high degree, it will point to the existence of effective compensation management as a result of which this dimension is named “effectiveness in compensation management”. The average data related to this dimension is as in Table 1.

**Table 1: The level of business efficiency in enterprises in Azerbaijan**

	Answers given by HR managers	
	Avg.	St. Dev.
Level of effective wage management	3.10	.84

When we examine averages in Table, the arithmetic average was 3.10 in relation with the total enterprises in Azerbaijan. This result denotes that the efficiency in wage management is estimated as average. The low standard deviation (.84) shows that there is a trend in homogenous distribution.

#### References

1. Grote, D. (2002). The Performance Appraisal Question and Answer Book: A Survival Guide for Managers, Amacom Books, U.S.A.
2. Seljuklu, H. (2005). Human Resource Management in Turkey, <http://www.inisiyatif.net/document/22.asp>.
3. Yıldız, G. ve Balaban Ö. (2006). Work Appraisal and Compensation Management (İş Değerleme ve Ücret Yönetimi), Sakarya Book House, Sakarya.
4. <http://hrcouncil.ca/hr-toolkit/compensation-systems.cfm> (21.01.2014)
5. <http://aubreydaniels.com/pmezine/designing-compensation-system-motivates> (25. 01.2014)
6. <http://www.businessalignmentstrategies.com/articles/compensation.php> (02.02.2014)

### კლასტერში ჩართულ მხარეთა ქსელური თანამშრომლობის შესწავლის მეთოდოლოგია

დავით დარსაველიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი*

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტების ანალიზიდან და ჩვენ მიერ მოპოვებული სტატისტიკური თუ სხვა მეორადი ინფორმაციის წყაროებიდან გამოიკვეთა<sup>1</sup>, რომ კლასტერში ჩართული დაინტერესებული მხარეების ქსელური

<sup>1</sup>Darsavelidze D., Culture-based tourism and networking - The case of Thessaloniki, II International Seminar “Tourism and Spatial Planning” — TPT.09, NICHE TOURISM: Territories, Cultures and Sustainability, University of Lisbon, Portugal, 2009. p.1-13

თანამშრომლობის შესწავლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ინტერვიუების ჩატარებაა. სწორედ მისი საშუალებითაა შესაძლებელი ქსელური თანამშრომლობის შესახებ იმ ინფორმაციის მიღება, რისი აღრიცხვაც, როგორც წესი, არ ხდება ოფიციალური სტატისტიკური, თუ სხვა სახის ანგარიშების წარმოებისას.

საკვლევი საკითხის ინტერვიუს საშუალებით მეტნაკლებად სრულად მოცვის მიზნით, ჩვენ მიერ მომზადდა სპეციალური კითხვარი, რაც საწყის ეტაპზე დაინტერესებული მხარეების კონკურენციის, თანამშრომლობისა და ქსელური კავშირების შესასწავლის საშუალებას გვაძლევს (იხ. დანართი №1).

კითხვარის საშუალებით ვიღებდით სხვადასხვა სახის ინდიკატორებს, რომელთა უმეტესობა არაგანგრობით, არამედ დისკრეტულ ხარისხობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს. რიგი შეკითხვები პირდაპირ თანხმობას ან უარყოფას მოითხოვს (დიახ ან არა). შეკითხვების ნაწილი კი ლიკერტის ტიპის დახურული შეკითხვებია, და ხუთი ალტერნატიული პასუხიდან ერთი ყველაზე მეტად მისაღები პასუხის არჩევას მოითხოვს. კითხვარში მოცემულია, ასევე, გარკვეული ღია შეკითხვები, სადაც სავარაუდო პასუხები იყო მითითებული და რადგან იგი ამომწურავ ხასიათს არ ატარებდა, იყო საშუალება თავად რესპოდენტს დაემატებინა პასუხი. ეს კითხვარი ექსპერტული შეფასების მეთოდს ეფუძნება, და რესპოდენტების ცოდნასა და გამოცდილებას ემყარება, იგი არ მოითხოვს სხვა წყაროების მითითებასა თუ მასალების გამოყენებას. მიუხედავად ამისა, გამოკითხვა საკმაოდ ხანგრძლივ პროცესთან იყო დაკავშირებული, რადგან ის ხშირად რესპოდენტების ინოვაციური ქცევის გამოკითხვასთან ერთად მიმდინარეობს (30 წუთი და ზოგჯერ უფრო მეტი დროა საჭირო). კითხვარის მოცულობის გამო, აუცილებელი იყო რესპოდენტთან პირისპირ ინტერვიუ. ინტერვიუს ჩატარებისას შესაძლებელი იყო რესპოდენტის საკითხისადმი დამოკიდებულების უფრო დეტალურად და ყურადღებით შესწავლა, მათ მიერ მითითებული პასუხების მართებულობის შემოწმება და შეკითხვასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მიღება, რაც მეტად მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის გამოკვლევების ჩატარების დროს. დადგან კითხვარი უმთავრესად რესპოდენტის მიერ საკითხის შეფასებას უკავშირდება, ჩვენი აზრით, რესპოდენტთან უშუალო კავშირი აუცილებელი იყო კითხვის სწორად აღქმისა და მათი მხრიდან მაქსიმალური ძალიხმევის მისაღწევად. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ რესპოდენტს ტენდენციურად შემოეხაზა ან საერთოდაც თავი აერიდებინა ღია შეკითხვებისთვის პასუხის გაცემაზე, ან დამატებითი შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში, პასუხი ვერ მიეღო საკითხის დასაკონკრეტებლად და კვლავაც აღარ გაეგრძელებინა კითხვარის შევსება. როგორც წესი, დამატებითი განმარტებებით დანართები თუ გზამკვლევები კითხვარს კიდევ უფრო ართულებს და ამიტომ პირისპირ ინტერვიუ ყველაზე უფრო მოქნილი საშუალებაა. თუმცა, ამ მეთოდის ნაკლი ის გახლავთ, რომ ხშირ შემთხვევაში ინტერვიუზე თანხმობის მიღება და შემდეგ უშუალოდ მისი ჩატარება დიდი რაოდენობით დროს მოითხოვს.

მოცემული კითხვარი კერძო ტურისტული ინსტიტუციების გამოკითხვისათვისაა მოსახერხებელი, საჯარო სექტორისა და საგანმანათლებლო სექტორის შემთხვევაში კი, მისი მოდიფიცირებული ვერსიებია საჭირო. თუმცა, აქ მხოლოდ კერძო სექტორისთვის მომზადებულ კითხვარს წარმოვადგენთ და განსაკუთრებულ ყურადღებას შევანიშნებთ ქსელური თანამშრომლობის, კერძოდ, კონკურენციისა და თანამშრომლობის ნაწილზე.

უდავოა ქსელური თანამშრომლობის უდიდესი მნიშვნელობა, თუმცა, მისი შეფასება არც თუ ისე ადვილია, ხშირ შემთხვევაში ხარისხობრივი მაჩვენებლებით

შემოიფარგლება და რაოდენობრივი ფორმით მისი შესწავლა ერთგვარი გამოწვევაა. ქსელური კავშირების შესწავლის კუთხით, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა. თავად მეთოდოლოგია, რაც აუცილებელია მსგავსი კავშირების შესასწავლად, შემუშავებას და დახვეწას საჭიროებს. თესალონიკისა და თბილისის ტურისტული კლასტერების პრაქტიკული მაგალითების კვლევისას დავრწმუნდით, რომ ქსელური კავშირების შესასწავლად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება პირისპირ ინტერვიუები იყო. ჩვენს ხელთ არსებული მეთოდოლოგიების განხილვის შემდეგ დავასკვნით, რომ ქსელური თანამშრომლობის შესწავლის კუთხით სასურველია გარკვეული კითხვარების შემუშავება, რაც ქსელური კავშირებისა თუ ზოგადი თანამშრომლობის ფორმების შესწავლის ეფექტიან საშუალებად წარმოგვიდგება. სწორედ ამიტომ ზემოთ მოცემული კითხვარის დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხს დაეთმო. ამ კითხვარმა საშუალება მოგვცა ზოგადად შეგვეფასებინა, თუ როგორი იყო ქსელური თანამშრომლობა ამა თუ იმ დაინტერესებულ მხარეებს შორის, ყურადღება გავამახვილეთ შიდა კონკურენციულ საკითხებზე (კონკურენტ ან პოტენციურად კონკურენტ ინსტიტუციებს შორის) ისევე, როგორც სხვა მხარეებს შორის (კერძო, სახელმწიფო თუ საგანმანათლებლო სექტორებს შორის). თუმცა ეს კითხვარი ქსელური თანამშრომლობის ყველა მიმართულებას არ მოიცავს. ქსელური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა და ტიპი არსებობს და ამ კითხვარით ვეცადეთ მხოლოდ ინსტიტუციათა შორის ზოგადი ქსელური კავშირების შეგვესწავლა. კითხვარში სიახლე და ორიგინალობაც სწორედ ამ მიმართულებითაა წარმოდგენილი. ინსტიტუციებს შორის ქსელური კავშირის ინტენსივობის შემსწავლელი ინდიკატორების შემუშავება ამ სადისერტაციო ნაშრომის ფორმატს სცდება, ამიტომ იგი შემდგომი კვლევის საგნად შეიძლება იქცეს. ამ ეტაპზე შემოვიფარგლეთ აგრეგირებული ქსელური თანამშრომლობის ინდიკატორების შემუშავებით, ამ ინდიკატორზე დაყრდნობით შესაძლებელია საშუალო მაჩვენებლებისა და სტანდარტული გადახრის გამოთვლა. გარდა ამისა, საინდექსო მეთოდების გამოყენებით<sup>1</sup> შეგვიძლია დავითვალოთ ქსელური თანამშრომლობის ინდივიდუალური ინდექსები. შემდგომი კვლევის შემთხვევაში შესაძლებელია სხვადასხვა თანამშრომლობის საერთო (აგრეგატული) ინდექსების შემუშავებაც.

ქსელური თანამშრომლობის ამსახველი ინდიკატორი ( $X_j$ ) შესაძლოა მივიღოთ კითხვარში მოცემული რამდენიმე შეკითხვის პასუხების გაერთიანებით. კერძოდ, „1.2“, „1.3“, „1.5“, „1.6“ და „1.7“ შეკითხვების პასუხების გაერთიანებით შეიძლება მივიღოთ რესპონდენტის მიერ მითითებული თანამშრომლობის 5-ბალიანი შეფასება. პასუხი „არა“ ავტომატურად უნდა ჩაითვალოს „0“ ქულად, ხოლო „დიახ“ - „1“ ქულად. ამ პასუხებიდან მიღებული შედეგი შეიძლება იყოს მინიმალური „0“ და მაქსიმალური „5“ (რადგან სულ ხუთი შეკითხვაა) (იხ. ფორმულა 1.1).

$$X_i = \sum_{j=1}^5 X_j = X_1 + X_2 + X_3 + X_4 + X_5 \quad (1.1)$$

$X_i$  - ქსელური თანამშრომლობის აგრეგირებული ინდიკატორია თითოეული რესპონდენტის მიხედვით.

i - რესპონდენტის რიცხვია, 1,2... „n“-მდე.

j- „1.2“, „1.3“, „1.5“, „1.6“ და „1.7“ კითხვებზე პირობითად მინიჭებული რიცხვებია, შესაბამისად, 1, 2, 3, 4 და 5.

$X_j - X_1, X_2, X_3, X_4, X_5$  კითხვების პასუხის ქულაა, „0“ ან „1“. უფრო დეტალიზებული სთვის კი ფორმულაში  $X_j$  შემდეგ სახეს მიიღებს თითოეული კითხვისთვის:

<sup>1</sup>გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკის თეორია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2004, გვ. 529-585

$$X_j = \sum_{k=1}^m X_{jk} = X_{j1} + X_{j2} + X_{j3} + X_{j4} + \dots + X_{jm} \quad (1.2)$$

$X_j$  – თითოეული კითხვის („1.2“, „1.3“, „1.5“, „1.6“ და „1.7“) პასუხის ქულაა „0“-დან „1“-ის ჩათვლით.

$k$  – კითხვის შიგნით პასუხზე პირობითად მინიჭებული რიცხვი 1,2,3, ... „m“-ის ჩათვლით.

$X_k$  – კითხვის პასუხის ქულაა „0“ ან წონა  $\frac{1}{m}$

$$X_i = \sum_{j=1}^5 \sum_{k=1}^m X_{jk} \quad (1.3)$$

გარდა ამისა, ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით, შევიძუშავთ ქსელური თანამშრომლობის სხვადასხვა საშუალო და ვარიაციის მაჩვენებლები. ქსელური თანამშრომლობის ინდიკატორის საშუალო მაჩვენებელის ზოგადი ფორმულა შემდეგი სახისა (1.4):

$$\bar{X} = \frac{\sum_{i=1}^n X_i}{n} \quad (1.4)$$

$\bar{X}$  – ქსელური თანამშრომლობის ინდიკატორის საშუალო მაჩვენებელია.

$X_i$  – გამოკითხულ ინსტიტუციის ქსელური თანამშრომლობის ინდიკატორი.

$n$  – გამოკითხულთა რიცხვი.

ქსელური თანამშრომლობის ვარიაციის მაჩვენებელი კი შემდეგი სახისაა:

$$\bar{d} = \frac{\sum_{i=1}^n |X_i - \bar{X}|}{n} \quad (1.5)$$

$\bar{d}$  – გამოკითხულთა ქსელური ქცევის ინდიკატორების საშუალო წრფივი გადახრის მაჩვენებელია.

ამასთან, შევიძუშავთ ინდივიდუალური ინდექსები ( $I_{ik}$ ), თითოეული მხარის თანამშრომლობის ინდიკატორის ( $X_{ik}$ ) საშუალო მაჩვენებელთან ( $\bar{X}_k$ ) შეფარდებით (1.6).

$$I_{ip} = \frac{X_{ip}}{\bar{X}_p} \quad (1.6)$$

$I_{ip}$  – კერძო სექტორის გამოკითხულ რესპოდენტთა ქსელური თანამშრომლობის ინდექსი.

$\bar{X}_p$  – კერძო სექტორის ქსელური თანამშრომლობის ინდიკატორის საშუალო მაჩვენებელია.

$X_{ip}$  – კერძო სექტორის ერთი რესპოდენტის ქსელური თანამშრომლობის ინდიკატორია

კერძო სექტორის ინსტიტუციებისთვის მოცემული მსგავსი მეთოდოლოგიით შეიძლება დაეთვალით ინდივიდუალური ინდექსები საგანმანათლებლო ( $I_{iu}$ ) და საჯარო ( $I_{ig}$ ) სექტორის ინსტიტუციებისთვის (იხ. ფორმულა 1.7; 1.8)



$$I_{ii} = \frac{X_{ii}}{X_{ii}} \quad (1.7)$$

$$I_{ig} = \frac{X_{ig}}{X_{ig}} \quad (1.8)$$

შესაძლოა აგრეთვე ინდივიდუალური ინდექსების გამოთვლა თითოეული სექტორის ქსელური თანამშრომლობის საშუალო ინდიკატორის საერთო ქსელური თანამშრომლობის ინდიკატორის საშუალო მაჩვენებელთან.

$$I_p = \frac{\bar{X}_p}{\bar{X}_i} \quad (1.9)$$

$$I_g = \frac{\bar{X}_g}{\bar{X}_i} \quad (1.10)$$

$$I_l = \frac{\bar{X}_l}{\bar{X}_i} \quad (1.11)$$

შესაძლებელია შემდეგ ეს ქულები აისახოს გრაფიკზე რადარის მსგავს ქსელულ დიაგრამაზე (იხ. დანართი №2). აღნიშნული დიაგრამა კი შეიძლება გამოვიყენოთ შედარების (benchmarking) ინსტრუმენტად. მაგალითად, აკადემიის ქსელური თანამშრომლობის ინდექსი შეიძლება შევადაროთ კერძო და სახელმწიფო ინსტიტუციების თანამშრომლობის ინდექსებთან როგორც ინდივიდუალურ, ისე საშუალო მაჩვენებლებზე დაყრდნობით. თავად, კერძო და სახელმწიფო, და აკადემიის სტრუქტურებს შორისაც შესაძლებელია მსგავსი შედარებების წარმოება.

ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგია ტურისტული კლასტერის განვითარებისთვის ინსტიტუციური კავშირების ზოგადად შესწავლის საშუალებას იძლევა, თუმცა ამ საკითხის გარშემო მეთოდოლოგიის განვითარების შემდგომი საჭიროება უადავოა. ჩვენს მიერ შემუშავებული კითხვარი, ინდიკატორები და შესაბამისი ინდექსები ქსელური კავშირების ზოგადი შესწავლის საშუალებას იძლევა და საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად მისი შემდგომი განვრცობაა სასურველი. შეიძლება დამატებით იდენტიფიცირებულ იქნას ახალი ინდიკატორები და ინდექსები და მათ საფუძველზე მომზადდეს დამატებითი კითხვები ინტერვიუსათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკის თეორია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2004, გვ. 529-585

Darsavelidze D., Culture-based tourism and networking - The case of Thessaloniki, II International Seminar “Tourism and Spatial Planning” — TPT.09, NICHE TOURISM: Territories, Cultures and Sustainability, University of Lisbon, Portugal, 2009. p.1-13

Darsavelidze D., Globalization & culture-based tourism clusters - the case of Thessaloniki. Integrated Relational Tourism International Scientific Conference, Proceedings, Helwan University, Cairo, Egypt, 2009. pp. 173-185.

#### დანართები:

დანართი №1. კომპანიის კონკურენციისა და თანამშრომლობის კვლევის კითხვარი

1.1 როგორ შეაფასებდით თქვენს კონკურენციას სხვა მსგავს კომპანიებთან მიმართებაში?

1                       2                       3                       4                       5

მომხმარებლის როდელი კონტინგენტის მოსაზიდად ეწევი კონკურენციას?

ადგილობრივი ბაზრიდან  საზღვარგარეთიდან  მომსახურების მომწოდებლების მოსაზიდად (მაგ.: ტუროპერატორების)

სხვა \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

**რა ფორმით/საშუალებებით უწევთ კონკურენციას?**

დივერსიფიცირებული პროდუქტის შეთავაზებით  მომსახურების მაღალი ხარისხით

ფასებით  აქტიური მარკეტინგით ( ტელევიზიით,  რადიოთი  ჟურნალ გაზეთებით  ბილბორდებით  აქციების ორგანიზებით  სხვა სახის რეკლამით \_\_\_\_\_)

საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით

სხვა \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

**12 თანამშრომლობთ თუ არა თქვენი ორგანიზაციის მსგავს კონკურენტ ორგანიზაციებთან?**

არა  დიახ

**რა ფორმით თანამშრომლობთ?**

ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებების უკეთ დააკმაყოფილების მიზნით

საერთო პრობლემატიკის განსახილველად და მათი გაჭრისთვის (საკანონმდებლო, თუ მარეგულირებელი გარემო, ლობირება)

განსაკუთრებით დიდი შეკვეთების ერთად ეფექტურად მართვისათვის

ადგილობრივი შესაძლებლობების საზღვარგარეთ წარსადგენად

სხვა \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

**13 თანამშრომლობთ თუ არა სხვა ადგილობრივ ბიზნეს ინსტიტუციებთან, რომლებიც თქვენი ორგანიზაციის მაკომპლემენტირებელ პროდუქტებს ქმნიან ტურიზმის ინდუსტრიაში**

არა  დიახ

**კერძოდ, რომელ ადგილობრივ მომწოდებლებთან?**

ტურისტული საინფორმაციო ცენტრები

**რა ფორმით?** (  ინფორმაციის მიწოდება  ინფორმაციის მიღება  ტურისტების დაკავშირება  საინფორმაციო ბუკლეტების, რუკების მიღება)

სადაზღვეო კომპანიები,

ბანკები  ავიაკომპანიები  სხვა სატრანსპორტო კომპანიები

სასტუმროები/სასტუმრო სახლები

რესტორნები/ბარები/სხვა საზოგადოების ობიექტები

სუვენირების/ღვინის/სხვა მაღაზიები

ტურისტული კომპანიები  ტურისტული სკოლები/პროფსასწავლებლები

სხვა \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

**14 ფიქრობთ თუ არა თქვენი შესაძლებლობების გაძლიერებას?**

- სხვა ორგანიზაციასთან გაერთიანებით
- ერთობლივი ახალი პროდუქტების ინიცირებით
- სხვა ორგანიზაციის შემოერთებით
- აუთსორსინგით

**1.5 ხართ თუ არა გაერთიანებულის (ასოციაციების, პალატების, კავშირების) წევრი**

არა     დიახ,  
რომელ გაერთიანებაში? \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ადგილობრივი ტურისტული ასოციაცია, ქსელი  
რა ფორმით? \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

საერთაშორისო ტურისტული ასოციაცია, ქსელი  
რა ფორმით? \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან, პროფესიული  
კავშირებთან  
რა ფორმით? \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული განვითარების  
სააგენტოებთან  
რა ფორმით? \_\_\_\_\_

**რამდენად აქტიურად ხართ ჩართული მათ საქმიანობაში?**

სუსტად რადგან სარგებელს ვერ ვიღებ     საშუალოდ, მხოლოდ მცირედ  
სარგებელს ვიღებ

ძლიერად რადგან მნიშვნელოვან სარგებელს ვიღებ.

**რა ფორმით გამოიხატება თქვენი ჩართულობა მათ საქმიანობაში?**

ადგილობრივი შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობა

სექტორში არსებული პრობლემატიკის იდენტიფიცირება და განხილვა

სექტორის განვითარების სტრატეგიის შემუშავება

საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა     საერთო ტურისტული  
პროდუქტების შექმნა

სხვა \_\_\_\_\_

**1.6 გაქვთ თუ არა დიალოგი საზოგადოებასთან (ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმის განვითარებისადმი მიდგომის თუ დამოკიდებულების შესასწავლად, ან მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით)?**

არა     დიახ,  
რა სახისაა ეს დიალოგი/თანამშრომლობა? \_\_\_\_\_

**1.7 თანამშრომლობთ თუ არა ტურიზმის განვითარების საკითხებით დაინტერესებულ საჯარო და სხვა ორგანიზაციებთან?**

- არა       დიახ
- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ტურიზმის რეგულირების სფეროში რა ფორმით? \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- ტურიზმის მარეგულირებელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან რა ფორმით? \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_

1.8 გაქვთ თუ რა პოტენციური სხვა ადგილობრივი ბიზნესთან თანამშრომლობის გასადრმაგებლად?

- არა       დიახ


1.9 საჭიროა თუ არა ტურიზმის სფეროს ხელშეწყობა ადგილობრივი სთეიქჰოლდერების დასაკავშირებლად და თანამშრომლობის გასააქტიურებლად?

- არა       დიახ

1.10 ტურიზმის გაძლიერებისათვის ლიდერობა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფა კერძო სექტორმა უნდა ითაოს და არა სახელმწიფომ?

- არა       დიახ

**დანართი №2. ქსელური თანამშრომლობის დიაგრამა**



**The methodology for studying stakeholders' networking behavior in a cluster**

**David Darsavelidze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Doctoral Student

**Summary**

This paper is presenting the new methodology for studying stakeholders' networking behavior in a cluster. The research done for Tbilisi and Thessaloniki Tourism clusters showed us that there is a huge gap in the methodology to study the networking behavior of stakeholders, official statistics or the reports were mainly qualitative and had no quantitative dimension, so comparisons or changes in the networking behavior was almost impossible to learn from these sources. We developed the

questionnaire, the indicators and indices, both qualitative and quantitative based on which several statistical methods may be applied.

## საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხები

მერი დაუშვილი

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი  
თსუ დოქტორანტი

აღწერა ეროვნული სტატისტიკური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრული დროის ან პერიოდისათვის ქვეყნის თითოეული მცხოვრების შესახებ დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ცნობების შეგროვების, დამუშავებისა და გაანალიზების ყველაზე მასშტაბურ და ეფექტიან ღონისძიებას. მისი მთავარი მიზანია სახელმწიფო სამმართველო და აღმშენებლობით გადაწყვეტილებათა მისაღებად მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობისა და განსახლების შესახებ მონაცემთა მრავალმხრივი და სარწმუნო ბაზის შექმნა.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის თარიღად განსაზღვრულია **2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი**. მოსახლეობის გამოთვლის მომენტად (კრიტიკული მომენტი) **აღებულია 4-5 ნოემბრის შუაღამის 12 საათი**. (ე. ი. სააღწერო დოკუმენტაციაში არ უნდა შევიდეს ინფორმაცია მოსახლეობის კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდაცვლილი პირების შესახებ).

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის ივლისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციით, სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენდაცის ჩაეტარებინათ მოსახლეობის საყოველთაო აღწერები 2005-2014 წლების პერიოდში.

საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად ჩართულია მსოფლიო მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერების 2010 წლის რაუნდში. „საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 დეკემბრის №1026 ბრძანებულებით მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება განსაზღვრული იყო 2010 წლის იანვრის თვეში, მაგრამ 2008-2009 წლებში საქართველოში შექმნილი სირთულეების შედეგად (რუსეთის აგრესია და მსოფლიო ფინანსური კრიზისი) ვერ მოხერხდა აღწერის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა დროული და სრული დაფინანსება, რამაც დღის წესრიგში დააყენა საყოველთაო აღწერის გადავადების შესახებ საკითხის განხილვა. მხოლოდ 2009 წელს ზემოაღნიშნული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელებისათვის სტატისტიკის დეპარტამენტის გაანგარიშებით საჭირო იყო 5 მილიონ ლარზე მეტი, ხოლო 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესაბამისად, მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილ იქნა მხოლოდ 100 ათასი ლარი. 2009 წლის სექტემბერში სტატისტიკის დეპარტამენტმა მოამზადა „საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისების 2011 წლის საყოველთაო აღწერის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი, რომელიც შენიშვნებისა და წინადადებებისათვის გადაეგზავნათ ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებას,

რომელიც პროექტის თანახმად ჩართული უნდა ყოფილიყო აღწერის მომზადება-განხორციელებაში.

იმის გამო, რომ მსოფლიო მოსახლეობის 2010 წლის აღწერის რაუნდი მთავრდება 2014 წელს, 2012 წლის დასაწყისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველო შეიყვანა იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო აღნიშნულ რაუნდში ვერ ატარებენ აღწერებს. საქართველოსთან ერთად ამ სიაშია გაეროს წევრი კიდევ 5 ქვეყანა, კერძოდ: უზბეკეთი, ერაყი, ერიტრია, ლიბანი, სომალი და გაეროს არაწევრი: დასავლეთ საჰარა.

სტატისტიკის დეპარტამენტის ორგანიზაციულ-სამმართველო სტატუსის შეცვლასთან და „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით, შეიცვალა აღწერის თარიღის დამტკიცების იურიდიული პროცედურები.

აღწერების თარიღები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია და ეს არ არის შემთხვევითი. ცდილობენ აღწერა ჩაატარონ იმ დროს როდესაც ადამიანი ყველაზე ნაკლებად მოძრავია, რადგან უფრო ადვილი იქნება მათი ნახვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. ე.ი. იმ დასახლებაში, სახლში, ბინაში, რომელშიც გამოსაკითხი პირი ატარებს თავისი დროის უმეტეს ნაწილს. ეს ადვილი შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს მისი რეგისტრაციის ადგილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის მომდევნო საყოველთაო აღწერის თარიღად განსაზღვრულია **2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი**. მოსახლეობის გამოთვლის მომენტად (კრიტიკული მომენტი) **აღებულია 4-5 ნოემბრის შუაღამის 12 საათი**. (ე. ი. სააღწერო დოკუმენტაციაში არ უნდა შევიდეს ინფორმაცია მოსახლეობის კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდაცვლილი პირების შესახებ).

თავის მხრივ, 5-19 ნოემბრის პერიოდის შერჩევა განპირობებულია, იმით, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა ნაკლებად მოძრავია, სკოლებში არდადეგები ჯერ კიდევ არ დაწყებულია და უმრავლეს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს ლექცია-სემინარები. აგრეთვე შერჩეულია კვირის შუაღამე - ოთხშაბათი, როცა მოსახლეობა ნაკლებად მოძრაობს ვიდრე კვირის სხვა დღეებში. აღწერის დღეების რაოდენობაც (15 დღე) განსაზღვრულია იმ მიზეზით, რომ მოსახლეობის გამოკითხვა უნდა მოესწროს მანამდე, სანამ მათ დაავიწყდებათ იმის შესახებ, თუ სად იყვნენ აღწერის კრიტიკულ მომენტში (ე.ი. 5 ნოემბრის შუაღამის 12 საათზე).

ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს ქვეყანაში აღწერის მომზადებას, მონაცემთა შეგროვებას, აგრეთვე, მისი მასალების დამუშავებასთან, განზოგადებასა და შედეგების გამოქვეყნება-გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, წარმოადგენს 2009 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, საქსტატის დებულება და სხვა ნორმატიული-სამართლებრივი აქტები საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების და განკარგულებების სახით.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს აღწერის თარიღის დადგენის, მისი მომზადების, ჩატარების, მოპოვებული მასალების დამუშავების, შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელების წესს, ადგენს აღწერის განხორციელების ძირითად დებულებებსა და მეთოდებს, აღწერაში მოქალაქეთა მონაწილეობას, აღწერის შედეგად მიღებული ინდივიდუალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის სახელმწიფო გარანტიებს.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის სათანადო მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ დონეზე განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უწინარეს ყოვლისა იმ კითხვების ჩამონათვალის განსაზღვრას, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს სააღწერო კითხვარებსა და სხვა დოკუმენტებში მოსახლეობიდან პასუხების მისაღებად. კითხვების რაოდენობა და შინაარსი

გარკვეულწილად შეზღუდულია აღწერის სამუშაოთა მოცულობიდან, მათი შესრულების ვადებიდან, ადამიანური რესურსებიდან და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

აღწერის კითხვარი და შესაბამის მეთოდოლოგია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე და წინა აღწერებისა და ანალოგიური ღონისძიებების საზღვარგარეთის ქვეყნებში განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებით ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებების, დემოგრაფების, ეკონომისტების და სხვა დარგების ექსპერტების მონაწილეობით შეადგინა საქსტატმა.

კარტოგრაფიული მასალის არარსებობამ, წინა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის ძველი ტექნოლოგიით შედგენილი (ქალაქის ვერსიები) რუკების არამდგრადობამ და უზუსტობამ, დღის წესრიგში დააყენა ახალი ტექნოლოგიის (გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემები) დანერგვით მომხდარიყო ზუსტი ციფრული კარტოგრაფიული მასალის მომზადება და მის საფუძველზე მონაცემთა შეგროვება. ზუსტი კარტოგრაფიული მასალა ხელს უწყობს და აადვილებს აღწერის პერიოდში მონაცემთა შეგროვებას, დახმარებას უწევს მონაცემთა შეგროვების პროცესის მონიტორინგს და აღწერის შემდგომ პერიოდში გაადვილებს აღწერის შედეგების წარმოდგენას, ანალიზს და გავრცელებას.

2013-2014 წლებში ციფრული კარტოგრაფიული მასალის მომზადება განხორციელდა მთელი საქართველოს მასშტაბით, 59 მუნიციპალიტეტისა და 5 თვითმმართველი ქალაქისათვის (არ იგულისხმება ოკუპირებული ტერიტორიები), რომელიც მოიცავს აგრეთვე საცხოვრისების, შინამეურნეობების სამისამართო ბაზისა და წინასწარი სიების შედგენას და აღნიშნული მონაცემების მიბმას ციფრულ კარტოგრაფიულ მასალაზე.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწერის კვლევის ობიექტს ინდივიდთან ერთად წარმოადგენს შინამეურნეობა. ეს უკანასკნელი მოიცავს ადამიანთა ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით) და ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით.

იმის გამო, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აქტიურობა და პროდუქციის წარმოება ძირითადად ხორციელდება შინამეურნეობების სექტორში და ამასთან ერთად, საქსტატი ეყრდნობა რა გაეროს 2010 წლის აღწერების რაუნდისათვის შემუშავებულ რეკომენდაციებს<sup>1</sup>, დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილად თვლის მოსახლეობის აღწერის ჩატარებისას (5-19 ნოემბრის პერიოდში) სოციალური და დემოგრაფიული სახის მონაცემებთან ერთად, სპეციალური კითხვარის მეშვეობით, შეაგროვოს ასევე ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. კითხვარის მეშვეობით მიიღება მონაცემები შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტების, ტერიტორიული ერთეულების და სოფლების დონეზე.

ამასთან ერთად, შერჩევის ბაზა, რომელსაც ემყარება სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა მოძველებულია და მოითხოვს განახლებას. მისი ძირითადი ნაწილი მიღებულია 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად და სასოფლო მეურნეობათა იქ მითითებული მახასიათებლებიდან ბევრი უკვე აღარ შეესაბამება რეალობას. ყოველივე ზემოთქმული მნიშვნელოვნად ამცირებს სასოფლო

<sup>1</sup> Conference of European Statisticians, Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, United Nations, New York and Geneva, 2006

მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შედეგების სიზუსტეს. ამდენად აშკარაა, რომ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს შერჩევის ბაზის განახლება, რაც მიიღწევა კიდევ მოსახლეობის აღწერაში სასოფლო-სამეურნეო მოდულის ჩართვით. აღნიშნული ქმედებით მიღებული იქნება განახლებული შერჩევის ბაზა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევისათვის, რაც არსებითად გააუმჯობესებს აღნიშნული გამოკვლევის ხარისხს.

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიური პროექტების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და პროცესების შესამოწმებლად, აღწერის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების სწავლების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 დეკემბრის №1026 ბრძანებულებით, 2007 წლის 8-15 ნოემბერს სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარდა საცდელი აღწერა.

საცდელი აღწერის დროს შემოწმებული იქნა რამდენად მისაღები იყო სააღწერო დოკუმენტაციის შინაარსი და მათი ფორმა, სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა, კარტოგრაფიული მასალა, შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენის ორგანიზება, აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავების პროცესი და ა. შ.

მოსახლეობის საცდელი აღწერის შედეგების მიხედვით გაკეთებულმა დასკვნებმა შექმნა წინაპირობები მოსახლეობის მომდევნო აღწერის ძირითადი ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ დებულებათა, დოკუმენტაციის და მასალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების შესაძლებელი დაზუსტების შესახებ.

მოსახლეობის აღწერის მომზადება-ჩატარებისა და მისი მასალების დამუშავების პროცესის ნორმალური წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის თავისდროულ და ადეკვატურ დაფინანსებას.

ბოლო წლების განმავლობაში გაეროს მოსახლეობის ფონდის დახმარებით, საქსტატმა ფინანსური დახმარებისათვის არაერთჯერ მიმართა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და სახელმწიფოს. ამ მიზნით რამდენიმე შეხვედრა მოეწყო საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პოტენციური დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო. კერძოდ, 2013 წელს მსოფლიო ბანკმა გამოყო 250 000 აშშ დოლარი. გარდა ამისა, არის წინასწარი თანხმობა რამდენიმე დონორის მხრიდან.


**2014 წელსშვედეთისსაერთაშორისოგანვითარებისასოციაციის (SIDA)დაგაეროსმოსახლეობისფონდის (UNFPA)საქართველოსბიუროსმიერგაწეულმადახმარებამშეადგინა1,3 მლნაშშდოლარი.**

აღწერის მთლიანი დანახარჯი 2014-2016 წლებში შეადგენს 13.3 მლნ. ლარს. დანახარჯების 80 პროცენტი შეადგენს აღწერის სამუშაოზე დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებას. დანახარჯები პიკს აღწევს 2014 წელს (იხილეთ დიაგრამა 1), როდესაც ხდება სააღწერო პერსონალისათვის შრომის ანაზღაურების გაცემა (2014-2016 წლების მთლიანი დანახარჯების 80%).

დიაგრამა 1




## აღწერის დანახარჯები 2014-2016 წლებში (ათასი ლარი)



ზემოაღნიშნული პერიოდისათვის აღწერის ჩატარებისათვის გასაწევმა მთლიანმა ხარჯებმა 2006-2016 წლებში ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით (დონორების ფინანსური დახმარების გათვალისწინებით, შეადგინა 3.8 ლარი (2.3 აშშ დოლარი)<sup>1</sup>, რომელიც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს 2.3 აშშ დოლარით ანუ 50 პროცენტით ჩამორჩება<sup>2</sup> (იხილეთ დიაგრამა 2).

დიაგრამა 4

### 2010 წლის რაუნდის აღწერების დანახარჯები 1 მოსახლეზე გაანგარიშებით აშშ დოლარში



მოსახლეობის აღწერა დაადგენს, თუ როგორ განლაგდება მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე, სად არის სამუშაო ძალის სიჭარბე და სად უკმარისობა, სად რაობიექტი – საავადმყოფო, უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა და საბავშვო ბაღი უნდა აშენდეს, ტრანსპორტის რა სახეობა და რაოდენობაა საჭირო და სხვა. ყველაფერი ამის დაგეგმვისათვის აუცილებელია ვიცოდეთ მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობა.

აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები საცხოვრისების შესახებ საშუალებას მოგვცემს შევქმნათ საბინაო ფონდის ერთიანი ბაზა, დადგინდება მოსახლეობის საბინაო პირობები და განისაზღვრება ბოლო ათწლეულში საბინაო მშენებლობის მოცულობა. ამასთან ქვეყნის ეკონომიკის უკეთ სამართავად ადგილობრივი თვითმართველობითი და მმართველობითი ორგანოებისათვის აუცილებელია თითოეულ

<sup>1</sup> 1 აშშ დოლარის გაცვლითი კურსი ლარში წარმოადგენს 1.65-ს

<sup>2</sup> კონტინენტების მიხედვით მონაცემები მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის დეპარტამენტიდან 2011 წელს, 2010 წლის რაუნდის დასრულებისა და ქვეყნების მიერ ხარჯების დაზუსტების შემდეგ მონაცემები შეიცვლება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის რაოდენობისა და მისი შემადგენლობის ცოდნა.

ამ რთული და საკმაოდ ძვირადღირებული სტატისტიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად, ამასთან მის მომიჯნავე წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემებისა და მათი კომბინაციის ანალიზითაა შესაძლებელი დემოგრაფიული პროცესების მოდელირება და პროგნოზირება, დემოგრაფიული განვითარების პროგრამებისა და რეალისტური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, საბოლოო ჯამში კი – სახელმწიფოს დემოგრაფიული აღმშენებლობითი საქმიანობის წარმართვა.

## **Methodological and organizational Issues of the 2014 General Population Census**

**Meri Daushvili**

Executive Director of Geostat

Doctoral student

### **Summary**

The paper looks into the methodological and organizational issues of the 2014 General Population Census, discusses key census indicators and identifies main novelties in the census process. The emphasis is made on the introduction of new technologies such as geographical information systems (GIS), preparation of precise digital cartographic materials and GIS-based data collection. In addition, the paper considers the census data on agricultural activities related to households, such as land structure, livestock and poultry, agricultural equipment, etc.

The paper underlines the utmost importance of the Census for the country and the necessity to conduct it at a high-level

## **საქართველოს სოფლის მეურნეობა გლობალური სოციალური პრობლემების ფონზე**

**ნაირა ვირსალაძე**

*აკ.წერეთლის სახელმწიფო და ქუთაისის  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

კაცობრიობა მრავალი პრობლემის და გამოწვევის წინაშე დგას. პრობლემათა სტრუქტურაში იკვეთება რიგი გლობალური საკითხები, რომლებიც საზოგადოების განვითარების შედეგია და უშუალოდ არ შედის ბუნების კანონზომიერებაში.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა სასურსათო პრობლემა. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ დღეს მსოფლიოში შიმშილისაგან წელიწადში იღუპება 40 მილიონზე მეტი ადამიანი, მაშინ როდესაც მეორე მსოფლიო ომში ხუთი წლის მანძილზე 50 მილიონი დაიღუპა.

სასურსათო პრობლემა ძირითადად სურსათის ნაკლებობას უკავშირდება და დღემდე კაცობრიობის „ეკონომიკური თანამგზავრია“.

გაეროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები გვამცნობენ, რომ დღეს მსოფლიოში ერთ მილიარდზე მეტი ადამიანის დღიური რაციონი კრიტიკულ მინიმუმზე დაბალია და სვარაუდოა, რომ მომავალში ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. არადა ინგლისელი მეცნიერის კოლინ კლარკის გაანგარიშებით, დღეს არსებული ტექნიკის, ტექნოლოგიისა და აგროკულტურის მიღწევების საყოველთაო დანერგვის შედეგად დედამიწას შეუძლია გამოკვებოს 10-ჯერ მეტი მოსახლეობა, ვიდრე ამჟამად ცხოვრობს მსოფლიოში. დღეს გარკვეულ სივრცესა და დროში სურსათზე მოთხოვნას ვერ ფარავს კვების პროდუქტების წარმოება, შედეგად სურსათის მიწოდება ქრონიკულად ჩამორჩება სურსათზე მოთხოვნას. ამდენად ეს

პრობლემა არსებობს იმ რაიონების, რეგიონებისა თუ სახელმწიფოებისათვის, სადაც ხდება ბალანსის ასეთი დარღვევა. ეს არის სასურსათო პრობლემის ძნელად მოსაგვარებელი მხარე, რაც წმინდა სოციალური მოვლენაა. მაგრამ სასურსათო პრობლემას ცალკეული ქვეყნებისათვის აქვს მეორე მხარეც, რომლის მოგვარებაც შედარებით ადვილია. ეს არის სურსათის ჭარბწარმოება - როცა მოცემულ სივრცეში იმაზე გაცილებით მეტი სურსათია წარმოებული, ვიდრე მასზე მოთხოვნაა; მაგრამ მსოფლიო მასშტაბით ეს პრობლემა არ არსებობს და არც იარსებებს.

სასურსათო პრობლემის გადაჭრის ყველაზე უტყუარი გზაა ეკონომიკის სწორი მართვა და ყველა დარგის სრულყოფილი განვითარება.

ჩვენი მოკრძალებული სურვილია, ვისაუბროთ იმ ძირითად პრობლემებზე, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დგას. საინტერესოა როგორ პასუხობს ეს დარგი გლობალურ გამოწვევას.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო გამოვიდა დახურული ბაზრის პოლიტიკური და ეკონომიკური სივრციდან და მსოფლიო ბაზრის სუბიექტად იქცა. ამ პირობებში ფუნქციონირების გამოცდილება მას არ გააჩნდა, რის გამოც საქართველოს აღმშენებლობის პროცესი რთულად და წინააღმდეგობრივად წარიმართა.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ეტაპზე ისტორიულ მიღწევებს თან ახლდა უაღრესად მნიშვნელოვანი დანაკარგები, უარყოფითი შედეგები, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, საწარმოო პოტენციალისა და წარმოების მოცულობის მასშტაბური შემცირება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა და დიდი ნაწილის სიღარიბე. როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორების გამო ვერ მოხერხდა ეკონომიკის ისეთი ქმედითი მოდელის შემუშავება, რომელიც ქვეყანაში სიმდიდრის დაგროვებასა და მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობდა ხელს.

საქართველოს რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნების სისტემაში უაღრესად სათუთი და დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა იყო აგრარული რეფორმა. რომელიც ითვალისწინებდა საკუთრებისა და მიწათსარგებლობის რეფორმას, კერძო მიწათსაკუთრების ინსტიტუტების შემოღებას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია რომ კერძო საკუთრებითი ურთიერთობების დამკვიდრების შემდეგ 1992-1993 წლებში მიწის პრივატიზაციის შედეგად ფიზიკურ პირებს კერძო საკუთრებაში გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 0,76 მილიონი ჰექტარი. მიწის განკერძოება ძირითადად სოციალურ მიზნებს ემსახურებოდა და ეს პროცესი ქაოტურად და დაუფიქრებლად მიმდინარეობდა.

სოფლებსა და მცირე ქალაქებში მცხოვრებ საოჯახო მეურნეობებს ყოველგვარი საფასურის გარეშე დაურიგდათ 1,25 ჰა. მიწის ნაკვეთი, ხოლო 5 ჰა-მდე საძოვრები იმ ოჯახებს, რომლებიც მთიან რაიონებში მეცხოველეობას მისდევდნენ. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა 0,46 მილიონი ჰექტარი, რომლიდან 0,30 მილიონი ჰექტარი იჯარით გაიცა.

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით საშუალოდ ერთი შინამეურნეობა ფლობს 1,32 ჰა. მიწის ფართობს; 5 ჰექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთის მქონე ფერმერული მეურნეობების წილი მეურნეობების საერთო რაოდენობაში შეადგენს 98,4%-ს, ხოლო ამ ზომის ნაკვეთების წილი მიწის საერთო ფართობში 63,4%-ს. სასოფლო მეურნეობას, რომელსაც 2-3 ჰა-ზე ნაკლები მიწა აქვს იძულებულია ნატურალურ მეურნეობას მისდიოს, 5 ჰა-ზე მეტი სიდიდის მეურნეობებს კი შეუძლია წარმოებული პროდუქციის ნახევარი ბაზარზე გაიტანოს (თუმცა, ამ უკანასკნელთა რიცხვი 11 500 ერთეულია და ქვეყანაში არსებული მეურნეობების მხოლოდ 2%-ს შეადგენს).

პრივატიზაციის დროს დაშვებულმა სერიოზულმა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულმა ხარვეზებმა, მიწების ფრაგმენტაციამ ქვეყანაში წარმოშვა

მრავალი პრობლემა. მოხდა სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის მკვეთრი დაცემა. აღმოჩნდა, რომ მიწის განკერძოების შედეგად სოფლის მეურნეობამ, როგორც სექტორმა, ეკონომიკური საქმიანობის მთავარი ფუნქცია დაკარგა, სოფელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის მხოლოდ თავის რჩენის საშუალებად იქცა. მიწის პრივატიზაციის პროცესის შემდგომი მოლოდინი, რომ მოხდებოდა დანაწევრებული ფართობების კონსოლიდაცია მიწის იჯარით გაცემისა და მიწის ბაზრის ამოქმედების მიზნით არ გამართლდა და კვლავაც მცირე მიწათმოქმედება დომინირებს. სადღეისოდ მცირე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მფლობელთა უმრავლესობას არ გააჩნია სათანადო ფინანსური რესურსები, საჭირო ტექნიკა, სარწყავი და სადრენაჟე ინფრასტრუქტურა, რაც აფერხებს ამ დარგის მწარმოებლურობას და იწვევს ამ სექტორის ფუნქციის დაკნინებას. ფერმერული მეურნეობების კუთვნილი მიწების თითქმის მესამედი დაუმუშავებელია; ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო სასოფლო წარმოების სტიმულირების ეფექტური მექანიზმის შემუშავება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განვლილმა პერიოდმა აშკარა გახადა, რომ სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლად მასობრივი უმუშევრობის და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია მხოლოდ ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით. განვლილი წლების მანძილზე მთავრობა თითქოსდა გაემიჯნა აგრარულ წარმოებას. მინიმუმამდე შემცირდა სამთავრობო მომსახურება და ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბდა მაქსიმალურად დერეგულირებული სისტემა. აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის არარსებობამ, სახელმწიფო პოლიტიკის ფსევდოლიბერალურ საწყისებზე აგებამ და რეგულირების ბერკეტების სრულმა იგნორირებამ სექტორში პროცესების პრაქტიკულად თვითდინებაზე მიშვება განაპირობა. შედეგად მივიღეთ დაუხვეწავი კანონმდებლობა, არაპროფესიონალური კადრები, პერსციდიებითა და და ქიმიკატებით ვაჭრობაში არსებული განუკითხაობა, შემოტანილი თესლის ხარისხის უკონტროლობა, დაბალტექნოლოგიური მიწათმოქმედება, არაეფექტური საერთაშორისო დახმარება. გაიზარდა დაუმუშავებელი მიწის ფართობები და შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. მართალია, 2004-2013 წლებში აღმავლობის ტენდენცია დაფიქსირდა, მაგრამ 1990 წლის დონე ჯერ კიდევ ვერ დავძლიეთ. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები. 2010 წელს დამუშავებული მიწის ფართობი 1990 წელთან შედარებით 2.6-ჯერ შემცირდა, ხოლო 2003 წელთან შედარებით განახევრდა. მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა მეცხოველეობის სფეროში. 2010 წლისათვის პირუტყვის სულადობა 1990 წელთან შედარებით - 2,1-ჯერ, ხოლო 2003 წელთან შედარებით 30%-ით შემცირდა.

სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებულმა ნეგატიურმა პროცესებმა უარყოფითად იმოქმედა სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თანდათანობით დაიწყო სოფლის მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციული პროცესები. ამჟამად სოფლის მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის 47% შეადგენს. სოფელშია თავმოყრილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57,2 და დასაქმებული მოსახლეობის 63 პროცენტი. ამდენად, დღემდე სოფლის მეურნეობა რჩება დასაქმების უმთავრეს სფეროდ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სოფლად მომუშავეთა 85% თვითდასაქმებულია ( მოსახლეობა რომელიც ფლობს მიწის ნაკვეთს მოქმედი სტატისტიკა დასაქმებულად მიიჩნევა). ამიტომ დასაქმების დონე სოფლად 4-5 -ჯერ აღემატება ქალაქის დასაქმების დონეს. თუმცა, იმ 1084 ათასი სოფლად მცხოვრები ადამიანიდან, რომელთაც სტატისტიკა დასაქმებულად მიიჩნევა, მხოლოდ ძალზე ცოტას თუ შეუძლია ოჯახისა და საკუთარი თავის რჩენა, მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლით (იხ.

ცხრილი №1 და ცხრილი №2). თვითდასაქმებულთა დიდი ნაწილი საკუთარ თავს უმუშევრად მიიჩნევს.

ცხრილი №1

**სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში (პროცენტობით)<sup>1</sup>**

2009	2010	2011	2012	2013
6.0	6.7	7.7	6.9	6.3

სოფლად არსებული ფარული უმუშევრობა წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის ქალაქში მასობრივი გადაადგილების და საზღვარგარეთ ემიგრაციის ძირითად მიზეზს. აღნიშნულთან ერთად სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ წლიდან წლამდე იზრდება უმუშევრობის დონე (2003 წელს 3.9%-დან 2013 წელს 6.5%-მდე<sup>2</sup>) ე. ი. სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არსებულ მიწის ნაკვეთს კარგავს და უკვე ოფიციალური სტატისტიკით თვითდასაქმებულადაც კი არ მიიჩნევა.

ცხრილი №2

**სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)<sup>3</sup>**

2009	2010	2011	2012	2013
29.2	38.2	47.1	48.0	50.2

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას, ბოლო 10 წლის მანძილზე იგი პრაქტიკულად თითქმის არ შეცვლილა. მთლიანი წარმოების დაახლოებით 55% მეცხოველეობის პროდუქციაზე, 42% - მემცენარეობის პროდუქციაზე მოდის, დანარჩენი 3-4% მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას (იხ. ცხრილი №3). სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ ვერ განვითარდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურება.

1990 წლიდან მოყოლებული სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2003- 2010 წლებში იგი 19.3%-დან 8.4%-მდე შემცირდა, ხოლო 2013 წელს 9, 3% შეადგინა. მაშინ როდესაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამ სექტორშია დასაქმებული, მშპ-ში მისი დაბალი ხვედრითი წილი მიუთითებს სექტორის არაეფექტიან ფუნქციონირებაზე. შრომის პროდუქტიულობა სოფლის მეურნეობაში თითქმის 8-ჯერ ნაკლებია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე და 19-ჯერ ნაკლები სხვა დარგებთან შედარებით.

ცხრილი №3

**სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ათასი ლარი)**

	2005	2010	2011	2012	2013
სულ	2230	2242	2674	2807	3180
მ. შ. მემცენარეობა	1185	932	1237	1087	1281

<sup>1</sup>[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/agriculture/2013%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2013%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf)

<sup>2</sup>[http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/english/labour/new/03%20Distribution%20of%20population%20age%20of%2015%20and%20older%20by%20economic%20status%20in%20urban-rural%20areas.xls](http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/labour/new/03%20Distribution%20of%20population%20age%20of%2015%20and%20older%20by%20economic%20status%20in%20urban-rural%20areas.xls)

<sup>3</sup>[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/agriculture/2013%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2013%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf)

მეცხოველეობა	1105	1240	1337	1610	1764
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	41	69	99	110	135

წყარო:<http://www.geostat.ge/cms/site-images/-files/georgian/agriculture/2013%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf>

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების დასახასიათებლად საქსტატში ყოველწლიურად ადგენენ სასურსათო ბალანსებს. ბალანსში აისახება კონკრეტული პროდუქტის არსებული რესურსი და მისი გამოყენება. სასურსათო ბალანსებზე დაყრდნობით ირკვევა თანაფარდობა პროდუქციის ცაღკეული სახის რესურსებში ადგილობრივად წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქციის უმეტესობა აღემატება იმპორტირებულს ხორბლის, მცენარეული ცხიმების, შაქრის, ხორცის, ფრინველის ხორცისა და ღორის ხორცის გარდა. მაგრამ მთავარია ადგილობრივი წარმოება რამდენად აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას მოცემულ პროდუქციაზე. ადგილობრივი წარმოების პროდუქციით თვითუზრუნველყოფა უკავშირდება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

აღნიშნული საკითხის გადასჭრელად სტატისტიკაში გამოიყენება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. 2013 წლის ბალანსით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა ხორბალზე შეადგინა - 0, 12<sup>1</sup>, რაც ნიშნავს, ი რომ ქვეყანაში წარმოებული 81 ათასი ტონა ხორბალი ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნას აკმაყოფილებს მხოლოდ 12,0%-ით, ხოლო დანარჩენი 88, 0% იფარება იმპორტით.

2013 წლის ბალანსის მიხედვით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა სიმინდზე შეადგინა - 96%, კარტოფილზე -100%, ბოსტნეულზე-75%, რძეზე და რძის პროდუქტებზე-91%, კვერცხზე-95%, ხორცზე -39%, ფრინველის ხორცზე 18 %-ს.

ანალიზი ცხადყოფს, რომ სოფლად ჭარბად არის თავმოყრილი სამუშაო ძალა, რომელიც ფინანსური რესურსების უქონლობის გამო სრულად ვერ იყენებს საკუთარ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს, რომ საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო პოტენციალის სრულფასოვანი ამოქმედებით შესაძლებელია ქვეყნის მოსახლეობის სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. კერძოდ ამისათვის აუცილებელია: თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით მიწის ფონდის სრულად და რაციონალურად, ეფექტურად გამოყენების ორგანიზება, კონკრეტული გზების გამოძებნა მიწის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, წვრილი გლეხური მეურნეობების მსხვილ აგრარულ მეურნეობებად გარდაქმნა და სრულყოფა, გრძელვადიანი და შეღავათიანი სასოფლო სამეურნეო კრედიტების გამოყოფა, უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და სხვა.

**Georgian Agriculture  
Against the background of Global Social problems**

**Naira Virsaladze**

Ak. Tsereteli State University and Kutaisi University

<sup>1</sup>[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/agriculture/2013%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2013%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf)

### Summary

Mankind is facing many problems and challenges. The structure reveals a number of problems related to global issues that are the result of the development of society and are not included in the natural regularity. One of the most serious is food problem.

Against the background of global food problems quite a lot of problems have accumulated facing Georgian agriculture. Although the country is rich in agricultural potential, agricultural life experience and traditions, the sector is significantly lower than the country's economic growth.

This paper discusses these problems and their possible solutions. In particular, organization of full rational, efficient utilization of the land supply by achievements of the modern science and techniques, finding specific ways to increase the productivity of the land, transformation of small peasant farms into a large-scale agriculture and issuing preferential agricultural credits, attraction of foreign investors and others

### საერთაშორისო შრომის ბაზრის ფორმირება გლობალიზაციის პირობებში

*ნანა ზაზაძე*

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ასოციირებული პროფესორი*

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი განვითარება გლობალიზაციის გადრმავეების პირობებში მიმდინარეობს. გლობალიზაცია ობიექტური, შეუქცევადი და ისტორიულ-ლოგიკური პროცესია, თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგებით, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს ეხება. ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გლობალური შრომის ბაზრის წარმოშობა, რომელიც გლობალიზაციის პირობებში მუდმივი ცვალებადობით ხასიათდება.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ევროპის ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის ახალმა ტალღამ უცხოელი მუშახელის დაქირავების საჭიროება განაპირობა, რამაც ხელი შეუწყო საერთაშორისო შრომით მიგრაციას.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საერთაშორისო შრომითი მიგრაციის წარმოშობის არის განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის გლობალური ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა, შემოსავლების და შესაძლებლობების უთანასწორობა. შრომის მიგრაციის შედეგად, ჩამოყალიბდა საერთაშორისო შრომის ბაზარი, თითოეულს აქვს საკუთარი ტერიტორიული ერთეული და ვითარდება სამუშაო ძალის მოთხოვნის საფუძველზე.

გლობალიზაციის პირობებში, მოსახლეობის მიგრაციის მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისკენ. მიგრაციული პროცესები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა. უმეტეს შემთხვევაში მიგრანტთა ნაწილი უკან აღარ ბრუნდება და ცდილობენ მიმდებ ქვეყანაში დარჩენას ლეგალური, თუ არალეგალური ფორმით. მსოფლიოში 1965-2005 წლებში მიგრანტთა რიცხვმა 80 მლნ-დან 190 მლნ-ს მიაღწია, ანუ დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზუსტი ციფრების დადგენა შეუძლებელია, რადგან მიგრანტთა უმრავლესობა საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება.

მიგრანტები ნებისმიერი მიმღები ქვეყნისთვის იაფი მუშახელია და ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უწყობენ ხელს, თუმცა სამუშაო ძალის ნაკადების საერთაშორისო მიგრაცია მიმღებ ქვეყანაში აგრეთვე ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს წარმოშობს, ასევე გვაქვს შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ეროვნულ, რელიგიურ, იდეოლოგიურ განსხვავებათა გამო იქმნება დაძაბულობაც.

მსოფლიოში შრომითი მიგრაციის ნაკადების ზრდა შეინიშნება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც მიგრაციის სამი „ტალღა“ წარმოშვა. მიგრაციის პირველი „ტალღა“ XX-საუკუნის 60-70-იან წლებში აღინიშნებოდა. მიგრაციის ცენტრები იყო: ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები. 70-იანი წლების ბოლოს შრომითმა მიგრანტების რიცხვმა 5 მლნ-ს მიაღწია, რომელთა უმრავლესობა ჩრდილოეთ აფრიკას, აზიას, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები არიან. ყველაზე მეტი შრომითი მიგრანტი გერმანიაში, საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოში იყო.

მიგრაციის მეორე ტალღა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება. მიგრაციული ნაკადები ამ პერიოდში შედარებით შემცირდა, სხვადასხვა ქვეყნების მიერ მკაცრი ემიგრაციული კანონების შემოღების გამო. ამ პერიოდში შრომითი მიგრანტების მიზიდულობის ცენტრად სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნები იქცა. მიგრანტების რიცხვმა დაახლოებით 4 მლნ-ს მიაღწია. მიგრანტთა უმეტესობა მეზობელ არაბულ ქვეყნებზე და ასევე სამხრეთ აზიის სახელმწიფოებზე მოდიოდა. მიგრანტები მთელი სამუშაო ძალის 1/3-ს შეადგენდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, კატარში - 85%, ქუვეითში - 75%, არაბთა გაერთიანებულ სამიროებში - 90%. რაც შეეხება მესამე ტალღას, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, ამ რეგიონებში ემიგრაცია თანდათან შემცირდა და საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ცენტრმა კანადასა და აშშ-ში გადაინაცვლა. მიგრანტთა რაოდენობა ევროპიდან მცირდებოდა და იზრდებოდა ემიგრანტების რაოდენობა აზიური და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. ამას უკავშირდება არალეგალური მიგრაციის მაღალი ზრდა. 1965-1975 წლებში აშშ-ში 5 მლნ-ზე მეტი არალეგალი იყო. უკანასკნელ წლებში, ორივე ქვეყანა აქცენტს აკეთებს ინტელექტუალურ იმიგრაციაზე და ცდილობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიღებას. ამ პროცესს „ტვინების“ გაღინებას უწოდებენ, რაც მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებს.

შრომით მიგრაციას აქვს უამრავი უარყოფითი მხარე: იგი აურესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას; ქვეყნის შრომის ბაზარს აკლდება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა; შრომითი ემიგრაცია, უმთავრესად, არალეგალური ხასიათისაა და დაკავშირებულია უცხოეთში უკიდურეს დისკრიმინაციულ დასაქმებასა და ყოფასთან (ძალიან ბევრი შრომითი მიგრანტი გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი); შრომითი ემიგრაციისას თითქოს, მცირდება შიგა ბაზარზე დაუსაქმებელი მოსახლეობის ხვედრითი წილი, მაგრამ, მეორეს მხრივ, უარესდება შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ხარისხი.

მიუხედავად ამისა, გარე მიგრაცია თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ის ეფუძნება ადამიანების თანდაყოლილ უფლებას, თავისუფლად აირჩიონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, განახორციელონ საზღვარგარეთ საქმიანი, სამოგზაურო, სამკურნალო და სხვა ვიზიტები. მოსახლეობის გარე მიგრაციული ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მას ტალღისებური ხასიათი აქვს. ზოგ პერიოდში სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით გარე მიგრაცია ხან კლებულობს, ხან მნიშვნელოვნად იმატებს და გავრცელებულია.

მაგალითად, რუსეთში გარე მიგრაცია აქტიურად გამოვლინდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. დადგენილია, რომ 1861 - 1915 წლებში რუსეთის იმპერია დატოვა 4.3 მილიონმა ადამიანმა, მათ შორის 2.6 მილიონმა ადამიანმა XX საუკუნის



პირველ 15 წელიწადში. ორი მესამედი ემიგრანტებისა გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატებში (რაც XX საუკუნის ემიგრირებული მოსახლეობის 80%-ია).<sup>1</sup>

რუსეთში, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდები გამოირჩევა გარე მიგრაციის ოთხი ძირითადი ნაკადით, რომელიც მეცნიერებმა შეაფასეს, როგორც ემიგრაციის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტალღა. გარკვეული მიზნით შეიძლება განისაზღვროს ემიგრაციის ტალღების ისტორიული საზღვრები. პირველი: 1917-1938 წწ., მეორე: 1939-1947 წწ., მესამე: 1948-1990 წწ., მეოთხე დაიწყო 1991 წლიდან.

მათი, განსაკუთრებით პირველი, მეორე და მეოთხე ტალღის საფუძველი, ძირითადად მოტივირებულია პოლიტიკური მიზეზებით, რაც არსებითად განასხვავებს მიგრაციის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებს რევოლუციამდელი პერიოდისაგან, რომელშიც დომინირებს სოციალურ - ეკონომიკური ფაქტორი. თუ ემიგრაციის პირველი ორი ტალღა, ძირითადად ატარებდა იძულებით ხასიათს და ასოცირდება პირველ მსოფლიო ომთან, რევოლუციასთან, სამოქალაქო და მეორე მსოფლიო ომებთან, მესამე და მეოთხეს აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს უამრავი მაგალითი იძულებითი გარე მიგრაციისა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, მიგრაციის მეოთხე ტალღის მიზეზი, გარდა გეოპოლიტიკური ცვლილებებისა, არის ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგებით მიგრაცია იქცა უმწვავეს მსოფლიო პრობლემად. მეტად პრობლემატურ პროცესად ჩამოყალიბდა იგი საქართველოშიც.

განვიხილოთ საქართველოს შრომის ბაზარი გაღრმავებული ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული მრავალმხრივი კრიზისის შედეგად, ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა ფიზიკური გადარჩენისთვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძებნა. სამწუხაროდ, ეს დღესაც გრძელდება, ვერ შემცირდა მისი ინტენსივობა, ვერ მიიღო ხელსაყრელი და ლეგალური ფორმა. 2001 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს გარე მიგრაციის შედეგად, 995 ათასი კაცი დააკლდა. აქედან რუსეთში წავიდა 670 ათასი, უკრაინაში – 40 ათასი, დანარჩენ ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში განაწილდა 50 ათასი კაცი; საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში – 235 ათასი კაცი, აქედან: საბერძნეთში – 100, გერმანიაში – 30, ჰოლანდიაში – 30, თურქეთში – 20, აშშ-ში – 15 ათასი კაცი.<sup>2</sup>

სხვა მონაცემებით, საქართველოდან გასულთა რიცხვი დაახლოებით 1,5 მლნ აღწევს. ამათგან უმრავლესობა (2/3) შრომითი მიგრანტია. სამწუხაროდ, ქართველ ემიგრანტთა უმეტესობა, რეციპიენტ ქვეყანაში არალეგალურად იმყოფება, რის გამოც მათ უწევთ ჯანმრთელობისათვის საზიანო, დამამცირებელ და, ამასთან, დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

შრომითი მიგრაცია – ეს არის პროცესი, რომელიც მეტად უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. გაეროს შეფასებით, თუ გაგრძელდა არსებული დემოგრაფიული ტენდენციები, 2000-2050 წწ. საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება, რაც ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 40%-ს შეადგენს.

შრომითი მიგრაციის დადებითი მხარე ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის სტრატეგიაა. ამაზე მეტყველებს ის ფულადი გზავნილები, რომელსაც შრომითი მიგრანტები თავის ოჯახის წევრებს უგზავნიან.

<sup>1</sup> Новая Россия: информ.-стат. альм. — М.: СП «Вся Москва», Международная академия информатики, 1994. — 735 с

<sup>2</sup> საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტის მასალები

მსოფლიო ბანკის განმარტებით, „საერთაშორისო ფულადი გზავნილები ის პირადი თანხებია, რომლებსაც მიგრანტები თავიანთ სამშობლოში მცხოვრებ ოჯახებსა და მეგობრებს უგზავნიან“ მსოფლიოს მასშტაბით, 215 მილიონი ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. 2008 წელს, მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა, ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2 პროცენტი და დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მშპ-ის 6 პროცენტი შეადგინა. მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში მიგრაციისა და განვითარების შესახებ, რომლის თანახმადაც, 2013 წელს განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა 414 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწევს, ეს კი 2012 წლის მაჩვენებლებს 6,3 პროცენტით აღემატება. ფულადი გზავნილების მთავარ მიმღებთა შორის არიან ინდოეთი და ჩინეთი. ისინი, მთლიანობაში, პროგნოზირებული თანხიდან 131 მილიარდ დოლარს მიიღებენ. გასულ წელს, განვითარებული ქვეყნიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის, არაოფიციალური მონაცემებით, მილიარდ ლარზე მეტი თანხა გადმოირიცხა. ასევე არაოფიციალური მონაცემებით, მილიონს აღწევს ბოლო წლებში საქართველოდან შრომითი მიგრაციის მიზნით გასული მოქალაქეების რაოდენობა.<sup>1</sup>

მსოფლიო ბანკის მონაცემებითვე, 2000 წლიდან მსოფლიოს ქვეყნებში ფულადი გზავნილების რაოდენობა განუხრელად იზრდება. მათი მოცულობა თითქმის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობას უტოლდება და ორჯერ და მეტად აღემატება განვითარებადი ქვეყნების მიერ მიღებულ უცხოურ დახმარებას. განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილები ღარიბი მოსახლეობის ერთადერთი საარსებო წყაროა და სიღარიბის დონესა და სიმძიმეს ამცირებს.


ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2013 წლის იანვარში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 94.1 მლნ აშშ დოლარი, ანუ 156.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9.7 მლნ აშშ დოლარით, ანუ 16.2 მლნ ლარით მეტია 2012 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე (84,4 მლნ აშშ დოლარი) და 28,9 მლნ აშშ დოლარით მეტი 2010 წლის იანვრის მაჩვენებელზე (65,2 მლნ აშშ დოლარი). 2014 წლის იანვრის მდგომარეობით ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა (98,401,3 მლნ აშშ დოლარი) და 2013 წლის იანვრის ანალოგიურ მონაცემს აღემატება 4,2 მლნ აშშ დოლარით<sup>2</sup> (იხ. გრაფიკი №1).

რაც შეეხება მთლიანი წლის მონაცემებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მაგალითად 2013 წელს საქართველოში ჩარიცხული ფულადი გზავნილების ჯამურმა მოცულობამ 14,770,195 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. შედარებისთვის - საქართველოში 2011 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სულ 1,117 მლრდ აშშ დოლარი გახლდათ.<sup>4</sup> ამავე 2011 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა, საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 24 მილიარდ 344,0 მლნ ლარი შეადგინა, რაც, დაახლოებით, 14,6 მილიარდი აშშ დოლარია.<sup>3</sup>

<sup>1</sup> <http://www.radiotavisupleba.ge/>, ნ. მჭედლიშვილი, სტატია: შრომითი მიგრაცია და საქართველო, 10.10.2013, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.09.2014წ

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი (<https://www.nbg.gov.ge/>), ფულადი გზავნილები 2010-2014 წწ., უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.09.2014წ

<sup>3</sup> <http://www.geostat.ge>, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011 წელი



გრაფიკი №1. შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების საქართველოში (საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, 2010-2014 წწ)

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92,8 პროცენტი სულ 12 ქვეყანაზე მოდის, ესენია: რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, ინდოეთი, ყაზახეთი, ისრაელი, გერმანია. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მიგრანტთა დანიშნულების ნომერი პირველი პუნქტია და საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობით მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ მეორე ქვეყანაა. თუმცა იმის მიუხედავად, რამდენია მიგრაციის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში, ინვესტიცია, რომელსაც მიგრანტების ოჯახები ღებულობენ, უმნიშვნელო არ არის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მაგალითად, მიმდინარე 2014 წლის ივლისის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში გადმორიცხულია 73 მილიონამდე ლარი, საბერძნეთიდან - 19 მილიონამდე, ხოლო იტალიიდან - 10 მილიონ-ნახევარი ლარი. შესაბამისად, პირობითად შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოს მაძიებელი მოქალაქეების ძირითადი ნაწილი საქართველოდან სამ ქვეყანაშია წასული - რუსეთში, საბერძნეთსა და იტალიაში. მათ მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, უკრაინა და ესპანეთი.<sup>1</sup>

ეს ნიშნავს, რომ დღეს ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შრომითი მიგრანტების საერთაშორისო ფულად გზავნილებზე, ანუ ქვეყნიდან წასულ მოსახლეობაზე. ფულად გზავნილებს შეიძლება შევხედოთ, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფაქტორს მიმღები ქვეყნების განვითარებისთვის.

### Formation of Global labor market during Globalization

**Nana Zazadze**

Caucasus International University

Associate Professor

### Summary

The new industrialization wave after the Second World War assisted the creation of the new flows of labor migration, which was accelerated and speeded by the globalization processes, which by its side

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი (<https://www.nbg.gov.ge/>), ფულადი გზავნილები ქვეყნების. მიხედვით, 2010-2014 წლის მონაცემები,

is an irreversible and slowly becomes one of the major challenged of the modern International Relations.

Labor migration had both positive and negative impact on countries in different time periods. Its negative impacts are: Worsening of the demographic condition of the country; Illegal migration of the highly qualified labor force – the so called “Brain Drain”; Positive Impact: Money transfers – by the Immigrants, who send money to their families;

According to the World Bank, the total amount of money transferred to the developing countries by the year 2013 would be 414 billion USD, which is 6.3% more than the amount transferred in 2012.

Based on the data published by the National Bank of Georgia in 2010-2014 the total amount of transferred money is not unimportant, it usually equals to the volume of Direct Foreign Investments. This means that our economy strongly depends on the international transfers, on the population who emigrated from our country.

**მეცნიერების ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველ 10 წელიწადში:  
სტატისტიკური ასპექტები**

**ნიკა ზურიკაშვილი**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

*დოქტორანტი*

**ნინო საღარეიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*ეკონომიკის ინგლისურენოვანი საერთაშორისო*

*სკოლის სამავისტრო პროგრამის სტუდენტი*

**ნინო გელაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტუდენტი*

საქართველოში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია დაიწყო 1991 წლიდან, რომლის მთავარი მიზანი იყო საბაზრო სისტემის ფორმირება და სამართლიანი, დემოკრატიული ქვეყნის აშენება. ამ მიზნიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია მეტად რთული და მრავალრიცხოვანი პრობლემები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე.

საქართველოში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა პირველ რიგში თავისი ასახვა ჰპოვა სოციალურ სფეროზე, მათ შორის მეცნიერებაზე. მისი ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი შედეგია სამეცნიერო დაწესებულებებისა და მეცნიერთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება, რასაც მოჰყვა მეცნიერული კვლევის მასშტაბებისა და ხარისხის გაუარესება. ეს გამოიწვია იმან, რომ საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად შეწყდა ცენტრალიზებული სახელმწიფო ინვესტიციები სასწავლო ობიექტების რემონტისა და მშენებლობისათვის,

მნიშვნელოვნად შემცირდა პედაგოგთა შრომის ანაზღაურება. მაგალითად, 2000 წელს უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასი თვეში 50 ლარი იყო. ყოველივე ამის შედეგად მკვეთრად დაეცა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის მოტივაცია და დონე, გაუფასურდა მეცნიერის პრესტიჟი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერ-მუშაკთა მთლიანი რიცხვით მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, საქართველოს ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი ეკავა.

აღნიშნული მდგომარეობის კონკრეტული სტატისტიკური ანალიზისათვის აუცილებელია ვისარგებლოთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით. შემდეგი ცხრილი ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოში მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობის ცვლილებაზე 1990-2001 წლებში:

**ცხრილი 1. მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობა საქართველოში**

	1990	1995	1998	1999	2000	2001
მეცნიერ-მუშაკები, სულ	25185	18063	16815	17150	14929	14042
მათ შორის, აქვთ სამეცნიერო ხარისხი:						
მეცნიერებათა დოქტორის	1258	1408	1574	1818	1464	1381
მეცნიერებათა კანდიდატის	8029	6185	5906	6269	5067	4926
აქვთ სამეცნიერო წოდება:						
პროფესორის	789	542	881	948	835	717
დოცენტის	1860	923	1971	2259	1925	1850

**წყარო:** 1. „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემთა ბაზა.

1990 წელს საქართველოში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით მოდიოდა 198 მეცნიერ-მუშაკი, რაც ყველაზე მაღალი იყო საბჭოთა კავშირში. მაგრამ 10 წლის შემდეგ, ანუ 2001 წლისათვის მეცნიერ-მუშაკთა მთლიანი რიცხოვნობა საქართველოში თითქმის განახევრდა (შემცირდა 44,3 პროცენტით), ხოლო ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით მათმა რიცხოვნობამ შეადგინა 129, რაც 35 პროცენტით ნაკლებია 1990 წელთან შედარებით.

მეცნიერ-მუშაკთა მთლიან რიცხოვნობაში შედარებით დიდი ხვედრიწილი უკავია შემდეგ დარგებს: ტექნიკური (13,7 პროცენტი), ფიზიკა-მათემატიკური (12,9 პროცენტი), ფილოლოგიური (11,8 პროცენტი), ბიოლოგიური (9,8 პროცენტი), ისტორიული (7,2 პროცენტი) და სხვა.

1995 წელს მეცნიერებათა დარგების პირველი „ხუთეული“ ასე გამოიყურებოდა: ტექნიკური (15,9 პროცენტი), ფიზიკა-მათემატიკური (11,9 პროცენტი), ბიოლოგიური

(9,8 პროცენტი), სამედიცინო (8,8 პროცენტი) და ფილოლოგიური (8,7 პროცენტი).  
საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

**ცხრილი 2. მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობა საქართველოში მეცნიერებათა დარგების მიხედვით**

	1990	1995	1998	1999	2000	2001
მეცნიერ-მუშაკები, სულ (ათასი)	25185	18063	16815	17150	14929	14042
მათ შორის მეცნიერებათა დარგების მიხედვით:						
ფიზიკა-მათემატიკური ქიმიური	2	2148	1955	1894	1696	1810
ბიოლოგიური	3	1778	1708	1640	1454	1380
გეოლოგია- მინერალოგიის ტექნიკური	1	763	597	486	532	366
სასოფლო-სამეურნეო		2871	2225	2305	1784	1927
		1124	973	1073	669	755
ისტორიული ეკონომიკური		772	1160	862	899	1018
ფილოსოფიური		1194	923	907	768	654
ფილოლოგიური		422	453	429	497	372
გეოგრაფიული	5	1574	1583	1640	1463	1659
იურიდიული		574	485	467	586	425
პედაგოგიური		205	198	267	249	234
სამედიცინო	4	756	817	633	588	468
ფარმაცევტული		1584	1513	2053	1291	932
ვეტერინარული		79	73	94	136	36
ხელოვნებათმცოდნეობის		194	178	174	167	153
არქიტექტურის		218	236	232	244	239
ფსიქოლოგიური		23	21	17	18	19
		277	200	203	208	219
სოციოლოგიური		212	151	576	117	156
სხვა		227	368	277	593	546

**წყარო:** 1. „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემთა ბაზა.

როგორც მე-2 ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, 1995-2001 წლებში მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობამ ძლიერი ცვლილება განიცადა მეცნიერების რამდენიმე დარგის მიხედვით, კერძოდ: 2001 წელს 1995 წელთან შედარებით მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა ქიმიური, გეოლოგია-მინერალოგიის, ეკონომიკური,

პედაგოგიური და სამედიცინო დარგების მიხედვით. ამავე პერიოდში უმნიშვნელო ზრდა აღინიშნა მხოლოდ ისტორიული, ფილოლოგიური, იურიდიული და ხელოვნებათმცოდნეობის დარგების მიხედვით.

სამეცნიერო პოტენციალის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხარისხობრივი მაჩვენებელია მეცნიერებათა დოქტორების (პროფესორების) და მეცნიერებათა კანდიდატების (დოცენტების) ხვედრიწილი მეცნიერ-მუშაკთა მთლიან რიცხოვნობაში, აგრეთვე ინტეგრირებული მაჩვენებელი – სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა რიცხოვნობა მეცნიერ-მუშაკთა საერთო რაოდენობაში (1, გვ. 148). ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს ტრანსფორმაციის დაწყების წინ (1990 წელი) მეცნიერებათა დოქტორების ხვედრიწილი მეცნიერ-მუშაკთა მთლიან რიცხოვნობაში შეადგენდა 5,0 პროცენტს, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატებისა – 31,9 პროცენტს. ანალოგიური მაჩვენებლები 2001 წლისათვის შესაბამისად იყო 9,8 და 35,1 პროცენტი. მაშასადამე, გაიზარდა მეცნიერ-მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობა, განსაკუთრებით მეცნიერებათა დოქტორების მიხედვით (თითქმის 2-ჯერ), თუმცა მათი აბსოლუტური რაოდენობა განვიწყვიტავთ 12 წელიწადში უმნიშვნელოდ გაიზარდა – მხოლოდ 123 დოქტორით. ამავე პერიოდში მეცნიერებათა კანდიდატების აბსოლუტური რაოდენობა კი პირიქით, ძლიერ შემცირდა – 3 403 კანდიდატით, ანუ 38,6 პროცენტით.

1990 წელს სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა ხვედრიწილი მეცნიერ-მუშაკთა მთლიან რიცხოვნობაში შეადგენდა 36,9 პროცენტს, 2001 წელს კი – 44,9 პროცენტს. იმავდროულად მნიშვნელოვნად შემცირდა მათი აბსოლუტური რაოდენობა: 9287-დან 6307-მდე, ანუ 32,1 პროცენტით. მაშასადამე, სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა ხვედრითი წილის ზრდა ძირითადად გამოიწვია მეცნიერ-მუშაკთა მთლიანი რიცხვის შემცირებამ.

სამეცნიერო პოტენციალის ანალიზისას გარკვეულ ინტერესს იწვევს მეცნიერებათა დოქტორების განაწილება მეცნიერებათა დარგების მიხედვით. 2001 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტი მეცნიერებათა დოქტორია შემდეგ დარგებში: ფილოლოგიური (202), ისტორიული (200), ფიზიკა-მათემატიკური (187), ბიოლოგიური (129), სამედიცინო (116). 1995 წელს ყველაზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი იყო შემდეგ დარგში: სამედიცინო (231), ფილოლოგიური (198), ფიზიკა-მათემატიკური (172), ისტორიული (149) და ბიოლოგიური (115). როგორც ჩანს, პირველი „ხუთეული“ უცვლელია, თუმცა შიგნით მოხდა ადგილების შეცვლა შესაბამისი რიცხოვნობის ცვლილებების შედეგად.

მეცნიერებათა დოქტორების განაწილების ცვლილება ცალკეული დარგების მიხედვით 1995-2001 წლებისათვის ნათლად ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

**ცხრილი 3. მეცნიერებათა დოქტორების რიცხოვნობა საქართველოში  
მეცნიერებათა დარგების მიხედვით**

	1990	1995	1998	1999	2000	2001
სულ	1258	1408	1574	1818	1464	1381
მათ შორის მეცნიერებათა დარგების მიხედვით:						
ფიზიკა-მათემატიკური ქიმიური		172	183	191	171	187
ბიოლოგიური		50	49	59	59	44
		115	205	245	124	129
გეოლოგია- მინერალოგიის		66	62	56	55	39

ტექნიკური	101	106	122	93	108
სასოფლო-სამეურნეო	59	80	83	56	71
ისტორიული	149	170	163	176	200
ეკონომიკური	87	92	84	81	67
ფილოსოფიური	34	37	32	48	33
ფილოლოგიური	198	202	207	148	202
გეოგრაფიული	27	23	27	33	29
იურიდიული	24	22	34	24	29
პედაგოგიური	25	26	22	23	21
სამედიცინო	231	249	387	260	116
ფარმაცევტული	6	5	9	14	5
ვეტერინარული	11	11	14	16	15
ხელოვნებათმცოდნეობის	17	23	27	22	22
არქიტექტურის	2	2	1	1	-
ფსიქოლოგიური	20	17	19	18	22
სოციოლოგიური	2	1	6	1	1
სხვა	12	9	20	41	41

**წყარო:** 1. „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემთა ბაზა.

საქართველოში სადოქტორო დისერტაციების დაცვის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზისას გამოვლინდა სავალალო სურათი: 2001 წელს საქართველოში დაცული იქნა მხოლოდ 39 სადოქტორო დისერტაცია მეცნიერებათა ყველა დარგში, ნაცვლად 114-ის 1995 წელს. ყველაზე მეტი სადოქტორო დისერტაცია დაცული იქნა ტექნიკურ დარგებში (13), მედიცინაში (11) და პედაგოგიკაში (3). დანარჩენ დარგებში კი ასეთი მდგომარეობაა: ორ-ორი სადოქტორო დისერტაციის დაცვა მოხდა მეცნიერების შემდეგ დარგებში: ფიზიკა-მათემატიკური, ბიოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო და ისტორიული. მხოლოდ თითო სადოქტორო დისერტაციის დაცვა მოხდა შემდეგ დარგებში: ქიმიური, გეოლოგია-მინერალოგიის, ეკონომიკური და გეოგრაფიული. მეცნიერების დანარჩენ დარგებში 2000-2001 წლებში არცერთი სადოქტორო დისერტაცია არ დაცულა. წინა 5 წლის განმავლობაში (1995-1999 წლებში) ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო, რასაც ნათლად ადასტურებს შემდეგი ცხრილი:

**ცხრილი 4. სადოქტორო დისერტაციების დაცვა საქართველოში მეცნიერებათა დარგების მიხედვით**

	1995	1998	1999	2000	2001
სულ	114	74	130	9	39
მათ შორის მეცნიერებათა დარგების მიხედვით:					
ფიზიკა-მათემატიკური	7	4	10	-	2
ქიმიური	4	1	4	2	1



ბიოლოგიური	16	3	14	-	2
გეოლოგია- მინერალოგიის	9	1	2	-	1
ტექნიკური	21	8	28	-	13
სასოფლო-სამეურნეო	7	16	6	-	2
ისტორიული	1	-	11	2	2
ეკონომიკური	10	5	5	1	1
ფილოსოფიური	-	1	1	-	-
ფილოლოგიური	9	7	3	-	-
გეოგრაფიული	3	-	2	-	1
პედაგოგიური	-	6	1	3	3
სამედიცინო	21	18	31	1	11
ხელოვნებათმცოდნეობის	4	3	4	-	-
ფსიქოლოგიური	2	1	2	-	-
სხვა	-	-	6	-	-

**წყარო:** 1. „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“. სტატისტიკური

კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემთა ბაზა.

სამეცნიერო პოტენციალის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხარისხობრივი მაჩვენებელია ასევე მეცნიერებათა კანდიდატების ხვედრიწილი მეცნიერ-მუშაკთა მთლიან რიცხოვნობაში. ამ ამხრივ საქართველოში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა ტრანსფორმაციის დაწყების წინ მეცნიერებათა კანდიდატების აბსოლუტური რიცხოვნობა ბევრად მეტი იყო ახლანდელთან შედარებით: 1990 წელს მათი რიცხოვნობა იყო 8029, ხოლო 2001 წელს – 4926, ე. ი. შემცირდა 38,7 პროცენტით. ამავე პერიოდში შემცირდა ასევე მეცნიერებათა კანდიდატების რიცხოვნობა ცალკეული დარგების მიხედვით, თუმცა მათი ახლანდელი რიცხოვნობაც არ არის მცირე ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. მეცნიერებათა კანდიდატების სტრუქტურაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცხრილი:

**ცხრილი 5. მეცნიერებათა კანდიდატების რიცხოვნობა საქართველოში მეცნიერებათა დარგების მიხედვით**

	1990	1995	1998	1999	2000	2001
სულ	8029	6185	5906	6269	5067	4926
მათ შორის მეცნიერებათა დარგების მიხედვით:						
ფიზიკა-მათემატიკური		728	653	634	556	669
ქიმიური		404	391	397	366	285
ბიოლოგიური		705	717	635	552	628
გეოლოგია-მინერალოგიის		285	277	211	204	144
ტექნიკური		805	607	677	499	523
სასოფლო-სამეურნეო		511	411	463	328	363
სხვა		314	430	390	360	396

ისტორიული ეკონომიკური ფილოსოფიური ფილოლოგიური გეოგრაფიული იურიდიული პედაგოგიური სამედიცინო ფარმაცევტული ვეტერინარული ხელოვნებათმცოდნეობის არქიტექტურის ფსიქოლოგიური სოციოლოგიური სხვა	352	327	309	241	239
	125	125	128	181	121
	592	590	626	416	584
	122	106	105	111	99
	43	26	69	40	39
	193	203	137	105	111
	684	710	935	587	211
	21	24	42	52	20
	83	98	100	93	89
	74	97	96	97	124
	6	3	3	2	-
	77	78	86	80	83
	15	3	43	4	4
	46	30	183	193	194

**წყარო:** 1. „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“. სტატისტიკური

კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემთა ბაზა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს საკანდიდატო დისერტაციების დაცვის მდგომარეობა საქართველოში. მართალია, 2001 წელს მათი რაოდენობა შემცირდა 1990 წელთან შედარებით (16,6 პროცენტით), მაგრამ სადოქტორო დისერტაციების დაცვის რაოდენობასთან შედარებით, რაც შემცირდა თითქმის 3-ჯერ, მათი ცვლილება უმნიშვნელოა. მეცნიერების ბევრ დარგში კი პირიქით, გაიზარდა კიდევაც საკანდიდატო დისერტაციების დაცვა (მაგალითად: ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო, ფილოლოგიური, იურიდიული, ფარმაცევტული). უფრო კონკრეტულად საკანდიდატო დისერტაციების დაცვის შესახებ მონაცემები მოტანილია მომდევნო ცხრილში:

**ცხრილი 6. საკანდიდატო დისერტაციის დაცვა საქართველოში მეცნიერებათა დარგების მიხედვით**

	1990	1995	1998	1999	2000	2001
სულ	571	560	359	601	541	476
მათ შორის მეცნიერებათა დარგების მიხედვით:						
ფიზიკა-მათემატიკური	21	40	19	37	9	10
ქიმიური	17	12	16	17	1	17
ბიოლოგიური	160	29	36	49	21	41
გეოლოგია-მინერალოგიის	16	2	1	6	1	-
ტექნიკური	80	43	36	67	48	81
სასოფლო-სამეურნეო	15	193	36	63	106	57
ისტორიული	31	11	12	12	17	10
	5	51	44	75	84	47

ეკონომიკური						
ფილოსოფიური	1	7	4	5	-	2
ფილოლოგიური	24	44	66	68	6	48
გეოგრაფიული	14	6	2	6	-	1
იურიდიული	1	7	12	20	1	16
პედაგოგიური	34	44	14	48	58	38
სამედიცინო	137	53	46	100	163	75
ფარმაცევტული	-	-	1	2	26	26
ვეტერინარული	5	1	1	-	-	5
ხელოვნებათმცოდნეობის	6	13	10	13	-	1
არქიტექტურის	-	2	-	3	-	1
ფსიქოლოგიური	4	2	3	2	-	-
სოციოლოგიური	-	-	-	8	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-

**წყარო:** 1. „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“. სტატისტიკური

კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემთა ბაზა.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, თანამედროვე პერიოდში საქართველოში მკვეთრად დაეცა სამეცნიერო საქმიანობისადმი ინტერესი, რომელიც აქ ტრადიციულად ძლიერ მაღალი იყო. ეს განაპირობა მრავალმა ფაქტორმა, რომელთაგან ძირითადია შრომის ანაზღაურების დაბალი დონე, მეცნიერების განვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობა, მეცნიერული კვლევის შედეგებზე ქვეყნის შიგნით მოთხოვნის არ არსებობა (თუმცა მეცნიერების ბევრ დარგში მნიშვნელოვანი შედეგები იყო). ყველა ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად კარგად იყო გადაწყვეტილი ტრანსფორმაციის წინა ხანგრძლივი პერიოდის (დაახლოებით 20-25 წლის) განმავლობაში, რომლის საფუძველიც იყო მეცნიერების ინტეგრაციის მაღალი ხარისხი და ფართო მასშტაბები დიდი ქვეყნის საზღვრებში (საბჭოთა კავშირის სახით). 1990-2001 წლებში კი ასეთი პირობები საქართველოში აღარ არსებობდა, რამაც ნეგატიური ტენდენციები ჩამოაყალიბა მეცნიერების სფეროში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა (ელექტრ. ვერსია: <http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics/library/>). თბ., 2013.
2. ნაჩხიასი ჩ.ფ., ლეონ-გერერო ა. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის (თარგმანი ინგლისურიდან). თსუ, თბ., 2013.
3. ჩარეჭიშვილი ლ. პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერთა რიცხოვნობის სტრუქტურის ცვლილებების გავლენა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. ჟურნ. „ეკონომისტი“, №6, 2013.
4. ჩარეჭიშვილი ლ. მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის საკითხები თანამედროვე საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში“. თბ., 2013.

5. „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.

5. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## **Transformation of the Science in the First Decade of the Post-Soviet Georgia:**

### **Statistical Aspects**

**Nika Zurikashvili**

Georgian Technical University

Doctoral student

**Nino Sagareishvili**

TSU MA Student

**Nino Gelashvili**

TSU student

### **Summary**

In 1990, Georgia was holding the first place in the Soviet Union with the number of scientific workers per 1000 person. After collapse of the Soviet Union, complicated political and economic transformation, first of all, affected social sphere, including science. One of the most negative results were reduction of the number of scientific institutions and scientists itself, which was followed by reduction in the scale and quality of scientific research. All this resulted in steep decline in motivation for scientific-pedagogical work, prestige of the scientists became worthless.

Statistics showed alarming figures in the number of defense of the scientific degrees: in 2000, only 9 degrees were defended in all scientific fields, when it was 114 in 1995. These degrees were earned in five fields (3 pedagogical, two in History and Chemistry, one in Medicine and one in Economics). In the other fields there were not even one degree defended.

In the present of Georgia, the interest in the scientific work has declined drastically, when it used to be very high before. Among different causes several factors are outstanding, such as: very low earnings for science workers, lack of state policy to support development of Science and technology and non-existence of the internal demand in the country for the results of scientific works.

**დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის  
მიმართულებები**

საქართველოში თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება მეტად მწვავეა. მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა და ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ კრიზისულ ზღვრამდე შეამცირა შობადობა და გაზარდა მოკვდაობა. გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება ვიდრე საჭიროა მშობელთა თაობის რაოდენობრივი შეცვლისათვის. მეტად ინტესიური გახდა გარე მიგრაციული პროცესები, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონამდე ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრების საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. ყოველივე ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა საკობრივი ჯგუფისა და იზრდება 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი ე.ი მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და ყველაზე მეტად თავი იჩინა ქართულ მოსახლეობაში. ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაომჯობესების შემთხვევაშიც კი, ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას რამდენად უნდა უნდა მოველოდეთ გაურკვეველია. მდიდარი სულიერი მემკვიდრეობის მქონე ერები, ჟამთა ვითარების გამო, მათი კულტურული ცხოვრების დაცემისა და თითქმის შეწყვეტის შემთხვევაში, მაინც ახერხებენ კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებას, სულიერების დაბრუნებასა და განვითარებას. ამას განაპირობებს არა მარტო ერის მდიდარი სულიერი წარსული, არამედ ისიც, რომ ერის გენოფონდი ამ მდიდარი სულიერების მატარებელია. შუა საუკუნეებში მონღოლების, თემურლენგისა და სხვა მრავალი მტრის მიერ აოხრებულ და გაპარატახებულ საქართველოში თითქმის შეწყდა სულიერი ცხოვრება, მაგრამ შემდეგ საუკუნეებში მაინც შესაძებლელი გახდა მისი აღორძინება, რადგან არსებობდა სულიერი ფასეულობების მდიდარი დასაყრდენი. ქართულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი საგრძნობლად დაბალია შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. საქართველოს არაქართული მოსახლეობის ჯერ კიდევ ოდნავი ბუნებრივი მატება (ძირითადად აზერბაიჯანელებისა და ქურთების) დემოგრაფიული ქცევით (შობადობის შედარებით მაღალი დონით) განისაზღვრება. შობადობის შემცირების მიზეზები მრავალგვარია. მას განსაზღვრავს როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური, ეთნიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები, რომლებიც აისახება ქალის ქცევებში და ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში. შობადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ოჯახების განვითარებაში არსებული წინააღმდეგობებია; მაგალითად, განქორწინებული, დაუქორწინებელი და მარტოხელა დედების რაოდენობის ზრდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში სიღარიბე გახდა ერთერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელმაც მოიცვა მოსახლეობის დიდი ნაწილი. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დროებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის ზრდამ სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემა უფრო მეტად პრიორეტიტიული გახდა. სიღარიბიდან თავის დაღწევის მიზნით ქალის დასაქმება გაიზარდა, რამაც შექმნა გენდერული დისპროპორცია, გაიზარდა ქალის აუნაზღაურებელი შრომის მნიშვნელობა და მასზე დაკისრებული საოჯახო ტვირთი. ყოველივე ამან თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქალის დემოგრაფიულ ქცევაზე.

**ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები ბოლო წლებში ასე გამოიყურება:**

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მოსახლეობის რიცხოვნობა								
1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 401.3	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8
მათ შორის:								
ქალაქად (ათასი კაცი)	2 310.4	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 410.8
სოფლად (ათასი კაცი)	2 090.9	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 073.0
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	47 795	49 287	56 565	63 377	62 585	58 014	57 031	57 878
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	42 255	41 178	43 011	46 625	47 864	49 818	49 348	48 553
მათ შორის:								
1 წლამდე გარდაცვალება	753	656	959	945	701	703	715	640
ბუნებრივი მატება	5 540	8 109	13 554	16 752	14 721	8 196	7 683	9 325
მკვდრადშობადობა	712	632	660	484	653	563	664	567
ქორწინებათა რიცხვი	21 845	24 891	31 414	31 752	34 675	30 863	30 412	34 693
განქორწინებათა რიცხვი	2 060	2 325	3 189	4 030	4 726	5 850	7 136	8 089
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას	74.3	75.1	74.2	73.6	74.4	74.5	74.7	75.2
ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (კოეფიციენტები)								
შობადობა (ათას კაცზე)	10.9	11.2	12.9	14.4	14.1	12.9	12.7	12.9
მოკვდაობა (ათას კაცზე)	9.6	9.4	9.8	10.6	10.7	11.1	11.0	10.8
1 წლამდე მოკვდაობა (ათას ცოცხლად დაბადებულზე)	15.8	13.3	17.0	14.9	11.2	12.1	12.5	11.1
ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	1.3	1.8	3.1	3.8	3.3	1.8	1.7	2.1
მკვდრადშობადობა	14.7	12.7	11.5	7.6	10.3	9.6	11.5	9.7
ქორწინება (ათას კაცზე)	5.0	5.7	7.2	7.2	7.8	6.9	6.8	7.7
განქორწინება (ათას კაცზე)	0.5	0.5	0.7	0.9	1.1	1.3	1.6	1.8

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველი წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა: 2005 წლისთვის 4 321.5 ათას კაცს, 2006 წლისთვის 4 401.3 ათას კაცს, 2007 წლისთვის 4 394.7 ათას კაცს, 2008 წლისთვის 4 382.1 ათას კაცს, 2009 წლისთვის 4 385.4 ათას კაცს, 2011 წლისთვის 4 469.2 ათას კაცს, 2012 წლისთვის 4 497.6 ათას კაცს, 2013 წლისთვის 4 483.8 ათას კაცს.

4469.2 ათას კაცს, 2012 წლისთვის 4 497.6 ათას კაცს, 2013 წლისთვის 4 483.8 ათას კაცს, 2014 წლისთვის 4 490.5 ათას კაცს.

### დაბადება

წელი	ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	შობადობის კოეფიციენტი (1000 კაცზე)
2001	47 589	10.9
2002	46 605	10.7
2003	46 194	10.7
2004	49 572	11.5
2005	46 512	10.7
2006	47 795	10.9
2007	49 287	11.2
2008	56 565	12.9
2009	63 377	14.4
2010	62 585	14.1
2011	58 014	12.9
2012	57 031	12.7
2013	58 878	12.9

### გარდაცვალება

წელი	გარდაცვლილთა რიცხოვნობა	გარდაცვალების კოეფიციენტი (1000 კაცზე)
2001	46 218	10.5
2002	46 446	10.7
2003	46 055	10.6
2004	48 793	11.3
2005	40 721	9.9
2006	42 255	9.6
2007	41 178	9.4
2008	43 011	9.8

2009	46 625	10.6
2010	47 864	10.7
2011	49 818	11.1
2012	49 348	11.0
2013	48 553	10.8

ბოლო წლებში გრძელდებოდა 1990-იანი წლებიდან დაწყებული ინტენსიური მიგრაცია, ძირითადად, ეკონომიკური გარემოებების გამო. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნიდან გასულთა 85 პროცენტი შრომისუნარიანი ასაკისაა, მაშინ როცა ამ ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 2/5-ს არ აღემატება. აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებულ დრამატულობას სძენს ის გარემოება, რომ ბოლო წლებში იზრდება გენდერული უთანასწორობა. საქართველოდან გასულ ახალგაზრდებში უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები. საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებას სხვა გარემოებებთან ერთად მნიშვნელოვნად ამძიმებს მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდების) გარემიგრაციული პროცესები. აღრიცხვიანობის სირთულეებთან დაკავშირებით სრულად არ არის დადგენილი იმ პირთა რიცხოვნობა, ვინც გავიდა საქართველოდან. სხვადასხვა ექსპერტული გაანგარიშებები უარყოფითია და იგი დიდ ციფრს აღწევს, რაც საქართველოსნაირი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის საკმაოდ დიდი ციფრია.

## მიგრაცია

წელი	მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)
2000	-35.2
2001	-32.6
2002	-27.8
2003	-27.5
2004	5.5
2005	76.3
2006	-12.1
2007	-20.7
2008	-10.2
2009	34.2
2010	18.1
2011	20.2
2012	-21.5
2013	-2.6

უკანასკნელ წლებში საქართველოში შრომით მიგრანტთა შორის მნიშვნელოვანია ქალთა წილის უპირატესი ზრდა. საერთოდ, ქალთა რაოდენობის



მასიური ზრდა საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ტიპური ტენდენციაა. კვლევებით დადასტურებულია, რომ მრავალ ქვეყანაში შრომის ბაზრის სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობეს შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია. განათლებისა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე ქმნის ქალების არაფორმალურ სექტორში დასაქმების მოტივაციას. შრომის დანაწილების ტრადიციული გენდერული მოდელი თანდათანობით იცვლება. დასაქმებული ქალიც ისევე მონაწილეობს ოჯახის ბიუჯეტის ფორმირებაში, როგორც მამაკაცი. ქალისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ფინანსური ფაქტორი, არამედ მორალურიც. 1990-იან წლებში საქართველოში ქალთა შრომითი მიგრაცია არ იყო დამახასიათებელი. ტრადიციული, ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელი იყო, რომ ქალს ოჯახი მიეტოვებინა და შემოსავლისათვის შორს წასულიყო, მაგრამ არსებულმა რეალობამ, ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, ცხოვრების დონის დაცემამ განაპირობა ის, რომ შრომითი მიგრაცია გახდა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთ-ერთი გზა. მან დასაბამი მისცა ქალთა ფართო მონაწილეობას შრომით მიგრაციაში. საქართველოდან ქალთა ძირითადი ნაკადი გაედინება საბერძნეთში გერმანიაში, აშშ-სა და რუსეთში. ხშირ შემთხვევაში მას არალეგალური ხასიათი გააჩნია. გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალები დასაქმებულნი არიან მომსახურების სექტორში მომვლელებად, აღმზრდელებად, ოფიციატებად, დამლაგებლებად, გამყიდველებად. ეკონომიკური თვალსაზრისით შრომითი რესურსების მასშტაბური გადინება საქართველოდან გამართლებულია იმით, რომ შრომითი მიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხები ბევრი ოჯახისათვის ყოველდღიურ სარჩო-საბადებელს წარმოადგენს. ფულადი გზავნილები საგარეო შემოდინებების მთავარი წყაროა და უდიდეს როლს ასრულებს სიღარიბის დაძლევაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ემიგრაციული პროცესებში ახალგაზრდობის აქტიურად ჩართვა. 2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ სტუდენტებს შორის ძალიან მაღალია მიგრაციული განწყობა. ემიგრაციის მიზეზად ასახელებენ განათლების მიღებას (გამოკითხულთა 31,8 პროცენტი), უცხო ენების შესწავლას (15,4 პროცენტი), ასევე სამუშაოს პოვნის ნაკლებ პერსპექტიულობას სამშობლოში (8,8 პროცენტი), ხოლო მატერიალური პირობების გაუმჯობესებას ასახელებს გამოკითხულთა 41 პროცენტს.

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა პასუხობდეს სამ უმთავრეს მოთხოვნას: 1. დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს და სანქცირებული იყოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ; 2. დემოგრაფიული პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია სახელმწიფო სახსრების გამოყოფა; 3. დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისათვის უნდა არსებობდეს სპეციალური ორგანო, თუმცა დემოგრაფიული პოლიტიკის დონისძიებები ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ სახელმწიფოს შეზღუდულ მატერიალურ-ფინანსურ შესაძლებლობებზე, არამედ დაფინანსების ძირითად წყაროდ მიჩნეული უნდა იქნას კერძო სტრუქტურებიდან მიღებული შემოსავლები.

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გაატარებისას უპირატესობა უნდა მიეცეს სოციალურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს, ახალგაზრდა, დემოგრაფიულად მზარდ ოჯახებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, განსაკუთრებით ტელევიზიით, უნდა შეიქმნას დემოგრაფიული სიტუაციის სწორი, ერთიანი საზოგადოებრივი აზრი.

მოსახლეობის კვლავწარმოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია შობადობა, ამიტომაც დაბალი შობადობის მქონე ქვეყნებში, აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა სწორედ მისი სტიმულირებისა და რეგულირებისაკენ არის მიმართული, თუმცა, დემოგრაფიული პოლიტიკა, თავისი არსით, სხვა ასპექტსაც მოიცავს, როგორცაა: უსაფრთხო დედობა; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სიცოცხლის

ხანგრძლივობა; მოსახლეობის დასაქმება; ჩვილთა მოკვდაობა; პენსიონერები და ხანდაზმული ადამიანები და სხვა, რომლებიც დემოგრაფიის მომიჯნავე დარგების განვითარების კონცეფციებსა თუ პროგრამებში აისახება. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია სპეციალური დემოგრაფიული ფონდის შექმნა. აღნიშნულ ფონდში ფინანსური რესურსები შეიძლება აკუმულირდეს: სიგარეტის, ბენზინის, ალკოჰოლური სასმელების, კოსმეტიკის ნაწარმის, ლატარიების, კაზინოების, ტოტალიზატორების, სპორტული და სხვა გასართობი დონისძიებების, აგრეთვე, სხვა აქციზურ საქონელზე სააქციზო გადასახადის უმნიშვნელო გაზრდით, სპეციალური დემოგრაფიული მოსაკრებლებით. ამ ფონდში გარკვეული ოდენობის სახსრები უნდა ირიცხებოდეს როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. დემოგრაფიული ფონდი უნდა შეივსოს ქველმოქმედების სახით გაღებული შემოწირულობებიდან და სხვა წყაროებიდან. წინასწარი გაანგარიშებით, აღნიშნული გზით, ამ ფონდში, საშუალოდ წელიწადში აკუმულირდება, დაახლოებით ხუთასი მილიონი ლარი, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამომრიცხული თანხის გარდა. აღნიშნული სახსრების მიზანმიმართული გამოყენება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის რეზერვების გამოყენებას. ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, ოჯახში რეალურად მოსალოდნელ შვილთა საშუალო რაოდენობა თითქმის ერთი ბავშვით ჩამორჩება შვილთა სასურველ რაოდენობას. ამის მიზეზად დედები, ძირითადად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას თვლიან.

ქვეყანაში სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია რიგი ამოცანების გადაჭრა, როგორცაა: ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების კონცეფციის შემუშავება, მრავალშვილიანი და ღარიბი ოჯახებისათვის ყურადღების მიქცევა, განსაკუთრებული მატერიალური სტიმულები ერის გამრავლებისათვის, ახალშობილთა და ქალთა ჯანმრთელობის დასაცავად, ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის გაუკაცრიელების პროცესის შეჩერება, საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან სისტემატური და საქმიანი კონტაქტი. დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული ორიენტირება იდეოლოგიური უზრუნველყოფა, სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფა, ორგანიზაციული, მათ შორის საკანონმდებლო უზრუნველყოფა, არასამთავრობო სექტორის კონსტრუქციული თანამშრომლობა დემოგრაფიული გარემოს გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებთან. ამასთან მნიშვნელოვანია შიდა მიგრაციის რაციონალიზაცია: რაიონებიდან, მცირე და საშუალო ქალაქებიდან, განსაკუთრებით მთიანი რაიონებიდან მიგრაციული პროცესების შეჩერება; გარე მიგრაციის ოპტიმიზაცია და საქართველოს მოქალაქეთა უკუმოდინების ხელშეწყობა; უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებზე აქტიური ზრუნვა, მათი პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა. „დემოგრაფია“ სახელმძღვანელო, თბილისი 2009.
- ქმარშავა, მ.მინდორაშვილი - სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, „უნივერსალი“ 2012;
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის ადაპტირებული გლობალური შეფასება;
- <http://www.geostat.ge>

- Selm, I., (2005). Georgia Looks West, But Faces Migration Challenges at Home, Migration Policy Institute. Georgia: The Tkibuli Region and Rural Migration, (2006).
- მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა: <http://devdata.worldbank.org/hnpstats/query/default.html>
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შემფასებელი მისიის ანგარიში IMO.
- ჭელიძე, ნ., (2008). საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სასწავლო შრომითი მიგრაციული განწყობა. ნაშრომში: მიგრაცია, (რედ. მ.ტუხაშვილი), თსუ შრომების კრებული, თბ. გვ. 98-10

## Demographic Problems in Georgia

**Lela TeTradze**

Academic Doctor

### SUMMARY

Currently, the demographic situation in Georgia is not very favorable. Unstable economic and social conditions have led to the decreased birth rate and the dropped pace of reproduction. Intensive migration process is underway due to unfavorable economic conditions; work force is flowing out which certainly has negative consequences on the social and economic development of the country. In order to improve the existing situation and create better demographic conditions, it is necessary to activate certain demographic processes which will help to tackle these problems and improve the situation.

### ეკონომიკური ციკლურობის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია

**გიორგი თეთრაული**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი*

მაკროეკონომიკური პროცესების არასტაბილურობა და ეკონომიკის განვითარების ციკლურობა წარმოადგენს საბაზროდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. ზრდისა და კლების ტენდენციების არსებობა შეინიშნება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორების დინამიკაში, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, შრომის მწარმოებლურობა, დასაქმება და სხვ. ეკონომიკური რეცესიები და კრიზისები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, ქვეყნის არსებულ და მომავალ მდგომარეობასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები სულ უფრო ხშირი, მასშტაბური და კატასტროფული შედეგების მომტანი ხდება. ამის ნათელი მაგალითია გახშირებული ფინანსური კრიზისები, ასევე 2008–2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. აქედან გამომდინარე, ასეთი მოვლენების რაიმე

სისტემაში მოქცევა, მათი პროგნოზირებისა და პრევენციის მიზნით, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები მოითხოვს თეორიული ცოდნის გაღრმავებას ეკონომიკური ციკლოზობისა და ფინანსური კრიზისების გაანალიზების მიმართულებით. ამ თემაზე სამეცნიერო ნაშრომების ფართო სპექტრის არსებობა, მის მიმართ ინტერესის ზრდა ნათლად გვიჩვენებს ეკონომიკის ციკლური განვითარების კვლევის აქტუალობას. მრავალი კვლევის შედეგად დასტურდება გლობალური და ეროვნული ეკონომიკების არაწრფივი, ციკლური ხასიათი.

ეკონომიკის ციკლური განვითარების კვლევა სხვადასხვა მეთოდებით ხდება. ეკონომიკის გრძელვადიანი დინამიკის ვიზუალური ანალიზის პარალელურად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ხანგრძლივობის ციკლების გამოვლენა ამა თუ იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გრაფიკის გამოყენებით, დღესდღეობით დიდი პოპულარობით სარგებლობს ზუსტი მათემატიკური მეთოდები. მათი აქტუალობა იმითაა გამოწვეული, რომ საშუალებას იძლევა გაკეთდეს საკმაოდ დიდი სიზუსტის მქონე, მათემატიკური აპარატის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნები ეკონომიკის დინამიკის შესახებ. ასევე ეს საკმაოდ მძლავრი ინსტრუმენტია პროგნოზირებისა და ეკონომიკის ანტიკრიზისული რეგულირებისთვის.

მეთოდების ამ კატეგორიას მიეკუთვნება სპექტრული ანალიზის მეთოდი.<sup>1</sup> თავდაპირველად ის სხვა მეცნიერებებში გამოიყენებოდა (მაგ. ფიზიკაში) სხვადასხვა სახის მოვლენებისა და პროცესების კვლევისთვის. ეკონომიკაში ის, ძირითადად, გამოიყენება საწარმოების დონეზე, გაყიდვების სეზონურობის, წარმოების პროცესის, საფონდო ბაზრის დინამიკისა და მარაგების ცვლილების გამოსაკვლევად. თუმცა ის ასევე წარმატებით გამოიყენება მაკროეკონომიკურ დონეზე, კერძოდ, ეკონომიკის ციკლოზობის შესასწავლად.

სპექტრული ანალიზის ეკონომიკაში გამოყენების არსი შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ეკონომიკის კონიუქტურის ცვლილებები, ანუ ფლუქტუაციები წარმოდგენილ უნდა იქნეს სინუსოიდალური/კოსინუსოიდალური ფუნქციების ერთობლიობის გამოყენებით. ეკონომიკურ დროით მწკრივებში უნდა გამოვლინდეს ციკლური კომპონენტი, რომელიც შემდგომ აღწერილ უნდა იქნეს მათემატიკური ფუნქციის დახმარებით, და ამ უკანასკნელის საფუძველზე უნდა მოხდეს დასკვნების გაკეთება ეკონომიკური ციკლების პერიოდის, ამპლიტუდისა და სიხშირის შესახებ.<sup>2</sup>

ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზი და მომავალი განვითარების პროგნოზირება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. მისი წარმოდგენა შემდეგი ეტაპებით არის შესაძლებელი<sup>3</sup>:

1. თავდაპირველი მონაცემების დამუშავება. ამ ეტაპზე ხდება სხვადასხვა დროითი მწკრივების შემოწმება მათი სტაციონარურობის დადგენის მიზნით;

2. მიღებული მწკრივის შესწავლა მასში ციკლური კომპონენტის გამოყოფის მიზნით. სწორედ ამ ეტაპზე ხდება სპექტრული ანალიზის მექანიზმის გამოყენება;

3. მწკრივის მოსწორება, მოკლევადიანი ციკლებისა და შემთხვევითი გადახრების მოსწორების მიზნით;

4. მიღებული მწკრივის ინტერპოლაცია, პოლინომიალური ფუნქციის გამოყენებით;

5. ინტერპოლაციური მრუდის გამოკვლევა ექსტრემუმებზე ციკლების პერიოდიზაციისთვის;

<sup>1</sup>Old and new spectral techniques for economic time series. Lisa Sella. May, 2008, გვ. 2-5.

<sup>2</sup>Метод спектрального анализа для выявления циклов экономической конъюнктуры. 2009 А.Ю. Ситникова. Вестник Самарского государственного экономического университета. გვ. 108;

<sup>3</sup>Некоторые долгосрочные прогнозы экономического развития России. Огороков В.Р. გვ. 5-6.

6.ამ მრუდის ექსტრაპოლაცია საკვლევი ციკლის სრული ვადით;

7.მიღებული მრუდის მიხედვით მომავალი ეკონომიკური განვითარების შესახებ დასკვნების გაკეთება.

### სპექტრული ანალიზის მეთოდის გამოყენება საქართველოს ეკონომიკის დინამიკის გამოსაკვლევად

საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების შესწავლის მიზნით საკვლევი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის სახით შერჩეულ იქნა მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური მოცულობები 1965–2013 წლებში<sup>1</sup>. მონაცემების ანალიზი მოხდა ზემოჩამოთვლილი ეტაპების გათვალისწინებით:

1.დროითი მწკრივის გამოკვლევა სტაციონალურობაზე აუცილებელია იმდენად, რამდენადაც სპექტრული ანალიზის მეთოდი შეუთავსებელია არასტაციონალურ დინამიკურ მწკრივებთან<sup>2</sup>.

ზოგადად, მწკრივი სტაციონალურად ითვლება, თუ მისი მათემატიკური ლოდინი და დისპერსია მუდმივია, ანუ მწკრივი ტრენდისგან თავისუფალია<sup>3</sup>. ანალიზის ეს ეტაპი შესრულდა პროგრამა Eviews7-ის გამოყენებით. ქვემოთ მოყვანილია რეალური GDP-თვის Unit Root Test<sup>4</sup>-ის შედეგები:

ცხრილი 1. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის Unit Root Test–ი პროგრამა Eviews7–ის გამოყენებით.

Null Hypothesis: RGDP has a unit root

Exogenous: Constant

Lag Length: 1 (Automatic - based on SIC, maxlag=10)

	t-Statistic	Prob.¹
Augmented Dickey-Fuller test statistic	-2.204216	0.2076
Test critical values:		
1% level	-3.577723	
5% level	-2.925169	
10% level	-2.600658	

თავდაპირველად სტაციონალურობა შემოწმდა პირვანდელი სახის მწკრივისთვის. ცხრილში მოყვანილია ტესტის არასრული შედეგები, რადგანაც უკვე პირველადი ანალიზის საფუძველზე დასტურდება ნულოვანი ჰიპოთეზის მართებულობა (t-სტატისტიკა თავის კრიტიკულ მნიშვნელობაზე მაღალია ნდობის სამი სხვადასხვა ინტერვალისთვის). ამიტომ, აუცილებელი გახდა მწკრივის დამუშავება მის სტაციონალურ სახეზე დასაყვანად. ამისათვის გამოვიყენე ჯერ პირველი, ხოლო ტესტის კვლავ წარუმატებლად გავლის შემდეგ–მეორე რიგის

<sup>1</sup>წყარო: მსოფლიო ბანკი ([www.worldbank.org](http://www.worldbank.org));

<sup>2</sup>Analysis of Financial Time-Series using Fourier and Wavelet Methods.PhilippeMasset. October 2008. გვ. 13;

<sup>3</sup>Анализ временных рядов. Канторович Г.Г. Экономический журнал ВШЭ. №1, 2002.გვ. 87-91;

<sup>4</sup>Unit root testing to help model building. LavanMahadeva, Paul Robinson. Bank of England, 2004.გვ. 10-13, 18-20;

სხვაობების მეთოდი<sup>1</sup>. ამის შემდეგ დინამიკური მწკრივის სტაციონალურ სახეზე დაყვანა მოხერხდა. საბოლოო ტესტის შედეგები ქვემოთ არის მოყვანილი.

ცხრილი 2. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მწკრივის მეორე რიგის სხვაობების მწკრივის Unit Root Test-ის შედეგები:

Null Hypothesis: D(RGDP,2) has a unit root  
 Exogenous: Constant  
 Lag Length: 0 (Automatic - based on SIC, maxlag=10)

	t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic	-7.036219	0.0000
Test critical values:		
1% level	-3.581152	
5% level	-2.926622	
10% level	-2.601424	

\*MacKinnon (1996) one-sided p-values.

Augmented Dickey-Fuller Test Equation

Dependent Variable: D(RGDP,3)

Method: Least Squares

Date: 08/24/14 Time: 11:02

Sample (adjusted): 1968 2013

Included observations: 46 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	
D(RGDP(-1),2)	-1.059726	0.150610	-7.036219	(
C	0.107751	24.44935	0.004407	(
R-squared	0.529454	Mean dependent var	-0.771657	
Adjusted R-squared	0.518760	S.D. dependent var	239.0339	
S.E. of regression	165.8214	Akaike info criterion	13.10220	
Sum squared resid	1209856.	Schwarz criterion	13.18171	
Log likelihood	-299.3507	Hannan-Quinn criter.	13.13199	
F-statistic	49.50838	Durbin-Watson stat	2.024301	
Prob(F-statistic)	0.000000			

2. შემდეგი ეტაპის თანახმად, უშუალოდ უნდა გამოვთვალოთ ეკონომიკური ციკლების პერიოდები სპექტრული ანალიზის გამოყენებით. ამ უკანასკნელისთვის ყველაზე გავრცელებული მეთოდია ფურიეს გარდაქმნა (Fourier transform)<sup>2</sup>. მისი ძირითადი არსი იმაშია, რომ ამოსავალი დინამიკური მწკრივი, ან ფუნქცია იშლება შემადგენელ კომპონენტებად: ჰარმონიულ რყევებად და მათ სისშირეებად. ფურიეს დისკრეტული გარდაქმნის ფორმულაა:

$$X(m) = \sum_{k=0}^{N-1} x(k) e^{-\frac{i2\pi km}{N}} = \sum_{k=0}^{N-1} x(k) [\cos(2\pi km/N) + i \sin(2\pi km/N)],$$

სადაც:  $X(m)$  – გარდაქმნილი მწკრივის  $m$ -ური წევრი;


<sup>1</sup>Time series and spectral method in econometrics.C.W.J Granger and Mark W. Watson.გვ. 980-993.

<sup>2</sup>The Fourier Analysis Tool in Microsoft Excel. DouglasA. Kerr. March4, 2009. გვ. 2-7;

$x(k)$  – შემავალი მონაცემების  $k$ -ური კომპონენტი;  
 $N$  – შემავალი მონაცემების ერთობლიობის სიგრძე;  
 $i$  – წარმოსახვითი სიდიდე,  $i = \sqrt{-1}$ .<sup>1</sup>

მოცემულ ნაშრომში ფურცელს გარდაქმნისთვის გამოყენებულია პროგრამა Excel-ის რამდენიმე ფუნქცია: Data Analysis Toolpack-Fourier Transform და IMABS<sup>2</sup>. პირველი ინსტრუმენტის გამოყენებით ვლელბოტ ფურცელს მწკრივის მონაცემებს, სადაც არის როგორც რაციონალური, ისე ირაციონალური რიცხვები. შემდგომ მეორე ფუნქციის დახმარებით ვახდენთ მათ გარდაქმნას და დაგვყავს მწკრივამდე, რომელიც მოიცავს ფუნქციის ამპლიტუდის მონაცემებს. აგრეთვე გამოითვლება თითოეული ამპლიტუდის შესაბამისი სიხშირე, ანუ ციკლების რაოდენობა დაკვირვების დროის ერთეულში (ამ შემთხვევაში ერთ წელიწადში). ამპლიტუდისა და სიხშირის მწკრივების გამოყენებით აგებული გრაფიკი წარმოადგენს საძიებელ სპექტრულ სიმკვრივეს<sup>3</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნია გამოვტოვო ანალიზის მესამე ეტაპი, რომელიც გულისხმობს მიღებული ამპლიტუდების მწკრივის მოსწორებას, რადგანაც მინიმალური ინტერვალის მცოცავი საშუალოს გამოყენებამაც კი შესაძლოა სირთულე შეგვიქმნას მოკლევადიანი (კიტჩინის) ციკლების აღმოჩენის თვალსაზრისით.

გრაფიკი 1. საქართველოს რეალური GDP-ის სპექტრული სიმკვრივე (ისრებით აღნიშნულია სიმკვრივის ლოკალური მაქსიმუმები):



მიღებული გრაფიკიდან შეგვიძლია უშუალოდ ეკონომიკური ციკლების პერიოდიზაციაზე გადავიდეთ. როგორც მიღებული სპექტრული სიმკვრივის გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე მაღალი ამპლიტუდა, და შესაბამისად ყველაზე ძლიერი ზეგავლენა ეკონომიკურ დინამიკაზე აქვს 0,03125 სიხშირის მქონე ციკლს. იმის გათვალისწინებით, რომ ციკლური მოვლენის პერიოდი წარმოადგენს მისივე სიხშირის შებრუნებულ რიცხვს, მაშინ ამ ეკონომიკური ციკლის პერიოდი (T) იქნება:

$$T_1 = \frac{1}{f_1} = \frac{1}{0,03125} = 32,$$

<sup>1</sup>Метод спектрального анализа для выявления циклов экономической конъюнктуры. А.Ю. Ситникова, Вестник Самарского государственного экономического университета. 2009. გვ. 108-109.

<sup>2</sup>Frequency Domain Using Excel. LarryKlingenberg. April 2005. გვ.2-4;

<sup>3</sup>იქვე, გვ.5;

სადაც  $f$ -შესაბამისი ციკლის სიხშირეა<sup>1</sup>.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველადი მონაცემები წლიური სახით მოვიპოვეთ, მიღებული შედეგი გულისხმობს, რომ გამოვლენილი ციკლის ხანგრძლივობა 32 წელს შეადგენს. ანალოგიურად შეგვიძლია მოვახდინოთ სხვა გამოვლენილი რყევების პერიოდიზაცია. კერძოდ:

$$T_2 = \frac{1}{f_2} = \frac{1}{0,109375} \approx 9;$$

$$T_3 = \frac{1}{f_3} = \frac{1}{0,21875} \approx 4,6;$$

$$T_4 = \frac{1}{f_4} = \frac{1}{0,34375} \approx 4.$$

როგორც ვხედავთ, მივიღეთ რამდენიმე სხვადასხვა პერიოდის მქონე ციკლი. მათი ხანგრძლივობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ 32-წლიანი ციკლი მიეკუთვნება გრძელვადიან (კონდრატევის) ციკლებს<sup>2</sup>, 9-წლიანი ციკლი – საშუალოვადიან (ჟიუგლარის) ციკლებს, ხოლო ბოლო ორიდან ერთ-ერთი, სავარაუდოდ, კიტჩინის მოკლევადიანი ციკლია<sup>3</sup>.

4. შემდეგი ეტაპი შეეხება სპექტრული ანალიზის საფუძველზე გამოთვლილი ციკლების პერიოდების გამოყენებას ფაქტიური დინამიკის ფუნქციის დახმარებით აღსაწერად. ამისათვის გამოიყენება მაღალი რიგის პოლინომიალური ფუნქცია<sup>4</sup>. პოლინომის ხარისხი გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$n = \frac{l}{T} + 2,^5$$

სადაც  $n$ -პოლინომის ხარისხია,  $l$  -საკვლევი მწკრივის სიგრძე (ჩვენს შემთხვევაში 49) დამატებული პროგნოზის ინტერვალის (რადგანაც გვინდა ერთი სრული ციკლის ხანგრძლივობის პროგნოზის გაკეთება, ამიტომ პროგნოზის ვადა 32 წელს უდრის), ხოლო  $T$ -სპექტრული ანალიზის შედეგად მიღებული ციკლის პერიოდი. ამ ეტაპზე მოვახდინოთ ინტერპოლაცია გრძელვადიანი ციკლის პერიოდის გამოყენებით. პოლინომის ოპტიმალურიხარისხი ტოლი იქნება:

$$n = \frac{49+32}{32} + 2 \approx 5;$$

ფუნქციის ინტერპოლაცია მოცემულ ნაშრომში გაკეთებულია პროგრამა Excel-ის დახმარებით, კერძოდ, Trendline-ის (ტრენდის ხაზის) დამატებით<sup>6</sup>. დამატებითი

<sup>1</sup>Исследование экономического цикла в плановой и переходной экономике. Райская Н.Н., Сергиенко Я.В., Френкель А.А. (Институт экономики РАН, г. Москва), Вовк О.А. (Московский университет экономики, статистики и информатики (МЭСИ) Москва. გვ.1.

<sup>2</sup>ნიკოლაიკონდრატევი (1892-1938)-რუსიეკონომისტიდასოციოლოგი, „კონდრატევისციკლების“ სახელითცნობილიეკონომიკურიციკლებისთეორიისფუძემდებელი.

შემდეგისამეცნოერონაშრომებისავტორი:„Основные учения о законах общественной жизни“. Новые идеи в экономике. ,1914; „Мировое хозяйство и его конъюнктура во время и после войны“. - Вологда, 1922;„К вопросу о понятиях экономической статики, динамики и конъюнктуры“.1924; „Кондратьев Н.Д. Проблемы экономической динамики“, 1989;

<sup>3</sup>On the accurate characterization of business cycles in nonlinear dynamic financial and economic systems.Dimitri O. Ledenyov and Viktor O. Ledenyov.გვ. 2-9;

<sup>4</sup>PolynomialApproximation.Gordon K. Smyth. EncyclopediiaofBiostatistics.1998.გვ 2-9;


<sup>5</sup>НекоторыедолгосрочныепрогнозыэкономическогоразвитияРоссии. Огороков В.Р.გვ. 7;

<sup>6</sup>Numerical methods. John D. Fenton. Institute of Hydraulic and Water Resources Engineering, Vienna University of TechnologyKarlsplatz 13/222, 1040 Vienna, Austria. April 21, 2010. გვ. 14-16.



პარამეტრების სახით მითითებულ იქნა ტრენდის ტიპი–პოლინომიალური, და აგრეთვე ზემოთ გამოთვლილი პოლინომის ხარისხი. შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი:

გრაფიკი 2. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი და ტრენდის მრუდი:



აღსანიშნავია, რომ ფორმულით გამოთვლილი პოლინომის ხარისხის გათვალისწინებით მიღებული ტრენდის მრუდი საკმაოდ ზუსტად აღწერს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკას. ამას მოწმობს დეტერმინაციის მაღალი კოეფიციენტი, და აგრეთვე ის ფაქტი, რომ მიღებული მრუდის პერიოდი ემთხვევა აღმოჩენილი ციკლის პერიოდს.

5. ანალიზის ამ ეტაპზე უნდა მოხდეს ტრენდის მრუდის ექსტრაპოლაცია მომავალში, ეკონომიკური განვითარების შესახებ გარკვეული პროგნოზების გაკეთების მიზნით. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის შესაძლებელია გრაფიკის ვიზუალური ანალიზის და ტრენდის მრუდის შებრუნების წერტილების თარიღების გათვალისწინებით შემდეგი ციკლის ხანგრძლივობის და მისი პიკისა და ფსკერის შესახებ პროგნოზის გაკეთება. ნახაზიდან ჩანს ფუნქციის გრაფიკის ორი მინიმუმი–1968 და 2000 წლებში. ამასთან, ტრენდის ხაზის პიკი დაახლოებით 1982-1983 წლებს ემთხვევა. სპექტრული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, განსახილველი ციკლის ხანგრძლივობა 32 წელია. ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ამჟამად საქართველოს ეკონომიკა იმყოფება აღმავლობის ფაზაზე, რომელიც დაიწყო 2001 წელს და გაგრძელდება, საშუალოდ, 2017 წლამდე, სადაც მიღწეული იქნება განვითარების ამ ციკლის პიკი;

- მომავალი მოსალოდნელი ფსკერი შეესაბამება 2032–2033 წლებს, როდესაც აღნიშნული ციკლი დამთავრდება.

## დასკვნები

მოცემულ ნაშრომში გაკეთებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1.სპექტრული ანალიზის მეთოდის გამოყენებით დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში სხვადასხვა ხანგრძლივობის ციკლების არსებობა. გამოიკვეთა 32, 9, და 4–4,6 წლიანი ეკონომიკური ციკლები; თუმცა აღსანიშნავია ის საკითხი, რომ ამოსავალი დინამიკური მწკრივი საკმაოდ მოკლე იყო, ვიდრე ეს

კლასიკური სპექტრული ანალიზის შემთხვევაში გამოიყენება. ეს ფაქტი კმნის იმის აღბათობას, რომ მიღებული სპექტრული სიმკვრივის გრაფიკი შეიცავს ცდომილებას. ეს საკითხი მნიშვნელოვანია პროგნოზირების ეტაპისთვის, რადგანაც არაზუსტი სპექტრი არ იძლევა ზუსტი პროგნოზის საშუალებას. ამიტომ, აუცილებელია სპეციალური მეთოდების გამოყენება მიღებული შედეგების სიზუსტის შესაფასებლად;

2. მეორე მნიშვნელოვან დასკვნას და კვლევის პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს ინტერპოლაციის ეტაპი. ტრენდის ხაზის დამატება პროგრამა Excel-ში გარკვეული შეზღუდვებით ხასიათდება. კერძოდ, პოლინომის ხარისხი 6-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, საშუალო- და მოკლევადიანი ციკლების პროგნოზირების შემთხვევაში აუცილებელია სხვა, უფრო მაღალი ხარისხის პოლინომიალური ტრენდის ხაზის გამოთვლა, რათა ტრენდის მრუდმა მეტი სიზუსტით მოახდინოს ამოსავალი დინამიკური მწკრივის აპროქსიმაცია, და ამის საფუძველზე გაკეთდეს უფრო ზუსტი პროგნოზები.

ნაშრომში მოყვანილი ანალიზის და აღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სპექტრული ანალიზის გამოყენება საქართველოს ეკონომიკაზე საკმაოდ პერსპექტიული და შედეგიანი სფეროა, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Analysis of Financial Time-Series using Fourier and Wavelet Methods. Philippe Masset. October 2008;
2. Frequency Domain Using Excel. Larry Klingenberg. April 2005;
3. How Do Business and Financial Cycles Interact? Stijn Claessens, M. Ayhan Kose and Marco E. Terrones. IMF Working Paper. April 2011;
4. Medium term business cycles. Diego Comin, Mark Gertler. National Bureau of Economic Research, September 2003;
5. Numerical methods. John D. Fenton. Institute of Hydraulic and Water Resources Engineering, Vienna University of Technology Karlsplatz 13/222, 1040 Vienna, Austria. April 21, 2010;
6. On the accurate characterization of business cycles in nonlinear dynamic financial and economic systems. Dimitri O. Lednyov and Viktor O. Lednyov;
7. Old and new spectral techniques for economic time series. Lisa Sella. May, 2008;
8. Polynomial approximation. Gordon K. Smyth. Encyclopedia of Biostatistics. 1998;
9. The Fourier Analysis Tool in Microsoft Excel. Douglas A. Kerr. March 4, 2009;
10. Time series and spectral method in econometrics. C.W.J Granger and Mark W. Watson;
11. Unit root testing to help model building. Lavan Mahadeva, Paul Robinson. Bank of England, 2004;
12. Анализ временных рядов. Канторович Г.Г. Экономический журнал ВШЭ. №1, 2002;
13. Метод спектрального анализа для выявления циклов экономической конъюнктуры. Вестник Самарского государственного экономического университета. 2009 А.Ю. Ситникова;
14. Исследование экономического цикла в плановой и переходной экономике. Райская Н.Н., Сергиенко Я.В., Френкель А.А. (Институт экономики РАН, г. Москва), Вовк О.А. (Московский университет экономики, статистики и информатики (МЭСИ) Москва);
15. Система экономических циклов и глобальный финансовый кризис. В. П. Кузьменко. Кондратьевские волны: аспекты и перспективы 2012;

16. Теории экономических циклов и современные финансовые кризисы. Л.Л. Игонина, Бюлетень Міжнародного Нобелівського економічного форуму. 2012. № 1 (5). Том 1;
17. Цирель С.В. Санкт-Петербург. Кондратьевские циклы и цикличность эффективности экономической политики;
18. Некоторые долгосрочные прогнозы экономического развития России. Огороков В.Р.

### **Modern Methodic of Research of Economic Cyclicity**

**Georgi Tetrauli**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Doctoral Student

#### **Summary**

This paper describes the use of spectral analysis as an important tool of research of economic cyclicity. The main issues of the paper are: the importance of economic fluctuations for the stabilization policy, modern methods of analysis of economic cycles and the process of forecasting using spectral analysis techniques. The object of the research is the economics of Georgia. Historical time series of real GDP were processed using software such as Eviews7 and Microsoft Office Excel, including Unit Root Test, calculation of spectrum frequency, imputation using polynomial trend lines, periodisation of economic cycles and forecasting the economic development of Georgia. As a result of the research, several cycles of different periodicity were found. The concluding part of the paper contains forecasts of peaks and troughs of the gross economic activity described by the real GDP dynamics, as well as the summary of achievements and problematic areas of the research.

Key words: economic cyclicity, spectrum analysis, polynomials, forecasting.

### **საქართველოს ბაზარზე ინტერნეტ-მაღაზიების მომხმარებელთა მოტივაციის მარკეტინგული კვლევა**

**ნუგზარ თოდუა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პროფესორი*

მომხმარებელთა მოტივაციის შესწავლა მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომლის მიზანია მომხმარებელთა დაფარული და გაუცნობიერებელი მისწრაფებების გამოვლენა.<sup>1</sup> უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იზრდება მომხმარებელთა აზროვნების ცვალებადობა, არაპროგნოზირებადობა და მათთან მარკეტინგის ადაპტაციის აუცილებლობა. ყოველივე ეს მოითხოვს მომხმარებლებზე სისტემატურ დაკვირვებას, მათი ცხოვრების წესის, მყიდველობითი ქცევისა და მოხმარების მოდელების განსაზღვრას.<sup>2</sup>

ინტერნეტ-მომხმარებლების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის Internet World Stars-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის ბოლოს მსოფლიოში ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობამ 2,8 მილიარდი (მთლიანი მოსახლეობის 39%) შეადგინა.<sup>3</sup> საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გამოთვლებით, ინტერნეტი საქართველოს მოსახლეობის 45%-სთვის არის ხელმისაწვდომი.<sup>4</sup> ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სადენიანი ინტერნეტ-აბონენტების რაოდენობა 2010 წელს იყო 251131, ხოლო 2014

წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 434969-ს მიაღწია.<sup>5</sup> მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, საქართველომ 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, საკუთარი პოზიცია მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. თუ იგი 2013 წელს ქსელური მზადყოფნის ინდექსით (Networked Readiness Index) 148 ქვეყანას შორის 65-ე ადგილს იკავებდა, დღეს მან მე-60 ადგილზე გადაინაცვლა.<sup>6</sup> მიუხედავად ამისა, საქართველოში კვლავ არ არის აღმოფხვრილი ე.წ. „ციფრული დაშორება“, ანუ ინტერნეტის ხელმისაწვდომობის თანაბარი განვითარება ქალაქებსა და რეგიონებს შორის.

დღეისათვის ადამიანები ინტერნეტს იყენებენ არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებისა და გართობის მიზნით, არამედ საქონლის შესაძენად. ამასთან, საცალო ვაჭრობის ტექნოლოგია ინტერნეტში სულ უფრო სრულყოფილი ხდება. ელექტრონული მაღაზიები სრულიად ახალ შესაძლებლობას იძლევა ბიზნესში, რომლის აუდიტორია დღითიდღე იზრდება. 2012 წელს გლობალური ელექტრონული გაყიდვები, 2007 წელთან შედარებით, 17%-ით გაიზარდა და მან 521 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.<sup>7</sup> რაც შეეხება ელექტრონული მაღაზიების მომხმარებელთა რაოდენობას, მან 2013 წლისათვის ერთ მლრდს გადააჭარბა.<sup>8</sup> საქართველოშიც ონლაინ გაყიდვები თანდათანობით ვითარდება, რაც მომხმარებელთა ქცევის შესწავლას მოითხოვს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მომხმარებელთა მოტივაციის კვლევა შედარებით ახალია საქართველოში. დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი მომსახურების ცალკეული სახეობის შეძენისას ქართველი მომხმარებლების მოტივაციის საკითხები, რაც კვლავაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის მიზანს წარმოადგენდა ონლაინ მომსახურების ბაზარზე ქართველი მომხმარებლების მოტივაციის ცვლილების კვლევა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგებოდა. პირველი ეტაპის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა შემდგომი გადრმავებული შესწავლისათვის კვლევის ჯგუფის განსაზღვრა. ასეთი მიდგომის მიზანშეწონილობა აისახება კვლევის თავისებურებით, კერძოდ, საერთო სტრატეგიციზირებული შერჩევიდან აუცილებელია იმ ფენების გამოყოფა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ონლაინ-გაყიდვებით. ამისათვის კი საჭიროა ამ ფენებს შორის პროცენტული და რაოდენობრივი თანაფარდობის დადგენა. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა რეპრეზენტაციულობის მეთოდის გამოყენების აუცილებლობა. ამისათვის ვისარგებლეთ სტრატეგიციზირებული შერჩევით. როგორც ცნობილია, სტრატეგიციზირებული შერჩევა წარმოადგენს გენერალური მთლიანობის ელემენტების გარდაქმნას სხვადასხვა სახის ერთგვაროვან ფენებად.<sup>9</sup> ჩვენს შემთხვევაში ესაა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის გამოყოფა, რომლის მიზანია შერჩევის რეპრეზენტაციულობის დაცვა. ამ მახასიათებლის მიხედვით ჩატარდა მოსახლეობის დაჯგუფება. შემდგომ, თითოეული ჯგუფის მოცულობის პროპორციულად, მოვახდინეთ შერჩევის ფორმირება ისეთნაირად, რომ იგი რეპრეზენტაციული ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ ინტერნეტ-მაღაზიების მომსახურების მონაცემები სარწმუნო არ იქნებოდა.

შერჩევის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ მექანიკური შერჩევის მეთოდი, რომლითაც ამონაკრების რაოდენობა (n) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:<sup>10</sup>

$$n = \frac{t^2 \times \delta^2 \times N}{t^2 \times \delta^2 + \Delta^2 \times N}$$

სადაც  $t$  არის ნორმირებული გადახრა, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება სტატისტიკურ ცხრილში მოცემული სანდო ალბათობის მიხედვით,  $\delta^2$  არის

დისპერსია,  $\Delta$  - შერჩევის ცდომილება (შეცდომა),  $N$  - გენერალური მთლიანობის რაოდენობა.

რაც შეეხება სანდოობის დონეს, მარკეტინგული კვლევის ჩატარებისას, ჩვეულებრივ, განიხილება მისი ორი მნიშვნელობა: 95 % ან 99 %. ჩვენ ავიღეთ 95 %-იანი სანდო ალბათობა, შესაბამისად,  $t = 1,96$ .<sup>11</sup>

დისპერსია განისაზღვრება ექსპერიმენტის, მეორადი მონაცემების, საცდელი კვლევის ან ანალოგიური კვლევის საფუძველზე. ჩვენს შემთხვევაში შერჩევა ახლად ფორმირდება, ამიტომ დისპერსია უცნობია და ვიყენებთ მის საგარაუდო მნიშვნელობას. ცნობილია, რომ უდიდესი ვარიაცია მიიღება იმ შემთხვევაში, როცა გენერალური მთლიანობის ერთი ნახევარი (50 %) მოიხმარს მოცემულ პროდუქტს, ხოლო მეორე ნახევარი (50 %) – არა.<sup>12</sup>

შედეგების საიმედოობის დადგენისათვის ჩვენ გამოვიყენეთ მარკეტინგულ კვლევებში მიღებული შეფასების სისტემა. კერძოდ, მაღალი საიმედოობა უშვებს შერჩევის შეცდომას 3 %-მდე, ჩვეულებრივი – 3-დან 10 %-მდე, მიახლოებული – 10-დან 20 %-მდე, საორიენტაციო – 20-დან 40 %-მდე.<sup>13</sup> ჩვენს შემთხვევაში ცდომილება არის 4 %.

ზემოაღნიშნული მონაცემების, აგრეთვე სადენიანი ინტერნეტ აბონენტების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, შერჩევის მოცულობა ჩვენს შემთხვევაში არის 600 ადამიანი. გამოკითხვის არეალი მოიცავდა თბილისს. ბაზრის კვლევისათვის გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. ანკეტური გამოკითხვა ჩატარდა სატელეფონო და ინტერნეტ მეთოდების საშუალებით.

მარკეტინგული კვლევის შედეგად შევისწავლეთ ის ძირითადი მოტივები, რომლებიც საქართველოში ონლაინ მაღაზიების მომხმარებელთა ქცევას განაპირობებს. გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა 62,5% მდებარეობით სქესის წარმომადგენელია, ხოლო 37,5% არის მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ასაკობრივ სტრუქტურაში დომინირებენ ახლგაზრდები. გამოკითხულების 69,5% 20-24 წლისაა, 18,5% - 25-34 წლის, 8,5% - 35-54 წლის, ხოლო 3,5% 55 წელზე მეტი ასაკისაა. რესპონდენტების დიდი ნაწილი (49%) არის სტუდენტი, 47,5% - უმაღლესი განათლებითა, 1,5%-მა დაამთავრა სპეციალური პროფესიული სასწავლებელი, ხოლო 2%-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება. გამოკითხულის 37,5% დაქორწინებულია კერძო სექტორში, 29% არის უმუშევარი, 21% მუშაობს სახელმწიფო სექტორში, 11,5%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი, ხოლო 1% მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციაში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხული რესპონდენტების 86,5 % არის ინტერნეტ-მაღაზიის მომხმარებელი, ხოლო 13,5 %-ს საქონელი ინტერნეტის საშუალებით არასოდეს შეუქენია. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ადამიანები უარს ამბობენ, საქონელი და მომსახურება ინტერნეტით შეიძინონ. კერძოდ, რესპონდენტების 40,7% ფიქრობს, რომ სჯობია საქონელი ნახონ "ცოცხლად", 22,3%-ისათვის საიმედო მაღაზიის პოვნა რთულია, 18,5%-ს მოტყუების ეშინია, 14,8%-მა არ იცის ინტერნეტით ყიდვა, ხოლო 3,7%-ს ონლაინ-მაღაზიისადმი ახლობლებისაგან უარყოფითი დამოკიდებულება გაუგია, ანუ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც რაიმეს შეძენისას ახლობლების რეკომენდაციებს ითვალისწინებენ. ინტერნეტ-მაღაზიიდან საქონლის გამოწერისათვის აუცილებელია განსაზღვრული ცოდნა, როგორც მინიმუმ, მომხმარებლის დონეზე. გამოკითხულთა 64% თავისუფლად ფლობს ცოდნის ამ დონეს, 35%- ისათვის ეს არც ისე ადვილია, ხოლო 1%- ისათვის საკმაოდ ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა დროის დაკარგვის გარეშე, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად ნებისმიერი სასურველი პროდუქტი შეიძინოს, რესპონდენტების ნაწილი უპირატესობას ყიდვის ტრადიციულ მეთოდებს ანიჭებს. კერძოდ, 54,5% თვლის, რომ ონლაინ-მაღაზიები, ტრადიციულ

მაღაზიებთან შედარებით, უპირატესობით გამოირჩევა. 26,5% ეწინააღმდეგება მათ, ხოლო 19%-ს ასეთ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ინტერნეტ-ვაჭრობაში დიდი ყურადღება ეთმობა პირადი ინფორმაციის დაცვას. ხშირ შემთხვევაში, ინდივიდებს კონკრეტულ ვებ-გვერდზე რეგისტრაციისათვის ძალიან დეტალური ინფორმაციის მიწოდება უწევთ. ამიტომ, ვებ-მაღაზიები დიდი მოცულობით პერსონალურ ინფორმაციას ფლობენ კონკრეტული ინდივიდების შესახებ, რომელთა ანონიმურობა გარანტირებული უნდა იყოს. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ონლაინ-მყიდველების ნახევარზე მეტი წყვეტს შესყიდვებს, თუ ეჭვი გაჩნდება, რომ პირად ინფორმაციას ვებ-გვერდები სხვადასხვა საჭიროებებისათვის იყენებენ და ის სხვა კომპანიებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება. ინტერნეტ-მყიდველების თითქმის ნახევარს კი იმის შიში აქვს, რომ არაკეთილსინდისიერი ქმედების მსხვერპლი გახდება, რაც მათი ანგარიშების გატეხვაში ან საკრედიტო ბარათის კოდის „ქურდობაში“ გამოიხატება. თუმცა, წარმატებული ონლაინ-მაღაზიები უსაფრთხოების სისტემებს ქმნიან, ასევე, აწვდიან მომხმარებლებს ინფორმაციის უსაფრთხოების წესების შესახებ, რაც მათ მიმართ ნდობას ზრდის. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში ონლაინ-მაღაზიებს საერთოდ ენდობა რესპონდენტების 18%, არ ენდობა – 7,5%, ყველას არ ენდობა – 74,5%.

საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის მომხმარებელთა კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხული მომხმარებლების 3% უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ ქართულ ონლაინ-მაღაზიებს. ქართველები უფრო მეტ ინტერესს ამჟღავნებენ უცხოური ინტერნეტ-მაღაზიებისადმი, ესაა გამოკითხულთა 54%, ხოლო ორივეს (უცხოურს და ქართულს) იყენებს რესპონდენტების 43%.

გამოკითხულმა რესპონდენტებმა შეაფასეს ინტერნეტ-მაღაზიის უპირატესობები. უმრავლესობა (32%) ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორად თვლის დროის დაზოგვას. თანამედროვე ეპოქაში ადამიანები ხშირად დროის დეფიციტს განიცდიან, ინტერნეტ-მაღაზიების საშუალებით კი მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს, ფაქტიურად, დროის და ძალისხმევის მინიმალური დანახარჯით, სასურველი პროდუქტი შეიძინონ. გამოკითხულთა 12%-სათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ინტერნეტ-მაღაზიები უზრუნველყოფენ, არის საქონლის შინ მიტანა. საქონლის მასაში საჭირო პროდუქტის ძიების მოხერხებულობას დადებითად მიიჩნევს 9%. ხშირად, ინტერნეტ-მაღაზიები ისეთ პროდუქტს გვთავაზობენ, რომელსაც ტრადიციულ მაღაზიაში იშვიათად თუ ვნახავთ. ამ პრიორიტეტს უპირატესობას ანიჭებს გამოკითხულთა 19%. 7,5%-ს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ინტერნეტი იძლევა შესაძლებლობას, ყიდვის წინ მოვიძიოთ სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ. განსაზღვრული მახასიათებლების მიხედვით საქონლის ადვილად შედარებას უპირატესობას ანიჭებს რესპონდენტთა 3 %, ხოლო სურვილისამებრ პროდუქტის დამატება ან მოკლება მომხმარებელთა 8%-სათვის პრიორიტეტია. რესპონდენტების 3,5%-ზე დიდ გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, თუ როგორ აფასებენ სხვა მომხმარებლები მოცემულ საქონელს. 6%-ზე სპეციალური შეთავაზებები ნაკლებ გავლენას ახდენს.

როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა (21,5%) ინტერნეტ-მაღაზიაში ყიდულობს ფეხსაცმელს, 16% - ტანსაცმელს, 6% - საყოფაცხოვრებო ტექნიკას, 7% - მობილურ ტელეფონს, 5,5% - წიგნებს, 2% - კომპიუტერს, 3,5% ინტერნეტს იყენებს ტურისტული პროდუქტის დასაჯავშნად, 4,5% ყიდულობს პარფიუმერია-კოსმეტიკას, 2% - ჯავშნის კონცერტის ბილეთებს, 3,5% - ტრანსპორტის ბილეთებს, 2,5% - აუდიო- ვიდეო საქონელს, 1,5% - საბავშვო საქონელს, 1,5% - საოჯახო საქონელს, 1% - კვების პროდუქტებს, 0,5% - წამლებს, 2,5% - სპორტულ საქონელს, 3% - სამკაულს, 0,5% ბარის ინვენტარს, 0,5%- ელექტროგიტარას, 1%- მანქანას, 0,5% - საათს, ხოლო 13,5%-ს საქონელი და მომსახურება ინტერნეტის დახმარებით, საერთოდ, არ შეუქენია.

ონლაინ-ყიდვისას საქონლის ღირებულების გადახდა წარმოებს, როგორც ინტერაქტიული საგადასახადო სისტემის მეშვეობით, ასევე, ტრადიციული მეთოდებით - საბანკო ან საფოსტო გადარიცხვით, საქონლის მიყიდველთან მიტანის დროს და ა.შ. რესპონდენტების უმრავლესობა (44,5%) უპირატესობას ანიჭებს საბანკო ბარათების მეშვეობით გადახდას, 21% - ინტერნეტ-გადახდას, 12% - კურიერთან გადახდას, 5,5% - ტერმინალით გადახდას, 2,5% - sms-ით გადახდას, 2% - საფოსტო გზავნილებს, ხოლო დარჩენილი 12,5% კითხვაზე არ პასუხობს.

გამოკითხული რესპონდენტების 46,5% საქონლის მიღებას, ონლაინ-მაღაზიასთან შედარებით, მაღაზიის საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით ამჯობინებს, ხოლო 22%-სათვის უფრო მოსახერხებელია ფოსტის მომსახურება. თვითგატანით საქონლის წაღება მისაღებია 18%-ისათვის, ხოლო 13,5%-მა პასუხზე უარი განაცხადა. ესენი ის რესპონდენტები არიან, რომლებსაც ონლაინ-მაღაზიის მომსახურებით არასოდეს არ უსარგებლიათ.

თანხები, რომელიც ონლაინ-მომხმარებლებმა სხვადასხვა პროდუქტის შესაძენად გასული ერთი წლის განმავლობაში დახარჯეს, შემდეგნაირად გამოიყურება: 100 ლარამდე დახარჯა რესპონდენტების 20,5%-მა, 100-200 ლარი - 25,5%-მა, 200-500 ლარი - 29%-მა, 500-1000 ლარი - 5,5%-მა, 1000 ლარზე მეტი 6%-მა, პასუხზე უარი თქვა 13,5%-მა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმეტესი ნაწილი ინტერნეტ-მაღაზიების მომხმარებელია, კვლევამ ცხადყო, რომ მათი უმრავლესობა პასიური მიყიდველია. კითხვაზე, რამდენად ხშირად ყიდულობთ ინტერნეტით, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: რესპონდენტების 1,5% ინტერნეტით ყიდულობს კვირაში ერთხელ, 20,5% - თვეში ერთხელ, 9,5%- თვეში 2-3 -ჯერ, 29%- ნახევარ წელიწადში ერთხელ, 26%- წელიწადში ერთხელ, ხოლო კითხვაზე არ უპასუხა- 13,5%-მა.

ინტერნეტ-მაღაზიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საქონლის ასორტიმენტით, ფასების დონით, შეთავაზებებით, პროდუქტის მიწოდების არხებით და ა.შ. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქართველი მომხმარებელი ძალიან მგრძობიარეა ფასის მიმართ. გამოკითხული რესპონდენტების 29,5% კონკრეტულ ინტერნეტ-მაღაზიას პროდუქტზე არსებული დაბალი ფასების გამო ირჩევს. 25%-ისათვის მნიშვნელოვანია ფართო ასორტიმენტი. 10% უპირატესობას ანიჭებს მიწოდების მოხერხებულ პირობებს. 18% ენდობა მის მიერ არჩეულ მაღაზიას. 7,5%-ისათვის მთავარია საიტზე მოხერხებული ნავიგაცია. 3,5%-ისათვის აუცილებელი პირობაა ინტერნეტ-მაღაზიაში ნებისმიერ დროს სასურველი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. 3% ბონუსურ ქულებს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო 3,5%-ისათვის მნიშვნელოვანია, ინტერნეტ-მაღაზიამ უზრუნველყოს საქონლის უკან დაბრუნების მოხერხებული სისტემა.

კითხვაზე, ყველაზე მეტად რა უბიძგებს ქართველ მომხმარებელს ონლაინ-ყიდვის უფრო გააქტიურებისაკენ, პასუხები შემდეგნაირად განლაგდა: ფასების შემცირება ააქტიურებს რესპონდენტების 35%-ს, უფასო მიწოდება- 3%-ს, საინტერესო საქონლის შესახებ კარგი შეთავაზებები- 28,5%-ს, საქონლის უკან დაბრუნების მოხერხებული სისტემა- 3,5%-ს, საკუთარი კეთილდღეობის ზრდა- 4%-ს, საბანკო ბარათებით გადახდის საიმედო სისტემა-2%-ს, კრედიტით ყიდვის შესაძლებლობა-1%-ს, სატელეფონო ანგარიშებიდან გადახდის შესაძლებლობა-0,5%-ს, ახლობლების რეკომენდაციები-8,5%-ს, სოციალური ქსელით ყიდვის შესაძლებლობა- 2%-ს, ხოლო გამოკითხულთა 12%-ზე არანაირი პირობა არ მოქმედებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის გაგება, თუ სად მოიძიებენ მომხმარებლები საქონლის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტში. გამოკითხულების 41% მოიძიებს ინფორმაციას მოიძიებს ინტერნეტ-მაღაზიების ფორუმებში, 37,5% - პორტალებში, ხოლო 21,5% - საქონლის შესახებ სპეციალურ რესურსებში.

კითხვაზე, როგორ ღებულობთ ონლაინ-ყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული რესპონდენტების 28% წინასწარ გეგმავს, თუ როდის და რომელი ინტერნეტ-მაღაზიის საშუალებით შეიძინოს მისთვის სასურველი საქონელი ან მომსახურება. 13,5% გადაწყვეტილებას სპონტანურად ღებულობს, ანუ შეიძლება შემთხვევით წააწყდეს რომელიმე პროდუქტს, მოეწონოს იგი და იყიდოს. მათ მსგავსად იქცევიან ის მომხმარებლები (45%), რომლებიც წინასწარ გეგმავენ რაიმეს შეძენას, მაგრამ, ზოგჯერ, გადაწყვეტილებებს სპონტანურადაც ღებულობენ. კითხვაზე არ უპასუხა 13,5%-მა.

რაც შეეხება კუპონებს, რომელსაც სთავაზობენ ესა თუ ის კომპანიები ონლაინ-მომხმარებლებს კონკრეტული საქონლის თუ მომსახურების ხანგძლივად და ფასდაკლებით შესაძენად, გამოკითხული ადამიანების 37,5%-ს საერთოდ არ გაუგია ასეთი საიტის შესახებ, 37,5%-ს გაუგია, მაგრამ შემოთავაზებებით არ სარგებლობს, 19,5% შემოთავაზებებს ეცნობა, მაგრამ არ ყიდულობს, ხოლო 5,5% - ასეთი აქციების გავლენით ზოგჯერ ყიდულობს.

ინტერნეტ-მომხმარებლების კვლევისას შეფასდა ონლაინ-მაღაზიების ვებ-გვერდები და გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები, რომელიც დამახასიათებელია ქართული ვებ-გვერდების ბაზრისათვის. კერძოდ, მომხმარებელთა 24,5% მიიჩნევს, რომ ესაა სტრუქტურის განახლება, 21,5% პრობლემად თვლის მთლიანი განახლების საჭიროებას, 7% - მშობლიურ ენაზე ინფორმაციის ნაკლებობას, 0,5% - არა სანდოობას, 2% - მცირე ასორტიმენტს, 1% - მაღალ ფასებს, ხოლო აღნიშნულის შესახებ გამოკითხულთა 43,5%-ს ინფორმაცია არა აქვს.

კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში ონლაინ-ვაჭრობა სუსტადაა განვითარებული. აქ, ძირითადად, ვხვდებით საცალო მაღაზიებს, რომლებიც ერთ დიდ კატეგორიაში გაერთიანებულ სხვადასხვა სახის პროდუქტს ყიდიან, თუმცა, არჩევანი ძალიან მწირია, რის გამოც, მომხმარებელთა რაოდენობაც ძალიან მცირეა. ამიტომაც გამოკითხულთა 38,5% თვლის, რომ ქართული ინტერნეტ-მაღაზიები პოპულარული არაა. 50% კი საერთოდ ვერ აფასებს რეალობას. მომხმარებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი (11,5%) თვლის, რომ ასეთი მაღაზიები პოპულარულია.

ჩატარებული მარკეტინგული კვლევა საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

1. გამოკითხული რესპონდენტების ოთხი მეხუთედი ინტერნეტ-მაღაზიის მომხმარებელია, ხოლო მეხუთედი ტრადიციული მაღაზიების ერთგულია, ვინაიდან იქ უფრო დამაჯერებელი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ;
2. ინტერნეტ-მაღაზიიდან საქონლის გამოწერა მოითხოვს განსაზღვრულ ცოდნას, (მინიმუმ, მომხმარებლის დონეზე), რასაც ქართველი მომხმარებლების უმეტესობა თავისუფლად ფლობს;
3. ქართველი მომხმარებლები არ ენდობიან ქართულ ონლაინ-მაღაზიებს. მათი უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ უცხოურ მაღაზიებს;
4. ინტერნეტ-მაღაზიების უპირატესობების შეფასებისას ქართველი მომხმარებლები პრიორიტეტს დროის დაზოგვას ანიჭებენ.
5. ონლაინ-მყიდველების ძირითადი ჯგუფია ახალგაზრდობა, რომელთა უმეტესი ნაწილი ამ ეტაპზე არის დაუსაქმებელი და მათ სტაბილური შემოსავლის წყარო არ გააჩნიათ. ამიტომ მათი წლიური დანახარჯი ინტერნეტ-მაღაზიებში არ აღემატება 200-500 ლარს, რაც ონლაინ-ვაჭრობის სიერცეში მინიმალურად ითვლება;
6. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმეტესი ნაწილი არის ინტერნეტ-მაღაზიების მომხმარებელი, კვლევამ ცხადყო, რომ მათი უმრავლესობა პასიური მყიდველია;



7. ქართველი მომხმარებლების გარკვეული ნაწილი კონკრეტულ ონლაინ-მაღაზიას საქონელზე და მომსახურებაზე დაწესებული დაბალი ფასების გამო ირჩევს;
8. ქართული ონლაინ-მაღაზიების პოპულარობის დონე ძალიან დაბალია. მათ მრავალი ნაკლოვანება გააჩნიათ. ამიტომ ქართველი მომხმარებელი ონლაინ-მაღაზიებისა და ონლაინ-მომსახურების დახვეწას ითხოვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა, წამყვანმა ქართულმა კომპანიებმა დანერგონ ისეთი ინტერნეტ-მაღაზიების სისტემები, რომლებიც სტრუქტურით, სასაქონლო ასორტიმენტით, საფასო სტრატეგიით და სხვა მარკეტინგული ინსტრუმენტებით, ონლაინ-მომხმარებლის გემოვნებასთან მაქსიმალურად მიახლოებული იქნება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Roger D.Blackwell, Paul W. Miniard, James F.Engel. Consumer Behaviour. 10<sup>th</sup> Edition, Thomson, 2007, p. 33.
2. Robert E. Franken. Human Motivation. Fifth edition, Thomson, 2003, p. 44.
3. <http://www.internetworldstats.com>
4. <http://eparticipationge.wordpress.com/>
5. საქართველოსკომუნიკაციებისეროვნულიკომისიის(GNCC) მასალები
6. <http://www.weforum.org/issues/global-information-technology>
7. <http://www.internetretailer.com/>
8. <http://www.statista.com/statistics/251666/number-of-digital-buyers-worldwide/>
9. Черчилль Г., Браун Т. Маркетинговые исследования. 5-ое изд. / Пер. с англ. СПб.: Питер, 2007, с.421.
10. Беляевский И., Кулагина Г., Коротков А. Статистика рынка товаров и услуг. – М.: Финансы и статистика, 1995, с. 120.
11. Малхотра, Нэреш К. Маркетинговые исследования.. Практическое руководство, 3-е издание.: Пер. с англ. – М.: Издательский дом „Вильямс“, 2003, с. 449.
12. Голубков Е. П. Маркетинговые исследования: теория, методология и практика. - М.: Издательство „Финпресс“, 1998, с. 223.
13. Ядов В. Социологическое исследование: методология, программа, методы. - М.: Наука, 1995, с. 72.

#### Marketing research of internet-shop consumers' motivation on the Georgian market

**Nugzar Todua**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor

#### Summary

Based on the marketing research, in the work there are investigated / analyzed those main motives that cause/define online-shop consumers behavior. The research shows that number of internet consumers is continuously growing that causes more involvement in the e-trade. There is quantitative method used in the research. Questionnaire based interviews held using telephone and

internet methods. Research outcomes revealed that four fifth of Georgian consumers are internet-shop consumers and one fifth is still loyal to traditional shops. Furthermore, Georgian consumers do not trust Georgian online shops. Most of them prefer only foreign shops. While evaluating advantages of online shops, Georgian consumers give priority to time saving. Online buyers main group is youth that do not have stable income, therefore their spent in internet shops is minimal. Also, majority of them are passive buyers. The research clearly shows that level of Georgian online shops popularity is very low driven by many limitations / drawbacks they have. That's why Georgian consumers request improvements of online shops and online services. Considering above mentions, it is necessary that leading Georgian companies introduce such internet shop systems that by structure, product assortment, pricing strategy and other marketing tools most satisfy online consumer taste.

## დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის მიზეზები და მათი შემცირების გზები ბიზნეს სტატისტიკაში

გოგიტა თოდრაძე

*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის  
ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს უფროსი*

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ბიზნეს სექტორში დაუკვირვებადი, აღუ-რიცხავი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის მთავარ მიზეზებად ბიზნეს რეგისტრში არსებული ხარვეზები და მეწარმეთა მხრიდან სტატისტიკური ანგარიშგებისადმი დაბალი პასუხისმგებლობა გვევლინება.

რეგისტრში არსებული ხარვეზები თავის მხრივ, არასრულყოფილი მოქმედ საწარმოთა გენერალური ერთობლიობის და აქედან გამომდინარე, საწარმოთა არასრული მოცვის მიზეზი ხდება.

ბიზნეს რეგისტრი ქვეყნის მთავარი კომპლექსური რეგისტრია, რომელშიც იდენტიფიკაციის ერთიანი პრინციპების საფუძველზე დაფიქსირებულია ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ან სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, მათი წარმომადგენლობები და ფილიალები.

რეგისტრი საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ქვეყანაში საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნის პროცესებს, დავაჯგუფოთ არსებული ეკონომიკური სუბიექტები საქმიანობის სახეების, საკუთრების ფორმების, სამართლებრივი ფორმების, რეგიონების, საწარმოთა ზომისა და სხვა მრავალი ნიშნის მიხედვით. რეგისტრის გამოყენებით გარკვეულწილად შესაძლებელია ნათელი მოეფინოს ჩრდილოვან ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებსაც.

საქართველოში ბიზნეს რეგისტრის წარმოებას და მის აქტუალიზაციას ახორციელებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. საქსტატის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს 2009 წლის დეკემბრიდან წარმოადგენს საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის" შესახებ.

ბოლო პერიოდში სტატისტიკურ კვლევებში ბიზნეს რეგისტრის როლის ზრდასთან ერთად, მისი ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით საქსტატის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა.

ბიზნეს რეგისტრი მოიცავს ქვეყანაში რეგისტრირებულ ყველა ეკონომიკურ სუბიექტს, ფიზიკური პირების ჩათვლით. მისი სტრუქტურა არის საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისი. მისი განახლების ძირითად წყაროს

წარმოადგენს ყოველთვიურად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემები.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ბიზნეს სტატისტიკის კვლევები და აქედან გამომდინარე შერჩევის სამუშაოები ეფუძნება ადმინისტრაციულ წყაროებს. ჩვენს ქვეყანაში ადმინისტრაციულ მონაცემებზე წვდომა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით "ოფიციალური სტატისტიკის" შესახებ და მთავრობის სპეციალური დადგენილებით, რომელიც ავალდებულებს შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს საქსტატთან თანამშრომლობას.

გარდა ამისა, მთავრობის დადგენილებების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 2011 წელს, შემოსავლების სამსახური საქსტატს დადგენილი პერიოდულობით აწვდის ინფორმაციას აქტიური გადასახადის გადამხდელების შესახებ, რომელიც შეიცავს აგრეთვე მონაცემებს სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის კვლევების ჩატარების თვალსაზრისით.

საჯარო რეესტრიდან საქსტატი დებულობს მონაცემებს ახლად რეგისტრირებული და ლიკვიდირებული ორგანიზაციების შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას ცვლილებებთან დაკავშირებით. ხოლო შემოსავლების სამსახურიდან, როგორც უკვე აღინიშნა, მიიღება მონაცემები აქტიური გადასახადის გადამხდელების შესახებ.

ბიზნეს რეგისტრის განახლების პროცედურები არის ავტომატიზებული, რაც გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ავტომატურად აისახება ბიზნეს რეგისტრში.

ადმინისტრაციული მონაცემები ძალზედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნეს რეგისტრის განახლების თვალსაზრისით, რადგანაც რეგისტრში ცალკეული ეკონომიკური ერთეულის შესახებ დაახლოებით 25 დასახელების მაჩვენებლიდან, თითქმის 80% ადმინისტრაციული წყაროებიდან მიიღება.

როგორც წესი, სტატისტიკურ მონაცემთა მაღალი ხარისხი, ადმინისტრაციული მონაცემებისა და სხვადასხვა სახის კვლევის კომბინაციით მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ბიზნეს რეგისტრის განახლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ბიზნეს სტატისტიკის კვლევები. საწარმოთა კვარტალური და წლიური პერიოდულობის სტატისტიკური კვლევების საფუძველზე, სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების შეგროვების პარალელურად, ხორციელდება გამოკვლეულ საწარმოთა შესახებ ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და საკონტაქტო ინფორმაციის განახლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ წყაროებიდან მიღებული მონაცემთა ბაზები ფაქტიური მისამართისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ ინფორმაციას შეიცავს საწარმოთა მხოლოდ გარკვეული ნაწილისათვის. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში მითითებული ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ შესაძლოა იყოს არასრული ან არაზუსტი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს უდიდეს პრობლემას რეგისტრისათვის და აქედან გამომდინარე ბიზნეს სტატისტიკის კვლევებისათვის.

ამიტომ, აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით საქსტატი ყოველთვიურად ატარებს კომპიუტერიზებულ სატელეფონო გამოკითხვას, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს აქტიური კომპანიების სტატუსის, ფაქტიური მისამართებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და/ან დაზუსტება, ცალკეული ადგილობრივი ერთეულების დონეზე.

ბიზნეს რეგისტრის განახლების გარდა ადმინისტრაციულ მონაცემებს დიდი გამოყენება აქვს აგრეთვე დემოგრაფიული სტატისტიკის, ტრანსპორტის, მშენებლობის, განათლების, ჯანდაცვის, საგარეო ვაჭრობისა და სხვა დარგობრივი სტატისტიკის წარმოებაში.

საქართველოში 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ბიზნეს რეგისტრი მოიცავს დაახლოებით 581 000 ეკონომიკურ ერთეულს და შეიცავს დაახლოებით 25 დასახელების მანქანებელს თითოეული მათგანის შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ ხელმისაწვდომია რეგისტრირებული ეკონომიკური ერთეულების 45 პროცენტის შესახებ, ინფორმაცია ფაქტიური მისამართის შესახებ - რეგისტრირებული ეკონომიკური ერთეულების 60 პროცენტის შესახებ; ამასთან, მონაცემები ბრუნვის და/ან შემოსავლის შესახებ მითითებული აქვს 42 პროცენტს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობის მანქანებელი - 18 პროცენტს, რაც გარკვეულწილად რეგისტრის ხარვეზებზე მიუთითებს.

საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს. ამ მიმართულებით საქსტატი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია რამოდენიმე წლიანი თანამშრომლობა შედეგთის სტატისტიკის სამსახურთან, რომლის ერთ-ერთ კომპონენტსა და მიზანს საქართველოში ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესება და განვითარება წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, საქსტატის მიერ, შეედ ექსპერტებთან ერთად განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიქმნა ახალი მონაცემთა ბაზა და ჩამოყალიბდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტრუქტურა; შეიქმნა ახალი პროგრამული უზრუნველყოფა; გაუმჯობესდა ადმინისტრაციულ მონაცემებზე წვდომა და რეგისტრის განახლების თვალსაზრისით დაიგეგმა სპეციალური კვლევები; ჩამოყალიბდა რეგისტრის განახლების ახალი, ავტომატიზებული პროცედურები; შეიქმნა სრულყოფილი დოკუმენტაცია, სადაც დეტალურადაა აღწერილი თითოეული ნიუანსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო რეგისტრისა და შემოსავლების სამსახურის ბაზებზე საქსტატის ხელმისაწვდომობამ და ამ უწყებების შეთანხმებულმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქსტატის მხრიდან ეკონომიკური სუბიექტების რეგისტრაცია, სტატისტიკურ აღრიცხვიანობა და აქედან გამომდინარე სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით რეკომენდირებულია აგრეთვე ეკონომიკური აღწერების ჩატარება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, არასაკმარის ფინანსური რესურსების გამო საერთოდ არ ჩატარებულა. ხოლო აღწერათა შორის პერიოდებში უნდა განხორციელდეს ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია, როგორც ადმინისტრაციული წყაროებით, ასევე სპეციალური კვლევებით.

ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესებისკენაა მიმართული აგრეთვე რეგისტრირებულ საწარმოთა ეტაპობრივი აქტუალიზაცია სხვადასხვა დარგების მიხედვით. პრიორიტეტად უნდა იქნას აღებული ის დარგები და უპირველეს ყოვლისა იმ დარგებში უნდა ჩატარდეს ბაზის აქტუალიზაცია, რომლებშიც შედარებით დიდი დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების აღბათობა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების სამუშაოებს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი და შეუქცევადი ხასიათი, ვინაიდან აღნიშნული პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაჭრა შეუძლებელია.

ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე საქსტატმა შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის შედეგადაც ყალიბდება საწარმოთა

გენერალური ერთობლიობა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნეს სტატისტიკის კვლევის საფუძველს და აქედან გამომდინარე ნათელია ბიზნეს რეგისტრის როლი და მნიშვნელობა არა მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემთა საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, არამედ დაუკვირვებელი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების თვალსაზრისით.

საწარმოთა გენერალური ერთობლიობის ჩამაყალიბების მიზნით, ბიზნეს რეგისტრის გაფილტვრა სამ ეტაპად ხორციელდება:

**პირველი ეტაპზე** ბიზნეს რეგისტრიდან გამოირიცხება იმ ორგანიზაციულ-სამარ-თლებრივი ფორმის მქონე ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნეს სტატისტიკის შესწავლის ობიექტებს (მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არაკომერციული ორგანიზაციები და სხვა).

**მეორე ეტაპზე** ხორციელდება იმ საქმიანობის სახეების მქონე ეკონომიკური ერთეულების გამოთიშვა, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნეს სტატისტიკის შესწავლის ობიექტებს (საფინანსო შუამავლობა, სახელმწიფო მმართველობა და ა. შ).

**მესამე ეტაპზე** ხორციელდება ბიზნეს რეგისტრიდან არააქტიური ეკონომიკური ერთეულების გამოთიშვა.

საქსტატში მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით, აქტიურია საწარმო თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთს:

- ნებისმიერი სახის დეკლარაციაში (დღგ-ს, საშემოსავლო და სხვა) მითითებული აქვს:
  - ბრუნვა  $>0$ ;
  - დასაქმებულთა რაოდენობა  $>0$ ;
- სახელფასო ცნობაში დაფიქსირებული აქვს ხელფასი ან დასაქმებულთა რაოდენობა;
- მოგების დეკლარაციაში დაფიქსირებული აქვს მოგება ან ზარალი;
- გადაიხადა ნებისმიერი სახის გადასახადი, გარდა მხოლოდ ქონების გადასახადისა.

აღწერილი პროცედურების შედეგად, ბიზნეს რეგისტრიდან მიიღება საწარმოთა გენერალური ერთობლიობა, რომელიც მოიცავს აქტიურ არაფინანსურ კორპორაციებს (ბიზნეს სექტორს) და წარმოადგენს საქართველოში სხვადასხვა სახის ბიზნეს კვლევების განხორციელების საფუძველს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეწარმეთა მხრიდან სტატისტიკური ანგარიშგებისადმი დაბალი პასუხისმგებლობა ასევე დაუკვირვებელი, აღურიცხავი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს.

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის (11/12/2009 № 2291 – რს) 25-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ეხება სტატისტიკური და სხვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, "საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური)".

თუმცა, ზემოთ ხსენებული კანონი არ ავალდებულებს გადასახადის გადამხდელებს საქსტატთან თანამშრომლობას, რაც გარკვეულ შემთხვევებში გამოიხატება საწარმოთა მხრიდან სტატისტიკური ანგარიშგებისადმი დაბალ პასუხისმგებლობაში, მათ მიერ სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარების დაგვიანებით წარმოდგენასა და ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ, თანამშრომლობაზე უარის თქმაში.

განსაკუთრებით მტკივნეულია ის შემთხვევები, როდესაც სტატისტიკის სამსახურთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ მსხვილი ზომის საწარმოები, რადგანაც საქართველოში მსხვილი ბიზნესის წილი ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 80%-ს აღემატება.

ამასთან, საშუალო და მცირე ზომის საწარმოებს საქსტატი იკვლევს შერჩევითი მეთოდით, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეული შერჩეული საწარმო რამოდენიმე საწარმოს წარმომადგენელია. აქედან გამომდინარე, ერთი საწარმოს გამოუპასუხებლობა, რეალურად რამოდენიმე საწარმოს გამოუპასუხებლობის ტოლფასია, რაც საბოლოო ჯამში აუარესებს მონაცემთა ხარისხს, ამცირებს ინფორმაციის საიმედოობას და ზრდის დაუკვირვებადი, აღურიცხავი ეკონომიკის მასშტაბებს.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში გამოუპასუხებლობა ბიზნეს კვლევებში დაახლოებით 2-3 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა (მსხვილ საწარმოებში კი 3-4 პროცენტის ფარგლებში).

გამოუპასუხებლობის შემთხვევაში, პრაქტიკაში მონაცემთა შესავსებად ორ მეთოდს იყენებენ ა) **ექსპერტული შეფასება** (ანუ, გამოუპასუხებელი საწარმოს მონაცემთა შევსება ადმინისტრაციული წყაროებიდან და აღნიშნულ საწარმოს მიერ გასულ პერიოდში წარმოდგენილი მონაცემებიდან) ბ) **მონაცემთა გადაწონვა** (იმ შემთხვევაში, თუ გამოუპასუხებელი საწარმოს შესახებ არ მოიპოვება ინფორმაცია ადმინისტრაციულ წყაროში, ან აღნიშნული საწარმოს შესახებ არ არსებობს ახალი მონაცემები, გამოუპასუხებლობის შეფასება ხდება მონაცემთა შეწონვისას).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში გამოუპასუხებლობა მაინც შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც საქსტატის თანამშრომელთა დიდი ძალისხმევის შედეგია. გამოუპასუხებლობის შემცირების მიზნით, საქსტატი გასული პერიოდის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა დარგობრივ ასოციაციებთან (რომლებიც აერთიანებდნენ ათასობით მეწარმეებს), ატარებდა ტრენინგებს კითხვარების შევსებასთან დაკავშირებით, აწყობდა ფოკუს ჯგუფებს, სადაც მიმდინარეობდა ბიზნეს სექტორის გამოკვლევის კითხვარების განხილვა. მსგავსი ტიპის თანამშრომლობისას საქსტატი ითვალისწინებდა მეწარმეების საქმიან შენიშვნებსა და შეხედულებებს, კითხვარების გამარტივებისა და რესპოდენტთა ტვირთის შემცირების თვალსაზრისით.

ანალოგიური სამუშაოები დღესაც გრძელდება, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქსტატის თანამშრომლებს ე. წ. "უდისციპლინო" საწარმოებთან უხდებათ ერთი და იგივე საკითხებზე რამოდენიმეჯერ დაკავშირება და მათი "გაფრთხილება" კითხვარების დროულად წარმოდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შესაბამისი გამოკვლევის როლისა და საქსტატთან თანამშრომლობის მნიშვნელობის ახსნა-დასაბუთება, რომელიც ყოველთვის ვერ ამართლებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პროცედურებში (მეწარმეებთან რამოდენიმეჯერ დაკავშირება და ა. შ.) ზედმეტი შრომითი და ფინანსური რესურსები იხარჯება. გარდა ამისა, მეწარმესთან რამოდენიმეჯერ დაკავშირება, ხშირ შემთხვევაში მის უკმაყოფილებას და გაღიზიანებას იწვევს, რის გამოც საქსტატის წარმომადგენლები არაერთხელ ყოფილან შეურაცხოვის თუ დამცირების ობიექტები.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ეკონომიკური სუბიექტების თანამშრომლობა სტატისტიკის სამსახურთან არის სავალდებულო. უფრო მეტიც, თითოეულ მათგანს განსაზღვრული აქვს ჯარიმის გარკვეული ოდენობები, კითხვარების წარმოდგენლობის, აგრეთვე მათი დაგვიანებით ან დამახინჯებით წარმოდგენის თავიდან აცილების მიზნით.

აღსანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში გამოუპასუხებლობა მაინც არსებობს და ყოველთვის არ იყენებენ საჯარიმო სანქციების. როგორც წესი, იმ შემთხვევაში, როცა საწარმო არ წარმოადგენს კითხვარს დადგენილ ვადებში, სტატისტიკის სამსახური მას უგზავნის ოფიციალურ შეტყობინებას (გაფრთხილების სახით), სადაც ხაზგასმულია მეწარმის ვალდებულებები და სანქციები, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევაში პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება.

ჩვენს ქვეყანაში ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, უახლოეს მომავალში იგეგმება სტატისტიკის სფეროში კანონმდებლობის გადახედვა. მიიჩნევა, რომ უნდა არსებობდეს ვალდებულება მეწარმის მიერ დადგენილი პერიოდულობით სტატისტიკის სამსახურთან ამა თუ იმ კითხვარების წარდგენის შესახებ, ხოლო კითხვარის დაგვიანებით წარდგენის ან თანამშრომლობაზე უარის შემთხვევაში უნდა არსებობდეს შესაბამისი სანქცია, თუნდაც ჯარიმის სახით. ამასთან, ჯარიმის გადახდა საწარმოს არ უნდა ათავისუფლებდეს კითხვარის წარმოდგენისაგან.

გარდა ამისა, სასურველია შერჩევაში მოხვედრილი მცირე საწარმოებისათვის საინფორმაციო ბუკლეტების დაგზავნა, ვინაიდან ზოგიერთ მეწარმეს არა აქვს საქსტატთან თანამშრომლობის პრაქტიკა, არ ესმის შერჩევის არსი და აღნიშნული პროცესი იწვევს მის უკმაყოფილებას, რაც საბოლოო ჯამში შესაძლოა გამოუპასუხებლობის მიზეზი გახდეს.

აგრეთვე მიზანშეწონილია სხვადასხვა პერიოდულობით, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით მეწარმის ინფორმირებულობა, მის მიერ სტატისტიკის სამსახურში წარდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე და ზოგადად ქვეყნისათვის სტატისტიკური მონაცემების როლსა და მნიშვნელობაზე.

როგორც მოგეხსენებათ, სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილია "ოფიციალური სტატისტიკის" შესახებ საქართველოს კანონით. ამასთან, მონაცემთა კონფიდენციალურობა ვრცელდება არა მხოლოდ კერძო არამედ სახელმწიფო (მათ შორის სამთავრობო) დაწესებულებებზეც, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში, მეწარმეთა გარკვეული ნაწილი მაინც უშვებს იმის ალბათობას, რომ საქსტატში მის მიერ წარდგენილი მონაცემები, შესაძლოა სხვა სახელმწიფო (თუნდაც მაკონტროლებელი) ორგანოების ხელშიც აღმოჩნდეს.

დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა აქტიურ ფაზაშია შესული, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზრდება საქსტატის იმიჯი, საწარმოთა პასუხისმგებლობა სტატისტიკური ანგარიშგებისადმი და თავის მხრივ საქსტატის წარმომადგენლებიც აღარ დაკარგავენ დიდ დროსა და ძალისხმევას რესპოდენტების გაფრთხილებასა და ხვეწნაში. აღნიშნული პრობლემების მოგვარებით, ვფიქრობ შემცირდება აღურიცხავი, დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბებიც და გაიზრდება საწარმოთა მოცვის ხარისხი. საწარმოებზე უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან აღნიშნულ საქმეს, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხს და სტატისტიკური მონაცემების საიმედოობას.

## **The reasons of escalation of non-observed economy in business statistics and the ways of their reduction**

**Gogita Todradze**

Geostat, Head of Business Division

### **Summary**

In most countries of the world the main reasons of escalation of share of non-observed economy in business sector are the gaps of business register and low statistical reporting from entrepreneurs.

Role of Business Register for business surveys is huge, because all business surveys are based on the business register and Geostat uses only one sampling frame for all surveys;

The gaps in the register cause incomplete sampling frame of active enterprises and, therefore, incomplete coverage of enterprises.

As for the low responsibility of the respondents to report, it is due to the legislation in force, which does not oblige them to cooperate with the statistical office.

With regard to improvement of the quality of the business register and the growth of responsibility of the respondents, a great deal of work was carried out by the Geostat, but they have to be lasting and irreversible, since these problems could not be solved in one swoop.

Working on these issues is still underway, which will significantly increase the image of the Geostat, responsibility of enterprises to the statistical reporting and the representatives of the Geostat shall not lose a lot of time and efforts in pleadings and warnings to the respondents. By solving these problems the share of unobserved economy will be reduced and the quality of coverage of the enterprises will increase. The enterprises will have more responsible approach to this matter as well, which in its turn will improve the quality of the presented information and reliability of the statistical data.

## სადაზღვევო ურთიერთობათა სტატისტიკური ხასიათი

ნატო კაკაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში ხანდაზმული მოსახლეობის მატება პროგრესული ხასიათისაა და ეს არც თუ ისე კარგ პირობებში ჩააყენებს ამ ქვეყნებს. მათ მოუწევთ უფრო მეტი ძალისხმევის გაწევა, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს.

**მაღალი და დაბალი ფერტილობის/რეპროდუქციის (15-49) მქონე ქვეყნები 2012-2013 წწ**

2012				2013			
მაღალი	%	აბალი	%	მაღალი	%	დაბალი	%
ნიგერია	7,1	ტაივანი	1,1	ნიგერია	7,6	ბოსნია	1,2
სომალი	6,4	ლატვია	1,1	ჩადი	7,0	ტაივანი	1,3
ბურუნდი	6,4	სინგაპური	1,2	სომალი	6,8	მოლდოვა	1,3
ალი	6,3	ბოსნია	1,2	კონგო	6,3	პოლონეთი	1,3
ანგოლა	6,3	სამ.კორეა	1,2	ანგოლა	6,3	პორტუგალია	1,3
კონგო	6,3	უნგრეთი	1,2	ბურუნდუ	6,2	სინგაპური	1,3
ზამბია	6,3	მოლდოვა	1,3	განდა	6,2	სამ. კორეა	1,3
ავღანეთი	6,2	პოლონეთი	1,3	ცენ.აფრიკა	6,2	ესპანეთი	1,3
განდა	6,2	რუმინეთი	1,3	მალი	6,1	სლოვაკეთი	1,3
ბურკინა	6,0	პორტუგალია	1,3	ბურკინა	6,0	უნგრეთი	1,3

წყარო: [www.prb.org](http://www.prb.org)

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ბოლო წლებში აფრიკის კონტინენტი ინარჩუნებს რეპროდუქციული ასაკის დონეს, ხოლო შემდეგ მოდის ევროპისა და აზიის ქვეყნები და დანარჩენი მსოფლიო. იმის მიუხედავად, რომ აფრიკა ჯერ კიდევ დემოგრაფიულად ახალგაზრდა რეგიონია, ხანდაზმულთა პრობლემები, ჯანსაღი და უზრუნველი სიბერის პრობლემები აქაც ძალზე აქტუალურია. თუ ევროპაში დაბერება „ქვემოდან“ დაიწყო, ლათინურ ამერიკასა და აზიაში „ქვემოდან“ და „ზემოდან“, აფრიკის დაბერებას განსაზღვრავს „შუადან“ დაბერება, ანუ შუა ასაკობრივი ჯგუფების ხარჯზე მოხუცთა წილის ზრდა. ევროპაში მოსახლეობის დაბერება დეპოპულაციის ვითარებაში მიმდინარეობს. აქ მოსახლეობის ზრდა ძირითადად მიგრაციის ხარჯზე ხდება. ერთადერთი ქვეყანა, სადაც 90-იან წლებში მოხუცთა წილის შემცირება შეიმჩნეოდა ირლანდიაა. დემოგრაფიულ მანქანებელთა არსებითი ცვლილებები არ ყოფილა ავსტრიაში, დანიასა და დიდ ბრიტანეთში. მიუხედავად განსხვავებისა, ევროპის ქვეყნების დემოგრაფიულ განვითარებას მაინც ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს: ბუნებრივი მატების შემცირება და დეპოპულაცია, რაც ევროპას მოხუც რეგიონად აქცევს.

მოსახლეობის დაბერების პრობლემა მეტად აქტუალური გახდა აზიის ავსტრალიისა და ოკეანეთის სხვა ქვეყნებშიც. გაეროს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, რომელმაც მოიცვა 8 ქვეყანა (ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, სინგაპური, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა, ავსტრალია და აშშ-ს ოკეანეთი) აჩვენა, რომ მოსახლეობის დაბერების პროცესით გამოწვეული პრობლემები უახლოესი 20 წლის მანძილზე ამ ქვეყნებში მწვავედ იქნეს თავს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- „დემოგრაფია“ – მერაბ ხმალაძე, თბილისი, 2009 წელი
- „ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში“ – მზია შელია, თბილისი, 2013 წელი
- [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- [www.un.org](http://www.un.org) - გაეროს ოფიციალური საიტი
- [www.prb.org](http://www.prb.org) – world population data sheet 2012-2013, მსოფლიო მოსახლეობის მონაცემები
- <http://www.aoa.gov> – administration on aging - დაბერების ადმინისტრაცია
- [www.wikipedia.org/demography](http://www.wikipedia.org/demography)

#### **Population Ageing in Georgia**

**Giga Kikoria**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MA student

This report discusses the demographic situation in Georgia as well as in the world. Highlights the main problems that may be encountered as a result of demographic aging. All this shows how the problem will be solved and how they should behave in order to create a better future.

## საინჟინრო ფსიქოლოგიის და ერგონომიკის მიზნები

ლია კვარაცხელია *ტექნიკური უნივერსიტეტი*  
*ასოცირებული პროფესორი*  
გულიკო ყურაშვილი  
*ტექნიკური უნივერსიტეტი*  
*ასოცირებული პროფესორი*

ინგლისელმა ეკონომისტმა მარელმა 1967 წ. გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „რატომ ერგონომიკა?“, სადაც ასახული იყო საზოგადოების აზრი ამ ახალ მიმართულებაზე. მეცნიერულ ტექნოლოგიური რევოლუცია განისაზღვრება, როგორც გადასვლა ტექნიკური ნაკეთობებიდან ტექნიკურ სისტემაზე, ადამიანი სულ უფრო თავისუფლდება შრომატევადი ფუნქციისაგან და მისთვის უფრო ძირითადი ხდება „მანქანის“ მუშაობაზე პროგრამირების და კონტროლის ფუნქცია. ავტომატიზაციაზე გადასვლისას თანმიმდევრულად იზრდება ადამიანის, როგორც სუბიექტის როლი შრომასა და მართვაში. ადამიანს აკისრია პასუხისმგებლობა მთელი ტექნიკური სისტემის ეფექტიან მუშაობაზე. წარმოების ავტომატიზაცია აუმაღლებს შრომის პირობებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ავტომატიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო შემთხვევა და მოგვცეს რთული დაძაბულობა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობის ამაღლება. მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელიც ახდენს წარმოების ყველა დარგის გარდაქმნას, ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებაზე. ერგონომიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს კანონს მუშაობის შესახებ („ერგო“ - მუშაობა, „ნომოს“- კანონი) . ერგონომიკა არის მეცნიერება, როლის მიზანია შეიქმნას ოპტიმალური სისტემა: „ადამიანი-მანქანა“ - ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფუნქციონალური ანატომიის, ფსიქოლოგიისა და ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევების დახმარებით; გამოინახოს შრომისა და ყოფა-ცხოვრების ყველაზე უფრო კომფორტული პირობები. ერგონომიკა შეიქმნა XX-ის 40-იანი წლების დამლევის ინგლისში. ერგონომიკა კომპლექსურად შეისწავლის ინდივიდის ფუნქციურ შესაძლებლობებს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. XX ს. დასაწყისში ტექნიკის რთული სახეების (ავტომობილის, ლოკომოტივის და ა.შ.) შექმნასთან ერთად, რომლებიც ითხოვდნენ სწრაფ რეაქციას, ადამიანის ფსიქოლოგიური თვისებების მიმართ წამოყენებულ იქნა ახალი მოთხოვნები. ერგონომიკის სპეციალისტები სამუშაო პროექტირებისას ეყრდნობიან ადამიანის ანატომიის ცოდნას იმისთვის, რომ ადამიანებმა მაქსიმალური თვითგადებითა და ჯანმრთელობისთვის მინიმალური დანაკარგებით იმუშაონ და აამაღლონ შრომის ნაყოფიერება. დისციპლინა აგრეთვე ცნობილია ადამიანური ფაქტორის სახელწოდებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ტექნიკის განვითარება, შრომის საერთო პირობების გაუმჯობესება, რიგ შემთხვევაში არასასურველი კუთხით გაძლიერებულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე (ჰაერის დაბინძურება, რადიაციული ფონი, ეკოლოგიური პრობლემები და ა.შ.), ამიტომ შრომითი საქმიანობის პირობების ოპტიმიზაცია შეიძლება მხოლოდ სისტემის „ადამიანი შრომის საშუალება - შრომის საგანი-საწარმოო გარემო“-ს კომპლექსური პროექტირებით. ერგონომიკის და ინჟინრული ფსიქოლოგიური დაპროექტების საბოლოო მიზანი „ადამიანი-მანქანა“ სისტემის შექმნაა, რომელიც ადამიანის ფაქტორის მაქსიმალური გათვალისწინებით შეასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს. სისტემის შესაბამისი პარამეტრების საბოლოო მიზნების მიღწევის ხარისხს ეწოდება „ადამიანი-მანქანის“ სისტემის ეფექტიანობა. ეფექტიან სისტემას აქვს რესურსების გამოყენების საუკეთესო

მაჩვენებლები. სისტემის შესაფასებლად ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმების პარამეტრების შერჩევა სხვადასხვაგვარად ხდება.

სისტემის ეფექტიანობის შეფასება, ადამიანისეული ფაქტორის გათვალისწინებით, მდგომარეობს მის გამოცდასა და შეფასებაში. ეს მოთხოვნები დაფიქსირებულია საინჟინრო-ფსიქოლოგიურ და ერგონომიკურ სტანდარტებში. სისტემის დაპროექტების პროცესის ხვადასხვა ეტაპზე ექსპერტიზის განხორციელება საინჟინრო-ფსიქოლოგიური დაპროექტების საშუალებას იძლევა. ამ დროს შეფასება ექვემდებარება:

- სამუშაოს შემსრულებელთა კვალიფიკაციის და მომზადების დონეს;
- ტექნიკის საინჟინრო-ფსიქოლოგიურ დახასიათებას;
- საქმიანობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს;
- ადამიანი-ოპერატორის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს და სამუშაო პირობებს.

„ადამიანი-მანქანა“ სისტემის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის იყენებენ მრავალდონიან ტექნიკურ-ტექნოლოგიურ კომპლექსს და ორგანიზაციულ-მეთოდურ დახმარებებს(ამოცანებს), რომლებშიც ასახულია დაპროექტების სფეროში მეცნიერების და ტექნიკის თანამედროვე დონე. განვიხილოთ ფსიქოლოგიური და საინჟინრო-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ზოგიერთი მეთოდი.

ოპერატორი, როგორც „ადამიანი-მანქანა“ სისტემის ელემენტი, ხასიათდება საიმედოობის ცნებით- დადგენილ სამუშაო პირობებში შეინარჩუნოს მოთხოვნილი ხარისხი. ვ.დ. ნებილიცინი თვლიდა, რომ ადამიანი-ოპერატორის საიმედოობა განპირობებულია სამი ძირითადი ფაქტორით:

- წარმოქმნილი ამოცანების გადაწყვეტისას ტექნიკის და ოპერატორის ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების თანხვედრის ხარისხით;
- ოპერატორის მიმართ განსწავლულობის და მოთხოვნის დონით;
- ოპერატორის ფიზიოლოგიური მონაცემებით, ნერვიული სისტემის თავისებურებებით, მგრძობელობის ზღვარით და ჯანმრთელობის მდგომარეობით.

ოპერატორის საიმედოობა მნიშვნელოვნად მცირდება საქმიანობის ექსტრემალურ პირობებში ან შტატგარეშედ ყოფნისას. ეს მდგომარეობა გაითვალისწინება ფუნქციების გაყოფის, დუბლირების და ოპერატორის დატვირთვის და პროექტების დროს. ოპერატორის საიმედოობა ხასიათდება უშეცდომობის მაჩვენებლით, მზადყოფნით, აღდგენითობით და დროულობით. უშეცდომობა განისაზღვრება სამუშაოს შესრულების უშეცდომობის ალბათობით, რომელიც ოპერატორის ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული და წარმოადგენს ცვალებად სიდიდეს სამუშაო პერიოდის განმავლობაში.

ოპერატორის მზადყოფნა წარმოადგენს ოპერატორის სამუშაოში საწარმოო დროის ნებისმიერ მომენტში ჩართვის ალბათობას. ოპერატორის აღდგენითობა დაკავშირებულია ოპერატორის მოქმედებისას თვითკონტროლთან და დაშვებული შეცდომების გასწორებასთან. ოპერატორის საიმედოობა განპირობებულია მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სხვა რესურსებით. რესურსის ცნება დაკავშირებულია ფსიქოფიზიოლოგიურ დანახარჯებთან, რომლებიც განსაზღვრავს ფსიქოფიზიოლოგიური „საქმიანობის ფასს“. პროფესიული მიზნის მისაღწევად ოპერატორის წინაშე წამოყენებული თითოეული ამოცანა მოითხოვს ფიზიკურ, ფსიქოფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიკურ ან მათი კომბინაციების გარკვეულ რესურსებს. პასუხისმგებლობის გაზრდა შედეგად იძლევა მომეტებული კონტროლის გამოვლენას ოპერატორის ეფექტიანობის დაწევით, ფსიქიკური სტრესის განვითარებით. ოპერატორში სამუშაო სფერო ყალიბდება „ფუნქციონალური მდგომარეობით“, რომელიც უზუნველყოფილია შრომის მწარმოებლურობით.

შრომის მწარმოებლურობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და სტადიურ ხასიათს ატარებს. პირველი სტადია – გამოუმუშავებითი, ანუ ზრდადი შრომის მწარმოებლურობაა. ამ დროს შრომითი საქმიანობა მოიცავს მთელ აუცილებელ რესურსებს, ორგანიზმი თავისუფალია ყველა იმ ფუნქციებისაგან, რომლებიც და კავშირებულია პროფესიასთან. მეორე სტადია – მდგრადი შრომის მწარმოებლურობაა. მესამე სტადია დაკავშირებულია გადაღლილობის ზრდასთან, ხასიათდება დაძაბულობის მატებით და რესურსების ხარჯზე ფუნქციონალური სისტემის გადანაცვლებით. სამუშაოს შესრულებისას იზრდება შეცდომების რაოდენობა. ოპერატორის პროფესიულ საქმიანობაში საიმედოობის ხარისხის ასამაღლებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მექანიზმს თვითკონტროლი წარმოადგენს, რომელიც საქმიანობისას თავისდროულად აღმოაჩენს დაშვებულ შეცდომებს ან მიაჩნებს მათზე. ერგონომიკის და საინჟინრი ფსიქოლოგიის საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს შრომითი საქმიანობის კომპლექსური შესწავლა და პროექტირებით მოახდინოს შრომითი პირობებისა და პროცესების ოპტიმიზაცია, ასევე ახდენს მუშაკთა პროფესიონალურ დახელოვნებას. ერგონომიკის კვლევის საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობა, ხოლო კვლევის ობიექტს – სისტემაში „ადამიანი-შრომის საშუალება – შრომის საგანი-საწარმოო გარემო“. ასეთი სისტემის აღნიშვნისათვის ხშირად იყენებენ შემოკლებულ ტერმინს „სისტემა - ადამიანი-მანქანა“ [1].

თანამედროვე წარმოება და ტექნიკა, რომელიც აღჭურვილია რთული ტექნიკური სისტემებით, ადამიანს მოთხოვნას უყენებს იმუშაოს რთული ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობების ზღვარზე, ექსტრემალურ სიტუაციაში. მაგალითად, მფრინავების საქმიანობა ზოგიერთ თანამედროვე თვითმფრინავზე და განსაკუთრებით სამხედრო თვითმფრინავზე მოითხოვს ადამიანისგან უკიდურეს და შთამბეჭდავ შესაძლებლობების გამოვლენას. ეს ვლინდება – გრავიტაციის ვექტორის შეცვლისას მხედველობითი ილუზიების პირობების დროს, გადაწყვეტილების მიღებისას 2-3 წამში, პარალელური 3-5 ინფორმაციის ერთდროულად მიღების დროს, ერთ წუთში მფრინავის მიერ დაახლოებით 200-ჯერ შეხედვის ფიქსაციის დროს და ა.შ.

ნახევრად ავტომატიზირებულ და ავტომატურ ხაზებზე მაღალი მექანიზაცია აადვილებს ადამიანის შრომას, მაგრამ ამასთან ითხოვს სისწრაფეს ოპერაციის შესრულების დროს, რის შედეგად, მონაცემების საფუძველზე, ადამიანი ავადდება სხვადასხვა დაავადებებით (მაგ. სახსრები, კუნთები, ხერხემალი და ა.შ.). ეს ავადმყოფობები ვითარდება ნელ-ნელა, წლების განმავლობაში და მათ უწოდებენ „კუმულატიურ ტრამებს“. დაავადებების დიაგნოსტიკის დროს არც ისე ადვილია გამოვლინდეს მუშაობის უარყოფითი როლი ჯამრთელობაზე. ცნობილია კუმულატიური ტრამის მიღების რამდენიმე მდგომარეობა: გადაღლა, ხერხემლის გამრუდება, არასაკმარისი დასვენება და ა. შ. შრომითი საქმიანობის ოპტიმიზაცია და მისი პირობების განხორციელება, უნდა ქმნიდეს აუცილებელ წინაპირობას ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ჯამრთელობის შენარჩუნებისათვის. ეს საერთო კანონზომიერების ის კონკრეტული გამოვლინებაა, რომლის თანახმად მეცნიერულ-ტექნიკურ-ტექნოლოგიური რევოლუცია წინა რიგებზე აყენებს საკითხს ადამიანზე, არა როგორც უბრალო მომუშავეზე, არამედ როგორც პიროვნებაზე, რომლის ყოველმხრივი განვითარება მწარმოებლური ძალებისა და მოტივანად საზოგადოების განვითარების პირობა ხდება [2].

ადამიანის ტექნიკასთან ურთიერთობის პრობლემა ჯერ კიდევ XIX ს-ში წარმოიშვა, XX საუკუნის დასასრულს კი მან ფუნდამენტური მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა მიიღო. ტექნიკური გარემოს უსაფრთხოება არის თანამედროვეობის გლობალური პრობლემა. კატაკლიზმები, ავარიები, ეკოლოგია და ა.შ. იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას,

სოციალური წონასწორობის დარღვევას, განუკურნებელ დაავადებებს, ზიანს აყენებს ბუნებას და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი დამანგრეველად მოქმედებს მოსახლეობის გენოფონდზე.

გასულ საუკუნეში მომხდარი სამი უდიდესი ავარიის მიზეზი გასაოცარი მსგავსებით გამოირჩევა: 1979 წელს ამერიკის ატომურ სადგურზე „სამი მილის კუნძული“, 1984 წელს ინდოეთის ქიმიურ ქარხანაში და 1986 წელს ჩერნობილში მომხდარი ავარიების მიზეზი განპიროვნებული იყო დაპროექტებისას კომბინაციის უკმარისობის შედეგად. ორგანიზაციული და ადმინისტრაციული გამოთვლებისას დაშვებულმა შეცდომებმა მოგვცა უდიდესი უარყოფითი შედეგები. აქ დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა ავარიების წინაპირობა, რაც საბოლოოდ ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომის შედეგი იყო. ჩერნობილის ავარიის გამომწვევი მიზეზების განხილვისას ფიქსირდა საშიში პრაქტიკა – ტექნიკური სისტემების დაპროექტებისას ადამიანის იგნორირება.

ერგონომიკის, როგორც მეცნიერების სრულყოფის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება საინჟინრო ფსიქოლოგიას. საინჟინრო ფსიქოლოგიისა და ერგონომიკის წარმოშობისა და განვითარების ანალიზი საჭიროა დავიწყოთ პირველ რიგში ა.შ.შ. გამოცდილებით. სწორედ აქ ჩაისახა და განვითარდა ის დისციპლინები, რომლებმაც განაპირობა სამამულო ინჟინერული ფსიქოლოგიისა და ერგონომიკის რეალიზაცია. ეს უკავშირდება ა.შ.შ-ში სამრეწველო ტექნიკის და ადამიანური-ტექნიკური დისციპლინის კომპლექსურ ჩამოყალიბებას. ისინი სწრაფად რეაგირებენ ტექნიკისა და ტექნოლოგიების ევოლუციაზე, რომლებიც წარმოქმნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით. ა.შ.შ-სა და ინგლისში XX საუკუნის 40-იან წლებში საინჟინრო ფსიქოლოგიაში უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოები წარმოიშვა, რომელიც დაკავშირებული იყო სამხედრო ტექნიკის ობიექტების სრულყოფასთან. კერძოდ, სამხედრო ავიაციასა და შეიარაღების მართვასთან. ადამიანისეული ფაქტორის სფეროში იმ პერიოდის ცნობილ ავტორებს შორის უნდა აღინიშნოს ცნობილი ფსიქოლოგი სპეციალისტები: ჩაპანისა, მორგანი, სპლეიტა, მილერი და სხვა. საინჟინრო ფსიქოლოგია – ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ფსიქოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით – სისტემას „ადამიანი-ტექნიკა“, მისი უფრო მაღალი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით. საინჟინრო ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანთა შრომითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს მართვისა და კონტროლის სისტემაში, ადამიანების ინფორმაციულ ურთიერთქმედებას ამ სისტემის ტექნიკურ მხარესთან [3].

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ე. ბარათაშვილი, გ. ჯოლია, ნ. გალახვარიძე, გ. ყურაშვილი, ლ. ბულია. საინჟინრო ეკონომიკური ფსიქოლოგია და ერგონომიკა, თბ; 2013წ;
2. Раздорожный А. А. Охрана труда и производственная безопасность: Учебно-методическое пособие — Москва: Изд-во «Экзамен», 2005. — 512 с. (Серия «Документы и комментарии»);
3. Федорович Г. В. Рациональная эпидемиология профессиональных заболеваний. — Saarbrücken, Deutschland: Palmarium Academic Publishing, 2014. — 343 с. — ISBN 9783639827224.;
4. В. М. Мунипов, В. П. Зинченко Эргономика. — Логос, 2001. — С. 356. — ISBN 5-94010-043-0..

**Lia Kvaratskhelia,**  
Technical University  
Associate Professor  
**Guliko kurashvili,**  
Technical University  
Associate Professor

### Summary

The main directions of economic development based on the intensification of production and efficiency. The scientific-technological revolution which transforms the production of all branches, Impacts on all areas of public life.

Ergonomics is a Greek word and means the “work of the law” (“Ergo” – Work, “Nomos” – Law). Ergonomics is the science that aims to create an optimal role in the system: "Man-machine" - Biology, physiology, functional anatomy, psychology and the technical assistance of modern advances in science, Find the most comfortable work and life conditions. Ergonomics science has been created at the end of 40-ies of XX century in England.

### სტატისტიკის არსი, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

*ელგუჯა კონჯარია  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ევროპული აკადემია  
ასოციირებული პროფესორი*

სტატისტიკური საქმიანობა საზოგადოების პრაქტიკული თუ სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი უბანია. მისი წარმოშობა და განვითარება უძველეს ხანაში დაიწყო.

სიტყვა “სტატისტიკა” წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან “status”, რაც ნიშნავს (მოვლენის, ქვეყნის) მდგომარეობას, აგრეთვე ინგლისური სიტყვიდან “state” რაც ნიშნავს სახელმწიფოს და ასეთივე შინაარსის იტალიური სიტყვიდან “stato”. საბოლოოდ იგი გულისხმობს სახელმწიფოს მდგომარეობას, აღწერილს რიცხობრივი მაჩვენებლებით. ძველი დროიდან იმ პირებს, რომლებიც ეწეოდნენ ამ საქმეს, თავდაპირველად უწოდებდნენ “ სტატისტებს” შემდეგ “ სტატისტიკოსებს”, ხოლო მათ საქმიანობას- “სტატისტიკას”.

სტატისტიკა გულისხმობს საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელ ციფრობრივ მონაცემებს.

საზოგადოების ისტორიული განვითარების აუცილებლობამ წარმოშვა სტატისტიკა, როგორც ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის გარკვეული სფერო და სტატისტიკა, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შემსწავლელი მეცნიერება. პირველი ისტორიულად წინ უსწრებდა მეორის წარმოშობა- განვითარებას.

სტატისტიკა-როგორც მასობრივი მოვლენების რაოდენობრივი (ციფრობრივი) გაშუქება, ამჟამად გამოიყენება შემდეგი სამი ძირითადი გაგებით:

1. სტატისტიკა- როგორც ადამიანის პრაქტიკული საქმიანობა რეალური სინამდვილის სხვადასხვა მასობრივი მოვლენებისა და პროცესების შესახებ მონაცემთა შეკრებისა და განზოგადების მიზნით.



2. სტატისტიკა- როგორც რიცხვით მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელიც იძლევა მასობრივი მოვლენების დახასიათებას.

3. სტატისტიკა- როგორც სამეცნიერო დისციპლინა.

სტატისტიკა, როგორც ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობა, წარმოიშვა უძველეს წარსულში და იგი ძირითადად გამოიყენებოდა გადასახადების დადგენის მიზნით ქონების აღწერის და საომარი საქმიანობისათვის საჭირო მამაკცთა რიცხვის განსაზღვრისათვის მოსახლეობის აღწერების სახით.

ასე წარმოიშვა სტატისტიკა, როგორც გამოყენებითი მეცნიერება საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ, რომელიც რიცხვითი მაჩვენებლების საშუალებით იძლეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების (ეკონომიკის კულტურის, პოლოტიკის, ყოფა-ცხოვრებისა და სხვა) მდგომარეობის დახასიათებას, ამან განსაზღვრა სტატისტიკის შესწავლის თავდაპირველი ობიექტი მასობრივი ხასიათის სოციალურ- ეკონომიკური მოვლენები და საგანი- ამ მოვლენების რაოდენობრივი ზომა და თანაფარდობები.

სტატისტიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანია მასობრივი მოვლენების რაოდენობრივი მხარე თვისობრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში.

მასობრივი მოვლენები შეიძლება იყოს როგორც საზოგადოებრივი, ისე საბუნებისმეტყველო. კერძოდ, სტატისტიკა შეისწავლის სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათის, ისეთ მოვლენებს, როგორცაა მოსახლეობისა და მომუშავეთა რიცხოვნობა, პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის რაოდენობა, მოგებების, შრომის ნაყოფიერების რენტაბელობისა და სხვა მაჩვენებელთა რიცხვითი გამოსახულებანი.

მასობრივი საბუნებისმეტყველო მოვლენებიდან სტატისტიკა შეისწავლის ცხოვრებისა და მეცნიერების ისეთი დარგების რაოდენობრივ სიდიდეებს, როგორცაა: სხეულის საშუალო სიჩქარე და მასა- ფიზიკაში, მცენარეთა ზრდის მაჩვენებლები- ბიოლოგიასა და სოფლის მეურნეობაში, გამოშვებული პროდუქციის, საწარმოო პროცესების, დაზგა-დანადგარებისა და შენობა ნაგებობების ხარისხისა და საიმედოობის კონტროლი წარმოების ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, საშუალო სიდიდიდან გადახრების ვარიაცია -მათემატიკაში და სხვა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სტატისტიკა არის მეცნიერება, რომლის შესწავლის საგანია როგორც საზოგადოებრივი, ისე საბუნებისმეტყველო მასობრივი მოვლენების რაოდენობრივი კანონზომიერებები დიდ რიცხვთა კანონის საფუძველზე.

ძველ რომში პერიოდულად და რეგულარულად ახორციელებდნენ თავისუფალი მოქალაქეების აღწერას. ამ მიზნით ძველი წელთაღრიცხვის 550 წელს **სერგიუს ტულიუსის** მიერ რომში შემოდებულ იქნა ქონებრივი ცენზი (შეფასება). საცენზო სიებში შეჰქონდათ ყველანაირი მოძრავი და უძრავი ქონება: სახლი, მიწა, ნარგავები, მონები და ა.შ. ცენზების ჩასატარებლად შეიქმნა სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფდა ცენზების ჩატარებას. ცენზების მიმდინარეობისას რომის მოქალაქეები ინფორმაციის სისწორეს ფიცით ადასტურებდნენ. რომის მოქალაქეებისთვის ცენზების პროცედურა საკმაოდ მტკივნეული იყო, რადგან ცენზები უზრუნველყოფდა გადასახადების გაწერას. საინტერესოა, რომ მოსახლეობის აღწერებს აშშ-ში დღესაც ცენზებს უწოდებენ.

უძველეს ცივილიზებულ ქვეყნებში სტატისტიკური სამუშაოები აყვანილი იყო მაღალ დონეზე. მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებს მის გარეშე არ შეეძლოთ ფუნქციონირება. დმინისტრაციული სტატისტიკის არსებობა ცნობილია ძველ ეგვიპტეში. ბიბლიაში აღნიშნულია მოსახლეობის აღწერების მაღალი დონე ებრაელებში. ჰეროდოტე გვაწვდის გარკვეულ მონაცემებს სპარსეთის მოსახლეობის აღწერების შესახებ. შეუძლებელია, რომ ანტიკურ საბერძნეთს არ ჩაეტარებინა მოსახლეობის აღწერები. კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 850 წელს **ლიკურგმა**, ხოლო 594 წელს **სოლონმა** აჩაატარეს რეფორმები, რომლებიც მდგომარეობდა მოსახლეობის კლასებად დაყოფაში ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, რაც

მოსახლეობის აღწერის მონაცემების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მოგვიანებით ათენში აღგენდნენ ოფიციალურ სიებს, რომლებშიც შეჰყავდათ ყველა თავისუფალი მოქალაქე დაბადებიდან 18 წლის მიღწევის შემდეგ სამხედროვალდებულთა სიაში, ხოლო 20 წლის შემდეგ სრულუფლებიან მოქალაქეთა სიაში.

შუა საუკუნეებში ფეოდალური დაქუცმაცებულობის მიუხედავად გარკვეული სტატისტიკური სამუშაოები მაინც ტარდებოდა. ისტორიაში ცნობილია **კარლოს დიდის** სტატისტიკური აღწერა. აღწერამ მოიცვა საცხოვრებელი ბინები, სამეურნეო ნაგებობები, მიწის ნაკვეთები, პირუტყვი და ნაჩვენები იყო ყმების რაოდენობა და სარეწები, რომლებსაც ფლობდნენ ფეოდალები.

ანალოგიურ ხასიათს ატარებდა **ვილჰელმ დამპერობელის** მიერ ინგლისის აღწერა 1083 და 1086 წლებში. სააღწერო წიგნში, რომელსაც შემდგომ “საშინელი სამსჯავროს წიგნი” ეწოდა, შევიდა მონაცემები მიწების, ტყეების, სახნავი მიწების შესახებ. აღიწერა წისქვილები, სათევზაო ტბორები, მიწის ფასები, ყმების რიცხოვნობა, მუშა პირუტყვი, ფუტკრის სკები და ა.შ. აღწერებს ატარებდნენ მეფის ჩინოვნიკები, რომლების შემოივლიდნენ ტერიტორიებს და აგროვებდნენ მონაცემებს შერიფების, ფეოდალების, მღვდლებისა და სხვა სანდო პირებისაგან, რომლებსაც ინფორმაციის სინამდბილეზე უნდა დაეფიცათ.

შუა საუკუნეების სტატისტიკურ აღრიცხვაში დიდი როლი შეასრულა საეკლესიო სტატისტიკამ. ეკლესიები, უფრო სწორად სასულიერო პირები აღრიცხავდნენ დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების შემთხვევებს.

XV-XVI საუკუნეებში ევროპაში ჩნდება კრებულები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების შესახებ. სახელმწიფოს ცენტრალიზაციის კვალობაზე იზრდება სტატისტიკის როლი. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ 1663 წელს საფრანგეთში შედგენილ იქნა სახელმწიფო ინსტრუქცია, რომლის დაცვა სავალდებულო იყო ყველა პროვინციისთვის სტატისტიკური გამოთვლების ჩატარების დროს.

და მაინც კაპიტალიზმის განვითარებამდე სტატისტიკა უმეტესად ატარებდა სამხედრო და ფისკალურ მიზნებს. სტატისტიკა როგორც მეცნიერება წარმოიშვა კაპიტალიზმის ეპოქაში და ჩამოყალიბდა ორ მიმართულებად: ინგლისური პოლიტიკური არითმეტიკა და გერმანული აღწერილობითი სკოლა, ანუ სახელმწიფოსმცოდნეობა.

**პოლიტიკური არითმეტიკა.** კაპიტალიზმის გავითარება მოითხოვდა ქვეყნის მდგომარეობის სიღრმისეულ შესწავლას. ეს პირობა, მოთხოვნა არის მეცნიერების წარმოშობის და განვითარების წინაპირობა. კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სტატისტიკის მიმართ ასეთი მოთხოვნა უკვე არსებობდა. მაგრამ მეცნიერების მიმართ საჭიროა მეორე პირობის არსებობაც- ამ დარგში დაგროვილი გარკვეული გამოცდილება და ინფორმაცია. გარკვეულ ეტაპზე სტატისტიკა აკმაყოფილებდა მეორე პირობასაც.

ციფრების მეცნიერული გამოყენების იდეა პირველად დაებადა ინგლისელ ეკონომისტს **ვილიამ პეტის(1623-1687)**, რომელსაც **კ. მარქსი** უწოდებს პოლიტიკური ეკონომიის მამას და რამდენადმე სტატისტიკის გამომგონებელს, ხოლო **ფ.ენგელსი** ახასიათებს როგორც გენიალურ ეკონომისტს. ვ. პეტი ცდილობდა გამოეფლინა მოვლენებს შორის არსებული შინაგანი კავშირები. თავის ნაშრომში- “პოლიტიკური არითმეტიკა” (1676)იგი იკვლევდა მიზეზებს, რომლებზეც დამოკიდებული იყო ინგლისის კეთილდღეობა. ვ. პეტის ამ ნაშრომით საფუძველი დაედო სტატისტიკის მიმართულებას, რომელიც ცნობილია “პოლიტიკური არითმეტიკის “ სახელით, რაც ნიშნავდა ციფრების საშუალებით სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების შესწავლას. გასაკვირი არ არის, რომ ეს მიმართულება სტატისტიკაში, რომელიც მოვლენების ანალიზის თვალსაზრისით მალდა იდეა აღწერილობით სკოლაზე ანუ სახელმწიფოს

მცოდნეობაზე, აღმოცენდა ინგლისში, სადაც კაპიტალიზმის განვითარება კონტინენტალური ევროპის ქვეყნებზე მაღლა იდგა.

საინტერესოა ვ. პეტის ცდები პროგნოზირების დარგში. იგი ცდილობდა პერსპექტივაში განესაზღვრა ექიმების, სტუდენტების და ა.შ. რიცხვი. იმ გაანგარიშებების თავის დროზე ჰქონდათ უტოპიური ხასიათი, მაგრამ ისინი პეტის გამჭრიახობაზეც მეტყველებს, რამდენადაც ის პირველი ეცადა სტატისტიკა გამოეყენებინა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისათვის.

ვ. პეტი საინტერესოა როგორც პიროვნება. წერილი ვაჭრის შვილი ოცნებობდა მეზღვაურობაზე. 14 წლის ასაკში ის გემზე გაიქცა, მაგრამ მალე ფეხი მოიტეხა და ჩამოსვევს ნაპირზე ირლანდიაში. აქ იგი ორი წელი სწავლობდა სასულიერო სკოლაში. შემდეგ სწავლა გააგრძელა საფრანგეთში. ფლობდა ფიზიკას, მათემატიკას, გახდა ექიმი, ანატომიის პროფესორიკოლეჯის პრორექტორი. მერე მან მიატოვა ყველაფერი და ინგლისის ჯარს გაჰყვარლანდიაში, რომელმაც ჩაახშო ინგლისის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება. ინგლისის მაშინდემკმა ლორდ-პროტექტორმა **ოლივერ კრომველმა** ჯარისკაცებს მიწით გადაუხადა სახელფასო დავალიანება, რომლის დანაწილებაც იკისრა პეტმა. მიწის დანაწილებასთან დაკავშირებული და სხვა მაქინაციებით პეტი გახდა ინგლისის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და მიიღო სერ-ის ტიტული.

პოლიტიკური არითმეტიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა **ვ. პეტის** მეგობარმა და თანამოაზრემ **ჯონ გრაუნტმა** (1662-1674. ) მაუდიტ მოვაჭრე ჯონ გრაუნტმა 1662 წელს გამოსცა წიგნი სათაურით “ ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებები გაკეთებული მოკვდაობის ბიულეტენების საფუძველზე ქ. ლონდონში”. **გრაუნტმა** გამოიკვლია ქ. ლონდონში შობადობის და მოკვდაობის შედეგად მიმდინარე მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები (თაობათა ცვლის კანონზომიერებები). ამ წიგნს გამოსვლისთანავე ისეთი წარმატება ხვდა, რომ ინგლისის მეფის კარლოს II ის წარდგინებით გრაუნტი აირჩიეს ლონდონის სამეფო საზოგადოების (მეცნიერებათა აკადემიის) წევრად.

პოლიტიკური არითმეტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ინგლისელი ეკონომისტი **გეორგ კინგი** (1648-1712), რომელმაც პირველად გააკეთა ინგლისის ეროვნული შემოსავლის მოცულობისა და განაწილების ნამდვილად მეცნიერული გაანგარიშება.

ერთი შეხედვით შეიძლებაავიფიქროთ, რომ მოცემული პროგნოზი აბსურდია. მაგრამ მას შეიძლება შევხედოთ მეორე მხრიდანაც. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ზრდას განაპირობებს სხვაობა დაბადებულების და გარდაცვლილების რიცხოვნობას შორის, რაც სტატისტიკაში ცნობილია ბუნებრივი მატების სახელით. XVII საუკუნეში, როდესაც კინგმა გააკეთა პროგნოზი, დაბადებულთა რიცხვს გარდაცვლილთა რიცხვი საკმარად უახლოვდებოდა და შესაბამისად მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალიან მცირე იყო. კინგის გაანგარიშებით, თუ 1700-2300 წლებში შენარჩუნებული იქნებოდა მაშინდელი ბუნებრივი მატება, მაშინ ამ პირობით ინგლისის მოსახლეობა 2300 წლისთვის მიაღწევდა II მილიონს.

მაგრამ მოცემულ რიცხოვნობას **ისტორიული სტატისტიკის** მონაცემებით მან მიაღწია უკვე 1850- იან წლებში, რისთვისაც დასჭირდა არა 600 წელი, 1700-2300 წლები, არამედ 150 წელი, 1700-1850 წლები. აღნიშნული კორექტივი კინგის პროგნოზში შეიტანა პროგრესმა, ცხოვრების დონის ზრდამ, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებამ, რომლებმაც იმდენად შეამცირეს მოკვდაობის დონე და გაზარდეს მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რომ გამოიწვიეს მოსახლეობის პროგნოზულთან შედარებით მეტად სწრაფი ზრდა. ასე, რომ კინგის პროგნოზი არაპირდაპირ გვიხასიათებს კაცობრიობის პროგრესს. თუ ამ კუთხით შევხედავთ, კინგის პროგნოზი საკამოდ ფასეული მოგვეჩვენება.

სტატისტიკის პრაქტიკაში ასეთი რამ დღესაც არაიშვიათად ხდება. ეკონომიკისა და ბიზნესის მოვლენები მრავალწახნაგოვანია. ამ მოვლენების მხოლოდ ცალმხრივად ჩატარებული ანალიზი ვერ დაადგენს ჭეშმარიტებას. თუ ჭეშმარიტების დადგენა, მოვლენა უნდა გავაანალიზოთ ყოველმხრივ, რაც ცნობილია კომპლექსური სტატისტიკური ანალიზის სხელით. იმისათვის კი, რომ შევძლოთ კომპლექსური სტატისტიკური ანალიზის ჩატარება, უნდა ვისწავლოთ კვლევის სტატისტიკური მეთოდოლოგია და მეთოდები, გამოვიმუშაოთ სტატისტიკური აზროვნება.

აღწერილობითი სკოლის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ სტატისტიკის, როგორც მეცნიერების ამოცანა იყო “სახელმწიფოს ღირშესანიშნაობების სისტემატიზებული აღწერა”. მოცემული სკოლის მიმდევრები ღირშესანიშნაობებს მიაკუთვნებდნენ ყველაფერს, რაც გავლენას ახდენდა სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. თუ პოლიტიკური არითმეტიკოსებისთვის რიცხვების, ზომის და წონის გამოყენება აუცილებელი იყო, სახელმწიფოსმცოდნეებისათვის ის აუცილებლობას არ წარმოადგენდა, განსაკუთრებით დასაწყისში, როდესაც ეკონომიკური პროცესების აღრიცხვის დაბალი დონის გამო სტატისტიკური ინფორმაცია მწირი იყო ან საერთოდ არარსებობდა. სტატისტიკური ინფორმაცია არ ყოფნიდათ არც პოლიტიკურ არითმეტიკოსებს, მაგრამ ამ ნაკლის შევსებას ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა არაპირდაპირი გამოთვლებით, მაშინ როდესაც სახელმწიფოსმცოდნეები კმაყოფილდებოდნენ სიტყვიერი აღწერით და ენდობოდნენ მხოლოდ პირდაპირ და სრულ ინფორმაციას. არაპირდაპირ გამოთვლებს ისინი თვლიდნენ ფანტაზიად.

აღწერილობითი სკოლა ჩაისახა გერმანიაში. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო თავისი დროის გამოჩენილი ექიმი და სახელმწიფო მოღვაწე **გერმან კონრინგი(1606-1681)**. მან 1660წლიდან პირველმა დაიწყო ლექციების კითხვა სახელმწიფოსმცოდნეობაში გელმშტედტის უნივერსიტეტში. სტატისტიკის შესწავლის საგნად იგი მიიჩნევდა შემდეგი მოვლენების აღწერას: 1. ტერიტორია და მოსახლეობა, 2) პოლიტიკური მოწყობა, 3) სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების კეთილდღეობა, 4) სახელმწიფოს მართვა, მისი აპარატი (ჩინოვნიკები, არმია და ა.შ.)

კონრინგის იდეებმა ფართო აღიარება ჰპოვა მისი მიმდევრის, გერმანელი მეცნიერის, ფილოსოფიისა და სამართლის პროფესორის **გოტფრიდ ახენვალის (1719-1772)** წყალობით. მან შექმნა საბოლოო სახით სახელმწიფოსმცოდნეობის სკოლა, რომელიც განუყოფლად ბატონობდა ევროპაში XIX საუკუნის შუა პერიოდამდე. ახენვალმა 1746 წლიდან ჯერ მარბურგის, შემდეგ კი გეტინგენის უნივერსიტეტში წაიკითხა სახელმწიფოსმცოდნეობის ახალი კურსი, რომელსაც უწოდა სტატისტიკა. საერთოდ, მეცნიერ-სტატისტიკოსები ტერმინ სტატისტიკის შესაბამისი მეცნიერებისთვის მისი სახელად მიკუთვნება-ნათლობის წლად თვლიან 1746 წელს, მარამ არის მტკიცება, რომ ახენვალმა არსებითი სახელი “სტატისტიკა” პირველად გამოიყენა 1743 წელს. ასეა თუ ისე, სიტყვა “სტატისტიკა” პირველად შეიქმნა გერმანიის უნივერსიტეტებში, საიდანაც გავრცელდა სხვა ქვეყნებში და დამკვიდრდა ყველა კულტურულ ენებში. ახენვალის ლექციების კურსი მეცნიერის სიკვდილის შემდეგ გამოსცეს მისმა სტუდენტებმა.

XIX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ სტატისტიკოსს წარმოადგენს ბელგიელი **ადოლფ კეტლე (1796-1874)**. განათლებით მათემატიკოსი, მოღვაწეობდა აგრეთვე ფიზიკის, გეოდეზიის დარგში, ბელგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ს. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კეტლე წარმოადგენს სტატისტიკის თეორიის ნამდვილ დამაარსებელს. XIX საუკუნე სტატისტიკის ისტორიაში წარმოადგენს სტატისტიკის თეორიისა და კვლევის მეთოდების განვითარების საუკუნეს. ამ საუკუნის დასაწყისში ყველა განვითარებულ ქვეყანაში შეიქმნა სტატისტიკის სახელმწიფო დაწესებულებები. სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს საერთაშორისო სტატისტიკურმა კონგრესებმა, რომლის ინიციატორიც იყო კეტლე. სულ 1853-1876 წლებში ჩატარდა 9

კონგრესი, რომელთაგან 8 კონგრესის ორგანიზატორი იყო კეტლე. კონგრესები ჩატარდა: 1853წ. ბრიუსელში, 1855 წ. პარიზში, 1857წ. ვენაში, 1860 წ. ლონდონში, 1863 წ. ბერლინში, 1867 წ. ფლორენციაში, 1869 წ. ჰააგაში, 1872 წ. ს. პეტერბურგში, 1876 წ. ბუდაპეშტში.

XIX საუკუნის ერთ- ერთი გამოჩენილი სტატისტიკოსია რუსი **პ. სემიონოვ ტიანშანსკი (1827-1914).**

XX საუკუნე სტატისტიკის ისტორიაში ხასიათდება თეორიის და პრაქტიკის შემდგომი განვითარებით, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების პარალელურად საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების აღმოცენებით, ხოლო საუკუნის მეორე ნახევრიდან სტატისტიკის განვითარებაში იწყება თვისობრივად ახალი ეტაპი-სტატისტიკურ სამუშაოთა მექანიზაცია-ავტომატიზაცია, ელექტრონულ- გამომთვლელი მანქანების დანერგვა. XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში დანერგილმა კომპიუტერიზაციამ დასახა სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზის, შენახვის და გავრცელების სრულიად ახალი შესაძლებლობები.

### **Essence of statistic, its origin and developing history**

**Elguja Konjaria**

Study University European Academy

Associate Professor

#### **Summary**

The life of society has been investigated by many science. Statistic is one from them . decision of many problems help to develop different forms. Differentiation of statistical science ,is not matter of discussion. We may say that statistic is the unity of science categories, rules, ways, methods, laws and helps to develop each of them since seventeenth century.

### **Determining MS Regimes for Georgian Exchange Rates**

**Kotchlamazashvili Zurab**

*Munich Ludvig-Maximilians -University*

*Doctoral Student*


#### **1. Introduction**

How can the behaviour of the Lari since 2002 be explained? Are there multiple regimes which determine these movements? This paper investigates whether the behaviour of the Lari/US Dollar, Lari/Euro and Lari/Russian Ruble exchange rates can be appropriately described by the Markov switching (MS) approach. MS models allow time series dynamics to alternate between regimes.

Many researchers have employed the MS approach for the modelling of exchange rates. For example, Engel and Hamilton (1990) applied the MS model for three dollar exchange rate series. The authors rejected the random walk model in favor of two regime MS processes that produce long swings. Engel (1994) used Hamilton's Markov switching model for 18 exchange rates at quarterly frequencies. While the model fitted well in-sample for many exchange rates, it did not generate superior forecasts compared to competing models. Beine et al. (2003) investigated the effect of central bank interventions on the weekly returns and volatility of the DEM/USD and YEN/USD

exchange rate returns allowing regime-dependent specifications. Their estimated results suggest that the dynamics of both series are mainly driven by high and low volatility regimes. Marsh (2000) claimed that the MS model for exchange rates is not suitable for forecasting due to its unstable nature.

Daily GEL/USD, GEL/Euro and GEL/Ruble exchange rates<sup>1</sup> are investigated over the following time period: 01/2002 - 06/2014. Consequently, each time series consists of 3260 observations. The upper half of Figure 1.1 demonstrates the evaluation of exchanges rates. Obviously, all three series



decreased before the war in August 2008 and then in-c-reased sharply. All in all, GEL/USD and GEL/Ruble series have a tendency to decrease. The lower half shows the series in log differences, which are apparently characterized by volatility clustering.

The next section briefly outlines the Markov switching (MS) approach described by Hamilton (1989) and its GARCH(1, 1) extension introduced by Haas et al. (2004). Section 3 summarizes the estimation results of six MS models based on normal and exponentialpower (EP) distributions. Section 4 briefly describes a Monte Carlo approach and presents the simulation results. We conclude the paper in Section 5.

## 2. Markov Switching(MS) Model

Many macroeconomic or financial time series undergo dramatic changes owing to wars or financial crises over the sample period. However, these changes should not be regarded as the outcome of deterministic events, but rather as the result of random events. Let us commonly call such random events regimes and define them by  $s_t = j$ , where  $j = 1, 2, \dots, S$ . The simplest time series model for discrete-valued random variables is the first-order Markov chain.

<sup>1</sup>Data retrieved from: <https://www.nbg.gov>.

Figure 1.1: Daily Lari/US Dollar, Lari/Euro and Lari/Russian Ruble Exchange Rates.

If we assume that regime  $j$  follows the regime  $i$ , then this process can be described by the transition probability  $p_{i,j}$ . Generally, the process can be described as an  $S$ -regime Markov chain with transition probabilities:

$$0 \leq P\{s_t = j | s_{t-1} = i\} = \{p_{ij}\}_{i,j=1,2,\dots,S} \leq 1 \quad (2.1)$$

where the sum is equal to one:  $p_{i1} + p_{i2} + \dots + p_{iS} = 1$ . Thus, an  $(S \times S)$  transition matrix  $P$  combines the transition probabilities. Column  $i$  gives the probability that the regime  $i$  will be followed by the regimes  $j = 1, 2, \dots, S$ . As a result:  $P' \tilde{1} = \tilde{1}$  where  $\tilde{1}$  is an  $(S \times 1)$  vector of ones. The higher  $p_{jj}$  is, the longer the process is expected to remain in state  $j = 1, 2, \dots, S$ .

Collect  $S$  conditional densities in  $\eta_t$ :

$$\eta_t = [f(u_t | s_t = 1; \theta), \dots, f(u_t | s_t = S; \theta)]' \quad (2.2)$$

Let  $Pr(s_t = j | \Psi_t; \theta)$  denote the inference about the value of  $s_t$  based on data obtained through date  $t$ . Collect these conditional probabilities for  $j = 1, 2, \dots, S$  in an  $(S \times 1)$  vector  $\hat{\xi}_{t|t}$ . Let  $Pr(s_{t+1} = j | \Psi_t; \theta)$  be the forecast of the value of  $s_{t+1}$  based on data through date  $t$ . Collect these forecasts for  $j = 1, 2, \dots, S$  in an  $(S \times 1)$  vector  $\hat{\xi}_{t+1|t}$ . One can establish the following relations:

$$\hat{\xi}_{t|t} = \frac{(\hat{\xi}_{t|t-1} \odot \eta_t)}{\tilde{1}'(\hat{\xi}_{t|t-1} \odot \eta_t)} \quad \text{and} \quad \hat{\xi}_{t+1|t} = P \hat{\xi}_{t|t} \quad (2.3)$$

Equations (2.3) are needed for iteration steps to calculate the log-likelihood function:

$$\mathcal{L}(\theta) = \sum_{t=1}^T \log(f(u_t | \Psi_{t-1}; \theta)) \quad (2.4)$$

where  $f(u_t | \Psi_{t-1}; \theta) = \tilde{1}'(\hat{\xi}_{t|t-1} \odot \eta_t)$  for  $t=2, 3, \dots, T$ . Note that  $\odot$  denotes the Hadamard product<sup>1</sup>.

The MS models estimated here are based on normal and exponential power (EP) distributions. Define the error term as  $u_t = e_{j,t} \sqrt{\sigma_{j,t}^2}$ . If  $e_{j,t}$  is normally distributed with  $E(e_{j,t}) = 0$  and  $E(e_{j,t})^2 = 1$ , then the normal density function of  $u_t$  is given by

$$f(u_t | s_t = j; \theta) = \frac{1}{\sqrt{2\pi}\sigma_{j,t}} \exp\left\{-\frac{u_t^2}{2\sigma_{j,t}^2}\right\} \quad (2.5)$$

The exponential power distribution is a generalization of the normal distribution. If  $e_{j,t}$  is assumed to be drawn from the exponential power distribution with the local parameter equal to zero and the scale parameter equal to one, then the probability density function of  $u_t$  conditional on the random variable  $s_t$  taking on the value  $j$  is now

$$f(u_t | s_t = j; \theta) = \frac{1}{\Gamma(\kappa_j + 1) 2^{\kappa_j + 1} \sigma_{j,t}} \exp\left\{-\frac{1}{2} \left|\frac{u_t}{\sigma_{j,t}}\right|^{1/\kappa_j}\right\} \quad (2.6)$$

where  $\Gamma(\dots)$  is the gamma function, and  $\kappa_j$  is called the shape parameter.  $\kappa_j$  is restricted to being positive and needs to be estimated. If  $\kappa_j = 1/2$ , the function (2.6) becomes the probability density function of the normal distribution. If  $\kappa_j = 1$ , (2.6) is recognized as the probability density function for the Laplace distribution. If  $\kappa_j \rightarrow 0$ , (2.6) tends to the probability density function for the uniform distribution. The density (2.6) is usually compared to the normal density. Therefore, when

<sup>1</sup>Also called as Schur product.

$\kappa_j > 1/2$ , the density is characterized by heavy tails, and it has higher kurtosis than the standard normal distribution. The second moment and the variance of  $e_{j,t}$  is  $v_{2,j} = E(e_{j,t})^2 = 2^{2\kappa_j} \frac{\Gamma(3\kappa_j)}{\Gamma(\kappa_j)}$ .

Haas et al. (2004) proposed a Markov switching approach based on the GARCH(1,1) process. Conditional regime variances are defined by

$$\begin{aligned} \sigma_t^{(2)} &= [\sigma_{1,t}^2 \cdots \sigma_{S,t}^2]' = \tilde{k} + \tilde{a}u_{t-1}^2 + \tilde{B}\sigma_{t-1}^{(2)} = \\ &= \begin{pmatrix} k_1 \\ \vdots \\ k_S \end{pmatrix} + \begin{pmatrix} a_1 \\ \vdots \\ a_S \end{pmatrix} u_{t-1}^2 + \begin{pmatrix} b_1 & 0 & 0 \\ 0 & \ddots & 0 \\ 0 & 0 & b_S \end{pmatrix} \begin{pmatrix} \sigma_{1,t-1}^2 \\ \vdots \\ \sigma_{S,t-1}^2 \end{pmatrix} \end{aligned} \quad (2.7)$$

The MS extension suggested by Haas et al. (2004) enables a clear description of the variance dynamics in each regime, an analytic derivation of stationarity conditions<sup>1</sup> and a straightforward estimation.

### 3. Model Estimations

Here, exchange rates are modelled as univariate processes. Recall how an  $ARMA(p,q)$  process is defined:

$$d_t = \alpha + \beta_1 d_{t-1} + \cdots + \beta_p d_{t-p} + u_t + \psi_1 u_{t-1} + \cdots + \psi_q u_{t-q} \quad (3.1)$$

Where  $d_t$  denotes the log differences of exchange rates,  $d_t = 100 * (\log(y_t) - \log(y_{t-1}))$ . We assume that  $\alpha$  switches, i.e.  $\alpha = \alpha_j$  for  $j = 1, 2, \dots, S$ . Other parameters of the mean equation (3.1)

do not vary across regimes. Besides, we assume that  $u_t = e_{j,t} \sqrt{\sigma_{j,t}^2}$  with respect to Equation (2.7) for the normal distribution. For the exponential power distribution, we let  $u_t = e_{j,t} \sqrt{\sigma_t^2}$ . In other words, only the shape parameter,  $\kappa_j$ , switches now, whereas GARCH(1,1) parameters do not vary across regimes.

According to Lagrange Multiplier test results<sup>2</sup>, volatility clustering exists in all three series in log differences. Therefore, the application of GARCH(1, 1) models turns out to be useful. Before estimating MS models, it is also necessary to determine  $p$  and  $q$ . We estimate  $ARMA(p, q)$  with normal GARCH(1, 1) models for different  $p = 0, 1, 2, 3, 4, 5$  and  $q = 0, 1, 2, 3, 4, 5$  combinations. Lags  $p$  and  $q$  are determined regarding the model with the lowest  $BIC$  value.  $BIC$  denotes the Bayesian information criterion. These results suggest  $p = q = 0$  for GEL/Euro and GEL/Ruble, and  $p = 2$  and  $q = 1$  for GEL/USD exchange rates in log differences.

Recall that distributions with high tail probabilities are termed heavy-tailed. As a rule, a density is compared to a normal density to determine whether it is heavier. Financial and economic time series data are also often characterized by heavy tails. Volatility clustering accounts for some, yet not all of the heavy tails. Recall that the density of the exponential power distribution can take different shapes depending on the shape parameter, and when  $\kappa_j > 1/2$ , the density is characterized by heavy tails. Therefore, the usage of the exponential power distribution can make sense and give models more flexibility.

All estimations are performed in MATLAB. Since MS model estimations are characterized by the possibility of multiple local maxima, we generate starting parameters randomly and run MATLAB files 50 times. Thus, the parameters are chosen corresponding to the highest value of the log likelihood.

<sup>1</sup>See the derivation of moments and stationarity conditions in Haas et al. (2004).

<sup>2</sup>For space considerations, the corresponding results are not included; however they can be checked with MATLAB easily.



Altogether, we estimated six models for each data set. Table 3.1 summarizes estimation results (see the end of this paper). The first two models are GARCH(1, 1) models without switching features, and they are based on the normal and exponential distributions. The third and fourth models are MS GARCH(1, 1) models with two regimes. The fifth and sixth models are characterized by three MS regime

In all cases, *AIC* and *BIC* deliver the same suggestions in respect of model performances. According to both *AIC* and *BIC*, three regime MS normal GARCH(1, 1) performs the best for all three data sets. EP GARCH(1,1) can be regarded as better than the normal GARCH(1,1) only in the cases without switching. For MS models with two and three regimes, normal based GARCH(1, 1) models clearly outperform the respective EP models. The possible reason for the bad performance of EP models in the MS framework is the existence of too many local maxima which complicate estimation procedures. This fact motivates the running of MATLAB files for MS EP GARCH(1, 1) models over different starting parameters more than 50 times.

Table 3.2 demonstrates the parameter estimations for MS normal GARCH(1, 1) with three regimes. As is known, the parameter *a* represents the magnitude of a shock's prompt impact on the next-period conditional variance. The parameter *b* reflects the memory in the variance process. The first regime for GEL/Euro and third regime for GEL/Ruble have parameters  $\hat{k}$  and  $\hat{a}$  higher than one. However, respective transition probabilities are low.

#### 4. Monte Carlo Simulations

The purpose of this section is to evaluate testing procedures for MS GARCH(1, 1) models. Traditional test statistics for the number of regimes, for instance the likelihood test statistics, do not have their usual asymptotic distributions. Here, we extend testing procedures for the number of regimes applied by Cheung and Erlandsson (2004) under consideration of the GARCH(1, 1) process (2.7) and the exponential power distribution (2.6).

The procedures are based on the application of a Monte Carlo approach to derive the empirical distribution for the log likelihood ratio test. Once the empirical distribution is known, the log likelihood ratio test can be implemented. In this section, we check whether test results are in accordance with the *AIC* and *BIC* suggestions from Section 3 for GEL/Euro and GEL/Ruble. Here, MS models with three regimes are not considered since the simulation process is very time consuming.

The log likelihood ratio test statistic is calculated as follows:

$$LR = 2[L(\hat{\theta}^{N_2}) - L(\hat{\theta}^{N_1})] \quad (4.1)$$

where  $L()$  denotes the log likelihood function. The maximum likelihood estimates are defined by  $\hat{\theta}^{N_2}$  and  $\hat{\theta}^{N_1}$  with the number of parameters  $N_2$  and  $N_1$  where  $N_2 > N_1$ . The steps for the Monte Carlo approach are following: a) artificial data are generated based upon the parameter estimation  $\hat{\theta}$ , b) calculate the statistic (4.1) from the generated data, and c) repeat steps (a) and (b)  $M$  times. Based on the simulated statistics, compute the empirical *p-value* as  $m/(M + 1)$ . Note to make differences which models are set to be under the null and alternative hypotheses. For example, if a model with  $\theta^{N_1}$

is tested against a model with  $\theta^{N_2}$ ,  $m$  is then the number of simulated statistics that are larger than the log likelihood ratio statistic from actual data. In contrast, if a model with  $\theta^{N_2}$  is tested against a model with  $\theta^{N_1}$ ,  $m$  is then the number of simulated statistics that are smaller than the log likelihood ratio statistic from actual data (see Cheung and Erlandsson (2004) in detail). Hence, if  $m/(M + 1) < 0.05$ , we reject  $H_0$  and accept  $H_1$ . We also show the power of tests<sup>89</sup>.

The results of Monte Carlo simulations will be presented at the international scientific conference "Globalization and Statistics" in Tbilisi.

#### 5. Conclusions

<sup>89</sup>Recall that the power of a test is defined to be:

$$Power = Pr(\text{reject } H_0 | H_1 \text{ true}) = 1 - Pr(\text{accept } H_0 | H_1 \text{ true}) = 1 - Pr(\text{Typo II error})$$

This paper studied the presence of Markov switching (MS) regimes in three Lari-based ex-change rates. Using Hamilton's Markov switching approach, we applied the daily returns for GEL/USD, GEL/Euro and GEL/Ruble as univariate processes. Altogether, six models are estimated with respect to the GARCH(1, 1) process and normal and exponential power (EP) distributions.

According to both AIC and BIC, three MS regimes based upon the normal distribution are identified as fitting the best. Considering more than three regimes complicates optimization processes due to the existence of too many local maxima and is therefore not recommended. Generally, two- and three- regime normal-based MS GARCH(1, 1) models clearly outperform their respective EP models. Only in the cases without switching, can EP GARCH(1, 1) be regarded as better than normal GARCH(1, 1). We also derived the empirical distribution for the log likelihood test using Monte Carlo simulations and performed the log likelihood test. The corresponding test results will be presented and analyzed at the international scientific conference "Globalization and Statistics" in Tbilisi. Obviously, an important question arises whether MS GARCH(1, 1) models are suitable for forecasting, and whether they are able to generate superior forecasts for Georgian exchange rates related to competing models. Consequently, this should be an issue for future studies.

### **Bibliography**

- Michel Beine, Sebastien Laurent, and Christelle Lecourt. Official Central Bank Interventions and Exchange Rate Volatility: Evidence from a Regime Switching Analysis. *European Economic Review*, 47: pp. 891-911, 2003.
- Yin-Wong Cheung and Ulf G. Erlandsson. Exchange Rates and Markov Switching Dynamics. *CESifo Working Paper*, No. 1348, 2004.
- Charles Engel. Can the Markov Switching Model Forecast Exchange Rates? *Journal of International Economics*, 36: pp. 151-165, 1994.
- Charles Engel and James D. Hamilton. Long Swings in the Dollar: Are They in the Data and Do Markets Know it? *American Economic Review*, 80: pp. 689-713, 1990.
- Markus Haas, Stefan Mittnik, and Marc S. Paoletta. A New Approach to Markov Switching GARCH Models. *Journal of Financial Econometrics*, Volume 2, Issue 4: pp. 493-530, 2004.
- James D. Hamilton. A New Approach to the Economic Analysis of Nonstationary Time Series and the Business Cycle. *Econometrica*, 45: pp. 357-384, 1989.
- Ian W. Marsh. High-frequency Markov Switching Models in the Foreign Exchange Market. *Journal of Forecasting*, Volume 19, Issue 2: pp. 123-134, 2000.

Nr.	MS GARCH(1, 1)		GEL/USD	GEL/EURO	GEL/RUBLE
1	Normal	L	1.887.265	-33.139.074	-24.473.933
		AIC	-3.634.530	66.358.148	49.027.865
		BIC	-3.208.287	66.601.715	49.271.432
		n $\theta$	7	4	4
2	EP	L	27.338.632	-31.690.428	-17.756.725
		AIC	-54.517.265	63.480.855	35.613.450
		BIC	-54.030.131	63.785.314	35.917.909
		n $\theta$	8	5	5
3	Normal with 2 Regimes	L	63.300.738	-22.740.266	19.868.935
		AIC	-126.341.476	45.680.531	-39.537.870
		BIC	-125.549.883	46.289.449	-38.928.952
		n $\theta$	13	10	10
4	EP with 2 Regimes	L	62.164.666	-31.516.229	-18.520.838
The article is devoted to combination's possibilities of the family and professional employment in the Russia of today. The article is based on the information of comprehensive survey of the living conditions of the population which was made in Russia in 2011. On the base of statistic methods of analyses, particularly construction of tree targets, preferences of Russians were revealed in timing both of professional employment and education of children. Parents can be classify on 6 groups by the time which they devote to their children, first of all it depends on sex, the amount of persons in the family, location of the family, joint or separate from children. Employment strategy differs in range of conditions and time schedule. Parents devote their time to children depending on professional employment. There is not enough flexible labor market in Russia and entrepreneurial activity is low in the small family business. Solution of demographic problems, security of birthrate and effective parenting is impossible without family policy in the direction of reconciling family and professional roles.

### სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები-სტატისტიკური ანალიზი


თამარ ლაზარიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასისტენტ პროფესორი*

სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია, მისი პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი განვითარება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ეს ტრადიციები ჩვენი ისტორიის, მენტალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამ დარგმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს უნიკალური იდენტობის შენარჩუნებაში, თვითდამკვიდრებასა და ეკონომიკურ განვითარებაში. თუმცა, აქამდე, სოფლის მეურნეობა და სასურსათო წარმოება საგრძნობლად ჩამორჩებოდა დანარჩენი ეკონომიკის განვითარების ტემპებს. სოფლად დასახლებულთა რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 47-48%-ია, ხოლო ამ სექტორში დასაქმებულთა წილი სამუშაო ძალის მთლიან მოცულობაში 55, 3 %დს შეადგენს, საიდანაც 83% თვითდასაქმებულია. სოფლის მეურნეობის სექტორში ფორმალური დასაქმების სიმცირე მნიშვნელოვნად ამწვავებს სიღარიბის პრობლემას. 2012 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულის საშუალო ხელფასი ზოგადად ეკონომიკაში დასაქმებულთა ხელფასის მხოლოდ 61%-ს შეადგენდა. ამავე დროს, ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა შემოსავალებს შორის სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამინდელი შეფასებებით, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა 53% თავს მხოლოდ ნატურალურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციით იკმაყოფილებს, ხოლო მათი 25,8% ქვეყნის საშუალო მედიანური მოხმარების მხოლოდ 60%-ს მოიხმარს. საერთო ჯამში, ქვეყანაში სიღარიბის დონე შემცირდა, მაგრამ სოფლად სიღარიბის მაჩვენებელი კვლავაც მაღალი რჩება. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისთვის სოციალური დაცულობისა და სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. 2007 წელს სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 10,7%-იყო. 2010 წლისთვის სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მხოლოდ 8,4%-ით განისაზღვრა, თუმცა 2013 წელს წინა წელთან შედარებით 0, 7%-ით გაიზარდა და 9,3 % შეადგინა. (დიაგრამა 1).

აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში შექმნილი დოვლათი არაა სოფლად მცხოვრები ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული.<sup>90</sup>

დიაგრამა1



საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი დღეს ბევრი პრობლემისა და გამოწვევების წინაშე დგას. შემცირებულია მთელი რიგი პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები.<sup>91</sup> 1986-1990 წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 2012 წელს ყურძნის წარმოება შემცირდა 4,8 ჯერ, ხილისა – 3,8 ჯერ, ჩაისფოთლისა – 193-ჯერ, ციტრუსების – 3,7-ჯერ.

მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების ასეთი შემცირება ადასტურებს იმას, რომ აგრარული სექტორის ეს მნიშვნელოვანი რესურსი მნიშვნულ ურდაცვარად გამოყენებული, მაშინ, როცა აღნიშნული პროდუქცია ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ექსპორტში. განვლილ პერიოდში, მნიშვნელოვნად შემცირდა ერთწლიანი სასოფლო სამეურნეო კულტურების წარმოებაც, კერძოდ, ხორბლისა – 3,2-ჯერ, ბოსტნეულ-ბაღჩეულის 2,2-ჯერ, ერთწლიანი საკვები კულტურების 7,4-ჯერ. დაბალია მემცენარეობის პროდუქციის მოსავლიანობის მაჩვენებლები. მაგალითად, 2012 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა არ აღემატებოდა 17 ცენტნერს, ბოსტნეულის – 71 ცენტნერს. სიმინდის – 24 ცენტნერს. გაუარესდა მეცხოველეობის განვითარების მაჩვენებლებიც: ხორცის (დაკლულ წონაში) წარმოება შემცირდა 4-ჯერ, რძისა – 1,2-ჯერ, კვერცხის – 1,6-ჯერ, მატყლის – 3,6-ჯერ. აღნიშნულ პერიოდში მკვეთრად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობი. კერძოდ, ხეხილის – 3,4-ჯერ, ვენახის – 3-ჯერ, ციტრუსების – 2,8-ჯერ, ჩაისფართობის – 5,4-ჯერ. მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 169,5 ათასისულით, ღორის 898,4 ათასისულით, ცხვრისა და თხის 875,5 სულით, ფრინველის 15,7 მლნ ფრთით. უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში განსხვავებულია მემცენარეობის, მეცხოველეობისა და სასოფლო სამეურნეო მომსახურების წილები (იხ. ცხრილი 1). 2013 წელს 2006 წელთან შედარებით მემცენარეობის ხვედრითი წილი 43% დან 40% მდე

<sup>90</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

<sup>91</sup> კითხავა ნ. - აგრარული სექტორი ახალი გამოწვევების წინაშე, ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, N2, 2014 წ.

შემცირდა, მეცხოველეობისა 55 %დან 56 %დმდე გაიზარდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მომსახურებისა ასევე გაიზარდა 2 % დან 4%დმდე.

**მემცენარეობის, მეცხოველეობის და სასოფლო-**

**სამეურნეო მომსახურების წილების რაოდენობის პროცენტის გამოწვევაში (%)**


cxrili 1

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013*
სოფლისმეურნეობის პროდუქციის გა მოშვება, სულ	100	100	100	100	100	100	100	100
მემცენარეობა	43	47	41	42	42	46	39	40
მეცხოველეობა	55	51	56	55	55	50	57	56
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	2	2	3	3	3	4	4	4

2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონის თანაბარი კლება დაფიქსირდა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად 25,6 და 6,5 პროცენტი შეადგინა.<sup>92</sup>

**უმუშევრობის დონე ქალაქისა და სოფლის ჭრილში**


დიაგრამა 2



სოფლის მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ტრანსფერტებში მნიშვნელოვანი წილი უკავია პენსიებს, სტიპენდიებსა და დახმარებებს (25.8 პროცენტი), სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს (19.9 პროცენტი) და საჩუქრად მიღებულ ფულს (14.1 პროცენტი)

<sup>92</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

**სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების პროცენტული განაწილება, 2010 წელი**



დიაგრამა 3

საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის ამაღლების კვალობაზე, შეინიშნება გარკვეული დადებითი ტენდენციები.<sup>93</sup> განსაკუთრებით 2013 წლიდან დაწყებული სისტემური ღონისძიებების შედეგად, რაც არსებული საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციას და ახალი ბაზრების გახსნის (კერძოდ, რუსეთის ბაზრის) ღონისძიებებს გულისხმობდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციის ნომენკლატურა და მისი ღირებულება. 2000 წელს ექსპორტის მოცულობა 184 მლნ ლარი (93 მლნ დოლარი) იყო, ხოლო 2013 წელს 1317,5 მლნ ლარი გახდა (775 მლნ დოლარი). გამოიკვეთა ექსპორტში სპირტიანი სასმელების, ღვინის, მინერალური წყლის, ციტრუსისა და ხილ-ბოსტნეულის მოცულობის ზრდის დამაიმედებელი ტენდენციები. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის ექსპორტი, რომელმაც 2011 წელს 130 მლნ. აშშ დოლარი, 2012 წელს 84 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოება აღიარებული არაოცად ამიანის იცოცხლისთვის საუცილებელი საკვებ პროდუქტებთან ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა დამათისაკმარისად წარმოება. ფიზიკური ხელმისაწვდომობა განიხილება, როგორც საკმარისი რაოდენობის ადასორტიმენტის პროდუქტების არსებობა.

ეკონომიკური ხელმისაწვდომობა იმას ნიშნავს, რომ დამიანს უნდა აქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ მინიმალურად მინც შეძლოს სასურსათო ხელმოთხოვნების დაკმაყოფილება. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შესატყვისი ხელშემწყობი ღონისძიებების თანმიმდევრული გატარების შემთხვევაში, ქვეყნის აგრარული საექსპორტო პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდება. ამავე დროს, 2000-იანი წლების იმპორტის სწრაფი ზრდის შემდეგ 2013 წელს დაფიქსირდა შემოსული იმპორტის ერთგვარი სტაბილიზაციის ფაქტი. თუ 2000 წელს სურსათის იმპორტი 333 მილიონ ლარს შეადგენდა (168 მლნ. დოლარი), 2013 წელს მისმა მოცულობამ 2195,21 მილიონ ლარს მიაღწია (1291,6 მლნ დოლარი). 2013 წლის იმპორტის მანევრებელი 2012 წლის მანევრებელს მხოლოდ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარით აღემატება. დარგის განვითარება შესაძლოა, უპირველეს ყოვლისა იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის გატარების გზით განხორციელდეს და საშინაო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იყოს ორიენტირებული, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი საექსპორტო პოტენციალის გამოყენებაც. განსაკუთრებით მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე არსებული მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით.

ბუნებრივ-საწარმო პირობები მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა უარყოფით გავლენას წარმოების მასშტაბებზე, სეზონურობაზე, პროდუქციის წარმოებასა და დასაქმებას შორის

<sup>93</sup> <http://www.moa.gov.ge/>

წვევტილობაზე, ტექნიკის გამოყენებაზე, შემოსავლების განსაზღვრაზე, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონეზე, მიზანშეწონილია აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები გადაწყდეს კომპლექსურად. საქართველოს ძალიან კარგი პოტენციული აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდისთვის.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია, რაც მაღალი ღირებულების მქონე მემცენარეობის პროდუქციის წარმოებას უწყობს ხელს. საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, სოფლის მეურნეობაში იზიდავს ინვესტიციებს და ახორციელებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ეხმარება წარმოების კომერციალიზაციასა და მის ზრდას. თუმცა, საქართველოში დაბალია პროდუქტიულობის მაჩვენებელი (განვითარებულ ევროპულ ქვეყნების მაჩვენებელზე სამჯერ ნაკლები და საშუალო სოფლის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლები). ქვეყანაში ჯერაც არ მუშავდება ნაყოფიერი მიწის დიდი ნაწილი. დროთა განმავლობაში, ტექნოლოგიების და კაპიტალის ნაკლებობისა და საბაზისო ცოდნის არქონა მიწის ნაყოფიერების დაკნინებას გამოიწვევს. აღსანიშნავია ის, რომ გასული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის დამუშავებული ფართობები, რაც შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს ხანგრძლივადიან პერიოდში კერძო სექტორის ინიციატივა არ ჩაანაცვლებს, მიღწეული შედეგების შენარჩუნება უკიდურესად გართულებია. სოფლის მეურნეობამ და აგრობიზნესმა უფრო მეტი როლი უნდა ითამაშონ როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე სოციალური სტაბილიზაციის მიმართულელებითაც. დღეს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად გამოიყოფა:

1. სოფლის მოსახლეობის შემოსავლების სამართლიანი და თანაბარზომიერი
2. ზრდა, რაც მოსახლეობის ყველა ფენისათვის სტაბილური საარსებო წყაროსა და სასურსათო უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს;
3. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა მოსახლეობის დასაცავად და შიდა და გარე ბაზრების გაფართოება;
4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა;
5. გარემოს დაცვითი მდგრადობის ხელშეწყობა ბუნებრივი რესურსების შესანარჩუნებლად.
6. სასურსათო უსაფრთხოება, სიღარიბის შემცირება და სხვა.

ყოველივე აღნიშნულის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საიმედო და მრავალმხრივი სტატისტიკური მონაცემების არსებობამ.

## **Agricultural development trends and statistical analysis**

**T. Lazariashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Assistant Professor

### **Summary**

Maximal assimilation and purposeful development of agricultural potential is vitally significant for the country. This branch played an important role in preserving the identity of Georgia, self-settlement and economical development. The agricultural sector of Georgia today faces many problems and exacerbation.

The formal the employment in the agricultural sector significantly exacerbates the problem of poverty. In the article is analysed the existing circumstance in the branch of agriculture, are discussed the existed problems and are taken the recommendations of solving them: the proportional and fair growth of the agricultural incomes, provision of food safety for defending the population and

development of internal and external business; increasing of agricultural production, supporting of stability of environmental defence for preserving the natural resources, etc.

## გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს განვითარების პერსპექტივები

გელა ლობჯანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაცია – მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა, რომელიც აჩქარებს ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას, ერთიანი (გლობალური) საინფორმაციო სივრცის, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციას, იწვევს მდგრადი განვითარების კონცეფციის (ფილოსოფიის) პრაქტიკულად ამოქმედებას [1, გვ. 8]. ამასთან, აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992 წელს მიღებული და მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებული პოსტინდუსტრიული ეპოქის გრანდიოზული პროგრამა (მდგრადი განვითარების პრინციპები და „XXI საუკუნის დღის წესრიგი“), რომელიც მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ორგანულად დაუკავშირონ ერთმანეთს ტრადიციული და თანამედროვე საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიღწევები ხანგრძლივი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტიანი მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში [2, გვ. 250].

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში ჩვენი აზრით, უპირველესია ეკონომიკური გლობალიზაციის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა-გაანალიზება მიმდინარე პროცესებში როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტების თვალსაზრისით, რადგან სწორედ ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენენ ბაზისურს, გეკარნახობს რა თამაშის წესებს და ამასთან, ფლობს პოლიტიკურ ბერკეტებს. აქ გაითვალისწინება ეკონომიკური გლობალიზაციის იმ ძირითადი მიმართულებების (ფინანსური გლობალიზაცია, მრავალეროვნული კორპორაციების ფორმირება-ფუნქციონირება, ეკონომიკის რეგიონალიზაცია, მსოფლიო ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, კონვერგენცი-ისადმი ტენდენცია) თავისებურებები [1, გვ. 5], თანამედროვე ტენდენციები და მათი გავლენა ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე, მის ეფექტიან ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებაზე, რომლებმაც მთლიანობაში უნდა უზრუნველყონ საქართველოში ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება და ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ ამოქმედება.

შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე, მსოფლო ეკონომიკის გლობალიზაციამ **ოთხი ეტაპი** გაიარა. **პირველი ეტაპია** 1820-1914 წლები, როდესაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა საერთაშორისო ვაჭრობა, დაიწყო სამუშაო ძალისა და კაპიტალის გატანა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის სატელეფონო კაბელის გაყვანამ. **მეორე ეტაპი** მოიცავს 1914-1950 წლებს,

ამ პერიოდში მსოფლიო ომებისა და დიდი ეკონომიკური დეპრესიის გავლენის გამო, მთელ რიგ სახელმწიფოებში თავი იჩინა ანტიგლობალიზმმა მისწრაფებებმა, უპირატესობა მიენიჭა ეროვნული ინტერესების დაცვას; **მესამე ეტაპი** დაიწყო 1950 წლიდან და გრძელდება დღემდე. თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, საინფორმაციო ტექნოლოგიები კიდევ უფრო აძლიერებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და სხვა ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხს. ეს ეტაპი არის, გლობალიზაციის ყველაზე ინტენსიური განვითარების პერიოდი, რომელიც ხორციელდება რეგიონალიზაციის მეშვეობით, რის საფუძველზეც ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი და სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია. 2010 წლიდან ტოლერანტიზმის ფილოსოფიამ, კრიზისმა საბანკო სექტორში (იპოთეკური კრიზისი), რომელიც დაიწყო აშშ-ში და სწრაფად გადაიზარდა მსოფლიოს გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისში, გლობალიზაციის პიკის თანამედროვე პერიოდში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში წინა მხარეს წამოწია სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ნაციონალიზმის, პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების მცდელობები, რასაც ბიძგი მიცა აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას სატელევიზიო სიტყვა – ლოზუნგმა – შეისყიდეთ ამერიკული საქონელი. ინგლისში, გერმანიში, საფრანგეთსა და სხვა განვითარებულ თუ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, ცდილობენ შეინარჩუნონ ადგილობრივი, ნაციონალური სამუშაო ძალა და გაანთავისუფლონ უცხოელი ემიგრანტები. ძლიერმა ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება აგრეთვე, ხელი შეუწყოს ნაციონალისტური და რელიგიური იდეების წინ წამოწევას, ცივილიზაციათა შეჯახებას, დიდი იმპერიების დაშლას და პატარა ქვეყნების ჩამოყალიბებას, რასაც მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე უადრესად რთული, თანმდევი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები მოყვება; ჩვენი აზრით, სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო – ანტიგლობალიზაციის ნიშნებით მეოთხე ეტაპი [3.გვ.8].

მსოფლიო ყოვლისმომცველი გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების შეფასებისას მნიშვნელოვანია ორი საპირისპირო მიმართულებით მოვლენათა განვითარების გათვალისწინება. მართალია, გლობალიზაცია ერთი მხრივ, აჩქარებს ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს მშვიდობის, დემოკრატიის განვითარებას და მთელი კაცობრიობის გაერთიანების გამყარებას, სადაც ვაჭრობა და ახალი ტექნოლოგიები, ფინანსური კაპიტალი, ინფორმაცია და ა.შ., ხელს უწყობენ მრავალი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების დაახლოებას; ანუ, გლობალიზაციას, მისი მართებული, რეგულირებადი წარმართვის შემთხვევაში, შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოუტანოს მსოფლიოს ხალხებს. თუმცა, მეორე მხრივ, გლობალიზაციას, ტრანსნაციონალურ ეკონომიკას თან სდევს უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია, საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის პროცესის გაძლიერება, სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრების რღვევა და მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა კრიზისებს; ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად კი, მთელი რიგი ახალი საფრთხეები წარმოიშვა, კერძოდ: გადრმავედა ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა; გაიზარდა სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრების დამოკიდებულება გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობა; სახეზეა სამუშაო ძალის მზარდი ლეგალური და არალეგალური მიგრაცია; ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია და გლობალიზაცია ქმნის ნოყიერ ნიადაგს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კრიმინალურ მიზნებში გამოყენებისათვის, რასაც ხელს უწყობს განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში, იაფი ეკონომიკური რესურსების მისაწვდომობა, ოფშორულ ზონებში ფულის გარეცხვის სიმარტივე და ა.შ. სულ უფრო იზრდება ნარკობიზნესი, იარაღით, ხელფონების ნიმუშებით არალეგალური ვაჭრობის



ტრანსნაციონალური ბიზნესი [5,გვ.477]; ანუ, გლობალიზაციას, მისი არამართებული და ქაოსური მიმდინარეობისა და განვითარების შემთხვევაში, შეუძლია ძალზე სერიოზული პრობლემები შეუქმნას კაცობრიობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ძირითად პირობებად მიჩნეულია შემდეგი: ა) მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მშპ ნაკლები არ უნდა იყოს 8-10 ათას დოლარზე; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღარბმდეს მშპ-ის 3-5%-ს; გ) სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს; დ) საგარეო ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არ უნდა იყოს წლიური საექსპორტო შემოსავლების 20%-ზე მეტი, – რომელთა ნაწილი ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნადაა დარღვეული და თვით სახელმწიფოებრიობას უქმნის რეალურ საფრთხეს, რადგან მას არსებულ ვითარებაში დაკარგული აქვს გაფართოებული ნორმალური კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების უნარი [4,გვ.335-336].

ევროპის კავშირში გაწევრიანებისათვის მიღწეულ უნდა იქნეს ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმების შემდეგი პარამეტრები: 1. მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 3,1% (თუმცა აღნიშნული ეხება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. საქართველოსთვის აღნიშნული პარამეტრის მოთხოვნა უფრო მეტი იქნება). 2. მშპ ერთ სულზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით) 4900 ევრო; 3. ინვესტიციების წილი მშპ-ში 22,81%; 4. უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე 83 ევრო; 5. საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 32%; 6. ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს 3,3%; 7. საგარეო ვალი მშპ-ს მიმართ 36%; 8. ექსპორტით იმპორტის გადაფარვა 74,6%; 9. საბაჟო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 4%; 10. უმუშევრობის დონე (მკაცრი კრიტერიუმით) 10,9% და ა.შ. საქართველოსთვის აღნიშნული კრიტერიუმებიდან ზოგიერთი, მაგალითად 2, 4, 8 საკმაოდ რთულად მისაღწევი იქნება [5,გვ.489].

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, ამერიკელი მეცნიერის ნიკოლას სფიქმენის, მიერ დადგენილი სახელმწიფოს სიძლიერის ათი კრიტერიუმის აღნიშვნა: – 1. ტერიტორიის ზედაპირი; 2. საზღვრების ბუნება; 3. მოსახლეობის რაოდენობა; 4. ეთნიკური ერთგვაროვნება; 5. სასარგებლო წიაღისეული; 6. ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონე; 7. ფინანსური სიძლიერე; 8. სოციალური ინტეგრაციის დონე; 9. პოლიტიკური სტაბილურობა; 10. ეროვნული სულისკვეთება. აღნიშნული კრიტერიუმები არის მუდმივი პროცესები და არა ერთჯერადი აქტები. თუ ამ კრიტერიუმების ჯამური შეფასება სახელმწიფოსათვის დაბალი აღმოჩნდება სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად სტრატეგიულ კავშირში უნდა შევიდეს სხვა სახელმწიფოებთან და დათმოს თავისი სუვერენიტეტის ნაწილი. ნიკოლას სფიქმენს და სხვა მეცნიერებს სახელმწიფოს და ერის უსაფრთხოების მნიშვნელოვან პარამეტრად მიაჩნიათ ადგილობრივი ეთნიკური ერის დომინანტური მდგომარეობა სახელმწიფოში და ტერიტორიაზე. დიდი ეთნიკური და რელიგიური სიჭრელის შემთხვევაში, სახელმწიფოების და ტერიტორიების დაშლა ადრე თუ გვიან გარდაუვალია, ხოლო ერის შეკვრა უნდა განახორციელოს სახელმწიფოს მართვის იერარქიულმა სისტემამ, ეროვნულ მესაკუთრეთა ფენამ და ინტელექტუალურმა პოტენციალმა [6,გვ.13-14].

ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის არსებული სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და ინტელექტუალური მდგომარეობა, მიუხედავად გატარებული მთელი რიგი რეფორმებისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია და ხასიათდება მთელი რიგი ნეგატიური ტენდენციებით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: სახელმწიფო მართვის სტრუქტურების არასრულყოფილება და დაბალი ეფექტიანობის დონე, ეროვნული მიზნების, კულტურული მიღწევებისა და სახელმწიფო ინტერესების უგულვებლყოფა ან კიდევ მათი მასობრივი შეცვლა უცხოური სუროგატებით, ეკონომიკური და სხვადასხვა სახის კრიზისების არსებობა, უმუშევრობის მაღალი დონე და მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც

მთლიანობაში განაპირობებენ მორალურ-ზნეობრივი საფუძვლების შესუსტებას, ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ზრდას და საზოგადოების სამართლიან ნეგატიურ განწყობას.

როგორც შესწავლილი მასალების ანალიზიდან ირკვევა, საერთაშორისო ეკონომიკური პარამეტრების შედარებითი ანალიზით საქართველოში ტრანსფორ-მაციული პროცესები კიდევ საკმაოდ ხანს გაგრძელდება. დემოკრატიული განვითარების რეიტინგების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ საკმარისად შორსაა რეალური დემოკრატიისგან, რაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა. 2012-2014 წლების ეკონომიკურ ზრდას საქართველოში მოჰყვა ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი რეიტინგის ცვლილება პოზიტიური კუთხით. ამ თვალსაზრისით მართალია, მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა საქართველოს საერთაშორისო რეიტინგი, საერთაშორისო სააგენტოს „Fitch“-ის მიხედვით – შემდეგი მაჩვენებლებით, 2012 წელს ❖ გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის დეფოლტის რეიტინგი (IDRs) – „BB-“ (2010 წელს იყო – „B+“), ❖ მოკლევადიანი უცხოური ვალუტის დეფოლტის რეიტინგი – IDR – „B“, ❖ ქვეყნის გაჯანსაღების რეიტინგი – „BB“, ❖ არაუზრუნველყოფილი სესხი – „BB-“ (2010 წელს იყო – „B+“ ), ❖ შეფასება – სტაბილური, თუმცა, 2013 წელს კორუფციის თავიდან აცილების ინდექსის მიხედვით მდგომარეობა გაუარესდა 4 ერთეულით და 177 ქვეყანას შორის 100-ქულიან შკალაზე 55-ე მსოფლიო ადგილი განისაზღვრა (2012 წელს იყო 51-ე მსოფლიო ადგილი); 2014 წელს „Heritage Foundation“-ის მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (ძირითადი სფეროების მიხედვით: კანონის უზენაესობა, მთავრობის ზომა, რეგულაციების ეფექტიანობა, ღია ბაზრები) მიხედვით ჩატარებულ კვლევაზე მსოფლიო 178 ქვეყანას შორის – 22-ე მსოფლიო ადგილი უმეტესად თავისუფალ ჯგუფში რეიტინგით 72,6 ქულით და მე-12 ადგილზე ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის, სადაც საქართველოს საშუალო ქულა (72.6) აღემატება 5,5 ქულით ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (67.1); 52-ე მსოფლიო ადგილი საგადასახადო ტვირთისა და რეფორმების ინდექსის მიხედვით (2007 წელს იყო 72-ე მსოფლიო ადგილი), მსოფლიო ბანკის კვლევა ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით 2014 წელს 189 ქვეყანას შორის 8-ე მსოფლიო ადგილი (2006, 2010 და 2012 წელს იყო 112-ე, 13-ე და 12-ე ადგილი); 2013-2014 წლებში მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის(GCI) კვლევამ, რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს მოიცვა 148 ქვეყანა, სადაც საქართველო 72-ე პოზიციაზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4.15-ს შეადგენს, რაც ზომიერი მაჩვენებელად მიიჩნევა და 2011-2012 წლების რეიტინგი 88-ე პოზიცია 12 ადგილით გაუმჯობესდა; ხოლო ქვეინდექსის ფაქტორთა მიხედვით შეფასებები შემდეგია: **I. ინსტიტუტები** – 64-ე ადგილი, (საერთო ქულა – 4.00); **II. ინფრასტრუქტურა** – 56-ე ადგილი, (საერთო ქულა – 4.31); **III. მაკროეკონომიკური მდგომარეობა** – 61-ე ადგილი (საერთო ქულა – 4.91); **IV. ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება** – 70-ე ადგილი (საერთო ქულა – 5.75); **V. უმაღლესი განათლება და ტრენინგი** – 92-ე ადგილი (საერთო ქულა – 3.79); **VI. ბაზრის ეფექტიანობა** – 67-ე ადგილი (საერთო ქულა – 4.29); **VII. შრომის ბაზრის ეფექტიანობა** – 40-ე ადგილი (საერთო ქულა – 4.59); **VIII. ფინანსური ბაზრის განვითარება** – 75-ე ადგილი (საერთო ქულა – 3.91); **IX. ტექნოლოგიური მზაობა** – 68-ე ადგილი (საერთო ქულა – 3.83); **X. ბაზრის მოცულობა** – 103-ე ადგილი (საერთო ქულა – 2.96); **XI. ბიზნესის განვითარება** – 120-ე ადგილი (საერთო ქულა – 3.47); **XII. ინოვაციები** – 126-ე ადგილი (საერთო ქულა – 2.68). ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის მიხედვით კვლევამ მოიცვა 128 ქვეყანა, რომელიც ანალიზებს და შეფასებს უკეთეს ქვეყანაში განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესებს, იგი იძლევა ამომწურავ ინფორმაციას წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების მართვის შესახებ სახელმწიფო, სამოქალაქო და განვითარებად

ორგანიზაციებში; ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის რაოდენობრივი მონაცემები ქვეყნებს რანგირებას უკეთებს ორი მიმართულებით: **მენეჯმენტის ინდექსი და მდგომარეობის ინდექსი**, სადაც მენეჯმენტის ინდექსის რეიტინგში საქართველომ 2003 წელს 95-ე ადგილიდან 2012 წელს 53-ე ადგილზე გადაინაცვლა (გაუმჯობესდა 42 პოზიციით), ხოლო მდგომარეობის ინდექსის რეიტინგში 2003 წელს 79-ე ადგილიდან 2012 წელს 58-ე ადგილზე გადაინაცვლა (გაუმჯობესდა 21 პოზიციით). ამასთან, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში“ საქართველომ პოზიციები გაიმჯობესა და 4,2 ქულით 72-ე ადგილიდან 69-ე პოზიციაზე გადაინაცვლა.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ სტრუქტურას 12 კომპონენტი შეადგენს, რომლებიც სამ ძირითად ბლოკად იყოფა: **1. ძირითადი მოთხოვნები** – ინსტიტუტების არსებობა, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, პირველადი განათლება და ჯანდაცვა; **2. ე.წ. ეფექტიანობის კატალიზატორები** – უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზარი, ფინანსური ბაზრის ეფექტიანობა, ტექნოლოგიური მზაობა, ბაზრის ზომა; **3. ინოვაციური ფაქტორები** – ბიზნესის წარმოების დახვეწილობა და ინოვაცია.

ძირითად მოთხოვნებში საქართველოს პოზიცია 9 საფეხურით გაუმჯობესდა და 57-ე ადგილიდან 48-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. ეფექტურობის მასტიმულირებელ ფაქტორში საქართველო 79-ე პოზიციაზეა, ინოვაციური ფაქტორების მანევრებელში კი – 118-ე პოზიციაზე.

2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში“ 148 ქვეყნის მანევრებელია შეფასებული. რეიტინგში საქართველოს ჩამორჩებიან უკრაინა (76-ე პოზიცია), მოლდოვა (82), სომხეთი (85). რეიტინგის პირველ ხუთეულში არიან შვეიცარია, სინგაპური, აშშ-ი, ფინეთი და გერმანია [7] და [8].

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კვლავ წინააღმდეგობრივი რჩება მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, სახელდობრ: 2013 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) მოცულობამ დაახლოებით 26.8 მლრდ ლარი, ანუ 16.1 მლრდ აშშ დოლარი და მოსახლეობის ერთ სულზე იმავე 2013 წელს 5982.6 ლარი ანუ 3596.6 აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი, – მოსახლეობის ერთ სულზე მშპ დაახლოებით 30 ათასი დოლარია. 2003 წლიდან 2014 წლამდე საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 380%-ით გაიზარდა და საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 13.6 მილიარდი დოლარი (23.7 მილიარდი ლარი) შეადგინა, რაც ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის დაახლოებით 88%-ს შეადგენს; საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, სახელმწიფო საგარეო ვალი 5.4 მილიარდი დოლარით (მშპ-ს 33.2%) განისაზღვრა. სამთავრობო სექტორის ვალი 4.2 მილიარდი დოლარია (მშპ-ს 26%), ეროვნული ბანკის – 338.2 მილიონი დოლარი, ხოლო სახელმწიფო საწარმოების ვალი – 833.5 მილიონი დოლარი. საბანკო სექტორის საგარეო ვალი 2.6 მლრდ აშშ დოლარით განისაზღვრა (4.6 მლრდ ლარი), სხვა სექტორების საგარეო ვალი – 3.4 მილიარდი დოლარით, ხოლო კომპანიათაშორისი ვალი – 3.1 მილიარდი დოლარით. საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 8.7 მილიარდი აშშ დოლარი (15.1 მილიარდი ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ს 53.9%-ია, აქედან, წმინდა სახელმწიფო საგარეო ვალმა 2.5 მილიარდ დოლარს (ანუ, მშპ-ს 15.5 %), ხოლო კერძო სექტორის წმინდა საგარეო ვალმა – 6.2 მილიარდ დოლარს (მშპ-ს 38.4%) მიაღწია. იმავე 2013 წელს საქართველოში 914,4 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც მხოლოდ 1%-ით მეტია 2012 წლის და 18,4%-ით ნაკლებია 2011 წლის მონაცემზე. 2013 წელს ექსპორტმა 2,9 მლრდ აშშ დოლარი და იმპორტმა 7,9 მლრდ აშშ

დოლარი შედგინა, მკვეთრად გაღრმავდა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც მოყვა შემოსავლების უთანასწორო განაწილების უარყოფითი ტენდენცია და ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა 2013 წელს რეგისტრირებული და ფარდობითი სიღარიბეა 9,7 და 21,4%. უმუშევრობის დონე კი, წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა 0,1%-ით და შეადგინა 15% (დასაშვები დონე 7%), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი მაკროეკონომიკური რეალური მაჩვენებლები დათვლის მეთოდის არასრულყოფილების გამო ოფიციალურ სტატისტიკას საკმაოდ აღემატება [9] და [10], რაც, ცხადია, ყოველივე ეს ძირითადად განპირობებულია სტატისტიკური სამსახურის სანდოობისა და ტრანსპარენტულობის დაბალი დონით, სტატისტიკური მეთოდოლოგიის და კანონის არასრულყოფილებით.

მსოფლიოში აღიარებული სტანდარტით, ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტის წილი საერთო დანახარჯების 15% მაინც უნდა იყოს. თუმცა, საქართველო ამ მხრივ, არა მხოლოდ ევროპის, დსთ-ის ქვეყნებსაც კი ჩამორჩება. საქართველო საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ბოლო წლებში საშუალოდ ხარჯავს ქვეყნის მშპ-ის 2.4 პროცენტს (საშუალოდ მსოფლიოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე იხარჯება მშპ-ის 6.5%, EU 27-ში – 7.3%), განათლებაზე – 3.2 პროცენტს (მსოფლიოში – 4.9%, EU27-ში – 5.5%), ხოლო თავდაცვაზე – 3.9 პროცენტს (მსოფლიოში – 2.6%; EU 27-ში – 2.0%). 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით, განათლებასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან იქნება 2.6–2.6 პროცენტი თითოეული, თავდაცვაზე, შესაბამისად – 2.2 პროცენტი. საქართველოში ჯანდაცვაზე ხარჯების წილის თანაფარდობა შესაბამის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან შეადგენს მხოლოდ 37 პროცენტს, განათლებაზე, შესაბამისად – 65 პროცენტს, თავდაცვაზე კი – 150 პროცენტს. საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო ხარჯავს 142.3 აშშ დოლარს, რაც საშუალო მსოფლიო დონის მხოლოდ 21.9 პროცენტია. განათლებაზე ანალოგიური ხარჯების რაოდენობა 189.8 დოლარია (38.0%), თავდაცვაზე კი – 231.3 დოლარი (87.3%). ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის მიხედვით თანაფარდობა შეადგენს 49.1%-ს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამხედრო ხარჯების მოცულობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მისი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე საგრძნობლად ჩამორჩება თავის ოთხივე სახმელეთო მეზობლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. თავდაცვაზე ხარჯების სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოსთან შედარებით შეადგენს: სომხეთში – 106%-ს, აზერბაიჯანში – 131 პროცენტს, რუსეთში – 299 პროცენტს, თურქეთში – 169 პროცენტს. ამჟამად საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და განათლებაზე გაღებული ხარჯები პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებელს დაახლოებით 3–3-ჯერ, ხოლო თავდაცვაზე – 1.8-ჯერ ჩამორჩება [11, გვ. 26]. ცნობილია და პრაქტიკით დადასტურებულია, რომ რაც უფრო სოციალურად დაძაბულია საზოგადოება, მით უფრო დაბალია ეკონომიკური განვითარების ტემპი და გართულებულია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური წესრიგის დამყარება და სტაბილურობის მიღწევა.

გლობალიზებულ სამყაროში დემოკრატიის უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი სიძნელეა XXI საუკუნის უსაფრთხოების მშენებლობაში და გარანტი გლობალიზაციისაგან დადებითი შედეგების მიღებისა. მართალია, დღეს მთელი მსოფლიო გახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა. როგორც ცნობილია, მცირე ერების სულიერი და ეროვნული ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება ამდიდრებს მსოფლიოს და გამორიცხავს კონფლიქტს და დაპირისპირებას, თუმცა, ამავე დროს, საჭიროა

ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი, რომელიც ხელს შეუწყობს ცივილიზაციათა შორის დიალოგს.

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლობისათვის დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები სრულიად მისაღებია და ადამიანთა თანასწორობის იდეა ქრისტიანობის კუთვნილებაა. ის ფასეულობანი, რომლებიც პატივს მიაგებენ ადამიანის თავისუფლებას, ხელს უწყობენ სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას და აღიარებენ სახელმწიფოსა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას. ნამდვილი კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი სრულებითაც არ გამორიცხავს პატრიოტიზმს – საკუთარი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის სიყვარულსა და მისთვის თავდადებას. აქ მნიშვნელოვანია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოსაზრება, რომელიც ბრძანებს: – „... ის, ვინც „გაინგლისელდება“, „გაგერმანელდება“, „გაფრანგდება“, „გარუსდება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს, და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიოს მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა, როგორც ეროვნული ინდივიდუალობის წაშლა და გათქვეფა“ [12, გვ.13].

გლობალიზაციის ძალზე რთული და სწრაფი პროცესების ზემოქმედებით მთელი რიგი სახელმწიფოები იძულებულნი ხდებიან ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა წარმართონ საერთაშორისო კონკურენტულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, შესაბამისად ამისა, პატარა და სუსტად განვითარებული ქვეყნები კარგავენ ეკონომიკურ სუვერენიტეტს და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხს. ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში გატარებულმა გონივრულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა გაანეიტრალოს გლობალიზაციის შესაძლო, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, შეინარჩუნოს, განავითაროს და განამტკიცოს ეროვნული ეკონომიკური თავისთავადობა (თვითმყოფადობა) და უსაფრთხოება.

საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერის თვითმყოფობის ისტორიული ხანგრძლივობა, არამედ იმის გარკვევაც, თუ ეროვნული მემკვიდრეობის რა ნაწილია გამოსადეგი სამომავლო აღმშენებლობის გზაზე, მემკვიდრეობისა, რომელიც ერის ნების საფუძველზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა. როგორც წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) განმარტავს, – ეროვნული მემკვიდრეობა ესაა იგივე „ეკონომიკური აგებულება, ეკონომიკური წყობა“, რომელმაც ერი საუკუნეების მანძილზე თავისთავადობის („ჩვენი თავი ჩვენადვე გვექუდნოდა“) გრძნობით გამოატარა „და ბოლოს XVIII საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავითარი ვალი და ვახში არ დასდებია“. ეკონომიკური აგებულება, ეკონომიკური წყობა არის „მეურნეობრიობის სისტემა, რომელშიც ხალხი იჩენს თავის თავს, თავის თვისებას, თავის მონაწილეობას ისტორიაში“. ამასთან, „ეკონომიკური წყობა“ ფსიქიური, სამართლებრივი და გამრჯეობის ნორმებისა და სულიერი საწყისების ერთობლიობაა, რომელიც „განაპირობებს მყუდრო სამოქალაქო ცხოვრების უზრუნველყოფას“. აღნიშნულ განმარტებებში ნათლად ჩანს ჩვენი შორეული წინაპრების დამოკიდებულება მეურნეობრიობისადმი, მათი რწმენა იმის შესახებ, რომ ამ წყობით საქართველო მუდმივად გილს დაიკავებდა ცივილიზებულ სამყაროში. ცხადია, ამ ფასეულობებს დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ტრადიციულის მივიწყებამ და ჩვენში უცხოური მოდელების მექანიკურად შემოტანამ უგულებელყო და შთანთქა ეროვნული პოტენციალი და ეროვნული მეურნეობის ყველა კომპონენტი. სწორედ წარსულ საუკუნეთა დიდი მონაპოვარი, ქმედითი მეთოდების წარმოჩენით, ქართული სახელმწიფოებრიობის წარსული მემკვიდრეობის გათავისებით და გათანამედროვეობით უნდა აღდგეს ქართული ეკონომიკური წყობა და ახალ ვითარებისადმი იქნეს მისადაგებული, რადგან როგორც შეფასებები მოწმობს ქართული ეკონომიკური წყობა ის მაღალგანვი-თარებული

ფენომენია, რომელსაც შეუძლია იხსნას ერი, ჩასწვდეს მისი მეურნეო-ბრიობის ურთულეს სტრუქტურებს, ასევე სრულყოფილად დაიცვას ქვეყნის ის ფუნქცია, რომელიც დამსახურებულ ადგილს დაუკვიდრებს მას(ერს) კაცობრიობის მეურნეობრივ გარემოში. ანუ, წარსულიდან უნდა იქნას აღებული ყოველივე ის, რაც აძლიერებს აწმყოს და მომავალს, სწორედ ეროვნული ტრადიციების გათავისებით და ეპოქის მოთხოვნებისადმი მისადაგებით არის შესაძლებელი წარმატებების მიღწევა. ისევ წმინდა ილია მართალს (ჭავჭავაძე) მოუხმობთ: „... წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი. ... აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“. „... ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისთვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“ [14.გვ.141–144 და 269–270].

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და მსოფლიო ფინანსურ ცენტრებს, რომლებიც შეთანხმებული მოქმედებით, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიური მონაწილეობითა და მისი განვითარების ხელშეწყობით, ქმნიან რა საკუთარ საერთაშორისო საწარმოო კომპლექსებს, იძენენ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში დამკვიდრების დამატებით შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ამ ქვეყნების ბუნებრივი, საწარმოო, ტექნოლოგიური, შრომითი რესურსები და საზღვარგარეთ უკვე არსებულ ვიწროსპეციალიზებულ საწარმოთა ბაზაზე გააღრმავონ შრომის შიდასაფირმო დანაწილება. მაღალგანვითარებული ქვეყნები, ტრანსნაციონალური კაპიტალის მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ რა გლობალიზაციის პროცესზე გავლენისა და საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაცვის მექანიზმს, ხელს უწყობენ თავიანთი ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებას და ისწრაფვიან თავს მოახვიონ თავიანთი მკაცრი პირობები და თამაშის წესები მიმღებ, ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებს, რის გამოც ხშირად შედიან წინააღმდეგობაში ეროვნულ კაპიტალთან და მისი გავლით სახელმწიფოსთან.

ეროვნული სახელმწიფოს როლის გაძლიერების აუცილებლობიდან გამომდინარე, ეკონომიკის მარეგულირებელ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებულად ფრთხილი და ზომიერი დამოკიდებულება ტრანსნაციონალური კომპანიების ჩვენს ქვეყანაში შემოსვლასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისა და მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით, რადგან მაღალ-რენტაბელური უცხოური საწარმოები ნიადაგს აცლიან და არაკონკურენტუნარიანად აქცევენ ეროვნულ წარმოებას. თანამედროვე ბიზნესში მნიშვნელოვანია კორპორაციები ყველა დონეზე მორალური ნორმებიდან გამომდინარე ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს, რადგან ზნეობრივ ნორმებს დაქვემდებარებული პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა არის ორგანიზაციის წარმატების საწინდარი. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში პიროვნების სწორი არჩევანის მოთხოვნები და მოქმედების შედეგები, საზოგადოებაში დადგენილი წესების შესაბამისობასთან მოყვანით, ჭეშმარიტად ასახულია ბიბლიაში, რელიგიურ-ეთიკურ კულტურასა და ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ნორმებში. ამიტომაც, ბიზნესის წარმოებისა და მისი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამდლებისათვის უმთავრესი და მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეთიკისა და მორალის ნორმების დაცვა. ადამიანში-

პიროვნებაში ეს მორალი უნდა ჩამოყალიბდეს როგორც შინაგანი მოთხოვნილება, მისი განვითარების ყველა საფეხურზე [13] და [15].

ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება–განმტკიცებისათვის, საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური, საზოგადოებრივ–პოლიტიკური, კულტურული და ინტელექტუალური აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ქრისტიანული მორალის შენარჩუნებასა და განვითარებას, რადგან ჩვენი ქვეყანა მართლ–მადიდებლური, ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელია, რომლის ისტორია ორი ათას წელზე მეტს ითვლის და საზოგადოების სულიერი აღორძინება, მისი ქრისტიანული ცნობიერების გაღრმავება–განვითარება უპირველესი და გადამწყვეტია. ყოველივე აღნიშნულს მოწმობს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის სიტყვები: – „... ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უადრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალურ საზოგადოებას ემყარება. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ... რადგან მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობას და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს [17]. როგორც ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწეები ალექსანდრ ჰამილტონი და ჯეიმს მედისონი ამბობენ „ბედნიერება არ არსებობს თავისუფლების გარეშე, თავისუფლება თვითმართველობის გარეშე, თვითმართველობა კონსტიტუციურობის გარეშე, კონსტიტუციურობა ზნეობრიობის გარეშე და ეს ყველაფერი არ არსებობს სტაბილურობისა და წესრიგის გარეშე“ [16].

ის, რომ მსოფლიოს ტრადიციული რელიგიებიდან ყველაზე უნიკალური ქრისტიანული სწავლებაა, იმითაც დასტურდება, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამიანთა უფლებების დეკლარაცია სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზეა დაფუძნებული. ქრისტიანული ღირებულებები კი ყველაზე სრულყოფილი სახით მართლმადიდებლურ ეკლესიაშია დაცული, რადგან იგი ინახავს სამოციქულო ეკლესიის სწავლებას. მისი უნივერსალურობა ვლინდება იმაში, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე უცვალებელი მრწამსი და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმინდა წერილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებებს და წმიდა მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობას და უცდომელობას განაპირობებს. საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა“ [17].

ყოველი ადამიანისათვის ღმერთმა დაადგინა ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის. ამიტომ, ადამიანმა, მისთვის ღვთივობებზე უფრო თავისუფალი ნების, გონიერებისა და მაღალზნეობრიობის მეშვეობით უნდა წარმართოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების ღმერთისათვის მისაღებ ურთიერთშეხამებას. აქ მნიშვნელოვანია მოხდეს ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება–სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების, ერისა და სახელმწიფოს გაღრმავებისა და ადამიანის ცხოვრებისა. საქართველოში ყოფილა ისეთი ბედნიერი ხანა, როგორცაა წმინდა დავით აღმაშენებლის, წმინდა თამარ მეფის მეფობის წლები. ჩვენ ამ პერიოდს ოქროს ხანას ვუწოდებთ, რადგან სწორედ მაშინ მოხდა სინერგია, – ღვთისა და ადამიანის ენერჯის შერწყმა და გამთლიანება [17].

საბაზრო ურთიერთობათა გადრმავეების პირობებში, ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნება, გლობალიზაციისაგან უარყოფითი მომენტების არიდება და დადებითი შედეგების მიღება უნდა დაეფუძნოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის სწრაფვას თანამშრომლობისაკენ, სადაც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ტრადიციული ეკონომიკის განვითარება, რელიგიური ცხოვრების – როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფენომენის წესის შენარჩუნება და პატივისცემა, დაგროვილი დოვლათის სამართლიანი განაწილება, სიღარიბის დაძლევა, საზოგადოების სულიერი, სამართლებრივი კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ამაღლება, სახელმწიფო მართვის ოპტიმალური ეფექტიანი სტრუქტურების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების ამაღლება, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად მდგრადი და ეროვნული უსაფრთხო განვითარება, ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება, სოციალური სამართლიანობა, არსებული სიღარიბის დაძლევა და ამ მიზნით ეროვნული წარმოებისა და საშინაო ბაზრის როლის ამაღლება, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობისა და რეგიონული განვითარების გათანაბრების დარეგულირება, ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, კრედიტის ხელმისაწვდომობა, საექსპორტო პოტენციალის ამაღლება, ტურიზმის განვითარება, სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, კონსტიტუციური მოწყობის სრულყოფა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნება, ანტიმონოპოლიური რეგულირება, სტატისტიკის მეთოდოლოგიის და სისტემის მართვის სრულყოფა, სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება, ეკონომიკური პროგნოზირებისა და პროგრამების პრაქტიკის დანერგვა, ეროვნული ტრადიციების, ფასეულობებისა და ინტერესების მყარი სისტემის შექმნა, ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოყალიბება ინდუსტრიულ სექტორში უმეტესად რეალური სააქციო საზოგადოებების შექმნის გზით, ამასთან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პრიორიტეტული ადგილი მიეკუთვნოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას, სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მაკროეკონომიკური და ბიზნესგარემოს შექმნას ისეთი პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც დღეს-დღეისობით უცხოეთიდან შემოდის, ხოლო, იმპორტ-შემცველი საქონლისა და მომსახურების ადგილზე წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები და სათანადო ადგილობრივი რესურსები არსებობს; აქ მნიშვნელოვანია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია დაეფუძნოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას და მოსახლეობისათვის განვითარებული ქვეყნების შესატყვისი ცხოვრების რეალური გარანტიების შექმნას, რაც მიიღწევა მსოფლიო კავშირურთიერთობებში ინტეგრირებული სათანადო სისტემის ჩამოყალიბებით და დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი, ჩვენს ტრადიციებზე, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფოს მშენებლობით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი, თბილისი, 2001, 423 გვ.
2. გ. შიხაშვილი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბიბლიური გააზრება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, ტ. 11, №3, 2003, გვ. 249-273.



3. ი(ვ). შარვაშიძე, ტრანსნაციონალური კომპანიებით სხვა ქვეყნის ბაზრების ხელში ჩაგდებას მეთოდები, გაზ. „24 საათი“, № 296, 2004, გვ. 8.
4. ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბილისი, „ინოვაცია“, 2005. 380 გვ.
5. რ. ოთინაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2011, 556 გვ.
6. АлександрДугин, Основыгеополитики, Большоепространство – «Основы геополитики», АРКТОГЕЯ-центр, Москва, 2000, 192 с.
7. <http://www.economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia>.
8. <http://www.interpressnews.ge/ge/politika/295612-qglobaluri-konkurentunarianobis-angarishshiq-saqarthvelom-poziciebi-gaiumjobesa.html>.
9. <http://www.geostat.ge/>.
10. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.
11. ი. არჩვაძე, პოსტსაბჭოთა ქვეყნები დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგდროინდელ პერიოდში, (2012 წლის შედარება 1990 წელთან), ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №6 (30), 2013, გვ. 15–27.
12. მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა, კრებული პირველი, თბილისი, უნივერსიტეტი „იბერია“, 2004, 96 გვ.
13. მესხია, ეკონომიკა და ქრისტიანული მორალი, ჟურნალი „რელიგია“, № 7-8-9, 2003, გვ. 62–71.
14. თ. საღარეიშვილი, ძველი ქართული ეკონომიკური წყობის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები. II ტ. თბილისი, „სიახლე“, 2001, გვ. 141–164.
15. თ. შენგელია, ბიზნესის ეთიკის ფილოსოფიური საფუძვლები, ჟურნალი „ეკონომისტი“, №1, 2009, გვ. 74–77.
16. <http://www.infousa.ru/government/ch2.htm>.
17. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, წიგნი II, 1997, გვ. 468 და წიგნი III, 2008, 576 გვ.
18. [Ian Goldin](#), [Kenneth A. Reinert](#), Globalization for Development: Meeting New Challenges, OXFORD UNIVERSITY PRESS, 2012, 339 p.
19. БелорусО. Г., МайценкоЮ. М., Глобальноеустойчивоеразвитие, Киев, «КНЭУ», 2006, 488 с.

### **GlobalizationChallenges andDevelopmentProspects ofGeorgia**

**Gela Lobjanidze**

Georgian Technical University

Associate Professor

### **Summary**

The paper reviews and analyzes of socio-economic and social-political trends of Georgia in Conditions globalization. Despite the fact that Georgia enjoys the support of international organizations and countries around the world, the country's economy remains in unsatisfactory condition. With high

unemployment and poverty rates, reduced production, has not yet developed financial market. Therefore, it is important to design and implement a number of the country's economic out of this situation. In our opinion, it is necessary to develop the country's economic development strategy, which will be considered along with the world processes of integration into the country's characteristics, abilities, cultures and traditions.

**სტატისტიკის სწავლებისა და სწავლის ძირითადი გამოწვევები და გამოყენებული სტრატეგიები თსუ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე**

**ქეთევან მარშავა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორი*

უკანასკნელი წლების განმავლობაში უამრავი კვლევა მიეძღვნა სტატისტიკის სწავლების თემას. დადგა დრო, როდესაც უნდა გადაიხედოს სწავლების ტექნოლოგიები, შემოვიტანოთ ინოვაციები პედაგოგიკაში და ფართოდ გავუღოთ კარი ინტერნეტ-რესურსების გამოყენებას. ამ საკითხის გაშუქება სხვადასხვა კუთხით არის შესაძლებელი, კერძოდ: ძირითადი გამოწვევები სტატისტიკის სწავლებაში საქართველოსა და სხვა ქვეყნებში; სტატისტიკის სწავლების თანამედროვე სტრატეგიები და თეორიები; ვებ-რესურსების როლი სტატისტიკის ლექტორებისთვის და ა.შ. მიმდინარე ეტაპზე, შევეცდებით გამოვეყოთ კონკრეტულად ჩვენი კათედრის წინაშე არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრისათვის გადადგმული ნაბიჯები.

**თანამედროვე გამოწვევები.** მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით საგრძნობლად იმატა მსჯელობამ სტატისტიკის სწავლების რეფორმირების შესახებ, სტატისტიკა ისევ განიხილება როგორც დისციპლინა, რომელიც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს სტუდენტების სწავლების მხრივ უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც მკვლევარები და განათლების სპეციალისტები ცდილობენ გაარკვიონ ძირითადი პრობლემები სტატისტიკის შესწავლასა და სწავლებაში. ძნელია არ დაეთანხმო სტატისტიკოსებს იმაში, რომ სწავლების სრული პოტენციალი ჯერ არ არის ამოწურული. სწავლების მესამე ეტაპზე არსებული გამოწვევები წარმოდგენილია ცხრილში 1, სადაც აღწერილია შესაბამის კვლევებზე დაფუძნებული მიმდინარე პრობლემები სტატისტიკის სწავლებასა და სწავლაში. პრობლემა წარმოდგენილია სამ ჭრილში: 1. სტატისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის სწავლება და სწავლა; 2. სტატისტიკური წიგნიერება და სტატისტიკური კომუნიკაცია და 3. სტატისტიკა, როგორც პრაქტიკული საქმიანობა და პროფესია.

**ცხრილი 1. გამოვლენილი პრობლემები სტატისტიკის სწავლებაში**

<b>1. სტატისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის სწავლება და სწავლა</b>
ფოკუსირება ცოდნის მათემატიკურ და მექანიკურ ასპექტებზე. შედეგად, სტუდენტებს არ შეუძლიათ კონკრეტული დავალების შესრულება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით;
უარყოფითი შეხედულებები სტატისტიკის მიმართ, “მათემატიკაფობია”, ინტერესის არქონა;
აღბათობისა და სტატისტიკის საკითხების რთული აღქმადობა სხვა დისციპლინების

შესწავლიდან მიღებული უარყოფითი გამოცდილების გამო
საბაზისო მათემატიკური და სტატისტიკური ცოდნის არსაკმარისობა და მათემატიკური და აბსტრაქტული აზროვნების წინაპირობების არაადეკვატურობა;
ხშირად სტატისტიკა ისწავლება “დამხმარე მოსამსახურის” როლში ყოველგვარი ბმის გარეშე იმ სპეციალობასთან, რომელიც წამყვანია სტუდენტისთვის;
ადრე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სამაგისტრო პროგრამა, მოდულების დონეზე, მოიცავდა სტატისტიკის სავალდებულო სასწავლო დისციპლინის სახით სწავლებას. დღეის მდგომარეობით ის თითქმის ყველა მოდულიდან ამოღებულია.
ლექტორებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ნაკლებობა.
<b>2. სტატისტიკური წიგნიერება და სტატისტიკური კომუნიკაცია</b>
სტატისტიკური წიგნიერების უქონლობა და ყოველდღიურ ცხოვრებაში სტატისტიკის გამოყენების უცოდინარობა;
არ არსებობს სტუდენტების, როგორც სტატისტიკური ინფორმაციის მომავალი მომხმარებლების შეფასების მეთოდები სტატისტიკური წიგნიერებისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შესამოწმებლად;
სერიოზული დეფიციტია სტატისტიკური წიგნიერებისა და აზროვნების შეფასების მეთოდებში მთელ მოსახლეობაში; საკმაოდ დაბალია როგორც მედიის არხებით გავრცელებული, ისე სამუშაოზე ადგილებზე გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის აღქმადობის დონე.
ხშირიარისკის შემცველი ინფორმაციის არასწორი რეპრეზენტაცია და სოციალური აქცენტების გაძლიერება დააკადემიური პრეს-რელიზებიდან მიღებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია ჟურნალისტების მიერ.
<b>3. სტატისტიკა, როგორც პრაქტიკული საქმიანობა და პროფესია</b>
მცირდება სტატისტიკისათვის დათმობილი აკადემიური საათების რაოდენობა, ძნელდება სტუდენტების მოზიდვა ამ სპეციალობაზე;
შედარებით ნაკლებია სადოქტორო დისერტაციები ამ სფეროში;
ხდება სტატისტიკოსების გამოძევება სამუშაო ადგილებიდან და მათი ჩანაცვლება სხვა სპეციალისტებით;
უნივერსიტეტში განხორციელდა სტატისტიკის აკადემიური პერსონალის შემცირება. აღინიშნება კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

### 1. სტატისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის სწავლება და სწავლა

“ინფორმაციული ავეთქების” სამყაროში სტატისტიკური განათლების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესია. ტრადიციული სტატისტიკური განათლება კონცენტრირებული იყო ცოდნის, მეთოდოლოგიებისა და გაანგარიშებების ირგვლივ, რაც იმას გულისხმობდა, რომ სტუდენტები სწავლის პროცესში თვითონ უნდა მიხვედრილიყვნენ სტატისტიკის ღირებულებას და საჭიროებას. თუმცა, ამ მიდგომით სტუდენტებს ვერ განუვითარდათ სტატისტიკური აზროვნება. მრავალი წლის განმავლობაში სტუდენტებს ანტიპათია და უინტერესობა ეტყობოდათ სტატისტიკის მიმართ. მეცნიერები სულ უფრო ხშირად უთითებდნენ ცვლილებების საჭიროებაზე სტატისტიკის პედაგოგიაში, კურსის შინაარსსა და ფორმატში. მსოფლიოში უკანასკნელი

50 წლის განმავლობაში სტატისტიკის თეორიის სწავლებაში გარკვეული წარმატებები შეინიშნებოდა, თუმცა ეს უფრო სტატისტიკის შემთხვევითი მომხმარებლების მომზადების შედეგი იყო. ეს სწორედ ის პრობლემური საკითხია, რომელიც “სტატისტიკურ მომსახურებას” ითვალისწინებს არასპეციალისტებისთვის. აღნიშნულის გამო, წამყვანი სტატისტიკოსები მთელ მსოფლიოში ხაზს უსვამენ სასწავლო პროგრამებში კურსის შინაარსის, პედაგოგიკისა და ტექნოლოგიების შერწყმას.

ცხრილში ჩვენ გამოვყავით ის ასპექტები, რომელებიც სტატისტიკას ხდის პრობლემურს როგორც შესასწავლად, ისე სწავლების კუთხით. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

## 2. სტატისტიკური წიგნიერება და სტატისტიკური კომუნიკაცია

დღეისათვის საზოგადოებამ იმ ეპოქაში შეაბიჯა, როდესაც მათი სტატისტიკური წიგნიერება მხოლოდ სამუშაო ადგილზე კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ამერიკის სტატისტიკის ასოციაციის პრეზიდენტის უოლმენის განმარტებით: “სტატისტიკური წიგნიერება არის სტატისტიკური შედეგების აღქმისა და კრიტიკული გააზრების უნარი, რომელიც დაწყვილებულია სტატისტიკური აზროვნების წვლილისა და როლის შეფასების უნართან ჩვენს მიერ ყოველდღიური, პროფესიული და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას.”<sup>94</sup>

სტატისტიკური წიგნიერება ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს უნარი პერსონალურ დონეზე გაიგოს მონაცემების შინაარსი, გაანდეს საკუთარი რეაქცია, შეხედულებები და კომუნიკაციური უნარები სტატისტიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებით. როგორც “სტატისტიკური თემი” ფიქრობს, წიგნიერ მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ საბაზისო სტატისტიკური კონცეფციების გაგება, მათი ინტერპრეტირება და სტატისტიკური მესიჯების კრიტიკული შეფასება ისე, რომ გამოააშკარაონ პოლიტიკოსების და სხვათა მიერ სტატისტიკის არასწორი გამოყენება. ამ კონტექსტში, უმნიშვნელოვანესია აგრეთვე პროფესიონალი სტატისტიკოსებისა და დანარჩენი საზოგადოების კომუნიკაციის პრობლემა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ საჭიროა ისეთი სტატისტიკური კულტურის ჩამოყალიბება, რაც საშუალებას მისცემს სტატისტიკოსებს ტექნიკური საკითხები გასაგებ ენაზე მიაწოდონ საზოგადოებას. ამისათვის კი საუკეთესო გზაა სტატისტიკური წიგნიერების დონის ზრდა როგორც სტატისტიკის მომხმარებელთა, ისე მათთვის, ვინც წარადგენს აღნიშნულ ინფორმაციას.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები განსაზღვრულ სარგებელს იღებენ სტატისტიკური წიგნიერების სანაცვლოდ. თუმცა, მას-მედია შეიძლება მოწყვლადი აღმოჩნდეს კომერციული თუ პოლიტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე სტატისტიკური ფაქტების მანიპულირების შედეგად; პოლიტიკოსები და გადაწყვეტილების მიმღები პირები აგრეთვე მსგავსი წნეხის ქვეშ აღმოჩნდებიან ხოლმე კომერციული თუ იდეოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით და ხშირად უწევთ სტატისტიკური ჭეშმარიტების კონკურენტული შეფასება. რისკი და განუსაზღვრელობა დიდ გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე და ყოველთვის საზოგადოებრივი დებატების ძირითად საგანს წარმოადგენს. აშკარაა, რომ სტატისტიკური ფაქტებისა და რისკების გასაგები ფორმით წარდგენა სამეცნიერო და საზოგადოებრივი კომუნიკაციის ამოსავალი მომენტია. დღეისათვის მსოფლიოში უამრავი ფაქტია დაგროვილი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სტატისტიკის არასწორი და მიუღებელი ფორმით წარდგენა საზოგადოებისათვის, რაც გარკვეულ საკომუნიკაციო რისკებთან არის დაკავშირებული, ამიტომ სულ უფრო საჭირო ხდება სტატისტიკოსების ტრენინგები მონაცემთა გავრცელებასთან დაკავშირებით, ხოლო

<sup>94</sup>Wallman, K. K. (1993). Enhancing Statistical Literacy: Enriching our Society, *Journal of the American Statistical Association*, 88(421), 1-8.

აუდიტორიებში სტუდენტებისათვის ეფექტური მაგალითების განხილვა სტატისტიკის მიუღებელი ფორმით გამოყენების შესახებ.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს სტატისტიკურ პრაქტიკაში სტატისტიკური წიგნიერების ასამაღლებლად უამრავი პროექტი განხორციელდა, სახელდობრ: სტატისტიკური წიგნიერების საერთაშორისო პროექტი (ISLP); 2010 წლიდან აშშ-ში გაშვებული 10-წლიანი პროექტი სტატისტიკის მსოფლიო დღესთან (20 ოქტომბერი) დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მიერ წარმოებული კამპანიები, რომელთაგან კანადის და პორტუგალიის სამსახურებმა ჯილდოებიც დაიმსახურეს; პროექტი “სასკოლო აღწერა”, რომელიც დაინერგა აშშ-ში, ავსტრიაში, კანადაში, გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მედიასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. მედია ის ძირითადი ხიდია, რომელიც სტატისტიკურ ინფორმაციას მომხმარებლებთანაკავშირებს. შეიქმნა ვებ-გვერდები სპეციალურად მედიასთან ურთიერთობისათვის, ხდება მათი ტრენინგი, რეგულარული შეხვედრები ექსპერტებთან, სემინარები, ჩატარდა სპეციალური კამპანია “სწორი სტატისტიკა”

(<http://www.straightstatistics.org/>), რომელიც ჟურნალისტებისა და სტატისტიკოსების მიერ არის წამოწყებული და მიზნად ისახავს სტატისტიკის სწორად გაგებასა და გამოყენებას მთავრობის, პოლიტიკოსების, კომპანიების, მარკეტოლოგებისა და მას-მედიის საშუალებების მიერ.

### 3. სტატისტიკა, როგორც პრაქტიკული საქმიანობა და პროფესია

მიმდინარე პრობლემა სტატისტიკის სწავლებასთან და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებასთან დაკავშირებით იმ კონტექსტშიუნდა განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაში არიან დღეს სტატისტიკოსი პროფესიონალები. მსოფლიოს წამყვანი სტატისტიკური პრაქტიკის მქონე ქვეყნების მაგალითების განხილვით იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თითქმის ყველა ქვეყანას აქვს პრობლემები აღნიშნული მიმართულებით. მაგალითად, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში კრიტიკულად შემცირდა სტატისტიკის სპეციალობის სტუდენტებისა და ლექტორების რაოდენობა. აშშ-ში აღნიშნავენ, რომ სტატისტიკოსების პოტენციალის სრული რეალიზება ვერ ხერხდება შეზღუდული რესურსებისა და არასათანადო ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის გამო. დიდი ბრიტანეთში დაიხურა მცირე ზომის სტატისტიკური დეპარტამენტები და სტატისტიკოსების ხშირი სამსახურეობრივი გადაინაცვლებების გამო შესუსტდა კვლევების სიხშირე, ასევე შემცირდა დოქტორანტთა რაოდენობა. ექსპერტები აგრეთვე უთითებენ სკოლებში სტატისტიკის მარგინალურ მდგომარეობაზე და ქალების არასათანადო დასაქმებაზე ამ სფეროში.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია საქსტატისა და სტატისტიკის კათედრის ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ უწყებას ნაყოფიერი ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს და აღნიშნული მემორანდუმით რეგულირდება, ვერ ვიტყვით, რომ სრულად არის გამოყენებული არსებული პოტენციალი. წინა წლებში რამდენადმე მაინც იყო უზრუნველყოფილი პროფესორებისა და საქსტატის საერთო წარმომადგენლობა საზოგადოებრივი განხილვების ადგილებში, თუმცა დღეს ეს მინიმუმამდეა დაყვანილი. ჭიანჭურდება საკონსულტაციო საბჭოს შექმნაც სტატისტიკის აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, რაზეც ხაზგასმით იყო მითითებული ევროპული სტრუქტურების მიერ განხორციელებულ გლობალური შეფასების ანგარიშში. რაც შეეხება სტატისტიკის კურსდამთავრებულთა დასაქმებას, ვფიქრობთ, აქაც არასათანადოდ არის გამოყენებული არსებული რესურსები. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ეროვნული

სტატისტიკის პრობლემები: საქსტატში პერსონალის ხელფასები დაბალიასხვა საჯარო სამსახურებთან შედარებით, კონტრაქტები მოკლევადიანია, სამუშაო პირობები გასაუმჯობესებელია, თანამშრომელთა კომპეტენტურობის შეფასების სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია. რა თქმა უნდა, ამ პრობლემების მოგვარება და საშტატო ერთეულების გაზრდა სტატისტიკის სტუდენტების მოტივაციას რეალურად აამაღლებს. ჩვენ ამ პრობლემების მოგვარება საქსტატის თანამშრომლებზე ნაკლებად არ გვეჩქარება და სრულად გვაქვს გაცნობიერებული, რომ სტატისტიკური დისციპლინის სწავლება სამომავლოდ მაღალი დონის სტატისტიკოსების მისაწოდებლად დიდი გამოწვევების წინაშეა და ამ კუთხით ლექტორების შემდგომი მომზადება მნიშვნელოვანი საკითხია.

რა სტრატეგიები შეიძლება გამოვიყენოთ დღეს სტატისტიკის უკეთ სწავლებისათვის?

მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება სტატისტიკის მიმართ და გაუმჯობესდეს სტატისტიკის სწავლება და სასწავლო პროცესი. აღნიშნულის მისაღწევად რამდენიმე მიმართულებას გამოვიყოფდით: 1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები; 2. უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნა და დანერგვა სასწავლო პროცესში; 3. ტექნოლოგიების გამოყენება და 4. სწავლებისა და სწავლის შეფასების რაციონალური მეთოდების დანერგვა.

დავიწყოთ იმ ნაბიჯებიდან, რაც გადაიდგა ამ მიმართულებების განსახორციელებლად. განსაკუთრებით გვინდა გამოვიყოთ საკითხი უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნისა და დანერგვის შესახებ სასწავლო პროცესში. ყოველივე დაიწყო იმით, რომ გავიმარჯვეთ საქართველოში აშშ-ის საელჩოს თარგმნის პროექტში და თსუ-ს თანამონაწილეობით განხორციელდა ახლა ფრანკფორტ ნაჩშიასისა და ანა ლეონ გერეროს სახელმძღვანელოს მეექვსე გამოცემის “სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის” თარგმანი ქართულ ენაზე. აღსანიშნავია, რომ თარგმანი განხორციელდა მთლიანად კათედრის ბაზაზე და წიგნი დაიბეჭდა თსუ-ს მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ამ თარგმანზე მუშაობისას სხვა თვალთ შევხედეთ სტატისტიკის სწავლებისა და სწავლის რეფორმირების საკითხს. სახელმძღვანელოს შერჩევის კრიტერიუმებიდან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო შემდეგი:

- მჭიდრო კავშირი პრაქტიკულ სტატისტიკას, მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებსა და რეალურ მაგალითებს შორის;
- ფოკუსირება მრავალფეროვნებაზე აშშ-ისა და მსოფლიოს მასშტაბით;
- კვლევითი ლიტერატურის გაცნობა;
- სწავლების ეფექტური ხერხები;
- კომპიუტერული გამოთვლები სტატისტიკური პროგრამით SPSS.

მიმდინარე ეტაპზე, გამოსაცემად გამზადებულია მომდევნო სახელმძღვანელო ანდერსენის, სვინისა და უილიამსის ავტორობით “სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის” მე-11 გამოცემა.

სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია სტუდენტებს, განსაკუთრებით ბიზნეს ადმინისტრირებისა და ეკონომიკის განხრით, მიაწოდოს კონცეპტუალური შესავალი კურსი სტატისტიკასა და მისი გამოყენების სფეროებში. ტექსტი დაწერილია და მორგებულია არამათემატიკოსების მოთხოვნების გათვალისწინებით; ძირითადი წინაპირობაა ალგებრის ცოდნა.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდოლოგიის გამოყენება ტექსტის მასალების ორგანიზებისა და პრეზენტაციის განუყოფელი ნაწილია.

მსჯელობა და შემუშავება თითოეული მეთოდის შესახებ წარმოდგენილია პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად; სტატისტიკური შედეგების მიღება თვალსაჩინოს ხდის გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემის გადაწყვეტის პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი პრაქტიკულ გამოყენებაზეა ორიენტირებული, თითოეულ თავში მაღალ დონეზეა წარმოდგენილი შესაბამისი მეთოდოლოგიური საკითხები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს უფრო რთული სტატისტიკური მასალის დაძლევაში. სახელმძღვანელო სტუდენტებს აცნობს Minitab 16-ისა და Microsoft® Office Excel 2010-ის პროგრამულ პაკეტებს, რითაც ხაზგასმულია პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა სტატისტიკურ ანალიზში. Minitab-ისა და Excel-ის პროცედურები დანართებშია მოტანილი, რაც ლექტორებს მათი გამოყენების ფართო და მოქნილ საშუალებას აძლევს.

ქვეთავების ბოლოს მოტანილი სავარჯიშოები ორად არის გაყოფილი: მეთოდები და გამოყენება. მეთოდების ნაწილში მნიშვნელოვანია ფორმულების გამოყენება და აუცილებელი გამოთვლები. გამოყენების ნაწილში, სტუდენტებს მოეთხოვებათ თავებში მოტანილი მასალის გამოყენება რეალურ სიტუაციებში. ამგვარად, სტუდენტები ჯერ გამოთვლების საწყისებს სწავლობენ და შემდეგ უღრმავდებიან სტატისტიკური გამოყენებისა და ინტერპრეტაციის დეტალებს.

მინდორზე გაკეთებული ანოტაციები დამატებითი საშუალებაა ტექსტის ამოსავალი დებულებების გაგებისათვის. მათი დახმარებით ხდება აქცენტების გამახვილება და ტექსტში განხილული კონცეფციების აღქმადობის ხელშეწყობა.

მრავალი ქვეთავის ბოლოს, მოტანილია შენიშვნები და კომენტარები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს უფრო მეტად ჩაუღრმავდნენ სტატისტიკურ მეთოდოლოგიას და მის გამოყენებას. ის შეიცავს ცალკეულ გაფრთხილებებს და მეთოდოლოგიის გამოყენების საზღვრებს, პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციებს, სხვა დამატებით ტექნიკურ მოსაზრებებს და სხვა შემთხვევებს.

წიგნში მოტანილია მსჯელობები სტატისტიკური ინფორმაციის პრეზენტაციისა და ინტერპრეტაციის ეთიკურ საკითხებზე.

გარდა იმ უამრავი ღირსებისა, რაც ამგვარ სახელმძღვანელოებს გააჩნია, მათი დახმარებით ვფიქრობთ სტუდენტებს გაეზრდებათ მოტივაცია, რომ სათანადო დონეზე შეისწავლონ სტატისტიკა ახალ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, მათი ცოდნა საერთაშორისო მასშტაბით რეალურად შესაბამისი გახდება, მნიშვნელოვნად გაფართოვდება მათი თვალსაწიერი და სტატისტიკური წიგნიერების აუცილებლობის შეგრძნება. რაც შეეხება კვლევებს, რაც სტატისტიკური აზროვნების განუყოფელი ნაწილია, კათედრის ინიციატივით და რექტორის ხელშეწყობით დაფუძნდა სტატლაბი, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა კვლევებზე ორიენტირებული სტუდენტების ჩართვა მის მუშაობაში და ერთობლივი პროექტების განხორციელება სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის მკვლევარებთან ერთად. თარგმნილ სახელმძღვანელოებში ნაბიჯ-ნაბიჯ არის წარმოდგენილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მითითებები, რაც მნიშვნელოვნად გაადვილებს სტუდენტების ინტეგრაციას კვლევით პროცესებში.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმნის პროექტების განხორციელება საკმაოდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ვთვლით, რომ შედეგი გაცილებით დიდი იქნება. კერძოდ, ამ სახელმძღვანელოებით მიღებული ცოდნის ბაზაზე მომავალ ბიზნესმენებს, ეკონომისტებს და სხვა სფეროს წარმომადგენლებს აღარ გაუჩნდებათ “შიში” სტატისტიკისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე და პირიქით, ვვლით, რომ მათთვის პრესტიჟულიც გახდება მათი ქეისების განხილვა ქართულ სახელმძღვანელოებში. უცხოური გამოცდილების ტირაჟირება დიდ სარგებელს მოუტანს როგორც აკადემიურ

პერსონალს სწავლების ინოვაციური მეთოდების ათვისებაში, ისე სტუდენტებსაცვააქტიურებს და სასწავლო პროცესს უფრო საქმიანს, მოტივირებულს და მიმზიდველს გახდის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი. სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, “უნივერსალი”, 2012.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის ადაპტირებული გლობალური შეფასება.

[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/AGA%20Executive%20Summary\\_Geo\\_Final%20\\_3\\_.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/AGA%20Executive%20Summary_Geo_Final%20_3_.pdf)

Alajaaski, J. (2006). How Does Web Technology Affect Students' Attitudes towards the Discipline and Study of Mathematics/Statistics? *International Journal of Mathematical Education in Science & Technology*, 37(1), 71-79.

Albanase, M. A. and Mitchell, S. (1993). Problem-Based Learning: a Review of Literature on its Outcomes and Implementation Issues, *Academic Medicine*, 68, 52-81.

Australian Academy of Science. (2006). *Mathematics and Statistics: Critical Skills for Australia's Future*, The National Strategic Review of Mathematical Sciences Research in Australia. <http://www.review.ms.unimelb.edu.au/FullReport2006.pdf>

Barrett, T. (2005). Understanding Problem Based Learning, In *Handbook of Enquiry and Problem-Based Learning*, Barrett, Mac Labhrainn, and Fallon (Eds). Galway: CELT. <http://www.nuigalway.ie/celt/pblbook/>

Batanero, C., Godino, J., Green, D., and Holmes, P. (1994). Errors and Difficulties in Understanding Introductory Statistical Concepts, *International Journal of Mathematical Education in Science and Technology*, 25 (4), 527–547.

Becker, B.J. (1996). A Look at the Literature (and Other Resources) on Teaching Statistics, *Journal of Educational and Behavioral Statistics*, 21(1), Special Issue: Teaching Statistics, 71-90.

Ben-Zvi, D. and Garfield, J. (2004). *The Challenge of Developing Statistical Literacy, Reasoning, and Thinking*, Springer.

Chance, B., Ben-Zvi, D., Garfield, J., and Medina, E. (2007). The Role of Technology in Improving Student Learning of Statistics, *Technology Innovations in Statistics Education*, 1(1). Retrieved from: <http://www.escholarship.org/uc/item/8sd2t4rr>

Cobb, G. (1992). Teaching Statistics. In *Heeding the Call for Change: Suggestions for Curricular Action*, Steen, L. (Ed.). Washington: Mathematical Association of America, Notes 22, 3-43.

delMas, R., Ooms, A., Garfield, J., and Chance, B. (2006). Assessing Students' Statistical Reasoning, In *Proceedings of the 7th International Conference on Teaching Statistics*, Brazil.

Forbes, S. (2008). Raising Statistical Capability: Statistics New Zealand's Contribution, In *Government Statistical Offices and Statistical Literacy*, Sanchez, J. (Ed.). International Statistical Literacy Project.

GAISE College Report. (2010). *Guidelines for Assessment and Instruction in Statistical Education (GAISE) College Report*. The American Statistical Association. <http://www.amstat.org/education/gaise>.

Gal, I. (2003). Teaching for Statistical Literacy and Services of Statistics Agencies, *The American Statistician*, 57(2), 80-84.



- Garfield, J. and Ahlgren, A. (1988). Difficulties in Learning Basic Concepts in Probability and Statistics: Implications for Research, *Journal for Research in Mathematics Education*, 19(1), 44-63.
- Hoerl, R. and Snee, R. (2010). Moving the Statistics Profession Forward to the Next Level. *The American Statistician*, 64(1), 10-14.
- Lindsay, B., Kettenring, J., and Siegmund, D. (2004). A Report on the Future of Statistics, *Statistical Science*, 19, 387-413.
- Moore, D. S. (1997). New Pedagogy and New Content: The Case of Statistics, *International Statistical Review*, 65(2), 123-165.
- Sanchez, J., Forbes, S., Campos, P., Giacche, P., Townsend, M, Mooney, G., and Helenius, R. (2011). The Millennium Development Goals, National Statistical Offices, the International Statistical Literacy Project and Statistical Literacy in Schools, *Journal of the International Association for Official Statistics*, 27(3, 4), 157-171.
- Snee, R. (1993). What's Missing in Statistical Education? *The American Statistician*, 47(2), 149-154.
- Tishkovskaya S., Lankaster G.A. Statistical Education in the 21st Century: a Review of Challenges, Teaching Innovations and Strategies for Reform, *Journal of Statistics Education* Volume 20, Number 2 (2012), [www.amstat.org/publications/jse/v20n2/tishkovskaya.pdf](http://www.amstat.org/publications/jse/v20n2/tishkovskaya.pdf)
- Wallman, K. K. (1993). Enhancing Statistical Literacy: Enriching our Society, *Journal of the American Statistical Association*, 88(421), 1-8.

**Key challenges and strategies used in the teaching and learning of statistics at Tsu Department of Economic and Social Statistics**

**Ketevan Marshava**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Professor

**Summary**

Since the last years of 20<sup>th</sup> century there has been a large amount of research dedicated to the teaching and learning of statistics. This article examines different aspects of currently identified challenges in the teaching and learning of statistics in Georgia higher education and generally worldwide and gives an overview of used strategies and innovations at Ivane Javakhishvili Tbilisi State University Economic and Social Statistics Department.

**საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის სტატისტიკური ანალიზი**

**ირაკლი მაკალათია**  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*ეკონომიკის დოქტორი*

მოსახლეობის შემოსავლები და შემოსავლების უთანაბრობის დონე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია. მოსახლეობის შემოსავლები განსაზღვრავს მათ განაწილებას სოციალური სტატუსის მიხედვით. ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები მიეკუთვნებიან მდიდართა ფენას, ხოლო ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები – ღატაკთა ფენას, მოსახლეობის დაბალი ფენების შემოსავლების ზრდა კი მათი ცხოვრების დონის ზრდის საწინდარია.

მოსახლეობის შემოსავლების რაოდენობრივი თვალსაზრისით უთანაბრობა ყველა ქვეყნის საზოგადოების ფენას ეხება, ყველაზე მეტად კი დამახასიათებელია დაბალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. შემოსავლების უთანაბრობის მაჩვენებლის ჯინის კოეფიციენტის მაღალი დონე ძირითადად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შემოსავლების დიფერენციაცია უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების დონესთან არის დაკავშირებული, ამასთან, მას ქვეყანაში ჩამოყალიბებული ტრადიციები და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება განსაზღვრავს. შესაბამისად, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო დაბალია მისი მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის მაჩვენებელი.

მოსახლეობის შემოსავლებს შორის უთანაბრობა მაღალია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მაშინ როცა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში, ხელფასისა და სარგებლის განაწილებას განსაზღვრავდა სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოსავალს არავინ არ ანაწილებს, ამ შემთხვევაში შემოსავლები წარმოიქმნება ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის შედეგად.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა მიზანმიმართულია მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. მან უნდა უზრუნველყოს სოციალური სისტემის სტაბილურობა და მისი ეტაპობრივი გაუმჯობესება, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილიც არის მოსახლეობის შემოსავლები.

განვიხილოთ შინამეურნეობების შემოსავლები წლების მიხედვით (ცხრილი 1). როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობა მცირდება, რაც დადებით ტენდენციას წარმოადგენს, თუ 2003 წელს მოსახლეობის მხოლოდ 1.1%-ს ჰქონდა 1 500 ლარზე მეტი შემოსავალი, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 13.9%-მდე გაზრდილი. ის ფაქტი, რომ მოსახლეობის 80%-ზე მეტის შემოსავალი 500 ლარს არ აღემატებოდა ნათლად მიუთითებს 2005 წლამდე არსებული მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეზე, ვითარება სწრაფად იცვლება მომდევნო წლებში და ვიდრე შემოსავლების დიფერენციაციის მკვეთრ შემცირებას.

**ცხრილი 1. საქართველოს შინამეურნეობების განაწილება საშუალო თვიური შემოსავლების მიხედვით, 2003-2013 წლები<sup>95</sup>**  
(% ჯამთან)

შემოსავლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
500 ლარამდე	85.6	83.6	81.1	77.0	73.1	63.3	61.4	55.8	52.3	45.5	37.3
500-დან 1000 ლარამდე	11.5	13.4	15.2	17.7	20.1	25.0	25.2	27.1	27.9	30.6	33.5
1000-დან 1500 ლარამდე	1.8	1.9	2.3	3.1	4.1	8.0	8.0	9.4	10.6	12.8	15.3
1500 ლარი და მეტი	1.1	1.1	1.5	2.1	2.7	5.4	5.4	7.7	9.2	11.0	13.9

<sup>95</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 1-ში მოცემული მონაცემების მიხედვით გავიანგარიშეთ ჯინის კოეფიციენტი 2003 წლისათვის. ჯინის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის ჯერ ვითვლით მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების ხვედრით წონებს, ხოლო შემდეგ ხშირადობათა ნაზრდ ჯამებს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების მიხედვით.

ხშირადობათა ნაზრდი ჯამები მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით: 0.86; 0.97; 0.99; 1.0.

ხშირადობათა ნაზრდი ჯამები შემოსავლების მიხედვით: 0.06; 0.25; 0.56; 1.0.

ჯინის კოეფიციენტს გავიანგარიშებთ შემდეგნაირად:  $K = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i = [(0.86*0.25)+(0.97*0.56)+(0.99*1.0) - (0.06*0.97)+(0.25*0.99)+(0.56*1.0)] = 0.878$ . შედეგად ჯინის კოეფიციენტმა 2003 წელს შეადგინა 87.8%. 2003-2013 წლებში მოცემული ინდექსის მნიშვნელობები შემდეგია (ცხრილი 2).

**ცხრილი 2. ჯინის ინდექსი მთლიანი ფულადი და არაფულადი სახსრების მიხედვით საქართველოში, 2003-2013 წლები**

წლები \ მახვენებელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ჯინის ინდექსი	0.88	0.87	0.86	0.84	0.82	0.75	0.73	0.68	0.65	0.60	0.53

ჯინის ინდექსის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა 2003 წელს შეადგენდა, მისი ასეთი კატასტროფულად მაღალი მაჩვენებელი მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის მაღალ დონეზე მიუთითებს, მოსახლეობაში შემოსავლები არათანაბრად არის გადანაწილებული და მაღალ შემოსავლებსაც მოსახლეობის მცირე ნაწილი იღებს. ტენდენცია დადებითად იცვლება მომდევნო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 წელში ჯინის ინდექსი 34.3%-ით შემცირდა, ის მაინც მაღალი მაჩვენებელია, შედეგად საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის დონე.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკისაკენ გაუზარებელმა და უსისტემო სვლამ მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების მკვეთრი დიფერენციაცია გამოიწვია, ქვეყანამ ვერ მოახერხა საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური ჩარჩოებიდან დროულად გათავისუფლება და ეფექტიანი ეკონომიკური მოდელის შექმნა, რამაც შესაბამისი უარყოფითი შედეგებიც მოიტანა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არ უნდა აისახებოდეს მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში, მას თან უნდა ახლდეს დასაქმების დონის მატება, რაც მეტ შემოსავალს მოუტანს უკვე დასაქმებულ ადამიანებს, ხოლო ქვეყანაში ისეთი არაშრომითი შემოსავლების შემცირება, რომლებიც მიღებულია საზოგადოებაში დამკვიდრებული სამართლებრივი, მორალისა და ქცევის ნორმებიდან გადახვევით, განსაზღვრავენ შემოსავლების შედარებით თანაბარ განაწილებას.

განვიხილოთ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება მთლიანი სახსრების მიხედვით დეცილურ ჯგუფებში (ცხრილი 3), რაც გულისხმობს მოსახლეობის დაყოფას 10 ჯგუფად, სადაც პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის შემოსავლები, ხოლო მეათე ჯგუფში ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის შემოსავლები.

**ცხრილი 3.**

**მოსახლეობის შემოსავლების განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით საქართველოში, 2003-2012 წლები<sup>96</sup>**

<sup>96</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით.

(%)

მოსახლეობის დეცილური ჯგუფები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
I	0.9	1.0	1.2	1.2	1.3	1.8	1.4	2.0	1.4	1.7
II	2.4	2.6	2.7	2.5	2.6	2.5	2.6	2.2	2.5	2.5
III	3.7	3.9	3.9	3.8	3.7	3.4	3.6	3.3	3.6	3.6
IV	5.0	5.2	5.2	5.0	4.9	4.9	4.8	4.7	4.7	4.7
V	6.4	6.7	6.5	6.3	6.3	6.1	6.1	6.0	6.0	6.0
VI	8.0	8.2	8.1	7.9	7.9	7.6	7.6	7.5	7.5	7.5
VII	9.9	10.1	9.9	9.9	9.8	9.6	9.5	9.5	9.5	9.5
VIII	12.4	12.5	12.4	12.4	12.3	12.2	12.3	12.2	12.2	12.2
IX	16.4	16.4	16.2	16.6	16.7	16.4	16.7	16.7	16.4	16.4
X	35.0	33.3	34.0	34.6	34.6	35.5	35.5	35.9	35.8	35.8
სულ	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

საქართველოში 2003-2012 წლებში ყველაზე დაბალშემოსავლიანი ჯგუფის ხვედრითი წონა იზრდება, თუმცა ამავე დროს მაღალშემოსავლიან ჯგუფებიდან IX დეცილის ხვედრითი წონა არ შემცირებულა, ხოლო X დეცილური ჯგუფის ხვედრითი წონა გაიზარდა, შედეგად მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შემცირება მოხდა არა მაღალშემოსავლიანი ჯგუფების ხვედრითი წონების შემცირებით, არამედ საშუალო ფენის ჯგუფების წილების შემცირების ხარჯზე. ეკონომიკური თვალსაზრისით მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფები უფრო მეტად დაუახლოვდნენ საშუალო ფენის ჯგუფებს, ვიდრე საშუალო ფენა მაღალშემოსავლიან ჯგუფებს.

საინტერესო სურათს იძლევა თითოეულ დეცილურ ჯგუფში შემოსავლების სტრუქტურული ანალიზი. კერძოდ, 2012 წელს, I დეცილურ ჯგუფში, რომელიც ყველაზე დაბალ შემოსავლიანი კატეგორიაა, შემოსავლების 50%-ზე მეტი პენსიებსა და დასმარებებზე მოდის. დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები 6.5%-ს შეადგენს, ეს ლოგიკურიცაა, რადგან ამ კატეგორიის მოსახლეობაში მაღალია უმუშევრობის დონე, ხოლო თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები მთლიან შემოსავლებში მხოლოდ 2.6%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დეცილური ჯგუფის მოსახლეობა არ ეწევა ინდივიდუალურ მეწარმეობას, რაც მას მეტ ეკონომიკურ კეთილდღეობას მოუტანდა. ქონების გაქირავებიდან და გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები 0.2%-მდეა, შესაბამისად ამ ადამიანებს არ გააჩნიათ სხვა ქონება, რისგანაც შემოსავალს მიიღებდნენ.

რაც შეეხება X დეცილურ ჯგუფს, აქ მთლიან შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს 29.9%-ს, შესაბამისად აქ დასაქმების დონეც მაღალია, ხოლო ყველაზე ნაკლებ წილს ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 0.7%, რაც მთლიანი შემოსავლების სტრუქტურის ტენდენციაა, ხოლო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, განსხვავებით I და სხვა დეცილური ჯგუფებისა, შეადგენს 7.0%-ს.

განვიხილოთ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტები წლების მიხედვით (ცხრილი 4), რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ აღემატება ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის 10%-ის საშუალო თვიური შემოსავალი ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე 10%-ის ანალოგიურ მაჩვენებელს. მოცემულ წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2003 წელს, ხოლო 2012 წელს ყველაზე დარიბი ფენის (I დეცილური ჯგუფი) მთლიანი შემოსავლები 19.8-ჯერ ნაკლებია ყველაზე მდიდარი ფენის (X დეცილური ჯგუფი) საშუალო თვიურ შემოსავალზე. დინამიკაში კლების მიუხედავად, ის მაინც მაღალი

მაჩვენებელია და მიუთითებს მდიდარი და ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებს შორის დიფერენციაციის მაღალ დონეზე.

**ცხრილი 4. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი, 2003-2012 წლები**

წლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მაჩვენებელი										
ფულადი და არაფულადი შემოსავლები, სულ	38.5	31.9	28.2	29.4	27.1	19.7	26.2	17.7	25.6	19.8

2012 წელს I დეცილურ ჯგუფში მოსახლეობის საერთო შემოსავალმა 13.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც არის მთელი მოსახლეობის შემოსავლების მხოლოდ 1.7%. ამავე კატეგორიაში საშუალოდ ერთ მოსახლეზე შემოსავალი 31.0 ლარით განისაზღვრა, II დეცილურ ჯგუფში – 52.9 ლარი, III დეცილურ ჯგუფში – 71.5 ლარი, IV დეცილურ ჯგუფში – 90.6 ლარი, V დეცილურ ჯგუფში – 112.6 ლარი, VI დეცილურ ჯგუფში – 138.8 ლარი, VII დეცილურ ჯგუფში – 173.4 ლარი, VIII დეცილურ ჯგუფში – 221.8 ლარი, IX დეცილურ ჯგუფში – 296.3 ლარი და X დეცილურ ჯგუფში – 612.1 ლარი, ამასთან X დეცილური ჯგუფის მოსახლეობის საერთო შემოსავალი მთელი მოსახლეობის შემოსავლების 34.0%-ს შეადგენს. 2012 წელს საქართველოში ოფიციალური მონაცემებით საარსებო მინიმუმი 151.1 ლარს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სიღარიბის ზღვარი VI დეცილის საშუალო შემოსავლებზე გადის, ეს კი მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეზე მიუთითებს.

საზოგადოება განვითარების ყოველ საფეხურზე დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს და მეტი მატერიალური სიმდიდრე დააგროვოს. ადამიანთა ეკონომიკური უთანაბრობა განპირობებულია მრავალი ფაქტორით, უმთავრესი კი შეზღუდული რესურსების არსებობაა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში შეიძლება გამოვყოთ სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ შემოსავლების უთანაბრობას, ეს ფაქტორებია: მემკვიდრეობითი საკუთრება, სამეწარმეო უნარი, განათლება, შრომითი ჩვევები და ა.შ. საუკუნეების მანძილზე მოსახლეობის ერთ ნაწილში სიმდიდრე გროვდებოდა მოძრავი და უძრავი ქონების სახით, რომელიც ათეული წლების მანძილზე მემკვიდრეობით, თაობიდან თაობას გადაეცემოდა და იზრდებოდა. მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემოსავლების უთანაბრობაში. თანამედროვე ეტაპზე შემოსავლების ოდენობაზე უდიდეს გავლენას ახდენს განათლების დონე და ხარისხი, პროფესიული გამოცდილება, სტაჟი და ა.შ. შესაბამისად მაღალ შემოსავლებს იღებენ ის ადამიანები, რომელთა პროფესიაზე საბაზრო მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება (ექიმები, ადვოკატები, ეკონომისტები). შემოსავლის უთანაბრობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს შემოსავლების ის სახეები (დივიდენდი, სარგებელი, მოგება), რომლებიც მიღებულია ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფუნქციონირების შედეგად. ასევე, არაშრომითი შემოსავლები, რომელიც შემოსავლების მაღალი დიფერენციაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, მოსახლეობის შემოსავლების სამართლიანი განაწილების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოსავლების განაწილება მეტისმეტად უთანაბროდ ხდება. მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილი მაღალ შემოსავალ იღებს, ხოლო საზოგადოების დიდი ნაწილი კი ღარიბია, ამ კატეგორიაში შედიან უმუშევრები,

პენსიონერები, ინვალიდები და ა.შ. თავის მხრივ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ამ ადამიანების დახმარება, რომლებიც საარსებო მინიმუმს დაბლა იმყოფებიან.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურის მიხედვით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის მაღალი ქონებრივი დიფერენციაციით, რაც საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების საშუალოზე დაბალ დონეზე მიუთითებს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად გააუმჯობესოს სამეწარმეო გარემო, რაც მეტი სამუშაო ადგილის შექმნას განაპირობებს, ხოლო რაც უფრო მეტი ადამიანი დასაქმდება, მით უფრო მაღალი იქნება მოსახლეობის შემოსავლების დონე. თავის მხრივ მთავრობის სოციალური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებისკენ. სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ეფექტიანი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა კი განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შემცირებასა და ცხოვრების დონის ზრდას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ. – სიღარიბის პორტრეტი საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2006.
2. ვირსალაძე ნ. – მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003.
3. მაკალათია ი. – მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკის აქტუალური პრობლემები საქართველოში, ჟურნ. ეკონომისტი (№1), თბ., 2012.
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

#### Statistical analysis of Georgians income inequality

Irakli Makalatia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PhD

#### Summary

In the article **“Statistical analysis of Georgians income inequality”** is considered reflecting statistical indicators of the income inequality in Georgia.

There have been displayed the distribution of Georgian households by average monthly income, on that basis there are calculated Gini coefficients in the dynamics.

In the article there have been observed distribution of households by decile groups in Georgia and there is analyzed its structure, also average monthly income in each decile groups are compared to subsistence minimum and there is shown the general picture of standard of living.

Conducted research in the article, revealed the modern image of the incomes and life level situations in Georgia and have made appropriate conclusions.

## ვერონტიგრაფიის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

ლეილა მამულაშვილი

*სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

ნინო ლიპარტელიანი

*სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

მსოფლიო ხშირად ახსენებს ე.წ. „აზიურ ვეფხვებს“, განვითარებულ აზიურ ქვეყნებს და არასდროს ვუსვამთ ხაზს იმას, რომ ეს ქვეყნები იმიტომ არიან წარმატებულნი, რომ მათი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ევროპაა. წლების განმავლობაში საქართველოს საზრუნავი იყო შეეცვალა ვაჭრობის გეოგრაფია, თავდაპირველად იყო SP-ი, ანუ შეღავათიანი ტარიფები. შემდეგ ევროპამ უფრო მეტი ასპარეზი მოგვცა და ე.წ. „GSP+“-ის რეჟიმში გადაგვიყვანა, რომლის ფარგლებშიც 7000 დასახელების საქონელზე მოხსნა საბაჟო გადასახადი. მაგრამ ტარიფების გარდა, დაჩა არასატარიფო ბარიერები, რომელმაც ხელი შეუშალა საქართველოს ბიზნესს შერწყმოდა ევროპას. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა უმნიშვნელოვანესია ინვესტიციების ზრდის კუთხით: როცა ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას, მოახდინოს ინვესტირება ამა თუ იმ ქვეყანაში, ის ითვლის ამ ქვეყნის ბაზრის მოცულობას. რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა, ინვესტორთა მხრიდან მუდმივად მიმდინარეობს ორჭოფობა ინვესტირების თაობაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ხდება უკვე ევროპის ბაზრის ნაწილი და როცა ვინმე ინვესტირებას აკეთებს საქართველოში, ის იმანენტურად მოიაზრებს მთელს ევროპას, როგორც ბაზარს. ეს არის ძალიან დიდი შესაძლებლობა მოსახლეობისთვის. როდის იგრძნობს ამას მოსახლეობა? მინიმუმ 2-3 წლის შემდეგ. დრო სჭირდება იმას, რომ მოხდეს საწარმოების გადმოვიტანა ევროპიდან ან აზიიდან საქართველოში, მხდეს ინვენტარიზაცია, ამუშავდეს და შემდგომ ეს ყველაფერი დაუბრუნდეს მოსახლეობას, როგორც მეტი შემოსავალი, სოციალური დაცვის მხრივ მეტი გარანტიები და, ბუნებრივია, მაღალი ხელფასი.

ევროპასთან ვაჭრობა ძალიან რთულია ბევრი ქვეყნისთვის, საუბარია იმ ქვეყნებზე, რომელთაც ძალიან მაღალ დონეზე აქვთ საექსპორტო წარმოება განვითარებული. მათთვის არსებობს ლიმიტირების ცნება, ევროპის ბაზარზე იმ ოდენობის საქონელს ვერ შეიტანენ, რისი წარმოებაც შეუძლიათ, რადგან მათთვის გარკვეული ბარიერები არსებობს. მაგრამ თუ ისინი მოიხმარენ საქართველოს, როგორც საწარმოო სივრცეს („წარმოე საქართველოში“ Made In Georgia ნიშნით) მათ უფრო გაუადვილდებათ შესვლა ევროპის ბაზარზე. სავარაუდოდ ინვესტიციების დიდი ნაკადი წამოვა საქართველოში, რომ მათ მოახდინონ წარმოების განვითარება და ისარგებლონ იმ ლიმიტებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ეს არის სიმყარე, როცა ჩვენ ვართ ევროპასთან ასოცირებულები და როცა ევროპული ბაზარი არის ჩვენი მეორე საპირწონე პინაზე, უცხოელმა იცის, რომ მას შეუძლია 5-10-20 წელი გათვალოს ბიზნეს გეგმა და ჩადოს ინვესტიცია, რადგან ამ ქვეყანაში ბევრი რამე ცუდისკენ არ შეიცვლება. რა თქმა უნდა, მოძრაობა იქნება ყოველთვის, ბაზარი მგრძობლივად და მერყევია, ასევე პოლიტიკური გარემოც, მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სიმყარე შემოვა ჩვენს ეკონომიკაში. ეს ცნება საკმაოდ მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის, რადგან ბიზნესი 1 და 2 წლით არ წყდება, ის გრძელვადიან გეგმებზეა გათვლილი. გარდა ამისა, ნებისმიერმა მაღალი კლასის ბიზნესმენმა იცის ერთი რამ – დღეიდან საქართველო იქნება გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმული. კარგია ეს თუ ცუდი, ამაზე ერთდ ვმსჯელოთ. დემოკრატიის ჩარჩოები იქნება ეს, თუ რეგულირების ჩარჩოები, საქართველო ევროპულ გზას ვერ გადაუხვევს. ეს

ბიზნესისთვის არის ძალიან კარგი ნიშანი. ეს 1200-გვერდიანი ხელშეკრულება არის სწორედ ის მოთხოვნები, იქნება ეს ეკონომიკური თუ პოლიტიკური, რომელშიც უნდა ვიმოდროთ ჩვენ იმისათვის, რომ ვიყოთ ევროპის პარტნიორი. ამავე დროს, ინვესტორისთვის ეს არის ძალიან მყარი გარანტია იმისა, რომ საქართველოში სერიოზული, რეკლუციური რეგეები აღარსოდეს აღარ იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს გარდაუვლად მოუწევს რეფორმების განხორციელება თითქმის ყველა სფეროში. რეფორმა გულისხმობს საკანონმდებლო ნაწილსაც, სტანდარტების ნაწილსაც, ბიზნესის მენეჯმენტსაც, ხარისხსაც და აბსოლუტურად ყველა იმ რეგულაციას, რომელსაც ევროპული ბაზარი ითხოვს ნებისმიერი ექსპორტიორისგან. როგორც ყველა რეფორმას, ამ რეფორმასაც გააჩნია ხარკი – რა თქმა უნდა, ქართულ ბიზნესს ცხოვრება პირველ ეტაპზე გაუძვირდება. მათ მოუწევთ სტანდარტების დაცვა ხარისხის მხრივ, შემადგენლობის მხრივ, ფიტოსანიტარიის მხრივ. 1200-გვერდიანი ნაშრომი იწყება სწორედ ამ ფიტოსანიტარიის კონტროლის გაძლიერებაზე საუბრით, საკმაოდ მძაფრად არის წარმოდგენილი უსაფრთხოების ნაწილი კვების პროდუქტებში, წარმოებაში, ჰიგიენაში და ასე შემდეგ. ქვეყნას მოუწევს გაატაროს ძალიან მძლავრი ფინანსური ზომები იმისათვის, რომ პირველი, ტექნიკურად მოამზადოს ლაბორატორიები, ტექნიკური პირობები და სტანდარტები და მეორე, ფსიქოლოგიურად მოამზადოს კვალიფიკაციის კუთხითაც ჩვენი მოქალაქეები იმისთვის, რომ სხვა სივრცეში და სხვა კონტექსტში იმუშაონ. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ევროპელები ეხმარებიან ყველა იმ ქვეყნას, რომელიც ცდილობს ყველა ეს რეფორმა განახორციელოს. ასე იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ევროპამ ასობით მილიონი დოლარი დახარჯა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, უნგრეთში და სხვა სახელმწიფოებში. საკმაოდ მძლავრი დოზით ეხმარება ევროპა იმ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ ევროპულ ასიმილაციას. იმედი მაქვს, რომ საქართველოს შემთხვევაშიც ასე იქნება და ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში უფრო კონკრეტულად გავიგონებთ, თუ რამდენი მილიონით აფინანსებს ამ რეფორმებს ევროპა საქართველოში.

2015 წლიდან დაიწყება სერიოზული იმპლიმენტაცია, ინვესტორების განწყობაა, ნაკლები გადასახადის გადახდით საქართველოდან შეიტანონ ევროპაში პროდუქცია. 2015-16 წლიდან იქნება საკმაოდ სერიოზული ძვრები. ყველა საქონლისთვის იხსნება ევროპის ბაზარი. აქ არ არის რაიმე ჩამონათვალი, მაგრამ არის რამდენიმე საქონელი, რომელზეც ყურადღებაა გამახვილებული, მაგალითად – ნიორი. რატომ მაინცდამაინც ნიორი? ბრიუსელმა მიიღო რეგულაციები ნიორთან, შაქრის ჭარხალთან, ხორბალთან და რძესთან დაკავშირებით. ეს არის სუბსიდირებული დარგები და განსაკუთრებით აკნტროლებენ მათ. მაგალითად, ნიორს თუ გარკვეულ რაოდენობაზე მეტს შევიტანთ ევროპაში, იწყება დემპინგური ფასების შემოწმება. რადგან ევროპა იცავს თავის ბაზარს, გეუბნება, რომ შენ დემპინგურ ფასში ნიორი არ უნდა შეიტანო იქ. კერძოდ, წლიურ უბაჟო სატარიფო კოტას დაქვემდებარებული პროდუქტია ნიორი. აღნიშნული კოტა 220 ტონას შეადგენს, რომელზე გადაჭარბების შემთხვევაშიც, საქართველოს საბაჟო გადასახადის გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, 28 დასახელების პროდუქტი ევროკავშირში იმპორტისას უნდა დაექვემდებაროს საბაჟო გადასახადის გადახდას, ამ გადასახადის ადვალორული (ტვირთების გადაზიდვის გადახდაზე, საბაჟო გადასახადებზე და სხვა გადასახადებზე, რომელიც ირიცხება არა ტვირთის ერთეულისთვის, არამედ მისი ღირებულების პროცენტებში) კომპონენტის გარეშე. ამასთან, ცალკე ჩამოთვლილია გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული პროდუქტები, რომელზეც იმპორტის ზღვრული დონეა დაწესებული.

შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველომ



კანონმდებლობაში ცვლილებები ეტაპობრივად, თუმცა აუცილებლად უნდა განახორციელოს.

- პირველ ეტაპზე, პარლამენტმა ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება უნდა მოახდინოს, ამის შემდეგ კი კონკრეტულ საკითხებზე მუშაობა დაიწყება.

- ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, კი იუსტიციის სამინისტროში სპეციალური დეპარტამენტი იქმნება, რომელიც ევროპულ კანონებთან საქართველოს კანონების დაახლოებაზე იმუშავებს.

ასოცირების მთელი რიგი პუნქტების თანახმად განახლებას საჭიროებს საგადასახადო, ეკონომიკური, მიგრაციის, სტანდარტების საკითხები, პროდუქციის და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების და ხარისხი, მისი კონტროლის საკითხები. ბუნებრივია, პროდუქციის მომსახურების საკითხი არ არის მხოლოდ ადმინისტრირების საკითხი, ეს პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას საჭიროებს, იგივე შეგვიძლია ვთქვათ სტანდარტებთან და თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებითაც. სამოქმედო გეგმაში მხოლოდ და მხოლოდ სფეროების დასახელებაა მოცემული და არა კონკრეტული კანონების და ნორმების მუხლები, რომელიც უნდა შეიცვალოს. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ საკითხების საკანონმდებლო სრულყოფა დროშია გაწერილი. ეს გახდება მსჯელობის საგანი და იმ ვადებში შესრულდეს, რაც ასოცირების ხელშეკრულებით უკვე გაწერილია. მოცემულია ორი ძირითადი ვადა, არაუგვიანეს 5 და არაუგვიანეს 10 წლისა. საკანონმდებლო ცვლილებების მზადება, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან დაიწყება, თუმცა როდის მიიღებენ განახლებულ კანონებს, ეს უკვე კონკრეტულ პოლიტიკურ მოცემულობაზე იქნება დამოკიდებული და კონკრეტული საკითხის მომზადების ხარისხზეც.

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა - 20%-ს შეადგენს, რაც მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებს. სხვა (ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი) ქვეყნებისგან განსხვავებით, ვაჭრობის, განსაკუთრებით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით

ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორებია, ერთი მხრივ, მაღალი ტარიფები, ხოლო, მეორე მხრივ, არასატარიფო ღონისძიებებით გამოწვეული დაბრკოლებები. ამ კონტექსტში, 2013 წლის ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირის შორის შეთანხმების რატიფიცირების პირველი ნაბიჯი, ხოლო მეორე მხრივ, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებისა და განვითარების, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის თვალსაზრისით. წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-ს ამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5%-მდე გაზრდას გამოიწვევს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 13,5%-ით გაიზრდება. ყველაზე მაღალი - 55%-ით - ნავარაუდევია ტექსტილის წარმოების ზრდა, ხოლო ხილის, ბოსტნეულის, კვების პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ზრდა ნავარაუდევია 4%-ით.

DCFTA საბოლოოდ ჩაანაცვლებს GSP + პრეფერენციათა სისტემას, თუმცა, გარდამავალ

პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს ორი რეჟიმი ერთდროულად იქნება ძალაში.

DCFTA-ს მიხედვით, საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე გაუქმდება ყველა სახის საბაჟო გადასახადი, გარდა შეთანხმების მეორე დანართში ჩამოთვლილი

საქონლისა, რაც შეზღუდავს ტარიფის განაკვეთის კვრტებს. თუმცა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით გათვალისწინებულ საბაჟო გადასახადს დაექვემდებარება ყველა იმპორტირებული საქონელი, რომლებიც ტარიფის განაკვეთის ზღვარს აღემატება. გამონაკლისს წარმოადგენს იმპორტირებულ საქონელზე ad valorem (ღირებულების შესაბამისად) გადასახადის კომპონენტი. ევროკავშირი საქართველოს გაუგზავნის შეტყობინებას ამ კონკრეტული პროდუქციის იმპორტის რაოდენობის შესახებ. აღნიშნული შეტყობინების მიღებისა და პროდუქციის მოცულობის 80%-მდე გაზრდის შემდგომ საქართველო ვალდებულია, ევროკავშირს მიაწოდოს სარწმუნო დასაბუთება იმისა, რომ ქვეყანას შეუძლია დაამზადოს აღნიშნული საქონელი დამატებითი მოცულობებით ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტოდ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ვერ წარადგენს აღნიშნულ დასაბუთებას, ევროკავშირი სარგებლობს უფლებით, დროებით შეაჩეროს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს 6 თვის განმავლობაში და მოიხსნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო საკმარის მტკიცებულებებს მოიყვანს იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული პროდუქტის მოცულობა გაიზარდა წარმოების პროცესში შეტანილი ცვლილებების გამო, რამაც გაზარდა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები. აღნიშნული მტკიცებულების წარდგენასთან ერთად შეთანხმების დანართში 2 შესაძლოა, შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება.

ამდენად, შეთანხმება ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის სამი ტიპის გამონაკლისს: თავისუფალი ვაჭრობა სატარიფო განაკვეთების კვრტების ფარგლებში. ამ კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი - ნიორი, ახალი ან გაცივებული.

კოდი	პროდუქტის აღწერილობა	რაოდენობა	2013 წელს საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში(ტონა)	2013 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში(ტონა)
07032000	ნიორი ახალი ან გაცივებული	220 ტ	400	0

2013 წელს საქართველოს ზემოთ აღნიშნული კატეგორიის არც ერთი პროდუქტი არ შეუტანია ევროკავშირში. თუმცა, გასულ წელს სომხეთში იმპორტირებულ იქნა 400 ტონა ნიორი, რაც ნიშნავს, რომ 220 ტონა წარმოადგენს ზღვრულ ნიშნულს, რომლის შენარჩუნება გართულდება. მიზეზი, თუ რატომ არის დაწესებული შეზღუდვა პროდუქტის ამ კატეგორიაზე, არის ის რომ ჩინეთი აწარმოებს ნიორის მსოფლიო

წარმოების 80 პროცენტს

• პროდუქტები, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გასახადის ადვალორემ (ღირებულების შესაბამისი) ადვალორული კომპონენტი გაუქმებულია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა არ იქნება დამოკიდებული ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასი.

ქართველი ექსპორტიორებისთვის საინტერესო რამდენიმე აგროსასურსათო პროდუქტი ჩამოთვლილია ცხრილში ქვემოთ. არც ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებისგან

ამჟამად არ შედის ევროკავშირში (ყურძნის დურდოს გარდა), ამ კონკრეტული კატეგორიის პროდუქტის კატეგორიების წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში მნიშვნელოვანია და საერთო ექსპორტის 20%-ს შეადგენს.

კოდი	პროდუქტი	შეტანის ფასი მოცემულ მომენტში
07020000	პომიდორი ახალი ან	იმპორტზე გადასახადის 8,8% მაგრამ არა

	გაცივებული	ნაკლებ საშუალოდ 74 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
07070005	კიტრი ახალი ან გაცივებული	იმპორტზე გადასახადის 12,8% მაგრამ არანაკლებ 67 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
08051020	ტკბილი ფორთოხალი ახალი	იმპორტზე გადასახადის 16% მაგრამ არანაკლებ 35,4 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
0808108	ვაშლი, მსხალი ახალი	იმპორტზე გადასახადის 4% მაგრამ არანაკლებ 56,80 ევრო 100 კგ-ზე
22043092 22043094 22043096 22043098	ყურძნის დურღო	იმპორტზე გადასახადის 22,4% მაგრამ არანაკლებ დაახლოებით 126,7 ევრო ლიტრზე (სისქეზე, ალკოჰოლის შემცველობაზე დამოკიდებულებით)

ევროკავშირი, დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის (დსთ) შემდგომ, საქართველოს მეორე უმსხვილეს პარტნიორს წარმოადგენს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სავაჭრო ტვირთბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან გაიზარდა; თანმიმდევრულად იზრდებოდა ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები, თუ არ ჩავთვლით უკუსვლას 2009 და 2010 წლებში. საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი ევროკავშირის პროდუქციაზე (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე - 5.57%, სამრეწველოზე - 0.45). 2013 წელს სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის შემცირდა იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის ზრდის შედეგად. 2012 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მთლიანი მოცულობიდან 20% ევროკავშირის ქვეყნებისკენაა მიმართული; ეს მაჩვენებელი 2013 წელს 23%-მდე გაიზარდა. მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 26%-ს შეადგენს, რაც ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 30%-ია. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, აქ ერთპიროვნული ლიდერია ახალი და ხმელი თხილი, ეს კატეგორია შეადგენს ევროკავშირში ექსპორტირებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 64%-ს და თავად ამ კონკრეტულ კატეგორიაში მთლიანი საექსპორტო მოცულობის 65%-ს. 2013 წელს ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წამყვან კატეგორიებს შეადგენდა თხილი, ნატურალური ყურძნის წვენი და მინერალური წყლები. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წამყვანი კატეგორიები ქვეყნების მიხედვით დიდად არ იცვლება, პროდუქტები ნაკლებად დივერსიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ევროკავშირის ქვეყნებისკენ მიმართული თითქმის ყველა საექსპორტო პროდუქტი სარგებლობს პრეფერენციების სისტემით შ +. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო ინტენსიურად იყენებს შ + რეჟიმს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეჟიმით მოსარგებლე საექსპორტო საქონლის 60% 2013 წელს სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქონელს წარმოადგენდა, რაც 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია 2012 წელთან შედარებით. ექსპორტირებული პროდუქტი სახეობათა მიხედვით არცთუ იმდენად დივერსიფიცირებულია. 2012-2013 წლებში ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 50 დასახელების პროდუქტი გავიდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაჩნდა ახალი პროდუქტები, როგორცაა გადამუშავებული და გაყინული ბოსტნეული, გაყინული თევზი, ზეთები, ბოსტნეულის წვენები და ექსტრაქტები. როგორც ჩანს, შ + რეჟიმით სარგებლობისა და იმპორტზე გადასახადის გაუქმების შედეგად გაიზარდა იმ პროდუქტების ექსპორტი, რომლებზეც ვრცელდება სავაჭრო რეჟიმი. ზოგადად, ჯერ კიდევ

დასადგენია, თუ რეალურად რა დატვირთვა აქვს ტარიფს -ემპირიული ნაშრომების მნიშვნელოვანი რაოდენობა ასკვნის, რომ სატარიფო ბარიერები სავაჭრო ტვირთბრუნვის მხოლოდ ერთი პროცენტით ვარიირებას განაპირობებს. რაც შეეხება სხვა ბარიერებს, განსაკუთრებით, ტექნიკურ ბარიერებს და არასატარიფო დაბრკოლებებს - მათ უფრო მეტი გავლენა აქვთ ვაჭრობის მოცულობაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ტენდენციებისა და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში ექსპორტისა და იმპორტის დინამიკის შეფასება. საერთაშორისო ვაჭრობაში ზრდად ჩართულობასთან ერთად იზრდება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მაჩვენებლები - თუმცა ამ უკანასკნელის ზრდის მაჩვენებლები უფრო მაღალია. 2012 წელს საქართველოში იმპორტირებული კვების პროდუქტების ღირებულებამ გადააჭარბა 1,2 მილიარდ აშშ დოლარს მაშინ, როდესაც საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება გასცდა 500 მილიონ აშშ დოლარს. 2009 წლიდან 2012 წლამდე იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის 10 წამყვანი ჯგუფის დინამიკის ანალიზი გვაძლევს ძალიან კარგ სურათს არსებული მდგომარეობის შესაფასებლად და საკმაოდ კარგად აღწერს საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხარისხს.

ექსპორტები ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას ვარაუდობენ 1.7%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – 4.3%-ით. ექსპორტის ზრდას, შესაბამისად, 9% და 12%-ით, ხოლო იმპორტისა – 4.4% და 7.5%-ით. მაგრამ არაფერი არაა ნათქვამი, არის თუ არა გათვალისწინებული აღნიშნულ ზრდაში სინერგიის ეფექტი, რაც შეიძლება შეთანხმების შედეგად შესაძლებლობებისა და მოთხოვნების ზრდამ გამოიწვიოს. საქართველოს ექსპორტი ბოლო 8 წლის მანძილზე (2006-2013 წლებში) საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა დაახლოებით 16.5%-ით ხოლო იმპორტი 15.7%-ით. ფაქტობრივად, გამოდის, რომ შეთანხმების შემდეგ ექსპორტის ზრდის ტემპი შემცირდება, ხოლო იმპორტისა - უცვლელი დარჩება. პროდუქციის ხარისხის ზრდა და ევროკავშირის (და, შესაბამისად, მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანა) გამოიწვევს უახლოეს წლებში არა მარტო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, არამედ ევროკავშირში ექსპორტის რეალურ ზრდას საშუალოდ 1.5-2-ჯერ, ანუ 300-600 მლნ დოლარით, რაც ქვეყანაში მშპ-ის დაახლოებით 2%-იანი ზრდის ეკვივალენტი იქნება. ევროკავშირში „ეგრევე“ და დიდი რაოდენობით ვერ მოხდება ქართული პროდუქციის შეტანა. დღეისათვის ევროკავშირის ბაზარი, სტრუქტურირებული, გაჯერებული და საკმაოდ დაცულია იმისათვის, რომ მასში შესვლა და დამკვიდრება, მნიშვნელოვანი სეგმენტის მოპოვება შეძლონ ახალმა მოთამაშეებმა. ეს გარკვეულ წილად წააგავს იმ მოლოდინს, რაც საქართველოს წინა ხელისუფლებას გააჩნდა ჩინეთის ბაზრისადმი ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით. – ფაქტობრივად კი, ჩინეთის 1.5 - მილიარდიანი მოსახლეობის მქონე ბაზარმა 2006-2012 წლებში შეიძინა იმ ქართული ღვინის მხოლოდ 10%, რაც რუსეთის 143-მილიონიანმა ბაზარმა – მხოლოდ 2006 წლის პირველი 4 თვის მანძილზე (ემბარგოს გამოცხადებამდე). ამიტომ, ზოგადად 500 მლნ-იანი ბაზარი საინტერესო და მომხიბვლელია ქართული ეკონომიკისთვის, თუმცა იქ დამკვიდრება გულისხმობს თამაშის შესაბამის წესის, ადეკვატური ხარისხისა და მიწოდების პირობების დაცვას, უმკაცრესი კონკურენციის დაძლევას, რა მხრივაც ქართულ მხარეს ჯერ კიდევ მოუწევს სერიოზული და ხანგრძლივი მუშაობა. თუ პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი საერთო ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის საგრძნობი ექსპანსიით ვერ მოხდება, მაშინ საბოლოო ჯამში, რა კონკრეტული სარგებელის მომტანი იქნება აღნიშნული შეთანხმება ზოგადად ქართული ეკონომიკისათვის და კონკრეტულად, რიგითი ქართველი მომხმარებლისთვის?

შეთანხმების ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი იქნება სავიზო რეჟიმის გაიოლება, აგრეთვე ქართული ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ზრდა,

საშუალო და მცირე საწარმოების მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ახალგაზრდებისთვის ევროპული განათლების ხელმიწვდომობის გაუმჯობესება და ენერგეტიკის სფეროში ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს, გამყარებული სამართლებრივი ფონისა და კანონის უზენაესობის, ნებისმიერი ინსტიტუტის, სამსახურის და საჯარო მოხელის საქმიანობის ტრანსფარეგულობისა და პასუხისმგებლობის ზრდის ფონზე. ამავე დროს, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ხელშეკრულება შეიძლება განხილულ იქნას როგორც მთავარი ლეიტმოტივი არა იმდენად ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების, საქართველოდან ექსპორტის წახალისების სტრატეგიაში, რამდენადაც საქართველოს შიდა ბაზარზე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ქართული სამამულო პროდუქციის წარმოებისა და დამკვიდრებისათვის, იმპორტირებული საქონლის ქართული პროდუქციით ჩანაცვლებისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR), თბილისი, 2011.
2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა [www.enpiinfo.eu/main.php?id=403&id\\_type=2](http://www.enpiinfo.eu/main.php?id=403&id_type=2)
3. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2014.
4. „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. ვ.პაპავა. თბ. 2013
5. პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ. ვ.პაპავა. თბ. 2013
6. ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში. მ.კაკაულია. თბ. 2013

### Economic Politics of European Integration in Georgia

Leila Mamulashvili

Nino Liparteliani

Gori State Study University

#### Summary

The research work– **Economic Politics of European Integration in Georgia** concerns the problems regarding the economic development of Georgia. The way of developing the national economics in the Post-Soviet period appeared to be very interesting. What the Georgian scientist-economists learnt basing on the theories and the experience of the other countries before, is happening in our country nowadays. The reformation process of the economic management is running quite rapidly, the fact of signing the EU-Georgia Association Agreement has already become a historical event. A Deep and Comprehensive Free Trade Area of quite a new dimension of the Georgia-European Union trading relationships has become active, which is a real prospect and some efficacious steps are taken in the direction of harmonization with the European legislation and later of their implementation in Georgian reality.

განვითარების გზების ძიებაში: საყურადღებო ცვლილებები საქართველოს 2014 წლის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებში


მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში ეროვნული ეკონომიკის ურთიერთობის ძირითადი გამოვლენაა საერთაშორისო ვაჭრობა. საერთაშორისო ვაჭრობა მისი აღმოცენებიდან სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს მსოფლიოსა და თითოეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. გაძლიერდა ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებაც საგარეო ვაჭრობის გაფართოების გამო. მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში ეროვნული ეკონომიკის ძირითადი გამოვლენაა საერთაშორისო ვაჭრობა. საერთაშორისო ვაჭრობა მისი აღმოცენებიდან სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს მსოფლიოსა და თითოეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. გაძლიერდა ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებაც საგარეო ვაჭრობის გაფართოების გამო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეტი წილი დღევანდელმა განვითარებულმა ქვეყნებმა თავის დროზე პროტექციონიზმის გზა გაიარეს. დღესდღეობით მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს რესურსებისაგან ფიტავენ და ისეთ მდგომარეობაში აგდებენ, რომ ვერასოდეს შეძლონ იმპერიული ძალებისადმი წინააღმდეგობის გაწევა” - წერს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ჩალმერს ჯონსონი თავის წიგნში «იმპერიის ტკივილები» საქმე იმაშია, რომ მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა მაქსიმალურად გაზარდეს პროდუქციის ხარისხი, შეამცირეს დანახარჯები პროდუქციაზე, აწარმოებენ სულ უფრო მაღალ მოთხოვნად პროდუქციას (ამისათვის მათ საკმარისი დრო და ფინანსები ჰქონდათ) და მათ უკვე აწყოთ საერთაშორისო ვაჭრობის მაქსიმალური ლიბერალიზაცია; როგორც 1841 წელს აშშ-ში გერმანიიდან ემიგრირებული ეკონომიკის თეორეტიკოსი ფრიდრიხ ლისტი ნაშრომში «პოლიტიკური ეკონომიკის ნაციონალური სისტემა» გონებამახვილურად შენიშნავდა: «ვინც მაღალ სიმძლავრეზე მწვერვალს მიაღწია, მათი საყვარელი და თან მოხერხებული ტრიუკია იმ კიბის გადაგდება, რომლის საშუალებითაც ისინი ამ სიმძლავრეზე ავიდნენ, რათა სხვამ ვერავინ შეძლოს მათსავით ამოსვლა».

უკანასკნელი ცვლილებები საქართველოს ექსპორტის დინამიკასა და სტრუქტურაში ექსპორტის ზრდა ბოლო 7 წლის მანძილზე ყველაზე შესამჩნევია 2013 წელს, იგი აჭარბებს წინა წლების მონაცემებს, რაც შეეხება იმპორტს, ის 2012 წელს ოდნავ უფრო დაბალი ფიქსირდება ვიდრე 2013-ში. საგარეო ვაჭრობის უარყოფითი საღლო 2013 წელს უფრო შემცირდა 2012 წელთან შედარებით და მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა 2014 წელსაც, რაც გამოწვეულია ექსპორტის უფრო მაღალი ზრდის ტემპით იმპორტთან შედარებით. უარყოფითი საღლო ყველაზე მაღალი იყო 2012 წელს ანუ აღსანიშნავია, რომ რუსეთის ბაზრის გახსნამ დადებითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ექსპორტის ყველაზე დაბალი წილი 2009 წელს ფიქსირდება, რაც გამოწვეული იყო 2008 წლის რუსეთის აგრესიის მიზეზით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2014 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ თითქმის შეიდ-ნახევარი მილიარდი ლარი შეადგინა. ეს კი წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 12 პროცენტით აღემატება. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში გაზრდილია როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მოცულობა. იანვარ-აგვისტოს მონაცემების თანახმად, იმპორტის მაჩვენებელი შეიცვალა 12 პროცენტით, ხოლო ექსპორტის ზრდამ 13 პროცენტი შეადგინა.


საგარეო ვაჭრობა საქართველოში



2006 წელს რუსეთმა საქართველოს დაუწესა ემბარგო, რუსეთის მთავრობამ აკრძალა საქართველოდან პროდუქციის გატანა, რამაც 2007 წელს 2%-იანი პუნქტით შეამცირა საქართველოს ექსპორტი. სამაგიეროდ ამ პრობლემით საქართველომ დაიწყო სხვა ბაზრების მოძიება, რამაც გაზარდა საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები. ბაზრების მოძიებით საქართველო გავიდა ევროპის და ამერიკის ქვეყნებზე. რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესებამ დაანახა მეწარმეებს, რომ არ შეიძლება დამოკიდებული იყო ერთ რომელიმე პარტნიორ ქვეყანაზე. დღესდღეობით ქართული მინერალური წყლები და ღვინო პოპულარობით სარგებლობს ევროპისა და ამერიკის ბაზარზე.

ამავე დროს, 2006 წელს რუსეთმა, საქართველოს მთავარმა სავაჭრო პარტნიორმა შემოიღო მთელი რიგი სავაჭრო და სატრანზიტო ბარიერები ქართულ საქონელზე. ამან მკვეთრად შეანედა ექსპორტის ზრდა, განსაკუთრებით კი აგრო-სამრეწველო სექტორში. რეორიენტაცია ევროკავშირის ბაზრებთან გახდა რთული ქართული საწარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო. უფრო მეტიც, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების ანალიზმა ცხადყო, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციამ მართალია ასტიმულირა ექსპორტი, მაგრამ ფაქტიურად ექსპორტიორებმა ფართო საერთაშორისო სავაჭრო შედეგებიდან ვერ მიიღეს შესაბამისი სარგებელი.


საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2013წ.



2013 წლის მონაცემებით ყველაზე მსხვილი საექსპორტო ქვეყნები არიან აზერბაიჯანი 24,2%, სომხეთი 10,9%, უკრაინა 6,6%, თურქეთი და რუსეთი 6,3%.

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში


2014\* წლის იან/აგვ



ამ ორი დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთ-ამერიკის ხარჯზე აზერბაიჯანის პროცენტული წილი მცირდება და რუსეთი, როგორც მთავარი საექსპორტო ბაზარი მესამე ადგილზე ინაცვლებს მას მოყვება თურქეთი და აშშ. რ არის გამორიცხული, რუსეთი წლის ბოლომდე ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო ბაზრად გადაიქცეს და ამის თქმის საფუძველს გვაძლევს აზერბაიჯანში შემოდებული კანონი, რომლის მიხედვითაც 2005 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი უნდა აიკრძალოს და სომხეთის საბაჟოკავშირში გაერთიანება რაც მანქანების გამბაჟებას გააძვირებს. ს ორი კანონი მიმდინარე წელს ამოქმედდება და რომ არ მიიღოს სახელმწიფომ მძიმე ეკონომიკური დარტყმა, საჭიროა სწრაფი ტემპებით ახალი სექტორების და სავაჭრო პარტნიორების მოძიება. როსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებამ გვაჩვენა, რომ ჩვენ ეს ბაზარი გვჭირდება, მათ მოსწონთ ჩვენი პროდუქცია. ამას ემატება ის ფაქტი, რომ აღდგა რუსეთთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიც.

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით

ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში  
2014\* წლის იანვარ-აგვისტოში




\*წინასწარი მონაცემები.

როგორც ჩანს ყველაზე მსხვილი საექსპორტო ქვეყნებად რჩებიან დსთ-ს ქვეყნები, ამას თავისი მიზეზებიც გააჩნია ისინი ჩვენი მეზობლები არიან, რაც იწვევს შედარებით დაბალ ხარჯებს ტრანსპორტირებაში, რომელიც ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ზრდის და შედარებით მარტივია იქ პროდუქციის შეტანა.


საქართველოს ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2013წ

ძირითადი სასაქონლო პოზიციები ექსპორტის მიხედვით



2013 წელს უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის ხვედრითი წილები მთლიან ექსპორტში ასე გადანაწილდა: მსუბუქი ავტომობილი 24,2%, ფეროშენადნობი 7,7%, თხილის 5,7% და ა.შ.


უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში 2014\* წლის იანვარ-აგვისტო





ამ დიაგრამაზე, რომელიც 2014 წლის იანვარ-აგვისტო მოიცავს, უკვე ჩნდება პროდუქცია, რომელიც 2013 წლის მონაცემებში საერთოდ არ ფიგურირებს და ეს პროდუქცია არის ღვინო, რომლის პროცენტული წილი 6%-ს შეადგენს და ექსპორტის დიაგრამაზე მე-4 ადგილს იკავებს, ასეთივე პროდუქციაა მინერალური წყლები და ყველამ კარგათ ვიცით სად არის ამ პროდუქციებზე მოთხოვნა და ეს იწვევს სხვა პროდუქციების ხვედრითი წილის შემცირებას ისეთების, როგორებიცაა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი. რაც დადებითი მოვლენაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდან ჩვენ ვერ ვიქნებით დამოკიდებული ერთ არასტაბილურ რესურსზე, რომელსაც ჩვენ არ ვაწარმოებთ.

რაც შეეხება ფეროშენადნობებს ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქცია როგორცაა ფეროშენადნობები მიმართა მსგავსი ნაწარმები უნდა მუშავდებოდეს ადგილზე. ამის მაგალითად მოვიყვან ჯართს, რომელიც თურქეთში გადის დიდი ოდენობით, ხოლო ადგილობრივ ქართულ საწარმოს, რომელიც რუსთავეში ჯართს ამუშავებს და მაღალხარისხიან არმატურას უშვებს, გადასამუშავებელი მასალის დეფიციტი ექმნება.




ამ დიაგრამის მაჩვენებელზე მახსნდება ერთი ქართული გამოთქმა: „ზოგი ჭირი მარგებელია“. 2006 წელს, როდესაც რუსეთმა ქართულ პროდუქციაზე ემბარგო დააწესა, საქართველომ დაიწყო ალტერნატიული ბაზრების მოძიება. მომდევნო სამი წელი მცირე ჩავარდნებით გამოიხატებოდა ღვინის ექსპორტში. უკვე 2010 წელს, ემბარგოს დაწესებიდან მეოთხე წელს ღვინის ექსპორტი გაუტოლდა 2006 წლის მონაცემებს, ხოლო 2013 წელს როცა ემბარგო მოიხსნა და ქართულმა პროდუქციამ გადაკვეთა რუსეთის საზღვრები ღვინის ექსპორტმა 128 მლნ. შეადგინა, რაც 2006 და 2010 წლის მონაცემებს 3-ჯერ აღემატება, ხოლო 2012 წლის მონაცემებს 2-ჯერ. ესლა გვაქვს ღვინის ორი დიდი ბაზარი: ევროპა და რუსეთი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გლეხს, რომელსაც ყურძენი მოჰყავს, მიმდინარე წელს მეტი შემოსავალი ექნება და ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 2014 წლის იანვარ-აგვისტო წინასწარი მონაცემები, რომელიც 113 მლნ შეადგენს და წლის ბოლომდე დარჩენილია 4 თვე. დაახლოებით მსგავსი ვითარებაა მინერალური წყლების მიმართაც.

#### უკანასკნელი ცვლილებები საქართველოს იმპორტის დინამიკასა და სტრუქტურაში

არავისთვის გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2013 წლის მონაცემებით თურქეთია. მისი ხვედრითი წილი მთლიან იმპორტში 17%-ს შეადგენს, შემდეგ არის უკრაინა და აზერბაიჯანი 8-8%-ით და რუსეთი და ჩინეთი 7-7%-ით


საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით



2014 წლის იანვარ აპრილის მონაცემებში 5 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი უცვლელია. ცვლილება მხოლოდ პროცენტულ წილებში. კერძოდ ჩინეთმა 2%-ული პუნქტით გაზარდა იმპორტი


საქართველოში ხოლო თურქეთმა 3%-ით გაზარდა იმპორტი.2014 წლის იანვარ-აპრილის წინასწარ მონაცემებში 5 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი უცვლელია.

საქართველოს იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით



2013 წელს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში შემდეგია: ნავთობპროდუქტები 12%, მსუბუქი ავტომობილები 9%, ნავთობის აირები 3,8% და სხვა.

ძირითადი სასაქონლო პოზიციები იმპორტის მიხედვით 2014\* იან/აპრ



ნავთობპროდუქტები კვლავ პირველ ადგილს იკავებს და მისი ხვედრითი წილი შეადგენს 11%-ს. მას მოყვება მსუბუქი ავტომობილები 8 %-ით 1%-ული პუნქტით შემცირდა ვინაიდან მათი რეალიზაციის რისკ ფაქტორები გაიზარდა და ნავთობის აირები 6%.

#### დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა განვითარების საფუძველს წარმოადგენს სწორი ეკონომიკური პერსპექტივების დასახვა, რაც გულისხმობს ადგილობრივი მეურნეობის იმ დონეზე განვითარებას, რაც , რომ საქართველოსა განვითარების საფუძველს წარმოადგენს სწორი ეკონომიკური პერსპექტივების დასახვა, რაც გულისხმობს ადგილობრივი მეურნეობის იმ დონეზე განვითარებას, რაც ეროვნულ მოთხოვნას მაინც დააკმაყოფილებს პირველ ეტაპზე.

შახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. მსოფლიო ბანკის მონაცემების საფუძველზე შევეცადე მომეძიებინა ინფორმაცია თურქეთის ძირითადი საექსპორტო პროდუქციის შესახებ. აღმოჩნდა, რომ თურქეთის ექსპორტში დიდი ხვედრითი წილი მეტალს უკავია, ხოლო საქართველოს თურქეთთან ექსპორტში ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ავტომობილები გააქვს, რაც მეტალის წარმოების საფუძველია. სახეზეა განვითარებადი ქვეყნების კლასიკური პრობლემა: განვითარებად ქვეყნებს გააქვთ ნედლეული და მასალები, ხოლო იმპორტში შემოაქვთ მზა პროდუქცია. ჩვენ უნდა მოვიფიქროთ და შევეჭიდოთ ამ დიდი და მნიშვნელოვან ბერკეტს ქვეყნის განვითარებისთვის: ადგილობრივ წარმოებას ადგილობრივი პროდუქციით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სმიტი. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938 წელი,
2. დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომია და დაბეგერის საფუძვლები. თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1937 წელი.
3. ნ. ხაღური. მაკროეკონომიკური პოლიტიკა, (ლექციების კურსი), თბილისი, 2012
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
5. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

**In investigation of development ways: Important changes of external trade indexes in Georgia, 2014 year**

**Lasha Markarashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MA student

**Summary**

My topic is about Georgia's development ways, the dynamics of export and import and about the tendencies, which we have with our importer countries. I am speaking about last changes of export-import in Georgia and about the difference between them; What kind of risk factors are in them, which can cause economic losses and on the contrary – which factors can stimulate them.

I also consider those export and import products, which production would be better in Georgia and which import from other countries

**Analysis of the Variation of the Exchange Rate of the Armenian Azerbaijan and Georgian National Currencies by the Algorithm of Lempel-Ziv Complexity Measure Calculation**

**Tamar Matcharashvili**

*Master Degree Student at Ilia State University*

The study of financial time series remain among the most important scientific challenges over a last decades [Baillie, 1996; Aghion et al. 2009]. New achievements in the modern theory of nonlinear phenomena further stimulated the interdisciplinary interests in the economic problems. As a result the new interdisciplinary field of economical research - Econophysics emerged [McCauley, 2004].

One of the most important question, which may arise is the interpretation of the time evolution of economical processes. At the moment two main streams can be identified in the analysis of financial time series presented in the international scientific literature. From one point of view by many authors financial time series are regarded as exclusively random and thus unpredictable. Other large group of researcher argue that financial data sets may have non random dynamical structure what means presence of calculable deterministic patterns in considered process enabling to predict, at least main important features, of it's time behavior. Complexity of such processes with internal dynamical structure may undergo changes depending on different external and internal factors.


In our previous researches we already demonstrated that such external and internal influences affecting dynamical features of economical life may be well quantifiable also for small economies of former Soviet countries e.g. for Georgia [Matcharashvili et al. 2012; 2013].

In present work we aimed to compare dynamical features of national currency exchange variation in souther Caucasian countries. Here we present preliminary results of our analysis on the complexity measure calculation of currency exchange variation for these three former soviet countries which economies have been strongly interconnected in the past. Exactly we have investigated exchange rate variation of Armenian, Azerbaijan and Georgian currencies from 2000 to 2013. We have decided to compare mentioned economical characteristics of these neighbor countries because of three main reasons:


1. Countries have been strongly interconnected economically being parts of large Russian Empire and then Soviet economy for about two centuries.

2. At present economies of these countries are still closely tied in many aspects. Among these aspects we may list mentioned historical, geographical, cultural, etc. factors.


3. At the same time in spite of all mentioned these countries nowadays have different short and long period political and economical strategies. According to the data from Heritage Foundation (<http://www.heritage.org>), GDP per capita values of Armenia and Georgia are rather close (5833 and 5930 USD accordingly) while for Azerbaijan it is almost twice higher (10478 USD). There are clear differences in other characteristics of Heritage Foundation list. Most interest is that these three Southern Caucasian countries are different in sense of freedom in the economical life. According to Index of Economic Freedom (IEF) which provides a picture of more than 180 countries Armenia, Azerbaijan and Georgia fell in different groups by different characteristics (see: <http://www.heritage.org/research/features/index/countries.cfm>). Exactly, according to IEF data base Georgia is listed as 22<sup>st</sup> among countries with mostly free economics (overall score 72.6, for 19 April of 2014) while Armenia and Azerbaijan are listed as 41<sup>st</sup> and 81<sup>st</sup> with economy regarded as moderately free (with overall score 68.9 and 61.3, for 19 April of 2014).



a.



b.



c.

Fig. 1. Typical data of increments of daily exchange rate variation of a) Armenian, b) Azerbaijan and c) Georgian national currencies.

Taking into consideration mentioned closeness and differences between selected neighbor countries it was interesting to see how these differences in different economical characteristics and especially differences in the extent of the freedom of economic systems may be revealed in the dynamical characteristics of exchange rate variation which is well known integral indicator of economical process in country. In general we clearly understand that targeted problem needs serious and exhaustive analysis of different aspects of economical life but at this time we decided to consider just features of national currency exchange rate variation. Therefore, in this research we attempted to find and quantify dynamical characteristics of exchange rate variation and to identify the reasons of differences based on a comparative analysis.

The analyzed in the frame of this research data represent daily exchange rates of Armenian, Azerbaijan and Georgian national currencies with respect to the United States Dollar. According to accepted practice the USD was chosen as the reference because it is the currency of a powerful economy and it is relatively stable over the analyzed time period. Also the availability of the exchange rate data of national currencies of Georgia and Armenia comparing to USD, was also an important selection factor. Data sets of daily exchange rate, from 2001 to 2013, have been acquired from the official electronic sites of the Central Bank of Armenia, National Bank of Azerbaijan and National Bank of Georgia.

For analysis of currency exchange data, we used the Lempel and Ziv complexity (LZC) test as main data analysis method [Lempel and Ziv, 1976]. This method, already been many times used in different fields ranging from biomedical researches to economic analysis, etc. LZC calculation as complex data analysis method was proposed in 1976 and is based on the conception of the algorithmic complexity introduced earlier by Kolmogorov. To compute the LZ complexity, a numerical sequence of data should first to be transformed into a symbolic sequence. A usual approach is to convert the series into a sequence of only two symbols: 0 and 1. This is achieved by comparing the data with a threshold (usually the median) and whenever the signal is larger than or equal to the threshold the particular piece of data is replaced by 1, otherwise by 0. The next step is parsing the obtained symbolic sequence, i.e., identifying the number of distinct words present in the sequence. The complexity counter  $c(n)$  is given by the number of distinct patterns contained in the sequence. By scanning the sequence from left to right, letter by letter,  $c(n)$  is increased by one unit when a new pattern of consecutive characters is encountered. Clearly, apparent patterns or correlations in a given sequence render its complexity  $c(n)$  smaller than that of a random sequence. A very complex (noise-like) data sets with finite length usually has an LZ complexity index slightly larger than 1.




Fig. 2. LZC of increments of daily exchange rate variation of a) Armenian (circles), b) Azerbaijan (diamonds) and c) Georgian (triangles) national currencies.

In order to be focused on the daily variability features of currency exchange process we have calculated LZC values of the increment series of mentioned above original exchange rate data sets. It was shown, that for the entire considered 13 year time, period daily increment sequences of Armenian Dram reveal larger extent of complexity (LZC=0.90) comparing to Azerbaijan Manat (LZC=0.79) and Georgian Lary (LZC=0.73).

It is important that LZ complexity values all used data sets changed for different parts of considered time period. Exactly in the first, second and third parts of analyzed time period, measured LZC values of Armenian Dram daily increment series were 0.97, 0.88 and 0.91 accordingly. For daily increments of Georgian Lary consequently we calculated following LZC values of 0.81, 0.66 and 0.71. For daily increments of Azerbaijan Manat we found LZ values as following 0.75, 0.98 and 0.9. Moreover, when we looked at variation of complexity measure for smaller, one year, windows we observed that for Georgian and Armenian currencies this characteristic evolves almost in parallel, always being larger for Armenian dram. For Azerbaijan Manat we observe increase in LZ complexity value for period when for two other currencies it decreased i.e. variation of increments became regular.




Fig. 3. LZC of increments of daily exchange rate variation of a) Armenian (circles), b) Azerbaijan (diamonds) and c) Georgian (triangles) national currencies, calculated for consecutive 3 year windows from 2001 to 2012.

It should be stressed that for all analysed currencies exchange rate daily time series reveal maximum for about 2002-2003. Variation of daily increment data for Azerbaijan national currency revealed most regular detected in this research patterns. Since that time as of the end of 2012 variation looked rather irregular though in 2013 we observed clear decrease in LZ value what points to the increase in the extent of exchange rate variability. Behavior of daily increments of the exchange rate variation of

Armenian national currency for considered time period was always more irregular comparing to national currencies of two neighbor countries Azerbaijan and Georgia.

It is interesting to mention, that minimal values of calculated for daily increment data LZC values of Georgian Lary exchange rate variation have been detected prior the starting of financial crisis in about 2007-2008. LZC value for Georgian Lary daily increment data decreased to 0.5-0.6 in this time period.

Thus we see that increment series of daily exchange rate data sets of Armenian and Georgian currency exchange show kind of parallel changes during considered time period. At the same time changes in the daily increment of Georgian Lary always reveal lesser value of Lempel and Ziv complexity measure comparing to Armenian dram. This means that variation of daily increments of Georgian currency exchange rate was more regular comparing to Armenian currency exchange rate which in turn was closer to randomness. This situation holds for whole analysed period as well as for certain parts of whole considered time period. It is interesting that Azerbaijan National currency of Azerbaijan reveals quite different behavior what may point that this economy is much more stable and sustainable to external influences comparing to economies of Armenia and Georgia.

As it was mentioned above extent of complexity of currency exchange variation may be influenced by different internal and external factors. Consequently it is necessary to continue started analysis in order to clear up underlying mechanisms of found changes. At the same time it can not be excluded, that mentioned above higher differences in the Index of Economic Freedom of Armenian, Azerbaijan and Georgian economical life (or factors leading to differences in these indexes) may be responsible for differences in the extent of regularity in the currency exchange rate variations of these countries.

## References

- Aghion, P., Bacchetta, P., Ranciere, R., Rogoff, K.,** Exchange rate volatility and productivity growth: The role of financial development. *J. Monet. Economics.* 56, 494-513, 2009.
- Baillie, R.T.,** Long memory processes and fractional integration in econometrics. *Journal of Econometrics* 73, 5–59, 1996.
- McCauley, J.,** *Dynamics of Markets, Econophysics and Finance*, [Cambridge University Press](#), 2004.
- Matcharashvili, T.N., Jibladze, N.I., Iluridze, T.G., Matcharashvili, T.T., Topchishvili, A.L.,** Scale depending variations of distribution and dynamic features of US Dollar/Georgian Lari exchange rate, *Model Assisted Statistics and Applications* 7, 281–289 281, 2012.
- Teimuraz Matcharashvili, Nodar Jibladze, Zurab Tsveraidze, Tamar Matcharashvili,** Changes in scaling characteristics of the US Dollar/Georgian Lari exchange rate variation, *Proc. of Management Innovation and Business Innovation International Conference 2013*, In *Lecture Notes in Management Sciences*, vol. 15. 76-82, 2013, Published by Singapore Management and Sports Science Institute, Singapore. ISBN 978-981-07-5034-3.
- Lempel, A., Ziv, J.,** On the complexity of finite sequences, *IEEE Trans. Inform. Theory* 22, 75\_81, 1976.

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსების ვარიაციის ანალიზი ლემპელ-ზივის ალგორითმული სირთულის გამოთვლის მეთოდით

თამარ მაჭარაშვილი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მაგისტრანტი

## რეზიუმე

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსების ცვლილების თავისებურებები 2000-2013 წლებში. ამ მეზობელი ქვეყნების მონაცემები შევისწავლეთ რადგან მათი ეკონომიკა წარსულში მჭიდროდ იყო ურთიერთდაკავშირებული, ახლა კი განსხვავებული არიან. ჩვენ გამოვიყენეთ ლემპელ-ზივის ალგორითმული სირთულის გამოთვლის მეთოდი. LZC სირთულის განზომილება 1-თან არის ახლო შემთხვევითი მასივისათვის და მცირდება თუ პროცესი ავლენს რეგულარობას. ნაჩვენები იქნა, რომ სომხური ვალუტის გაცვლითი კურსის ყოველდღიური ნაზრდების მიმდევრობა ავლენს სირთულის მეტ მნიშვნელობას (LZC=0.90) აზერბაიჯანულ (LZC=0.79) და ქართულ ვალუტასთან შედარებით (LZC=0.73). სირთულის მაჩვენებელი დროის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო. იგი სომხური და ქართული ვალუტის შემთხვევაში მსგავს ცვლილებებს განიცდიდა აზერბაიჯანისაგან განსხვავებით. ეს შესაძლოა მიუთითებდეს რომ აზერბაიჯანის ეკონომიკა სომხეთისა და საქართველოს განსხვავებით უფრო სტაბილურია და ნაკლებად ექვემდებარება ქვეყნის შიგა თუ გარე ფაქტორების გავლენებს.

## საქართველოს საგარეო ვაჭრობა დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე – სტატისტიკური ანალიზი

თინათინ მექმარიაშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მაგისტრანტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ 20 წლის განმავლობაში პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. მსგავსი სასტარტო პირობებიდან ამ ქვეყნებმა, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორის ზეგავლენით, განვითარების განსხვავებულ დონეს მიაღწიეს. მე-20 საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში, თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბებით, მნიშვნელოვანი მოვლენებითა და პროცესებით აღინიშნა. მოვლენათა ობიექტურმა განვითარებამ მოითხოვა საქართველოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში, მათ შორის, საგარეო ვაჭრობაში ჩართვა.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ხდება ეროვნული ეკონომიკების აღორძინება და განვითარება. ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოსათვის, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების დონისა, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არც ერთ ქვეყანას შესწევს უნარი დამოუკიდებლად, ყველასგან იზოლირებულად განავითაროს საკუთარი ეკონომიკა.



საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში საგარეო ვაჭრობის ფორმირება საყურადღებო პროცესი იყო, რისი აღქმაც უფრო მარტივია სტატისტიკის საშუალებით. როდესაც აქტიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად ღრმავდება საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის პროცესი, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკურ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხებში.

ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (158 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის” (MFN) საფუძველზე.

პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება “თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ” დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით, და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება.

საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის ფარგლებში მოქმედი “თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ” 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა.

საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, თურქმენეთი, თურქეთი.

ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებიდან განსხვავებით ითვალისწინებს გამონაკლისებს, კერძოდ, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას.

საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ

არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXVIII-ე თავის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კანონმდებლობით საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის. კერძოდ, გაიცემა შემდეგი სახის ლიცენზიები და ნებართვები:

- ფიტოსანიტარულდავეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო);
- დაკვირვების ელექტრონული საშუალებების ექსპორტ-იმპორტის ლიცენზია (შინაგან საქმეთა სამინისტრო);
- შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (გარემოს დაცვის სამინისტრო);
- ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების, რადიოაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო);
- იარაღისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის ნებართვა (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო);
- ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - კანონი, ნუსხა, გაცემის წესი);
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
- არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
- "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა (გარემოს დაცვის სამინისტრო).

აკრძალულია კულტურულ ფასეულობათა საქონლის საქართველოდან ექსპორტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნუსხის მიხედვით.

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატები გაცემა 2010 წლის 29 დეკემბრისსაქართველოს მთავრობის №420 დადგენილებით, დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე, გარდა ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებისა, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატებს გაცემს:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ “შემოსავლების სამსახური”;
3. სსიპ “საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა”;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირებისას წარმოშობის სერტიფიკატს გაცემს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული.

1990 წლის შემდეგ წლებში საქართველოს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგი გაუარესებით ხასიათდებოდა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლით, დსთ-ს ქვეყნებს შორის ადრე არსებული ეკონომიკური კავშირების მკვეთრი შემცირებით, ენერგორესურსების ფასების ფორსირებული ზრდითა და მთელი რიგი სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით იყო განპირობებული.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე მოიპოვება საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური ინფორმაცია მხოლოდ 1995 წლიდან. აღსანიშნავია, რომ 1995 წლიდან 2006 ჩათვლით იზრდებოდა საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელი, გამონაკლისს მხოლოდ 1998 წელი წარმოადგენდა, როდესაც ექსპორტის კლება 21,7 % შეადგინა. ასევე იმპორტის მაჩვენებელი მუდმივი ზრდით ხასიათდებოდა, გარდა 1999 წლისა, როდესაც იმპორტის კლების ტემპმა 21,9 % შეადგინა. შესაბამისად, ყოველწლიური ზრით გამოირჩეოდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა, გარდა 1999 წლისა, როდესაც იგი წინა წელთან შედარებით 13,6 %-ით შემცირდა. რაც შეეხება საგარეო სავაჭრო სალდოს 1995-2006 წლებში ის უარყოფითი იყო და პერიოდულად იზრდებოდა და მცირდებოდა. (იხილეთ ცხრილი №1)

ცხრილი 1. საგარეო სავაჭრო სალდო 1995-2006 წ.წ.

წლები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
1995	643.9	155.2	488.7	-333.5
1996	954.2	203.0	751.2	- 548.2
1997	1,239.5	244.2	995.3	-751.1
1998	1,073.8	191.3	882.5	-691.2
1999	927.6	238.0	689.6	-451.6
2000	1,033.4	323.9	709.5	-385.6
2001	1,123.2	317.2	752.0	-434.8
2002	1,140.4	345.7	794.7	-449
2003	1,600.3	461.3	1,139.0	-677.7
2004	2,491.2	646.9	1,844.3	-1,197.4

<b>2005</b>	3,353	865.5	2,487.5	-1,622
<b>2006</b>	4,611.2	936.4	3,674.8	-2,738.4

წყარო: geostat.ge

ასევე დამატებით შეგვიძლია განვიხილოთ 2007-2013 წლები. აღსანიშნავია, რომ ვიყენებთ 2013 წლის წინასწარ მონაცემებს. 2007-2013 წლებში ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები

თითქმის სულ იზრდებოდა, გამონაკლისს 2009 წელი წარმოადგენდა, სადაც მათი მაჩვენებლების კლების მიზეზს 2008 წლის აგვისტოს მოვლენები წარმოადგენდა. 2009 წელს საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვანი ჩავარდნით ხასიათდებოდა, რაც დაეტყო საქართველოს საგარეო ვაჭრობას და მის სტატისტიკურ მაჩვენებლებს, 2009 წელს ექსპორტის ზრდის ტემპი უარყოფითი იყო და 24,2 %-ს წარმოადგენდა.

ცხრილი 2საგარეო სავაჭრო სალდო 2007-2013 წ.წ.

წლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013*
<b>ბრუნვა</b>	6 444	7 797	5 634	6 935	9 247	10 220	10 783.7
<b>ზრდის ტემპი (%)</b>	39.8 %	21.0%	-27.5%	23%	33.30%	11%	5.5%
<b>ექსპორტი</b>	1 232	1 495	1 134	1 677	2 189	2 377	2 909.3
<b>ზრდის ტემპი (%)</b>	31.7%	21.4%	-24.2%	48%	30%	9%	6.8%
<b>იმპორტი</b>	5 212	6 301	4 500	5 257	7 058	7 842	7 874.4
<b>ზრდის ტემპი (%)</b>	41.8%	20.9%	-28.6%	16.8%	34.2%	11%	0.4%
<b>სალდო</b>	-3 980	-4 806	-3 367	-3 580	-4 869	-5 465	-4 965.1

წყარო: geostat.ge

ასევე უარყოფითი იყო იმპორტის ზრდის ტემპის მაჩვენებელი - 28,6%. მიუხედავად ვარდნისა, დღეისათვის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი 1995 წლიდან მოყოლებული ყველაზე მაღალია - 10 783,7 და თითქმის 17 ჯერ აღემატება 1995 წლისას.

ამასთანავე მნიშვნელოვანია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმდინარე მდომარეობის სტატისტიკური ანალიზის განხილვა. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2012 წელთან შედარებით 6%-ით გაიზარდა და 10 784 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

- ექსპორტი გაიზარდა 22%-ით და 2 909 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა;
- იმპორტი გაიზარდა 0.4%-ით და 7 874 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 4 965 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით 9.1%-ით გაუმჯობესდა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46%

შეადგინა. საქართველოს აჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 134 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან, დადებითი სავაჭრო ბალანსი 40 ქვეყანასთან დაფიქსირდა.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად კვლავ თურქეთი რჩება, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვამ 2013 წელს 1.52 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ოდნავ ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელზე. იმპორტმა თურქეთიდან 2013 წელს 1.34 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3.6%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 182.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.1%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით.

აზერბაიჯანი საქართველოს მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთან სავაჭრო ბრუნვამაც 1.34 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აზერბაიჯანი იმ 40 ქვეყანას შორისაა, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ხარჯზე (345.6 მილიონი აშშ დოლარი). 2013 წელს აზერბაიჯანში ექსპორტმა 710.2 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 1.3%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით, ხოლო იმპორტმა 638.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1%-იანი ზრდაზე ნაკლებია.

უკრაინა საქართველოს მესამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთან სავაჭრო ბრუნვამაც 2013 წელს 795.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. უკრაინაში ექსპორტი წინა წელთან შედარებით 15.4%-ით გაიზარდა და 192.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 602.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 1%-ზე ნაკლებით გაიზარდა. საქართველოდან უკრაინაში განხორციელებული უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფი არადენატური რეზინის ეთილის სპირტია, რომლის საერთო მოცულობამ 33.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შემდეგ მოდის ღვინო – 30.4 მილიონი აშშ დოლარით; წინა წელთან შედარებით, მოცულობით ღვინის ექსპორტი უკრაინაში თითქმის იგივე დარჩა 2013 წელს, ხოლო ღირებულებით 11.3%-ით გაიზარდა. 2013 წელს საქართველომ უკრაინაში 29.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტი განახორციელა.

რუსეთმა, რომელიც 2012 წელს საქართველოს მეექვსე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო, 2013 წელს მეოთხე ადგილზე გადმოინაცვლა მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ქართული პროდუქციისთვის საკუთარი ბაზარი გახსნა.

მთლიანი სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან 2013 წელს 33%-ით გაიზარდა და 779.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ძირითადად, ექსპორტის ოთხჯერ გაზრდის ხარჯზე, 190.2 მილიონ აშშ დოლარამდე. იმპორტმა რუსეთიდან 589.4 მილიონი შეადგინა, რაც 24.4%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით.

ჩინეთი საქართველოს მეხუთე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთან ბრუნვამაც 597.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შემდეგ მოდის გერმანია – 522.3 მილიონი აშშ დოლარით; სომხეთი – 497.6 მილიონი აშშ დოლარით; აშშ – 390.3 მილიონი აშშ დოლარით; ბულგარეთი – 350.7 მილიონი აშშ დოლარით და რუმინეთი – 328.3 მილიონი აშშ დოლარით.

საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან 2013 წელს 2.87 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3%-იანი ზრდაა და რაც ქვეყნის მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 27%-ს შეადგენს. საქართველოს ექსპორტმა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში 608 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 72%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით, ხოლო იმპორტი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან 7%-ით შემცირდა და 2.27 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

2013 წელს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა ქვეყნის ექსპორტში 703.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (19.8%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით); შემდეგ მოდის ფეროშენადნობი – 229.8 მილიონი აშშ დოლარით (11.7%-იანი კლება წინა წელთან შედარებით); წინა წელთან შედარებით გაორმაგდა თხილის ექსპორტი და 166.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტი სამჯერ

გაიზარდა და 161.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შემდეგ მოდის აზოტოვანი სასუქები – 130.5 მილიონი აშშ დოლარით (4.8%-იანი კლება 2012 წელთან შედარებით).

ღვინის ექსპორტი 2013 წელს გაორმაგდა ძირითადად რუსული ბაზრის გახსნის შედეგად, ხოლო მინერალური წყლის ექსპორტი 80.1%-ით გაიზარდა და 2013 წელს 106.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

არადენატურიებული ეთილის სპირტის და სპირტიანი სასმელების ექსპორტმა 99.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (24.8%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით); შემდეგ მოდის ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული 73.3 მილიონი აშშ დოლარით (16.6%-იანი კლება წინა წელთან შედარებით).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2013 წელს ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო – 954.4 მლნ აშშ დოლარი (მთლიან იმპორტში მისმა წილმა 12.1% შეადგინა); შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები – 710.4 მლნ დოლარი (9%); ნახშირწყალბადები – 300.9 მლნ აშშ დოლარი (3.8%); სამკურნალო საშუალებები – 280.7 მლნ აშშ დოლარი (3.6%); ხორბალი – 184.3 მლნ აშშ დოლარი (2.3%); სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის – 152.1 მლნ აშშ დოლარი (1.9%); სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 113 მლნ აშშ დოლარი (1.4%); სიგარეტი – 95.6 მლნ აშშ დოლარი (1.2%); გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები – 90.1 მლნ აშშ დოლარი (1.1%); სატვირთო ავტომობილები – 79.4 მლნ აშშ დოლარი (1%).

რეგიონში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. ამ კუთხით საქართველოს საუკეთესო პოზიცია აქვს პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებს შორის: აზერბაიჯანი რეიტინგში 77-ე ადგილზეა, სომხეთი - 52, რუსეთი 114, უკრაინა - 81, ყაზახეთი - 88.

ვაჭრობის სტიმულირების ინდექსში სამი სფეროს მონაცემები მონაწილეობს, „ბაზარზე ხელმისაწვდომობის“, „ქვეყნის საზღვარზე ადმინისტრირების დონის“ და „ბიზნეს-გარემოს“, რომელიც საქონლისა და მომსახურების იმპორტისა და ექსპორტის რეგულირების ხელშემწყობ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს.

ამასთანავე მნიშვნელოვანია იმ წინსვლის ასახვა, რასაც საქართველომ 1995 წლიდან 2013 წლამდე მიაღწია. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2013 წელს 1995 წელთან შედარებით 16,7-ჯერ გაიზარდა. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი 3. საგარეო სავაჭრო საღდო 1995 და 2013 წლები.

წლები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	საღდო
1995	643.9	155.2	488.7	-333.5
2013	10 783.7	2 909.3	7 874.4	-4 965.1

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დამოუკიდებლობა 20 წლის განმავლობაში განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. ამ პერიოდში ზეგავლენა იქონია მრავალმა სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორებმა, საქართველომ თავისი განვითარებისათვის და მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებში ბევრი სხვადასხვა ნაბიჯი გადადგა, მათ შორის ჩაერთო საგარეო ვაჭრობაში, ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპია. განვითარების ეტაპზე ქვეყანამ მოახერხა გაწევრიანებულიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სადაც 158 ქვეყანა არის გაწევრიანებული და მათი სავაჭრო ურთიერთობა ხორციელდება

“უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის” (MFN) საფუძველზე. ასევე საქართველოს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი აქვს გაფორმებული დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან.

90-იანების დასაწყისიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო მრავალი ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების წინაშე დადგა თუმცა ეტაპობრივად მოახერხა თავი დაემკვიდრებინა რეგიონის მასშტაბით და მან 2004-2007 წლების განმავლობაში დიდი გარდატეხის მოხდენა მოახერხა და ქვეყანა უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოირჩეოდა ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკურ სფეროებში რეგიონის მასშტაბით, მაგრამ სამწუხაროდ 2008 წლის საომარი ვითარების გამო აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით ქვეყანას პრობლემები შეექმნა საერთაშორისო ასპარეზზე, თუმცა საქართველო მაინც აგრძელებს დემოკრატიული და ევროპული გზისკენ სწრაფვას და უკანასკნელ წლებში აღინიშნება სტაბილურად ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ასლამაზიშვილი ნ. „საგარეო ვაჭრობა“, თბილისი, 2003
- მესხია ი. „საერთაშორისო ვაჭრობა“, თბილისი 2012
- ძეგისაური ლ. „საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა“ , დისერტაცია, თბილისი 2012
- საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში, „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“, შუალედური ანგარიში [http://www.ei-lat.ge/images/stories/The Economic Transformation of Georgia - 20 Years of Independence Interim Report geo.pdf](http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf)
- მსოფლიო ბანკის მონაცემები [www.data.worldbank.org](http://www.data.worldbank.org)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade>
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო <http://mfa.gov.ge/>
- <http://www.civil.ge/>
- <http://pia.ge/>

### Dependency of foreign trade in Georgia over the 20 years – statistical analysis

Tintin Medzmariashvili

Tsu MA student

### Summary

This paper about foreign dependency of our country during last twenty years. Georgia made a lot of steps about development and world integration process, among the foreign trade and liberation politics. Author focuses on the quality of the statistical information extracted from the comparison of trade

changes over the years. In terms of modern globalization foreign trade is one of the most important thing in local economic and without it, it's very difficult to reach national economic development and growth.

## ტურისტული საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება

შორენა მეტრეველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი

ტურიზმის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში აღიარებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობების მიერ. აქტიური ტურისტული გაცვლები თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტად განიხილება ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად.

ტურიზმი მობილურობისა და თვითრეგულირების ნიშნით ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა, რასაც ადასტურებს საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ანალიზი. ტურიზმი მდგრადი განვითარების დარგია და როგორც ეკონომიკის სხვა დარგებზე, მასზეც დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ტურიზმს აქვს უნარი სწრაფად აღიდგინოს თავისი მდგომარეობა. ამასთან, ტურიზმის სფეროში მზარდი მოთხოვნის გამო ხდება ტურისტული რესურსების სწრაფი გადანაწილება ბაზრებს შორის და ამდენად, შენარჩუნებულია ზრდის მაღალი ტემპი.

ტურისტული დარგის მართვა ხორციელდება, როგორც წესი, სპეციალური ადმინისტრაციული ორგანოს - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - მეშვეობით, რომლის როლი სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებში არაერთგვაროვანია.

რაც შეეხება ტურისტული ფირმების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს, ქვეყნებში, სადაც ტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ტურისტული პროდუქტის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები არ რჩება ყურადღების მიღმა. ტურისტული ფირმებისაგან მნიშვნელოვან წილად გამომდინარეობს მომხმარებლის მიერ შექმნილი მომსახურების პაკეტის დაკმაყოფილების ხარისხი. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია განსაკუთრებული პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ტურისტული ფირმების შემდგომ საქმიანობას და რეგლამენტირების შესაძლებლობას. საკანონმდებლო შეზღუდვები საქმიანი აქტიურობის ამ სფეროში დგინდება პირველ რიგში ტურისტების, როგორც სპეციფიკური მომსახურების მომხმარებლების ინტერესების დასაცავად, ასევე ტურიზმის სფეროში საბაზრო ურთიერთობების ცივილიზებული განვითარებისათვის, მათ შორის გარემოს დაცვის შესანარჩუნებლად.

ქვეყნის ტურისტულ-საკურორტო პოტენციალიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების პოლიტიკის შემუშავებას წინ უნდა უძღოდეს დარგის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში გამოვლინდა ტურისტული საქმიანობის უპრეცედენტო ზრდა. 50-იანი წლების დემოგრაფიულმა აფეთქებამ გაზარდა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებმაც მიაღწიეს შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ დონეს. ეს ნიშნავდა მილიონობით პოტენციური ტურისტების გაჩენას. 70 - იანი წლების დასაწყისისთვის დემოგრაფიული ნახტომის წლებში დაბადებულმა ადამიანებმა მიაღწიეს ასაკს, როცა შესაძლებელი გახდა აქტიური



მოგზაურობა. იმ დროს მოქმედი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით მოხდა ტურისტულ მოგზაურობებზე მოთხოვნის გაზრდა.

ასე, 70 -იანი წლების დასაწყისისთვის ტურიზმი განიხილებოდა როგორც მრავალი უცხოური ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამისათვის არსებობდა ყველანაირი საფუძველი. უდავოა, ეს არ გამოპარვია სტრუქტურებს სახელმწიფო დონეზე, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკის მეტად პერსპექტიული მიმართულებების განვითარების სტიმულირების მეთოდებს. ტურისტულ დარგზე ყურადღების გამახვილებით, სახელმწიფო ორგანოებმა ქვეყნებში, სადაც ტურიზმი იკრეფდა დიდ პოტენციალს, მიიღეს მთელი რიგი ზომები, რომლებიც ხელს უწყობდა ტურისტული საქმიანობის მოცულობის ზრდას. ტურისტული ნაკადის გაზრდაზე დადებითი როლი იქონია, მაგალითად, იმ ფაქტმა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ევროპული ქვეყნების მთავრობების პოლიტიკა იყო ორიენტირებული საზღვრის გადაკვეთისას სავიზო ფორმალობების გამარტივებისაკენ. ასე, ომის შემდგომ წლებში პირველად მოხდა სახელმწიფოს ჩარევა ტურისტული დარგის განვითარებაში.

თუმცა სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობა ტურისტული სფეროს რეგულირებაში არ განსაზღვრავს თავის თავად ასეთი მონაწილეობის ხარისხს. საბაზრო ეკონომიკით განვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფო ორგანოების ჩარევა შეიძლება იყოს მინიმალური. ხოლო არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კი სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ტურიზმის სფეროსადმი ყურადღების გაზრდა, რადგან ეს ნაწილობრივ დაეხმარება კრიზისების ნეგატიური ზემოქმედების ნეიტრალიზებაში. ტურისტული დარგის საქმიანობის რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის აღმოფხვრა არღვევს ფაქიზ წონასწორობას ტურისტული პროდუქტის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში, თუმცა ძირითადად ამ შემთხვევაში ზარალდებიან მომხმარებლები.

შესაბამისად, პირველი ამოცანა, რომელიც ყალიბდება ტურისტული საქმიანობისა და ეროვნული ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისას არის სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციული დაწესებულებების როლის განსაზღვრა. საუბარია არა მხოლოდ ტურისტული პოლიტიკის კონკრეტულ ღონისძიებაზე, არამედ საუკეთესო მმართველ ბერკეტებზე, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ეფექტურად გადაიტარას დარგის წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანა.

ტურისტულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის ძირითადი ბერკეტებია:

- საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც არაეგულირებს ტურისტული სფეროს განვითარების ძირითად საკითხებს, მათ შორის ტურიზმის პერსპექტიული სახეების განვითარების ეკონომიკური სტიმულირება ( ძირითადად ეს მიიღწევა საშეღავათო გადასახადების დადგენით და ინვესტირების განსაკუთრებული პირობებით), ასევე ტურისტული საწარმოების ფუნქციონირების წესების შემუშავება;

- ანტიკრიზისული პროგრამების შემუშავება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შერბილდეს მსოფლიო ეკონომიკური პროცესების განვითარების არასახარბიელო შედეგები. მთლიანობაში ტურისტული დარგი აჩვენებს მეტად მაღალ მდგრადობას კრიზისული სიტუაციების დროს, ვიდრე სხვა დარგები, მათ შორის ამ სფეროს მნიშვნელოვანი ინერციულობის წყალობით. სახელშეკრულებო პრაქტიკა ფართოდ გავრცელებულია ტურისტულ სფეროში, ასევე იგი ხელს უწყობს შეარბილოს კრიზისული მოვლენების ზემოქმედება. ამასთან ერთად ტურისტულ საქმიანობაზე, ისე როგორც არცერთ სხვაზე, მოქმედებენ ფაქტორები, რომლებიც არის მოცემული სფეროს წარმომადგენლების კონტროლის ფარგლებს გარეთ (ტერაქტები, პოლიტიკის შეცვლა, მათ შორის სავიზო, ნეგატიური ინფორმაცია მიმართულებაზე, მასიური ავადობი შემთხვევები, კლიმატის ცვლილება, ვალურის კურსის ცვლილება და ა.შ.);

- ტურისტულ სფეროში ინვესტიციების ნაკადის ზრდის ხელსაყრელი პირობების შექმნა. სტაბილური სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა და პერსპექტივაში ტურისტული დარგების განვითარების სტრატეგიის შემუშავება;

- რეგიონების გათანაბრება ეკონომიკური დონის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ზომის დახმარებით;

- ტურისტული დარგისა და მომიჯნავე დარგების განვითარების ტემპების კოორდინაცია;

- ტურისტული ნაკადების რეგულირება მოთხოვნის ფორმირების გზით და ტურისტული მომსახურების დარგში პროექტების მრავალფეროვნება და გაფართოება.

მაშ რითაა განპირობებული საზოგადოებრივი და სამთავრობო სტრუქტურების ინტერესი ტურიზმისადმი და მართლაც აუცილებელია თუ არა ამ დარგისადმი დიდი ინტერესი? სანამ საფუძვლიანად გავცემდეთ ამ კითხვას პასუხს, სასურველია გაკეთდეს რამოდენიმე შენიშვნა.

პირველი შენიშვნა ეხება ტურიზმის ბუნებას, რომელიც წარმოადგენს განთავსების საშუალებების, კვების საწარმოების, დასვენების მოწყობის, საექსკურსიო ბიუროებისა და ა.შ. მრავალი კომპონენტებისა და რთული სტრუქტურის კომპლექსს. შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმი აერთიანებს რამოდენიმე დარგს, რომელიც სახელმწიფოს მმართველობის თვალსაზრისით მიეკუთვნება სხვადასხვა სამინისტროს. ამიტომ ტურიზმი ხდება არა მხოლოდ მრავალდარგოვანი არამედ სამინისტროებს შორის გაგება. სახელმწიფო მოხელის თვალსაზრისით ტურისტული სექტორი განლაგებულია ჰორიზონტალურ სიბრტყეში, ხოლო სხვა დარგებს აქვს ვერტიკალური სტრუქტურა.

ტურიზმის სამინისტრო იმ ქვეყნებში, სადაც ტურიზმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისი დეპარტამენტებითა და განყოფილებებით გვახსენებს მინიატურულ მთავრობას: აქ არის, მაგალითად, საგადასახადო განყოფილება, და საინვესტიციო განყოფილება და ქონების მართვის დეპარტამენტი, პროფესიული განათლების, ეკონომიკისა და სტატისტიკის, სერტიფიცირების და ლიცენზირების განყოფილებები. თავისი ფუნქციების შესასრულებლად სტრუქტურა, რომელიც ხელმძღვანელობს ტურისტულ დარგს უნდა ადგენდეს ურთიერთობებს ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის ან საგარეო ვაჭრობის, კულტურის, განმათლების, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სამინისტროებთან. ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციის (ტურიზმის სამინისტრო) როლი გვევლინება როგორც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მაკავშირებელი. პირველ რიგში მან უნდა განსაზღვროს თავისი უფლებამოსილების და მისი მხოლოდ კომპეტენციის საკითხების წრე და უნდა მიაღწიოს ამ ფუნქციების შესრულების უფლებების აღიარება. ქვეყნების მთავრობები, სადაც მოქმედებს ტურიზმის მართვის სახელმწიფო ორგანოები გადასცემენ მათ ექსკლუზიურ უფლებებს განიხილონ ის საკითხები, რაც ეხება ტურისტულ საქმიანობას, პროფესიული მომზადების საკითხებს ასევე პროექტებში და პროგრამებში მონაწილეობა რომელიც ეხება ტურიზმს.

მეორე შენიშვნა, წმინდა პრაგმატულია: ქვეყნის მთავრობების რიგებში, რომლებმაც 70 - 80 წლებში დიდ წარმატებას მიაღწიეს ტურიზმში, იყო ტურიზმის დარგის განვითარებისათვის პასუხისმგებელი ძლიერი ადმინისტრაციული ერთეულები. მექსიკის, მაროკოს, საბერძნეთის, თურქეთის, ეგვიპტის, საფრანგეთის, რუმინეთის და სხვა სხვა ქვეყნებში ტურიზმი წარმოდგენილია სამინისტროს დონეზე.

რიგ ქვეყნებში ტურისტული ადმინისტრაცია შედის ეკონომიკის, ტრანსპორტის, მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროებში, რაც უზრუნველყოფს საჭირო პოლიტიკურ და ფინანსურ დონეს დარგობრივი პრობლემების გადასაჭრელად, რაც მეტყველებს ამ ქვეყნებში ტურისტული დარგის მნიშვნელობაზე. ძლიერი ტურისტული ადმინისტრაციები, რომლებიც შედიან სხვადასხვა სამინისტროებში არის იტალიაში, ტუნისში, კიპრზე, ესპანეთში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში. ამიტომაც რომ ტურისტულმა შემოთავაზებებმა ამ ქვეყნებში მსოფლიო აღიარება მიაღწია.

პროპაგანდის შესაძლებლობები - ეს კიდევ ერთი გაკვეთილია, რომელიც ბოლო ომმა აჩვენა ევროპულ სახელმწიფოებს. პროპაგანდის როლის გათავისებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მრავალმა სახელმწიფომ გახსნეს თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ საინფორმაციო ბიუროები, რომელთა ამოცანა იყო თავის ქვეყნის, ტურისტული მიმართულებით პოპულარობის გაზრდა. და კიდევ მრავალი ხნის განმავლობაში პროპაგანდის ეს სფერო ტურიზმში ჩაითვლება სახელმწიფო ორგანოებში პრიორიტეტად.

მითითებული მიზეზების გარდა (ეკონომიკური აქტივობის ზრდა, დასვენების მნიშვნელობის გაზრდა და ტურისტული ჩამოსვლების და მისგან მიღებული შემოსავლის ზრდა) ტურიზმის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე იმოქმედა მყარი ვალუტის არსებობამ. ეროვნული ვალუტის გამყარების აუცილებლობამ, რაც იყო საერთო ბაზარში ან მსგავს ორგანიზაციებში გაერთიანების ერთერთი პირობა, გამოიწვია ის რომ ევროპული სახელმწიფოების ხელმძღვანელები ცდილობდნენ თავიანთ ქვეყანაში მყარი ვალუტის მოზიდვას. სამთავრობო მოქმედებები, რომელიც იყო მიმართული ტურისტული ნაკადის გაზრდაზე შესაბამისი სარეკლამო კომპანიის გატარების გზით, განიხილებოდა როგორც ამ პრობლემის გადასაწყვეტი ერთ ერთი შესაძლო გზა.

მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში უცხოური ქვეყნების ეროვნული პოლიტიკა ტურიზმის დარგში ძირითადად ორიენტირებული იყო სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობაზე. სარეკლამო ინდუსტრია, როგორც ტურიზმის ინდუსტრია ამ წლებში იყო აყვავების ხანაში. მასიური საინფორმაციო საშუალებების გავრცელებამ და მათი შესაძლებლობების აღმოჩენამ რეკლამის დარგში განაპირობა ახალი ტექნოლოგიების საშუალებების გამოყენება ტურიზმში სამომხმარებლო მოთხოვნის გაზრდის მიზნით. მაგრამ მსხვილი სარეკლამო კომპანიის ორგანიზება ეროვნული ტურიზმის პროდუქტის პოპულარიზაციაში შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ ფინანსური და ორგანიზებული მხარდაჭერის გარეშე.

სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობა, მიმართული თავის ქვეყანაში ტურისტული ნაკადების ზრდაზე, რჩებოდა სახელმწიფო ორგანოების ნომერ პირველ ფუნქციად თითქმის მე - 20 საუკუნის ბოლომდე.

როცა საუბარია ტურიზმის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკურ მექანიზმებზე, გამოდიან იმ მოსაზრებიდან რომ ტურიზმი, როგორც მრავალდარგოვანი კომპლექსი სხვა სფეროებზე მეტად საჭიროებს კოორდინირებასა და რეგულირებას. ამასთან ერთად სახელმწიფოს ჩარევა და რეგლამენტირება ბოჭავს სამეწარმეო ინიციატივას და ხელს უშლის საბზარო ურთიერთობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო უნდა ერეოდეს, როცა ამას ითხოვს საზოგადოებრივი და დარგობრივი ინტერესები და გადავიდეს მეორე პლანზე, რათა საშუალება მისცეს ტურისტული საქმიანობის სუბიექტებს იმოქმედონ დამოუკიდებლად, თუ ეს აუცილებელია, თუმცა მკაცრი რეგლამენტირების შეთავსება გონივრულ დამოუკიდებლობასთან არაა მარტივი.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ტურიზმი არის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სახე, რაც აღიარებულია პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყნის მიერ. თუ ამ ქვეყნებში ტურისტული დარგი თანაბარკონკურენტულია მანქანათმშენებლობასთან და ნავთობგადამამუშავებელ დარგებთან, მაშინ განვითარებად ქვეყნებში ტურიზმი ხშირად გვევლინება ეკონომიკის წამყვან დარგად, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ერთერთი მნიშვნელოვანი წყარო.

ტურიზმი შეიძლება მყარად განვითარდეს, თუ სახელმწიფო სტრუქტურები უზრუნველყოფენ ამისათვის საჭირო იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა გარანტიებს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მექანიზმები, რომელიც გააკონტროლებს დარგის სტიქიურ განვითარებას და განსაზღვრავს მისი ევოლუციის მიმართულებას, რათა შევიწინარჩუნოთ ბუნებრივი და კულტურული გარემო შემდგომი თაობებისათვის.

ამრიგად, ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განისაზღვრება რამოდენიმე მომენტით:

- დარგის კომპლექსური ხასიათით, რაც ითხოვს გარე კოორდინატორის ჩარევას (ტურიზმის ელემენტად გვევლინება განთავსების ადგილები, კვების საწარმოები, გასართობი დაწესებულებები და ტურისტული საწარმოები). გარდა ამისა, ტურიზმი არის ეკონომიკის სხვა დარგების - ტრანსპორტი, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა - კვეთაზე;

- ტურიზმის მჭიდრო კავშირით და გარემოს დაცვის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის აუცილებლობით, საერთაშორისო საზოგადოებაში ქვეყნის პრესტიჟის ამაღლება, უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა და სხვა;

- ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე ტურისტული დარგის გავლენა, რომელიც განისაზღვრება პირდაპირი შენატანებიდან როგორც შიდა ისე გარე ტურიზმით;

- ტურიზმის დიდი სააღმრზდელო გავლენით, განსაკუთრებით საკუთარი ქვეყნის ფარგლებში, - პატრიოტიზმის გრძნობის ფორმირება და ადამიანის ჰარმონიულ განვითარებაში დახმარება;

- ეროვნული ტურისტული ფასეულობების პროპაგანდით, რომელიც ტოლფასია ამ ქვეყნის სახელმწიფო მოდელის პროპაგანდისა, მათ შორის პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური, კულტურული და ადამიანის ცხოვრების წესის;

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი უკვე არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება მიაქციოს ტურისტულ სფეროს. გარდა ამისა, რიგი გარემოებები საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ტურისტული დარგი ეკონომიკის სტრატეგიულ დარგებს, ანუ ისეთებს, რომლებიც ახდენენ არა ლოკალურ, არამედ გლობალურ ზეგავლენას მთელი ეკონომიკის მდგომარეობაზე. უდავოა, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ შეუძლიათ გაითვალისწინონ ეს მომენტები პრიორიტეტული სფეროების რეგულირების განმარტებისას.

ტურისტული დარგის განვითარების პარამეტრები, რომლებმაც მიიღეს მსოფლიო აღიარება როგორც მომსახურების წამყვანი სექტორი, დგინდება სახელმწიფოს მიერ. ის კი მოწოდებულია მიიღოს იურიდიული და საგადასახადო კანონები. საქმიანობის ნებისმიერ სფეროში სახელმწიფო ორგანოების ამოცანებს ტრადიციულად მიეკუთვნება სახელმწიფო ინვესტირება ან კერძო ინვესტიციების მოძიება საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელ რეგიონებში. ეს ხელს უწყობს ქვეყნის ფარგლებში სხვადასხვა ეკონომიკური ზონების განვითარების დონის გათანაბრებას.

და ბოლოს, სახელმწიფო ფუნქციებს ასევე მიეკუთვნება პროფესიული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მომზადება.

ამასთან ერთად ტურისტული დარგის სფეციფიკის გათვალისწინებით სახელმწიფოს როლი ტურიზმის მართვაში ამით არ შემოიფარგლება.

საქართველოს თავისი რესურსის პოტენციალით ტურიზმის განვითარების მაღალი შესაძლებლობა აქვს. ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდის, მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლების, ეკონომიკის განვითარების რეგიონული გათანაბრების, ინფრასტრუქტურისა და კერძო სექტორის განვითარების საქმეში.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა ჰარმონიულად უნდა შეერწყას ქვეყანაში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების პროცესებს.

მიუხედავად, ტურისტული პოტენციალისა, საქართველოში არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები რომელთა გადაუჭრელობა აფერხებს ტურიზმის განვითარებას. კერძოდ:

- არ არის შემუშავებული ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა;

- ეროვნულ დონეზე შემუშავებული არ არის ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

1. არ არის განსაზღვრული ქვეყნის რეგიონების ტურისტულ-საკურორტო პოტენციალი;
2. არ არის შემუშავებული ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამები;
3. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შესაქმნელია კეთილმოწყობილი სასტუმროების, ტურისტული მომსახურების სხვა ობიექტების და ინფრასტრუქტურის ფართე ქსელი;
4. არ არის დანერგილი შესაბამის სამთავრობო ქვესტრუქტურებში (სტატისტიკისა და სხვ. სამსახურებში) სტანდარტული საერთაშორისო კლასიფიკატორი, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს სახალხო მეურნეობაში ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა;
5. მოსაწესრიგებელია ქვეყანაში შემოსულ და ქვეყნიდან გასულ ტურისტთა აღრიცხვიანობა;
6. არ არის შექმნილი შესაბამისი სტრუქტურების მიერ რიგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
7. არ არის შექმნილი კადრების სწავლება-მომზადების მოწესრიგებული სისტემა;
8. უნდა ამაღლდეს სარეკლამო-საცნობარო, კარტოგრაფიული და პოპულარული ლიტერატურის საგამომცემლო დონე;
9. მოსახლეობაში უნდა განვითარდეს ტურისტულ-ეკოლოგიური განათლების პროგრამები;
10. გასაძლიერებელია კეთილმეზობლური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები მოსაზღვრე ქვეყნებთან და სხვ.

ტურიზმის სწორი პოლიტიკის შემუშავება როგორც უკვე ავლნიშნეთ უნდა უზრუნველყოს დარგის შესაბამისმა სამთავრობო სტრუქტურამ. შემუშავებული პოლიტიკა მასშტაბურობით უნდა მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას და მასში გაწესაზღვრული უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური ასპექტები. პოლიტიკაში მოცემული ეროვნული ამოცანები უნდა დომინირებდეს ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან სექტორულ ინტერესებზე და უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომლის ჩარჩოებში ეფექტურად იფუნქციონირებს კერძო და განსაკუთრებული ინტერესის სხვა ჯგუფები.

პოლიტიკის შემუშავებისას უნდა განისაზღვროს შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. პოლიტიკაში უნდა დასაბუთდეს ტურიზმის განვითარების აუცილებლობა და მისგან გამოწვეული სარგებელი.
2. პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მოსაზრებას წარმოადგენს ტურიზმის სტრატეგიული მიმართულების ფორმების ორიენტირი საერთაშორისო და შიდა ტიპის ბაზრებზე;
3. პოლიტიკაში უნდა აისახოს ტურიზმის განვითარების ხარისხის საერთო დონე. ამ შემთხვევაში, ქვეყნის მიმღები ტურისტული ცენტრების პოლიტიკა დამოკიდებული უნდა იყოს ხარისხიანი ტურიზმის განვითარებაზე;
4. პრინციპულ მოსაზრებას წარმოადგენს განვითარების დასაშვები ხარისხი. თუ კი,

აქცენტი გაკეთდება მხოლოდ მაღალი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად, არ იქნა სათანადოდ გათვალისწინებული ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული ასპექტები, დროთა განმავლობაში ტურიზმის არასწორი განვითარების ზემოქმედებამ შესაძლოა მკვეთრად დააქვეითოს დარგის ეკონომიკური განვითარება. ამიტომ, მდგრადობის პრინციპებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნება სტაბილურად შენარჩუნებულ იქნას ტურიზმიდან ეკონომიკური სარგებლის განსაზღვრული დონე, ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული ასპექტების მაღალი ხარისხი იმ პირობებისათვის, როდესაც მსოფლიოში ტურისტთა დაახლოებით 80% მიიღტვის დაისვენოს და იმოგზაუროს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში;

5. პოლიტიკის სტრატეგიულ ასპექტს წარმოადგენს დარგის განვითარების ტემპის შერჩევა (ნელი, საშუალო, აჩქარებული).
6. პოლიტიკაში მითითებული უნდა იყოს დარგის განვითარების ეტაპები, რომელიც შესაძლოა შემდგომ დაზუსტდეს სტრუქტურულ გეგმაში.

საერთოდ, ტურიზმის განვითარების პოლიტიკა ჰარმონიულად უნდა შეერწყას ქვეყანაში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების პროცესებს.

ამგვარად, ტურიზმის დარგის განვითარებასთან დაკავშირებული აქ მოყვანილი საკითხების გადაწყვეტა მნიშვნელოვანია, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს გარდამავალი ეკონომიკური პერიოდის დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ტურიზმის წარმატებული განვითარებისათვის, რომელიც მოქმედებს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპებზე, არამედ მის საერთაშორისო იმიჯზე, სახელმწიფო იღებს თავის თავზე რიგ დამატებით ფუნქციებს. კერძოდ, ქვეყნის საერთაშორისო ბაზრებზე ტურისტული მიმართულების პროპაგანდა, ეროვნული ტურისტული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ტურისტული შეთავაზების გაფართოებასა და განახლებაზე. სახელმწიფოს ამოცანებში შედის ასევე ტურიზმისთვის დამახასიათებელი პრობლემის - სეზონურობის საკითხი, რომელიც შეუძლებელია ტურისტული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის იქნეს დაძლეული დამოუკიდებლად.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა წარმოადგენს დარგის განვითარებისა და მართვის საფუძველს, იგი არის ეროვნული დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტი. ტურიზმის განვითარების პოლიტიკა განისაზღვრება მოსაზრებების საფუძველზე, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ამოცანის გადაწყვეტა საერთო გეგმაში. ტურისტული პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას და მისი ფორმირება უნდა ხდებოდეს არსებული მოდელების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ღირსშესანიშნაობების, საქმიანობათა სახეების, ტურისტული ბაზრების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ბარკალაია. ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა. თბილისი 2010.
2. ბ. ბარკალაია., შ.მეტრეველი. ტურიზმის დარგის პრობლემები და განვითარების პოლიტიკა საქართველოში. თბილისი 2010წ.3)
3. Е. Л. Драчева. Ю. Б. Забаев. Д. К. Исмаев. Экономика и организация туризма. Изд. „кнорус“ Москва 2005.
4. Устойчивое развитие туризма. ВТО Мадрид 1993.

## Public regulation of tourism activity

**Shorena Metreveli**  
Georgian Technical University  
Associate Professor

### Summary

Tourism development policy is a base of the industry's improvement and management and therefore is an important element of national planning. Tourism development policy is determined through the views and the most important among those views becomes the solution of the tourism development objective within the overall plan. Tourism policy should coincide with the overall economic development policy of the country and it should be formed through the existing models, tourism infrastructure, attractions, activity types, tourism market researches and analysis taking in consideration social economic and ecological factors.

Elaboration of right tourism policy should be ensured by the relevant state authorities. The developed policy should encompass the whole territory of the country and determine social-economic, cultural and ecological aspects. The mentioned national objectives should dominate in the policy upon the individual, group or sectoral interests and should ensure the environment where the other groups with private or special interests will operate effectively.

Generally, the tourism development policy should be harmonized with development processes of different economical fields in the country.

**ინფორმაციულ-კომუნიკაციური ბიზნესის თავისებურებანი და განვითარების პრობლემები საქართველოში**

**გურამ მეტეხელი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, სამეცნიერო ინფორმაციის დამუშავების ცენტრის ხელმძღვანელი*

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიო საზოგადოება გახდა უფრო მეტად ინფორმაციული. მსოფლიო მრავალი ქვეყნის პირობით რესურსს დაემატა ადრე უცნობი ინფორმაციული რესურსი, რომლის ფლობითაც განისაზღვრება ამათუიმ ქვეყნის ადგილი მსოფლიო საზოგადოებაში. საინფორმაციო საზოგადოებების მრავალი ნიშნებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- ა) პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ინფორმაციულ ქსელებში, როგორც ყოველდღიური მოთხოვნების საგანი;
- ბ) ინფორმაციული ქსელების საშუალებით საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლია დროულად მიიღოს ნებისმიერი სახისა და დანიშნულების საჭირო ინფორმაციული პროდუქტი მიუხედავად იმისა, თუ იგი მსოფლიოს რომელ კუთხეში იმყოფება;
- გ) ოპერატიული ინფორმაციული ურთიერთობების შესაძლებლობები;
- დ) მასობრივი ინფორმაციული პროდუქციის საშუალებები, რომლებიც ყალიბდება ინფორმაციული ტექნოლოგიებად ქსელის ინფორმაციული ფორმების მიხედვით.

საქართველოში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები ითვალისწინებს ხარისხობრივად ახალ დონეზე ეკონომიკური დარგების განვითარების ზრდის ტემპებს. სოციალურ ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობისას მიიღწევა ყველა რესურსის გამოყენების მაღალი ეფექტურობა, პირველ რიგში იგულისხმება მატერიალური, შრომითი, ენერგეტიკული და ინფორმაციული რესურსები.

საქართველოს ინფორმაციული საქმიანობის ორგანიზაცია მთლიანობაში სხვადასხვა ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურების მსგავსია. მთლიანობაში განსხვავება უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია განვითარების დაბალი დონით და იმ სექტორთა განუვითარებლობით, რომლებიც დაკავშირებული არიან თვით ბაზრის ინფრასტრუქტურების მომსახურებაზე. მიუხედავად ამისა, მომსახურების სხვადასხვა სფეროში აუცილებლად დასამუშავებელი ინფორმაცია წლითი წლობით ინტენსიურად იზრდება. იზრდება აგრეთვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების საშუალებათა უფრო ფართო მოხმარების პრობლემებიც. წინა წლებში ამ დარგში არ გამოიყოფოდა საჭირო კაპიტალდაბანდებები და არ ექცეოდა სათანადო ყურადღება მაღალკვალიფიური კადრების მომზადებას.

მთლიანობაში ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების დონე საქართველოში თანამედროვე პირობებში **ჩამორჩება** დროის მოთხოვნებს და არ აკმაყოფილებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ინფორმაციულ მოთხოვნილებებს, არ შეესაბამება ქვეყნის როლის ზრდის ამოცანებს მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, საქართველოში ინფორმაციული საზოგადოების შექმნის გზაზე **პირველი რიგის პრობლემას მიეკუთვნება**- სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართულია საინფორმაციო სივრცის ყველა კონპონენტის განვითარებისაკენ და იმ დონისძიებათა განხორციელებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ და ასტიმულირებენ ამ სფეროს განვითარებას.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ბაზრის ობიექტურად საჭირო ფორმირების მხედველობაში მიღებისას შემუშავებული იქნა ინფორმატიზაციის შექმნის აუცილებლობა. კონცეფციები, რომლებიც ითხოვენ ეკონომიკაში მსხვილი მასშტაბების განხორციელებას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

**ქვეყნის განვითარების** კანონმდებლობა, როგორც პროგნოზირებად, ასევე რეალური სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობების დროს **ითვალისწინებს:**

- სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანოების, მოქალაქეების, საწარმო დაწესებულებისა და ორგანიზაციების ინფორმაციულ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას;
- ინფორმაციის უნიფიკაციას, სტანდარტიზაციას, ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას;
- ქვეყანაში შექმნილი და იმპორტირებული ტექნიკური, პროგრამული და ტექნოლოგიური საინფორმაციო საშუალებების რესურსების სერტიფიკაციას;
- განვითარებული, ფუნქციონალურად საკმარისი და საიმედო საინფორმაციო ინფრასტრუქტურების ფორმირებას;
- თანამედროვე ელექტრონიკის, გამოთვლითი ტექნიკის და კავშირის საშუალებათა შექმნასა და დანერგვას წარმოებაში, მართვის, სამეცნიერო და სოციალურ სფეროებში;
- ინფორმატიზაციის პროგრამებისათვის პირობების შექმნას;
- სახელმწიფო ინფორმაციული რესურსების შენახვას, დაგროვებასა და ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფას;
- საზოგადოებრივ განვითარებაზე ინფორმატიზაციის გავლენის შესწავლას, შეფასებას და სხვა.

ინფორმაციული საზოგადოების შექმნის სფეროში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ტექნოლოგიურად ერთიანი ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარება და ხელშეწყობა, სადაც სრულყოფილად მონაწილეობას იღებენ საქართველოს რეგიონები საერთო სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და ქვეყნის ინტეგრაციაში მსოფლიო წამყვან ქვეყნებთან. ამის გამო **საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა სამამულო ინფორმაციული ინდუსტრიის განვითარების სფეროში.** კერძოდ:



ა) აკადემიური დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ ფუნქციონალური გამოკვლევების მხარდაჭერა დაპროგრამების სფეროში;

ბ) დაპროგრამების სფეროში მომუშავე კადრების მომზადების სრულყოფისა და აგრეთვე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო კურსების ღონისძიებათა შემუშავება;

გ) პროგრამულ საშუალებათა ბაზრის ეკონომიკური სტიმულირებისა და რეგულირების წინადადებათა შემუშავება ქვეყანაში საკრედიტო, საგადასახადო და ნორმატიულ-საგადასახადო პოლიტიკის ბაზრის აღნიშნულ სტრუქტურაში მათი რეალიზაციისათვის;

დ) საქართველოში ინფორმაციულ-კონსალტინგური მომსახურების ცენტრების ქსელების განვითარება..

ამჟამად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში იხსნება ფართო პერსპექტივები ადგილობრივი პროგრამისტებისათვის. ამ დროს აუცილებელია პრიორიტეტული ინფორმაციული ტექნოლოგიების შერჩევით სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სახელმწიფო შეკვეთების დია საკონკურსო წესით წარმოება.

საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი ინფორმაციული რესურსი, რომლებიც მოთავსებულია ქვეყნის მსხვილ ბიბლიოთეკებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. დღეისათვის მათთან ინტეგრირებული კავშირები არ არსებობს. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ დონეზე გადასვლა, საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე გასვლა შეუძლებელია ქვეყნის მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების ოპერატიული ჩართულობის გარეშე.

ასე მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ცნობილია, რომ ეკონომიკის ძირითად სექტორებში დასაქმებული მუშაკების საშუალო თვეობრივი ნომინალური ხელფასის ოდენობა გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში მონაცემები კომპიუტერული მომსახურების სექტორში მნიშვნელოვნად უსწრებს სხვა სექტორში დასაქმებულთა მონაცემებს.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებას შეუძლია სრულიად გარდაქმნას ხალხის ცხოვრების დონე შრომის ხარისხზე ზემოქმედების გზით და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი; გარდა ამისა, ყველა სფეროსა და ყველა დონეზე მმართველობითი შრომის აღჭურვა თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით, ინფორმაციული რესურსების მიღება და დამუშავება საშუალებას იძლევა შეჩერდეს და შემცირდეს მმართველობითი აპარატის შემდგომი დაბეგვრის მცდელობები, ამით იზრდება მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტურობა და ხარისხი სრული და საიმედო ინფორმაციის გამოყენების ხარჯზე.

ინფორმაციული ეკონომიკის დასახასიათებლად ადეკვატური სტატისტიკური ბაზის არარსებობის პირობებში გამოიყენებენ სხვადასხვა მონაცემებს, რომლებიც მიანიშნებენ ეკონომიკის იმ დარგებს, სადაც ამათუიმ სახით ხორციელდება ინფორმაციული საქმიანობა. ამ დროს კონკრეტული ციფრებით შეიძლება გამოვხატოთ ის როლი, რომელსაც ინფორმაციული საქმიანობა ასრულებს ერთიანი ეროვნული პროდუქციის ზრდაზე და ინფორმაციული სფეროს განვითარებაზე ყურადღების მიქცევა, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ბაზარი-ესაა ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა გამოხატული რაოდენობრივ და ფულად მიმოქცევის ერთეულებში, რომელიც წარმოიშობა სუბიექტებს შორის და სადაც ისინი სთავაზობენ ტექნიკურ, პროგრამულ, კომუნიკაციის საშუალებებს და სხვა. მოცემული კავშირები მუდამდებია მათზე წარმოდგენილი მოთხოვნათა შედარების დროს. იგი დამოკიდებულია აგრეთვე მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე. ეკონომიკის გარდა მოთხოვნილებებზე გავლენას

ახდენს ფაქტორები, როგორცაა დემოგრაფიული, ტერიტორიული და სოციალური. მათი მოქმედება პირდაპირ არ უკავშირდება ეკონომიკურ ურთიერთობებს ბაზრის გაფართოების, მომხმარებელთა ქცევების პროგნოზირებისა და მათი შერჩევის ინფორმაციულ რესურსებთან თავისუფალ შედწევას დასავლეთის ქვეყნებში ეკონომისტები განიხილავენ, როგორც თავისუფალ კონკურენციას, რომელიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ეფექტურ ფუნქციონირებას პოსტინდუსტრიულ საზოგადოების პირობებში, სადაც ასე თუ ისე დაკავშირებული ინფორმაციულ რესურსებთან კავშირის სიხშირე განისაზღვრება 40-60%-ით, ხოლო ინფორმაციული სამსახურის საქმიანობის წილი, მსოფლიო საერთო საზოგადოებრივ პროდუქტში და აგრეთვე ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს 10%-ზე მეტს, ამასთან საერთო შემოსავლის 90%-ზე მეტი მოდის აშშ-ზე, იაპონიაზე და დასავლეთ ევროპაზე. ინფორმაციულ მომსახურებებში დასაქმებულთა რიცხოვნობა ყოველწლიურად იზრდება. ამჟამად მათმა რაოდენობამ 50 მლნ. ადამიანს გადააჭარბა.

საინფორმაციო საზოგადოების **ფორმირების პრობლემები** საქართველოში შინაარსით მსგავსია სხვა ქვეყნებში არსებულისა, რაც აიხსნება უახლესი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელებითა და მსოფლიო ინფორმაციული ბიზნესის გლობალიზაციით. განსხვავება დაკავშირებულია მხოლოდ ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან, არასრულად განვითარებულ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურებთან და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მდგომარეობასთან. ამასთან ერთად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ტელეკომუნიკაციების განვითარებაში, სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების ინფორმატიზაციაში, ინფორმაციულ კანონმდებლობაში, რაც იძლევა საშუალებას, რომ ინფორმაციული ინდუსტრიის ცალკეული დარგების (კავშირების, კომპიუტერის, ინფორმაციული და აუდიოვიზუალური) საბაზრო პოლიტიკიდან ინფორმაციული საზოგადოების საერთო სტრატეგიის ფორმირების დროული გადასვლის პოლიტიკაზე, სადაც წინა პლანზე გამოდის სოციალური მოთხოვნები.

საქართველოს ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, სადაც გაერთიანებულია ინფორმაციული რესურსები და გამოთვლითი ტელეკომუნიკაციური ტექნიკის პროგრამულ-აპარატურული საშუალებები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, აგრეთვე მათი შექმნისა და გამოყენების პერსონალი ხდება საზოგადოების ნებისმიერი სახის საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. მის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო სექტორების ფუნქციონირება, მოქალაქეთა უფლებები ინფორმაციის მოპოვებაზე პირადი, სამეურნეო ან საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად.

დღევანდელი კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ქსელები წარმოადგენს გლობალური მასშტაბის მოვლენას. შეიძლება ითქვას, რომ მათ შეუძლიათ შეცვალონ მსოფლიო პოლიტიკური რუკა და შეცვალონ ურთულესი ურთიერთობები გეოპოლიტიკურ ცენტრებთან.

**ინფორმაციულ-კომუნიკაციური ბიზნესის განვითარების ინდუსტრიართულდება** იმის გამო, რომ მისი საქმიანობა ხორციელდება დამოუკიდებლად როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორებში. ეკონომიკურად გაუმართლებელი ფუნქციების დაუბლირება, დაფინანსების შეუთანხმებლობა, კერძო და სახელმწიფო დაწესებულებათა კონკურენცია იწვევს შიდა დისპროპორციას, ამცირებს ეკონომიკურ ეფექტიანობას.

მოცემული ინდუსტრიის განვითარებაში სახელმწიფოს მონაწილეობა მუდმივად იცვლება და სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული დრო და სტრუქტურა აქვს. აშშ-ში ინფორმაციულ საქმიანობაზე მეოცე საუკუნის 90-იან წლებში სამთავრობო ორგანიზაციების დანახარჯები შეადგენდა 30 მილიარდ დოლარს, ხოლო ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის ეს ციფრი გაიზარდა 250 მილიარდ დოლარამდე. მსოფლიოში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ბიზნესის ინდუსტრიის კერძო სექტორი მუდმივად ასრულებს აქტიურ მოქმედებებს თავისი პოზიციების გასამაგრებლად ინფორმაციული

მომსახურების ბაზარზე. იგი ამავე დროს დაიტერესებულია ბაზარზე სახელმწიფო ორგანიზაციების მონაწილეობით.

სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით განხორციელებულია თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა ფართო დანერგვის სახელმწიფო დაფინანსება. პირველ რიგში იგი ეფექტურია მხოლოდ მომხმარებელთა საკმაოდ მაღალი დონისათვის. სახელმწიფო დაფინანსება თავის მხრივ ასრულებს ინფორმატიკის ინდუსტრიაში ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების კერძო კაპიტალის პოზიციების გამაგრებასა და შრომისნაყოფიერების გაზრდას.

საქართველო იმყოფება საერთაშორისო ინფორმაციულ სივრცეში შესვლის ეტაპზე, სადაც განსაზღვრულია ღონისძიებათა სამი ძირითადი მიმართულება:

- 1) ეროვნული ინფორმაციული რესურსების ფორმირება, რომლებიც შემდგომში გახდება ქვეყნის სიმდიდრე. ამ დროს საჭიროა ეროვნული საინფორმაციო რესურსების დაცვის საიმედო საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება;
- 2) ახალი ინფორმაციული ინფრასტრუქტურების შექმნა და არსებულის სრულყოფა;
- 3) ავტონომიური, რეგიონალური და საერთაშორისო საინფორმაციო სისტემებისა და ქსელების შექმნა, რომლებიც დაფუძნებულია მონაცემთა გაცვლის საერთაშორისო სტანდარტებზე.

უკანასკნელ წლებში საქართველოში შეიქმნა მრავალი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების შემუშავებას, მათ დანერგვასა და ადაპტაციას. გამოკვლევები აფიქსირებენ ბირჟების, ბანკების, სამრეწველო სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა დაინტერესების მაღალ დონეს საინფორმაციო ქსელებისა და სისტემების შექმნაში. **პრობლემა მდგომარეობს** მხოლოდ იმაში, რომ ეს სამუშაოები იწარმოება ტექნოლოგიისა და დაპროგრამების ნაწილში ერთიანი კონცეფციის გარეშე.

დღეს აღიარებულია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები საქართველოში შედარებით ახალგაზრდა სექტორია და მასში სპეციფიური განათლების ხარისხი დაბალია. ადგილობრივი ბაზარი მცირეა. ამ პრობლემის დასაძლევად საქართველოს მთავრობამ ბიზნესის წახალისების მიზნით აამოქმედა 2010 წლის 1 იანვრიდან კანონი "საინფორმაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური) ზონის შესახებ". იგი ითვალისწინებს ინვესტიციების მოზიდვას და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მიმზიდველი გარემოს შექმნას. საგადასახო შეღავათის დაწესებით მთავრობას უნდა წახალისოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპორტი. მაგრამ ყორადღების მიღმა რჩება ადგილობრივ ბაზარზე მომუშავე ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანიების პრობლემები.

საინფორმაციო-კომუნიკაციური ბიზნესის ყველა რესურსის დროული და ეფექტური გამოყენება წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ტემპების ამაღლების აუცილებელ ფაქტორს.

ლიტერატურა:

1. ა.გიორგობიანი, მ. გიორგობიანი, ინფორმაციოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა "უნივერსალი", თბ.2009 წ. გვ. 11-55
2. ა.გიორგობიანი, გ. მეტეხელი, ინფორმაციოლოგიური ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები, სტატია: სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, თანამედროვე მეცნიერული პრობლემები, გორი, საქართველო, 2011 წ.
3. ინფორმატიკის განვითარების პერსპექტივები ახალი "ეკონომიკა და ბიზნესი" 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერი

4. ინფორმატიზაციის განვითარება ობიექტური აუცილებლობაა, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, თანამედროვე მეცნიერული პრობლემები, გორი, საქართველო, 2011 წ.
5. Д. Эймор, Электронный бизнес, эволюция и или революция, жизнь и бизнес в эпоху Internet, М. изд. «Вильямс», 2001.стр. 69-122.

### **Information and communication business-features of development in Georgia**

**Guram Metekheli**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Assistant Professor

### **Summary**

The level of formation of information society in Georgia while modern conditions lags behind the time requirements and doesn't meet information requirements of various fields of economics and is not in conformity with tasks of the state role in world market. In Georgia on way of creation of information society to **the first line problem is attributed** – elaboration of state information policy which is directed towards development of information space all components.

**Legislation on state development** in either predictable or real scientific – technical, economic, social and political conditions **envisages** complete meeting with information requirements, creation of sole information space and setting up conditions for informatization programs.

In sphere of creation of information society the paramount task is development of technologically sole national infrastructure and **therefore the purposeful state policy in sphere of development of national information industry is necessary.**

Problems of formation of information society in Georgia are like those of in other states in its essence. It is explained by swift development of newest information communication technologies. And industry of **information-communication business development** becomes complicated owing to implementation of its activities either in private or state sectors. Duplication of economically unjustified functions, financing disconformity, competition between private and state entities cause internal disproportion, reduce economic efficiency.

At present it is recognized that information technologies in Georgia is comparatively new sector and specific education quality in it is rather low, local market is small. In order to overcome this problem, aiming to promote business the Government of Georgia activated the Law “On (virtual) zones of Information Technologies” of January 1, 2010. It envisages to attract investments and creation of attractive environment in a sphere of information technologies. By setting up tax discounts the Government would like to promote the export of information technologies. However the problems of companies working on information technologies in local market remain outside attention.

## სტერეოტიპები და “მითები” საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკაში

მაია მინდორაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს მოსახლეობის/შინამეურნეობების შემოსავლების ანალიზი დაიწყო ფაქტების კონსტატაციით: როგორც საქსტატის მონაცემებიდან ჩანს, 2004-2012 წლებში შემოსავლები სოფლად დაქირავებული შრომიდან 9.1%-დან 17.9%-მდე (8.8%-ით) გაიზარდა, თვითდასაქმება შემცირდა 1.8%-ით (6.7-დან 4.9-მდე). ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებიც შემცირდა 6.4%-ით. ჯამში, 2012 წელს სოფლად თვითდასაქმებიდან და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავლები 25.7%-დან 17.5%-მდე (8.2%-ით) შემცირდა. სამაგიეროდ, 8.8%-ით გაიზარდა შემოსავლები დაქირავებული შრომიდან, 10%-მდე გაიზარდა პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები, მცირედ – უცხოეთიდან მიღებული გზავნილები და საგრძნობლად გაიზარდა სრულიად “არაეკონომიკური” მუხლი – საჩუქრად მიღებული ფული – 4.6%-დან 10.9%-მდე. რაზე მეტყველებს ეს ციფრები? შინამეურნეობების ტრანსფერტებზე, ქონებიდან მიღებულ შემოსავლებსა და დანაზოგებზე დაკვირვების კითხვარში (შინდა 05), რომელიც საქსტატის საბჭოს 2010 წლის დადგენილებით არის დამტკიცებული<sup>97</sup>, გვხვდება ჩვენთვის საინტერესო კითხვა საჩუქრად მიღებული ფულის შესახებ (ნახაზი 1).

ამ და შინდას სხვა კითხვარების საფუძველზე შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლების განაწილება ქალაქ-სოფლის ჭრილში საქსტატის მიერ შემდეგი სახით არის კლასიფიცირებული და გავრცელებული:

### **ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები<sup>98</sup>**

დაქირავებული შრომიდან

თვითდასაქმებიდან

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან

ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)

პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები

უცხოეთიდან მიღებული გზავნილები

საჩუქრად მიღებული ფული

### **არაფულადი შემოსავლები**

#### **შემოსავლები, სულ**

სხვა ფულადი სახსრები

ქონების გაყიდვა

ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება

#### **ფულადი სახსრები, სულ**

#### **ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ**

**ნახაზი 1.** შინამეურნეობებზე დაკვირვება. ტრანსფერტები და ქონებიდან შემოსავლები, დანაზოგები (შინდა 05-ის შერჩეული ნაწილი)<sup>99</sup>

<sup>97</sup> <http://goo.gl/B9jnAR>

<sup>98</sup> <http://goo.gl/j3IKxV>

<sup>99</sup> <http://goo.gl/7SYQ9b>

**2. საჩუქრების, დახმარებების ან/და უფასოდ მომსახურების სახით მიღებული შემოსავლები**

2.1. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ლარი მიიღო თქვენმა შინამეურნეობამ ან მისმა რომელიმე წევრმა გასულ 3 თვეში სულ: ქორწილის, ნათლობის, დაბადების დღის, დაკრძალვის ან სხვა პირად ან ოჯახურ რიტუალთან დაკავშირებით?

		გასულ თვეში	ორი თვის წინ	სამი თვის წინ
1	ფული			
2	საჩუქრები (მიანობებით შეფასეთ ლარებში)			

2.2. გთხოვთ გვიპასუხოთ, გასულ სამ თვეში რა მოცულობით დაეხმარნენ თქვენს შინამეურნეობას ან მის რომელიმე წევრს ახლობელი ოჯახები, ნაცნობ-მეგობრები, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები ფულადი, საქონელის ან მომსახურების უფასოდ გადმოცემის, გაწეული დანახარჯების დაფარვის მიზნით?

**ინტერვიუს:** თქვენში ჩაწერეთ ერთი და იგივე პირის მიერ ფულადი სახით, საქონელის ან მომსახურების უფასოდ მიღებული ან გაწეული ხარჯების დაფარვის მთლიანი ღირებულება (ნატურით მიღებული შეფასეთ მიანობებით ლარებში). თუ დახმარება საოჯახო ხასიათისა იყო, ჩაწერეთ შინამეურნეობის უფროსის გრაფაში. გთხოვთ, ბოლო სტრუქტურაში ცალკე გამოყოთ საზღვარგარეთიდან მიღებული დანახარჯების მთლიანი ღირებულება.

შინამეურნეობის წევრთა სახელები შინდა 02-დან						
შინამეურნეობის წევრთა ნომრები	1	2	3	4	5	6
1	ფულადი დახმარება					
2	კვების პროდუქტების უსასყიდლოდ მიღება					
3	ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან სხვა ნივთების ჩუქება					
4	სწავლის ქირის გადახდა					
5	მკურნალობის საფასურის ფულადი სახით ან სადაზღვევო პოლისის მეშვეობით დაფარვა					
6	გადასახადების დაფარვა					
7	სხვა დახმარება ან უსასყიდლოდ მიღებული მომსახურება მათ შორის					
8.	საზღვარგარეთიდან მიღებული					

**3. შინამეურნეობების მიერ მიღებული სხვა შემოსავალი**

3.1. გთხოვთ გვიპასუხოთ, გასულ სამ თვეში, თუ თქვენმა შინამეურნეობამ მიიღო შემოსავალი ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, რამდენ ლარს შეადგენდა იგი? (ნატურით მიღებული შეფასეთ მიანობებით ლარებში)

	შემოსავლის წყარო	შემოსავალი (ლარი)
1	შემოსავალი: წილიდან (საწარმოში, რაიმე საქმეში), აქციებიდან, პროცენტი ობლიგაციებიდან, ანაზრებიდან, გასესხებული თანხიდან	
2	შემოსავალი პენსიის, ანაზრის, მანქანის და სხვა საკუთრების გაქირავებიდან	
3	მემკვიდრეობით მიღებული ფული	
4	ალიმენტი	
5	დაფინანსება გრანტის სახით დონორი ორგანიზაციისგან	
6	დაფინანსება გრანტის სახით სახელმწიფოსგან	
7	სხვა (დაასახელოთ)	

შინდა 05-ის კითხვების მიხედვით შევეცადეთ აღნიშნული საკლასიფიკაციო მუხლებისთვის მიგვესადაგებინა ამ კითხვარიდან მიღებული ინფორმაცია. კერძოდ, შემოსავლები ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრებიდან – 3.1.1; 3.1.2); პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები – 2.2.4; 2.2.5; 2.2.6; 2.2.7; 3.1.4; 3.1.5; 3.1.6; უცხოეთიდან მიღებული გზავნილები (2.2.8); საჩუქრად მიღებული ფული (2.2.1; 2.2.2; 2.2.3; 3.1.3).

როგორც ცნობილია, წინა ათწლეულის მანძილზე ოფიციალურ სტატისტიკაში ბევრი ცვლილება მოხდა – ნაწილი სასიკეთო, ნაწილი - არცთუ ისე. მიმაჩნია, რომ ზემოთ მოტანილი კლასიფიკაცია გადასახედა და საჭიროა მეთოდოლოგიური გაუმჯობესება. სტატისტიკური ინფორმაცია უფრო მოქნილი, გამჭვირვალე და ადვილად აღსაქმელი უნდა გახდეს ყველა მომხმარებლისთვის. აღქმადობის სიმარტივის წარმოსაჩენად ცხრილში 1 მოვიტანეთ 2005 წელს მიკრონეზიაში გამოყენებული

შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის შედეგების ჩარჩო (ცხრილი 1).<sup>100</sup>

**ცხრილი 1.** შინამეურნეობების შემოსავლების კლასიფიკაცია მიკრონეზიაში 2005 წელს

შემოსავლის წყარო	შემოსავალი		შინამეურნეობები	
	თანხა (მლნ. ლარი)	%	რაოდენობა	%
ხელფასი				
ნატურალური მეურნეობა (მონადირეობა, თევზჭერა, შემგროვებლობა, ტრადიციული მემცენარეობა, მეცხოველეობა, ნატურალური გაცვლა, პარაზიტული <sup>101</sup> საქმიანობები)				
საცხოვრებლის გაქირავების სავარაუდო (იმპუტირებული) ღირებულება				
სამეწარმეო საქმიანობები				
საჩუქრები				
ფულადი გზავნილები				
სოციალური დაზღვევის გადარიცხვები				
საგანმანათლებლო გრანტები ან სტიპენდიები				
სამთავრობო პროგრამები				
მიწის ან სახლის გაქირავება ან ღიზინგი				
პენსიები, დახმარებები და ინვალიდობის პენსიები				
კომუნალური შეღავათები				
დანაზოგები				
ბავშვების მხარდაჭერა, ალიმენტი და სხვა				
პროცენტი, დივიდენდი ან შემოსავალი ქონებიდან ან ტრასტებიდან				
სულ				

დავუბრუნდეთ ისევ ფულადი საჩუქრებისა და უცხოეთიდან მიღებული გზავნილების თემას. საჩუქრების ზრდადმა ტენდენციამ ქალაქიდან უკვე სოფელშიც გადაინაცვლა და მრავალი კითხვა გააჩინა. ამასთან, 2009 წლიდან მოსახლეობა ხარჯებთან შედარებით შემოსავლების უფრო მაღალ დონეს უჩვენებს, რაც ასევე საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

როგორც გასული რვა წლის ანალიზმა (2006-13) ცხადყო, საერთო ჯამში, უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისა და საჩუქრად მიღებული ფულის დინამიკა დადებითი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2006 წელთან შედარებით, უცხოეთიდან მიღებული გზავნილები ქალაქად თითქმის გაორმაგდა, ხოლო სოფლად 3.4-ჯერ გაიზარდა. ასევე, ქალაქად საჩუქრად მიღებული ფულის ნაკადი გასამმაგდა, სოფლად კი 4.8-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება საშუალოწლიური მატების ტემპებს, ქალაქად უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისთვის 10%, ხოლო სოფლად 17% შეადგინა, ასევე საჩუქრად მიღებული ფულისათვის ქალაქად 17% და სოფლად 23% შეადგინა. ორივე წყაროს ჯამში, ამ პერიოდში ქალაქად უცხოეთიდან მიღებული გზავნილების ხვედრითი

<sup>100</sup>Household Income and Expenditure Survey Analysis Report Federated States of Micronesia 2005, November 2007, Division of Statistics, Office of Statistics, Budget and Economic Management, Overseas Development Assistance, and Compact Management Federated States of Micronesia, Palikir, Pohnpei FM 96941, p.16.  
<http://goo.gl/E3ow7P>

<sup>101</sup>სხვების ხარჯზე სარგებლის მიღება: მითვისება, ხარკის დაწესება, ნაგვის შეგროვება და სხვა.

წილის დიაპაზონი 63-75%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო საჩუქრად მიღებული ფულისა – 57-67%-ის ფარგლებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შემოსავლის ორივე წყაროს მიხედვით ქალაქის პროპორციები საგრძნობლად მაღალია, თუმცა ზრდის ტემპი სოფლად უფრო სჭარბობს.

რაც შეეხება შემოსავლის ორივე წყაროს ხვედრით წილს მოსახლეობის ფულად და არაფულად შემოსავლებში, შემდეგი სურათი ფიქსირდება: ქალაქად 13.1-16.5%, ხოლო სოფლად 6.8-14.2%.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ: 1. სოფლის მოსახლეობის შემოსავლები ისე გაიზარდა, რომ მათ ქორწილში, ნათლობაზე, დაბადების დღეზე, დაკრძალვაზე ან სხვა პირად ან ოჯახურ რიტუალზე გაუზარდათ სხვებისთვის ფულის ან ნივთობრივი საჩუქრის მიცემის მეტი შესაძლებლობა, ან 2. იმდენად ძვირი ჯდება ამ რიტუალების ჩატარება, რომ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის გამოჩენა უწევთ ძალაუვნებურად. აქვე, მეორე პუნქტთან დაკავშირებით, მოკლედ მიმოვიხილავთ სოციალურ კაპიტალს<sup>102</sup> და მის შეფასებებს საქართველოში.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, საქართველო ხასიათდება როგორც დიდი "ნათესაური" და მცირე "არანათესაური" სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყანა. მიჩნეულია, რომ კოლექტიური სოლიდარობის ეს მოდელი და ადამიანებისადმი უნდობლობა ჯგუფს გარეთ სამოქალაქო აქტიურობის ნაკლებობას იწვევს, რაც ამა თუ იმ ჯგუფში წევრობისა და საზოგადოებრივ შეხვედრებში მონაწილეობის უადრესად დაბალ დონეში ვლინდება. მიუხედავად ამისა, საქართველოში უკვე არსებობს არანათესაური სოციალური კაპიტალის აქტიური ფორმებიც (მაგ. ბოლო დროს საქართველოში ალტრუიზმის ინსტიტუციონალიზაციის ერთი დადებითი მაგალითი აღინიშნება. მოქალაქეებს მიეცათ მობილური ტელეფონებიდან გაგზავნილი SMS შეტყობინებებით საქველმოქმედო მიზნებისათვის ფულის გადარიცხვის საშუალება). კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი პრობლემა სოციალური კაპიტალის ამჟამად არსებული არაფორმალური მხარეების ინსტიტუციონალიზაციაა.<sup>103</sup> ამასთან, კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის 2011 წლის დაწვრილებით ანგარიშში<sup>104</sup> გამოვლენილია საქართველოში არანათესაური სოციალური კაპიტალის ზრდის შემაფერხებელი ოთხი ძირითადი გარემოება: 1) გულგრილი დამოკიდებულება თანამშრომლობის მიმართ; 2) უნდობლობა სოციალური აქტივისტების მიმართ; 3) რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემო; 4) უხალისო დამოკიდებულება ერთობლივი ძალისხმევის ინსტიტუციონალიზაციისადმი.

მიმე ეკონომიკურ პირობებში მჭიდრო ურთიერთობები ოჯახში, რასაც "ნათესაურ სოციალურ კაპიტალს" ვუწოდებთ, ერთგვარი არაფორმალური დაზღვევის ფუნქციას ასრულებს. Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევით დადგინდა, რომ თუმცა

<sup>102</sup> ტერმინი ამერიკელმა სოციოლოგმა ჯეიმს ქოულმენმა შემოიღო. გულისხმობს საერთო მიზნებისათვის ადამიანების ერთობლივი მოქმედების უნარს. ის მოითხოვს ნდობის მაღალ დონეს. ყველა საზოგადოებაში ადამიანები, ჩვეულებრივ, ენდობიან ოჯახის წევრებსა და ახლო მეგობრებს; მაგრამ იმისათვის, რომ წარმატებით აიგოს სოციალური ინსტიტუტები და ორგანიზაციები, როგორცაა მაგალითად, დიდი ბიზნეს-გაერთიანებები, საზოგადოებრივი ასოციაციები თუ პოლიტიკური პარტიები, აუცილებელია ადამიანი ენდოს ადამიანებს, რომლებთანაც მას არანაირი პირადი კავშირი არ აქვს. იმ საზოგადოებებს, რომლებშიც ნდობის სოციალური კაპიტალი იშვიათად სცდება მეგობრებისა და ნათესავების ვიწრო წრეს, ხშირად „კლანურ“ ან „ფამილისტურ საზოგადოებებს“ უწოდებენ. ასეთ საზოგადოებებში ადამიანები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი სახელმწიფოზე, რადგან უჭირთ დიდი ორგანიზაციების დამოუკიდებლად შექმნა. (საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები / რედ.: გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტბახი; CIPDD, 2006).

<sup>103</sup> სოციალური კაპიტალი საქართველოში. ჟურნალი "ლიბერალი", 30.12.2011; <http://goo.gl/QecacI>

<sup>104</sup> <http://goo.gl/OQGR2z>



ცალკეული პირები ოჯახში დიდ დროს არ ატარებენ, ქართველების უმრავლესობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ ოჯახი უმთავრესია და გაჭირვების უამს ოჯახის სხვა წევრების დახმარების იმედი აქვს. გამოკითხვის დროს სამი სხვადასხვა ფორმით დაისვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ ვის მიმართავენ ქართველები გაჭირვების დროს, და ოჯახი ყველა შემთხვევაში პირველ ადგილზე გავიდა. რესპონდენტების ძალიან მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ ოფიციალური დახმარება აქვს და თუ გაუჭირდა, გამოიყენებს. გაჭირვების დროს ადამიანების დიდ უმრავლესობას (93 პროცენტს) ოჯახის იმედი აქვს.

საერთაშორისო ორგანიზაცია World Values Survey-ის მიერ 2005-2009 წლებში ჩატარებული კვლევის<sup>105</sup> მასალებით, ადამიანებისადმი ნდობის მიხედვით რამდენიმე შერჩეული ქვეყნის მიხედვით შემდეგი სიტუაცია დაფიქსირდა:

**ცხრილი 2.** ადამიანების ნდობა ერთმანეთისადმი World Values Survey-ის მიხედვით 2005-2009 წლებში, შერჩეული ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	ნორვეგია	უკრაინა	რუსეთი	ბულგარეთი	საქართველო
ადამიანების უმრავლესობას შეიძლება ვენდოთ	73.7%	24.5%	24.6%	19.6%	17.6%
ადამიანების უმრავლესობას არ შეიძლება ვენდოთ	25.7%	64.4%	69.1%	68.7%	79.4%


ამავე კვლევით ირკვევა, რომ ქვეყნების მოცემულ შერჩეულ ჯგუფში მეგობრები “ძალიან მნიშვნელოვანია” საქართველოს მოსახლეობის 78.1%-ისთვის (რუსეთი და უკრაინა 37.4%) და ოჯახი “ძალიან მნიშვნელოვანია” მოსახლეობის 98.7%-ისთვის (რუსეთი და უკრაინა 89.0% და 86.8%, შესაბამისად).

ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მოსახლეობაში არანათესაური სოციალური კაპიტალისა და ქვეყანაში სამოქალაქო აქტივობის შესახებ პირქუშ სურათს გვიხატავს, მაგრამ თუ საზოგადოებაში შექმნილ მდგომარეობას უფრო ყურადღებით შევისწავლით, აღმოვაჩენთ, რომ ჯგუფებს შორის კავშირები და ფართოდ გავრცელებული ალტრუიზმი, რაც სოციალური კაპიტალის შეფასების ალტერნატიული საშუალებაა, ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.


თუმცა, მიუხედავად ნათესაური კავშირების სიმჭიდროვისა და ქართველების ბუნებრივი თუ ტრადიციული ალტრუიზმისა, მე მაინც ვერ გავიზიარებ მოტანილი მონაცემების ჭეშმარიტებას. საყოველთაო გაჭირვების ფონზე, საჩუქრად მიღებული ფული როგორც ქალაქში, ისე სოფლად სჭარბობს უცხოეთიდან მიღებული გზავნილების ოდენობებს. ნახაზზე 2 და 3 ნაჩვენებია ქალაქად და სოფლად უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისა და საჩუქრად მიღებული ფულის დინამიკა 2006-2013 წლებში. შეიძლება დაგუშვათ, რომ საჩუქარი ჰიპოთეტურად არის უცხოეთიდან მიღებული გზავნილების გადანაწილება ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს შორის, ასევე იზრდება საქველმოქმედო აქციებიდან შემოსულობები, მაგრამ არა იმდენად, რომ აღნიშნულმა თვით გზავნილების ოდენობებს გადააჭარბოს. აქ რამდენიმე მომენტი იკვეთება: მეთოდოლოგიური ხარვეზები, ან მოსახლეობის მიერ მიღებული გზავნილების რეალური თანხების დაფარვა, ან ორივე ერთად. ვფიქრობ, ყველა შემთხვევაში საჭიროა საბანკო არხებით უცხოეთიდან მიღებული გზავნილების ყოველთვიური შემოდინებების შესწავლა და შეპირისპირება შინამეურნეობების შემოსავლების შესაბამის მუხლთან. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ შინამეურნეობების კვლევების, არამედ მიღებული მარკეტინგების ხარისხის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აგრეგაციების, განსაკუთრებით კი ეროვნული შემოსავლისა და განკარგვადი შემოსავლის შემდგომ გაუმჯობესებაში.

<sup>105</sup> <http://goo.gl/Zjq90r>

**ნახაზი 2.** უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისა და საჩუქრად მიღებული ფულის დინამიკა ქალაქად 2006 – 2013 წლებში (მლნ. ლარი)




**ნახაზი 3.** უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისა და საჩუქრად მიღებული ფულის დინამიკა სოფლად 2006 – 2013 წლებში (მლნ. ლარი)




გამოთქმული მოსაზრებების განმტკიცებისათვის გამოვიყენოთ არეების დიაგრამები, რაც მოტანილია ნახაზზე 4 და 5. აქ უფრო თვალსაჩინოა ვარიაციები თითოეული კომპონენტის მიხედვით ქალაქ-სოფლის ჭრილში. აშკარად ჩანს საკმაო განსხვავება უცხოეთიდან მიღებული გზავნილების მიხედვით ქალაქსა და სოფელს შორის, ამასთან მიღებული საჩუქრები ორივე არეში განუხრევლად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და განსხვავება მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც წინა შემთხვევაში. და მაინც იბადება კითხვა: თუ ოჯახური და ნათესაური კავშირები ტრადიციულად სოფლად უფრო ძლიერია, რატომ არ გვაქვს უფრო დიდი ვარიაცია საჩუქრების მიღების მუხლში ქალაქ-სოფლის მიხედვით? უდაოა, ეს საკითხიც უფრო სიღმისეულ კვლევას მოითხოვს.

**ნახაზი 4.** უცხოეთიდან გზავნილები ქალაქ-სოფლის მიხედვით (მლნ. ლარი)




**ნახაზი 5.** საჩუქრად მიღებული ფული ქალაქ-სოფლის მიხედვით (მლნ. ლარი)




საინტერესოა, რა ტენდენციებით ხასიათდება თვითდასაქმების დანარჩენი, უფრო “ეკონომიკური” წყაროები, როგორცაა დაქირავებული შრომა და თვითდასაქმება? აღსანიშნავია, რომ გასული რვა წლის განმავლობაში, ქალაქად დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები 2.7-ჯერ გაიზარდა და საერთო შემოსავლების 16.5% შეადგინა (2006 წელს – 15.6%), ხოლო სოფლად 3.1-ჯერ გაიზარდა და 14.2% შეადგინა (2006 წელს – 13%). ქალაქ-სოფლის მიხედვით განსხვავებების ხაზგასასმელად შინამეურნეობების შემოსავლები ჩაშალოთ დაქირავებული შრომიდან და თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით:

**ნახაზი 6. დაქირავებული შრომიდან და თვითდასაქმებიდან ქალაქად მიღებული შემოსავლების დინამიკა (მლნ. ლარი)**




**ნახაზი 7. დაქირავებული შრომიდან და თვითდასაქმებიდან სოფლად მიღებული შემოსავლების დინამიკა (მლნ. ლარი)**




საინტერესო სტატისტიკა მივიღეთ: განსახილველ პერიოდში სოფლად თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი 80-83%-ის ფარგლებშია, ხოლო თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ფულადი და არაფულადი შემოსავლების მხოლოდ 6.7%-იდან(2006) 4.91%-მდეა(2013). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლოგიკურად გავაფართოებთ თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების არეს და მასში ჩაერთავთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვას, მაინც მიზერულ 16.55%-ს(2013) მივიღებთ. ჩნდება კითხვა – არის თუ არა თვითდასაქმება “მითი” სოფლად და ვზომავთ თუ არა სწორად აქედან მიღებულ შემოსავლებს? აქვე აღვნიშნავ, რომ არავითარი ეჭვი არ შემაქვს შსო-ს მიერ დადგენილი და საქსტატის მიერ გამოყენებული თვითდასაქმებულის განმარტებაში და მის რელევანტურ აღქმაში.

**ნახაზი 8. ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურა სოფლად, 2013წ.**



**ნახაზი 8. თვითდასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილის დინამიკა სოფლად 2006-2013 წლებში, %**




2013 წელს სოფლად თვითდასაქმებული იყო 853.9 ათასი კაცი, თვითდასაქმებიდან მიღებულმა შემოსავლებმა თვეში საშუალოდ 19.9 მლნ. ლარი შეადგინა. გამოდის, რომ 2013 წელს, თვეში საშუალოდ ერთმა თვითდასაქმებულმა სოფლად მიიღო 23.30 ლარი (19.9 მლნ. ლარი/853.9 ათასი კაცი), დანარჩენი სტატისტიკა ასეთია:

შემოსავალი სულ, მლნ. ლარი	19.9
ერთ შინამეურნეობაზე, ლარი	39.0
ერთ სულზე, ლარი	10.6


შედარებისთვის, ერთმა დაქირავებულმა სოფლად – 244.9 ლარი (78 მლნ.ლარი/222.1 ათასი კაცი) მიიღო; 1 სულზე საშუალოთვიურმა შემოსავლებმა შეადგინა 216 ლარი, ხოლო 1 შინამეურნეობაზე 794.7 ლარი. საინტერესო იქნებოდა გვეცოდნოდა, თუ საშუალოდ სოფლის 1 შინამეურნეობაში რამდენი დასაქმებული და თვითდასაქმებულისა (შინამეურნეობის ზომა გამოთვლებით დაახლოებით 3.68 კაცია). აქტიური მოსახლეობა შეადგენს სოფლის მოსახლეობის 55.6%-ს, საიდანაც დასაქმებულია 93.5%. ამ დასაქმებულთაგან 79% თვითდასაქმებულია, 20.5% დაქირავებულია, 0.44% კი გაურკვეველია. ამ 853.9 ათასი თვითდასაქმებულის შემოსავალი აღნიშნული საქმიანობიდან 23.3 ლარია. ვუიქრობთ, კომენტარი ზედმეტია!

საბოლოო ჯამში, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გამსხვილებული ჯგუფების სტრუქტურა 2013 წლისათვის შემდეგია:

**ნახაზი 9.** სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გამსხვილებული ჯგუფების სტრუქტურა 2013 წლისათვის



**ნახაზი 10.** ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გამსხვილებული ჯგუფების სტრუქტურის შედარების დიაგრამა, 2013



ბოლო დიაგრამა უკეთ ასახავს უმთავრეს განსხვავებებს ქალაქ-სოფლის მიხედვით მოსახლეობის შემოსავლებში: ქალაქად ეკონომიკური საქმიანობიდან და ქონებიდან მიღებული შემოსავალი სოფელზე 22.17%-ით მაღალია, ხოლო სოფლად 14.98%-ით უფრო მაღალია არაფულადი შემოსავლების ხვედრითი წილი. ტრანსფერტებში დიდი განსხვავება არ შეიმჩნევა (6.81%), სხვა ფულადი სახსრები თითქმის თანაბარია. პირველი ორი მუხლი დამაჯერებლად მიჯნავს ერთმანეთისგან მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებს ქალაქ-სოფლის მიხედვით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

Household Income and Expenditure Survey Analysis Report Federated States of Micronesia 2005, November 2007, Division of Statistics, Office of Statistics, Budget and Economic Management, Overseas Development Assistance, and Compact Management Federated States of Micronesia, Palikir, Pohnpei FM 96941, p.16.

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები / რედ.: გია ნოღია, ალვარო პინტო სქოლტბახი; CIPDD, 2006.

სოციალური კაპიტალი საქართველოში. უერთნალი “ლიბერალი”, 30.12.2011.

<http://www.geostat.ge/>

**Stereotypes and Myths about Income Statistics in Georgia**

**Maia Mindorashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

**Summary**

This paper discusses the significant changes in the structure of the urban-rural population income levels in Georgia during the last eight years. Author focuses on the quality of the statistical information extracted from the Integrated Household Surveys and estimates the likelihood of its relevance. Based on statistical analysis of recent trends, the myth of significant self-employment rate in rural areas is repealed by very low incomes derived from these activities and the increasing proportion growth of remittances from abroad and gifts in overall income.

## ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

ნინო მიქიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი

### შესავალი

ეკონომიკური ზრდის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისთვის, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი და მყარი ტენდენციები. ამ მიმართულებით მიზანშეწონილია ყოველი ქვეყნისთვის ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების შესწავლა და მათზე რაციონალური ზემოქმედება.

ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს უპირატესად სამ ნაწილად ჰყოფენ: 1. მიწოდების (წარმოების ფაქტორების მიწოდება, მათი სრულყოფა და ინტენსიური გამოყენება); 2. მოთხოვნის (ცვლილებები ინვესტიციურ, სამომხმარებლო, სახელმწიფო ხარჯებში და სხვ.) და 3. განაწილების (საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი რეალიზაცია) ფაქტორები (ДжефриВ., СаксФ;МакконнеллК.Р., БрюС.Л. და სხვ.). განიხილება არაპირდაპირი ფაქტორებიც (ასე მაგალითად, ხელფასის დონე, მოსახლეობის მიდრეკილება დაზოგვისადმი და სხვ.). ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი მიწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორები ურთიერდაკავშირებულნი არიან. ასე მაგალითად: უმუშევრობა, ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვაზე გაწეული ხარჯები და ა.შ. ანელებს კაპიტალის დაგროვების ტემპს და პირიქით. ამდენად, ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათებისას, ბუნებრივია, სასურველია მათ შორის არსებული კავშირების სიძლიერის განსაზღვრა. რაოდენობრივი თვალსაზრისით ამგვარი კავშირების დასახასიათებლად გამოიყენება კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე გლობალური ცვლილებები, იმდენადაა მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, რამდენადაც ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიობა სულ უფრო მეტად ღრმავდება. აქვე უნდა აღინიშნოს ეკონომიკური ზრდისადმი განსხვავებული შეხედულებების შესახებ. ასე მაგალითად, ბოლო ათწლეულში წარმოიშვა სერიოზული ეჭვები და მის საპირისპიროდ დამცავი არგუმენტები ეკონომიკური ზრდის სასურველობის შესახებ იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც უკვე მიაღწიეს კეთილდღეობის მისაღებ დონეს. თუმცა ასეთ დონემდე საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი უკლია, მაგრამ ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მასშტაბების ზრდასთან ერთად გასათვალისწინებელია რამდენიმე არგუმენტი.

### მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მეთოდი სისტემური მიდგომაა, ასევე გამოყენებულია სინთეზის, ანალიზის, შედარების, ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზი. გამოყენებულია როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების დამუშავებული მასალები (როგორცაა საკანონმდებლო აქტები, სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიში და ა.შ.).

### შინაარსი

ეკონომიკური ზრდის მიზანშეწონილობა ცალსახად არაა აღქმული ეკონომიკურ წრეებში. მას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეებიც. ეკონომიკური ზრდის, უფრო ზუსტად, სწრაფი და მაღალი ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგეების ძირითადი არგუმენტებია:

1. **ეკოლოგიური უსაფრთხოება.** ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების მაღალი დონე თავისთავად განაპირობებს სულ მეტი ნარჩენის გადამუშავებას, ასევე განვითარებად ქვეყნებში რესურსების არარაციონალური მოხმარება ეკოლოგიური კრიზისის საფრთხეს ზრდის. სწორედ ამიტომ თითოეული ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის მისაღები დონე

უნდა შეირჩეს, რაც ეკონომიკური განვითარების დადებით და უარყოფით მხარეებს დააბალანსებს, ანუ არსებულ პირობებში განისაზღვროს დაბიძგების ოპტიმალური დონე; „მწვანე ეკონომიკა“ სულ უფრო მეტ მხარდამჭერს იძენს. არაერთი ნაშრომი(Runnalls D.), პროგრამა(United Nations Environment Programme-environment for development და სხვ.), მათ შორის გზამკვლევი(Building Better Ecosystems: a Handbook for Tech Cluster Growth and Success, A Guidebook to the Green Economy და სხვ.) ეძღვნება ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებს. გარემოს დაბიძგება და მასთან დაკავშირებული საფრთხეები დაბლა სწევს ცხოვრების დონეს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გარემო ეფექტებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მთელ ეკოსისტემაზე და მეტიც, ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი კულტურის დაღუპვა ზღვარგადასულმა განვითარებამ განაპირობა. სწორედ ამიტომ როგორც რეგიონულ, ასევე ლოკალურ ასპექტში მნიშვნელოვანია ისე წარმართოს ეკონომიკური ზრდა, რომ მან დამღუპველი შედეგი არ მისცეს არც ცალკეულ ქვეყანას და არც მეზობელი ქვეყნების ეკოსისტემა დააზიანოს.

**2. შემოსავლების უთანაბრო განაწილება და სიღარიბის პრობლემა.** ცხადია, მხოლოდ ეკონომიკური ზრდით ვერ მოხერხდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევა. ქვეყნების უმრავლესობაში იზრდება ნაპრალი უმდიდრეს და უღატაკეს ფენებს შორის. უმეტესწილად სიღარიბე და სიღატაკე შემოსავლების უთანაბრო განაწილების მიზეზია. ეკონომიკური განვითარებით ამ პრობლემის დაძლევადა საჭიროა პოლიტიკური ნება და გააზრებული, თანმიმდევრული პოლიტიკა, სოციალური სამართლიანობის დაცვა;

**3. ხანგრძლივი დასაქმების გარანტიების უქონლობა.** სწრაფი ეკონომიკური ზრდა ტექნოლოგიების მუდმივ და სწრაფ განახლებას უკავშირდება, ძნელი ხდება ისეთი სამუშაო კატეგორიის მოძებნა, რომლის უნარ-ჩვევები სწრაფად არ ძველდება. ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად შრომის ფაქტორში ინვესტირების პროცესი მუდმივად და მიზანმიმართულად უნდა ხორციელდებოდეს, რაც თავის მხრივ დანახარჯებს საჭიროებს. ასე რომ, ეს ციკლური პროცესი გეგმაზომიერ მართვას გულისხმობს;

**4. ადამიანური ფასეულობები.** ჯანსაღი სურვილია, ადამიანი მიაღწიოს მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, თანამედროვე ეკონომიკური სისტემა კი სულ უფრო ნაკლებად მოითხოვს სამუშაოსადმი შემოქმედებით მიდგომას, რაც სამწუხაროდ, საბოლოო ჯამში სასიცოცხლოდ აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღების დროსაც კი გაუცხოების შეგრძნებას ბადებს.

**5. ზოგიერთ პროდუქტზე მოთხოვნის ხელფენური ზრდა.** არცთუ იშვიათად, წარმოება მომხმარებელის ისეთი გემოვნების ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული, რომელიც სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, მოხმარებას ზრდის. შესაბამისად, სურვილების გენერირებით მომხმარებელი ეკონომიკურ „ხაფანგში“ ებმება და მის მსახურად, მოხმარებაზე ორიენტირებულ სუბიექტად გადაიქცევა.

**6. შეზღუდული რესურსების შეუსაბამობა მსოფლიო მოსახლეობასთან.** გლობალური გარემოსდაცვითი მიმოხილვის მიხედვით (Global Environment Outlook), გარემოს მოთხოვნა ერთ სულზე 21,9 ჰექტარია, ხოლო ბიოლოგიური შესაძლებლობა კი 15,7 ჰექტარი. ცხადია, არსებული ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, ეკოლოგიური ბალანსის დაცვა გაძნელებულია.

ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მხარეების ანალიზმა ზოგიერთი ეკონომისტი იმ მოსაზრებამდეც კი მიიყვანა, რომ საჭიროა, ეკონომიკური ზრდის დაბალი დონის შენარჩუნება, ანუ მოხდეს „არაეკონომიკური“ ზრდა. ამ იდეის მომხრეთა შორის მწვანეთა პარტიებიც არიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეკონომიკა გლობალური საზოგადოებისა და გლობალური ეკონომიკის ნაწილად უნდა აღიქმებოდეს და მისი განვითარება ბუნებრივი გარემოს დაზიანების გარეშე უნდა ხდებოდეს.

საკმაოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის მომხრეების არგუმენტებიც:

1. **შემოსავლების მხრივ გლობალური უთანასწორობის შემცირება.** გლობალური სიღატაკის შემცირება მნიშვნელოვნად უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, როგორც აღინიშნა, არანაკლებ აქტუალურია ეკონომიკური ზრდის შედეგად გაზრდილი შემოსავლები როგორ ნაწილდება. ემპირიული დაკვირვებითაც ჩანს, რომ სიღატაკე განსაკუთრებით იქ მძლავრობს, სადაც ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელია (მაგალითად, აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა). რაც უფრო მაღალია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, მით მეტია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის შანსი.

2. **ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა.** ინოვაციური მიდგომები ახალ შესაძლებლობებს უქმნის კაცობრიობას. ტექნოლოგიურმა წინსვლამ ადრე მიუწვდომელი რესურსები გამოყენებადი გახადა, მოხდა რესურსების ჩანაცვლება და ა.შ. ამასთან ეკონომიკური აქტივობის ზრდა თავისთავად განაპირობებს რესურსების მოხმარების ზრდას. ეკონომიკური ზრდის დადებითი ტენდენცია ექსპონენციალური ფუნქციის სახით აღიწერება. ცნობილია, რომ ექსპონენციალური ფუნქციით აღწერილი რაოდენობა რეგულარული დროითი ინტერვალების მიხედვით ორმაგდება (სხვაგვარად მას „დროის გაორმაგებასაც“ უწოდებენ). ამ პერიოდში კი უნდა მოახერხდეს ისეთი „ჩანაცვლება თერაპია“, რომ მასშტაბული უარყოფითი შედეგები თავიდან იყოს აცილებული. კანადელი მეცნიერის დ.სუძუკის (Suzuki D., Boyd D.) აზრით, ეკოლოგიური პროცესები არ გამწვავდება, თუ წელიწადში 1,5-3% ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდება, სოფლის მეურნეობისადმი უფრო მაღალი მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში მოხდება ნიადაგისა და ტყის რესურსების გამოფიტვა-განადგურება. თუმცა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელია ახალი ტექნოლოგიები და ეფექტიანობის ამაღლების სხვა სახეები.

ტექნიკის სრულყოფა ბევრ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს ტრადიციული რესურსების გამოყენების ზრდას, ახალი რესურსების ჩანაცვლებას გამოსავალია, თუმცა ძველი რესურსების ამოწურვამდე ახალი რესურსების წარმოებაში ჩაშვება შეიძლება დროში აცდეს კიდევ ერთმანეთს. დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის (Government Digital Strategy Reports and Research) მიხედვით, ფრიად შთამბეჭდავი პროგნოზი კეთდება: თუ მოხდება მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ის ინვესტირება ეკოლოგიის სფეროში, თავიდან იქნება აცილებული კლიმატის გაუარესება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებელი დაიწევს 20%-ით. ასევე არსებობს ლორდ ლაუსონის მოსაზრება (Lord Lawson of Blaby) იმის შესახებ, რომ ერთ საუკუნეში მომავალი თაობები დაახლოებით შეიძვერმდირები იქნებიან, ვიდრე დღევანდელი თაობაა, ამიტომაც არაა საჭირო მიმდინარე ეტაპზე მსხვერპლშეწირვის პოლიტიკის გატარება.

ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი შედეგების გამო ეკონომიკური ზრდა ფართო ინტერესის საგანია და ის სცილდება ეკონომიკის სფეროს, რაც მისი ანალიზისა და პროგნოზირების საკითხს მეტ აქტუალობას სძენს.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ამსახველი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყანაში მუდმივი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ბოლო წლებში ვერ მოხერხდა, რაც გამოწვეული იყო გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, რეგიონალური თუ სხვა მიზეზებით. თუ განვიხილავთ 2008-2014 წლის მონაცემებს (იხ. ცხრილი 1), აღმოჩნდება, რომ 2009, 2012 და 2013 წლებში ზრდის ტენდენცია ვერ შენარჩუნდა. წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2014 წელი გაურესებული მაჩვენებლებით არ უნდა დასრულდეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ მზარდია 2009 წლიდან დღემდე.

**ცხრილი 1. მთლიანი შიდა პროდუქტი 2008-2014 წლებში<sup>106</sup>**

<sup>106</sup> \* ნიშნავს, რომ დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2014 წლის 17 ნოემბერს



	2008	2009	2010	2011	2012	I 13*	II 13*	III 13*	IV 13*	2013*	I 14*
მშპმომდინარე ფასებში, მლნ.ლარი	19074.9	17986.0	20743.4	24344.0	26167.3	5780.9	6532.3	6837.3	7674.4	26824.9	6318.6
მშპ მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ.ლარი	12491.4	12019.7	12771.3	13687.5	14533.6	3164.0	3728.5	3897.8	4221.0	14996.7	3387.1
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	2.3	-3.8	6.3	7.2	6.2	2.4	1.5	1.4	7.1	3.2	7.1
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება	9.7	-2.0	8.5	9.5	1.2	-0.4	-0.7	-1.1	-0.4	-0.7	2.1
მშპ ერთ სულზე (მომდინარე ფასებში), ლარი	4352.9	4101.3	4675.7	5447.1	5818.1	1289.3	1456.9	1524.9	1711.6	5982.6	1407.1
მშპ ერთ სულზე (მომდინარე ფასებში), აშშ დოლარი	2921.1	2455.2	2623.0	3230.7	3523.4	777.8	882.8	918.9	1015.4	3596.6	804.3
მშპ (მომდინარე ფასებში), მლნ. აშშ დოლარი	12800.5	10767.1	11636.5	14438.5	15846.8	3486.4	3958.4	4120.3	4552.9	16126.4	3611.8

ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინვესტიციების ოდენობაზე. ცხადია, იგულისხმება, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი, როგორც უცხოური, ასევე სამამულო ინვესტიციები. ამჯერად ყურადღება გამახვილდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რომელთა დინამიკა უპირატესად განაპირობებს კიდევ ეკონომიკურ ზრდის ტემპის დინამიკას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბების ზრდაც გლობალიზაციის თანმდევ პროცესად განიხილება.

თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებს (იხ. ცხრილი 2.) ეკონომიკური ზრდის მონაცემებს შევადარებთ, დადასტურდება ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ ორ მაჩვენებლის ცვლილებას თითქმის ერთი და იგივე მიმართულება აქვს. კერძოდ, როგორც ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ 2009, 2012 და 2013 წლებში ვერ მოხერხდა ზრდის ტენდენციის შენარჩუნება, ასევე შემცირდა წინა წელთან შედარებით პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 2009, 2012 და 2013 წლებში.

**ცხრილი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ.აშშ. დოლარებში)**

წელი	სულ	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0

2010	<b>814.5</b>	166.5	208.3	225.6	214.1
2011	<b>1 117.2</b>	209.7	248.3	316.6	342.6
2012	<b>911.6</b>	261.2	217.7	199.0	233.7
2013*	<b>697.3</b>	226.2	232.4	238.7	

მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის პირობებში რესურსები, რომლებიც საფინანსო ბაზრებზეა განთავსებული, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაფინანსების დიდ შესაძლებლობებს იძლევა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ პროცესს სწორი მართვა სჭირდება როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხით, რადგან არაკვალიფიციური მიდგომით ქვეყანაში კრიზისული სიტუაციები იქმნება. კერძოდ, დიდი მასშტაბის საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში, საფრთხის შემცველია სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე უარყოფითი ზეგავლენის გამო.

თანამედროვე ეკონომიკური პროცესები ისე მიმდინარეობს, რომ პრაქტიკულად თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობა დაინტერესებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვით, რადგან ეს უკანასკნელი პოზიტიურად ზემოქმედებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. პოზიტიური ზემოქმედება განსაკუთრებით შესამჩნევია ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, რადგან უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა და ექსპორტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. აღნიშნული კავშირების გათვალისწინება მცირე ეკონომიკის ქვეყნებს შეზღუდული შიდა ბაზრების პრობლემას ურბილებს. უცხოელ ინვესტორებს საქართველოში იაფი მუშახელი, გამართული ინფრასტრუქტურა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა იზიდავთ.

საქართველო ეკონომიკის აღორძინებას ცდილობს. ეკონომიკის გაჯანსაღების საკვანძო მიმართულებად კი ინვესტიციების მოზიდვა მიიჩნევა. ამ მხრივ საქართველოსა და მისი მეზობლების შესაძლებლობები განსხვავებულია რესურსული პოტენციალისა და ეკონომიკური განვითარების არსებული დონის მიხედვით.

როგორც ხშირად ხდება, სხვადასხვა ჭრილში უნდა განიხილებოდეს ესა თუ ის პროცესი. ასევეა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაშიც. ისინი უპირატესად ხელს უწყობენ სამამულო წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიების, უნარ-ჩვევების, ორგანიზაციული ფორმებისა და ა.შ. დანერგვას, თუმცა უარყოფითი შედეგების გამოწვევაც შეუძლიათ. ასე მაგალითად, შეავიწროონ და გარკვეულწილად, ქვეყნის ბაზრიდან გამოდევნონ კიდევ შიგა ინვესტიციები, ხელი შეუწყონ მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, საფუძველი ჩაუყაროს ან გააღრმავოს უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის შიგა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ინვესტიციების გამცემი ქვეყნის ჩარევის მასშტაბები და სხვ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მხარე კიდევ უფრო გაძლიერდება, თუ სახელმწიფო რეგულაციები ქვეყნის ბუნებრივი გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და სხვა მსგავსი საკითხების მიმართ ზედმეტად ლიბერალურ დამოკიდებულებას გამოიჩენს. ცხადია, ინვესტორი მაქსიმალური მოგებისკენ მიისწრაფვის, რაც საზოგადოებისა და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების შელახვის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ამასთან, უცხოეთიდან დაფინანსებული საინვესტიციო პროექტებიდან მიღებული მოგების ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ გაედინება, ანუ სამამულო ეკონომიკაში არ რჩება. ამ თვალსაზრისით უპირატესია სამამულო კერძო თუ სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები. ზომიერი რეგულაციის შემთხვევაში დაცული იქნება როგორც ქვეყნის, ასევე ინვესტორის ინტერესებიც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არის მცდელობები ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა განისაზღვროს სხვადასხვა მეთოდიკით. ერთ-ერთი მათგანია

ედვარდ დენისონის ([Kendrick, John W.](#)) მიერ შემუშავებული სქემა, რომლის მიხედვით ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი შვიდი ფაქტორი დაშლილია ნაწილებად: რესურსების განაწილების გაუმჯობესება, საკანონმდებლო-ინსტიტუციური და სხვა ფაქტორები. საკვლევი პერიოდი 53 წელს მოიცავდა. გაანგარიშების შედეგად დადგინდა საშუალო ზრდის ტემპი და ყოველწლიური ნაზრდი, რომელიც თითოეული ფაქტორის საშუალებით განისაზღვრება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა აღნიშნული გამოკვლევიდან მდგომარეობს იმაში, რომ შრომის მწარმოებლურობა არის ის ფაქტორი, რომელიც განაპირობებს რეალური პროდუქციისა და შემოსავლების ზრდას.

### დასკვნები

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად შეიძლება მიჩნეულ იყოს:

- რესურსების რაციონალურად გამოყენება და ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობების დაცვა;
- ეკონომიკის განვითარება და მოდერნიზაცია სტაბილიზაციის პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც დაიცავს და შეაჯერებს მოთანამშრომლე მხარეების ინტერესებს;
- სახელმწიფო რეგულაციის გამოყენება საზოგადო და ეროვნული ინტერესების დასაცავად;
- დინამიური წონასწორობის მიღწევა, რომელიც მიმდინარე და მომდევნო ეტაპებზე ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაფუძნებული იქნება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დაგროვილი ტექნოლოგიური და ორგანიზაციული გამოცდილების ათვისებასა და გამოყენებაზე. **გამოყენებული ლიტერატურა:**

ხადური ნ. (2010) საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. <http://www.pfd.ge/files/Economic%20Development/Paper%20Competitiveness%20GEO.pdf>

ДжефриВ., СаксФ., (1996). Дорени. Макроэкономика. Глобальныйподход. Москва: Дело.

МакконнеллК.Р., БрюС.Л., (1992). Экономикс, Т.1. Москва: Республика.

МенкьюГ.Н., (1993). Макроэкономика. Москва: ИздательствоМГУ.

A Guidebook to the Green Economy. (2012). [UNDESA, \(2012\). A guidebook to the Green Economy.](#)

Barro R., Sala-i-Martin X. (1995). Economic growth, New-York

Building Better Ecosystems: a Handbook for Tech Cluster Growth and Success.

<http://www.communitech.ca/wp-content/uploads/2011/10/Building-a-Better-Ecosystem.pdf>

Cesaratto S. (1999) New and old neoclassical growth theory: a critical assesment, in Mongiovi G. and Petri F., London, Routledge

Chesaratto S. (1999) Savings and economic growth in neoclassical theory, *Cambridge Journal of Economics*, No.6

Denison Edward F. (1985). Trends in American Economic Growth. Washington. The Brookling Institution

Ghosh Sh., Applegate L., Ghosh R/. Kumar A. (2011) The Sandbox: Creating a Botton-Up Entrepreneurial Ecosystem. Harvard Business School, N9-811-053, April 18

Global Environment Outlook. GEO4 environment for development. [www.unep.org/geo/geo4/report/geo-4\\_report\\_full\\_en.pdf](http://www.unep.org/geo/geo4/report/geo-4_report_full_en.pdf)

Government Digital Strategy Reports and Research.

<https://www.gov.uk/government/collections/government-digital-strategy-reports-and-research>

[Kendrick, John W.](#) (1993), "In Memoriam: Edward F. Denison, 1915–1992", *Review of Income and*

*Wealth*39 (1): 117–119, [doi:10.1111/j.1475-4991.1993.tb00442.x](https://doi.org/10.1111/j.1475-4991.1993.tb00442.x).

Lord Lawson of Blaby <http://www.parliament.uk/biographies/lords/lord-lawson-of-blaby/1039>  
Runnalls D. (2011) Environment and Economy: joined at the hip or just strange bedfellows? [Runnalls, D. \(2011\) "Environment and economy: joined at the hip or just strange bedfellows?". S.A.P.I.EN.S. Vol.4, http://sapiens.revues.org/1150](#)

Suzuki D., Boyd D. David Suzuki's Green Guide (2008), <http://davidrichardboyd.com/books/david-suzukis-green-guide/>

United Nations Environment Programme-environment for development  
<http://www.unep.org/greeneconomy/greeneconomyreport/tabid/29846/default.aspx>

ინტერნეტ-რესურსები:

[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=118&lang=ge](http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=ge) – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სააგენტოს საიტიდან

<http://www.economy.ge/ge/economic-data/macroeconomic-indicators> – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საიტიდან

<http://www.mof.ge/4827> – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საიტიდან

### **About some peculiarities of the economic growth of the country**

**Nino Mikiashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

#### **Summary**

The economic growth and associated issues have been very urgent in recent decades. The problem of economic growth is particularly acute in the countries with developing economies, as the long and stable trends in their economic growth are much important for them. Globalization and associated economic and other processes greatly influence the economic growth. The work considers the arguments of the proponents and opponents of the economic growth and impact of the direct foreign investments on the economic growth. The data analysis has justified the assumption suggesting that the change of the indicators of the direct foreign investments and economic growth almost have the same trend. The work also proves that the volume of the direct foreign investments is necessary to regulate.

### **ფისკალური მდგრადობა და მისი შეფასების ინდიკატორები**

**მარინა მუჩიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოციირებული პროფესორი*

ფისკალური, ანუ სახელმწიფო ფინანსების მდგრადობა არის სახელმწიფოს უნარი შეინარჩუნოს მისი მიმდინარე ხარჯები, საგადასახადო და სხვა ეკონომიკური პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში, სახელმწიფოს გადახდისუნარიანობისათვის საფრთხის წარმოქმნის, ან მისი ცალკეული სახის ვალდებულებებზე და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების(მ. შ. საპენსიო, ჯანდაცვისა და სხვა) გაწევაზე უარის თქმის გარეშე.

ფისკალური მდგრადობის საყოველთად მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. ამის მიუხედავად, ბევრი ეკონომისტი ეთანხმება მაგალითად, ბლანშარდის განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც (1990) ფისკალური მდგრადობა მიიღწევა მაშინ, როცა მიმდინარე

პოლიტიკაზე დაყრდნობით, მთავრობა თავს არიდებს დიდი მოცულობის ვალის დაგროვებას, უფრო კონკრეტულად, მდგრადი ფისკალურ პოლიტიკა გულისხმობს ვალი/მშპ თანაფარდობის დაბრუნებას მის თავპირველად დონეზე. ბლანშარდი თავის განსაზღვრებაში ყურადღებას ამახვილებს ვალის დინამიკაზე და არა თვითონ ვალის ცნების ზუსტ განსაზღვრებაზე. მსგავსი განსაზღვრებაა მოცემული ბიუნტერის მიერაც (1985), რომლის მიხედვითაც, ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს წმინდა აქტივების მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის შენარჩუნებას წმინდა ღირებულების დონეზე. ეს განსაზღვრებები არსებითად ერთი და იგივეა. ისინი განსხვავდება მხოლოდ სტატისტიკური თვალსაზრისით. წმინდა ღირებულებაზე ფოკუსირებით, ბიუნტერი ცალსახად უსვამს ხაზს იმას, რომ სახელმწიფომ დეფიციტის დასაფინანსებლად მისი აქტივების გამოყენების გზით შესაძლოა დროებით თავიდან აიცილოს მთლიანი ვალის ზრდა, თუმცა, ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში მთლიანი ვალი არ იზრდება მყისიერად, არ ნიშნავს მდგრადობას, რადგან სახელმწიფო ადრე თუ გვიან მოახდენს მისი აქტივების გადაფასებას და ვალი კვლავ დაიწევს ზრდას.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბლანშარდის განსაზღვრება არც ისე ზუსტია, სულ მცირე, ორი მიზეზის გამო. პირველი, არ არსებობს თეორიული მიზეზი, თუ რატომ უნდა დაუბრუნდეს ვალის მშპ-თან თანაფარდობა თავდაპირველ ზომას და არა სხვა რაიმე სტაბილურ დონეს, რომელიც ამ სიდიდეზე მეტი /ან ნაკლები იქნება. მეორე, შეიძლება შემუშავდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამოიწვევს თავდაპირველად ვალის თანაფარდობის ზრდას (იმ დონემდე, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას ბაზრის მონაწილეების მიერ გადაჭარბებულად) და მოგვიანებით, ვალის დონის შეამცირებას და მის უკან დაბრუნებას „უსაფრთხო“ დონემდე.

უფრო ზოგადი განსაზღვრების მიხედვითაც, ფისკალური პოლიტიკა არის მდგრადი, თუ მომავალი პერიოდების პირველადი პროფიციტის მიმდინარე ღირებულება უტოლდება ვალის მიმდინარე ღირებულების. ეს განსაზღვრება გამოყვანილ იქნა პერიოდთაშორისი (ინტერ-ტემპორალური) საბიუჯეტო შეზღუდვიდან. სახელმწიფო გადახდისუნარიანია, თუ მას გააჩნია უნარი დროის უსასრულო პერიოდში გადაიხადოს ვალი მომავალი პერიოდის ბიუჯეტების სიჭარბის ხარჯზე. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო გადახდისუნარიანია, თუ დაცულია პერიოდთაშორისი საბიუჯეტო პირობა<sup>107</sup>.

ბევრ ქვეყანაში განხორციელებული კვლევები ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის შესაფასებლად ეყარება ამ სახელმწიფოების ფინანსების გრძელვადიან პროგნოზებს, რის საფუძველზეც ისინი ცდილობენ შეაფასონ, არის თუ არა საჭირო მიმდინარე ფისკალურ პოლიტიკაში შესწორებების შეტანა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომავალში დაგეგმილ შემოსავლებსა და გასაწევი ხარჯების სიდიდეებს შორის შესაბამისობა. საჭირო შესწორება ხორციელდება ფისკალური გარდვევის (ფისკალური უფსკრულის) მაჩვენებლის გაანგარიშების გზით.

უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტებს შორის არ არის კონსენსუსი ფისკალური მდგრადობის შეფასების კრიტერიუმებზე. მიუხედავად ამისა, ამ მიზნით ყველაზე ხშირად გამოიყენება პერიოდთაშორისი (**inter-temporal**) საბიუჯეტო შეზღუდვა ან პერიოდთაშორისი წონასწორობის პირობა, რომელიც გამოითვლება ფორმულით<sup>108</sup>:

$$B_t = \sum_{i=1}^{\infty} (1+r)^{-i} P B_{t+i}$$

<sup>107</sup> Aleš Křejdl: Fiscal Sustainability - Definition, Indicators and Assessment of Czech Public Finance Sustainability. W/P3.

<sup>108</sup> Bohn, H., 2005. The Sustainability of Fiscal Policy in the United States (CESifo Working Paper Series No. 1446). CESifo Group Munich.

სადაც,

Bt - მთლიანი სახელმწიფო ვალი/ მშპ-ში თანაფარდობა გრძელვადიანი პროგნოზების წინა წელს;

r - სახელმწიფო ვალის რეალური საპროცენტო განაკვეთსა და ეკონომიკის რეალურ ზრდის ტემპს შორის სხვაობა;

PB<sub>t</sub> - პირველადი ბალანსი (primary balance), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის (საპროცენტო ხარჯების გამოკლებით) სხვაობას.

სახელმწიფოს პერიოდთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვა ადგენს ტოლობას ვალის საწყისდონესა და მომავალი სიჭარბის მიმდინარე ღირებულებას შორის.

ფისკალური მდგრადობის შესაფასებლად ბევრი სხვადასხვა ინდიკატორი გამოიყენება, რომლებიც ძირითადად ზომავენ იმ ფისკალურ შესწორებებს, რაც საჭიროა სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის ჩარჩოებში შესანარჩუნებლად. მაგალითად, S1 და S2 ინდიკატორების მეშვეობით იზომება შესაბამისად, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მდგრადობის რისკები. განსხვავებული მიზანი აქვს ფისკალური მდგრადობის ში ინდიკატორს. ის იძლევა მდგრადობის გამოწვევების შეფასებას მოკლევადიან პერიოდში. ასე, რომ ფისკალური მდგრადობის სრული შეფასებისათვის საჭიროა ამ სამივე ინდიკატორის გამოყენება.

ინდიკატორის სპეციფიკა დამოკიდებულია ფისკალური მდგრადობის განსაზღვრებაზე და იმ მოდელის ჩარჩოებზე, რომელიც გამოიყენება კვლევაში. ყველაზე ხშირად გამოიყენება საშუალო და გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ე. წ. საგადასახადო უფსკრულის

ინდიკატორის სპეციფიკა დამოკიდებულია ფისკალური მდგრადობის განსაზღვრებაზე და იმ მოდელის ჩარჩოებზე, რომელიც გამოიყენება კვლევაში. ყველაზე ხშირად გამოიყენება საშუალო და გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ე. წ. საგადასახადო უფსკრულის (Tax-gaps) ინდიკატორები. მათი საშუალებით გამოითვლება ის ფისკალური უფსკრული (საბიუჯეტო საშუალებების დეფიციტი - fiscal gap), რომელიც უნდა ამოივსოს, რათა მიღწეული იქნას საჯარო ფინანსების მდგრადობა. რაც უფრო დიდია ინდიკატორის რიცხვითი მნიშვნელობა, პირველად ბალანსს ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად მით უფრო დიდი ზომის შესწორება ესაჭიროება. ინდიკატორების უარყოფითი მნიშვნელობა მიუთითებს პერიოდთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვის შესრულებაზე. თუმცა, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მდგრადობის ინდიკატორები არ იძლევიან იმის დადგენის საშუალებას, თუ როგორ განხორციელდეს შესწორება. ამის გამო, მათ ხშირად საგადასახადო უფსკრულის (Tax-gaps) ინდიკატორებსაც უწოდებენ. ფისკალური მდგრადობის მისაღწევად საჭირო შესწორებები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. კერძოდ, ან შემოსავლების ზრდით (ჩვეულებრივ პირდაპირი ან ირიბი გადასახადების განაკვეთების გაზრდის საფუძველზე), ან სოციალური (საპენსიო დასხვა სახის), ან სხვა სახის დანახარჯების შემცირების ს ხარჯზე. პოლიტიკის შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი პოტენციური ზემოქმედება ეკონომიკაზე ან ფისკალურ მდგრადობაზე. მაგალითად, ფისკალური უფსკრულის დასძლევა საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვანმა ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება, რაც საშუალო და გრძელვადიან მდგრადობაზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.

დროის უსასრულო პერიოდის ანუ S2 მდგრადობის ინდიკატორი, ევროსაბჭოში შესრულებულ გამოკვლევებში განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით<sup>109</sup> :

<sup>109</sup> European Commission, 2009. Sustainability report 2009.

$$ITGAP = \frac{(r - g)(b_t - \sum_{i=1}^{\infty} (\frac{1+g}{1+r})^i p b_{t+i})}{1 + g}$$

სადაც,

- არის ვალი/მშპ;
- სახელმწიფო ვალის საპროცენტო განაკვეთი(რეალური);
- ეკონომიკის ზრდის ტემპი.

სადაც,

- $b_t$  - არის ვალი/მშპ;
- $r$  - სახელმწიფო ვალის საპროცენტო განაკვეთი(რეალური);
- $g$  - ეკონომიკის ზრდის ტემპი.

ის გრძელვადიანი ფისკალური გამოწვევები, ფისკალური უფსკრულის სახით, რაც უკავშირდება მომავალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების პროგნოზირებულ შემოსავლებზე გადამტებას, პირველადი ბალანსის მნიშვნელობასთან ერთად, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ვალი/ მშპ თანაფარდობა არ იზრდებოდეს მუდმივად, გამოითვლება S2 ინდიკატორით. ამ ინდიკატორის ერთ-ერთი კომპონენტი შეესაბამება სხვაობას პირველად სტრუქტურულ ბალანსსა და ვალის სტაბილიზაციის პირველად სიჭარბეს შორის, რათა უზრუნველყოფილი იქნას ფისკალური მგრადობა. გარდა ამისა, S2 მოიცავს კომპონენტს, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის დაბერებით გამოწვეულ დანახარჯებს.

ფისკალური მდგრადობის შესახებ ევროსაბჭოს 2012 წლის მოხსენების მიხედვით ფისკალური მდგრადობა შ2 ინდიკატორის გამოთვლის საფუძველზე ფასდება შემდეგნაირად:

- 1). თუ ინდიკატორის მნიშვნელობა ნაკლებია 2-ზე, ქვეყანა ფასდება, როგორც დაბალი რისკის მქონე.
- 2). თუ ინდიკატორის მნიშვნელობა მოთავსებულია 2-სა და 6-ს შორის, ქვეყანა ფასდება, როგორც საშუალო რისკის მქონე.
- 3). თუ ინდიკატორის მნიშვნელობა მეტია 6-ზე, ქვეყანა ფასდება, როგორც მაღალი რისკის მქონე.

საშუალოვადიან პერიოდში არსებული ფისკალური გამოწვევების შესაფასებლად გამოიყენება S1 ინდიკატორი, რის საფუძველზეც გამოითვლება სხვაობები ხარჯებსა და შემოსავლებს შორის, რის საფუძველზეც განხორციელდება მუდმივი შესწორებები სტრუქტურულ პირველად ბალანსში 2020 წლამდე პერიოდში, რათა ვალი/ მშპ თანაფარდობა დაყვანილი იქნას 2030 წელს 60%-ს დონემდე. S1 ინდიკატორის ერთი კომპონენტი შეესაბამება სხვაობას მიმდინარე სტრუქტურულ პირველად ბალანსსა და ვალის სტაბილიზაციის პირველად სიჭარბეს შორის, რათა მიღწეული იქნას ფისკალური მდგრადობა. ის ასევე მოიცავს მოსახლეობის დაბერების შესაბამის კომპონენტს, რაც არის შესწორება პირველადი ბალანსის მიმართ. S1 ინდიკატორი ასევე, მოიცავს დამატებით კომპონენტს, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ვალის მოთხოვნის დადგენილ სიდიდეზე განსაზღვრული დროითი პერიოდის ბოლოს (მშპ-ის 60% 2030 წლისათვის).

ფისკალური მდგრადობის შესახებ ევროსაბჭოს 2012 წლის მოხსენების მიხედვით ფისკალური მდგრადობა S1 ინდიკატორის გამოთვლის საფუძველზე ფასდება შემდეგნაირად:

- 1) თუ ინდიკატორის მნიშვნელობა 0-ზე ნაკლებია, ასეთ შემთხვევაში ქვეყანა შეფასდა, როგორც დაბალი რისკის მქონე;
- 2) თუ პირველად ბალანსში საჭირო სტრუქტურული შესწორება 2020 წლამდე პერიოდში მშპ-ის 0.5 პროცენტულ პუნქტს აღემატება, ქვეყანა არის საშუალო ზომის რისკის ქვეშ.
- 3) თუ ინდიკატორი მეტია 2,5 -ზე (რაც ნიშნავს, რომ სტრუქტურული შესწორება, რომელიც საჭიროა ყოველწლიურად,

აღმატება მშპ-ის 0.5 პროცენტულ პუნქტს), ქვეყანა ფასდება, როგორც მაღალი რისკის მქონე.

S0 ინდიკატორის გამოთვლის მეთოდოლოგია განსხვავდება S1 და S2 ინდიკატორების გამოთვლის მეთოდოლოგიისაგან, რომლებიც ითვლიან ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად საჭირო ფისკალურ შესწორებებს. S0 ინდიკატორი არ იძლევა ფისკალური უფსკრულის სიდიდისა და საჭირო ფისკალური შესწორების რაოდენობის ზომის დადგენის საშუალებას. ის ითვლის მოკლევადიან ფისკალურ გამოწვევებს და არის შედგენილი ინდიკატორი, რომელიც აფასებს იმას, თუ რამდენად მაღალია ფისკალური რისკი მოკლევადიან პერიოდში. S0 ინდიკატორი მოიცავს: ფისკალურ, ფინანსურ და კონკურენტუნარიანობის ინდიკატორებს, რაც ფისკალური წნეხის ადრეულ ეტაპზე განსაზღვრის საშუალებას იძლევა. მაშასადამე, ეს ინდიკატორი გამოიყენება ფისკალურ მდგრადობაზე ფისკალური, ფინანსური და კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ზეგავლენის მოკლევადიანი რისკების გამოსავლენად. შესაბამისად, ეს მოიცავს ფისკალური და ფინანსურ- კონკურენტული ცვლადების მთლიან სიმრავლეს.

S0 ინდიკატორის გამოთვლის მნიშვნელობა გაიზარდა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების გახშირების ფონზე (რომლებიც, როგორც წესი, საბოლოოდ სავალ კრიზისებში გადაიზრდება ხოლმე), რადგან ის მოსალოდნელი კრიზისების შესახებ წინანწარ შეტყობინებას იძლევა. მეთოდოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს S0 ინდიკატორის გამოთვლას, ითვალისწინებს ფისკალური „რისკების ჭერების“ ენდოგენურ განსაზღვრას. თუ S0 ინდიკატორის მნიშვნელობა აღმატება ე. წ. „ჭერების“ მნიშვნელობებს, ეს მიუთითებს პოტენციურ მოკლევადიან რისკებზე მოკლევადიან პერიოდში. ზოგადი მოკლევადიანი მდგრადობის გამოწვევები შეიძლება შეფასდეს S0 ინდიკატორით, ხოლო მისი ორი ქვე-ინდექსით შეიძლება დადგინდეს რისკები, რომელიც მოდის სპეციფიკური სფეროებიდან (ფისკალური, ფინანსურ-კონკურენტული), რაც შეიძლება ან აიხსნას, ან ვერ აიხსნას მხოლოდ S0 ზოგადი ინდიკატორით. ქვეყნის დონეზე ფისკალური წნეხის მოკლევადიანი რისკების უფრო ზუსტი იდენტიფიკაცია შესაძლებელია ინდივიდუალური ცვლადების ანალიზის გზით, საკუთარ „ჭერებთან“ შედარების საფუძველზე.

ევროსაბჭოს „ფისკალური მდგრადობის 2012 წლის მოხსენების“ მიხედვით, ის ქვეყნები, რომელთა ზოგადი ინდექსი იყო ჭერებს ზევით (0,43-ზე დიდი სიდიდე), მომდევნო წელს ექცეოდნენ ფისკალური წნეხის ქვეშ.

ბოლო წლების მსოფლიო საფინანსო კრიზისმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბევრი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ფისკალურ მდგრადობაზე, რაც გამოიხატა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის წილის გაზრდაში. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოს მთავრობის ვალი/მშპ-ში 36,5%-ს აღწევდა. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით გათვალისწინებულია, რომ ეს მაჩვენებელი მშპ-ის 36 %-ის დონეზე დარჩეს. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით საგარეო ვალი/ მშპ-თან 27%-ს, საგარეო ვალი/ექსპორტთან- 53%-ს, საგარეო ვალი/ ბიუჯეტის შემოსავლებთან 99%-ს, ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ-თან 3,9%-ს მიაღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ძირითადად დასაშვებ ზომებში რჩება, ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის პრობლემების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოში აქტუალურია სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის ობიექტური ანალიზის განხორციელება, რაც მოიცავს ფისკალური მდგრადობის შეფასებას მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისათვის.



Summary

The deterioration in fiscal positions and increase in government debt since 2008, together with the budgetary pressures caused by population aging, compound each other and make fiscal sustainability an acute policy challenge. Analyzing government debt/GDP ratios and risks to fiscal sustainability is therefore crucial nowadays for Georgia, to be able to formulate appropriate policy responses and restore credibility and confidence. Developments in the recent past have confirmed that fiscal sustainability challenges have not only long-term nature, but it has short- and medium-term dimensions, as presented in the 2012 Fiscal Sustainability Report. In this paper the main fiscal sustainability indicators are given.

მარკეტინგული ეთიკის თავისებურებები  
საცალო ვაჭრობაში

ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი

საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მარკეტინგული ეთიკა ვითარდება სამი მიმართულებით:

- ეთიკა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- კონსიუმერიზმი (3, გვ. 73).

ეთიკაში იგულისხმება საცალო ვაჭრობაში დასაქმებული ადამიანების ქცევის მორალური პრინციპები და ფასეულობები. საცალო ვაჭრობის სოციალური პასუხისმგებლობა გამოიხატება იქ დასაქმებული ადამიანების საზოგადოების სასარგებლოდ შრომაში. კონსიუმერიზმი წარმოადგენს მასობრივ მოძრაობას მომხმარებელთა უფლებების დასაცავად.

საცალო ვაჭრობაში ეთიკური ნორმების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საცალო ვაჭრობა წარმოადგენს საქონელმოძრაობის დამამთავრებელ სტადიას, რომელიც უშუალო კავშირშია მომხმარებელთან და რომლის გავლითაც პროდუქტი სტოვებს მიმოქცევის სფეროს და გადადის მოხმარების სფეროში. ცხადია, ეთიკური პრინციპების შესაბამისად მუშაობა დადებითად მოქმედებს მომხმარებლებზე და ხელს უწყობს მათ მიერ ყიდვაზე გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, ეთიკური ნორმების დაცვა სავაჭრო პერსონალის მიერ აუცილებელი პროცესია. საცალო სავაჭრო საწარმოების ეფექტიანად

მუშაობის ალბათობა მკვეთრად იზრდება, როცა ... . . მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონების მოთხოვნებთან ერთად ეთიკურ ნორმებსაც დაემყარება“ (4, გვ. 42).

ეთიკურ ნორმებს, ცხადია, არ აქვს იურიდიული ძალა. მათ შესაბამისად მოქმედებას საცალო ვაჭრობის პერსონალს სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვერ დაავალდებულებენ. მაგრამ, გონიერმა მენეჯერებმა და გამყიდველებმა იციან, რომ ეთიკური ნორმების დაცვით იზრდება საცალო ვაჭრობის რეპუტაცია, რაც ეფექტიანად მუშაობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ამასთან, საცალო ვაჭრობის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ეთიკა განვითარებადია ( 6 ) და არ არის მიზანშეწონილი მოძველებული ეთიკური პრინციპების შესაბამისად მოქმედება. მართალია, ეთიკის ფუძემდებლური პრინციპები არ იცვლება, მაგრამ, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ეთიკური ნორმებიც განიცდის ცვლილებას. ცხადია, ეთიკური ნორმები ვერ იქნება დოგმა ყველა დროისთვის.

როგორც წესი, ეთიკური ქცევა ითვალისწინებს, ერთი მხრივ, კანონის შესაბამისად მოქმედებას, მეორე მხრივ, უშუალოდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში და მთელ საზოგადოებაში აღიარებული ეთიკური პრინციპების დაცვას.

საცალო ვაჭრობაში ეთიკური საკითხები უშუალოდ უკავშირდება მარკეტინგის კომპლექსის ელემენტებს. ამერიკელი მეცნიერები ლ. ბუნი და დ. კურტცი „თანამედროვე მარკეტინგი“-ს სახელმძღვანელოს მე-11 გამოცემაში მარკეტინგული ეთიკის საკითხებს სწორედ მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების ჭრილში განიხილავენ (1, გვ. 119). ისინი აზუსტებენ არაეთიკური ქცევის ჩამონათვალს პროდუქტის, მისი ბაზარზე წინ წაწევის, დისტრიბუციისა და ფასების ჭრილში, რაც ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს, პირველ რიგში, მენეჯერებს დაეხმარება სწორი მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებაში მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების მიხედვით არსებულ პრობლემებზე.

მწარმოებლებისა და გამსაღებლების არაეთიკური ქცევისგან მომხმარებლებს ქართული კანონმდებლობა იცავს. საქართველოში ამ მიზნით მოქმედებს შემდეგი კანონები:

- საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და ა.შ.

საცალო ვაჭრობაში ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად, ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას საცალო ვაჭრობის ეთიკის კოდექსი ქართული ბიზნესის ქცევის კოდექსის საფუძველზე. საცალო ვაჭრობის ეთიკის კოდექსში უნდა იყოს გათვალისწინებული ის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც საცალო ვაჭრობას ბიზნეს-საქმიანობის სხვა სფეროებისგან განასხვავებს. ვფიქრობთ, რომ საცალო ვაჭრობის ეთიკური ქცევის კოდექსის შექმნა ბიზნეს-ეთიკის ასოციაციამ უნდა აიღოს თავის თავზე, მაგრამ მან აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს ეთიკის სპეციალისტების კონსულტაციებით. ამასთან, საჭიროა საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერა. ამ მიზნით მათთან წინასწარ უნდა იმუშაოს ბიზნეს-ეთიკის ასოციაციამ.

საცალო ვაჭრობის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა მუშაობას გაუადვილებს სავაჭრო პერსონალს. ამისთვის აუცილებელია, რომ ეთიკის კოდექსში დაკონკრეტდეს ბიზნეს-საქმიანობის კოდექსის დეტალები საცალო ვაჭრობის თავისებურებებისა და ქართული რეალობის გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, საცალო ვაჭრობის ეთიკის

კოდექსში ზოგად პრინციპებთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს საქმიანობის შემდეგ ორ მიმართულებაზე:

- ურთიერთობა პარტნიორებთან;
- ურთიერთობა მომხმარებლებთან.

ბიზნეს-საქმიანობის ზოგადი ეთიკური ნორმებიდან საცალო ვაჭრობისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იქ დასაქმებული ადამიანებისთვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა, ყოველგვარი დისკრიმინაციის (ასაკის, სქესის, ეროვნების, რასის და სხვ. მიხედვით) თავიდან აცილება, გადასახადების დროულად გადახდა, მექრთამეობის ფაქტების მთლიანად აღმოფხვრა.

საცალო ვაჭრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პარტნიორებთან, იქნება ისინი მწარმოებელი თუ სადისტრიბუციო კომპანიები, სამართლებრივად და ეთიკურად გამართლებული ურთიერთობების დამყარება. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი მომხმარებელთა კმაყოფილების მიღწევა. ცხადია, თუ საცალო სავაჭრო საწარმოები და ორგანიზაციები ვერ შეძლებენ სავაჭრო ქსელში მომხმარებლების მოთხოვნის შესაბამისი საქონლის შეტანას, ვერ ან არ დაიცავენ მომხმარებლების უსაფრთხოებას, ვერ ან არ გააბტარებენ მომხმარებლებისთვის მისაღებ საფასო პოლიტიკას, ისინი დარჩებიან უკმაყოფილო და უპირატესობას კონკურენტი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქონელსა და მომსახურებას მიანიჭებენ. პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ მწარმოებელი, სადისტრიბუციო და საცალო სავაჭრო კომპანიების ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე დიდ გავლენას სწორად განსაზღვრული და განხორციელებული საფასო პოლიტიკა ახდენს. არ შეიძლება მომხმარებელთა დამაბნეველი და მტაცებლური საფასო პოლიტიკის გაბტარება.

საცალო ვაჭრობის ეთიკის კოდექსში, პროდუქტის უსაფრთხოებისა და საფასო პოლიტიკის საკითხებთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს რეკლამირების პროცესის განხორციელების მექანიზმს. ხაზი უნდა გაესვას რეკლამირების ეთიკური მეთოდებით ჩატარების აუცილებლობას. რეკლამამ არ უნდა მოატყუოს და არ უნდა დააბნიოს მომხმარებელი.

საჭიროდ მიგვაჩნია საცალო ვაჭრობის ეთიკის კოდექსში ყურადღების გამახვილება გაყიდვის მეთოდებსა და ხერხებზე. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება მომხმარებლებზე ზეწოლა, მათი ზედმეტად შეწუხება სავაჭრო დარბაზში, ხშირად, ვითომ დახმარების მიზნით. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გამყიდველების მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული დახმარება, სავაჭრო დარბაზში „ჩრდილივით უკან დევნა“, უმეტეს შემთხვევაში, მათზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით ხორციელდება. გამყიდველების და კონსულტანტების, ჩვენი აზრით, ასეთი არაეთიკური ქცევის შედეგია სწორედ მომხმარებლების მიერ სავაჭრო ობიექტის საქონლის ყიდვის გარეშე დატოვება.

საცალო ვაჭრობა საქართველოში ერთ-ერთი განვითარებადი სფეროა. ის ინვესტირებისთვის მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების რეიტინგში 2014 წელს გლობალური საცალო ვაჭრობის ინდექსით მე-7 ადგილზეა ჩილეს, ჩინეთის, ურუგვაის, არაბთა გაერთიანებული ემირატების, ბრაზილიისა და სომხეთის შემდეგ (5). რუსეთი ამ რეიტინგში მე-12, თურქეთი მე-11, აზერბაიჯანი კი 30-ე (ბოლო) ადგილზეა. გამომდინარე აღნიშნულიდან, საცალო ვაჭრობის განვითარებას ქვეყანაში როგორც სამართლებრივი, ისე ეთიკური თვალსაზრისით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენი აზრით, საცალო ვაჭრობის ეთიკური კოდექსის შექმნა ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას სავაჭრო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გზით. ეთიკური კოდექსი დაეხმარება სავაჭრო პერსონალს „სწორი და არასწორი ქცევის“ შედარების დროს გადაწყვეტილების „სწორი ქცევის“ სასარგებლოდ მიღებაში. აღნიშნულის მისაღწევად კარგი იქნება, თუ საცალო ვაჭრობის საწარმოები საცალო

ვაჭრობის ეთიკური კოდექსის მიხედვით შეიმუშავენ ეთიკური ქცევის პრინციპებს, რომლებიც ყველა თანამშრომელს კარგად ექნება გააზრებული და გათავისებული. სავაჭრო პერსონალის მიერ ეთიკური პრინციპების დაცვა ხელს შეუწყობს მომხმარებლებისთვის სასურველი ატმოსფეროს შექმნას და მათი კმაყოფილების დონის ამაღლებას. ამ გზით გაიზრდება პროდუქტის გაყიდვის მოცულობა და მიღებული მოგების სიდიდე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თოდუა ნ., მღებრიშვილი ბ. მარკეტინგის საფუძვლები. თბ., 2009.
2. Бун Л., Куртц Д. Современн ый маркетинг. Учебник. Пер с англ. М., 2005.
3. Barry Berman, Joel R. Evans, Retail Management, A. Strate Apprhoah. In Russian, M., Electris version.BBDB
4. Mghebrishvili B. The ethics and retail management EE. მეორე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები უკრაინულ ენაზე K: KHEY, 2014.
5. www. atkearhey.com (consumer.products./global-retail-develohment-index.)
6. <http://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/bisntsi/ra-aris-bisnes-etika>.
7. <http://www.conference.ge>.

**The characteristics of marketing ethics  
in retail trade**

**Babulia (Dodo) Mghebrishvili**  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Associate Professor

**Summary**

The article deals with the characteristics of marketing ethics in retail trade and the importance of its implementation. The author writes that compliance with ethical norms has not compulsory but necessary nature. The author of the article finds it necessary to create the code of the ethics of retail trade. The autor thinks that in the code of the ethics of retail trade special attention must be attached to the principles of ethical relationship with the partners and customers. in the article the importance of compliance with ethical norms in retail trade is associated with the role of retail trade in developement of country's economy.

**კონფლიქტი, როგორც პერსონალის მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხი**  
*მაია ნიკვაშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*დოქტორანტი*

ნებისმიერი სოციალური სისტემის განვითარების პროცესს თან ახლავს წინააღმდეგობა სოციალურ სუბიექტებს შორის, რაც მათ შორის არსებულ ურთიერთქმედების ფორმაზე აისახება. ეს წინააღმდეგობა ხშირ შემთხვევაში ასახვას პოუვს ღია და ფარულ კონფლიქტში. სოციალურ, ანუ ინდივიდთაშორის ურთიერთობების პრიზმაში უნდა განანალიზდეს როგორც საზოგადოების დიფერენციაცია, ისე ნებისმიერი

ორგანიზაციული პროცესისთვის დამახასიათებელი პროცესები, როგორცაა სოციალიზაცია, ადაპტაცია, თანამშრომლობა, ავტორიტეტი და ა.შ.

კონფლიქტი რთული ფსიქოლოგიური მოვლენაა, რომლის შესწავლა და გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია სწორად შერჩეულ მეთოდურ და თეორიულ მიდგომებთან. კონფლიქტების უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, მათი მონაწილეების წინასწარგანზრახვისა და სურვილის გარეშე წარმოიშობა.

სამუშაო ადგილებზე არსებული კონფლიქტური მოვლენების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათი წარმოშობის მთავარი წინაპირობაა სხვადასხვა კატეგორიის შრომით კოლექტივში ზნეობრივი ნორმების დარღვევა და წარმოების პროცესის ორგანიზება.

კონფლიქტი ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტეგრაციული ძალა, რომელიც აერთიანებს მოწინააღმდეგეებს, ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილიზაციას და განამტკიცებს კონკრეტულ ორგანიზაციებს.

კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა არსებობს ყველგან, ნებისმიერი პროფილის და ნებისმიერი მასშტაბის ორგანიზაციაში. თუმცადა, კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობები განსხვავებულია სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურის პირობებში. პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ იმ კომპანიებსა და ორგანიზაციებში, სადაც კორპორაციულ კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, კონფლიქტების რიცხვი გაცილებით მცირეა, ვიდრე იმ ორგანიზაციებში, სადაც კულტურული ღირებულებები ჯერ კიდევ არ წარმოადგენს კოლექტივის ცხოვრების ძირითად მახასიათებელს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კორპორაციული კულტურა ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ აღიარებული პრინციპებისა და ფასეულობების სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს მათ ქცევას და საქმიანობას, მაშინ შეიძლება კონფლიქტები განხილულ იქნეს სხვადასხვა ტიპის, ვინაიდან კულტურის მატარებლები გაგლენას ახდენენ როგორც ერთმანეთზე, ორგანიზაციის შიგნით, ისე სხვა კულტურების მატარებლებზე, ორგანიზაციის გარეთ. კონფლიქტს აქვს განსაზღვრული მიზნები და ფუნქციები, რომელთაც, შესაძლოა ჰქონდეს როგორც შემოქმედებითი, ისე ნეგატიური ხასიათი. ამასთანავე, ის არადამოუკიდებელი მოვლენაა და შეიძლება მოწყდეს მის მატარებელს. კონფლიქტი მჭიდრო კავშირშია კორპორაციულ კულტურასთან, ვინაიდან ამ უკანასკნელს მისი მატარებლები ქმნიან.

რიგ შემთხვევებში, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კონფლიქტების არარსებობა ორგანიზაციის ცხოვრებაში ამ უკანასკნელის ეფექტიანობის მაჩვენებელია, კორპორაციული კულტურა კი წარმატების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კორპორაციული კულტურა ეფუძნება იმ პრინციპებსა და ურთიერთობებს, რომელთა მიზანია ნიადაგი გამოაცალოს კონფლიქტებს. მიუხედავად ამისა, თუკი კონფლიქტური სიტუაცია რეალურად იქცა, მისი გადაჭრა გაცილებით სწრაფად და მინიმალური დანაკარგებით უნდა მოხდეს.

კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი ხშირად ხდება ადამიანთა მიერ ყურადღების გამახვილება იმ შეხედულებებზე, ალტერნატივებზე და სიტუაციებზე, რომლებსაც ისინი თვლიან სასარგებლოდ მათი ჯგუფისა და პირადად თავისთვის. ძალიან ხშირად კონფლიქტი გამოწვეულია ადამიანთა განსხვავებული შეხედულებებით. ღირებულებები ჩვენთვის იმის საზომია, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, სამართლიანი - უსამართლო, მორალური – ამორალური. თუ მხარეები კატეგორიულ აბსოლუტურ ფორმაში გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ამ მიმართულებით მოლაპარაკება შეუძლებელი ხდება. ამგვარი კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ გზას თითოეული მხარის მიერ სხვათა აზრის მნიშვნელობის აღიარება წარმოადგენს. სასურველია, მხარეებმა გააცნობიერონ, რომ ღირებულებების კონკრეტული სფერო მათი ურთიერთობის მხოლოდ ნაწილია და არსებობს სხვა ღირებულებებიც, რაც მათთვის შეიძლება საერთო იყოს.

კონფლიქტურობის თვალსაზრისით ადამიანთა ჯგუფები სამ ტიპად შეიძლება დაყვით: სტაბილური ჯგუფები, რომლებიც ართმევენ თავს კონფლიქტებს, პრობლემური ჯგუფები, რომლებიც ნაწილობრივ ართმევენ თავს კონფლიქტებს და არასტაბილური, რომელთაც ნეგატიური ჯგუფური ორიენტაცია აქვთ და მუდმივად კონფლიქტურ გარემოში უწევთ არსებობა.

თუ ჯგუფური კონფლიქტების საფუძველია ინდივიდთა დამოკიდებულებების შეუთავსებლობა ერთმანეთის მოთხოვნილებებთან, მაშინ მუშაკების პიროვნებათშორისი კონფლიქტი ხშირ შემთხვევაში გულისხმობს კონფლიქტს ხელმძღვანელთან. ეს პიროვნებათშორისი ურთიერთობების ყველაზე დაძაბული მიმართულებაა, სადაც გაცილებით ხშირად წარმოიქმნება პრობლემები, ვიდრე კოლეგებთან ურთიერთობისას. მიზეზი გახლავთ ის, რომ ხელმძღვანელთან ურთიერთობისას ადგილი აქვს პიროვნების ორგანიზაციის მიმართ დამოკიდებულებაში არსებული გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემების პერსონიფიცირებას.

ხელმძღვანელსა და ხელქვეითებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტების მიზეზი ხშირ შემთხვევაში მდგომარეობს შემდეგში: ხელმძღვანელი ისწრაფის აკონტროლოს ხელქვეითის საქმიანობა, ხელქვეითები კი წინააღმდეგობას უწევენ მას. აღნიშნული კონფლიქტების წინაპირობა ხელმძღვანელებისა და ხელქვეითების პოზიციების შეუთანხმებლობაა, რაც კონტროლთანაა დაკავშირებული. ხელმძღვანელები დაინტერესებულნი არიან კონტროლის შესაძლო გამკაცრებით, ხელქვეითები კი სულ უფრო მეტად ისწრაფვიან ავტონომიისაკენ.

კონფლიქტების ძირითადი პრინციპების ცოდნა აუცილებელია მმართველობითი საქმიანობის ყველა სახეობისათვის. მენეჯმენტთან მიმართებით მისი ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ აიძულოს ხელმძღვანელი რეალურად შეხედოს კონფლიქტურ სიტუაციებს, არ დაემაყოფილდეს მხოლოდ ინტუიციით და ჯანსაღი აზრით, არამედ ადამიანებთან მუშაობაში დაიცვას კონფლიქტების მართვის განსაზღვრული, მეცნიერულად დადგენილი წესები და ხერხები.

წარმატების მისაღწევად უამრავი რამ არის საჭირო, მათ შორის კონფლიქტების უგულვებელყოფისა და მართვის უნარის ქონა. როგორც ცნობილია, ხელმძღვანელის სამუშაოს დიდი ნაწილი ფარული თუ აშკარა წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებების გავლენის ქვეშაა მოქცეული, რომელთა იგნორირება გარდაუვალ კონფლიქტებს იწვევს.

თანამედროვე დროში, და მით უმეტეს ბიზნესში, პრაქტიკულად შეუძლებელია კონფლიქტის თავიდან აცილება. ამიტომ ხელმძღვანელის მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ არ მოაგვაროს კონფლიქტი, როგორც მოვლენა, არამედ მაქსიმალურად კარგად გაართვას თავი ამოცანებს, მიიღოს ზომები და კონსტრუქციულად დაარეგულიროს კონფლიქტები ორგანიზაციის საკეთილდღეოდ. სწორედ ხელმძღვანელზე, მართვის სტილზე და თავისებურებებზეა დამოკიდებული ფსიქოლოგიური ატმოსფერო ორგანიზაციაში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს კონფლიქტოგენურობას, ანუ კონფლიქტების წარმოშობის საშიშროების ხარისხს.

ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს სწორად იმოქმედოს ორი ძირითადი მიმართულებით: მხარი დაუჭიროს ფუნქციურ (პოზიტიურ) კონფლიქტს, რომელიც სასარგებლოდ მოქმედებს ორგანიზაციაზე და თავის დროზე გადაწყვიტოს დესტრუქციული კონფლიქტები, რომლებსაც მოყვებათ ნეგატიური შემთხვევები და შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ორგანიზაციას;

კონფლიქტების მართვა, პერსონალის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მოცემულ პროცესში აუცილებელია, გამოყენებულ იქნას კონფლიქტურ სიტუაციასა და კონფლიქტში მონაწილეთა ქცევაზე ზემოქმედების მეთოდთა მთელი კომპლექსი. პერსონალის მენეჯერს უნდა ახსოვდეს, რომ აუცილებელია კონფლიქტის გონივრული მართვა მისი აღმოცენების პირველივე დღიდანვე, რათა იგი არ გაძლიერდეს და არ გადაიქცეს დესტრუქციულ ძალად.

მნიშვნელოვანია პერსონალის მენეჯერს ჰქონდეს შინაგანი პროფესიული ხედვა, პრობლემების არსებობის დანახვის უნარი, შესაძლებლობა ღრმად გაანალიზოს საკითხის შინაარსი, შინაგანი სიმშვიდე, რომელიც არასასურველ პროცესზე მანიპულირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, წონასწორობა და ქცევის რეგულირება, რომელიც ეხმარება მენეჯერს აირჩიოს კონფლიქტურ სიტუაციაში ყველაზე ეფექტიანი მოქმედების შესაძლებლობა და გამოხატოს რეალური მზადყოფნა პრობლემის მოსაგვარებლად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კონფლიქტების მიზეზების დადგენა და დაპირისპირებულ მხარეებზე ზემოქმედების ორგანიზაცია. კონფლიქტების მართვის სპეციალისტების მიერ შემოთავაზებულ მეთოდებს შორის ყველაზე ცნობილი კატეგორიებია სტრუქტურული და პიროვნებათაშორისი მეთოდები, რომელშიც იგულისხმება:

- მომუშავეებისათვის და ქვედანაყოფებისათვის სამუშაოს მოთხოვნების ახსნა (უფლებები და პასუხისმგებლობა, მოსალოდნელი შედეგები და წესები);
- კონფლიქტების მონაწილე მხარეების ზემოქმედების კოორდინაცია და ინტეგრაცია;
- კომპლექსური მიზნების ჩამოყალიბება, რომელიც კონფლიქტის მონაწილეთა მიზნების კოორდინირების და გაერთიანების საშუალებას იძლევა;
- ანაზღაურების სისტემის შეცვლა.

ნებისმიერ კონფლიქტურ დაპირისპირებაში ჩადებულია პოზიტიური პოტენციური, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ კონფლიქტი ხელს უწყობს ინდივიდების სპეციალიზაციას, სოციალური ჯგუფების წარმოქმნას. კონფლიქტის მართვის ძირითადი დანიშნულებაა ის, რომ უარი ეთქვას მკაცრი ძალისმიერი ზემოქმედების პრიორიტეტს, საჭირო გახდეს საზოგადოებრივ, ჯგუფურ, პირად ინტერესებზე გავლენის უფრო მოქნილ ფორმაზე გადასვლა.

### **Conflict as the most significant issue of Personnel Management**

**Maia Nikvashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Doctoral Student

### **Summary**

The article „Conflict as the most significant issue of Personnel Management” focuses to organizational conflicts and its ambiguous nature. From the author point of view in any conflict’s confrontation is included positive potential that is connected with the point that a conflict promotes specialization of individuals, arising of social groups. Main designation of conflict management is to deny to strict priorities of forced effects and to necessitate transfer to more flexible forms of influence on social group, personal interests.

### **МОДЕЛИ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ РЕГИОНОВ УКРАИНЫ**

**Носова Ольга Валентиновна, д.э.н., профессор**, Заведующий кафедрой экономики и финансов в Харьковском национальном университете внутренних дел

**Носова Татьяна Юрьевна, к.э.н., ассистент профессор** кафедры экономики и финансов в Харьковском национальном университете внутренних дел

Процесс трансформации экономики Украины сопровождается глубинными изменениями в политическом, социальном и экономическом развитии страны и предполагает ее интеграцию в международную экономику. Прикладную роль моделирования Д. Коландер определяет следующим

образом: «Модель – это неотъемлемая часть более общего видения. Она имеет смысл только вместе с большим числом предпосылок *ad hoc* и подразумеваемых разработчиком оговорок, отражающих это видение. Если эмпирическое наблюдение не укладывается в модель, модель подстраивается под видение. Понимание видения, лежащего в основе модели, столь же важно, как и понимание модели» [1, с. 67].

В качестве важнейшей проблемы институциональной конкуренции П. Велфенс выделил правовое обеспечение качества институтов и общественных благ. Он предложил пять критериев оценки качества институтов: постоянство институтов, легитимность институтов, сокращение сети неэффективных институтов, использование общих видов институтов для всех экономических агентов и конкуренция между институтами [2, с.3]. Оценки международной конкурентоспособности, проводимые Институтом развития менеджмента в Лозанне, свидетельствуют о том, что вновь развивающиеся страны быстро включаются в процесс конкуренции. Появление новых компаний, брендов противопоставляется длительному лидерству по уровню конкурентоспособности индустриальных стран. Мониторинг конкурентоспособности предусматривает не только определение конкурентоспособности стран, но и возможности достижения этими странами уровня развития лидера (США). Экономическая и бизнес - мощь смещаются к новым странам. В частности, Китай, Россия и Индия сосредоточили более 1700 млрд. долл. мировых валютных резервов. В этих условиях индустриальные страны пытаются применять протекционистские меры в сфере корпоративного управления, охраны окружающей среды, защиты интеллектуальной собственности или социальных прав [3, с. 1].

Прогресс в развитии телекоммуникационных и компьютерных (software) технологий знаменовал собой проведение модернизации промышленности и сопровождался институциональными преобразованиями в обществе. Интернету стала отводиться ведущая роль в решении вопросов подбора персонала, обучения, организации, управления на уровне отдельных домохозяйств, компаний и государства. Функционирование информационной экономики сопровождается сетевыми эффектами, создающими рыночные барьеры для входа в отрасль. Это связано с высокими издержками проникновения на рынок и расходами на НИОКР. Анализ статистических данных показывает, что Украина не использует в полной мере инновационные факторы роста. Стоимость наукоемких технологий, компьютерного программного обеспечения, лицензий, патентов составляет в национальном богатстве 0,1 % [4, с.57]. Используя теорию транзакционных издержек, П. Велфенс, М. Вогельзанг создали теорию международного аутсорсинга (outsourcing), выполняющую важную роль в процессах стандартизации и структуризации услуг. Наряду с позитивным эффектом, существует риск в оттоке информационных технологий из домашней страны (domestic country), что обусловлено разницей в стоимости рабочей силы по сравнению с зарубежной страной. В качестве примера может быть рассмотрена Индия, где разработчик программного обеспечения получает в день 120-200 евро. В Германии за аналогичную работу по созданию программного обеспечения работник получает в день 600-100 евро [5]. Исследуя содержание конкурентоспособности наукоемкого сектора, М. Хаатайя выделил следующие его элементы: знания, компетентность, профессиональные навыки и структуру. На каждом из уровней организации происходит взаимодействие между указанными составляющими конкурентоспособности. Неотъемлемой составляющей инновационного процесса выступает собственник предприятия, где создается добавленная стоимость. М. Кагельс, используя теорию сетей при изучении изменений, происходящих в городской среде информационного общества, пришел к выводу, что сетевые структуры воспроизводятся как на внутригородском уровне, так и на уровне отношений между глобальными городами. В городах между информационно-властными узлами, замыкающими в себе основные потоки информации, финансов, курсируют ресурсные потоки, а сами узлы находятся в непрерывной конкуренции между собой. Глобальные узлы



сосредоточены в мегаполисах, которые представляют собой очень большие агломерации людей» [6, с.339]. И.Котович-Явор, анализируя сеть польских предприятий, предложил основные меры повышения конкурентоспособности польских предприятий. Они включают улучшение финансирования предприятий за счет привлечения прямых иностранных инвестиций, ослабление налогового бремени и упрощение административных процедур, используемых при организации и функционировании бизнеса, развитие банковского кредитования предприятий, в том числе за счет снижения процентных ставок по кредитам, введение широкой системы кредитных гарантий и поручительства [7, с.26]. Анализ рассмотренных современных теоретических подходов свидетельствуют о необходимости учета многообразия факторов, оказывающих влияние на институциональную конкурентоспособность. В условиях перехода к сетевой экономике исследование ее сущности как экономического явления усложняется, поскольку требует учета правовых, политических, социальных, культурных изменений в мире.

Под влиянием процессов глобализации, интернационализации капиталов и углубления региональной интеграции на локальном уровне внутри отдельных государств и на международном уровне в рамках создания региональных объединений исследование институциональной конкурентоспособности следует рассматривать как многоуровневое явление. Одним из уровней исследования выступает конкурентоспособность регионов, вопросам изучения которой посвящен целый ряд научных исследований. Для определения уровня региональной конкурентоспособности учеными используются разнообразные способы исследования: методы факторного анализа, кластерного анализа регионов, интегральной оценки регионов, пространственного моделирования регионов с применением геоинформационных систем. В рамках Всемирного экономического форума был проведен анализ конкурентоспособности 12 регионов Украины на основе оценки индекса глобальной конкурентоспособности. Результаты исследования продемонстрировали неравномерность развития регионов Украины. Уровень государственных и общественных организаций, развитие инфраструктуры и профессиональной подготовки, эффективность рынка труда и инновационный потенциал были определены в качестве значимых показателей, отражающих общенациональное состояние экономики Украины.

К отличительным признакам, влияющим на конкурентоспособность регионов, относятся социальная и экономическая инфраструктура, уровень квалификации рабочих, а также общественные институты. И. Ткачук создал модель развития экономики региона, используя метод иерархий, позволивший из множества альтернатив выбрать наилучший для принятия решений по конкретной проблеме [8, с. 79].

Определение конкурентоспособности регионов проводится на основе использования региональных показателей. В. Попова указывает на целесообразность использования соответствующих качественных параметров формирования ВВП, позволяющих установить взаимосвязь экономических источников и социальных последствий в виде показателей эффективности общественного производства и полезности потребления [9, с. 11]. Цель исследования С. Мереута, Л. Лукиан, И. Мариора состояла в оценке конкурентоспособности регионов на основе применения операционной модели [10, с. 82]. Авторы выбрали пять интегрированных критериев, являющихся агрегированными величинами нескольких основных показателей. Эти показатели включали экономическое развитие, использование энергии, информационные и коммуникационные технологии, структуру валовой добавленной стоимости, участие в международных рынках. Полученные результаты оценки региональной конкурентоспособности на основе применения интегрального критерия направлены на изучение путей ее повышения в странах Европейского Союза.

Построим эконометрическую модель зависимости валового регионального продукта в расчете на душу населения от региональных факторов экономического развития. В качестве

источника информации будем использовать ежегодные данные макроэкономического развития регионов Украины в течение периода с 2008 по 2012 годы [11, с.317-342]. Изучение корреляционной зависимости валового регионального продукта в расчете на душу населения от макроэкономических показателей имеет целью определить общие базовые параметры, влияющие на экономическое развитие регионов с учетом институционального фактора. Валовой региональный продукт в рыночных ценах рассчитывается как сумма валовой добавленной стоимости от всех видов экономической деятельности, включая чистые налоги на продукты. Оценки валового регионального продукта применяются в качестве критерия региональной конкурентоспособности. Представим эконометрическую модель в виде следующего уравнения:

$$GRP_{it} = F(IFC_{it}, QT_{it}, NT_{it}, FDI_{it}, EMP_{it}, RTR_{it}, RIN_{it}, DD_{it}) \quad (1)$$

где  $GRP_{it}$  – валовой региональный продукт в расчете на душу населения в  $i$  –том регионе в  $t$  – том году в фактических ценах в гривнах;

$IFC_{it}$  – инвестиции в основной капитал в расчете на душу населения в  $i$  –том регионе в  $t$  –том году в гривнах;

$QT_{it}$  – перевозки грузов автомобильным транспортом в  $i$  –том регионе в  $t$  –том году в млн. тоннах;

$NT_{it}$  – обеспеченность населения телефонными аппаратами в расчете на 100 семей в  $i$  –том регионе в  $t$  –том году (количество);

$FDI_{it}$  – объем притока прямых иностранных инвестиций (ПИИ) в расчете на душу населения в  $i$  –том регионе в  $t$  –том году в гривнах;

$EMP_{it}$  –занятость населения в возрасте от 17 до 70 лет в  $i$  –том регионе в  $t$  –ом году в тысячах единиц;

$RTR_{it}$  – оборот потребительской торговли в расчете на одного жителя в  $i$  –том регионе в  $t$  –ом году в гривнах;

$WTR_{it}$  – товарооборот оптовой торговли в  $i$  –том регионе в  $t$  –ом году в млн. гривнах;

$RIN_{it}$  – реальный располагаемый доход населения в расчете на одного жителя в  $i$  –том регионе в  $t$  –ом году в гривнах;

$CD_{it}$  – кредиторская и дебиторская задолженность предприятий в  $i$  –том регионе в  $t$  –ом году в млн. гривнах.

Данные  $t$  – статистики (standarddeviation) определяются на 5 % уровне значимости и приводятся в круглых скобках.  $R^2$  - скорректированный коэффициент детерминации. DW – значение теста Дарбина Уотсона.

Моделирование зависимости валового регионального продукта от 9 эндогенных переменных с учетом коэффициента константа показало наличие различных значимых коэффициентов на протяжении периодов с 2008 по 2012 годы.

$$GRP_{27, 2008} = -1623 + 1,7 IFC_{27, 2008} + 0,8 FDI_{27, 2008} + 0,02 WTR_{27, 2008} \quad (2)$$

(7,3) (3,2) (4,3) (2,3)

$$R^2 = 0,96; DW = 2,0$$

Данные уравнения 2 подтверждают существование корреляционной зависимости валового регионального продукта от инвестиций в основной капитал, притока иностранных инвестиций и товарооборот оптовой торговли в 2008 году. В указанный период был отмечен существенный рост  $t$  притока прямых иностранных инвестиций в Украину, что подтверждают результаты эконометрического моделирования.

Моделирование аналогичной зависимости валового регионального продукта для 2009 года показало значимые значения коэффициентов для инвестиций в основной капитал, занятости по

регионам, товарообороту оптовой торговли и кредиторской и дебиторской задолженности предприятий. Отрицательное значение коэффициента занятости указывает на низкий уровень производительности труда, не являющегося главным источником роста валового регионального продукта. Выделение кредиторской и дебиторской задолженности в качестве значимого фактора подтвердило, что она является важным фактором, влияющим на рост валового регионального продукта, и ее преодоление способствует стабильному развитию регионов.

$$GR_{27, 2009} = 1229 + 2,9IFC_{27, 2009} - 0,9EMP_{27, 2009} + 0,06WTR_{27, 2009} + 16,5CD_{27, 2009}$$

$$(3,5) \quad (10) \quad (-3,8) \quad (7,7) \quad (2,1)$$

(3)

$$R^2 = 0,97 ; DW = 2,3$$

Рассмотрение результатов регрессионного анализа зависимости валового регионального продукта от указанных выше показателей подтвердило существование положительной корреляционной зависимости инвестиций в основной капитал, занятости по регионам, товарооборота оптовой торговли, кредиторской и дебиторской задолженности предприятий в 2009 году. Коэффициент показателя перевозки грузов автомобильным транспортом является значимым, но имеет негативный знак, что указывает на недостаточную оснащенность автомобильных дорог и их низкую пропускную способность.

$$GR_{27, 2010} = -2506 + 1,2IFC_{27, 2010} - 4,8QT_{27, 2010} - 1,05EMP_{27, 2010} + 0,05 WTR_{27, 2010} + 1,4 RIN_{27, 2010}$$

$$(-2,3) \quad (3,7) \quad (-2,3) \quad (-3,1) \quad (5,5) \quad (4,8)$$

(4)

$$R^2 = 0,98; DW = 2,3$$

Дальнейшее моделирование зависимости валового регионального продукта продемонстрировало существование корреляционной зависимости от инвестиций в основной капитал, занятости по регионам, товарообороту оптовой торговли, реальному располагаемому доходу (Уравнение 5).

$$GR_{27, 2011} = -5512 + 1,1IFC_{27, 2011} - 1,3EMP_{27, 2011} + 0,03WTR_{27, 2011} + 2,4 RIN_{27, 2011}$$

$$(-4) \quad (4,5) \quad (-2,8) \quad (3,9) \quad (6,4)$$

(5)

Анализ результатов моделирования продемонстрировал существование значимых коэффициентов инвестиций в основной капитал, товарообороту оптовой торговли, располагаемому доходу населения в 2005 году. Результаты расчетов приведены в уравнении 6.

$$GR_{27, 2012} = -4803 + 1,3IFC_{27, 2012} + 0,03 WTR_{27, 2012} + 1,6 RIN_{27, 2012}$$

$$(-2,2) \quad (3,7) \quad (2,8) \quad (3,8)$$

(6)

$$R^2 = 0,97 ; DW = 1,6$$

Проведенное эконометрическое моделирование корреляционной зависимости регионального продукта от макроэкономических показателей позволило выявить в качестве значимых переменных инвестиции в основной капитал, товарооборот оптовой торговли, занятость населения в регионах Украины на протяжении 2008-2012 годов. Показатель перевозки грузов автомобильным транспортом значим в ряде тестов. Коэффициент при переменной обеспеченность населения телефонными аппаратами является незначимыми при всех проведенных эконометрических тестах при 5 % уровне значимости. Полученные результаты указывают на необходимость создания институциональной инфраструктуры, которая является важным фактором, влияющим на рост валового регионального продукта в стране.

С целью учета институционального фактора при оценке региональной конкурентоспособности рассмотрим эконометрическую модель зависимости валового регионального продукта от инвестиций в основной капитал, притока прямых иностранных инвестиций, занятости населения, товарооборота оптовой торговли и общего объема инновационных затрат с учетом коэффициента константа (Уравнение 7).

$$GRP_{it} = F(IFC_{it}, FDI_{it}, EMP_{it}, WTR_{it}, TIC_{it}), \quad (7)$$

где  $TIC_{it}$  - общий объем инновационных затрат на 1 тысячу занятых в  $i$  -том регионе в  $t$  -ом году в тысячах гривнах.

Включение в эконометрическую модель показателя общего объема инновационных затрат связано с целесообразностью учета влияния наряду с экономическими переменными и показателя технологического развития.

Результаты эконометрического моделирования показали в качестве значимых все коэффициенты переменных, приведенных в уравнении 7, 8, 9 на 5 % уровне значимости в 2008, 2009, 2010 годах. Значение валового регионального продукта положительно зависит от инвестиций в основной капитал, прямых инвестиций, товарооборота оптовой торговли и общего объема инновационных затрат.

$$GRP_{27, 2008} = -2083 + 1,6 IFC_{27, 2008} + 0,5 FDI_{27, 2008} - 0,8 EMP_{27, 2008} + 0,03 WTR_{27, 2008}$$

$$(9,2) \quad (3,5) \quad (3) \quad (-3,4) \quad (4)$$

$$+ 2,7 TIC_{27, 2008} \quad (8)$$

(6,3)

$$R^2 = 0,97; DW = 2,7$$

$$GRP_{27, 2009} = 1887,5 + 2,3 IFC_{27, 2009} + 0,3 FDI_{27, 2009} - 0,8 EMP_{27, 2009} + 0,06 WTR_{27, 2009}$$

$$(7,6) \quad (5,9) \quad (2) \quad (-3) \quad (4,7)$$

$$+ 2,4 TIC_{27, 2009} \quad (9)$$

(7,0)

$$R^2 = 0,97; DW = 2,5$$

Результаты, аналогичные предыдущим, были получены при моделировании зависимости валового регионального продукта от основных переменных регионального развития в 2010 году (Уравнение 10).

$$GRP_{27, 2010} = -2654 + 1,4 IFC_{27, 2010} + 0,4 FDI_{27, 2010} - 1,1 EMP_{27, 2010} + 0,05 WTR_{27, 2010}$$

$$(6,5) \quad (3,1) \quad (2,4) \quad (-2,4) \quad (3,5)$$

$$+ 1,4 TIC_{27, 2010}$$

(3,7)

(10)

$R^2 = 0,96$ ;  $DW = 2,4$

В 2011 году коэффициент показателя прямых иностранных инвестиций определен в качестве незначимого и был исключен из эконометрического моделирования (Уравнение 11).

$$GR_{P_{27,2011}} = 3018 + 2,2IFC_{27,2011} - 1,7EMP_{27,2011} + 0,07WTR_{27,2011} + 1,1TIC_{27,2011}$$

(4,6) (6,7) (-2,3) (5,3) (4,5)

(11)

$R^2 = 0,94$ ;  $DW = 2,3$

Моделирование показало в качестве значимых значения коэффициентов при переменных инвестиции в основной капитал, товарооборот оптовой торговли, общий объем инновационных затрат в 2012 году (Уравнение 12).

$$GR_{P_{27,2012}} = 3385 + 2,1IFC_{27,2012} + 0,05WTR_{27,2012} + 1,1TIC_{27,2012}$$

(7,6) (6) (4,2) (2,9)

$R^2 = 0,96$ ;  $DW = 1,8$

Результаты проведенных тестов обобщены в таблице 3.2.

**Таблица 1. Результаты эконометрического моделирования конкурентоспособности регионов с 2008 по 2012 годы в Украине**

Regressor	2008	2009	2010	2011	2012
INT	2083 (9,2)	1887,5 (7,6)	- 2654 (6,5)	3018 (4,6)	3385 (7,6)
IFC	1,6 (3,5)	2,3 (5,9)	1,4 (3,1)	2,2 (6,7)	2,1 (6)
FDI	0,5 (3)	0,3 (2)	0,4 (2,4)	-	-
EMP	- 0,8 (-3,4)	-0,8 (- 3)	-1,1 (-2,,4)	-1,7 (-2,3)	-
WTR	0,03 (4)	0,6 (4,7)	0,05 (3,5)	0,07 (5,3)	0,05 (4,2)
TIC	2,7 (6,3)	2,4 (7,0)	1,4 (3,7)-	1,1 (4,5)	1,1 (2,9)
R-Squared	0,97	0,97	0,96	0,94	0,96
DW-statistic	2,7	2,5	2,4	2,3	1,8

Данные t- статистики определены на 5 %уровне значимости иприведены в круглых скобках под данными коэффициентов регрессии. INT – значение коэффициента константа.

Полученные результаты эконометрического моделирования свидетельствуют о том, что в качестве основных параметров, корреляционно зависимых с валовым региональным продуктом, - инвестиции в основной капитал, занятость населения, товарооборот оптовой торговли и общий объем инновационных затрат в течении периода с 2008 по 2012 годы. Значения коэффициентов прямых иностранных инвестиций были значимы в ряде эконометрических тестов. Анализ значений данных притока прямых иностранных инвестиций в регионы показывает неравномерное их распределение и концентрацию в столице Киеве, а также в ряде крупных индустриальных городов. Изучение динамики общего объема инновационных затрат свидетельствует о незначительном их увеличении. В то же время следует отметить непропорциональное размещение научного

потенциала в Украине. По показателям освоения новых видов продукции промышленными предприятиями существует значительная дифференциация между регионами. В течение анализируемого периода приблизительно половина реализованной инновационной продукции приходилась на предприятия трех регионов: Донецкой, Днепропетровской и Харьковской областей. Для повышения темпов роста и выравнивания существующих региональных диспропорций экономического развития представляется целесообразным обеспечить поддержку и развитие образования, науки, их интеграцию с бизнесом, что в итоге может стать основой получения конкурентных преимуществ регионов и в целом всей страны.

Эконометрическое моделирование оценки конкурентоспособности регионов с учетом институционального фактора показало, что основными путями ее повышения выступают следующие:

- стимулирование привлечения инвестиций в основной капитал в экономику регионов;
- приоритетное инвестирование в НИОКР;
- создание благоприятного инвестиционного климата для привлечения инвестиций для обеспечения инновационного развития регионов;
- организация центров обучения и переподготовки рабочих, высвобождаемых в условиях реструктуризации экономики, создание дополнительных рабочих мест сфере услуг;
- с целью расширения торговых связей между предприятиями регионов создать механизм стимулирования развития оптовой торговли;
- развитие институциональной инфраструктуры (дороги, гостиницы, коммуникации);
- для выравнивания различий в темпах экономического роста регионов необходимо разработать долгосрочную программу инновационного развития, предусматривающую расширение сети организаций, занимающихся НИОКР, подготовку специалистов высшей квалификации и создание предприятий, использующих новейшие технологии, привлечение средств частных инвесторов (компаний) для проведения прикладных исследований.

## Литература

1. Colander D., Daane D. The art of monetary policy/ Colander D. The lost art of Economics. Essays on Economics and Economics Professions.- Cheltenham, 2001.- p.67.
2. Welfens P. Regionale Integration in der Ordnungs-, Außenwirtschafts- und Wachstumtheorie . Paper presented at the Seminar on Institutional Economics.
3. Publication: IMD World competitiveness yearbook 2007. – Press Release. [Электронный ресурс].– Режим доступа: <http://www.imd.ch/wcc>
4. Попова В. Конкурентоспроможність економіки України джерела формування та соціальні наслідки// Економіка України.- 2008- № 8.- С.4-13.
5. Allweyer T., Besthorn T.J., Schaaf S. Digitale Okonomie und struktureller Wandel. Economics.- 43.- [Электронный ресурс]. - Режим доступа: [http:// www.dbresearch.de/PROD/DBR%2Fdo6\(1\)INTERNET%2Fdo6\(E\)-PROD/PROD0000000000073793.pdf](http://www.dbresearch.de/PROD/DBR%2Fdo6(1)INTERNET%2Fdo6(E)-PROD/PROD0000000000073793.pdf)
6. Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество, и культура (Пер. с англ. Под науч. ред. О.И. Шкаратана). М.: ГУ ВШЭ, 2000.
7. Котович-Явор И. Повышение конкурентоспособности польских предприятий// Мир перемен.- 2004.- № 2.- С.23-27.
8. Ткачук І., Кропельницька С. Моделювання розвитку економіки регіону на основі аналізу ієрархій// Економіка України. – 2007.- №5. – С.79-83.
9. Попова В. Конкурентоспроможність економіки України джерела формування та соціальні наслідки// Економіка України.- 2008- № 8.- С.4-13.
10. Mereuta C., Albu L., Mariora I. A model to evaluate the regional competitiveness of the EU regions// Romanian Journal of Economic Forecasting.- 2007.- Vol. 4.- Issue 3 (September).- P. 81-102.

11. Социально-экономічне становище України. [Електронний ресурс]. Режим доступу: <http://www.ukrstat.gov.ua/>
12. Захаров А.Н., Зокин А.А. Конкуренентоспособность предприятия: сущность, методы оценки и механизмы увеличения // Бизнес и банки. – 2004.- 09.01.- N 001-002- С. 1-5.
13. Игольников Г., Патрушева Е. Что понимать под конкурентоспособностью, инвестиционной привлекательностью и экономичностью производства// Российский экономический журнал. - 1995.- № 11.- с.108-112.
14. Haataja M. Development of competitiveness of knowledge – intensive services.- [Електроннийресурс]. Режим доступу: [http://www.tut.fi/units/tita/tip/Haataja\\_ISPIM21005.pdf](http://www.tut.fi/units/tita/tip/Haataja_ISPIM21005.pdf)
15. The Heritage Foundation// The Wall Street Journal. 2007 Index of Economic Freedom/ Ed. K. R. Holmes, B. T. Johnson. World Bank.- Washington D.C. 2007.
16. Katalin B. Measuring regional competitiveness// Journal of Central European Agriculture. – 2007.- Vol. 8.- № 3. – С.343-348.

### **ტურიზმის ინდუსტრიის სეზონურობის სტატისტიკური ანალიზი**

**იულია ონიანი**

*აწსუ, ასოცირებული პროფესორი*

**ნონა კუხიანიძე**

*აწსუ, ასოცირებული პროფესორი*

ტურისტული ბაზრის ერთ-ერთ განმასხვავებელ თვისებურებას წარმოადგენს ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის სეზონურობის გავლენა, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით (წლის დროების ცვლილება, შვებულების ან არდადეგების პერიოდი, სადღესასწაულო ღონისძიებების მიმდინარეობა და ა. შ.). ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის რომელთაც ტურიზმისათვის მკვეთრად გამოსატყუი ბუნებრივ-კლიმატური პირობები აქვთ. მაგალითად, საქართველოში ტურისტული ნაკადის მოცულობის დაახლოებით 70% მოდის შავი ზღვისპირეთში საბანაო სეზონის პერიოდზე. სპეციალიზირებული განთავსების საშუალებების ორი მესამედი და პრაქტიკულად ყველა ინდივიდუალური განთავსების საშუალება ქვეყნის საკურორტო ზონაში მუშაობს მხოლოდ ივლის-აგვისტოში და ნაწილობრივ სექტემბერში.

საზონურობა ნეგატიურად ზემოქმედებს კოლექტიური განთავსების საშუალებების ეფექტიანობაზე, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებზე, დამსვენებელთა მომსახურებაზე ორიენტირებული სამეზაგრო ტრანსპორტის მუშაობაზე. ტურიზმის სფეროში სეზონური აქტიურობის ხარისხზე პირდაპირაა დამოკიდებული შემოსავლების მოცულობის, რენტაბელობის და ტურისტული ინდუსტრიის ორგანიზაციებში დასაქმებულთა რიცხოვნობის მაჩვენებლები.

ტურისტული საქმიანობის აქტიურობა უშუალოდაა დაკავშირებული ტურისტ მომსახურებელთა ინტენსივობის ხარისხზე. ამ თვალსაზრისით წლის მთელი პერიოდი შეიძლება დავეოთ შემდეგ სეზონებად:

– „მაღალი აქტიურობის“ სეზონი– ტურისტულ ბაზარზე ყველაზე მეტი საქმიანი აქტიურობის პერიოდი და, როგორც წესი, ყველაზე მაღალია ფასები ტურისტულ პროდუქტზე;

მათ შორის „პიკის“ სეზონი, როდესაც ყველაზე მაქსიმალური აქტიურობის პერიოდია ტურისტული საქმიანობისათვის და მაქსიმალურია ფასები ტურისტულ პროდუქტზე;

– „საშუალო აქტიურობის“ სეზონი – ტურისტულ ბაზარზე ზომიერი აქტიურობის პერიოდია, რომელსაც თან მოყვება ფასების შემცირება ტურისტულ მომსახურებაზე;

– „დაბალი აქტიურობის“ სეზონი – არახელსაყრელი პერიოდია ტურისტული საქმიანობისათვის, ყველაზე დაბალია ტურისტულ მომსახურებაზე ფასები.

მათ შორის „მკვდარი“ სეზონი – მაქსიმალურად არახელსაყრელი პერიოდია ტურიზმისათვის, თითქმის სრულად არის შეწყვეტილი რეკრეაციული საქმიანობა.

მომსახურების მოცულობის სეზონური რხევების სტატისტიკურ ანალიზს აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ტურინდუსტრიის საწარმოთა საქმიანობის დაგეგმვისათვის და ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნი სეზონურობის გავლენის შემცირების ღონისძიებების შემუშავებისათვის.

სეზონური რხევების გაზომვისათვის გამოითვლება სეზონურობის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს წლების მიხედვით საშუალოკვარტალური (საშუალოთვიური) მოცულობის თანაფარდობას მთელი განსახილველი პერიოდისათვის მომსახურების საერთო საშუალოკვარტალურ (საშუალოთვიურ) მოცულობასთან

გაანგარიშებისათვის ამოსავალ ინფორმაციას წარმოადგენს ტურინდუსტრიის სფეროში მომსახურების შედეგად შექმნილი შემოსავლის, კოლექტიური განთავსების საშუალებების მომსახურების შედეგად შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობები და უცხოელი ვიზიტორების შემოსვლის რიცხოვნობის შესახებ მონაცემები. ეს ინფორმაცია აღებულია ეკონომიკისა და მდგრადი იკანვითარების სამონიტროს ტურიზმის დეპარტამენტის, ეროვნული ბანკის და საქსტატის მონაცემებიდან.

აღნიშნული მაჩვენებლების საერთო საშუალოკვარტალური მოცულობა განსახილველი პერიოდის განმავლობაში შედარებით მუდმივი კვარტალური რხევების პირობებში, შეიძლება გამოითვალოს მარტივი საშუალო არითმეტიკულის მეთოდით.

სტატისტიკური ანალიზის მიმდინარეობისას საჭიროა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ტურინდუსტრიის საქმიანობის შემფასებელი მაჩვენებლების მოცულობების მნიშვნელოვანი სეზონური რხევები შეიძლება გამოწვეული იყოს არა მხოლოდ ტურისტების რაოდენობის გაზრდით ან შემცირებით, არამედ სეზონურობით ან ტურისტულ პროდუქტზე ფასებისა და ტარიფების ინფლაციური ცვლილებით. ამისათვის საჭიროა მოვახდინოთ გაანგარიშებულ მონაცემთა კორექტირება და მივცეთ მათ შესაძარი სახე, გამოვრიცხოთ ფასების გავლენა. ამ მიზნით მომსახურებიდან შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების მოცულობის მაჩვენებლები კორექტირდება სამომხმარებლო ფასების ინდექსით. კორექტირება წარმოებ შემდეგნაირად:

$$\bar{X}_0 = \frac{\sum(X_n : i_n)}{n}$$

სადაც,  $\bar{X}_0$  – შემოსავლების საერთო საშუალოკვარტალური მოცულობა საანგარიშო პერიოდისათვის, ათას ლარებში.

$X_n$  – კვარტლის განმავლობაში მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლის მოცულობა, ათას ლარებში.

$i_n$  – სამომხმარებლო ფასების ინდექსი კვარტლის განმავლობაში;

$n$  – საანგარიშო პერიოდში კვარტალების რიცხვი.

შემდეგ გამოითვლება სეზონურობის კოეფიციენტი წლის ყოველი კვარტლისათვის შემდეგი ფორმულით:



$$K_c = \frac{\bar{X}_n}{\bar{X}_0} \times 100\%$$

სადაც,  $K_n$  – სეზონურობის კოეფიციენტია %-ში;

$\bar{X}_n$  – შემოსავლების მოცულობის საშუალო დონე წლის განსაზღვრული კვარტლისათვის. ათას ლარებში.

$\bar{X}_0$  – შემოსავლების საერთო საშუალოკვარტალური მოცულობა. ათას ლარებში

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი ტურისტების დანახარჯებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს საგადასახდლო ბალანსზე ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 58% ტურიზმზე მოდის. ასე მაგალითად, 2009–2013 წლებში მომსახურების ბალანსს ძირითადად ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი განაპირობებდა, რომელმაც 2013 წელს 1,72 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (ცხრილი 1) და 2012 წელთან შედარებით 22,8%-ით გაიზარდა, ხოლო 2011 წელთან შედარებით კი-80%-ით.

განვიხილოთ სეზონურობის კოეფიციენტის გაანგარიშების სქემა საერთაშორისო ტურიზმის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მაგალითზე.

როგორც I-ცხრილიდან ჩანს სეზონის „პიკი“ III-კვარტალზე მოდის, სადაც სეზონურობის ინდექსმა 138,6% შეადგინა. ეს პერიოდი ქვეყნის შავი ზღვისპირეთში ყველაზე აქტიური საბანაო პერიოდია და აგრეთვე მიმდინარეობს მრავალი კულტურული ღონისძიება. შედარებით მაღალი ხარისხით ცვლილება შეიმჩნევა აგრეთვე II კვარტალშიც-94,3%, რაც განპირობებულია საქმიანი ტურიზმის აქტიურობით. საანალიზო პერიოდში სხვაობა სეზონურობის კოეფიციენტების მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის (ვარიაციის გაქანება) 68.6 პროცენტულ პუნქტს შეადგენს.

ცხრილი-1

საერთაშორისო ტურიზმის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა და სეზონურობის კოეფიციენტები

კვარტალები	საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების კვარტალური მონაცემები (ათასი აშშ დოლარი)						სეზონურობის კოეფიციენტი %-ში
	2009	2010	2011	2012	2013	საშუალო დონე	
I-კვარტალი	77676,3	100685,8	169989,8	235930,4	302817,7	236220,0	90,5
II-კვარტალი	114353,3	136565,1	222249,6	330826,5	426524,5	246103,8	94,3
III-კვარტალი	158388,4	231913,4	326568,5	487721,4	604201,8	361758,7	138,6
IV-კვარტალი	125470,9	190081	242100,6	356423,4	386155,8	182815,2	70,0
სულ	475889,0	659245,3	954908,5	1410901,7	1719699,8		

**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი.

საერთაშორისო ტურიზმის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების სეზონური რხევების დინამიკა უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთი ნატურალური მაჩვენებლის სეზონურობასთან, როგორცაა საერთაშორისო ვიზიტორების რიცხოვნობა თვეების მიხედვით.

ცხრილი 2.

საქართველოს საზღვარზე შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რიცხოვნობა და სეზონურობის კოეფიციენტები

თვეები	შემოსული ვიზიტორების რიცხოვნობა თვეების მიხედვით (ათასი კაცი)						სეზონურობის კოეფიციენტი %-ში
	2009	2010	2011	2012	2013	შემოსულთა საშუალო რიცხოვნობა	
იანვარი	78,62	119,08	160,65	226,96	277,05	170,47	62,4
თებერვალი	59,15	104,92	137,7	185,11	288,57	155,09	56,8
მარტი	101,76	129,92	188,16	265,13	363,7	209,73	76,8
აპრილი	100,34	126,98	187,12	301,24	662,7	275,68	100,98
მაისი	106,4	140,97	204,16	324,38	406,55	236,49	86,6
ივნისი	127,73	152,84	227,9	391,94	490,58	278,18	101,9
ივლისი	176,5	233,52	333,56	527,0	609,19	377,15	138,2
აგვისტო	191,9	259,84	357,19	600,92	770,61	436,09	159,7
სექტემბერი	136,04	188,06	272,13	440,61	507,08	308,9	113,2
ოქტომბერი	143,56	187,4	252,31	420,95	480,51	296,95	108,8
ნოემბერი	131,7	189,2	219,72	370,77	417,52	265,18	97,1
დეკემბერი	146,39	209,87	282,42	373,29	391,72	274,74	100,6
სულ	1500,09	1933,2	2873,02	4428,2	5635,78	273,72	

წვარცკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის სტატისტიკური მასალები.

მე-2 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ყველაზე ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა თებერვლის თვეში, ხოლო ყველაზე მეტი აგვისტოს თვეში. ხუთი წლის მონაცემების საშუალოს მიხედვით თებერვალში საშუალოთვიურ შემოსვლებთან შედარებით შემოვიდა 43,2%-ით ნაკლები ტურისტი, ხოლო აგვისტოს თვეში 59,7%-ით მეტი. სეზონურობის „პიკი“ აგვისტოს, ივლისისა და სექტემბრის თვეებზე მოდის და სეზონურობის ინდექსი შესაბამისად 159,8; 138,2 და 113,2 პროცენტს შეადგენს. სეზონურობის კოეფიციენტის შედარებით მაღალი დონე შეიმჩნევა აგრეთვე ივნისში–101,9 და ოქტომბერში–108,8.

საანალიზო პერიოდში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებთან შედარებით შემოსული ვიზიტორების შემთხვევაში სეზონური რხევები–სხვაობა სეზონური კოეფიციენტების მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობას შორის უფრო ძლიერად არის გამოხატული და შეადგენს 102,9, ხოლო შემოსავლების შემთხვევაში 68,6 პროცენტულ პუნქტს.

ტურისტული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ასევე მნიშვნელოვანია კოლექტიური განთავსების საშუალებების მომსახურებიდან მიღებული დამატებული ღირებულების მოცულობის და სეზონური რხევების დინამიკის ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია მე-3 ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ განთავსების საშუალებების ყველა ტიპის მიხედვით სეზონურობის ინდექსი მნიშვნელოვნად–34,6%-ით აღემატება საშუალოდონეს, ხოლო სხვაობა ვარიაციის კვარტალურ კოეფიციენტების მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობას შორის 68,2 პროცენტული პუნქტია, რაც უტოლდება საერთაშორისო ტურიზმის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ცვლილების ამპლიტუდას.

ცხრილი 3

კოლექტიური განთავსების საშუალებების მომსახურებიდან მიღებული დამატებული ღირებულების მოცულობა და სეზონურობის კოეფიციენტები

კვარტალები	კოლექტიური განთავსების საშუალებების მომსახურების შედეგად შექმნილი დამატებული ღირებულების	სეზონურობის
------------	--	-------------

	მოცულობა კვარტალების მიხედვით (ათას ილარი)					ოეფიციენტი %-ში
	2009	2010	2011	2012	საშუალო დონე	
I კვარტალი	9568,1	12875,7	16480,8	20991,9	14979,1	66,4
II კვარტალი	14688,0	18966,6	23544,0	29413,8	21503,1	95,4
III კვარტალი	19547,1	25828,5	32667,3	43366,5	30352,3	134,6
IV კვარტალი	15379,4	20662,8	25702,2	31676,4	23355,2	103,6
სულ	58700,0	77100,0	98100,0	125700,0	22547,0	

**წყარო:** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის სტატისტიკური მასალები.

უნდა აღინიშნოს, რომ სეზონური რხევების უფრო ღრმა ანალიზისათვის საჭიროა ოპერატიული, საიმედო და ტურიზმის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტების მახასიათებელი სტატისტიკური მონაცემები. ამგვარი ანალიზი რეკრეაციული ტერიტორიების რეგიონულ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს შეიმუშაონ ტურინდუსტრიის განვითარების ოპტიმალური პროგრამა. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია კოლექტიური განთავსების საშუალებების შევსების დონისა და მომსახურების მოცულობის შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის ყოველთვიური მონიტორინგის ორგანიზება შერჩევითი დაკვირვების მეთოდის გამოყენებით. რეკომენდირებულია ჩატარდეს რეპრეზენტატიული შერჩევა განშრეგების მეთოდის გამოყენებით (განთავსების საშუალებების ტიპების მიხედვით). ამასთან, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა-ბლანკი უნდა შეიცავდეს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: ადგილების რიცხვი, დამისმთველების რიცხვი, განსათავსებელი პირების რიცხვი, სამუშაოს ხანგრძლივობა საანგარიშო პერიოდისათვის და ა. შ.

საქართველოში სანატორიუმ-საკურორტო და ტურისტული კომპლექსის სტრატეგიულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს კონკურენტუნარიანი ტურისტული წინადადებების ფორმირება და ტურისტული მომსახურების აყვანა საერთაშორისო სტანდარტებამდე. განვითარების პრიორიტეტი უნდა გახდეს სრული წლიური საკურორტო კომპლექსის შექმნა, რომელიც შესთავაზებს თანამედროვე და ხარისიან დასვენებას.

სეზონური რხევების დეტალური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შეიმუშავებული იქნეს ზომები კოლექტიური განთავსების საშუალებების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით, მათი სეზონთაშორის პერიოდში დატვირთვის უზრუნველყოფის ხარჯზე. ამ მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ სოციალური დაზღვევის ფონდის ხარჯზე სეზონთაშორისი შეღავათიანი საგზურების გაყიდვის მექანიზმი, აქტიურად განვაავითაროთ ტურიზმისა და დასვენების არასეზონური ფორმები: საქმიანი და პროფესიული ტურიზმი, ტურიზმის ექსტრემალური სახეები, შემეცნებითი ტურიზმი (ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების გაცნობა) და ა. შ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Карманова Т.Е., Каурова О.В., Малолетко А.И. Статистика туризма. Учебник.-М.:КНОРУС, 2009.
2. [http://www.economy.ge/ge/economic\\_data/tourizm-](http://www.economy.ge/ge/economic_data/tourizm-) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტი.

**Summary**

Statistic analysis of seasonal variations of the service volume has the determinative significance in planning activity of tourist industrial enterprises and elaborating arrangements for reducing seasonality impact on demand of tourist product.

For measuring seasonal variations in the article there is calculated seasonality coefficient.

The calculation is made according to value and quantitative indicator as are: income made by service in the tourist industry field, value added volumes made from the service of the collective accommodation establishments and quantitative indicator of foreign visitors.

The calculation established that in analyzing period seasonal variations is mostly expressed in case of foreign visitors than in case of incomes received from the international tourism and it makes up 102.9, but the incomes and added value in the tourism field makes up approximately 68.0 percentage point.

**უმუშევრობის გამომწვევი ფაქტორები და შედეგები სტატისტიკურ ჭრილში**

**ნატალია რობიტაშვილი**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ახისტენტ პროფესორი*

თანამედროვე მაკროეკონომიკურ აქტუალურ საკითხებს შორის უმუშევრობა კვლავაც რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან, გადაუჭრელ პრობლემად. მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და ეკონომიკური რეცესიის გაღრმავების ფონზე იზრდება უმუშევრობის დონე, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონესა და მის დიფერენციაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. უმუშევრობა – იძულებითი დაუსაქმებლობაა, რომელიც წარმოიქმნება შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის მუდმივად დარღვევის შედეგად.

უმუშევრობას მოაქვს ეკონომიკური დანაკარგები და მისი მთავარი „საზღაური“ გამოუშვებელი პროდუქციაა. როდესაც ეკონომიკას არ შეუძლია საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა ყველასათვის, ვისაც სურს და შეუძლია მუშაობა, საქონლისა და მომსახურების წარმოების პოტენციული იკარგება. გარდა ამისა, უმუშევრობა საზოგადოებას ხელს უშლის თავისი პოტენციური შესაძლებლობების მიხედვით წინსვლაში.

უმუშევრობას გააჩნია გარე ეკონომიკური შედეგები. მასობრივი უმუშევრობა ხშირად სერიოზულ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს იწვევს. აღსანიშნავია, რომ მკვლევარები პირდაპირ კავშირს პოულობენ თვითმკვლევლობას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობას, ფსიქიკურ დაავადებებსა, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას, ნერვოზს და უმუშევრობის მაღალ დონეს შორის. შესაბამისად, უმუშევრობა ასოცირებული სიღარიბესთან. მასობრივი უმუშევრობით ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალი უდიდესი დანაკარგია. იგი მრავალჯერ უფრო დიდია, ვიდრე მაკროეკონომიკური დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია მონოპოლიით, არასწორი ტარიფებით, ან ქვოტებით და ეკონომიკის ფუნქციონირებაში არსებული სხვა ხარვეზებით.

უმუშევრობის გამომწვევ ფაქტორებს შორისაა :

- ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი;
- ეკონომიკის ცალკეულ დარგებში წარმოების დონის შემცირება;
- საწარმოებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა;
- მუშახელის კვალიფიკაციის შეუსაბამობა ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან;
- იმპორტირებულ საქონლისა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა და დიდი ხვედრითი წილი საერთო მოხმარების სტრუქტურაში, რაც ადგილობრივი წარმოების შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის საფუძველია.

საქართველოში დასაქმების დონე დინამიკაში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (ცხრილი 1)

**დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლები საქართველოში**

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმუშევრობის დონე, რომელიც დინამიკურ მწკრივს ქმნის, წლების მიხედვით, არათანაბრად ვითარდება. დინამიკური მწკრივის დანიშნულებაა სწორი წარმოდგენა მოგვცეს მოვლენის განვითარების ტენდენციაზე. ამიტომ, საჭიროა ზრდიდან კლებაში და კლებიდან ზრდაში გადასვლის ლიკვიდაცია და განვითარების საერთო სურათის გამოსავლენად მწკრივის მოსწორება. ყველაზე მარტივი ხერხია მოსწორება სრიალა საშუალოს მეშვეობით:

$$\hat{y}_1 = \frac{y_1 + y_2 + y_3}{3} = 13.57\%; \hat{y}_2 = 14.47\%; \hat{y}_3 = 15.57\%; \hat{y}_4 = 16.57\%; \hat{y}_5 = 16.1\%$$

$$\hat{y}_6 = 15.4\%; \hat{y}_7 = 14.9\%.$$


ე. ი. უმუშევრობა საქართველოში ბოლო წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება.

ამასთან, სამუშაო ძალის რაოდენობა დინამიკაში 2011 წლამდე კლებულობს, ხოლო შემდგომ უმნიშვნელოდ იზრდება. (ცხრილი 1), თუმცა ეს კლება გამოწვეული არაა მოსახლეობის საერთო რაოდენობის შემცირებით.

დიაგრამა 1.

## მოსახლეობის რიცხოვნობა

(1 იანვრისათვის)



წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამაზეა მოცემული, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2008 წლიდან იზრდება. ასეთი არაპირდაპირი დამოკიდებულება საერთო და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობას შორის შეიძლება სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალი დონითა და დემოგრაფიული დაბერებით ავსხნათ. საქართველო დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს 228 ქვეყნიდან 29 ადგილზეა. დაბერებულად ითვლება მოსახლეობა, თუ 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი აღემატება 7%-ს. საქართველოში ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობას საერთო რიცხოვნობაში 14% უჭირავს. მოსახლეობის დაბერებას განაპირობებს შობადობის დაბალი დონე და გარე მიგრაცია, რომელშიც უფრო მეტი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა გვხვდება. შესაბამისად, იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ყოველივე გაველენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, როგორც სოციალურზე, ასევე ეკონომიკურზე.

უმუშევართა რაოდენობის დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირებისას ტრენდის გამოვლენის მიზნით გამოიყენება წრფივი ფუნქცია.  $\hat{y}_t = a_0 + a_1 t$  სადაც,  $t$  წლებია

დინამიკური მწკრივის დონეების მოსწორების ანალიზის საფუძველზე უმცირეს კვადრატთა მეთოდის მეშვეობით უნდა განვსაზღვროთ ისეთი თეორიული დონეები, რომელთა ემპირიული დონეებიდან გადახრების კვადრატების ჯამი იქნება მინიმალური:

$$\sum (y - \hat{y}_t)^2 = \min$$

$a_0$  და  $a_1$  პარამეტრების გასაანგარიშებლად ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum t = \sum y \\ a_0 \sum t + a_1 \sum t^2 = \sum ty \end{cases}$$

განტოლებათა სისტემის ამოხსნით ვგებულობთ პარამეტრების რიცხვით მნიშვნელობებს.

აღნიშნული განტოლების ამოხსნისას შეიძლება მივმართოთ გაანგარიშების გამარტივებულ ხერხს, თუ ათვლას დინამიკური მწკრივის ცენტრში გადავიტანთ, მაშინ

$$\sum t = 0$$

ამიტომ,  $a_0 = \frac{\sum y}{n}$  და  $a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2}$

ცხრილი 2.

y	t	yt	t <sup>2</sup>
315.8	-2	-631.6	4
335.6	-1	-335.6	1
316.9	0	0	0
295.1	1	295.1	1
305.1	2	610.2	2
Σ=1568.5	0	-61.9	10

სადაც,  $y$  - დასაქმებულთა რაოდენობაა წლების მიხედვით.

$a_0 = 313.7$ ; და  $a_1 = -6.2$ ;

$\hat{y}_t = a_0 + a_1 t$  განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:  $\hat{y}_t = 313,7 - 6,2t$

აქედან

$\hat{y}_1 = 326.1$ ;  $\hat{y}_2 = 319.9$ ;  $\hat{y}_3 = 313.7$ ;  $\hat{y}_4 = 307.5$ ;  $\hat{y}_5 = 301.3$

$\Sigma \hat{y}_t = 1568.5$

შეგვიძლია განვსაზღვროთ უმუშევრობის შესაძლო მოსალოდნელი დონეები მომდევნო წლებისათვის:


$\hat{y}_6 = 288.9$  (2014 წლისათვის)

$\hat{y}_{12} = 251,7$  (2020 წლისათვის)

თუ გადავხედავთ უმუშევრობის დონეს ქალაქ-სოფლის ჭრილში, ქალაქის მოსახლეობაში უმუშევართა რაოდენობა ბევრად მაღალია სოფლის მოსახლეობასთან შედარებით (დიაგრამა 2.).

უმუშევრობის დონე  
(პროცენტულებად)

დიაგრამა 2.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოფლის მოსახლეობის სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი თითქმის უცვლელადაა დასაქმებული საკუთარ მეურნეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. ქვეყანაში უმუშევრობის დონის კლება ძირითადად განპირობებულია ქალაქის ტიპის დასახლებაში შესაბამისი მაჩვენებლის მცირე კლებით (2013 წელს 2010 წელთან შედარებით 1.6%-ით), ვინაიდან ბოლო წლებში უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ამასთან, დასაქმებულებიდან დიდი ხვედრითი წილით თვითდასაქმებულები გამოირჩევიან. თვითდასაქმებულთა თითქმის 80%

აგრარულ სექტორზე მოდის, სადაც შრომის მწარმოებლურობა ყველაზე დაბალია. თუ გავითვალისწინებთ დაქირავებით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობათა თანაფარდობას, გამოდის, რომ დასაქმების დონე რეალურად ქვეყანაში უფრო დაბალია. უმუშევრობის მაღალი დონის შედეგად კი იკარგება პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის წარმოების შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს სიღარიბის ზრდას.

სიღარიბე შეფარდებითი კატეგორიაა და განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ღარიბად ითვლება პიროვნება, რომელსაც დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი გააჩნია. საქართველოში ამჟამად ასეთი შემოსავალი დიდად აჭარბებს საარსებო მინიმუმს და სათანადო პიროვნებაც საშუალო მაცხოვრებლად ითვლება.

სიღარიბის დონის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ინდიკატორი უმუშევრობაა. რაც მაღალია ქვეყანაში უმუშევრობის დონე, მით უფრო მეტია შინამეურნეობების სიღარიბის ზღვარს მიღმა მოხვედრის რისკი. საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა დინამიკაში მატულობს (ცხრილი 3) ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის რიცხოვნება 4-ჯერ აღემატება საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობას.

ცხრილი 3

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა

	2007	2008	2009	2010	2011
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა	279,474	368,431	436,309	430,603	411,091
წილი საშუალო წლიურ მოსახლეობასთან	6.4	8.4	9.9	9.7	9.2

წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინტერესოა, შემცირდება თუ არა საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა სტატისტიკურად ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით, თუ პერსპექტიულ პერიოდში დასაქმების დონეს გავზრდით. ლოგიკურად ეს ასეც უნდა იყოს. ამიტომ, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობას (საშედეგო მოვლენა) დაეუკავშიროთ დასაქმებულთა რაოდენობა (ფაქტორიალური მოვლენა).

$$y = a_0 + a_1x$$

სადაც,  $a_0$  და  $a_1$  ურთიერთკავშირის პარამეტრებია.

ურთიერთკავშირის პარამეტრების განსაზღვრისათვის ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x = \sum y \\ a_0 \sum x + a_1 \sum x^2 = \sum yt \end{cases}$$

საიდანაც,

$$a_0 = \frac{\sum y - a_1 \sum x}{n} = 1837,9$$

$$a_1 = \frac{\sum yt - a_0 \sum x}{\sum x^2} = -0,88$$

მიღებული პარამეტრებით კი შეგვიძლია დავწეროთ საპროგნოზო ფუნქცია

$$y = 1837,9 - 0,88x$$

თუ დაგუშვებთ, რომ დასაქმებულთა რაოდენობა პერსპექტიული მპერიოდისათვის გაიზრდება და მიაღწევს 1800 ათას კაცს, მაშინ საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა  $y = 1837,9 - 0,88x = 253,9$  ათ.კაცის; ხოლო თუ დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდება  $X=1500$  ათ.კაცი, მაშინ შესაბამისად  $y = 517,9$  ათ. კაცი, ე.ი გაიზრდება საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა.

კორელაციის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება



$r = \frac{\overline{xy} - \bar{x}\bar{y}}{\delta_x \delta_y} = -0,6$  „–“ ნიშანი გვიჩვენებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა რეალურად შეამცირებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობას.

და ბოლოს, რადგან დასაქმება წარმოადგენს ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვან პირობას, უკეთესი იქნება სახელმწიფო უფრო მეტად ჩაერიოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საკითხში, როგორცაა:

- უცხოელი მუშახელის შეზღუდვა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;
- დროებით უმუშევართათვის მაღალი კომპენსაციის დანიშვნა;
- საშუალო და წვრილი ბიზნესის განვითარება;
- ზღვრული ფასების დაწესება პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე.

აღნიშნული ღონისძიებანი გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და შეამცირებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოხვედრის რისკს.

#### გამოყენებული ლიტერატურა :

1. გაბიძაშვილი 2011: გაბიძაშვილი ბიკენტი, „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი
2. გაბიძაშვილი 2008 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში“, ბიზნესსა და მენეჯმენტში, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
3. გელაშვილი 1993: გელაშვილი ს., „სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება“, ლექციების მოკლე კურსი, ნაწ. I, თბილისი.
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

---

### Unemployment causing factors and results in statistical context

Natalia Robitashvili

Batumi Shota Rustaveli State University

Assistant professor

#### Summary

Unemployment again is one important, unresolved problem among modern macroeconomic actual issues. The level of unemployment is increasing on the basis of deepening of the world financial crisis and economic recession, which significantly impacts the population scale of living and differentiation.

Unemployment associated with poverty is one of the hardest problems for the politicians. Homelessness, drug addiction, family violence, health problems, illiteracy, low level of education, etc threaten poor families more than others. Members of poor families commit crimes more frequently as well as became victims of different crimes.

It is impossible to characterize unemployment level without research of appropriate quantitative indicators. Statistical analysis gives *reliable and real picture of its development, that is why, research of unemployment in statistical context gives possibility of many conclusions.*

## საქართველოს საპენსიო სისტემა და მასთან დაკავშირებული ძირითადი მაჩვენებლები

ზეზვა სანიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მაგისტრანტი

სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სოციალური დაცვის მექანიზმს. მისი როლი განსაკუთრებით იკვეთება გარდამავალი ეკონომიკის მქონე განვითარებად ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს განსაკუთრებით დიდ ტვირთად აწევს ზემოთაღნიშნული ფუნქციის შესრულება.

საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს საპენსიო და სოციალურ პაკეტებს. უსაფრთხოების პრიმატიდან გამომდინარე სახელმწიფო საპენსიო სისტემა უნდა ახდენდეს იმ მოქალაქეების მინიმალურ უზრუნველყოფას, რომლებსაც საკუთარი შრომით ვერ მოახერხეს საარსებო მინიმუმზე მეტი პენსიის გამოუმუშავება. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე პენსია მით მეტი უნდა იყოს, რაც მეტი აქვს პირს საპენსიო ფონდში შენატანები. შესაბამისად ვაწყდებით კონფლიქტს სოციალურ დაცვასა და სამართლიანობის პრინციპს შორის.

საპენსიო სქემის შემუშავების პროცესში ორი მიდგომა შეიძლება გამოიყოს :

1) პირველი, როცა პენსია არის გახანგრძლივებული ჯამაგირი, რომელსაც უხდიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2) მეორე მიდგომა, პენსია არის სპეციალურ ფონდებში განთავსებული თანხები, რომელიც მიღებულია მუშაობის პერიოდში განხორციელებული შენატანებით.

ამისდა მიხედვით გამოიყოფა ორი საპენსიო სისტემა: „სოლიდარული საპენსიო სისტემა“ (Pay-As-You Go) და წინასწარი ფონდირება (Re-Funding).

### სოლიდარული საპენსიო სისტემა

Pay-As-You Go ისეთ საპენსიო სისტემას უზრუნველყოფს, სადაც სოციალური უზრუნველყოფის საბიუჯეტო შენატანები აკუმულირდება სახელმწიფო ბიუჯეტში და მთლიანად გამოიყოფა პენსიების გასაცემად. რეალურად, გამოიყენება ე.წ. “თაობებს შორის სოლიდარობის” პრინციპი, რომელიც ნიშნავს, რომ დასაქმებულები აფინანსებენ პენსიას. თუმცა მომავალი წლების პროგნოზები ადასტურებს რომ დისტრიბუციულ სისტემაში მრავალი პრობლემა არასებობს, რაც აუცილებლად გადაიზრდება თაობებს შორის სოლიდარობის პრინციპის დარღვევაში. ეს სისტემა რომ იყოს მისაღები, სამუშაოს მიმცემს უნდა ჰქონდეს შემოსავლის სანდო და გრძელვადიანი წყარო პენსიის უწყვეტად დასაფარავად. ეს სისტემა სიძნელეებს განიცდის დემოგრაფიული კლების პირობებში.

### წინასწარი ფონდირება

სისტემის ეს ტიპი გულისხმობს, რომ სამომავლოდ ხდება მარაგის შექმნა საპენსიო გადახდისათვის წინასწარი დაფინანსებით. ეს კი ხდება გასამრჯელოს მიღების პერიოდში, ანუ სახელმწიფო თავის თავზე იღებს მომუშავესათვის საპენსიო გადასახადების აღებას, აკუმულირებასა და მართვას, იმისათვის რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ ის დაუბრუნდეს პენსიის სახით. სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭიროა, რომ წინასწარ დაფინანსებული საპენსიო ვალდებულებები გადახდილ იქნას პენსიების მოთხოვნის დროს.


დასაქმებული პირები არ არიან დაინტერესებული შენატანები გააკეთონ, სისტემაში რომელიც არ არის სტაბილური. რაც შეეხება დასაქმებულებს, ისინი ცდილობენ თავი აარიდონ სავალდებულო სოციალურ გადასახადებს, რისთვისაც მაღავენ მუშახელს ან გაცემული ხელფასების რეალურ ოდებობას. ამ სისტემის ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მყარ და სანდო საპენსიო პოლიტიკაზე, ასევე მტკიცე სამთავრობო ჩართულობაზე.

ქვეყნების უმეტესობა პენსიებს იხდის პირველი სისტემის მიხედვით, თუმცა დღევანდელი ტენდენცია მიანიშნებს მეორე სისტემის ინტერესს.


**საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი მაჩვენებლები**

საპენსიო სისტემასთან პირდაპირ კავშირში მდგომარეობს ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ერთის მხრივ წარმოდგენა ხდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ანუ იმათზე ვისკენაცაა მიმართული პენსია და მეორეს მხრივ იმ ადამიანური რესურსებისა, რომელმაც უნდა დააფინანსოს ეს სახსრები.

სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა მეტყველებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მკვეთრად შეიმჩნევა 20 წლამდე ახალგაზრდების დაბალი რაოდენობა. დაბერების მაჩვენებელი  $K = (S_{60+} / S) \times 100$  საქართველოს მასშტაბით შეადგენს 19.3-ს, რაც მაღალი მაჩვენებელია, ხოლო 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა 3.64 ჯერ აღემატება 0-19 წლის მოსახლეობას.




	სამუშაო ძალა	პენსიონერები	შეფარდება
2005	2,023.9	549.9	3.68
2006	2,021.8	589.9	3.43
2007	1,965.3	611.9	3.21
2008	1,917.8	658.3	2.91
2009	1,991.8	660.0	3.02
2010	1,944.9	662.3	2.94
2011	1,959.3	666.4	2.94
2012	2,029.1	682.9	2.97
2013	2,003.9	686.7	2.92




2005-2013 წლებში სამუშაო ძალის ზრდის დინამიკა არ არის შეუქცევადი. როგორც, ნახ : 1 \_ზე ჩანს, სამუშაო ძალის რაოდენობის ცვლილების ტენდენცია გამოსატყუელია მცირე კლებადი მიმართულებით, რომელსაც ნახაზზე შავი ხაზით ასახავს რეგრესიის წრფივი მოდელი.

ჩანს, რომ პენსიონერთა მზარდ რაოდენობას ვერ აბალანსებს სამუშაო ძალის მოცულობა (ცხრილი : 1; ნახ : 2).



მოსახლეობის ამგვარი ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიულმა ფაქტორებმა. კერძოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ადგილი ჰქონდა შობადობის ბუმს, რაც დღეს სახეზეა წინა საპენსიო თაობის სახით, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის დროს 90-იანი წლების შემდეგ პერიოდში, 2000- იანი წლების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩათვლით შობადობამ მნიშვნელოვნად იკლო, ასევე, ამ წლებში გაიზარდა ახალგაზრდა მოსახლეობის მიგრაცია. შესაბამისად იზრდება ასაკით პენსიონერთა წილი.



იმის გათვალისწინებით რომ მამაკაცები სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით ჩამორჩებიან ქალებს და ისიც, რომ კაცი უფრო გვია გადადის საპენსიო ასაკში, წარმოშობს სისტემას, რომელშიც ქალების რაოდენობა ბევრად აღემატება კაცების რაოდენობას.

**ნახ : 3** –ზე ნახვენები დისბალანსი წარმოდგება იქედან, რომ საქართველოში კაცების მეტი ნაწილი ვერ აღწევს საპენსიო ასაკს 65 წელს, შედარებით ქალებისა, სადაც საპენსიო ასაკი 60 წელია. მეორე მიზეზი გახლავთ დროის პერიოდი, ანუ დროის ის ხანგრძლივობა როცა ადამიანი იღებს პენსიას.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის 2013 წლის მონაცემებით საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 70.2 -ს შეადგენს მამაკაცებში და 78.8 -ს ქალებში.

სიცოცხლის მოალოდნელ ხანგრძლივობას თუ გამოვაკლებთ საპენსიო ასაკს, მივიღებთ მოსალოდნელ საპენსიო პერიოდს. კაცებისთვის 5,2 ხოლო ქალებისთვის 18,8. შესაბამისად საქართველოში 2013 წლის მონაცემებით, 548,9 ათასი ქალი და 308,1 კაცი პენსიონერია, ანუ ქალების რაოდენობა 1.78 ჯერ აღემატება კაცებისას.

საინტერესო მიმართება იკვეთება თუ გარდამავალი საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობას განვიხილავთ სქესობრივ ჭრილში.

**ცხრილი2. გარდამავალი საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა, ათასი ქალი**


		2005	2006	2007	2008	2009
ქალი	55-59 წლის	109.1	122.8	129.4	135	137.5
	60 - 65 წლის	106.3	119	125.4	131.3	134.1
კლება		2.6 %	3.1 %	3.1 %	2.7 %	2.5 %
საშუალო შეწონილი		2.8 %				

**ცხრილი2. გარდამავალი საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა, ათასი კაცი**

		2005	2006	2007	2008	2009
მამაკაცი	60 - 65 წლის	74.5	65.1	61.3	66.2	75.6
	65 - 69 წლის	62.7	54.0	52.0	57.9	67.3
კლება		15.8 %	17.1 %	15.2 %	12.5 %	11.0 %
საშუალო შეწონილი		14.2 %				

ცხრილ: 2 -ში გამოსახულია კაცებისა და ქალების 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფები სხვა და სხვა წელს. ცხრილიდან ჩანს რომ სქესთა ბალანსი მნიშვნელოვნადაა დარღვეული. მამაკაცების 14,2 % მოკვდაობის გამო ვერ გადადის პენსიის წინა ხუთწლედთან შემდეგ ხუთწლედში, მაშინ როცა ქალთა მხრივ იგივე მაჩვენებლის სიდიდე მხოლოდ 2,8 %-ს შეადგენს. შეგვიძლია გამოვთვალოთ პენსიამდელ ხუთწლედთან, საპენსიო ასაკში გადასვლის კოეფიციენტი  $(100\% - 2.8\%) = 97.2\%$  ქალებისათვის და  $(100\% - 14.2\%) = 85.8\%$  კაცებისათვის.



**ნახ:3** წინა საპენსიო ასაკის (პენსიის წინა 5 წელი, ქალები 55-59; კაცები 60-64) მოსახლეობის ჯამი, 5 წლის მიხედვით, (ათასი)



როგორც ნახ : 3 -დან ჩანს, 2010-2014 წლის განმავლობაში პენსიის წინა 5 წლის ასაკში გადასულთა რიცხვი საკმაოდ აღემატება 2005-2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ეს სიდიდე 25,83 % -ის ტოლია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყოველწლიურად მეტი და მეტი


თუ მხედველობაში მივიღებთ წინა საპენსიო ხუთწლედის ქალთა და მამაკაცთა საპენსიო ხუთწლედში გადასვლის კოეფიციენტს, მივიღებთ, რომ მომავალი 5 წლის განმავლობაში  $(491\ 000 * 85.8\%) + (737\ 800 * 97.2\%) = 1\ 138\ 420$  ადამიანი იქნება გადასული საპენსიო ასაკში. წინა ხუთი წლის მაჩვენებელი კი ასეთია 2010-2014 წლებში მამაკაცთა რაოდენობა 65-69 ასაკიანთა ჯგუფში შეადგენდა 293,9 ათასს, ხოლო ქალებისა 60-64 წლიანთა ჯგუფში 616,1 ათასს, ანუ ჯამურად 910 000. ასე, რომ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში  $100\% * (1\ 138\ 420 - 910\ 000) / 910\ 000 = 25,1\%$  -ით მეტი ადამიანი გადავა საპენსიო ასაკში გასულ 5 წელთან შედარებით (ნახ : 4).



რაც შეეხება დასაქმებულ მოსახლეობას სქესობრივ ჯგუფში, მათ საერთო რაოდენობაში ყველაზე მაღალი წილი უფროსი ასაკის მოსახლეობას უჭირავს (ნახ : 5).

თუ დავაკვირდებით 55-59 და 60-64, 65+ ასაკის დასაქმებულთა სტრუქტურას, ადვილი შესამჩნევია, რომ დაქირავებულთა რაოდენობა უფრო მკვეთრად იკლებს, ამ წლებში, ვიდრე თვითდასაქმებულების. თუ საპენსიო ასაკი გაიზრდება, მომუშავეთა ნაწილი არ შეწყვეტს დაქირავებულ მუშაკად ყოფნას.

მიუხედავად ამისა, მზარდი საპენსიო ხარჯებიდან თავის დასაღწევად ერთ-ერთი




გამოსავალი შეიძლება ქალთა საპენსიო ასაკის გაზრდით მოიძებნოს, რაც თანასწორობის თვალსაზრისით უსამართლოდ არ ჩანს, მითუმეტეს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 34 ქვეყანაში საშუალო საპენსიო ასაკი 65 წელია კაცებისთვის და 63.5 ქალებისათვის. ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში საპენსიო ასაკი ქალებში მეტია, ვიდრე 60 წელი და სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატების გამო დგას საპენსიო ასაკის ზღვრის გაზრდის საკითხი.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში საპენსიო ასაკის მაღალი 67 – 68 წლიანი ზღვარი პარმონიაში მოდის ამ ქვეყნების მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან.

**ნახ : 6** –ის შესაბამისად საქართველოში მოსალოდნელი საპენსიო პერიოდი ქალებში დიდად არ განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან, თუმცა კაცის საპენსიო პერიოდი საკმაოდ ჩამორჩება ზოგიერთ ქვეყანის მონაცემს. **ნახ: 7-** ზე გამოსახულია ის ფაქტი, რომ ქალისა და მამაკაცის მოსალოდნელი საპენსიო პერიოდებს შორის სხვაობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით და 13.6 წელს შეადგენს.

ვინაიდან საქართველოში დასაქმების დონე შედარებით მაღალია საპენსიო ასაკის დონეზე, გაზრდილი საპენსიო ზღვარი ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილების ნაწილი არ გამოთავისუფლდება, რაც კიდევ უფრო გაზრდის უმუშევრობის რაოდენობას.



**ნახ: 7**

**დასკვნა**

დღეს საქართველოს საპენსიო სისტემა ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. ძირითადია სახელმწიფო საპენსიო სისტემა, რომელიც ეფუძნება გადანაწილების პრინციპს, რაც ნიშნავს ფიქსირებული პენსიების გაცემას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ხოლო, არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა აუცილებელი წინამძღვრების არარსებობის გამო, კვლავაც განვითარების ჩანასახოვან სტადიაზე რჩება.

დღევანდელი ტემდენციებით, მომავალი 5-10 წლის პერსპექტივაით, ბიუჯეტი სოციალური დანახარჯების განსაკუთრებით დიდი ზეწოლის წინაშე აღმოჩნდება და ამიტომ კერძო საპენსიო დანაზოგების გარეშე პენსიების არსებული დონეების შენარჩუნებაც კი, დროთა განმავლობაში, ქვეყანას მაღალ საბიუჯეტო ხარჯებთან მიიყვანს.

დემოგრაფიული სურათის ცვალებადობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ უნდა გადაიხედოს საპენსიო ასაკის საკითხი, განსაკუთრებით გენდერული თვალსაზრისით.

საპენსიო სისტემის შესაძლო სამ სვეტიან მოდელიდან საქართველოში დღეს მხოლოდ ორი სვეტი მოქმედებს. ქვეყნის საპენსიო უზრუნველყოფა პრაქტიკულად მთლიანად პირველი სვეტით, სახელმწიფო პენსიებით, ხორციელდება. მეორე სვეტი, რომელსაც შეადგენს სავალდებულო დაგროვებადი პენსია, საქართველოში არ ფუნქციონირებს.

რაც შეეხება მესამე სვეტს, ნებაყოფლობით დაგროვებად პენსიას, ის პრაქტიკულად უძრავ მდგომარეობაშია და უმნიშვნელო ტემპით ვითარდება. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში სადაზღვეო კომპანიების მიერ დაფუძნებული საპენსიო სისტემის საქმიანობის მაჩვენებლები უმნიშვნელოა.

ამ ვითარებაში, როდესაც პენსიონერთა რაოდენობა მზარდია, სახელმწიფო პენსიის ფონდი დეფიციტური და კრიზისული შეიძლება გახდეს. მაშინ, როდესაც ნებაყოფლობით გადროვებადი სისტემა სათანადო ტემპით ვერ ვითარდება, მიზანშეწონილია სავალდებულო დაგროვებადი საპენსიო კომპონენტის დანერგვაზე დაფიქრება.

საქართველოში საპენსიო რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ ის გარემოება სახელდება, რომ ქვეყანაში ძალიან დაბალია ფორმალური კონტრაქტებით დასაქმებულთა რიცხვი და ძალიან მაღალია თვითდასაქმებულების წილი მთლიან მოსახლეობაში, რაც ართულებს იძულებითი მექანიზმის მოქმედებას დაგროვებადი საპენსიო სისტემის ფუნქციონირებისათვის.

ამავდროულად კაპიტალის ბაზრის არასათანადო განვითარების დონე ერთ-ერთ უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებისათვის. საკმაოდ პრობლემატური შეიძლება გახდეს საპენსიო დანაგროვების ინვესტირება. შესაბამისი ინსტრუმენტების განუვითარებლობამ შეიძლება გამოიწვიოს საინვესტიციო რესურსების გადინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ასევე განსახაზღვრია მმართველი დაწესებულების როლი სისტემაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)
- [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=199&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo)
- <http://www.who.int/research/en/>
- <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>
- [http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reporma\\_WEB\\_2.pdf](http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reporma_WEB_2.pdf)
- <http://www.iset.ge/blog/?p=2720>
- <http://www.thejakartaglobe.com/business/aging-australians-balk-worlds-oldest-retirement-age/>

**Statistical Analysis of Georgia's Pension System**

**Zezva Sanikidze**  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
MA student

**Summary**



This article discusses following issues: Two types of the pension system: the Solidarity Pension System (pay-as-you go) and Refunding; Age structure of the population by sexentering the labor force at a low level; Aging of the workforce and the number of pensioners; Groups of men and women separated by the number of pension recipients; Quantitative analysis of the transition to retirement-age population and the retirement age of transition ratio; Expected number of people in the first 5 years of retirement age; The three pillars of the pension system (state pensions; mandatory accrualpensions, voluntary accrualpensions).

This article discusses following issues: Two types of the pension system: the Solidarity Pension System (pay-as-you go) and Refunding; The age-sex structure of the population and upcoming low level of the workforce; Aging of the population and Decline of the ratio between workforce and pensioners; Groups of men and women separated by the number of pension recipients; Quantitative analysis of the transition to retirement-age population and the retirement age of transition coeficient; The difference between the retirement age and expected pension period by country: Expected number of people in the first 5 years of retirement age; The three pillars of the pension system (state pensions; mandatory accrualpensions, voluntary accrualpensions).

**თავისუფალი ეკონომიკური ზონების მნიშვნელობა  
განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში**

**დავით სისხარულიძე**  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*  
*დოქტორანტი*

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც, სპეციალური ეკონომიკური ზონების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ აქ, ძირითადად, წარმოდგენილია ტრადიციული საექსპორტო წარმოების ტიპის თავისუფალი ზონები, რომლებიც, როგორც განვითარებულ, ისე აზიის ქვეყნებში, მოქველდებულ მოდელს წარმოადგენს. ეს არის იზოლირებული, შემოღობილი ანკლავები, საკუთარი საბაჟო გამშვები პუნქტითა და დამოუკიდებელი სამართლებრივ-ეკონომიკური რეჟიმებით. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონების ეს მოდელი, უკვე 30 წელიწადზე მეტია ტრანსფორმაციას განიცდის ისეთ უახლეს სახეობებში, როგორცაა იგივე, ზონების მთლიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისაკენ მიმართული თავისუფალი პორტები, ასევე, სამეწარმეო ზონის პროგრამები (Enterprise Zone), მაღალი ტექნოლოგიის განვითარების ზონები და ა.შ.

საქმე იმაშია, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ნაკლებად არიან ორიენტირებულნი მაღალი ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკების

განვითარებაზე. მათ უფრო ისეთი პრობლემები აწუხებთ, როგორცაა: უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვა, წარმოებისა და დასაქმების ზრდა, ექსპორტის ზრდა და ა.შ. ამ მიზნებიდან გამომდინარე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სპეციალური ეკონომიკური ზონები კონკრეტული მიზნის მისაღწევად იქმნებიან: ეს არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და სწორედ ამიტომ, ამ ქვეყნებში, ძირითადად, წარმოდგენილია საექსპორტო წარმოების ზონები, ან იგივე თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, როგორც იზოლირებული (ძირითადად, შემოღობილი) ტერიტორიები კონკრეტული საგადასახადო შეღავათებით.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან სპეციალური ეკონომიკური ზონები ყველაზე კარგადაა განვითარებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მათი განვითარებისა და წარმატებით ფუნქციონირების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებს წარმოადგენენ ბელორუსია და მოლდოვა.

ბელორუსიაში 6 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფუნქციონირებს, სადაც 2010 წლის მონაცემებით, 280 კომპანია ოპერირებს, 61 000 დასაქმებულით.<sup>110</sup> პროექტებში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა შეადგენს 360 მილიონ აშშ დოლარს. ინვესტიციები განხორციელებულია მსოფლიოს 30 ქვეყნის წარმომადგენელი კომპანიის მიერ. ყველაზე მსხვილი ბელორუსიული თავისუფალი ეკონომიკური ზონებია „მოგილევის“ და „გრონდინგვის“ ზონები. სპეციალური ეკონომიკური ზონა ფუნქციონირებს დედაქალაქ მინსკშიც.

ბელორუსიაში მათი შექმნის მიზანი, დანიშნულება, რეგულაციები და სხვა სტანდარტები დარეგულირებულია 1998 წლის 7 დეკემბერს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით - „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“.<sup>111</sup> ეს ზონები იზოლირებული ტერიტორიებია, დამოუკიდებელი სამართლებრივ-ეკონომიკური რეჟიმით, საკუთარი საბაჟო გამშვები პუნქტითა და მართვის ორგანოთი. განსხვავებით მოლდოვისგან, ბელორუსიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზონის კერძო მეპატრონისა და დეველოპერის არსებობას. აქ განთავსებული ყველა თავისუფალი ზონა სახელმწიფო საკუთრებაშია და იმართება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ..

სპეციალური ეკონომიკური ზონების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს სერბეთი, სადაც ზონების ჩამოყალიბებას ფართო გასაქანი ეძლევა და ყველა უცხოურ, თუ ადგილობრივ კომპანიას შეუძლია, შექმნას და მართოს საკუთარი საექსპორტო წარმოების ზონა. აქ არსებული კანონი თავისუფალი ზონების შესახებ, ორიენტირებულია კერძო კომპანიების სტიმულირებაზე - ჩამოყალიბონ თავისუფალი ზონები და იმგვარი მოდელი, რომელიც გულისხმობს იზოლირებულ ტერიტორიას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარება უკანასკნელ პერიოდში დაიწყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაშიც, რომელმაც 2009 წლის 14 აპრილს მიიღო კანონი „სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ“; თუმცა, ამ კანონის საფუძველზე, ჯერ არც ერთი ზონა არ არის შექმნილი, ვინაიდან მიმდინარეობს თანმდევი საკანონმდებლო აქტების მომზადება და დამტკიცება. კანონის მიზანს წარმოადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების, წარმოებისა და მომსახურების ახალი სფეროების დანერგვით. ეს კანონი ზონას განსაზღვრავს, როგორც იზოლირებულ ანკლავს შემოღობილი ტერიტორიით, სპეციალური კანონმდებლობითა და სპეციალური საბაჟო გამშვები პუნქტით.

სომხეთში გადაწყვეტილია ორი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, თუმცა კანონმდებლობა და თანმდევი ნორმატიული აქტები ამ მიართულებით ჯერ არ არის სრულყოფილი. ეს ზონებიც სახელმწიფოს საკუთრებაში იქნება, რომელთა მართვასაც,

<sup>110</sup><http://www.belarus.by/en/invest/investment-climate/free-economic-zones>

<sup>111</sup><http://fezmogilev.by/page-1596-en.html>

ასევე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული გიგანტი სს „სინტრონიკ არმენია“ განახორციელებს. ეს ზონები მიმართული იქნება ელექტრონიკის, ინჟინერიის, ფარმაცევტული, ბიოტექნოლოგიური, ტელესაკომუნიკაციო, საინფორმაციო და სხვა სფეროს წარმოების განვითარებაზე.<sup>112</sup>

განვითარებული სპეციალური ეკონომიკური ზონების პირველი ნიმუში, გვხვდება ევროპაში როდესაც 1959 წელს, ირლანდიაში შეიქმნა საექსპორტო წარმოების ზონა „შენონი“. მთელ მსოფლიოში ამ საექსპორტო წარმოების ზონით დაიწყო თანამედროვე ეკონომიკური ზონების განვითარება და იგი დღემდე ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. „შენონში“ წარმოებული საექსპორტო პროდუქციის ღირებულება ყოველწლიურად 3 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს. ეს პირველი თანამედროვე სპეციალური ზონაა მსოფლიოში, რომელიც მთავრობის მიერ შეიქმნა და დღემდე ირლანდიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიად რჩება. აქ კორპორატიული გადასახადი მთელ ევროპაში ყველაზე დაბალია და 12,5%-ს შეადგენს<sup>113</sup>. მინიმუმამდეა დაყვანილი ბიუროკრატიული ბარიერები, რომლებიც ექსპორტ-იმპორტის დეკლარირებასა და სხვა საკითხებთანაა დაკავშირებული. უცხოური და ადგილობრივი კომპანიებისთვის შეთავაზებულია უაღრესად მიმზიდველი პირობები უძრავი ქონების შეძენისა და იჯარისათვის.

კიდევ ერთი მძლავრი ევროპული საექსპორტო წარმოების ზონა გვხვდება ლიტვაში, რომელიც – „Kaunas FEZ“ სახელწოდებითაა ცნობილი. ესეც ტიპური საექსპორტო წარმოების ზონაა, რომელიც გაშენებულია 534 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე; გააჩნია საკუთარი საბაჟო გამშვები პუნქტი, სადაც მოქმედებს საგადასახადო შეღავათები. შეღავათებიდან ძირითადია საშემოსავლო გადასახადისაგან 6 წლის ვადით გათავისუფლება და დამატებით მომდევნო 10 წლის განმავლობაში ნახევარი განაკვეთით დაბეგვრა. ეს შეღავათი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მთელ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადი 15%-ს შეადგენს. აქ მოქმედი კომპანიები გათავისუფლებულნი არიან ასევე, ქონების გადასახადისაგან. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ამ ზონაში უცხოური კომპანიები არ იხდიან დივიდენდის გადასახადს, რომელიც მთელ ქვეყანაში იბეგრება 15%-იანი განაკვეთით. აღნიშნული ფაქტი ნათლად მიუთითებს ამ ზონის გამორჩეულ და მთავარ მიზანზე - უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა..

თავისუფალი სავაჭრო ზონები განსაკუთრებით მძლავრადაა განვითარებული ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 266 თავისუფალი სავაჭრო ზონა ფუნქციონირებს. აშშ-ში მათი განვითარება 1934 წელს „სავაჭრო ზონების შესახებ“ აქტის გამოცემით დაიწყო, რომლის შესაბამისადაც, შექმნილ ზონებს საერთაშორისო ვაჭრობა უნდა განვეითარებინათ იმპორტირებული საქონლის გადასახადებისგან გათავისუფლების გზით<sup>114</sup>. დღეს აშშ-ის ამ ზონებში საწარმოო ხარჯები დაბალია შემცირებული რე-ექსპორტირების, სადაზღვევო, საკრედიტო განაკვეთებისა და სხვა გარემოებების საფუძველზე. იქიდან გამომდინარე, რომ ზონები იძლევა შესაძლებლობას, გადასახადები გადახდილ იქნეს მხოლოდ მზა პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე შესვლის შემდეგ, უზრუნველყოფილია ზონაში თანხების მობილიზების შესაძლებლობა. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თავისუფალი ზონაა მაიამის ზონა<sup>115</sup>, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ ტიპის ზონების ნიშან-თვისებებზე.

მოკლედ მიმოვიხილეთ, რა თავისუფალი ეკონომიკური ზონების როლი და მნიშვნელობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში, საინტერესოა ამ ყველაფრის

<sup>112</sup><http://www.lragir.am/engsrc/economy25007.html>

<sup>113</sup><http://www.shannonireland.com/media/Media,10402,en.pdf>

<sup>114</sup>[http://en.wikipedia.org/wiki/Reciprocal\\_Tariff\\_Act](http://en.wikipedia.org/wiki/Reciprocal_Tariff_Act)

<sup>115</sup><http://www.miamifreezone.com/>

ფონზე, რამდენად მართებულია ამგვარი ზონების განვითარება ჩვენს ქვეყანაში და რამდენად დაეხმარება ან დააზარალებს ამ მოვლენებს ის ეკონომიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლის ფარგლებშიც გვიწევს არსებობა.

თავის დროზე თეზების საკითხის განხილვამ შეიძინა პოლიტიკური შინაარსი, რასაც ვფიქრობ, რომ შეეწირა მისი პოზიტივები. ეს იყო დროის დაკარგვა, თუმცა შემდგომში ამ საკითხს დაუბრუნდნენ და შეიქმნა ზონების მთელი ნაირსახეობა.

მთავარი საფრთხე თეზების შექმნის გზაზე არის ის რთული, კონფლიქტური ვითარება, რომელიც სულ უფრო მძლავრ ხასიათს იძენს მთლიანად კავკასიის რეგიონში, შავი ზღვის ბასეინში. წმინდა ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით თეზების განვითარებას შეიძლება ითქვას სირთულეები არ ემუქრება და თუ რაიმე შეიძლება იყოს ბარიერი სამართლებრივი თვალსაზრისით ეს მოგვარებადი საკითხია.

თეზების მოდელს შორის მართებული იქნება უპირატესობა მივანიჭოთ მაღალტექნოლოგიურ მიმართულებებს, სადაც რეალიზებული იქნება წარმოების უფრო მეტად მეცნიერებადტევადი მიმართულებები. ამაზე აქცენტს ვაკეთებთ იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ქვეყნის განვითარება მოხდეს მარალტექნოლოგიურ საფუძველზე და თეზების იდეაც იყოს შესაბამისობაში ამ ძირითად პრინციპებთან.

ამგავრად ზონებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, რაც გამოხატება მთელი რიგი შედეგებით: მინიმალური გადასახადებით, მაქსიმალურად გააღვილებული ტრანსპორტირებით, ყოველგვარი ბიუროკრატიული ზეწოლისაგან განთავისუფლებული სავაჭრო ტერიტორიებით და ა.შ. შესაბამისად, ვფიქრობ, ამგავრი ზონების შექმნის უფლება ეს არის კარგი საშუალება, სახელმწიფოსთვის რომლის გამოყენებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუკი შეიქმნება გარემო სადაც აღნიშნული „იარაღი“ იქნება ერთი შემადგენელი ნაწილი იმ არსენალისა რომელიც მიმართულია არა ქვეყნის შიგნით არამედ საპირისპირო მიმართულებით, შესაბამისად ვფიქრობ თეზები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს ის ბერკეტია რომლის სწორად გამოყენებაც და ამისათვის მთელი რიგი სფეროების შემზადება ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს დადგეს ევროპის მოწინავე ქვეყნების გვერდით იქ სადაც მისი ისტორიული ადგილია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ვაშაკიძე ზ. სილაგაძე ლ.*, თავისუფალი ეკონომიკური ზონები. თბილისი, 2008.
2. *მამულაშვილი ლ.* თავისუფალი ეკონომიკური ზონები-ოფშორული ცენტრები. თბილისი, მერანი, 2005.
4. მარიკა ბოჭორიძე, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები-გაცრუებული იმედები თუ პროგნოზირებული არაეფექტიანობა, თბილისი, 2012.5. გერსამია არჩილი, სპეციალურ ეკონომიკურ იზონები და მათი განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2012
7. *Мелия М. Бизнес, это психология. М., 2005*
9. *International Labour Organization, Report of the InFocus Initiative on export processing ones (EPZs): Latest trends and policy developments in EPZs. GB.301/ESP/5, 301st Session, Geneva, 2008.*

#### Special Economic Zones in developed and developing countries

David Sikharulidze

Georgian State Technical University

Doctoral student

#### SUMMARY

Special Economic Zones is a matter of priority as one of the levers of the country's economic growth development, both in developed and developing countries, which is reflected in the latter's active development policy measures. In these countries the issues related to the existence and functioning of special economic zones are regulated by law or are in the process of a regulation.

Therefore, in such country it is necessary to develop reasonable policy regarding the development of such special economic zones. Appropriate legal framework and defining the diversity of the zones, that will become a serious precondition for the encouragement of an economic development.

## **E-environment influence on SMEs business development**

**Deniss Ščeuļovs**

*Riga Technical University, Latvia*

**Elīna Gaile-Sarkane**

*Riga Technical University, Latvia*

### **Summary**

Balanced development is the aim of any company, ensuring the company's existence in a long-term, all the while promoting the growth of the sector and economy. In Latvia and in other European Union countries, the numeric majority of companies are micro, small, and medium enterprises (SME), furthermore, due to the lack of resources, small companies find it difficult to develop on the global market. Small and medium enterprises must choose methods of product development and market promotion that are different from big companies' methods, choosing only those tools from the available tools for company development and increasing competitiveness that are most suitable for the particular company's needs and peculiarities. One of possibility to use e-environment for mentioned purposes.

*Keywords:* e-environment, business, indicators.

*JEL Classification:* M31

### **Introduction**

Fast development of technologies, economic globalization and many other external circumstances stimulate company's competitiveness. In the electronic market, as in the classic one, there are factors, such as globalization, development of new technology, price sensitive consumers, Internet, new distribution and communication channels that influence entrepreneurship. As a result of e-environment development, e-commerce and e-marketing grow as well.

There are people of various consumer age groups among the electronic market participants representing various generations (Pre-boom, Baby boom, X Generation, Net Generation, Next Generation) (Tapscott, 2008) however younger people prevail. Each generation has its own experience and habits in using the e-market. Therefore knowledge about peculiarities and e-market behaviour of different generations is important in entrepreneurship, in order to successfully operate on the electronic market, as well as to understand the changes and challenges expected in the future of e-commerce.

The performed scientific studies show that proper and skilful use of modern technologies can contribute to significant development of companies. Growth of technologies occurs rapidly and the electronic environment continuously develops and improves along with it. General “e-zation” is taking place the world over, promoting re-structuring of business models and a change of the overall paradigm. The electronic environment is used for various needs – for trade, marketing, advertisement, studies, communication, training, etc. Simultaneously, there is an opinion claiming that in future, the majority of transactions will be performed on the electronic market, hence advancing the dominant position of the e-environment in achieving entrepreneurship competitiveness.

The electronic environment already now offers companies practically all the necessary marketing and communication tools for ensuring company development by creating competitive advantages, nevertheless, not all companies can employ the opportunities rendered by the e-environment, in order to increase company competitiveness and productivity.

One of the major trends in today’s business is the shift to the exploitation of the Internet and electronic environment for entrepreneurial needs. Latest researches confirm that e-environment provides a range of possibilities and opportunities for companies, especially for micro-, small- and medium-sized companies, which have limited resources. The usage of e-tools raises the effectiveness and the profitability of an organization, as well as its competitiveness (Ščeuļovs & Gaile-Sarkane, 2013).

The aim of the article is to analyse e-environment tools for different business needs, as also to detect factors, affecting the use of e-environment tools by companies.

#### *E-environment tools for business needs*

Based on prior studies and having analysing e-environment tools (Ščeuļovs, 2013), the authors of the article propose grouping them as follows: e-environment tools of company’s marketing communication; e-environment tools of confirming and identifying presence; recognisability e-environment tools. Based on an analysis of e-environment tools, also based on Kotler’s platform models (Kotler *et.al* 2000), the authors has developed a proportional distribution of a company’s e-environment tools (Fig. 1).

As can be seen from the figure, the authors refer *social internet networks* to all three platforms of a company’s e-environment tools. Nowadays, social internet networks have become more than just sites for gathering and communication. Owing to modern technologies, mobile internet has become ever more popular. The use of mobile internet fosters the use of social internet networks for various aims, including entrepreneurship. Representatives of Latvian mobile operators point out that the users employ mobile internet also for obtaining information, entertainment, studying, online purchases, online banking, and reading daily news (Dienas bizness, 2012).


#### Method

The theoretical and methodological groundwork of the study is formed of scientific articles, monographs, regulatory enactments and researches, conference materials, internet resources, expert opinions published in Latvia and abroad, as well as the authors’ performed study about the use of e-environment in entrepreneurship analysis and a comparison. In development of the article, generally accepted qualitative and quantitative data analysis methods of the economic science were employed, among them, statistical data processing, data grouping, inductive-deductive data analysis methods. The scientific study employs surveying, observation, as well as comparative, analytical, and graphical methods, which are used by the author to compare and analyse facts and assess solutions to specific issues.

With the aim to establish which e-environment tools are used by companies, what is the intensity of their use, and what are the companies’ skills in using them, author of the article carried on the survey.

Time of the survey: May 2012 – October. Sample base – an internet survey created on an online e-survey site [www.visidati.lv](http://www.visidati.lv), as well as by posting an announcement with a call to participate in a survey in

social networks – www.linkedin.com, www.facebook.lv, www.skype.com, www.draugiem.lv. The database of SIA Lursoft was also used. Overall, the survey was sent to 2100 Latvian companies, 1600 of which were SMEs. The call to fill in the questionnaire was sent to Latvian company managers and leading employees. The questionnaires were sent out twice, and a part of companies were called by phone and asked to fill in the questionnaires. Filled-in questionnaires with answers to all questions were received from 526 companies.



**Figure 1.** Conceptual framework: Proportionate distribution of company's e-environment tools  
[the author's original work]

To find out what e-environment tools, what way, and for what purposes are used by companies in their daily work; what are the barriers for availability of various tools, etc., the authors has conducted a study on the use of the e-environment by Latvian SMEs in entrepreneurship.

### **Main results**

As the result of analysis of e-tools, e-environment tools have been categorized based on their respective use in entrepreneurship and using Kotler's platform models principle. They are divided in three groups: company social, communication, and business platform. The totality of e-environment tools to be used in a company constitutes what is known as the proportional division of company's e-environment tools, providing an overview of the general use of e-environment tools at the company's clients and stakeholders, as well as promotes company's development.

As a result of processing the answers and factor analysis and interpretation, ten factors affecting the use of e-environment in the respondent companies were elucidated. Taking into account the obtained variables and correlation quotients (Jansons & Kozlovskis, 2012), the authors has performed their interpretation and has created factors classification:

1. company managers' and management's understanding of the types of use of e-tools;
2. understanding of communications tools and their use in entrepreneurship;
3. understanding of e-business models (authors' remark: taking into account the variables in this factor, as well as correlation quotients, it can be concluded that companies have no clear understanding of the meaning of e-business models);
4. company's communication with the stakeholders in online mode;
5. company's website, which is a tool of sales and marketing (authors' remark: companies have these tools, but have no understanding of the aims that the tools are intended for and how to use them);
6. the use of e-environment tools in market and consumer studies (authors' remark: companies are informed of the existence of such tools, but are not aware of how they could be used);
7. understanding of state-offered services (authors' remark: the factor is affected not only by weak use of the business tools, but deficiencies of several *e-government* tools, which encumber their use);
8. acceptance of e-environment tools among employees;
9. versatility of e-environment tools in a company;
10. use of state e-services for business and private needs.

Various indicative assessment systems may be used for assessment, for instance, Key Performance Indicators (Parmenter, 2007). There are several systems that can be used for measuring performance and that contain qualitative and quantitative indicators. For instance, Performance Measurement Matrix (Neely, *et.al* 2000). The matrix includes internal and external factors that are not related to costs. With indicators of the Results and Determinants Matrix (Pun & White, 2005), a company can measure the efficiency of using resources, product quality, innovative activity, etc. The expanded balanced indicator system or the Balanced Scorecard (Cooper & Schindler, 1998) allows assessing the level of satisfaction of stakeholders, company's value proposal etc. Engagement of stakeholders can be estimated with the Business Model canvas (Osterwalder & Pigneur, 2009). This model can be used for determining the stakeholder groups and for assessing each group in order to choose indicators.



Based on sources of scientific and business writings, in order to help companies managers properly measure effectiveness of e-environment tools using, authors of the article offer 26 indicators (penetration, satisfaction, sales forecast, brand development index etc.).

### Conclusions

The authors' conducted study on the use of e-environment in entrepreneurship proved that a range of e-tools is available simultaneously, which can ensure more effective use of company's resources and development in a long-term, however entrepreneurs do not know all of them or do not know how to or do not wish to use them. By informing the company managers about the available e-tools and their use, considerable increase in competitiveness of companies can be achieved, which concurrently ensures creation of additional values for the company's clients and stakeholders, as well as promotes company's development.

Based on the study results, the authors conclude that overall companies are using e-environment tools. There is an apparent lack of information and poor knowledge of entrepreneurs regarding the use of e-environment tools in entrepreneurship. A positive conclusion – the companies understand that with e-environment tools, insufficient or missing resources can be replaced / supplemented. Companies also are willing to gain knowledge and learn how to use e-environment tools for entrepreneurship needs. Several answers point to managers' and employees' partial acceptance of e-environment tools, which is a hindrance for comprehensive use thereof.

The performed factor analysis points to insufficient information about the use of e-environment in entrepreneurship and to poor knowledge about the use of e-environment tools in entrepreneurship. Managers and employees of Latvian companies are aware that e-environment tools can be used to replace/supplement the insufficient or lacking resources. The advantage of the use of e-environment tools is that no significant financial resources must be invested, because the main resources needed are time and human capital.

Studies show that companies have a low level of knowledge about e-environment tools, opportunities provided by them, as well as their use for entrepreneurship needs. The willingness of companies to gain knowledge and learn how to use e-environment tools for entrepreneurship needs is a positive trend; it could be a signal for educational establishments of various levels to introduce new training programmes relevant for the market demand, etc.

### References

Cooper, D., Schindler, P. (1998). *Business Research Methods*, 6th edition. Boston: McGraw-Hill.

Jansons, V., Kozlovskis, K. (2012). *Ekonomiskā prognozēšana SPSS 20 vidē. Mācību grāmata*. Rīga: RTU Izdevniecība, 121-143.

Kotler, Ph., Jain, D., Maesincee S. (2000). *Marketing Moves: A New Approach to Profits, Growth, and Renewal*. Harvard: Harvard Business School Publishing Corporation, 78-83.

Neely, A., Mills, J., Platts, K., Richards, H., Gregory, M., Bourne, M., & Kennerley, M. (2000). Performance Measurement System Design: Developing and Testing a Process-based Approach. *International Journal of Operations & Production Management*, 20(10), 1119-1145. doi: 10.1108/01443570010343708.

Osterwalder, A., Pigneur, Y. (2009). *Business Model Generation*. Hoboken: John Wiley & Sons, 127-129.

Parmenter, D. (2007). *Key Performance Indicators*. Hoboken: John Wiley & Sons.

Pun, K., White, A. (2005). A performance measurement paradigm for integrating strategy formulation: A review of systems and frameworks. *International Journal of Management Reviews*, 7 (1), 49–71, doi: 10.1111/j.1468-2370.2005.00106.x.

Sociālie tīkli – mobilā interneta „putukrējums”. (2008, July 23). *ŽurnālsDienas Bizness*, 12-13.

Ščeuļovs, D. (2013). Use of electronic environment in entrepreneurship development. (Doctoral dissertation).

Ščeuļovs, D., Gaile-Sarkane, E. (2013). Identification of Factors Influencing Company's Competitiveness. *World Academy of Science, Engineering and Technology*, 78, 7(6), 246 - 252.

Tapscott, D. (2008). *Grown Up Digital: How the Net Generation is Changing Your World*. - New York: McGraw-Hill, 296-299.

## მოლაპარაკებების როლი კონფლიქტების მარეგულირებელ დონისძიებათა სისტემაში

*ნინო ფარესაშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოციირებული პროფესორი*

ორგანიზაცია თანამედროვე საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ადამიანთა სოციალური ცხოვრება მიედინება ამა თუ იმ ორგანიზაციის შემადგენლობაში. ორგანიზაციაში არსებულ ურთიერთობათა რთული სისტემა სრულიად შესაძლებელს ხდის მრავალგვარი კონფლიქტის წარმოქმნის ალბათობას, რომელთა დარეგულირება მოლაპარაკებების გზითაა შესაძლებელი. მოლაპარაკები შესაძლებელია განხორციელდეს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი კონფლიქტის მხარე ცდილობს გადაჭრას მათი განსხვავებული მიზნები თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების პირობების დადგენის მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები მოლაპარაკებებს მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც ისინი თვლიან, რომ განხილვას შეიძლება მოჰყვეს უფრო დამაკმაყოფილებელი შეთანხმება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყველა იღებს ამათუიმ სახის მოლაპარაკებაში მონაწილეობას, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროცესი ყოველდღიური ხასიათისაა. მოლაპარაკებები მეტად აშკარაა სამუშაო გარემოში, რადგანაც თანამშრომლები მუშაობენ ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულ პირობებში.

ზოგადად, საუკეთესო სტრატეგიაა ზომიერი სიმკაცრის შენარჩუნება და მხოლოდ იმდენ დათმობაზე წასვლა, რაც აუცილებელი იქნება გულწრფელი კომუნიკაციისა და კონფლიქტის გადაწყვეტის მოტივაციის ამაღლებისათვის.

მოლაპარაკებების მართვის პროცესში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონსტრუქციული კონფლიქტი, ჯგუფის წევრებს შორის, გადაწყვეტილებათა ხარისხს აუმჯობესებს, კრეატიულობასა და ინოვაციურობას ასტიმულირებს, ინტერესს აღვიძებს და ზრდის ცნობისმოყვარეობას. დისფუნქციური კონფლიქტი, კი ზრდის როგორც უკმაყოფილებას, ისე ქმნის ჯგუფის განადგურების საფრთხეს.

კონფლიქტის პროცესის მოდელი იწყება კონფლიქტის წყაროებით. რაღაც მომენტში, კონფლიქტის წყაროს მიყავს ერთი ან მეორე მხარე იქამდე, რომ დაიჯერონ და აღიქვან კონფლიქტის არსებობა. ერთი (ან ორივე) მხარესთვის ცნობილი ხდება, რომ მეორე მხარის განცხადებები და ქმედებები შეუთავსებელია მისი საკუთარი მიზნების მისაღწევად. ასეთი აღქმები უმეტესად ურთიერთქმედებს კონფლიქტით გამოწვეულ ემოციებთან. წარმოდგენები კონფლიქტის შესახებ და ემოციები ბიძგს აძლევს კონკრეტულ გადაწყვეტილებებსა და ერთი მხარიდან მეორესკენ მიმართულ ქმედებებს. კონფლიქტის ეს ეპიზოდები შეიძლება მოექცეს შემდეგ დიაპაზონში - დახვეწილი არაავრბალური ქცევა და ომისებური აგრესია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანები განიცდიან ემოციური კონფლიქტის მაღალ დონეს, მათ უჭირთ შესაფერისი სიტყვების, გამონათქვამების მოძებნა და ერთმანეთთან კომუნიკაცია, გაღიზიანების გარეშე.

კონფლიქტი ასევე გამოიხატება იმ სტილით, რომელსაც თითოეული მხარე იყენებს კონფლიქტის მოსაგვარებლად. ზოგიერთი ადამიანი, როგორც წესი, ცდილობს კონფლიქტის თავიდან აცილებას, ხოლო ზოგიერთი ცდილობს დაამარცხოს საპირისპირო აზრის მქონე ადამიანები.

თაობათაშორისი კონფლიქტების, რომელიც არც თუ ისე იშვიათია, ასევე განაპირობებს დიფერენციაციას. ახალგაზრდა და ხანდაზმული თანამშრომლებს გააჩნიათ განსხვავებული საჭიროებები, სხვადასხვა მოლოდინები და განსხვავებული სამუშაო პრაქტიკა. ეს ყოველივე ერთად აღებული, ზოგჯერ ხელს უწყობს კონფლიქტის პრევენციებსა და კონფლიქტურ ქმედებებს. ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანებმა განავითარეს სოციალური იდენტობა ტექნოლოგიური გარემოს ირგვლივ და სხვა მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენების ირგვლივ. ინფორმაციული ტექნოლოგიები ასევე ახდენს დიფერენციაციას, რადგან პირისპირ ურთიერთობის გარეშე, თანამშრომლებს აქვთ უფრო მეტი სირთულე საერთო მენტალობის მოდელებისა და ნორმების შექმნაში. მაგალითად, ბოლო კვლევები მიუთითებს, რომ ვირტუალურ გუნდს აქვს კონფლიქტების მაღალი სიხშირე, რადგან ტექნოლოგია ართულებს, რომ გუნდის წევრებმა შექმნან საერთო გამოცდილება და ჩამოაყალიბონ პერსპექტივები.

კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ კონფლიქტის აღქმა ამცირებს კომუნიკაციის მოტივაციას. ურთიერთობათა კონფლიქტის არსებობა არასასიამოვნოა, ასე რომ, ადამიანები ხშირად თავიდან ირიდებენ ინტერაქციას კონფლიქტურ ურთიერთობებში. სამწუხაროდ, ნაკლებმა ურთიერთობამ შეიძლება კიდევ უფრო მოახდინოს კონფლიქტის ესკალაცია, რადგან ნაკლები კომუნიკაციისას ნაკლებია შანსი გამოკვეთო მოწინააღმდეგის სიტუაცია, ოპონენტები, უფრო მეტად, ეყრდნობიან დამახინჯებულ სტერეოტიპებს. ფაქტია, რომ კონფლიქტს აქვს ტენდენცია, კიდევ უფრო დაამახინჯოს ეს ისედაც დამახინჯებული სტერეოტიპები სოციალური იდენტიფიცირების პროცესის მეშვეობით.

კონფლიქტი ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არსებობს როგორც შესაძლებლობათა ნაკლებობა, ისე უნარების ნაკლებობა ან არასაკმარისი მოტივაცია იმისთვის, რომ მოხდეს ეფექტური კომუნიკაცია. პირველ რიგში, როდესაც რომელიმე ორ მხარეს აქვს კომუნიკაციის ნაკლებობა, ორივე მათგანი უმეტესად სტერეოტიპებსა და შეხედულებებს ეყრდნობა იმ მიზნით, რომ გაიგოს კონფლიქტის მიმდინარეობისას მეორე მხარის პოზიცია და რეალური მიზანი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ ადამიანს არ აქვს ის აუცილებელი უნარი, რომელსაც მოითხოვს დიპლომატიურად წარმართვის კომუნიკაცია, არაკონფრონტაციული გზით. როდესაც ერთი მხარე კომუნიკაციას ახდენს ქედმაღლური მანერით, ოპონენტის მხრიდან კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შანსი მაღალია.

კონფლიქტს აქვს ტენდენცია, რომ გაზარდოს ურთიერთდამოკიდებულების დონე, რომელიც არსებობს მაშინ, როდესაც გუნდის წევრები იზიარებენ საერთო საშუალებებს

მათი ამოცანების შესასრულებლად, სჭირდებათ ურთიერთქმედება მათი კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის, ან სჭირდებათ მიიღონ შედეგები (როგორცაა ჯილდოები), რომლებიც ნაწილობრივ განისაზღვრება სხვათა შესრულებული სამუშაოთი. მაღალი ურთიერთდამოკიდებულება ზრდის კონფლიქტის რისკს, რადგან არსებობს უფრო დიდი შანსი იმისა, რომ თითოეული მხარე ჩაშლის ან ჩაერევა მეორე მხარის მიზნებში.

მეორეს მხრივ, როდესაც თანამშრომლებს აქვთ სრული დამოუკიდებლობა, მათ აქვთ ტენდენცია, ჰქონდეთ კონფლიქტის ყველაზე დაბალი რისკი იმასთან შედარებით, როდესაც თანამშრომლები მუშაობენ სხვებთან და გააჩნიათ მათთან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობა.

მოლაპარაკებებისადმი ინტერესი ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებით გაიზარდა. ძირითადად დომინირებს ოთხი მიდგომა: ინდივიდუალური განსხვავებები, სიტუაციური თავისებურებები, თამაშთა თეორია და შემეცნებითი მიდგომები. ინდივიდუალური განსხვავებები არის ადრეული ფსიქოლოგიური მიდგომები, რომლებიც კონცენტრირებულია პიროვნების მოლაპარაკების უნარში. ეს განსხვავებები მოიცავს როგორც დემოგრაფიულ მახასიათებლებს, ისე პიროვნულ ცვლადებს. პიროვნულ ცვლადებში უნდა გაეთვალისწინოთ რისკიანობის მაჩვენებელი, კონტროლის ნორმა, ორპიროვნების მაჩვენებელი, თავმოყვარეობა, ავტორიტარიზმი, მაკიაველიზმი და სხვა.

ინდივიდუალური განსხვავებების დადგენის მიზანი არის წარმატებული მოლაპარაკებისთვის შესაფერისი პიროვნების შერჩევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა ყოველთვის გამართლებული არაა. რაც შეეხება, სიტუაციურ თავისებურებებს, ისინი ეყრდნობიან იმ კონტექსტთა ერთობლიობას, რომელშიც მოლაპარაკებები ხდება. ისინი მოიცავს კომუნიკაციას მომლაპარაკებლებს შორის, მოლაპარაკების პოტენციურ შედეგებს, მხარეთა ძალას (თანამდებობრივი და პირადი), მოლაპარაკებებისთვის განკუთვნილ დროით განრიგს, თითოეული მხარის წარმომადგენელთა რაოდენობას, მხარეების დასწრების მაჩვენებელს და ა.შ.

სიტუაციური მიდგომა ინდივიდუალური მახასიათებლების მიდგომის ანალოგიურია. ბევრი სიტუაციური ფაქტორი გარეგანია და მათი კონტროლი მოლაპარაკებების ფარგლებს გარეთაა. ასე რომ, მიუხედავად თეორიული ცოდნისა, სიტუაციურად მოლაპარაკებებზე ზეგავლენა მეტად რთულ საკითხად რჩება.

თამაშთა თეორია მეცნიერების მიერ შემუშავებულ იქნა, რათა მოეხდინათ მათემატიკური მოდელების გამოყენებით მოლაპარაკებების შედეგების პროგნოზირება. თამაშთა თეორია მოითხოვს, რომ ნებისმიერი ალტერნატივა და მისი შედეგი უნდა გაანალიზდეს რიცხვითი შედეგების ამსახველი პარამეტრებით. ამ მიდგომის შედეგი არის ზუსტად ის, რაც მოლაპარაკებების სასურველი დასასრულია: მოლაპარაკების ჩატარების პროგნოზირებადი მოდელები. თამაშთა თეორიის უმთავრესი პრობლემაა ის, რომ იგი მოითხოვს ყველა შესაძლო ვარიანტის აღწერასა და შეფასებას მოლაპარაკების ნებისმიერ სიტუაციაში მანამ, სანამ მოლაპარაკება რეალურად დაიწყება. ეს კი თუ შეუძლებელი არაა, მინიმუმ ძალიან რთულია. მეორე პრობლემა არის ის, რომ ეს თეორია ვარაუდობს მომლაპარაკებლების რაციონალურობას ნებისმიერ დროს. კვლევების მიხედვით, კი მომლაპარაკებლები ხშირად არ არიან რაციონალური. აქედან გამომდინარე, ეს მიდგომა რეალური მოლაპარაკებების დროს ხშირად გამოუყენებელია.

შემეცნებითი მიდგომა აღიარებს, რომ მომლაპარაკებლები ხშირად ტოვებს სრულყოფილ რაციონალობას მოლაპარაკებების დროს. „მოგება-მოგება“ მოლაპარაკებები საუკეთესო ვარიანტია, რადგან ამ შემთხვევაში მიიღება იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც კმაყოფილს ტოვებს ყველა მხარს, ანუ წაგებულად არავინ გრძნობს თავს. ასევე არსებობს PRAM-ის ოთხსაფეხურიანი მოდელები, რომელიც გულისხმობს, რომ შესაფერისი დაგეგმვა, ურთიერთობების შექმნა, შეთანხმებების მიღწევა და მხარდაჭერა წარმატებული მოლაპარაკებისთვის აუცილებელი ნაბიჯებია.

დაგეგმვა მოითხოვს, რომ თითოეულმა მონაწილემ თავისი მიზანი უნდა დაგეგმოს, მოწინააღმდეგის - წინასწარ განსაზღვროს, დაადგინოს შესაძლო შეთანხმების არეალი და შესაძლო შეთანხმებისას მოქმედების სტრატეგიები შეიმუშავოს. თქვენ ასევე უნდა შეაფასოთ, თუ რას ფიქრობთ მეორე მხარის მიზნებზე, რა არის ისინი, რა არის მათში დაფარული ინტერესი. როდესაც გაქვთ მკაფიო წარმოდგენა მოწინააღმდეგის არგუმენტებზე, ეს დაგეგმვასთან კონტრარგუმენტების მოყვანასა და თქვენი პოზიციის მხარდაჭერაში.

მოლაპარაკებების შედეგად იცვლება ურთიერთობები, ამიტომ ეს ფაქტორი აუცილებლად მხედველობაშია მისაღები. თუ თქვენ „მოიგებთ“ მოლაპარაკებას, თუმცა მეორე მხარეს მტრულ და უკმაყოფილო მდგომარეობაში დატოვებთ, უფრო მიზანშეწონილი იქნება კომპრომისის მიღწევა. თუ ურთიერთობის შენარჩუნება თქვენ უფრო სუსტს გაგდხით, მაშინ შეგიძლიათ გამოიყენოთ უფრო აგრესიული სტილი.

„მოგება-მოგება“ ურთიერთობები მომლაპარაკებლებისგან მოითხოვს ისეთი აქტივობების დაგეგმვას, რომლებიც პოზიტიურ პირად ურთიერთობების განვითარებას შეუწყობს ხელს და ურთიერთნდობას ჩამოაყალიბებს. მხარეებს შორის ნდობის განვითარება, ალბათ, წარმატების უმნიშვნელოვანესი გასაღებია. „მოგება-მოგება“ შეთანხმებები გულისხმობს თოთოეული მხარის მიერ მეორის მიზნების აღიარებას, შეთანხმების გადახედვას და შეთანხმების გადაწყვეტის შესაძლო პოზიტიური ვარიანტების შეთავაზებას. შეთანხმების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ის, რომ ორივე მხარემ უნდა გააცნობიეროს, რომ მრავალი საერთო მიზანი აქვთ. თავად შეთანხმებათა არეალი კი, როგორც წესი, მცირეა ხოლმე.

და ბოლოს, „მოგება-მოგება“ შეთანხმებას მოსდევს მოქმედებებზე დაფუძნებული უმნიშვნელოვანესი უკუკავშირი. ორივე მხარე აჯამებს შეთანხმების შედეგებს, რჩება ერთმანეთთან კონტაქტში და ადასტურებს ერთმანეთის ნდობას. ორივე მხარეს სურს ურთიერთობათა შენარჩუნება, რადგან იტოვებს ვარაუდს, რომ მომავალში კვლავ რაიმე ურთიერთსასარგებლო გარიგება მოხდება. ორივე მხარემ უნდა დაიცვას შეთანხმება და შეასრულოს დაპირებული.

არსებობს მოლაპარაკებების ორი ძირითადი მიდგომა - გამანაწილებელი შეთანხმება და ინტეგრაციული შეთანხმება. ინტეგრაციული შეთანხმება მისაღებია თვალსაზრისით, ყველაფერი თანასწორია. ინტეგრაციული შეთანხმება მისაღებია გრძელვადიანი ურთიერთობებისას. სწორედ ასეთი შეთანხმება აძლევს მოლაპარაკების მხარეებს საშუალებას, მოლაპარაკების მაგიდა იმ განცდით დატოვონ, რომ მათ მოგებას მიაღწიეს.

რატომ არ არის ინტეგრაციული შეთანხმებები ორგანიზაციებში ხშირად გამოყენებადი? პასუხი ამგვარი შეთანხმებების განხორციელების პირობებშია. ეს მოიცავს დაპირისპირებულ მხარეებს, რომლებიც გახსნილები არიან ინფორმაციის კუთხით ერთმანეთისადმი და თავიანთ დამოკიდებულებაში გულწრფელობით გამოირჩევიან, ერთმანეთის საჭიროებებისადმი მგრძობიარენი არიან, ერთმანეთს ენდობიან და მზად არიან შეინარჩუნონ მოქნილობა. ვინაიდან ეს პირობები ორგანიზაციებში უმეტესად არ არსებობს, არცაა გასაკვირი, რომ მოლაპარაკებებს უმეტესად „მოგება, ნებისმიერ ფასად“ დინამიკას იღებენ.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებები უფრო სასარგებლოა მაშინ, როდესაც მხარეები მხარს უჭერენ პრობლემის მიღების სტილს. თუმცა, სხვები თვლიან, რომ პრობლემის აღიარების სტილი უმეტესად ზედმეტად ხარჯიანია. როგორც ვიცით, ნებისმიერი „მოგება-წაგება“ სტილი (იძულება, დათმობა და ა.შ) ნაკლებადაა მიდრეკილი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისკენ, რადგანაც მხარეები ერთმანეთს არ უზიარებენ საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ საბოლოოდ ორმხვიად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღება მოხდეს. თუმცა, მეორეს მხრივ,

პრობლემის მიღების სტილთან ფრთხილად უნდა ვიყოთ იქამდე, სანამ ორივე მხარე ერთმანეთის ნდობას არ მოიპოვებს.

მოლაპარაკებების ეფექტურობა დამოკიდებულია როგორც მხარეების საქციელზე, ასევე არსებულ სიტუაციაზე. ამ დროს გასათვალისწინებელია ისეთი მნიშვნელოვანი სიტუაციური ფაქტორები, როგორცაა ადგილმდებარეობა, ფიზიკური გარემო, დრო და აუდიტორია.

### **The Role of Negotiations in a System of Activities Regulating Conflicts**

**Nino Paresashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

#### **Summary**

The article “The Role of Negotiations in a System of Activities Regulating Conflicts” focuses to the circumstances that employees in an organization face difficulties in creation of models and norms of general mentality. One of the problems is the point that the conflict comprehension reduces motivation of communication. People often avoid interaction within conflict relationships. Unfortunately, insufficient relationships may cause escalation of the conflicts, since while communications there is less chance to define opponents situation and they much more rely on distorted stereotypes.

In order to adjust this project it is necessary to start negotiations, the efficiency of which depends upon parties behavior and existed situation as well. Personnel should pay its attention to the most important four situation factors(location, natural environment, time and audience).

### **Foreign Direct Investment on Economic Growth by Industries: Evidence from Central and Eastern European Countries**

**ShorenaPharjiani**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

*Doctoral student*

Globalization, technological innovations and cheaper communication give incentives to investors to diversify their investment in overseas markets. So, in the contemporary world foreign direct investment becomes the crucial factor in economic integration. FDI generally supports growth in developing, emerging and transition countries. In the case of poor countries savings are low to fund the major investments; in this case FDI is always considered one of the fundamental sources of stable long term investment.

The current rapid international flows of FDI and globalization of the world economy are an incentive to understand the relationship between FDI and growth by industry level. From the different evidence the connection between FDI and economic growth is mixed. Some empirical investigations confirm the positive productivity effect (Gorg and Strobl 2002; Javorcik 2004). However, others find negative or no productivity effect (Aitken and Harrison 1999; Djankov and Hoekman 2000).

In the past 25 years FDI has increased dramatically throughout the world and current trends in globalization have increased the mobility of investment capital. The relationship between FDI and economic growth is very complex. The last 25 years can be considered the period when developing and formerly communist countries have been dramatically reforming and striving to become part of the multilateral trading system. It also coincides with the period when FDI has become less limited to flows between industrial countries.

The lack of relevant research of FDI on growth by industries in the Central and Eastern European countries proves the potential importance of the present study. The objective of this research is to investigate how FDI affects growth by industries for 11 Central and Eastern European countries (Bulgaria, Croatia, Czech Republic, Estonia, Hungary, Latvia, Lithuania, Poland, Romania, Slovakia, and Slovenia). These 11 countries are European Union countries and regional trading arrangements and trade liberalization gave this region a chance to be more competitive in attracting FDI. Central and Eastern European countries enhanced their involvement in the world market after the collapse of the communist system. They opened the economy in order to attract foreign direct investment. Since 1990 these economies have grown faster because of going global in the world economy (Cernat and Vranceanu 2002). Thus, this is all based squarely on the presumption that attracting FDI is important for these countries.

In order to test the relationship between FDI inflow and growth by industries, I use the panel data approach and the software Stata. The main data source of which this paper makes the Eurostat database (<http://epp.eurostat.ec.europa.eu>). The panel dataset contains 10 Central and Eastern European Countries (except Croatia), 10 industries, and the period from 1995 to 2012.

**Table 1. ISO code, list of countries and 10 industries**

ISO code	10 Countries	10 Industries
Bg	Bulgaria	Agriculture, forestry and fishing
Cz	Czech Republic	Manufacture of food products, beverages and tobacco
Ee	Estonia	Manufacture of coke, refined petroleum products and nuclear fuel
Hu	Hungary	Manufacture of chemicals, chemical products and man-made fibres
Lv	Latvia	Manufacture of rubber and plastic products
Lt	Lithuania	Manufacture of basic metals and fabricated metal products
Pl	Poland	Manufacture of machinery and equipment n.e.c.
Ro	Romania	Manufacture of transport equipment
Sk	Slovak Republic	Electricity, gas and water supply
Si	Slovenia	Construction

Another important data by years which is used in the paper was collected from the World Development Indicators (<http://www.worldbank.org/>), where the time is defined from 1994 to 2012 for the 11 CEE countries, which is shown in table 2. It should be mentioned that all variables are reflected in billion US\$.

Country Name	Bulgaria	Croatia	Czech Republic	Estonia	Hungary	Latvia	Lithuania	Poland	Romania	Slovak Republic	Slovenia
1994	0,11	0,11	0,88	0,21	1,14	0,21	0,03	1,88	0,34	0,27	0,12
1995	0,09	0,11	2,57	0,20	4,80	0,18	0,07	3,66	0,42	0,24	0,15
1996	0,11	0,49	1,44	0,15	3,29	0,38	0,15	4,50	0,26	0,35	0,17
1997	0,51	0,54	1,29	0,27	4,15	0,52	0,35	4,91	1,22	0,17	0,33
1998	0,54	0,94	3,70	0,58	3,34	0,36	0,93	6,37	2,03	0,56	0,22
1999	0,82	1,45	6,31	0,31	3,31	0,35	0,49	7,27	1,04	0,35	0,11
2000	1,00	1,11	4,99	0,39	2,77	0,41	0,38	9,34	1,04	2,05	0,14

2001	0,81	1,58	5,64	0,54	3,94	0,13	0,45	5,71	1,16	0,00	0,50
2002	0,91	1,10	8,50	0,28	3,01	0,25	0,71	4,13	1,14	4,10	1,66
2003	2,10	2,05	2,02	0,92	2,18	0,30	0,18	4,59	1,84	0,56	0,30
2004	2,66	1,08	4,98	0,97	4,28	0,64	0,77	12,72	6,44	3,04	0,83
2005	4,10	1,78	11,60	3,13	8,51	0,81	1,19	11,05	6,87	3,00	0,97
2006	7,87	3,22	5,52	2,21	18,68	1,70	2,05	21,52	11,45	4,07	0,69
2007	13,88	4,95	10,61	3,43	70,63	2,71	2,33	25,57	10,29	3,89	1,88
2008	10,30	5,81	6,57	1,87	74,99	1,43	1,91	15,03	13,85	4,08	1,82
2009	3,90	3,40	2,87	1,87	-2,97	-0,04	0,02	14,39	4,93	1,61	-0,35
2010	1,87	0,85	6,12	2,05	-20,93	0,43	0,86	17,07	3,20	2,12	0,63
2011	2,12	1,24	2,25	0,52	10,50	1,50	1,44	17,36	2,56	3,66	0,82
2012	1,58	1,34	7,98	1,65	9,78	1,08	0,57	6,70	2,63	1,53	-0,23

**Table 2. Net FDI inflow in CEEC, 1994-2012 (billion US\$)**


Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

### Empirical results at the country level

From table 2 we can see that since 1994, countries which mostly benefited from FDI inflows were Hungary, Poland and the Czech Republic. It should be mentioned that high growth of FDI in Central and Eastern European countries was caused by the increasing purchase of privatized state-owned firms by the foreign investors. Comparing the period 1994 to 2007 we can say that there is the increasing tendency of FDI inflows in the most of 11 CEE countries. If we compare the period of 2007 to 2008 there is decreasing tendency of FDI inflow in the CEE countries but the exceptions here are Croatia, Hungary, Romania and Slovak Republic, where we can see slightly increasing tendency of FDI inflows. The decreasing tendency in 2008-2009 can be explained by the starting of the Global Financial Crises. From 2009 to 2011 in most of 11 CEE countries there is an increasing tendency, but from 2011 to 2012 there is decreasing tendency. Also, from table 2 we can see that from 1994 to 2012, the whole summation of net FDI inflows to 11 CEE countries, based on the World Development Indicators, is 752.34 billion US dollar.

From graph 1 we can see the net FDI inflows of each the 11 Central and Eastern European countries during the period from 1994 to 2012. From the 11 CEE countries the main recipients of FDI are Hungary, Poland and the Czech Republic, with approximately US\$ 204.68, US\$ 188.15 and US\$ 100.83 billion, respectively. This means that these three countries compared to others have more open door policies and more prolific business environment for attracting FDI from abroad.

**Graph 1. Net FDI inflows in CEE countries, 1994-2012**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics




From the graph 2 we can see the dynamics of GVA and FDI and how they are simultaneously changing over time.

**Graph 2. GVA and net FDI inflow in the CEE countries in the 10 selected industries (Million Euro).**




I analyze the relationship between FDI and economic growth in each Central and Eastern European country separately, and we see how the values of FDI and GDP are scattered on the graphs. FDI and economic growth reflects the growth rates of each of the countries. The period is defined from 1994 to 2012. Because of negative slope of the main trends which is represented from the different graphs we can see that there are negative relationships between FDI and economic growth in three Central and Eastern European countries: Croatia, Estonia, Hungary which are reflected on graphs 3.2, 3.4 and 3.5, respectively. The rest of the graphs show positive slopes of the main trend. So, there seems to be positive relationship between FDI and economic growth in the remaining countries.

**Graph 3.1. Relationship between the FDI and GDP growths in Bulgaria**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.2. Relationship between the FDI and GDP growths in Croatia**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.3. Relationship between the FDI and GDP growths in the Czech Republic**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.4. Relationship between the FDI and GDP growths in Estonia**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.5. Relationship between the FDI and GDP growths in Hungary**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.6. Relationship between the FDI and GDP growths in Latvia**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.7. Relationship between the FDI and GDP growths in Lithuania**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.8. Relationship between the FDI and GDP growths in Poland**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.9. Relationship between the FDI and GDP growths in Romania**




Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.10. Relationship between the FDI and GDP growths in the Slovak Republic**



Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Graph 3.11. Relationship between the FDI and GDP growths in Slovenia**



Source: World Development Indicators – based in national balance of payments statistics

**Empirical results at the industry level**

I use a Cobb-Douglas production function with stable long run elasticity. Every variable which is introduced in the regression model is in real terms. The dependent variable is GVA (Y) by industries. The independent variables are Gross capital accumulation (K), labor (L), foreign direct investment (FDI) and research and development (R&D). GVA, FDI, K and R&D are represented in millions of Euros. Labor is represented in total percentage (based on hours worked). I also add time specific variables. After CEE countries have entered EU (in May 2004) this could be interpreted as a productivity shock. I use time dummies for these 10 countries. So, after 2004 time dummies will be denoted 1 and 0 otherwise; exceptions here are Bulgaria and Romania which entered EU in 2007, so there dummies are denoted 1 in 2007 and 0 otherwise.

I am going to start from the baseline model and then refine it. Table 3.1 shows five variables: one dependent and the rest independent. In column (1) I use OLS estimation approach. We can see that FDI and R&D have positively and significantly correlated with output growth. FDI is significant at the 5 % level and R&D is significant at the 10 % level. If you increase FDI by 100 % your output growth will enhance approximately by 1.76 % in CEE countries. At the same time if you increase the research and development by 100 % the output growth will increase approximately by 1.23 %. Labor and capital are insignificant. R-square is low enough. In column (2) I use the Random Effects (RE) estimation approach, where FDI and R&D have positively and significantly correlated with output growth. FDI is significant at the 5 % level and R&D - at the 10 % level. If you increase FDI by 100 % the output growth will boost approximately by 1.82 %. At the same time if you increase the research and development by 100 % the output growth will increase approximately by 1.16 %. Capital and labour are insignificant. In the model the R-squared is extremely low. In column (3) I use the Fixed Effects (FE) estimation approach, where FDI is significant with 5 % level and positively correlated with the output growth. If you increase FDI by 100 % the output growth will boost approximately by the 3.12 % in ceteris paribus. At the same time, research and development, Capital and Labour are insignificant. In the model within R-square is quite low.

**Table 3.1. OLS, RE and FE in baseline model. Results for a sample of 10 industries, 1995-2012. (Baseline Model)**  
Dependent variable: GVA

VARIABLES	(1) OLS	(2) RE	(3) FE
FDI	0.0176** (2.153)	0.0182** (2.177)	0.0312** (2.421)

K	0.0102 (1.268)	0.0108 (1.257)	0.0280 (1.351)
R&D	0.0123* (1.941)	0.0116* (1.806)	0.00612 (0.624)
L	-0.00558 (-0.470)	-0.00604 (-0.469)	-0.0976 (-1.053)
Constant	-0.0823 (-1.617)	-0.0872 (-1.614)	-0.143 (-0.877)
Observations	123	123	123
R-squared	0.115	0.0509	0.082
Numberofindcode		26	26

t-statistics in parentheses

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

Table 3.2 shows that FDI is positively and significantly correlated with output growth. In this table, I add the output growth lags and I present different estimation tools. In column (1) I use OLS estimation approach and we can see that elasticity of output growth with respect to FDI is 1.84 %, it is significant at the 5 % level and positively correlated with output growth. Labour is insignificant, the capital is significant at the 10 % level and research and development is significant at the 5 % level. It should be mentioned that only the first lag of output growth is significant. In this model R-square is low enough. In column (2), Random Effects (RE) estimates suggest that a 2.24 % increase in output growth occurs when FDI increases by 100 %. FDI coefficient is significant at the 1 % level. Labour is insignificant as it was in OLS case; however, capital and the R&D are significant at the 10 % level. In the model only the first lag of output growth is significant. From the result of F-test we can say that the lags of GVA are jointly significant. In column (3) I present the Fixed Effects (FE) regressions, and estimated results show that, ceteris paribus, if FDI increases by 100 % it will enhance output growth in 10 CEE countries on average by 3.66 % and by 3.88 % in the model that accounts for macroeconomic shocks which is captured by the time dummies in column (4). Also, FDI in column (3) and (4) are significant at the 1 % level. Also, R&D and labour are insignificant with and without time dummies. Capital is significant in both cases with 5 % level. According to F test the time dummies are insignificant. Furthermore, F test suggests that output growth lags are significant.

**Table 3.2. OLS, RE, FE with and without time dummies in the baseline model with three lags of output. Results for a sample of 10 industries, 1995-2012.**

Dependent variable: GVA

VARIABLES	(1)	(2)	(3)	(4)
	OLS	RE	FE	FE with time dummies
GVA <sub>t-1</sub>	-0.159** (-2.021)	-0.246*** (-3.389)	-0.345*** (-4.830)	-0.346*** (-4.850)
GVA <sub>t-2</sub>	-0.0207 (-0.246)	-0.0819 (-1.048)	-0.148* (-1.911)	-0.146* (-1.891)
GVA <sub>t-3</sub>	-0.0183 (-0.197)	-0.107 (-1.243)	-0.232*** (-2.712)	-0.218** (-2.531)
FDI	0.0184** (2.232)	0.0224*** (2.585)	0.0366*** (3.173)	0.0388*** (3.320)
K	0.0141* (1.268)	0.0187* (1.257)	0.0457** (1.351)	0.0478** (1.351)

	(1.704)	(1.928)	(2.442)	(2.547)
R&D	0.0134**	0.0111*	0.00608	0.00319
	(2.121)	(1.710)	(0.701)	(0.353)
L	-0.00421	-0.00382	-0.0547	-0.0688
	(-0.356)	(-0.255)	(-0.664)	(-0.828)
Constant	-0.101*	-0.127**	-0.268*	-0.249*
	(-1.940)	(-2.093)	(-1.834)	(-1.695)
F-test (GVA <sub>t-1</sub> , GVA <sub>t-2</sub> , GVA <sub>t-3</sub> )	1.40	13.25	9.75	9.56
Prob> F	0.2465	0.0041	0.0000	0.0000
Observations	123	123	123	123
R-squared	0.146	0.2755	0.307	0.317
Numberofindcode		26	26	26
Hausmantest=52.30; Prob>chi2=0.0000				
F-test(time dummies)= 1.30; Prob> F = 0.2571				

t-statistics in parentheses

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

But the fixed effect  $\alpha_i$  might be endogenously correlated with the other determinants of growth and using OLS or RE we will end up with biased results. So, I can use the Hausman specification test that gives us opportunity to determine which estimation approach is more appropriate: RE or FE. As the Hausman test prompts us from the regression analysis, it is more appropriate to use Fixed Effects (FE) because there is a correlation between industry specific heterogeneity and independent variables. There might be a problem also of serial correlation and heteroskedasticity. We can see below a correction of this problem.

As robustness check I add lags of FDI and R&D, in table 3.3, to check for past effects, how FDI and R&D in previous year affect economic growth. We see that in columns (1), (2) and (3) FDI is positively and significantly correlated with output growth. It should be mentioned that FDI with its first lag is negatively and significantly correlated with output growth. In column (4) the Fixed Effect estimation results with time dummies indicates us that the time frame has not a crucial role for the effect of FDI on GVA growth. FDI has a positive and significant at the 10 % level effect on current output growth of 2.92 %, ceteris paribus. From columns (1) and (2) we can see that labour is in both cases insignificant, however, capital is significant at the 10 % level and has the same coefficient in both estimation approach (OLS, RE). As for the research and development, it is insignificant in both OLS and RE estimation approaches. In columns (3) and (4) research and development, capital and labour are insignificant. It should be pointed out that in columns (3) and (4) the first lags of output growth are significant and negatively correlated with output growth.

**Table 3.3. OLS, RE, FE with and without time dummies in the baseline model with GVA, FDI and R&D lags. Results for a sample of 10 industries, 1995-2012.**

Dependent variable: GVA						
VARIABLES	(1) OLS	(2) RE	(3) FE	(4) FE with time dummies		
GVA <sub>t-1</sub>	0.0788 (0.839)	0.0788 (0.839)	-0.255* (-1.974)	-0.243* (-1.862)		
FDI	0.0269** (2.199)	0.0269** (2.199)	0.0269* (1.800)	0.0292* (1.907)		

FDI <sub>t-1</sub>	-0.0217*	-0.0217*	-0.0272*	-0.0241
	(-1.829)	(-1.829)	(-1.737)	(-1.483)
R&D	-0.00349	-0.00349	-0.00129	-0.00260
	(-0.231)	(-0.231)	(-0.0828)	(-0.166)
R&D <sub>t-1</sub>	0.0162	0.0162	0.0153	0.0143
	(1.105)	(1.105)	(0.929)	(0.860)
K	0.0167*	0.0167*	0.0320	0.0344
	(1.854)	(1.854)	(1.253)	(1.331)
L	-0.0154	-0.0154	-0.125	-0.135
	(-1.193)	(-1.193)	(-0.910)	(-0.977)
dyear				-0.0272
				(-0.756)
Constant	-0.0779	-0.0779	-0.0144	-0.0137
	(-1.358)	(-1.358)	(-0.0637)	(-0.0604)
Observations	79	79	79	79
R-squared	0.215	0.256	0.207	0.215
Numberofindcode	20	20	20	20

t-statistics in parentheses

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

After using first difference (FD) estimation approach regression model can be corrected for the heteroskedastisity and serial correlation. In table 3.4 dynamic panel results show that  $\Delta$  FDI has positive effect with 2.19 % on output growth. It is significant at the level of 10 %. However, the first lag of FDI is insignificant. As F-test shows they are jointly insignificant. It can be interpreted that today and previous years FDI have positive effects on output growth, but is not significant.  $\Delta Y$  t-1,  $\Delta R\&D$  and  $\Delta R\&D$ t-1 are insignificant. It should be mentioned that labour and capital are both insignificant too.

**Table 3.4. First difference (FD) with robust t-ratios.OLS, First Difference (FD), Results with robust t-ratios.**

Dependent variable: $\Delta$ GVA	
VARIABLES	(1) gva_gr
$\Delta$ GVA <sub>t-1</sub>	0.150 (1.113)
$\Delta$ FDI	0.0219* (1.744)
$\Delta$ FDI <sub>t-1</sub>	0.00230 (0.156)
$\Delta$ K	0.0338 (1.395)
$\Delta$ R&D	-0.00665 (-0.542)
$\Delta$ R&D <sub>t-1</sub>	0.00128 (0.120)
$\Delta$ L	0.120 (1.008)
Constant	0.0475**

	(2.404)
Observations	50
R-squared	0.202

Robust t-statistics in parentheses

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

F ( $\Delta$ FDI,  $\Delta$ FDI<sub>t-1</sub>) = 1.75; Prob> F = 0.1866

F( $\Delta$ R&D,  $\Delta$ R&D<sub>t-1</sub>) = 0.16; Prob> F = 0.8535

To correct for the serial correlation and heteroskedastisity, I use estimation robust to heteroskedastisity and autocorrelation. In table 3.5 R-square (within) is 0.278, which gives me reasonable motive for my conclusion to be based on the results produced by this regression. Hence, I strongly believe these results which will be important for my conclusion. Our coefficients which are in log forms can be interpreted as direct elasticity's for the dependent variable.

From table 3.5 we can see that current FDI is significant at the 10 % level and if you increase current FDI by 100 % current output growth should boost approximately 3.07 % on average in ceteris paribus. The first lag of FDI is insignificant and negatively correlated with output growth. In this case, the first lag of FDI is very important because FDI needs some time to effect on productivity and increase output growth. At the same time, the F test shows that FDI and FDI<sub>t-1</sub> are jointly insignificant. We see that the first lag of R&D has positive and insignificant effect on output growth. Current R&D has negative and insignificant effect on output growth and from the F test we can see that R&D and R&D<sub>t-1</sub> are jointly insignificant. Also, from table 3.5 we can see that the first and second lags of output growth are significant, but the third lag is insignificant. However, all three lags of the output growth are jointly insignificant and negatively affect on output growth. In our regression, capital (K) and labour (L) are insignificant on output growth.

**Table 3.5. FE robust to heteroskedastisity and autocorrelation. Fixed effect, robust to heteroskedastisity and autocorrelation**

Dependent variable: Gross Value Added (GVA)

VARIABLES	(1) gva_gr
GVA <sub>t-1</sub>	-0.324** (-2.334)
GVA <sub>t-2</sub>	-0.165* (-1.958)
GVA <sub>t-3</sub>	-0.186 (-1.184)
FDI	0.0307* (1.870)
FDI <sub>t-1</sub>	-0.0232 (-1.638)
K	0.0266 (0.668)
R&D	-0.00532 (-0.325)
R&D <sub>t-1</sub>	0.0190 (1.256)



L	-0.141 (-0.960)
Constant	0.0333 (0.114)
Observations	79
Numberofcount_ind	20
R-squared	0.278

---

Robust t-statistics in parentheses

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

F (GVA<sub>t-1</sub>, GVA<sub>t-2</sub>, GVA<sub>t-3</sub>) = 2.04; Prob> F = 0.1426

F (FDI, FDI<sub>t-1</sub>) = 2.43; Prob> F = 0.1151

F (R&D, R&D<sub>t-1</sub>) = 1.15; Prob> F = 0.3374

In conclusion, my research revealed that the linkage between FDI and output growth by industries in 10 Central and East European countries (CEEC) is positive and significant enough to suggest that foreign firm's participation enhanced the productivity of the industries they occupied.

## References

- Aitken, Brian J, and Ann Harrison. 1999. Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela. *American Economic Review* 89, no.3: 605 - 18.
- Baltagi, Badi H. 2001. *Econometric Analysis of Panel Data*. 2nd ed. Chichester, England: John Wiley and Sons Ltd.
- Bandelj, Nina. 2009. The global economy as instituted process: The case of Central and Eastern Europe. *American Sociological Review* 74, no.1: 128–49.
- Bijsterbosch, Martin, and Marcin Kolasa. 2010. FDI and productivity convergence in Central and Eastern Europe: an industry-level investigation. *Rev World Economics* 145: 689 – 712.
- Barro, Robert, and Paul Romer. 1993. *Economic Growth*. National Bureau of Economic Research.
- Borensztein, Eduardo, Jose De Gregorio, and Jong-Wha Lee. 1998. How does foreign direct investment affect growth. *Journal of International Economics* 45: 115 – 35.
- Castejón, Carmen F, and Julia Wörz. 2006. Good or Bad? The Influence of FDI on Output Growth, An industry-level analysis. *wiiw Working Paper No. 38*.
- Cernat, Lucian, and Radu Vranceanu. 2002. Globalization and development: New evidence from Central and Eastern Europe. *Comparative Economic Studies* 44, no. 4: 119 – 36.
- Darrat, Ali F., Samer Kherfi, and Mohamed Soliman. 2005. FDI and Economic Growth in CEE and MENA Countries: A Tale of Two Regions. 12th ERF's Annual Conference, December 19-21, in Cairo, Egypt.
- De Mello, Luiz R. 1999. Foreign Direct Investment Led Growth: Evidence from Time-Series and Panel Data. *Oxford Economic Papers* 51: 133 – 151.
- Djankov, Simeon, and Bernard Hoekman. 2000. Foreign investment and productivity growth in Czech enterprises. *Policy Research Working Paper 2115*.
- Gorg, Holger, and Eric Strobl, 2002. Multinational companies and endogenous development: An empirical analysis. *European Economic Review* 46: 1305 – 22.
- Javorcik, Beata. 2004. Does foreign direct investment increase the productivity of domestic firms? In search of spillovers through backward linkages. *American Economic Review* 94, no. 3: 605 – 27.

Neuhaus, Marco. 2006. The impact of FDI on economic growth: an analysis for the transition countries of central and Eastern Europe. *Springer*. Heidelberg: Physica- Verlag.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში**

**შორენა ფარჯიანი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია 1994-2012 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყნის, მათ შორის მრეწველობის 10 დარგის, მონაცემების მიხედვით. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებითი და მნიშვნელოვნად საკმარისია დავასკვნათ, რომ განხილულ პერიოდში უცხოური კომპანიების მონაწილეობამ დადებითი გავლენა იქონია აღნიშნული ინდუსტრიების მწარმოებლურობის ზრდაზე. ასევე, კვლევამ აჩვენა, რომ განხილული 11 ქვეყნიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი მიმღები ქვეყნები იყვნენ უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, რაც გამოიწვია იმან, რომ ღია კარის პოლიტიკა უფრო მეტად საგრძნობი იყო აღნიშნულ ქვეყნებში.

**ორგანიზაციული კულტურის გავლენა ორგანიზაციის განვითარებაზე**

**ლეილა ქადაგიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასისტენტ პროფესორი*

ორგანიზაციული კულტურის მართვის თემატიკის აქტუალობა და პოპულარობა ყოველდღიურად იზრდება. ორგანიზაციულ კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც კულტურის ელემენტები განსაზღვრავენ ნებისმიერი ორგანიზაციის სტრატეგიას, მიზნებსა და საქმიანობის მოდელს.

ორგანიზაციის მიმართ ორგანიზაციული კულტურის ადაპტაცია მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცვლილებაა, რომლის განხორციელებაც გვიხდება ორგანიზაციაში ხელახლა არჩეული სტრატეგიის რეალიზაციისას. ეს ამოცანა ხშირად ბევრად უფრო რთული და მასშტაბურია, ვიდრე ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა. ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოადგენს ორგანიზაციის აგებულებას, რომელიც განსაზღვრავს მისი ქვედანაყოფების შემადგენლობასა და საზღვრებს და მათ შორის ურთიერთკავშირების ფორმალურ ხასიათს. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც

ტექნოლოგიური ელემენტებისა და პერსონალის ურთიერთქმედებისა და კოორდინაციის დადგენილი სქემა. თუმცა, ის არ ითვალისწინებს ისეთ ფაქტორს როგორცაა პერსონალის ქცევა, რომელიც გავლენას ახდენს ურთიერთქმედების წესსა და მის კოორდინაციაზე. სწორედ პერსონალის ქცევა განსაზღვრავს უმეტესწილად ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტიანობას და არა ქვედანაყოფებს შორის ფუნქციონირება ფორმალური განაწილება. ორგანიზაცია შედგება ცალკეული ადამიანებისაგან და ადამიანთა ჯგუფებისაგან, რომლებსაც შეაქვთ ორგანიზაციაში თავიანთი მოტივები, მოლოდინი, გამოცდილება. მათი საქმიანობა არ შემოიფარგლება დაპროგრამებული ფორმალური როლის შესრულებით, წარმოქმნილი შიგაორგანიზაციული კავშირები ფორმალური ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებულ კავშირებზე გაცილებით მდიდარი და რთულია. ამასთან ორგანიზების უნარი წარმოადგენს კულტურის კომპონენტს, ამიტომაც ორგანიზაციულ კულტურას ხელმძღვანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და განიხილავენ მას, როგორც ძლიერ სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომელიც ზოგადი მიზნების შესასრულებლად ყველა ქვედანაყოფისა და ცალკეული თანამშრომლების ორიენტირების საშუალებას იძლევა [1, გვ. 217; 2, გვ.177].

ორგანიზაციული კულტურა თითქოსდა ეკონომიკის პროექციაა კულტურის სფეროზე; ასევეა უკუმტკიცებულეზაც, რომლის თანახმადაც იგი წარმოადგენს კულტურის პროექციას ეკონომიკის სფეროზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური საქმიანობის კულტურული კომპონენტი (სამეურნეო კულტურა) განუყოფელია თვით ამ საქმიანობისგან, რადგან მისი განვითარების აუცილებელ წინაპირობაა და შეუძლია მასზე აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკის განვითარების გაძლიერებით ან შენელებით. კულტურის ეკონომიკური შემადგენელი (სამეურნეო კულტურა) ზემოქმედებს მოცემული საზოგადოების მთელ გარემოზე (მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიის ჩათვლით), თანაც პირდაპირ, უშუალოდ აისახება კულტურის იმ სფეროებზე, რომლებიც ყველაზე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული [3, გვ. 69]. ორგანიზაციული კულტურა ეკონომიკურ ლიტერატურაში მოიხსენიება ისეთი ტერმინებითაც, როგორცაა: „მეწარმეობის კულტურა“, „საწარმოს (ფირმის) კულტურა“, „სამეურნეო კულტურა“, „კორპორაციული კულტურა“, „ორგანიზაციის კულტურა“. ყველა ეს ცნება იდენტურია, და გულისხმობს ორგანიზაციაში ადამიანთა სულიერ ცხოვრებას, მათ იდეურ, ზნეობრივ მდგომარეობას, შეგრძნებებს, აზროვნებასა და მოქმედებებს.

პრაქტიკულად შეუძლებელია ვიპოვოთ ამა თუ იმ ორგანიზაციის ორგანიზაციული კულტურის ფორმალური აღწერა. ჩვეულებრივ, მასზე წარმოდგენას გვაძლევს ისტორიები კომპანიის საქმიანობის შესახებ, კომპანიის იდეალების ამსახველი ლოზუნგები, თანამშრომელთა შეკრებები ან დაჯილდოების ცერემონიალები. შრომითი ეთიკისა და ორგანიზაციული კულტურის მართვა ცნობილი იყო ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. მაგალითად, სოფდაგრების გილდიებს, ხელოსნებს, ოსტატებს ჰქონდათ ე. წ. „ღირსების განმსაზღვრელი კოდექსები“, რომლებიც მამებიდან შვილებს გადაეცემოდა. ბურჟუაზიულ წყობილებაზე გადასვლასთან ერთად საბოლოოდ გაფორმდა სამეურნეო კულტურის განსაკუთრებული სფერო, რომელიც ეხებოდა მთელ საზოგადოებას. კორპორაციების შიგნით სამეურნეო კულტურის მართვის საქმეში პიონერებად იქცნენ იაპონური კომპანიები. აშშ-ში ამ საკითხისადმი ინტერესი გაიზარდა 1970-იან წლებში, როდესაც ამერიკული კომპანიები, რომლებიც ეკონომიკური დაცემის პრობლემის გადაწყვეტის გზებს ეძებდნენ, თვალს ადევნებდნენ იაპონური ფირმებისა და საკუთარ ქვეყანაში უფრო წარმატებული ფირმების მუშაობას. ბიზნესის აკადემიურმა კვლევამ კონცენტრირების არეალი ინდივიდუალური მმართველობის ტექნიკიდან შეცვალა ბიზნესის, როგორც სრული ერთობის, განხილვით და დასახა გზები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები რეაგირებას ახდენენ საკუთარ ორგანიზაციაზე. უმსხვილესი ამერიკული კომპანიების

ნახევარზე მეტი გადავიდა ორგანიზაციული კულტურის მართვაზე [4, გვ. 161]. დიდი მოგების მქონე კომპანიების 88%-ს ჰქონდა სპეციალური ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხს აგებდნენ „უმაღლესი ფასეულობების“ დანერგვის ორგანიზაციაზე. ეკონომიკის ზრდის სუფთა ტექნოკრატიული გაგება მეურნეობის კულტურული კომპონენტის მნიშვნელოვანი როლის გაუთვალისწინებლად ამჟამად დაძლეულია, როგორც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ისე აღმოსავლეთის განვითარებად ქვეყნებშიც [3, გვ. 170]. სამწუხაროდ, ერთიანი და საყოველთაო განსაზღვრა იმისა თუ რას წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურა, არ არსებობს. ამ სფეროს თვალსაჩინო მკვლევარი ე. ბრაუნი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციული კულტურა არის რწმენათა სისტემა, ფასეულობები და პრობლემებისათვის თავის გართმევის შესწავლილი გზები, რაც განვითარდა ორგანიზაციის ისტორიის განმავლობაში და რომელიც აშკარა ხდება მისი მატერიალური ღონისძიებებისა და მისი წევრების ქცევით [5, გვ.9].

არსებობს მრავალი მიდგომა ამა თუ იმ ორგანიზაციული კულტურის შინაარსობრივი მხარის ანალიზისადმი. პ. ჰარისმა და რ. მორანმა („ორგანიზაციული კულტურის მახასიათებლები“, 1991წ.) ყოველი კონკრეტული კულტურისათვის შემოგვთავაზეს ათი განმასხვავებელი ნიშანი, ესენია: ორგანიზაციაში საკუთარი თავისა და საკუთარი ადგილის გაცნობიერება; კომუნიკაციური სისტემა და საურთიერთობო ენა; გარეგნობა, ტანსაცმელი, საკუთარი თავის წარდგენა სამსახურში; ჩვევები და ტრადიციები, მომუშავეთა კვების რეჟიმი; დროის აღქმა, მის მიმართ დამოკიდებულება და მისი გამოყენება; ადამიანებს შორის ურთიერთობები; ფასეულობები და ნორმები; მსოფლმხედველობა; მუშაკის განვითარება და თვითრეალიზაცია; შრომითი ეთიკა და მოტივირება. ამ მახასიათებლების ერთობლიობა განსაზღვრავს ორგანიზაციული კულტურის შინაარსს. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციული კულტურა მრავალფაქტორიანი სუბსტანციაა, ამიტომ ის ყოველთვის ინდივიდუალურია და წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც ორგანიზაციას ანიჭებს უნიკალურობას.

ორგანიზაციული კულტურა რთული წარმონაქმნია, რომელშიც ტრადიციულად გამოყოფენ სამ სტრუქტურულ დონეს: *ზედა (სიმბოლური) დონე*, მოიცავს ისეთ ხილულ გარე ფაქტორებს, როგორცაა ორგანიზაციული სტრუქტურა, ტექნოლოგია, ოთახების ინტერიერი, კორპორაციული სიმბოლიკა, ლოგოტიპი, საფირმო კალენდარი, სივრცისა და დროის გამოყენება. ამავე დონეს განეკუთვნება კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული მითები, ლეგენდები და ისტორიები; *ქვედა დონეში* შედის ორგანიზაციის დოკუმენტებში დაფიქსირებული ქცევის ნორმები და ფასეულობები, რომლებსაც იზიარებენ ორგანიზაციის წევრები. რწმენისა და ფასეულობების აღქმა ატარებს გაცნობიერებულ ხასიათს და დამოკიდებულია ადამიანთა სურვილებზე. *საბაზო (სიდრმისეული)* დონე გულისხმობს საბაზო ვარაუდებს, რომლებიც განსაზღვრავენ თუ როგორი რეაგირებაა საჭირო ამა თუ იმ მოვლენაზე. სახელდობრ, რა დამოკიდებულებაა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი, როგორია ეროვნული მენტალიტეტი და წარმოდგენები ადამიანის ბუნების, ოჯახისა და თვითგანვითარების მნიშვნელობის შესახებ და სხვ.

ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ორგანიზაციის კულტურის, მისიის, სტრუქტურის, შეთანხმებულობა, აგრეთვე მათი შესაბამისობა პერსონალთან, ამოცანებთან, ტექნოლოგიასთან, გარემოცვასთან. ამ მიდგომის თანახმად ორგანიზაციის ფუნქციონირებისა და მენეჯმენტის დარგის ირლანდიელმა ფილოსოფოსმა ჩარლზ ჰანდიმ (Charles Handy) განსაზღვრა ორგანიზაციული კულტურის ოთხი ძირითადი სახე: *ძალაუფლების ანუ გავლენის კულტურა (ზევის კულტურა)*, რომელშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ლიდერი. ის ხასიათდება ძალაუფლების ცენტრალიზაციის მაღალი დონით, ამიტომ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი დამოკიდებულია სტრუქტურის ცენტრში მყოფი პიროვნებების ჯგუფზე. ძალაუფლების

კულტურასთან ადაპტაციისათვის კომპანიის თანამშრომელი უპირატესად დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ თავში და არა გუნდის წევრებში; ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე, რათა მკაცრ კონკურენციას გაუძლოს. ასეთი კულტურა განსაზღვრავს ორგანიზაციის სიდიდეს, რადგან ძნელია ერთდროულად მრავალი სახის საქმიანობის გაკონტროლება. ძალაუფლების კულტურის მაგალითი ხშირად გვხვდება მცირე საწარმოებში წრფივი ორგანიზაციული სტრუქტურის სახით. *როლის კულტურა (აპოლონის კულტურა)* ხასიათდება თანამშრომელთა შორის როლების მკაცრი ფუნქციური განაწილებით და სამუშაოთა სპეციალიზაციით. ის აიგება ჩამოყალიბებულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე. როლის კულტურაში ძალაუფლების ძირითადი წყაროა არა პიროვნული თვისებები, არამედ მართვის იერარქიულ სისტემაში დაკავებული მდგომარეობა. ასეთი კულტურა მიესადაგება ბიუროკრატიული ხასიათის ორგანიზაციებს ძალაუფლების მკაცრი იერარქიით და ქვედანაყოფების სპეციალიზაციით (წრფივი-ფუნქციური ორგანიზაციული სტრუქტურა). როლის კულტურა ვლინდება იქ, სადაც კომპეტენტურობა და სპეციალიზაციის სიღრმე ახალი პროდუქციის და მომსახურების დანერგვაზე მნიშვნელოვანია; *ამოცანის შესრულების კულტურა (ათენის კულტურა)* ორიენტირებულია კონკრეტული პროექტის რეალიზაციაზე. ასეთი კულტურით ორგანიზაცია ცდილობს მიაღწიოს ყველაზე მეტ ეფექტიანობას, აკავშირებს ერთმანეთთან საჭირო რესურსებს და შესაფერის მუშაკებს, რომლებიც პირად მიზნებს ორგანიზაციის მიზნებთან აიგივებენ. ესაა გუნდის კულტურა. გავლენა ეყრდნობა ექსპერტის, პიროვნების ძალას და არა პიროვნების მდგომარეობას. ასეთი კორპორაციულ კულტურისათვის დამახასიათებელია გარემოს ცვლილებებისადმი მაღალი ადაპტაციის უნარი. მისი გამოყენება მიზანშეწონილია მწვავე კონკურენციის პირობებში, როდესაც მნიშვნელოვანია ბაზრის ცვლილებებზე ფირმის ქცევის რეაგირების სიჩქარე და ხარისხი. მატრიცული სტრუქტურა წარმოადგენს ამოცანის შესრულების კულტურის გამოვლინებას. მაგრამ ასეთი კულტურის მქონე ორგანიზაციებისათვის საჭიროა რესურსებით სისტემატური უზრუნველყოფა და კვალიფიციური პერსონალი. *პიროვნების ანუ ინდივიდუალური კულტურა (დიონისეს კულტურა)*, მასში მონაწილე ინდივიდს აძლევს შედარებით სრულ თავისუფლებას მოქმედებებში, რომლებიც წარმოაჩენენ მის ინდივიდუალობას. ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს რწმენის ძალა. ასეთ ორგანიზაციის სტრუქტურა გამოიყურება, როგორც შემსრულებელთა ცალკეული თანასწორუფლებიანი ჯგუფების ურთიერთკავშირი. პიროვნების კულტურა ორგანიზაციებში გვხვდება ძალზე იშვიათად, რადგან საჭიროებს მაღალ პიროვნულ კულტურას და პერსონალის პროფესიონალიზმს. ასეთი ორგანიზაციების მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს ვენჩურული კომპანიები, საკონსულტაციო ბიუროები, საადვოკატო კანტორები.

ამრიგად, ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული კულტურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მისი ადეკვატურობა ორგანიზაციის სტრატეგიისადმი და სტრუქტურისადმი, აგრეთვე დროულად დავხვეწოთ ურთიერთობები ორგანიზაციაში და შევიწინარჩუნოთ მისი ეფექტურობა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ორგანიზაციული კულტურის განხილვა დომინირებად და სუბკულტურის ჭრილში. *დომინირებადი კულტურა* გამოხატავს ძირითად (ცენტრალურ) ფასეულობებს, რომელიც მიიღება ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მიერ. ეს არის კულტურისადმი მაკრომიდგომა, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის განმასხვავებელ მახასიათებელს. ორგანიზაციაში დომინირებად კულტურასთან ერთად შეიძლება იყოს მრავალი „ლოკალური“ (მართვის დონეების, ქვედანაყოფების, პროფესიული, რეგიონული, ასაკობრივი ჯგუფები) კულტურა, რომელთაც *სუბკულტურებს* უწოდებენ. სუბკულტურები ვითარდება მსხვილ ორგანიზაციებში და ასახავს ზოგად პრობლემებსა და სიტუაციებს, რასაც ხშირად აწყდებიან მუშაკები, ან ამ პრობლემების გადაწყვეტის გამოცდილებას.

სუბკულტურები ვითარდება გეოგრაფიულად ან ცალკეული ქვედანაყოფის სახით ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად. როცა რაიმე კონგლომერატის ერთ საწარმოო განყოფილებას აქვს უნიკალური კულტურა, რაც განასხვავებს მას ორგანიზაციის სხვა განყოფილებებისაგან, მაშინ საქმე გვაქვს ვერტიკალურ სუბკულტურასთან, მაგრამ, როცა ფუნქციურ სპეციფიკურ განყოფილებას აქვს საყოველთაოდ მიღებული ცნებების კომპლექტი, მაშინ ყალიბდება ჰორიზონტალური სუბკულტურა. ორგანიზაციაში ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია შექმნას ისეთი სუბკულტურა, რომლის ფასეულობები დომინირებადი კულტურის ფასეულობების საწინააღმდეგოა, ამიტომ მას ეწოდება კონტრკულტურა, ასეთი კულტურები ჩვეულებრივ წარმოიქმნება კრიზისის პერიოდში.

ორგანიზაციის ქვედანაყოფებს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ორგანიზაციული კულტურა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გლობალურ და ტრანსეროვნულ კორპორაციებში, რადგან სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს სხვადასხვა კულტურა აქვთ. თუმცა, მთელი კომპანიის ორგანიზაციული კულტურის ძირითადი იდეა უნდა იყოს ერთი – „ნავში ნიხბები ყველამ ერთი მიმართულებით უნდა მოუსვას“. ხელმძღვანელობის ამოცანაა დაუახლოოს ერთმანეთს ორგანიზაციის შემადგენლობაში შემავალი სუბკულტურები. „გლობალური და ტრანსეროვნული კომპანიების კულტურაში არსებული სხვადასხვა სუბკულტურა არ გამოირიცხავს თავსებადობას. მაგალითად, კომპანია General Electric-ის კულტურა „საზღვრების გარეშე“, მუდმივი სწავლებისა და six sigma მაღალი ხარისხის დანერგვა და წარმატებით გამოყენება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ტრანსეროვნული კომპანიები ახერხებენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტრადიციების გადატანას სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში, რითაც ქმნიან ერთიან კორპორაციულ კულტურას ყველა ქვედანაყოფისთვის. მენეჯმენტმა კომპანიების შექმნისას, თავის მხრივ, ანგარიში უნდა გაუწიოს კულტურული ინტეგრაციის მნიშვნელობას, ასევე შექმნილი კომპანიების კულტურათა შერწყმისა და გაერთიანების მნიშვნელობას“ [6, გვ. 565].

ადამიანია საწყისი ნებისმიერი ორგანიზაციისა, რომელიც იქმნება თვით ადამიანისათვის. ორგანიზაციული კულტურა ადამიანთა საზოგადოების, ადამიანთა ჯგუფებისა და ცალკე აღებული ინდივიდების კულტურის მიხედვით ყალიბდება და ვითარდება. ადამიანის მიერ დაწესებულებაში შექმნილი ორგანიზაციული კულტურის სპექტრი ფართოა, რომელიც განისაზღვრება თითოეული ადამიანის უნიკალურობით. რით აიხსნება პიროვნების უნიკალურობა? – თითოეულ ადამიანს აქვს გენების ერთადერთი და განუმეორებელი ნაკრები. „გენები, მემკვიდრეობის ქრომოსომული თეორიების მიხედვით, დისკრეტული ერთეულებია, რომელთა მემკვიდრეობით გადადის ორგანიზმის ნიშან-თვისებები“ [7, გვ.101]. ორგანიზმის ყველა გენის ერთობლიობა წარმოადგენს ადამიანის გენოტიპს. გენები მდგრადია და თავის თავისებურებებს ინარჩუნებს რამდენიმე თაობაში. თითოეული ადამიანის გენეტიკური ბაზა უნიკალურია და ხსნის იმ განსხვავებებს, რომელიც ადამიანებს შორის არსებობს. სხვადასხვა გარემოში, სუბკულტურისა და ინსტიტუტების წრებრუნვაში მოხვედრილ ინდივიდებს, შეუძლიათ ცალკეული გენური კოდების შეცვლა დროებით, მუდმივად ან ეპიზოდურად. კულტურის ელემენტები გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს, თაობიდან თაობას გენეტიკური მემკვიდრეობის მსგავსად. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კულტურული გენის კოდირება არ ხდება და ინდივიდი მას მხოლოდ შრომის ან სწავლის პროცესში ეზიარება. „კულტურული გენი“ უზრუნველყოფს ორგანიზაციის თვითმყობადობას, გარკვეული დროის განმავლობაში მის სპეციფიკურ კულტურულ სტრუქტურას. ბიოლოგიური გენის მსგავსად, კულტურულ მემკვიდრეობით ერთეულში სტაბილურობა შეთავსებულია ცვლილებების ასევე დიდ უნართან [8, გვ.35].

ორგანიზაციის შედეგიანობას განსაზღვრავს ორგანიზაციული კულტურის სწორი მართვა. ორგანიზაციული კულტურის მართვაში იგულისხმება მისი ფორმირება,

შენარჩუნება და ცვალებადობა. ორგანიზაციული კულტურა ფორმირდება ორგანიზაციის მიერ ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტით. ესენია: გარემოსთან ადაპტაცია და შინაგანი ინტეგრაცია. ორგანიზაციული კულტურის მენეჯერები მიმართავენ ორგანიზაციული სიმბოლოებისა და წეს-ჩვეულებების დანერგვას, წვრთნასა და სწავლებას, ჯილდოებისა და სტატუსების განსაზღვრის კრიტერიუმების დადგენას და ა.შ. გარე კონკურენციისა და სახელმწიფო რეგულირების პირობების ცვლილება, მიზანსწრაფული ეკონომიკური გარდაქმნები საჭიროებს ორგანიზაციული კულტურის ცვლილებას. მიაჩნიათ, რომ ცვლილებები კულტურის შინაარსში საჭიროა მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში არსებული კულტურა ხელს არ უწყობს პერსონალის ქცევის შეცვლას ისე, როგორც ეს საჭიროა ორგანიზაციის შედეგიანობის სასურველი დონის მისაღწევად [9, გვ. 397]. კორპორაციული კულტურის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი პრობლემაა მისი ცვლილების ოპტიმალური ტემპის უზრუნველყოფა. ძალზე ნელი ტემპი აფერხებს ცვლილებების შეტანას და, მაშასადამე, ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებას. ძალზე მკვეთრმა ცვლილებებმა კორპორაციულ კულტურაში შეიძლება მიგვიყვანოს ახლის უარყოფამდე, უკვე არსებული კულტურის პოზიტიური საფუძვლების დაშლამდე ან ძლიერი კონტრკულტურის ფორმირებამდე [2, გვ.185]. ორგანიზაციული კულტურის ცვლილებებზე ზემოქმედება შეიძლება ისეთი ღონისძიებებით როგორცაა: მენეჯერების მხრიდან ყურადღების ობიექტების, საგნებისა და ხელმძღვანელობის სტილის ცვლილება; როლების ხელახალი დაპროექტება და პრიორიტეტების შეცვლა პერსონალის სწავლების პროგრამებში; კრიტერიუმების შეცვლა პერსონალის სტიმულირების სისტემაში; აქცენტების შეცვლა საკადრო პოლიტიკაში; ორგანიზაციული სიმბოლიკებისა და წეს-ჩვეულებების შეცვლა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეს ფენომენი არ არის სტატიკური.

კულტურის შეცვლით ორგანიზაცია იძენს ახალ მისიას, სახავს ახალ მიზნებსა და იდეოლოგიას, ქმნის ეფექტიანი ხელმძღვანელობის მოდელებს, იყენებს წინა საქმიანობის გამოცდილებას, დამკვიდრებულ ტრადიციებსა და პროცედურებს, აფასებს ორგანიზაციის ეფექტიანობას, მის ფორმალურ სტრუქტურას და ა.შ. კულტურის ცვლილებების პროცესი უპირველესად იმ ფასეულობათა ორიენტაციის შეცვლით განისაზღვრება, რომელიც ხორციელდება სოციალურ ჯგუფში, ორგანიზაციაში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში. კულტურის განვითარების პროცესს მიმართულებას აძლევს ფასეულობათა დომინანტა (ანუ გაბატონებული ფასეულობა). ორგანიზაციის ფასეულობებში ცვლილება აუცილებლად იწვევს ორგანიზაციული კულტურის ცვლილებას.

ორგანიზაციული კულტურა როგორც რესურსი და ორგანიზაციის განვითარების პოტენციალი, დიდი ხნის განმავლობაში იგნორირებული იყო (თუ კი იგი ხელს უშლიდა ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას). შემდეგ შერჩეული სტრატეგიის შესაბამისად დაიწყო კულტურის შეცვლის მცდელობა, რამაც დადებითი შედეგი ვერ გამოიღო და ამას მოჰყვა არსებულ ორგანიზაციულ კულტურასთან სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა, ანუ მასზე დაფუძნება. ასე ხდება დღესაც. ის წარმატებები, რასაც დასავლეთის თუ აღმოსავლეთის წამყვანი ფირმები აღწევენ, სწორედ ორგანიზაციული კულტურისა და მასზე დაფუძნებული სტრატეგიის შეთავსების შედეგია.

მთლიანობაში, კულტურის განვითარების ისტორია შეიძლება ადამიანის ინდივიდუალური, სუბიექტური საწყისის თანდათანობით გაძლიერებად წარმოვიდგინოთ. ადამიანის ფასეულობები მეტწილად ისტორიული დროით, კულტურით, სასიცოცხლო ციკლითა და პიროვნული მახასიათებლებითაა განსაზღვრული. სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური გარემოს მკვეთრი შეცვლა, ჩვეულებრივ, კითხვის ქვეშ აყენებს არსებულ ფასეულობებს და დასაბამს აძლევს მათ შეცვლას [10]. პირველყოფილ საზოგადოებაში ჯგუფური ფასეულობები ბატონობდა. ამის საფუძველი იყო ტომური, თემური ცხოვრება,

როცა გაბატონებული იყო ჯგუფური აზროვნება. ანტიკური ეპოქიდან დაიწყო პიროვნული ფასეულობების – ეთიკურის, ესთეტიკურის წარმოშობა, რასაც საფუძვლად დაედო პიროვნების თვითშეგნების განვითარება. ფასეულობათა განვითარების ისტორიის შემდეგი ეტაპი იყო ეგზისტენციალური ფასეულობების, კერძოდ ზნეობრივი, რელიგიური, პოლიტიკური და ესთეტიკური ფასეულობების წარმოქმნა და მათი პიროვნულ და აღქმის დონეზე აყვანა. ამ ფასეულობების შექმნით, ფაქტობრივად, დამთავრდა ობიექტური რეალობის სუბიექტივიზაცია – ადამიანს მიეცა შიგა და გარე სამყაროსადმი თავისი დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა.

ეროვნული კულტურების სპეციფიკა და ისტორიულ პერსპექტივაში მათი დინამიკა ქვეყნების ორგანიზაციულ კულტურებზეც აისახა. თავისი არსით, დასავლური კულტურა წარმოადგენს ანალიზურს, ინდივიდუალურს, ინტელექტუალურს, არგუმენტირებულს, პატივს სცემს ადამიანის კერძო სამყაროს. დასავლეთის კულტურებში ამჟამად პიროვნების აბსოლუტური თავისუფლება დომინირებს. აღმოსავლურ კულტურას მიიჩნევენ სინთეზურ კულტურად, რომელიც შექმნილია განსხვავებული რელიგიური და ფილოსოფიური სისტემების თანაარსებობის საფუძველზე; კოლექტიურად, რომელიც იჭრება ადამიანის კერძო სამყაროში; აღსანიშნავია, რომ აღმოსავლურ კულტურაში ბატონობს კოლექტიური ცნობიერება რელიგიის, პატრიოტიზმის, იერარქიულობის, ავტორიტარიზმის და სხვა პრიორიტეტებით. აფრიკული კულტურა აღმოსავლეთისას ემსგავსება. ისინი იხრებიან ჯგუფური ფასეულობებისკენ, ინარჩუნებენ მკაცრ იერარქიულობას, ძალისა და ვაჟკაცობის კულტს, ავტორიტარულ ძალაუფლებას, რელიგიის მნიშვნელოვან როლს, განვითარებულ კოლექტივიზმს.

დღეს აღინიშნება აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამეწარმეო კულტურების თავისებური შეგებებული მოძრაობა: დასავლეთი ცდილობს თავის კორპორაციებში განავითაროს კოლექტივიზმის პრინციპები კომპანიის მიზნებითა და საორგანიზაციო – სამეურნეო კულტურით, ხოლო აღმოსავლეთი ცდილობს კომპანიის ჩარჩოებში გამოიყენოს ქმედითი ინდივიდუალური სამეწარმეო მოტივები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დროული ინოვაციური კულტურის განვითარება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Поршнева А.Г. Управление организацией. М. 2009.
2. Третьякова Е.П. Теория организации. М. 2012.
3. Асаул А.Н. Организация предпринимательской деятельности Санкт-Петербург., 2013.
4. ნიდლი დ; ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი. თარგმანი ინგლისურიდან. თბ., 2006.
5. Brown, A. Organizational Culture. 2 nd edn, financial Times Pitman, London. 1998.
6. არტურ ა. ტომპსონი. უმც., ა.ჯ. სტრიკლენდი 111 . სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და ბიზნესსტრატეგიები,მე-13 გამოცემა; ნათ. ინგლ. – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010. გვ. 565.
7. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989, გვ. 101.
8. Тихомирова О. Г.. Организационная культура: формирование, развитие и оценка. С = П., 2008 გვ. 35.
9. Daft Richard L. Management. South-Western. 2008.
10. [http://www.ipseng.techtone.info/files/9213/4245/8172/Taobebi\\_da\\_Girebulebebi\\_-\\_Book\\_1.pdf](http://www.ipseng.techtone.info/files/9213/4245/8172/Taobebi_da_Girebulebebi_-_Book_1.pdf).
11. [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8475/3/Kulturulogiis\\_Safudzvlebi\\_Tomi\\_III.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8475/3/Kulturulogiis_Safudzvlebi_Tomi_III.pdf).



12. <http://psychologica.wordpress.com/>
13. <file:///C:/Users/spasalar1/Downloads/2026.pdf>
14. [file:///C:/Users/spasalar1/Downloads/2024%20\(4\).pdf](file:///C:/Users/spasalar1/Downloads/2024%20(4).pdf)
15. <http://managementhelp.org/organizations/culture.htm>
16. <http://www.forbes.com/sites/johnkotter/2012/09/27/the-key-to-changing-organizational-culture/>
17. <http://humanresources.about.com/od/organizationalculture/>
18. <http://www.denisonconsulting.com/knowledge-center/model>

## **The Impact of Organizational Culture on the Development of an Organization**

**Leila Kadagishvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Assistant Professor*

### **Summary**

The paper discusses the impact of organizational culture on the development of an organization. The elements and characteristics of organizational culture are studied. It's noted that organizational culture is considered as one of the effective tools of an organization for increasing and maintaining competitiveness on the global market. Through organizational culture, the company can make expectations of the employees much clearer, maintain the integrity of an organization through key norms and values of an organization and create atmosphere of trust and commitment for the common business. In other words, only the companies with strong organizational cultures can mobilize all their forces for effective and fruitful development.

### **იდეების გენერირება და მომხმარებლის მოთხოვნები ქართულ კომპანიებში**

**გიულიქეშელაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი*

ახალი პროდუქტის შექმნა და განვითარება იდეების გენერირებით იწყება, რაც გულისხმობს ახალი პროდუქტის შექმნის შესახებ იდეის ძიებას. განვითარებულ ქვეყნებში ყოველი 100 ექსპერიმენტული იდეიდან წარმატებით მხოლოდ 5-დან 10-მდე რეალიზდება. ამასთან, ყოველი 100 დანერგილი სიახლიდან 75 ეჭვს ბადებს მომხმარებლის საჭიროების თვალსაზრისით. ამდენად, ფუნდამენტური მეცნიერების კომერციალიზაცია ნაკლებადაა გამართლებული, ხოლო გამოყენებითი მეცნიერების პროდუქციის შემთხვევაში, მისი საქონლად გადაქცევა უნდა აკმაყოფილებდეს

განსაზღვრულ პირობებს: მასზე უნდა იყოს მოთხოვნა და უნდა გააჩნდეს კონკურენტული უპირატესობა.

განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერების სფეროში ბიზნესის განვითარება კონცენტრირებულია მსხვილ კორპორაციათა და კომპანიათა კვლევით ცენტრებში, კერძო უნივერსიტეტების კვლევით ცენტრებში, სააქციო კვლევით დაწესებულებებში. მრავალი ასეთი სამეცნიერო ცენტრია აღიარებული მსოფლიოში. იქ მუშაობენ ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მრავალი პრობლემა. ამ ცენტრში მოღვაწე მრავალი მეცნიერი ნობელის პრემიის ლაურეატია და საკუთარი სკოლა აქვს ჩამოყალიბებული. სწორედ ასეთ ცენტრებში ხდება მსოფლიო დონის აღმოჩენები. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

ჩვენთანარხდება სამეცნიერო კვლევების კომერციული საცდია. აქ როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევები სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. თუმცა, რეალობაში ქართული კომპანიები ხელს უნდა უწყობდნენ იდეათა გენერირებას, რათა მათგანვე ველაზე საუკეთესოა მოარჩიონ და მოძებნონ რეალური საშუალებები შემდგომი განვითარებისათვის.

თანამედროვე საქართველოში პურის მოხმარება ნორმებით გათვალისწინებულზე ბევრად მაღალია. ქართულ ბაზარზე გაიზარდა ადგილობრივად წარმოებული ხორბლის ფქვილისაგან დამზადებული პურის სიმძლავრე. ასევე გაიზარდა მოთხოვნა ვიტამინებით და მინერალებით გამდიდრებულ პურზე. სამწუხაროდ, საქართველოში პური ძირითადად ისეთი ფქვილისგან მზადდება, რომელიც მიკრონუტრიენტების შემცველობის ეროვნულ სტანდარტებს არ შეესაბამება (სტანდარტს არ შეესაბამება ქართულ ბაზარზე წარმოებული პურის 30-40%). საქართველოში პურის სტანდარტი არსებობს, მაგრამ მისი ცხოება კონკრეტული მეწარმის კომერციული „საიდუმლოა“. პურის სტანდარტს „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ არეგულირებს (<http://www.century21.ge>). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართული პურის დინამიკური შესაბამისი მოთხოვნების სარკასო ხსობდა.

მიუხედავად იმისა, რომ პური მოხმარების სისხირის მიხედვით უნიკალური პროდუქტია, ქართულ კომერციულ საცხოვრებასა და შინამეურნეობის პირობებში პურის გამოსაცხოვრებად გამოყენებული ხორბლის ფქვილის უმეტესობა აარასაკმარის რკინას შეიცავს (ამგვარი მდგომარეობა კვლევამ საქართველოს ყველა რეგიონში გამოაგლინა). შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (<http://www.rustaveli.org.ge/>) და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის (CRDF) ერთობლივი დაფინანსებით 2012-2013 წწ-ში საქართველოში განხორციელებული პროექტის – „იდეიდან ბაზრამდე“ ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დღეისათვის ქართულ ბაზარზე არსებული ვიტამინებით და მინერალებით გამდიდრებული პურის რაოდენობა და შემადგენლობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ზოგადად დადგინდა, რომ პურის ნიმუშების მხოლოდ 24.9 % იყო შესაბამისად ფორტიფიცირებული, რაც არ არის საკმარისი მოსახლეობაში მიკრონუტრიენტების დეფიციტის შემცირებისთვის. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას გულისხმობდა ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფი საკვები პროდუქტის პური – „აპიპური“-ს წარმოება, რომელიც „იდეიდან ბაზრამდე“ გრანტის ფარგლებში განხორციელდა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომხმარებელთა გამოკითხვამ (გამოკითხულ იქნა 500-მდე რესპოდენტი. მათ შორის: ახალგაზრდა სპორტსმენები, მათი მშობლები, მწვრთნელები, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და თსსუ-ს ჰიგიენის კათედრის პროფესორები) აჩვენა, რომ მათ დიდი სურვილი ჰქონდათ ბაზარზე ეხილათ ეკოლოგიურად სუფთა ფუტკრის პროდუქტებზე დამზადებული პური. მთავარი ფოკუსირება გაკეთდა ბავშვთა, მოზარდთა, ასაკოვანთა და სპორტსმენთა

კვებაზე. ბაზრის ამ სეგმენტის მთავარი მოთხოვნა იყო ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი პროდუქტი.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სამოქალაქო კვლევების განვითარების ფონდის (CRDF) ერთობლივი დაფინანსებით 2012-2013 წწ-ში საქართველოში განხორციელებული პროექტის–„იდეიდან ბაზრამდე“: „აპიური“-ამინომჟავებით, ვიტამინებით და მინერალებით გამდიდრებული პურის, წინასწარი ანალიზისა და

პროდუქტის დასახელება	პური - „აპიური“	„ბეზეკი“ ცეცხვილიპური	„პურიბორო დინული“	„ქვის პური“	პური რძის შრატით
მწარმოებელი	შ.პ.ს. „იფქლი 1“	შ.პ.ს. „ბეზეკი“	შ.პ.ს. „ლიტვურის აცხობი“	შ.პ.ს. „კოლხი“	
B-ჯგუფვიტამინები: B1, B2	+	+	+	+	+
B-ჯგუფვიტამინები: B5, B6,	+				+
ვიტამინები: Bc (ac. folici), E,	+				
ვიტამინები :Beta carotin, PP	+	+	+		+
ვიტამინები: A,C,D, ,E,K	+				
მინერალები: Fe, Ka, Na	+	+	+	+	+
მინერალები: Ca, P	+	+			+
მიკროელემენტები Mg, Zn, Cu	+				
მიკროელემენტი: I,	+				
ალბუმინი	+				+
ამინომჟავების22სახეობა(გალინი, ლიზინი, ლეიცინი, გლუტამინი, ცისტინი და სხვა)	+				
ფოსფორტერინები, რუტინი	+				
ნაჯერიდა უჯერიციხიმოვანიმჟავები	+				
პურისსაბაზროდირებულება	1 ლარი	1,10 ლარი	1,1ლარი	0,90 ლარი	1,20 ლარი

ტესტირების შემდეგ, უზრუნველყოფილ იქნა პური-“აპიპური“-ს სრული წარმოება დახვეწა, ლიცენზირება და პროდუქციის ფართომასშტაბიანი გამოშვება. ქართულ ბაზარზე ყოველთვიურად იზრდება „აპიპურის“ წარმოების მოცულობა და წლის ბოლოსათვის საშუალოდ თვეში დაახლოებით 150 000 ცალ პურს მიაღწევს. დაგეგმილია საწარმოს (იფქლი 1-ის) შემოსავლების ზრდაც 15%-ით. პროექტის მთავარი მიზანი: დამუშავებულიყო და დახვეწილიყო ბიოლოგიურად აქტიური დანამატის ოპტიმალური შემადგენლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაქსიმალური გაუმჯობესებისათვის (მიკროელემენტების, ვიტამინების და ამინომჟავების დეფიციტის დაძლევის თვალსაზრისით) წარმატებით დასრულდა.

ყოველდღიური და ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფი საკვები პროდუქტი „აპიპური“, ამცირებს მასიურად გავრცელებული ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს. მოსახლეობის ფართო ფენების კვების რაციონში საკმაოაა გავრცელებული მიკონუტრიენტების დეფიციტი, რომელიც მრავალი დაავადების საწინდარია. ცილოვან-ენერგეტიკული დეფიციტი (ზრდაში ჩამორჩენა) ბავშვთა და მოზარდთა ასაკში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების მიხედვით, ბავშვის ზრდის სტანდარტთან (2.3%) შედარებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არის მომატებული. ანალოგიური მდგომარეობა ხშირად თავს იჩენს სპორტსმენებშიც, სადაც უმნიშვნელოვანეს პრობლემას მწვავე და ქრონიკული გადაძაბვა და მისი პროფილაქტიკა წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ზრდის სტანდარტის მიხედვით ბავშვის ზრდაში ჩამორჩენის ნებისმიერი მაჩვენებელი საგანგაშოა და შესაბამის რეაგირებას საჭიროებს კვების თვალსაზრისით.

საქართველოში პურ-ფუნთუშეულის მრავალი სახეობა იწარმოება. იფქლის ქარხანას პურის ცხობის გამოცდილება 1993 წლიდან აქვს. იგი ცხრა სახეობის უმაღლესი ხარისხის პურსა და ორცხობილების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს მომხმარებელს. მიმდინარე წელს (2014) საწარმოში განხორციელდა ქარხნის გადაიარაღება იტალიური დაზგა-დანადგარებით. შ.პ.ს. იფქლი 1 ჩვეულებრივი პურის გარდა, ვიტამინებით და მინერალებით გამდიდრებულ პურსაც აწარმოებს. მისი კონკურენტებია: შ.პ.ს. „ლიტვური საცხობი“, შ.პ.ს. „ბეზეკი“ და „შ.პ.ს. „კოლხი“. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია გამდიდრებულია რკინით და B -ჯგუფის ვიტამინებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საწარმოთა რაოდენობა მცირეა და ვერ აკმაყოფილებს ქართული ბაზრის მოთხოვნებს. იფქლი 1-ის მიერ წარმოებული პური - „აპიპური“ ქვემოთ ჩამოთვლილი ვიტამინებით გამდიდრებული პურეულისაგან განსხვავებით, შეიცავს ვიტამინების ყველაზე სრულყოფილ ნაკრებს. მის შემადგენლობაშია ერთდროულად: ნახშირწყლები (ფრუქტოზა, გლუკოზა), ამინომჟავების 22 სახეობა (ვალინი, ლიზინი, ლეიცინი, გლუტამინი, ცისტინი და სხვა), ვიტამინები(A, B1, B2,B5,B6,Bcac. folici, C,D,PP,E,კოლხისფოტერინები)რუტინი (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ფლავინოიდი) ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავები, მინერალები(Ca, Mg, Pp, Fe, Zn, I, Ka, Na, Cu).

**ცხრილი 1**

**შ.პ.ს. იფქლი 1-ის კონკურენტები საქართველოში**

დღეისათვის იფქლი 1-ის მიერ ასალი ტექნოლოგიით დამზადებული პური-„აპიპური“, ღიდი ნდობით სარგებლობს მომხმარებელში. ეს ინოვაცია მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ბიოლოგიურად აქტიური დანამატის შემადგენლობის დახვეწამ გაზარდა პურის შენახვის ვადა და მის მწარმოებელს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში: სომხეთსა და აზერბაიჯანში „აპიპური“-ის ექსპორტის საშუალება მისცა.

ამრიგად, იდეების გენერირებისას მნიშვნელოვანია მომხმარებლის მოთხოვნილებების შესწავლა და კვლევის ისეთი ორიენტაცია, რომელიც

დააკმაყოფილებს და გააჯერებს ამ მოთხოვნილებებს. ვიმედოვნებთ, რომ თანამედროვე საქართველოში მეცნიერების განვითარება სულ უფრო და უფრო მეტად გახდება ორიენტირებული მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესზე, ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ მოტივაციებსა და მომავლის ტენდენციებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://matsne.gov.ge/index.php?option=com>.
2. <http://www.century21.ge>
3. <http://www.rustaveli.org.ge>
4. <http://ipkli.ge/#3>

### **Generation of Ideas and Costumers' Demand in Georgian Companies**

**Giuli Keshelashvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

#### **Summary**

Generation of ideas is what generally leads to the reaction and development of a new product and the concept involves a constant search for new ideas to create something new. In Georgia, at present, bread consumption is much higher than normal. Unfortunately, bread produced in Georgia is mostly made of low quality flour which does not meet the national standards for the share of micronutrients in food (30-40% of the baking market in Georgia does not meet the standards).

Shota Rustaveli National Foundation and Civil Research and Development Foundation co-founded a project \_ "From Idea to Market" \_ in Georgia. One part of the research was to show that the composition of vitamin and mineral enriched bread on the Georgian market did not meet the requirements. According to the research results, only 24,9% of the bread samples was fortified, which is not enough to minimize or at least, help the deficiency of micro-nutrients in population. The research also involved a solution for the problem, which was the production of cheaper bread "Apipuri". This idea was realized as part of the project "From Idea to Market". Nowadays Bread "Apipuri" is quite popular among the customers. The innovation was very important for Georgia.

**სიღარიბის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში**


**რუსუდან ქინქლაძე**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი*

თითოეული ქვეყანა სიღარიბეს განსაზღვრავს განვითარების დონის, სოციალური ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე. ამიტომაც იგი სხვადასხვა ქვეყნებისთვის განსხვავებულია. რაც განაპირობებს იმას, რომ არ არსებობს სიღარიბის საყოველთაო დონე.

სიღარიბის დონე განისაზღვრება თანხის იმ რაოდენობით, რაც ხელისუფლების ან საზოგადოების აზრით აუცილებელია ადამიანისათვის, რათა მისი მინიმალური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იყოს.

ეროვნული ბანკის დებულების თანახმად ღარიბად ითვლება პირი, რომელსაც დღიურად 2\$-ზე ნაკლები შემოსავალი აქვს. ამ შეფასებით ყველა შინამეურნეობა საარსებო მინიმუმით სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. რაც შეეხება შემოსავლებს ერთ სულ შინამეურნეობაზე, ბოლო წლებში დადებითი ტენდენცია შეინიშნება (ნახ.1).




\* შემოსავლებში იგულისხმება ფულადი და არაფულადი სახსრები სულ. შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მომსახურების მიხედვით

თუ 2008 წლის მონაცემებს შევადარებთ, ვნახავთ რომ ამ წლებში საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობდა. 2013 წელს შემოსავლები ერთ სულ შინამეურნეობაზე გაზრდილია 67%-ით. თუმცა ეს რეალური ზრდა არ არის, გასათვალისწინებელია ასევე ინფლაცია მოცემულ წლებში.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვა ორგანიზაციები - მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გაეროს ბავშვთა ფონდი და ა.შ. სიღარიბის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდს გამოყოფენ. სიღარიბის გასაზომად გამოყენებული მეთოდოლოგიების უმრავლესობა უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში სიღარიბის 3-4 პროცენტით კლებაზე მიუთითებს. 2009 წელს სხვადასხვა მეთოდოლოგიის მიხედვით გაზომილი სიღარიბე 13-23 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში დათვლილი სიღარიბის ინდიკატორები სხვა მეთოდოლოგიებით (სიღარიბის დონე მედიანური მომხმარებლის 60 და 40 % მიმართ, აბსოლუტური სიღარიბის ინდიკატორი დღეში 2,5 აშშ დოლართან მიმართებაში, სიღარიბის დონე გამოთვლილი ცხოვრების სტანდარტის გაზომვის კვლევიდან (LSMS) და ა.შ.) დათვლილი სიღარიბის მონაცემისაგან რადიკალურად განსხვავდება. 2005 წელს სიღარიბის დონე ოფიციალური საარსებო მინიმუმთან მიმართებაში 41,4% შეადგენდა. 2007 წელს სიღარიბის დონე 5%-ით გაიზარდა, მომდევნო პერიოდში კვლავ შემცირდა და 2009 წელს 41,2% გახდა. პარალელურად შემცირდა სიღარიბის სიღრმე და სიმწვავე. დაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესებით, მიზნობრივი სახელმწიფო დახმარებების დანიშნით, სახელმწიფო პენსიებისა და შემწვობების ზრდით იყო გამოწვეული.

სიღარიბის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ მაჩვენებელს რეგისტრირებული სიღარიბე წარმოადგენს:




როგორც ვხედავთ 2008 წელთან შედარებით რეგისტრირებული სიღარიბე გაიზარდა. სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2009 წელს 9,9%. რა თქმა უნდა ეს მაჩვენებელი სრულად ვერ ასახავს რეალობას. სამწუხაროდ საქართველოში სიღარიბის აღმრიცხველი სტატისტიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს კარგად დავახასიათოთ არსებული სიტუაცია, არ არსებობს.

სიღარიბის დონის გასაზომად ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში გეთავაზობს მხოლოდ შეფარდებით მაჩვენებლებს. კერძოდ, იმას, თუ მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს მედიანური მოხმარების 40%-იან და 60%-იან ზღვრებს ქვემოთ. 2008 წელს მოსახლეობის 9,5% მოიხმარდა მედიანური მოხმარების 40%-ზე ნაკლებს, ხოლო მედიანურის 60%-ზე ნაკლები მოხმარება ჰქონდა მოსახლეობის 22,7%-ს.




ამრიგად, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2008-2009 წლებში ფიქსირდება. რაც გამოწვეული იყო 2008 წლის ომითა და მსოფლიო კრიზისით. ამ წელთან შედარებით 2013 წელს სიღარიბის დონე 0,3%-ითაა შემცირებული, რაც არც თუ ისე სახარბიელო შედეგია.

გასათვალისწინებელია აგრეთვე სიღარიბის დონე ქალაქისა და სოფლის ჭრილში. თუკი უმუშევრობა სოფლად ნაკლები იყო ქალაქთან შედარებით საპირისპირო შედეგი გვაქვს სიღარიბის დონესთან მიმართებით. რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს სოფლებში თვითდასაქმების მაღალ დონეს და სოფლი მეურნეობის ნაკლებ პრიორიტეტულობას. რასაც ადასტურებს მისი დაბალი წილი მშპ-ს შემადგენლობაში.



როგორც დიაგრამიდან ჩანს წლიდან წლამდე იზრდება სხვაობა ქალაქისა და სოფლის ფარდობით სიღარიბეებს შორის. ბოლო წლებში ქალაქში აღინიშნება სიღარიბის დონის შემცირება მაშინ როცა ქოფლებში ეს მაჩვენებელი თითქმის არ იცვლება.

საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ საზოგადოებაში, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზების გამო, მოსახლეობის ძირითადი ნაწილისაგან განსხვავებით, თანაბრად ვერ სარგებლობენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სიკეთეებით. განზომილებები. მოსახლეობის სიღარიბის და კონკრეტული სოციალური ჯგუფების საერთო ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესისაგან გარიყვის მიზეზებისა და რისკების სტატისტიკურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. როგორც ვნახეთ შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე წლიდან წლამდე იზრდება, ხოლო სიღარიბის მაჩვენებელი კი მინიმალური ნიშნულით იკლებს. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც ფასების ზრდით, აგრეთვე შემოსავლების უთანაბრო გადანაწილებით. შემოსავლების უთანაბრო განაწილებას ყველაზე უკეთ ასახავს ჯინის კოეფიციენტი. საბჭოთა კავშირის ჯინის კოეფიციენტი დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ მისი დაშლის შემდეგ იგი საგრძნობლად გაიზარდა. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში უთანასწორობის კოეფიციენტი 0,4-ია რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და შემოსავლების არათანაბარ განაწილებაზე მიუთითებს.



\* მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები მოიცავს როგორც სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, ასევე არაფულად ხარჯებს



დღეისათვის, მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით ყველაზე თანასწორი ქვეყნები ევროპაშია: შვედეთი, ნორვეგია და ავსტრია. ამ ქვეყნების ჯინის კოეფიციენტი 0,2-დან 0,3-მდე მერყეობს. ყველაზე ნაკლებად თანასწორი საზოგადოებები აფრიკაშია, სადაც ჯინის კოეფიციენტი 0,6-ზე მეტია, ლათინურ ამერიკაში -0,5-ზე მეტი.

მსოფლიოში ყველაზე დაბალი ჯინის ინდექსი (<0,25) სკანდინავიის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს (შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბულგარეთი) გააჩნიათ. შემდეგ ჯგუფში (0,25-0,29) შედიან კანადა, ავსტრალია, საფრანგეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ხოლო ყველაზე უარესი მაჩვენებელი სამხრეთ აფრიკის (>60) და სამხრეთ ამერიკის (55-59) ქვეყნებშია. საქართველოში ჯინის ინდექსი 2002 წლამდე 0,36-0,39-ს შორის მერყეობდა, ხოლო მას შემდეგ 40-ზე მეტია და აჭარბებს ყაზახეთის (0,27), ბელორუსიის (0,27), უკრაინის (0,28), სომხეთის (0,31), ყირგიზეთის (0,33), აზერბაიჯანის (0,34), მოლდოვის (0,38).

„ღია საზოგადოება საქართველოს ფონდის“ მიერ დაფინანსებული კვლევის ავტორების განცხადებით „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრიდან“, ჯინის ინდექსი 0,4-ზე მეტი, ერთ სულზე შემოსავლების (მაგ. მშპ) დაბალ მაჩვენებელთან ერთად დამახასიათებელია ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის და იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ ქვეყნებში საშუალო კლასი პრაქტიკულად არ არსებობს.

## Statistical analysis of poverty in Georgia

**Rusudan Kinkladze**  
Georgian Technical University  
Associate Professor

### SUMMARY

The thesis presents a brief theoretical overview of the level of poverty, and a statistical analysis for Georgia in 21th century. discusses the essence of poverty and system indicators. Also there is discussed the methodology for calculating the minimum poverty line. The country's standard of living is characterized using these and other macro-economic factors. In this thesis, living standards compared with the norms published by the World Bank. Based on statistical analysis of poverty and its causes here are given some ways of dealing with poverty in Georgia.

## გლობალიზაცია და საქართველოს ინტეგრაციული სტრატეგია

**ლარისა ყორღანაშვილი**  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*პროფესორი*

გლობალიზაცია მსოფლიო განვითარების თანამედროვე ტენდენციაა, რომლის გავლენით იზრდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება, ინტენსიურად მიმდინარეობს ინტეგრაციული პროცესები, ყალიბდებაახალიმსოფლიოწესრიგი და

„თამაშისწესები“. იგი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს ეხება და მსოფლიო მასშტაბით საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებისა და გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების საფუძველზე მიმდინარეობს.

2008 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოხსენება „მსოფლიო ვაჭრობის შესახებ“, რომელშიც დახასიათებულია გლობალიზაციის ტალღები XIX და XX საუკუნეებში. როგორც ამ მოხსენებიდან ჩანს, მოსახლეობის, რეალური მშპ-ისა და ვაჭრობის რეალური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები 1950-1973 წლებისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ამ პერიოდში ინტენსიურად დაიწყო ბიზნესის გლობალიზაციის პროცესები. 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) წილმა მსოფლიოს მშპ-თან მიმართებაში 25,3 % შეადგინა, 1982 წელს კი იგი მხოლოდ 5,2 % იყო [1, გვ. 15]. გლობალიზაციის პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრეტონ-ვუდის სისტემის (ახალი მონეტარული წესრიგის) შექმნას, თთ-ის (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ) და შემდეგ მის საფუძველზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, ევროს შემოღებას და ა. შ. პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გაეროს შექმნა, მარშალის გეგმის რეალიზაცია, დეკოლონიზაცია, ევროკავშირის შექმნა და გაფართოება, საბჭოთა კავშირის დაშლა და სხვა. ტექნოლოგიური ასპექტებიდან აღსანიშნავია პლასტმასებისა და ბოჭკოვანი პროდუქტების ფართო გავრცელება, ნავთობის დიდი საბადოების აღმოჩენა ახლო აღმოსავლეთში, კოსმოსის ათვისება, ჩიპებისა და პერსონალური კომპიუტერების წარმოება, ინტერნეტის შექმნა და სხვა ტექნოლოგიური მიღწევები [1, გვ. 22-23].

გლობალიზაცია ობიექტური და შეუქცევადი პროცესია, რომელშიც მეტ-ნაკლები ზომით მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული. მსოფლიო თანამეგობრობაზე გლობალიზაციის პროცესების გავლენა ფასდება გლობალიზაციის სხვადასხვა ინდექსებით, მათ შორის აღსანიშნავია KOF (Index of Globalization) და DIG (Depth Index of Globalization) ინდექსები. გლობალიზაციის KOF ინდექსს აქვს 3 სუბინდექსი: ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური. 2014 წლის KOF რეიტინგში წარმოდგენილია 207 სახელმწიფო, მათ შორის ყველაზე გლობალიზებული ქვეყნები არიან: ირლანდია, ბელგია, ნიდერლანდები, ავსტრია, სინგაპური, დანია, შვედეთი, პორტუგალია, უნგრეთი და ფინეთი. აშშ-ს უკავია 32-ე ადგილი. საქართველო ამ რეიტინგში 64-ე ადგილზეა. მეზობელი ქვეყნებიდან მასზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს თურქეთსა (46-ე ადგილი) და რუსეთს (56-ე ადგილი); უარესი – აზერბაიჯანსა (89-ე ადგილი) და სომხეთს (98-ე ადგილი) (ცხრილი 1).

როგორც მონაცემები გვიჩვენებენ (ცხრილი 1), გლობალიზაციის ინდექსისა და სუბინდექსების მიხედვით ქვეყნები საკმაოდ განსხვავებული რეიტინგებით არიან წარმოდგენილნი და პირველ ათეულში მოხვედრილ ქვეყნებსაც სხვადასხვა პოზიცია უკავიათ. მაგალითად, 2014 წლის მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ქვეყანა – ირლანდია პოლიტიკური გლობალიზაციის რეიტინგში 25-ე ადგილზეა, მეხუთე ადგილზე მყოფი სინგაპური - 79-ეზე და ა. შ.

ცხრილი 1. KOF გლობალიზაციის ინდექსი, 2014[2]

№	ქვეყანა	KOF ინდექსი		ეკონომიკური გლობალიზაცია		სოციალური გლობალიზაცია		პოლიტიკური გლობალიზაცია	
		რანგი	ქულა	რანგი	ქულა	რანგი	ქულა	რანგი	ქულა
1	ირლანდია	1	92.17	2	93.69	2	91.55	25	90.94
2	ბელგია	2	91.61	6	89.43	7	90.17	3	96.75
3	ნიდერლანდები	3	91.33	5	91.17	5	90.32	15	93.01
4	ავსტრია	4	90.48	11	85.10	3	91.47	3	96.54
5	სინგაპური	5	88.63	1	96.69	1	91.61	79	73.06

6	დანია	6	87.43	19	83.39	9	86.84	12	93.91
7	შვედეთი	7	87.39	12	85.09	14	84.4	7	94.92
8	პორტუგალია	8	87.01	16	84.09	12	84.75	9	94.37
9	უნგრეთი	9	85.91	9	86.82	23	81.08	22	91.69
10	ფინეთი	10	85.87	10	85.80	16	83.51	32	89.42
11	გაერ. სამეფო	17	83.72	45	72.31	11	86.07	5	96.19
12	გერმანია	26	79.47	58	65.73	15	83.71	19	92.44
13	აშშ	32	74.94	87	59.19	28	77.96	18	92.47
14	თურქეთი	46	68.20	107	53.23	57	65.67	16	92.74
15	რუსეთი	56	65.42	114	51.56	59	64.77	42	85.66
16	იაპონია	59	65.00	125	45.44	54	66.58	29	89.96
17	საქართველო	64	62.86	25	80.05	82	54.51	140	51.08
18	ჩინეთი	72	60.50	116	50.72	92	52.42	40	85.87
19	ბრაზილია	76	59.78	113	51.59	115	43.6	8	94.72
20	აზერბაიჯანი	89	56.55	83	60.50	96	50.72	122	59.55
21	სომხეთი	98	53.45	68	64.27	110	45.08	141	50.56
22	ინდოეთი	112	50.41	133	41.67	155	29.85	17	92.52

DIG გლობალიზაციის სიღრმის ინდექსის 2012 წლის რეიტინგში შედის 139 ქვეყანა, რომელთა ჯამური მშპ მოიცავს მსოფლიო მშპ-ს 99 %-სა და პლანეტის მოსახლეობის 95 %-ს. გლობალიზაციის სიღრმის ინდექსი წარმოდგენილია 12 კომპონენტით, რომლებიც გაერთიანებულია 4 ჯგუფში: ვაჭრობა, კაპიტალი, ინფორმაცია და ადამიანები. DIG რეიტინგის თანახმად, მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: ჰონკონგი (ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი), სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, ბელგია, ნიდერლანდები, მალტა, მაღაიზია, ბაჰრეინი და ესტონეთი. საქართველო ამ რეიტინგში 55-ე ადგილზეა და უსწრებს თავის მეზობელ სახელმწიფოებს, აგრეთვე აშშ-ს, იაპონიას, ჩინეთს, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებს (ცხრილი 2). აღსანიშნავია, რომ KOF და DIG გლობალიზაციის რეიტინგები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, DIG გლობალიზაციის რეიტინგში მე-7 ადგილზე მყოფი მალტა იმავე წლის KOF გლობალიზაციის რეიტინგში 31-ე ადგილზეა, მაღაიზიას შესაბამისად მე-8 და 29-ე პოზიციები უკავია, 55-ე პოზიციაზე მყოფი საქართველოს - 55-ე და 69-ე და ა. შ. (ცხრილი 2). ასეთი განსხვავება მათი განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდოლოგიით უნდა აიხსნას.

როგორც მონაცემები გვიჩვენებენ (ცხრილები 1 და 2), გლობალიზაციის მაღალი რეიტინგი შედარებით მცირე სახელმწიფოებისათვისაა დამახასიათებელი ანუ გლობალიზაციის პროცესები მათზე უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე დიდ ქვეყნებზე. მაგალითად, აშშ, რომელზეც მოდის გლობალური მშპ-ის 22.43 %, მსოფლიო მოსახლეობის

ცხრილი 2. I გლობალიზაციის სიღრმის ინდექსი, 2012 [3]

№	KOF 2012	ქვეყანა	DIG	ვაჭრობა	კაპიტალი*	ინფორმაცია	ადამიანები**
1	-	ჰონკონგი (ჩინეთის სარ)	1	1	2	1	5
2	5	სინგაპური	2	2	4	2	6
3	12	ლუქსემბურგი	3	27	1	3	1
4	2	ირლანდია	4	33	3	7	3
5	1	ბელგია	5	3	8	5	40
6	3	ნიდერლანდები	6	3	10	8	41
7	31	მალტა	7	8	39	6	11
8	29	მალაიზია	8	9	23	51	34
9	42	ბაჰრეინი	9	22	22	29	8
10	26	ესტონეთი	10	4	48	39	18
11	22	გერმანია	38	47	46	21	30
12	14	გაერ. სამეფო	48	99	19	10	38
13	69	საქართველო	55	67	45	66	47
14	97	სომხეთი	84	82	93	59	48
15	83	აზერბაიჯანი	86	84	87	87	56
16	35	აშშ	91	138	20	30	82
17	47	რუსეთი	95	122	62	70	67
18	41	თურქეთი	106	114	82	81	87
19	55	იაპონია	113	137	55	74	..
20	73	ჩინეთი	122	120	75	113	113
21	110	ინდოეთი	123	112	84	114	117
22	74	ბრაზილია	130	139	63	100	115
*116 ქვეყანა, **118 ქვეყანა							

4.44 % და სახმელეთო ფართობის 6.60 %, 2012 წლის რეიტინგში 35-ე (2013 წელს - 32-ე) ადგილზეა, ხოლო I რეიტინგში - 91-ეზე. მოსახლეობით უდიდესი ქვეყანა ჩინეთი (მის წილად მოდის პლანეტის მოსახლეობის 19 %, ფართობის 6.44 % და მსოფლიო მშპ-ს 12.34 %) ამ რეიტინგებში შესაბამისად 73-ე და 122-ე პოზიციებზეა, ტერიტორიით უდიდესი ქვეყანა რუსეთი (მასზე მოდის პლანეტის სახმელეთო ფართობის 11.48 %, მოსახლეობის 2 % და მშპ-ის 2.8 %) კი 47-ე და 95-ე ადგილებზე.

გლობალიზაცია კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, რომელიც იძლევა სახელმწიფოთა თანაარსებობისა და განვითარების, რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გაღრმავების ახალ შესაძლებლობებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო აქტიურად ჩაერთო რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში. იგი შედის შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა (შხეთო) და სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა - ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისათვის) შემადგენლობაში. 1993-2008 წწ. საქართველო იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი.

შხეთო შეიქმნაწევრ ქვეყნებს შორის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების

მოლიანი ფართობი 19292697 კვ კმ-ს (პლანეტის სახმელეთო ფართობის 4.8 %) შეადგენს, მოსახლეობა - 339307203 ადამიანს (პლანეტის მოსახლეობის 47,8 %) და მშპ - 4990270 მლნ აშშ დოლარს (მსოფლიო მშპ-ის 6.7 %). შხეთო-ში წამყვანი ადგილი რუსეთს უკავია. მასზე მოდის ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოლიანი ფართობის 88.63 %, მოსახლეობის 41.99 % და მშპ-ის 51.16 %. იგი მეორე ადგილზეა (საბერძნეთის შემდეგ) ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობით (ცხრილი 3).  
ცხრილი 3. შხეთო-ის წევრი ქვეყნების ზოგიერთი მაჩვენებელი, 2013 წ. [4]

	ფართობი		მოსახლეობა		მშპ**		მშპერთ სულზე, დოლარი
	კვკმ	წილი შხეთო-ში, %	ადამიანი*	წილი შხეთო-ში, %	მლნ დოლარი	წილი შხეთო-ში, %	
აზერბაიჯანი	86600	0.45	9686210	2.86	102700	2.06	10800
ალბანეთი	28748	0.15	3020209	0.89	28340	0.57	10700
ბულგარეთი	110879	0.57	6924716	2.04	104600	2.10	14400
თურქეთი	783562	4.06	81619392	24.05	1167000	23.38	15300
მოლდავეთი	33851	0.18	3583288	1.06	13250	0.27	3800
რუმინეთი	238391	1.24	21729871	6.40	288500	5.78	14400
რუსეთი	17098242	88.63	142470272	41.99	2553000	51.16	18100
საბერძნეთი	131957	0.68	10775557	3.18	267100	5.35	23600
საქართველო	69700	0.36	4935880	1.46	27300	0.55	6100
სერბეთი	77474	0.40	7209764	2.12	80470	1.61	11100
სომხეთი	29743	0.15	3060631	0.90	20610	0.41	6300
უკრაინა	603550	3.13	44291413	13.05	337400	6.76	7400
სულ	19292697	100.00	339307203	100.00	4990270	100.00	
*2014 წლის 1 ივლისისათვის, **მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით							

ამჟამად საქართველოს შხეთო-ის წევრ ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აქვს. 2013 წელს ამ ქვეყნებზე მოდის მისი ექსპორტის 61.1 და იმპორტის 50.3 %, რაც წინა წელს შესაბამისად 5.1 და 1.5 %-ით აღემატება, ხოლო 2009 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ (0.4 და 0.5 %-ით) შემცირდა. 2012 წელთან შედარებით 2.4 %-ით შემცირდა საქართველოს ექსპორტი სუამ-ის ქვეყნებში და 0.3 %-ით - იმპორტი სუამ-ის ქვეყნებიდან. 2013 წელს ევროკავშირის წილი საქართველოს ექსპორტში 20.9 %-ია, ხოლო იმპორტში - 28.8 %. დსთ-ს წილი საქართველოს ექსპორტში 55.7 %-ს შეადგენს და ევროკავშირის წილს თითქმის 34.8 %-ით აღემატება (ცხრილი 4).

როგორც ცნობილია, რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა ჩვეულებრივ ითვალისწინებს ინტეგრაციის შემდეგ ტიპებს (ეტაპებს): შეთანხმება სავაჭრო პრეფერენციების შესახებ, თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური კავშირი, მონეტარული კავშირი [6]. ინტეგრაციის ამ ეტაპებიდან შხეთო-სა და სუამ-ში ჯერ არც ერთი არაა მიღწეული. ფაქტობრივად ამ რეგიონულ ორგანიზაციებში წევრ-ქვეყნებს შორის (მრავალმხრივი შეთანხმებების არსებობის მიუხედავად) ურთიერთობები ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებით რეგულირდება. აღნიშნულის გამო, საქართველოს სტრატეგიული მიზანია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია ანუ ქვეყნის ინტეგრაციულ სტრატეგიად ევროკავშირის წევრობა უნდა განვიხილოთ.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო. ამ ურთიერთობების ხანმოკლე პერიოდში არსებითი ცვლილებები მოხდა როგორც

ცხრილი 4. საქართველოს ექსპორტი და იმპორტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2009-2013 წწ. [5]

	მლნაშშდოლარი					%				
	2009	2010	2011	2012	2013	2009	2010	2011	2012	2013
<b>ექსპორტი</b>	<b>1134</b>	<b>1677</b>	<b>2189</b>	<b>2375</b>	<b>2908</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>
დსთ	416	677	1053	1244	1621	36,7	40.4	48.1	52.4	55.7
შზეთ	697	898	1185	1329	1777	61.5	53.5	54.1	56.0	61.1
სუამ-ი	251	374	578	805	917	22.1	22.3	26.4	33.9	31.5
ეკ-28	238	310	424	353	608	21.0	18.5	19.4	14.9	20.9
ეთგო	524	743	817	794	840	46.2	44.3	37.3	33.4	28.9
<b>იმპორტი</b>	<b>4500</b>	<b>5257</b>	<b>7058</b>	<b>7902</b>	<b>7885</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>
დსთ	1298	1588	1942	2057	2178	28.8	30.2	27,5	26.0	27.6
შზეთ	2288	2620	3553	3821	3967	50.8	49.8	50.3	48.4	50.3
სუამ-ი	835	1050	1323	1297	1267	18.6	20.0	18.7	16.4	16.1
ეკ-28	1341	1471	2057	2430	2270	29.8	28.0	29.1	30.8	28.8
ეთგო	2316	2534	3411	3956	3818	51.5	48.2	48.3	50.1	48.4

ევროკავშირში, ისე საქართველოში. ევროკავშირი 15-დან 28 სახელმწიფომდე გაიზარდა და დღეს იგი კიდევ უფრო რთულ და ამბიციურ გაერთიანებად იქცა. ამჟამად ევროკავშირზე მოდის მთლიანი მსოფლიო პროდუქტის თითქმის . ამ მაჩვენებლით იგი მეორე ადგილზეა მსოფლიოში აშშ-ს შემდეგ, თუმცა მისი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები (0.10 %) ჩამორჩება როგორც აშშ-ის (1.60 %) ასევე მთელი მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპებს [4].

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების პერიოდში სერიოზული შედეგებია მიღწეული. 2013 წელს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვამ 2878 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 608 მლნ აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი 2270 მლნ აშშ დოლარი (ცხრილი 3). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის საქართველოს ექსპორტის 20.9 % და იმპორტის 28.8 %, თუმცა საქართველოს უმსხვილესი 10 სავაჭრო პარტნიორის რიცხვში ევროკავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ გერმანია, ბულგარეთი და რუმინეთი შედიან. მათი წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში შესაბამისად 4.8, 3.3 და 3.0 %-ია [5]. ამ უკეთესი სიტუაციაა პუი-სთვალსაზრისით. საქართველოში განხორციელებული პუი-ს 16 % მოდის ნიდერლანდებზე, 15 % ლუქსემბურგზე, 6 % გაერთიანებულ სამეფოზე, 5-5% მალტასა და ჩეხეთზე [7].

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების გამყარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში იყო ხელმოწერილი და 1999 წელს შევიდა ძალაში [8]. ამ შეთანხმებით მხარეებმა ერთმანეთს მიანიჭეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. 2005 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება, რომელიც 2008 წელს იქნა გაგრძელებული [9]. 2004 წლის 14 ნოემბერს საქართველომ ერთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში [10], რომლის მიზანი იყო გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და გამყოფი ხაზების ნაცვლად ყველასთვის კეთილდღეობის,

სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2006 წლის 14 ნოემბერს მიღებული იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიული ამოცანების განმსაზღვრელი სამოქმედო გეგმა[11].

ევროკავშირთან უფრო მტკიცე პოლიტიკური თანამშრომლობისა და საქართველოში, აგრეთვე აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, სომხეთსა და უკრაინაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის მიზნით, 2009 წლის გაზაფხულზე ევროკავშირის მიერ წამოყენებული იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა [12].

2013 წლის ივლისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის დასრულდა მოლაპარაკება ასოცირების შეთანხმების(AA), მათ შორის ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) თაობაზე[13]. ამ შეთანხმების პარაფირება მოხდა 2013 წლისაღმოსავლეთპარტნიორობისვილნიუსისსამიტზე, ხოლო 2014 წლის 27 ივნისს იგი ხელმოწერილი იქნა [14]. ასოცირების შეთანხმებამ ჩაანაცვლა შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის ადაპტაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ევროპული სტანდარტების დანერგვა.

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებისათვის. საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობა ნიშნავს:

- იმის ფორმალურ დადასტურებას, რომ სახელმწიფოს გააჩნია მაღალი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზოგადცივილიზაციური სიმწიფის, განვითარებისა და სტაბილურობის მაღალი დონე;
- რომ ქვეყანა შედის ნორმალური, სტანდარტული ევროპული ქვეყნების რიცხვში და აღიარებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. ესაა სიგნალი ახალი ცხოვრების დასაწყისისა;
- ქვეყანა აღიარებს ლიბერალურ ფასეულობებს, აქვს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა;
- მონაწილეობს გლობალური საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში არსებული ბიუროკრატიის პირობებში, გადაწყვეტილებათა მიღებაში მისი მონაწილეობის ეფექტიანობის დონე არც ისეთი მაღალი იქნება.

საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობისდიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ამ ინტეგრაციას გარკვეული პრობლემები ახასიათებს. მათ შორის, უპირველესად,უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- სახელმწიფო სუვერენიტეტის ნაწილობრივი დაკარგვა. როგორც ცნობილია, ინტეგრაცია მუდამ გულისხმობს მართვის ერთიან პროცესებს და ზენაციონალურ ორგანოებზე გადაწყვეტილებათა მიღების უფლების დელეგირებას. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო ნაწილობრივ დაკარგავს თავის სუვერენიტეტს, რომლის ზომა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.
- ქართულ საწარმოებს მოუწევთ ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა და მკაცრი კონკურენციის პირობებში მუშაობა, რასაც ბევრი მათგანი ვერ გაუძლებს. წარმოების გადაწყობა მოითხოვს ინვესტიციებს, რაც ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი.
- მიგრაციული პროცესების გაძლიერება და ტვინების გადინების პრობლემა, რომელიც სერიოზულ საშიშროებას შეუქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას;
- პრობლემა საბაჟო კავშირისა და მასთან დაკავშირებულ ქვეყნებთან.

აღნიშნულის პრობლემების მიუხედავად, ევროკავშირთან თანამშრომლობით საქართველოს ექნება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სარგებელი: დაცული იქნება მისი სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება, უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკური სტაბილურობა, ახალი ინვესტიციები და ევროპული სტანდარტები, გაფართოვდება გასაღების ბაზარი, ამაღლდება სოციალური დაცვისა და ცხოვრების დონე, იქმნება ევროზონაში შესვლისა და ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა და ა. შ. შესაბამისად, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები იძლევა ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების შესაძლებლობას ამ თანამშრომლობისათვის დამახასიათებელი პრობლემების მინიმიზაციის პირობებში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. WTO. Worldtraderreport. 2008
2. [http://globalization.kof.ethz.ch/media/filer\\_public/2014/04/15/rankings\\_2014.pdf](http://globalization.kof.ethz.ch/media/filer_public/2014/04/15/rankings_2014.pdf)
3. <http://www.ghemawat.com/dig/>
4. <http://data.worldbank.org/indicator/>
5. [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/bop/Georgian%20External%20Trade%202013.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/bop/Georgian%20External%20Trade%202013.pdf)
6. Steven M. Suranovic. International Trade: Theory and Policy. <http://internationalecon.com/Trade/Tch110/T110-2.php>
7. [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/bop/FDI\\_2013-GEO.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/bop/FDI_2013-GEO.pdf)
8. <http://www.ei-lat.ge/vin-vin-aris1/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-gronologia/367--shethankhmeba-partniorobisa-da-thanamshromlobis-shesakheb-pca.html?lang=ka-GE>
9. [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu\\_georgia/political\\_relations/index\\_ka.html](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/index_ka.html)
10. <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/neighborhood-policy>
11. [www.epfound.ge/files/report\\_final\\_geo\\_1.pdf](http://www.epfound.ge/files/report_final_geo_1.pdf)
12. [http://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/eu\\_georgia/political\\_relations/political\\_framework/eastern\\_partnership/index\\_ka.htm](http://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/political_framework/eastern_partnership/index_ka.htm)
13. [http://eeas.europa.eu/top\\_stories/2013/291113\\_eu-georgia\\_association\\_agreement\\_en.htm](http://eeas.europa.eu/top_stories/2013/291113_eu-georgia_association_agreement_en.htm)
14. [http://saqinform.ge/index.php?option=com\\_blog\\_calendar&year=2014&month=06&day=27&mo did=280#axzz3BCMfQkao](http://saqinform.ge/index.php?option=com_blog_calendar&year=2014&month=06&day=27&mo did=280#axzz3BCMfQkao)

– Doctor of Economic Sciences, Professor,  
, Georgia



Larisa Korganashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor

Summary

Globalization is objective and irreversible process of the modern world, which enhances the interdependence of nations and promotes their integration. For sustainable economic development of Georgia the challenges of globalization and opportunities for regional cooperation must be taken into account. Currently, Georgia is a member of the Black Sea Economic Cooperation (BSEC) and GUAM, but its strategic goal is integration into the European Union. Association Agreement of Georgia with the EU signed on June 27<sup>th</sup>, 2014 will contribute to the implementation of integration strategy. This paper presents a comparative analysis of Georgia's participation in the processes of globalization and regional integration, shows the importance of regional cooperation of Georgia with the countries of BSEC, GUAM and the European Union, points advantages and disadvantages of Georgia's integration into the European Union.

Keywords: Globalization, integration, strategy, Georgia, EU, BSEC, GUAM.

საქართველომსოფლიო ფინანსურ ინტეგრაციაში

გუგული ყურაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესორი

გლობალიზაცია არის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფენომენი, რომელმაც შეცვალა სამყარო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ეს არის გლობალური მოვლენა, რომლისთვისაც საზღვრები ფაქტიურად არ არსებობს. ყველა ეროვნების კაპიტალის ბუნება ერთნაირია - იგი მიემართება იქით, სადაც გარანტირებულია დიდი მოგება. მეცხრამეტე საუკუნეში იყო კაპიტალის ერთი გამოკვეთილი ექსპორტიორი ქვეყანა - დიდი ბრიტანეთი. მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან მსოფლიო ჰეგემონის ცვლასთან ერთად კაპიტალის ყველაზე დიდი ექსპორტიორი აშშ გახდა. კაპიტალის ექსპორტი ხელს უწყობს კავშირების განმტკიცებას ქვეყნებს შორის. ეს კავშირები სტაბილურია და ისინი გრძელვადიანი მშვიდობის გარანტიაა.

მეოცე საუკუნის ბოლოდან კაპიტალი უმეტესად მიემართება განვითარებული და ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ქვეყნებისაკენ, მაშინ როცა ადრე ტენდენცია სხვაგვარი იყო. კაპიტალის ექსპორტის გეოგრაფიის ცვლილება, ერთის მხრივ, დაკავშირებულია კაპიტალის მიმღები დარგების ცვლილებასთან.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ ინვესტირების სამ ძირითად ფორმაში წამყვანი ინვესტორები არიან ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, პირველ რიგში - აშშ, მაგრამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, შეერთებული შტატების წილი უცხოეთის პირდაპირი ინვესტიციების საერთო ჯამში შემცირდა 55-დან 44%-მდე, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის წილი გაიზარდა - შესაბამისად 37-დან 44 % და 1%-დან 10%-მდე. მნიშვნელოვანი ცვლილებებია, პირდაპირი ინვესტიციების მიმართულებებშიც. მეორე მსოფლიო ომამდე კაპიტალდაბანდებათა ძირითადი ნაწილი მოდიოდა ჩამორჩენილ ქვეყნებზე, მაშინ, როდესაც უკანასკნელ ხანებში ინვესტორთა მოზიდვას ცდილობენ განვითარებული ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნები. ეს აიხსნება ცვლილებებით ინვესტირების დარგობრივ სტრუქტურაში. ინვესტირება ახლა უკვე თავს იყრის გადამამუშავებელ მრეწველობაში - მეცნიერებატექნოლოგიურ

დარგებში. კაპიტალის იმპორტიორი ხდება აშშ, უკანასკნელ წლებში აქ პირდაპირი ინვესტიციების შემოსავალი ჭარბობს კიდევ მათ უკუდუნას.

პორტფელური ინვესტიციები არის იმ აქციების დაფინანსების ძირითადი წყარო, რომლებსაც უშვებს საწარმოები, მსხვილი კორპორაციები და კერძო ბანკები. ბოლო პერიოდში ამგვარი ინვესტიციების მოცულობა იზრდება, რაც მეტყველებს კერძო ინვესტორთა რიცხვის ზრდაზე. ხოლო შუამავლებად უცხოური პორტფელური ინვესტიციების განხორციელებისას გამოდის საინვესტიციო ბანკები (ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შუამავალი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ გრძელვადიან დაბანდებათა დაფინანსებას). ამ სახის ინვესტიციების მოძრაობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფასიანი ქაღალდებზე გაცემული პროცენტური განაკვეთების ნორმებში არსებული განსხვავება. მაგალითად, აშშ პროცენტური განაკვეთების მაღალმა ნორმამ მოიხიდა მრავალი უცხოელი ინვესტორი, განსაკუთრებით - იაპონელი. 80-იან წლებში მოხდა საერთაშორისო კრედიტების ზრდის აფეთქება, რამაც გამოიწვია მსოფლიო საკრედიტო-საფინანსო სფეროს შექმნა. სასესხო კაპიტალების საერთაშორისო ბაზარი განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით იზრდება და ამ სახსრების ძირითადი წვლილი მოდის ბანკებს შორის ოპერაციებზე.

თუ განვიხილავთ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს საქართველოსთან მიმართებაში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2012(პირველი კვარტალი) წლისათვის ასე გამოიყურებოდა: ნიდერლანდები-37%, აშშ-11% აზერბაიჯანი-10%, ლუქსემბურგი - 6%, გაერთიანებული სამეფო-6%. სექტორების მიხედვით კი ყველაზე დიდი ინვესტიცია იდება ენერჯეტიკაში-34% , ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა -27%, ფინანსური სექტორი-9%.

დღევანდელ მსოფლიოში კაპიტალის ბრუნვა საოცრად დიდ მასშტაბებს აღწევს. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს: ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარება და გავრცელება. ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება ჩავთვალოთ ტრანსნაციონალიზაცია, რომელიც უდავოდ წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას. ტრანსნაციონალიზაცია—კაპიტალის მოძრაობაა ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის, ამიტომ საკანძო ტერმინი ამ პრობლემაში ინვესტიციებია.

ტრანსნაციონალური მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კორპორაციები საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ძირითადი წარმმართველი და გლობალიზაციის მთავარი სუბიექტები არიან. ტნკ-ების საშუალებით ხორციელდება მსოფლიო ვაჭრობის 2/3 და ინვესტიციების 80%. მათი უცხოური ფილიალების წილი მსოფლიო მშპ-ს წარმოებაში 58%-ს შეადგენს, საგარეო ვაჭრობის 63%-ს, ახალ ტექნიკაზე, ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუზე პატენტების და ლიცენზიების დაახლოებით 4/5. ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დაახლოებით ნახევარი ხორციელდება შერწყმისა და შთანთქმის მეშვეობით უპირატესად განვითარებული ქვეყნების ფირმებს შორის. საინტერესოა, რომ აშშ ბოლო წლებში სულ პირველად იღებდა ამოხილული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის მიხედვით.

აზიური ქვეყნები „იპყრობენ“ ყველა განვითარებად ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის დაახლოებით 2/3-ს. იმავდროულად აფრიკული ქვეყნების უმრავლესობა, მიუხედავად მათი მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა, თითქმის არ იხიდავს უცხოურ კაპიტალს.

მსოფლიოს 100 ტნკ, რომლებსაც აქვთ უცხოური აქტივების უდიდესი მოცულობა, ასრულებს წამყვან როლს მსოფლიო წარმოებაში. ტნკ-ები დომინირებენ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში, ასევე, ფინანსურ სფეროში. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ტნკ-ები აფინანსებენ აქციონერული კაპიტალით, შიდაკორპორაციული სესხებითა და შემოსავლების რეინვესტირებით. აქციონერული კაპიტალი მათ შორის ყველაზე დიდი კომპონენტია. მსოფლიო მასშტაბით მისი წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალ ნაკადებში 2012წელს 62%-ს შეადგენდა, შიდაკორპორაციული სესხები – 14%-ს, ხოლო რეინვესტირებული შემოსავლები - 30%-ს. 100 უდიდეს ტნკ კომპანიას შორის 21 კომპანია აშშ-სია, 72-ის ბაზირების ქვეყნებია 5 ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

განვითარებადი ქვეყნებიდან 100 უდიდესი ტნკ-ის 3/4-ს განყოფილებები აქვთ ბრაზილიაში, 72%-ს მექსიკაში, 67%-ს ჰონ-კონგში და 65%-ს სინგაპურში. აფრიკის რეგიონში ამ მხრივ ლიდერობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მაროკო და ეგვიპტე. დსთ-ს სივრცეიდან - რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი. სულ უფრო აქტიურდება გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების როლი მსოფლიო ეკონომიკაში. ორტუნე-ის 500 კომპანიას შორის მათი რაოდენობა

1988 წელს იყო მხოლოდ 26 და 2013 წელს 61-მდე გაიზარდა. მათ შორის არიან რუსული Gazprom, ჩინური Mobile, ჩინური კორეული Samsung.

ტრანსნაციონალურ ბანკები ახორციელებენ დაკრედიტებას საერთაშორისო მასშტაბით და ხელს უწყობენ საერთაშორისო საფინანსო, საკრედიტო, საავალუტო, საავაჭრო, საანგარიშსწორებო და სხვა ურთიერთობების განვითარებას.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს 500 მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკი (ტნბ) აკონტროლებს დაახლოებით 35 ტრლ. აშშ დოლარის აქტივებს ანუ მსოფლიოს კომერციული ბანკების აქტივების 78%-ს (45 ტრლ. აშშ დოლარი), ხოლო 100 ტნბ – 44%-ს (20 ტრლ. აშშ დოლარი) ტნბ-ების დიდი ნაწილი, ისევე როგორც მთელი საბანკო კაპიტალი, თავმოყრილია განვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების ბანკების საერთო რაოდენობა აღემატება 25000, ხოლო მათი ფილიალების რაოდენობა ასეულათასს, რომელთა ძირითადი ნაწილი ფუნქციონირებს საზღვარგარეთ. ბოლო პერიოდში ტნბ-ებს არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, კერძოდ, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ფონდები მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ.

მსოფლიოს უდიდესი ფინანსური ტნკ-ების ათეული აქტივების მიხედვით, (მლნ აშშ \$):

1. **UUB**(შვეიცარია) 1 961 327;
2. **BarclaysPlc**(დიდიბრიტანეთი) 1 949 167 813;
3. **ParibasBNP** (საფრანგეთი) 1 898 186;
4. **Citigroup Inc**(აშშ) 1 884 318;
5. **HSBC HoldingsPlc** (დიდიბრიტანეთი) 1 857 520;
6. **Royal Bank Of Scotland Group Plc**(დიდიბრიტანეთი) 1 705 044;
7. **Credit AgricoleSA**(საფრანგეთი) 1 662 600;
8. **ING GroepNvholandia**(ჰოლანდია) 1 606 735;9.
9. **Mitsubishi UFJ Financial Group**(იაპონია) 1 585 767;
10. **Deutsche Bank Ag**(გერმანია) 1 480 984.

ტრანსეროვნული კაპიტალი ვერ გახდებოდა დამოუკიდებელი, მსოფლიო ეკონომიკის მოთამაშე, მისი მოთხოვნების მიმართ საკუთარი ადეკვატური ტრანსეროვნული საბანკო სისტემის შექმნის გარეშე. ეროვნული სახელმწიფოს მეურვეობის განგანთავისუფლებულმა და ფაქტობრივად მათი იურისდიქციიდან გამოსულმა ტრანსეროვნულმა კაპიტალმა ხანგრძლივი ეკონომიკური ევოლუციის პროცესში შექმნა ფინანსური ინსტიტუტები-ტრანსეროვნული ბანკები, რომლებიც ასრულებენ ყველა ძირითად ფინანსურ ფუნქციას, რაც აუცილებელია ტრანსეროვნული კორპორაციების მოძრაობის და საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

დღესდღეობით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი რეგიონი, სადაც კონცენტრირებულია საერთაშორისო ბანკები - აშშ, დასავლეთ ევროპა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. მძაფრი კონკურენტული ბრძოლის შედეგად საერთაშორისო ფინანსური ცენტრების როლი დაუმკვიდრდათ ისეთ ქალაქებს, როგორცაა ნიუ-იორკი, ლონდონი, ციურიხი, ტოკიო, ლუქსემბურგი, ჰონკონგი და სხვები. ფაქტობრივად დღეს არსებობს 13 ფინანსური ცენტრი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 1000 ფილიალისა და უცხოური ბანკების განყოფილებას, როგორც წესი ისინი მიეკუთვნება მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებს. ტრანსეროვნული ბანკები, რომლებიც ძირითადად ჩამოყალიბებულია მრეწველურად განვითარებული ქვეყნების უმსხვილესი კომერციული ბანკების ბაზაზე, ბატონობენ სასესხო კაპიტალების ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე. მძაფრი

კონკურენცია ბოლო წლებში გაიშალა ამერიკულ და ევროპულ ტრანსეროვნულ ბანკებს შორის. საბანკო სტრუქტურებს შორის დაიწყო შერწყმისა და შთანთქმის მძლავრი ტალღა.

თუგადავხედავთ Global-ის უმსხვილესი კომპანიების წლებანდელ სიას და მის სათავეში ბევრ ნაცნობ სახელსევიპოვით - როგორცაა: ExxonMobil, GeneralElectric, Apple, JPMorganChase, BerkshireHathaway. მაგრამ მსოფლიო მასშტაბის საკულტო ბრენდებს შორის აღმოაჩინეთ რამდენიმე კომპანიასაც, სიაში განსაცვიფრებლად მაღალი პოზიციები უკავიათ. ასეთებია: ჩინეთის ინდუსტრიული და კომერციული ბანკი (Industrial & Commercial Bank of China) 2,5 ტრილ \$. ღირებულების აქტივებით, ასევე ჩინეთის მშენებლობის ბანკი (China Construction Bank) და ჩინეთის ბანკი (Bank of China), თითოეული - 1,9 ტრილდოლარის აქტივებით.

2010 წელს ჩინეთის აგრარულმა ბანკმა (Agricultural Bank of China - პირველი კომერციული ბანკი, რომელიც 50-იან წლებში მოძედუნმა გლეხების დასახმარებლად დააარსა) პირველად ისტორიაში აქციების უმსხვილესი პირველადი საჯარო შეთავაზება განახორციელა, 22,1 მლრდდოლარი მიიღო და დაასრულა პროცესი, რომელმაც ჩინეთის ოთხი უმსხვილესი ბანკის აქციები მასშტაბური შეთავაზებების სიაში მოახვედრა. ეს საკმაოდ დამაჯერებელი განაცხადია მსოფლიო კაპიტალის ბაზრებზე ჩინური კაპიტალის დამკვიდრების შესახებ, მაგრამ სახელმწიფო ინარჩუნებს მკაცრ კონტროლს ჩინეთის უდიდეს ბანკებზე, რის გამოც უცხოური ინვესტიციების წილი უმნიშვნელოა. ჩინეთის განვითარების ბანკს (China Development Bank), სტრატეგიულ დაწესებულებას, დადებული აქვს რამდენიმე დიდი გარიგება აფრიკაში და გაცემული აქვს 10-მილიარდიანი სესხი ბრაზილიის სახელმწიფო ნავთობკომპანია etroleo Brasileiro-სათვის. თუმცა გაჩნდა იმის ნიშნები, რომ ჩინეთის დიდი კომერციული ბანკებიც ემზადებიან გლობალურ ბანკებად გარდაქმნისთვის. ICBC ხსნის და ყიდულობს ფილიალებს ნიუ-იორკიდან ნიდერლანდამდე, არგენტინაში Standard Bank-ის 600 მილიონი დოლარის აქტივები შეიძინა.

თუ განვიხილავთ ფინანსურ გლობალიზაციას საქართველოსთან მიმართებაში, დავინახავთ, რომ დღეს არაერთი ცნობილი უცხოური ბანკის ფილიალია გახსნილი, რაც დადებითად აისახება ამ სფეროს წინსვლაზე. საქსტატის მონაცემებით საქართველოში საბანკო შისტემა ერთერთი წარმატებული სფეროა. ფუნქციონირებს ადგილობრივი და უცხოური ბანკების შემდეგი ფილიალები:

1. **თურქული (HALYK BANK, ZiraatBank)**, ზირაატ ბანკი არის თურქეთის ყველაზე დიდი ბანკი რომელსაც მსოფლიოს 17 ქვეყანაში აქვს ფილიალები;
2. აზერბაიჯანული (**TheInternationalBankofAzerbaijan**) — აზერბაიჯანის ერთერთი მსხვილი ბანკია რომლის საზღვარგარეთული ფილიალები არის რუსეთსა და საქართველოში.
3. რუსული (**VTB - ვი-ტი-ბი ჯგუფი რუსული წარმოშობის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფია**, რომელიც მსოფლიოს სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა), საქართველოში ბანკის მთლიანი აქტივები 428 948 090 ლარს შეადგენს (2011 წ) ),
4. ყაზახური (**BTA**) — ყაზახეთში სიდიდით მეორე ბანკი რომლის საზღვარგარეთული ფილიალები განლაგებულია კიევში, მინსკში, თბილისში, შანხაიში.
5. გერმანული (**Procredit Bank**), — ემ-ბი-ჯი ბანკი - Commerzbank-ი. ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა დასავლეთის კომერციული ბანკი ხდება ქართული ბანკის აქციონერი.
6. ფრანგული (**Bank Republic – Societe General** - სოსიეტეჟენერალი (Société Générale; Euronext: GLE) — ევროპის ერთ-ერთი წამყვანი საფინანსო კომპანია, რომელსაც ასევე შეიღობილი კომპანიები ჰყავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამჟამად საქართველოში სოსიეტეჟენერალი ფლობს – 84.04%),

7. უკრაინული (**Privat Bank**) აქციათა 75 პროცენტის მფლობელი გახდა უკრაინის ერთერთი წამყვანი ბანკი სააქციო საზოგადოება „პრივატბანკი“.
8. ბრიტანული (**HSBC**) — მოქმედებს ევროპაში, აზიის, ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის (85 ქვეყანა).

ამჯერად ქართულ საბანკო ბაზარზე თურქეთის უმსხვილესი ბანკი „იშბენკი“ შემოდის. არსებული ცნობებით, საქართველოში შემოსვლისთვის ბანკს ყველა პროცედურა მოგვარებული აქვს. „იშბენკი“ ყველა რეიტინგის მიხედვით თურქეთის უმდიდრესი ბანკია, ბანკს ამ დროისთვის 1200-ზე მეტი ფილიალი აქვს თურქეთსა და მთელ მსოფლიოში. 2011 წელს გავლენიანმა ჟურნალმა „ბენქერმა“ „იშბენკი“ მსოფლიოში ყველაზე დიდ თურქულ ბანკად დაასახელა. რაც შეეხება ადგილობრივ ბანკებს ესენია:

1. საქართველოს ბანკი. იგი ერთერთ წარმატებულ ბანკად ითვლება, რადგან გაიხსნა მისი შვილობილი კომპანიები საზღვარგარეთ. კერძოდ, უნგრეთში, ბელარუსში („Belaruskyy Narodny Bank“-ის 70% „საქართველოს ბანკმა“ 2008 წლის მაისში შეიძინა, ხოლო 2010 წელს მისი წილი 99.96%-მდე გაზარდა.), ასევე ისრაელში და დიდ ბრიტანეთში. საქართველოს ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟის FTSE 250 უმსხვილეს კომპანიას შორის მოხვდა და მისი აქციები FTSE 250 ინდექსის ნაწილი გახდნენ.
2. „თი-ბი-სი ბანკი“ (რომელმაც ბანკი კონსტანტას აქციების 80% შეიძინა 2011 წელს),
3. ბანკი ქართუ;
4. ლიბერთი ბანკი;
5. პროგრეს ბანკი („პროგრეს ბანკის“ 78.21% არის საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის „კალა კაპიტალის“ საკუთრება).

ამრიგად, ფინანსურმა გლობალიზაციამ დადებითი გავლენა იქონია საქართველოს საბანკო და საფინანსო სფეროზე. შექმნა კონკურენტუნარიანი გარემო, სადაც ყველა ბანკი ორიენტირებულია კლიენტზე და ცდილობს სულ უფრო ინოვაციური და ახალი მომსახურება შესთავაზოს.

### **Georgia's Role into the global financial integration**

**Guguli Kurashvili**

GTU

Associate Professor

#### **Summary**

From the XX the capital scrams to the envolved and liberal countries, but in old times the tendency was different. The geografigal changes in exporting the capital is bonded on the changes of the branches, wich are recipients of the capital.

There are three main tipe of invest in worldwide practice in wich, the main investors are economically developed countries.

In nowadays universe the circulation of capital achives the huge scales. If we consider financial globalization in Georgia, we can see, that there are opened a lot of foreign banks here and it is reflecting positively on advencing this spere. The globalization has reflected on georgian banks and financial spere. Every bank is oriented on customers and is trying to offer them more inovative and new service.

## საქართველოს ტურიზმის მდგრადი განვითარება

ასმათ შამუგია

*თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი  
ასისტენტ პროფესორი*

21-ე საუკუნეში ზოგადად მდგრადი განვითარების პრინციპმა მნიშვნელოვნად შეცვალა დამოკიდებულება წინსვლის, კეთილდღეობის და სხვ. საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თუ გასულ წლებში ქვეყნის კეთილდღეობა განისაზღვრებოდა უპირატესად საერთო ეროვნული შემოსავლით ან შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე, თანამედროვე მიდგომა ამას არასაკმარისად მიიჩნევს. ეს მანქვნებლები უფრო ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორია, ვიდრე საზოგადოების განვითარების საერთო დონის. მასში არ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობა, გარემოს მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსების ხარჯვა, საზოგადოების სოციალური და ფსიქოლოგიური მანქვნებლები. ისტორიულად, ინდივიდებისა და ბუნების ურთიერთობა განიხილება როგორც ადამიანის მიერ საარსებო რესურსების გამოყენება მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. დღეს აღიარებულია ადამიანის ეკონომიკური ინტერესების უპირატესი მნიშვნელობა ბუნებრივ მოვლენებთან შედარებით; გარემო განიხილება როგორც საწყოები, საიდანაც შესაძლებელია ინდივიდისათვის აუცილებელი ყველა რესურსის უსაზღვრო გამოყენება. კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ასეთი მიდგომა პროგრესული იყო, რადგან ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ტექნოლოგიური ცვლილებების მიმდინარეობა და საარსებო პირობების გაუმჯობესება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პლანეტის თანამედროვე მდგომარეობა არის არა მხოლოდ რესურსების შეზღუდულობისა და ჭარბდასახლების, არამედ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შედეგი. განსხვავებამ მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის, ისევე, როგორც ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებაში ტურიზმისადმი ინტერესი დღითი დღე მატულობს. ტურიზმი თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგია და ამასთანავე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფის მაღალი პოტენციალის მქონე ინდუსტრიაა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდეგ მისი განვითარება ხელს უწყობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. საქმიანობის ისეთი სახე, როგორც ტურიზმი, მოგზაურობების ორგანიზაციისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიას მოიცავს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმე მთლიანად დამოკიდებულია მომხმარებელზე, სწორედ ამიტომ ტურიზმის მარკეტინგის მთავარი მიზანია ტურისტების საჭიროებების დაკმაყოფილება, რასაც ბუნებრივია თან ახლავს ტურისტული ორგანიზაციის შემოსავლების ზრდა.

ტურიზმის ინდუსტრიაში მიმდინარე ტენდენციების გამოკვეთისა და ტუროპერატორებისთვის სწორი რეკომენდაციების გაცემის აუცილებელი წინაპირობაა ტურისტული ბაზრის კვლევა და ანალიზი. ტურისტული ბაზრის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის კი სერიოზულ საფრთხეს ქმნის მწირი სტატისტიკური და მარკეტინგული მონაცემები. მხედველობაში გვაქვს მონაცემები მოსახლეობის მასობრივი აღწერის, მისი დემოგრაფიული და ფსიქოგრაფიული პროფილის შესახებ, ისევე, როგორც მომხმარებლის ქცევის ამსახველი მონაცემები.

ტურიზმის განვითარების დაგეგმვაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის მართვის სუბიექტის მოქმედებების ციკლური თანმიმდევრობა, რომელიც ორიენტირებულია დარგში არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე. მისი შინაარსია სიტუაციების ანალიზი, ალტერნატივების გენერაცია, გადაწყვეტილებების მიღება და მათი შესრულების ორგანიზაცია.

ტურიზმის ცნობილი სპეციალისტების (დ. უოკერი, ფ. კოტლერი, ჯ. საქსი, ე. ფორნერი, მ. ბირჟაკოვი, ვ. კვარტალნოვი, ა. ალექსანდროვა, ვ. ვოსკრესენსკი, ა. კუსკოვი და სხვ.) ნაშრომებში ჩამოყალიბებულია ძირითადი მიმართულებები საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციების შესახებ. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ზემოაღნიშნული ავტორების შეხედულებების მიმოხილვა მცირედი კორექტივებით და ჩვენი რეკომენდაციები საქართველოში მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტურიზმის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ ეს დარგი რამდენად სარგებლობს სახელმწიფო მხარდაჭერით.

ტურიზმის საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ იგი უნდა დაიგეგმოს სახელმწიფო ორგანოების მიერ, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლებისა და ტურიზმის ორგანიზაციების მიერ ინტეგრირებული და თანმიმდევრული საქმიანობის საფუძველზე. დღეს შეუძლებელია წარმატებების მიღწევა ტურიზმის ინდუსტრიაში ერთიანი ეროვნული მექანიზმის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს ტურიზმის პოლიტიკის კოორდინაციას საერთო სახელმწიფოებრივ და რეგიონულ დონეებზე.

ტურიზმის სახელმწიფო რეგულირება დაკავშირებულია აუცილებელ და საკმარის მოთხოვნასთან, რომელიც მთლიანად ასახავს საზოგადოების ინტერესებს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სიტყვა „ღვინო“ ქართული ენიდან მომდინარეობს. სწორედ საქართველოშია აღმოჩენილი ყურძნის თესლისა და მელვინეობის უძველესი ნაშთები. ამჟამად ქვეყანაში ვაზის 500-ზე მეტი ჯიშია გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიის 25% დაცულ ეროვნულ პარკებს უჭირავს, 40% კი ტყითაა დაფარული.

როგორც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი ტურისტული გზამკვლევები იუწყება, ომის შედეგად არსებობს ნაღმებისა და სხვადასხვა უხერხულობების რისკები. იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც თავიანთი მოქალაქეები ზემოაღნიშნული რისკების შესახებ გააფრთხილეს, არის ახალი ზელანდია, თუმცა ამ უკანასკნელს ტურისტებისთვის საქართველოში წასვლა არ აუკრძალავს.

ტურიზმის სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ დარგს საქართველოში. არსებობს მრავალი შესაძლებლობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად, დაწყებული საზღვაო კურორტებით გაგრძელებული მთის კურორტებით, სათხილამურო სპორტით, მინერალური წყლებით, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვ. სახის ტურიზმით. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირსშესანიშნაობებით. ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ნათელი მაგალითია აჭარის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო. ამ რეგიონში მოქმედებს ან გახსნის პროცესშია პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ბრენდის სასტუმრო. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს აჭარის რეგიონმა უმასპინძლა საქართველოში ჩამოსული ტურისტების 85%-ს. 2011 წელს საქართველოში ტურისტების რაოდენობამ შეადგინა 2 800 000. 2012 წლის პერიოდში კი 4 389 256 (56%-იანი ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით). 2013 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში საქართველოს ეწვია 1 292 593, რაც 32%-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2012 წლის სექტემბრის პუბლიკაციის **“World Tourism Barometer”** მიხედვით, რომელიც 2012 წლის იანვარ-სექტემბრის პირველად მონაცემებს ეფუძნება, აღნიშნულ პერიოდში საქართველო ტურისტების რიცხვის ზრდის მიხედვით (+54%) პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში [1,1].

აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ის ფაქტიც, რომ ტურიზმი არის დიდი იმედების მომცემი "მწვანე ბიზნესი" ქვეყანაში, თუმცა იგი ავტომატურად "მწვანე ბიზნესად" არ ითვლება. აღნიშნული დარგი ამად რომ გადაიქცეს, უაღრესად მნიშვნელოვანია მან შეძლოს ეკოლოგიური მოთხოვნების შესრულება. ტურიზმის სექტორის "გამწვანებას" საქართველოში ხელს უშლის არაადეკვატური ინფრასტრუქტურა, ოკუპირებული ტურისტული ზონები და, რაც ყველაზე მთავარია, შიდა სესხებზე დაბალი ხელმისაწვდომობა. საქართველოში ტურიზმის "გამწვანებას" უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ესენია: სასურველი და მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო; ვიზიტორების მრავალფეროვნება და სიმრავლე; უსაფრთხოების მაღალი ხარისხი და სხვ.

მიგვაჩნია, რომ ტურიზმის განვითარების მიზნით გასათვალისწინებელია შემდეგი პრობლემები:

1. **ტურისტული პროდუქტის შეზღუდული სპექტრი;**
2. **ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები:**
  - ტურისტების განთავსების საშუალებების ხარისხი;
  - ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების დაბალი ხარისხი;
  - ფასი/ხარისხის დაბალი კოეფიციენტი;
  - ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის ნაკლებობა;
  - ენობრივი ბარიერი;
  - უსაფრთხოების პრობლემები;
  - კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა;
  - რეგიონებში ტურისტების განთავსების საშუალებების არასაკმარისი და სეზონური სიმძლავრეები.
3. **ინვესტიციების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები**
  - ინფრასტრუქტურის ხარჯები;
  - ბიზნესის პროგნოზირების სირთულე;
  - საჭირო ინვესტიციების სოლიდური ოდენობა;
  - ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციების დიდი მოცულობის გამო მათი ამოგების ხანგრძლივი პროცესი;
  - გრძელვადიანი და შეღავათიანი სესხების არარსებობა.
4. **ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული პრობლემები**
  - მაღალი მარკეტინგული ხარჯები;
  - სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის და ლიცენზირების არარსებობა, რაც ხელს უშლის მომხმარებლების ინტერესების დაცვას;
  - ბაზრის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია;
  - კონკურენციის დაბალი დონე და არაჯანსაღი კონკურენცია;
  - ტურისტული პროდუქტის პოზიციონირების ("პოზიციონირება" გულისხმობს იმას, რომ მოცემული რეგიონი გამოყენებული სლოგანისა და თემის მეშვეობით სხვა რეგიონზე უკეთესად წარმოჩინდეს, აგრეთვე გამოჩნდეს ტურისტებისთვის თითოეული რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეები, ღირსშესანიშნაობები, სიცოცხლისუნარიანობა და მიმზიდველობა. "თემა", თავის მხრივ, დაკავშირებულია სლოგანთან. კახეთის რეგიონის მაგალითზე, თემა იქნება მევენახეობა-მეღვინეობა. აღნიშნულ თემაზე უნდა შედგეს ტურისტული და მარკეტინგული პროგრამები კონკრეტული ტურისტების მიზნობრივი ჯგუფებისთვის.) სტრატეგიის შერჩევა მოითხოვს რიგი ფაქტორების გათვალისწინებას. უპირველეს ყოვლისა უნდა გვეჩვენოს კარგი პოზიცია მომხმარებლის შეგნებაში რეალურად გამოშვებულ ტურისტულ პროდუქტზე;
    - ავირჩიოთ საკუთარი პოზიცია და იდენტიფიკაცია გავუკეთოთ ყველაზე სარწმუნო არგუმენტებს მისი დასაბუთებისათვის;
    - უნდა ვიცოდეთ კონკურენციული პროდუქციის პოზიციონირება;



- დავრწმუნდეთ იმაში, რომ პროდუქტი ფლობს სათანადო პოტენციალს, რათა მომხმარებლის შეგნებაში საჭირო პოზიციონირებას მიაღწიოს;
- უზრუნველყოს შეთანხმება არჩეულ პოზიციონირებასა და მარკეტინგის სხვა ელემენტებთან, როგორცაა ფასი, მოცულობა და კომუნიკაციები.

მიზნობრივ ბაზრებად საჭიროა მივიჩნიოთ ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ბრაზილია, რადგან მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით 2030 წლამდე აღნიშნული ქვეყნები იქნებიან ლიდერები და გენერატორები სხვა ქვეყნებთან შედარებით.

2005-2014 წლების მანძილზე ტურიზმის განვითარება და კონკრეტულად ტურისტული პროდუქტის პოზიციონირება საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად მიიჩნევა. სახელმწიფო სტრუქტურები აქტიურად უნდა მუშაობდნენ საქართველოს ტურისტულ სტრატეგიებზე. 2011 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და კომპანია CT-მ შეიმუშავეს საქართველოს ტურისტული ბრენდის პლატფორმა, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ქვეყნის სტრატეგიული პოზიციონირება. განისაზღვრა ის ძირითადი განაცხადი და ბრენდ შეტყობინება, რასაც საქართველო მიმზიდველად უნდა წარმოეჩინა უცხოელი ტურისტებისთვის.

როგორც ცნობილია, 1996 წელს ბრენდინგის სპეციალისტმა **საიმონ ანჰოლტმა** პირველმა გამოიყენა ტერმინი "ადგილის ბრენდინგი". 2010 წელს კი განხორციელდა თბილისის ბრენდინგი. ეს უკანასკნელი უნდა ემსახურებოდეს მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას სხვა ქალაქებთან მიმართებაში და, შესაბამისად, გარე ტურისტული ბაზრის თუნდაც უმნიშვნელო წილის მოპოვებას; გარდა ამისა, ის საჭიროა მიუთითებდეს ქალაქის უნიკალურობაზე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის მარკეტინგული პოზიციონირება შეიმუშავა **თომას გელმა** ამ დარგის სხვადასხვა პროფესიონალებთან ერთად.

უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აჭარაში მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვება, როგორც ერთ-ერთი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება, რომელიც დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. აღნიშნული სახის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი გააჩნია საქართველოსაც. თუმცა ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურა აქამდე არ არსებობდა.

შავი ზღვის სანაპირო მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800 000-ზე მეტი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება, რის გამოც ეს ადგილები მსოფლიოში ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების თვალსაზრისით მესამეა.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ფრინველებზე დაკვირვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სოფელ ჩაისუბანში არსებული შუამთა შეარჩია. შესაბამისი ადჭურვილობის შექმნისა და ინფრასტრუქტურის გამართვის მიზნით თანხა უკვე გამოყოფილია.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვება აჭარაში საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ამოქმედდება. იგულისხმება კვლევითი დაცვის პროექტი, რომელმაც „მსოფლიოში მტაცებელი ფრინველების გადაფრენის ერთ-ერთ ყველაზე ვიწრო და მრავალრიცხოვან დერეფანში, სადაც ყოველწლიურად 800 000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება, დაკვირვებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა უნდა დააფინანსოს.“ ამ პროექტის მიზანი ფრინველების ყოველწლიური მიგრაციის კვლევაა.

ჩვენი აზრით, შავი ზღვის სანაპიროს ამ მხრივ ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია, ამიტომ დეპარტამენტის ეს წამოწყება მისასალმებელია, რადგან შემოდის ძალიან ბევრი სახეობის ფრინველი, არსებობს ლოკალური სახეობებიც, რომლებიც გადაშენების პირასაა. პროექტს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ.

საერთაშორისო პროექტის ფარგლებში მოხალისეებმა 2008 წელს შავი ზღვის დერეფანში 806 679 მტაცებელი ფრინველი აღრიცხეს. ოფიციალური ინფორმაციით, რომელიც ამ პროექტის ვებგვერდზეა განთავსებული, შემოდგომაზე გადამფრენი ფრინველების ასეთი რაოდენობა სხვა არც ერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა.

2009 წელს 851 491 გადამფრენი ფრინველი აღრიცხა, რამაც საბოლოოდ დაადასტურა ზემოხსენებული დერეფნის მნიშვნელობა. ამჟამად RC-ის მიერ შავი ზღვის ზოლზე მტაცებელი ფრინველების 34 სახეობაა რეგისტრირებული. RC-ის მონაცემები მოიცავს ასევე შორ მანძილზე გადამფრენი მტაცებელი ფრინველების დიდ რაოდენობას, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპიდან, დასავლეთ კავკასიიდან და დასავლეთ რუსეთიდან მოფრინავენ, ესენი არიან კრაზანაჭამია, ძერა, მცირე მყივანი არწივი და ჩია არწივი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძერა და ჭაობის ძელქორი, მდელის ძელქორი და ველის ძელქორი. შავ ზღვაზე ამ სახეობების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, რაც კი ოდესმე რეგისტრირებულა ერთ სეზონზე გადამფრენისას. დაფიქსირებულ ფრინველებს შორის საერთაშორისო საფრთხის ქვეშ მყოფი გადამფრენი ფრინველებიც არიან.

საქართველოში ტურიზმის განვითარება მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტობრივად იგი მასშტაბურ ხასიათს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვ. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს აღერიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვ. მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათასს ადგილს შეადგენდა [1,1]. შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ ქვეყნის დიდ ტურისტულ პოტენციალზე, მაგრამ მათ მიღმა უნდა დავინახოთ ის ფაქტიც, რომ ტურიზმი, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, თავისი ფორმითა და შინაარსით წარსულს ჩაბარდა. ამასთანავე დაგვიტოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი.

ამჟამად საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. ქვეყანას გააჩნია უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. საქართველო დღეს აღიქმება როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა ყოველი მოგზაურისთვის თუ ტურისტისთვის. ქვეყნის მონახულების სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, როდესაც თბილისის მახლობლად, დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო გახდა პირველი ევროპელის სამშობლო.

ქვეყანაში 12 000 ისტორიული ძეგლი, 150 მუზეუმი და მრავალი საგანძურია, რომელიც დღითიდღე, თანდათანობით იზრდება. საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო თვისებებით, ამჟამად კი 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია, კურორტების ძირითადი ნაწილი ზღვის პირას და მთიან რეგიონებშია [1,1]. საქართველოს წარმომადგენლობა გადის ქვეყნის გარეთ, საიდანაც უფრო მეტი ინფორმაციის გავრცელება ხდება სახელმწიფოს შესახებ. ყოველივე ამის შედეგად საქართველოში გაიზრდება ტურისტების რაოდენობა. მაგალითად, 1998 წელს საქართველოს წარმომადგენლობის გახსნა მოხდა ისრაელში, თელ-ავივში. იმავე წელს თბილისში ჩატარდა "დიდი აბრეშუმის გზის" ტურიზმის მსოფლიო ფორუმი, 2003 წელს კი თბილისში განხორციელდა მეოთხე საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის გახსნა.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივით (EPI) საქმიანი ტურიზმი განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკაში პოტენციურად კონკურენციულ დარგად ტურიზმის სხვა მიმართულებებს შორის. ამჟამად ქვეყანაში უფრო მეტი ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებები იმართება, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. თბილისსა და ბათუმში სწრაფად ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, შენდება ახალი საერთაშორისო და მსოფლიო ქსელის სასტუმროები, რომლებიც ბიზნეს-ტურიზმის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს წარმატებული ღონისძიებებისა და შეხვედრების ჩასატარებლად მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობენ. ინოვაციური და შემოქმედებითი შეხვედრებისათვის, ასევე მაღალი დონის ტექნოლოგიებით აღჭურვილ დარბაზებს სთავაზობს მომხმარებელს შავი ზღვის, მაღალმთიანი კურორტებისა და კახეთის რეგიონის სასტუმროები.

2014 წელს დაგეგმილია საკონვენციო ბიუროს ჩამოყალიბება, რომელიც, თავის მხრივ, დიდ როლს ითამაშებს მსოფლიო ტურიზმის ბაზრებზე, საქართველოს, როგორც **MICE** ტურიზმისათვის (ტურიზმის ეს სახეობა ორიენტირებულია ორგანიზებულ კორპორაციულ და პროფესიულ ტურებზე. სიტყვა **"MICE"** აბრევიატურაა და იშიფრება, როგორც - შეხვედრები, წამახალისებელი ტურები, კონფერენციები და გამოფენები (**Meetings, Incentives, Conferences, Events**) განსაკუთრებულად საინტერესოდ ესტინაციის პოზიციონირებისთვის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სისტემური ხასიათისაა და არსებითად დამოკიდებულია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ფაქტორების გამოყენების ფორმაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თავისებურებებზე.

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურების სახეობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემების მიხედვით, 2012 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მსოფლიო შიდა პროდუქტში (2012 წლის ფასებში) 2.1 ტრილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. იმავე წელს მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორმა 101 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყო ხელი. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, WTTC-ს შეფასებით, აღნიშნული სექტორის წელიწადი 2012 წლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტის 9%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან, 5% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში (მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის გავლენა ეკონომიკაზე 2013 წელს, წლიური განახლება, WTTC).

როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, ტურიზმის სექტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსთვის, რომელიც, მსგავსად სხვა განვითარებადი ქვეყნებისა, ფიზიკური კაპიტალისა და ტექნიკური გამოცდილების ნაკლებობას განიცდის, მაგრამ დაჯილდოებულია ისტორიული ღირსშესანიშნაობებით, ორიგინალური ტრადიციებით, ხელუხლებელი ლანდშაფტებითა და სტუმართმოყვარე კულტურით. მართალია ტურიზმი ვერ გამოდგება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალად, მაგრამ მას საქართველოსნაირი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია. მაგალითად, ამ სექტორს ამჟამად დაბალკვალიფიციურ და დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ჭარბი მუშახელის უფრო ეფექტიანად დასაქმება შეუძლია.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობა მიზანმიმართულად ცდილობდა ტურიზმის სექტორის სტიმულირებას. წინამდებარე ნაშრომის მიზანიატურიზმის დარგთან დაკავშირებული სხვადასხვა განმარტებებისა და მაჩვენებლების მიმოხილვა და გასაგებ ენაზე ახსნა. ვინ არიან „ტურისტები“ და რა განასხვავებთ მათ „მოგზაურებისა“ და

„ვიზიტორებისგან“? წარმოადგენს თუ არა საზღვრის კვეთის სტატისტიკა ტურიზმის დინამიკის დამაჯერებელ მაჩვენებელს? თუ არა, რა დამატებითი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი და რა შეიძლება ვთქვათ ყოველივე ამაზე დაყრდნობით?

გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მეთოდოლოგიური გზამკვლევების მიხედვით, „მოგზაურობა“ გულისხმობს სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებს შორის გადაადგილებას ნებისმიერი მიზეზითა და ხანგრძლივობით. „ვიზიტორი“ ეს არის მოგზაური, რომელიც სტუმრობს მისი ყოველდღიური გარემოსგან (გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რომელშიც ადამიანი თავის ყოველდღიურ რუტინულ სამუშაოებს ახორციელებს) განსხვავებულ ადგილებს ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლივობით ნებისმიერი (სამუშაო, დასვენების ან სხვა პირადი) მიზნით. WTO ვიზიტორებს ჰყოფს ორ ჯგუფად: „ტურისტებად“ და „ექსკურსანტებად“. ტურისტებად ითვლებიან ვიზიტორების მხოლოდ ის ჯგუფი, რომლებიც ღამეს ათევეს მოგზაურობის ადგილზე; დანარჩენები კი „ექსკურსანტებად“ იწოდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიზიტორები წარმოადგენენ მოგზაურების, ხოლო ტურისტები – ვიზიტორების ქვეჯგუფს. ტერმინებს შორის არსებული ამ განსხვავებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტურიზმის სტატისტიკის გასაანალიზებლად.

ტურისტული სტატისტიკის შედგენა საქართველოში ორი მეთოდით წარმოებს. პირველი მათგანი ეფუძნება საზღვრის კვეთის მონაცემებს, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გროვდება. ამ მეთოდის მიხედვით, ტურისტი არის მოგზაური რომელიც კვეთს საქართველოს საზღვარს და რჩება ქვეყანაში 24 საათზე მეტი ხნის განმავლობაში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში №1 მოცემული მონაცემების ანალიზის მიხედვით აშკარაა, რომ საქართველოში 2011 და 2012 წლებში საერთაშორისო მოგზაურების ნაკადი ძალიან სწრაფად გაიზარდა. შემოსული ტურისტების რიცხვი კი, როგორც ჩანს, შედარებით დაბალი ტემპით იზრდებოდა, რამაც საერთაშორისო მოგზაურებში ტურისტების წილი 53%-დან (2010 წელი) 40%-მდე (2012 წელი) შეამცირა [1].

რაც შეეხება ზემოხსენებულ მეორე მეთოდს, იგი ემყარება WTO რეკომენდაციას და გამოიყენება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA) მიერ. ტურისტების რიცხოვნობა ამ შემთხვევაში გამოითვლება საერთაშორისო ტურიზმის გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. CT რეგულარულად ატარებს 15 წლის და უფროსი საერთაშორისო ვიზიტორების შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხვას ქვეყნის დატოვებისას GNTA-ის სპეციალისტების მიერ მომზადებული სპეციალური კითხვარის გამოყენებით. ინტერვიუები ხორციელდება საზღვრის კვეთის ნებისმიერი ტიპის (სახმელეთო, აეროპორტი, რკინიგზა და პორტი) შემთხვევაში. ზემოხსენებული კითხვარი საშუალებას იძლევა გამოვარჩიოთ „ვიზიტორები“ „მოგზაურებისგან“ და „ტურისტები“ „ვიზიტორებისგან“. შეკითხვაზე „გაათიეთ თუ არა ღამე საქართველოში უკანასკნელი მოგზაურობის დროს?“ დადებითი პასუხის შემთხვევაში საერთაშორისო ვიზიტორი კვალიფიცირდება ტურისტად. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, 2013 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში (იანვარი-სექტემბერი 2013) ტურისტების წილმა საერთაშორისო ვიზიტორებში 62.5% (2 536 853) შეადგინა.

ცხრილი №1 [1]

	2010	2011	2012
საერთაშორისო მოგზაურები	2,031,707	2,822,363 (ზრდა 38.92% -)	4,428,221 (ზრდა 56.90%-)
ტურისტები	1,076,810	1,326,511 (ზრდა 23.19%-)	1,771,288 (ზრდა 33.53%-)
ტურისტების წილი საერთაშორისო მოგზაურებში	53%	47%	40%

ამრიგად, არსებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რიცხვი ნამდვილად იზრდება. 2013 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24%-ით გაიზარდა, რაც წინა წლების პოზიტიურ ტენდენციას აგრძელებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის კვეთის მონაცემების მიხედვით, გაზრდილია ტურისტების რიცხვიც, თუმცა GNTA-ის ანალოგიური მაჩვენებლების არარსებობის გამო შსს-ს მონაცემების გადამოწმება შეუძლებელია [1,1]. ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ 2012 წელს MICE ტურიზმის წილმა ქვეყნის საერთაშორისო მოგზაურობებში 5,9% შეადგინა.

მაშასადამე, საქართველოში ტურიზმში განვითარებადი ინოვაციების განხორციელება ვერ მოხერხდება თუ არ შეიცვლება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მიდგომები როგორც ქვეყნის განვითარების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. სახელმწიფოს მთავრობის მიერ პრიორიტეტული რეგიონების მიმართ უფრო მეტი დაინტერესების შემთხვევაში, ასეთ რეგიონებს საინვესტიციო სტრატეგიის ფორმირებისათვის ინოვაციური ტურისტული პროდუქტების შექმნაზე ორიენტირებული მდგრადი ეკონომიკური განვითარების მოდელის დანერგვის საშუალება მიეცემათ, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი, სტრატეგიული და გააზრებული გეგმის არარსებობა, ცხადია, მეტისმეტად ართულებს ინოვაციური ტურისტული პროდუქტების განხორციელების სისტემურობას. ინოვაციური მიდგომები საქართველოში უნდა განიხილებოდეს გლობალურ, ეროვნულ, რეგიონულ, დარგობრივ და ლოკალურ (ორგანიზაციულ) დონეებზე. რეგიონის მოსახლეობისთვის, ვფიქრობთ, აუცილებელია საგანმანათლებლო და სააგიტაციო ტრენინგების ჩატარება და მოსახლეობის მხრიდან ტურისტების მიმართ სწორი სტრატეგიის შემუშავება. კვალიფიციური კადრების შერჩევა და მომზადება (უმაღლესი დაწესებულებები, სასწავლო ცენტრები და სხვ.); საინტერესო და მიმზიდველი რეკლამა, რათა მოხდეს რეგიონის დადებითი იმიჯის შექმნა; საჭიროა განხორციელდეს სახელმწიფოს მხარდაჭერა რეგიონული ტურისტული სისტემების ჩამოყალიბებაში, ასევე აუცილებელია ხელი შეეწყოს ტურისტული ინოვაციური წინადადებების, ტურპროდუქტის კონკურენტუნარიანობისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების ხარისხის ამაღლებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. <http://www.gnta.ge>

## SUSTAINABLE DEVELOPMENT OF TOURISM IN GEORGIA

**Asmat Shamugia**  
Tbilisi International University  
Assistant Professor

### Summary

This scientific article explores that Sustainable development of tourism is a continuous process of changing, which includes resource exploitation, investment implementation, technological progress and other innovations implemented in accordance to the future and current requirements. Sustainable development of tourism depends on a legal framework of Georgia as well and accordingly it requires development and improvement of legislation in order to support tourism development. The main norms regulating tourism services are stipulated in the Civic Code of Georgian. It protects the rights of the tourists and the responsibility of tourist companies.

**მოსახლეობის დაბერების პროცესის კვლევის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი**

**მზია შელია**  
*დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი*

მოსახლეობის დაბერება გლობალური პროცესია. მისი ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას. ამიტომ დემოეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოსახლეობის დაბერების დონის განსაზღვრისა და დემოგრაფიული დაბერების პროცესის დინამიკის შეფასების საკითხი დღემდე აქტიური განსჯის საგანია.

ქრონოლოგიური სიბერის საწყისი ასაკი ისტორიულად სხვადასხვა იყო (ცხრილი 1). მაგალითად, ციცერონი (ძვ. წთ. 106-43 წწ.) წერდა, რომ წინაპრების შეხედულებით, 46 წელი სიბერის საწყის ასაკია.<sup>116</sup> ავიცენა ამ ასაკად 50 - 60 წელს მიიჩნევდა, ძველი ჩინელი მეცნიერები – 70 წელს, XI საუკუნის ცნობილი ქართველი ექიმი ქანანელი თავის ტრაქტატში „უსწორო კარაბადინი“, 52 წელს მიუთითებს. თითქმის იგივეს იმეორებს XV საუკუნის ცნობილი ექიმი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი (54 წელი): „და შემდგომად ორმოცდათოთხმეტისა წლისა თელგმისა ბუნებასა შევარდების, ვირე სიკუდილამდის.“ ვ. ჰიუგო „სიბერის ახალგაზრდობას“ უწოდებდა 40-45 წლებს, ხოლო ბალზაკისათვის 30 წლის ქალიც კი დაბერებულია.

**ცხრილი 1. აღმზიანის სიბერის საწყისი ასაკი**

ციცერონი	ბგელი ჩინელი	ბითაგორა	ფარი	ჰობოკრატი	ფლოურანსი	რუბენი	აშოფი	ბოუჯი	როსლაკი	ურლანსი	ქანანელი	ფანასკერტელ-	მსოფლიო ჯანდაცვის
46	70	60	60	56	70	50	45	65	60	60	52	54	75

<sup>116</sup>მარკუს ტულიუს ციცერონი. სიტყვები და დიალოგები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2013. გვ.211

ადამიანის სიცოცხლის პერიოდიზაცია, ასაკობრივი საფეხურების შესაბამისად ადამიანის განვითარების პროცესის ასახვა აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული მეტად აქტიური თემაა მხატვრობაშიც. (ტიციანი - „დროის ალეგორია“ „ადამიანის სამი ასაკი“ (XVII), იგივე სათაურის ტილო ჟერარდ ფრანსუა ბარონისა (XVIII), უცნობი ავტორი – „მამაკაცთა ასაკები“ (მანუსკრიპტი, XVს.), დავით ფრიდრიხი – „სიცოცხლის ასაკები“ (XVIს), ჰანს ბალდუინგი – „სიცოცხლისა და სიკვდილის სამი ასაკი“ (XVIს), გუსტავ კლიმტი - „ქალის სამი ასაკი“ (XXს), ჟ. ბარბარელი (კასტელფრანკო) – „მამაკაცის სამი ასაკი“ (XVს), ჟ. ვალენტინი – „ოთხი ასაკის მამაკაცი“ (XVIIIს), ჟ. გრეზის – „სამი ასაკი“ (XVIIIს), ფ. ჟეორჟინი – „ასაკობრივი საფეხურები“ (XIXს. გრავიურა), ა. ბოლინიერი – „სიცოცხლის სამი ასაკი“ (1842) და ა.შ.<sup>117</sup>

1962 წელს ჩატარებულმა გერონტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმმა სიბერის ქრონოლოგიურ ასაკის დასაწყისად 60 წელი მიიჩნია, რადგან იმდროინდელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამ ასაკში სიბერის ყველა ნიშანი უკვე იჩენს თავს.

შემდგომდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში დემოგრაფიული სიბერის შესაფასებლად სწორედ ეს ასაკია გამოყენებული. უფრო შემდგომ კი ჩნდება დემოგრაფიული სიბერის შეფასების ჟ. ბოჟე-გარნიეს (ფრანგი მკვლევარი) სკალა, რომელიც განავითარა პოლონელმა მეცნიერმა ე. როსეტმა. იგი დღეს ბოჟე-გარნიე-როსეტის სკალის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ სკალის მიხედვით, მოსახლეობა ითვლება დემოგრაფიულად დაბერებულად, თუ 60 წლისა და უფროსი ადამიანების წილი მთელ მოსახლეობაში 12 % და მეტია.

ფართოდ გამოიყენება, აგრეთვე, გაეროს მიერ შემოთავაზებული სკალაც, რომლის მიხედვით, სიბერის საწყისად მიჩნეულია 65 წლის ასაკი, ხოლო დემოგრაფიული სიბერის ზღურბლად 7%. გაეროს დემოგრაფთა აზრით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის განხილვისას ასეთი მიდგომა უფრო რაციონალურია.

ამჟამად ორივე სკალა თანაბრად გამოიყენება პრაქტიკაში. თუმცა იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილად დავახასიათოთ მოსახლეობის დაბერების პროცესი, მხოლოდ ეს სკალები საკმარისი არ არის. ამიტომ გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლებიც:

**- სიბერის კოეფიციენტი.**

აღნიშნული კოეფიციენტები გვიჩვენებენ 60 ან 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილს მთელ მოსახლეობაში. მაგალითად, 2013 წლისათვის საქართველოში სიბერის კოეფიციენტი 19%-ია, ე.ი. ამჟამად, საქართველოში თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი 60 წელსაა გადაცილებული.

ამ მაჩვენებლით განისაზღვრება **დემოგრაფიული სიბერის დონე**. მაგრამ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ **დემოგრაფიული დაბერების ინტენსივობა**, ხარისხი მოცემულ ქვეყანაში (რეგიონში), გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლებიც:

- **0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის (ბავშვთა) წილი მთელ მოსახლეობაში;**

- **მედიანური ასაკი**. იგი მოსახლეობას ჰყოფს ორ თანაბარ ნაწილად: მედიანურ ასაკზე უფროს და მედიანურ ასაკზე უმცროს მოსახლეობად. მაგალითად, ცნობილია, რომ 2010 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 36,7 წელია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარი 36,7 წელსაა გადაცილებული.

- **დღეგრძელობის კოეფიციენტი**, რომელიც გვიჩვენებს 80 ან 90 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილს 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში;

- **სიბერის ფემინიზაციის ინდექსი**. ის გვიჩვენებს ქალთა წილს 80+ მოსახლეობაში, ან რამდენი ქალი მოდის ყოველ 100 მამაკაცზე 80+ მოსახლეობაში.

- **დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები**. - იგი გვიჩვენებს ბავშვებითა და მოხუცებით (მომხმარებელი მოსახლეობით) მწარმოებელი მოსახლეობის დატვირთვას.

<sup>117</sup>იხ. უფრო დაწვრილებით: John Richardson. Les ages de la vie dans la peinture du monde entier. Fleur Art Serie. 1990.

ბოლო დროს საერთაშორისო სტატისტიკურ კრებულებში ფართოდ გამოიყენება ე.წ. **სიბერის ინდექსი**, რომელიც გვიჩვენებს ყოველ 100 ბავშვზე (0-14წ) რამდენი 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანი მოდის.

ცნობილი ფრანგი დემოგრაფი ალფრედ სოვი სიბერის ინდექსის გაანგარიშებისათვის იღებდა 0-19 და 60+ ასაკობრივ ჯგუფებს. მისი ინდექსი **სოვის ინდექსის** სახელწოდებითაა ცნობილი<sup>118</sup>.

დინამიკაში სიბერის კოეფიციენტით მოსახლეობის დაბერების ანალიზის მართებულობა მეცნიერთა მიერ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში(მაგალითად, მ. ბედნი, 1979)იქნა საკამათოდ მიჩნეული. მათი აზრით, არ შეიძლება, დღევანდელი 60 თუ 65 წლის ადამიანი შევადაროთ XIX საუკუნის იგივე ასაკის ადამიანს მისი განსხვავებული ფსიქოფიზიოლოგიური თუ კულტურული განვითარების გამო. ეს საკითხი დღესაც აქტიურად განიხილება. მაგალითად, მეცნიერები ფიქრობენ, რომ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის გამო სიბერის ასაკმა გადაიწია და, შესაძლოა, განსხვავებული იყოს ამა თუ იმ ქვეყნისათვის მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამო. მაგალითად, ცნობილი მკვლევარი პატრის ბურდელე ფიქრობს, რომ საფრანგეთისათვის ეს ასაკი 72 წელია<sup>119</sup>. რატომ მაინცდამაინც 72 წელი? ამის განსაზღვრისათვის მან გამოიყენა ე.წ. **ეკვივალენტური ასაკი**, სინთეზური მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება დარჩენილი სიცოცხლის 10 წლის მიხედვით<sup>120</sup>. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის სიბერის ასაკი შეიძლება იყოს 65, 68 და ა.შ. მიჩნეულია, რომ ეკვივალენტურ ასაკში უკეთაა ასახული მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე და, შესაბამისად, მოსახლეობის დაბერების პროცესიც. „დარჩენილი სიცოცხლის 10 წლის“ სიბერის ზღვრად აღების შემთხვევაში, მეცნიერთა გაანგარიშებით, მოხუცთა წილი მოსახლეობაში არც ისე მკვეთრად იცვლება, როგორც ეს ჩანს 60+ ან 65+ მოსახლეობის წილის ცვლილებით. ამასთან, მათი გაანგარიშებით აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 25 წელი იყო, ახალდაბადებულთა კოჰორტის მხოლოდ 15% აღწევდა 60 წელს. ამ ასაკში მყოფთ საშუალოდ შეიძლება კიდევ 10 წელი ეცოცხლად.

აქედან გამომდინარე, იმ ქვეყანაში, სადაც მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 80 წელია ახალდაბადებულთა 90%-მა შეიძლება მიაღწიოს დიდ ასაკს<sup>121</sup>. სიბერის საწყის ასაკად კი შეიძლება მივიჩნიოთ 75 წელი.

პ. ლასლეტი გვთავაზობს მოსახლეობის სიბერის დონე 70 წელს მიღწეულ ადამიანთა 25 წლამდე პირებთან თანაფარდობით გამოვთვალოთ. მან ე. წ. „მესამე ასაკი“ 70 წლამდე გადასწია და გამოყო „მეოთხე ასაკი“(80+ ან 85+)<sup>122</sup>.

1990-იანი წლების შუახანებში ფრანგი მეცნიერები ჟერარ კალოტი და ჟან კლოდ შესნე შევედეთის მოსახლეობის მაგალითზე დემოგრაფიული სიბერის განსაზღვრის შედარებით განსხვავებულ ხერხს გვთავაზობენ. კერძოდ, მიუთითებენ, რომ 1950 წლის პირველი იანვრისათვის 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა 14,8% იყო, 1980 წლის პირველი იანვრისათვის - 21,75%. 1950 წელს ასაკს, რომლის ზევით მოსახლეობის წილი 21,75%-ია შეესაბამებოდა – 53,6 წელი, ხოლო 1980 წელს ასაკს, რომლის ზევით მოსახლეობის წილი 14,5% იყო, შეესაბამებოდა 66,3 წელი. გაანგარიშებიდან: 60-53,6=6,4 და 66,3-60=6,3 მკვლევრები ასკვნიან, რომ შევედეთის მოსახლეობა 1950-1980 წლებში დაბერებულა 6 წლით. ისინი მიუთითებენ, რომ დემოგრაფიული სიბერის ასეთი განსაზღვრა შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი მოსახლეობისათვის, ნებისმიერი

<sup>118</sup> А.Сови. Общаятеориянаселения. Т.1.Москва.1977.

<sup>119</sup> Patrice Bourdelais. L'âge de la vieillesse. Edition Odile Jacob. 1993.p.221-231.

<sup>120</sup> ეს მაჩვენებელი მეცნიერებაში 1975 წელს შემოიტანა დემოგრაფმა, სოციოლოგმა ნორმან რაიდერმა (პრინსტონის უნივერსიტეტი), რომელიც ოჯახის საკითხებზე მუშაობდა.

<sup>121</sup> Démographie:analyse et synthèse. Population et société.INED.v.VI.2004. p.118

<sup>122</sup> Laslett Peter. A fresh map of life. The emergence of the third age.Londres,Weidenfeld,Nicolson, 1989,p.213.



ასაკისათვის. მათ მიაჩნიათ, რომ დემოგრაფიული სიბერის გაზომვის ეს ხერხი საინტერესოა იმიტომაც, რომ ერთი უნივერსალური მაჩვენებლით შესაძლებელია ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის დიფერენცირებული(სქესის, პერიოდის, ქვეყნის და ა.შ.) აღწერა ე.წ. **ეკვივალენტობის** პრინციპით.<sup>123</sup>

მაშასადამე, თუ ნორმან რაიდერი ეკვივალენტად მიიჩნევდა დარჩენილი სიცოცხლის 10 წლის შესაბამის ასაკს, უფრო კალოტი და უან კლოდ შესნე, ეკვივალენტად გვთავაზობენ 60 წლისა და უფროს ასაკს გადაცილებულთა წილს. იგივე პრინციპს ეფუძნება ვ. სანდერსენისა და ს. შჩერბოვის გათვლებიც, მხოლოდ მათ ეკვივალენტად აღებული აქვთ მედიანური ასაკი. ფრანგი მეცნიერის პოლ პაიას განმარტებით, იმის გათვალისწინებით თუ რა ფაქტორი განსაზღვრავს მოსახლეობის დაბერებას, ის შეიძლება მიმდინარეობდეს „ქვემოდან“ ან „ზემოდან“<sup>124</sup>. როცა დაბერებას განსაზღვრავს შობადობის შემცირება, მაშინ ადგილი აქვს დაბერებას „ქვემოდან“, ხოლო როცა მას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა განაპირობებს – დაბერებას „ზემოდან“. ვ. სანდერსენისა და ს. შჩერბოვი თვლიან, რომ ორივე ფაქტორის ზემოქმედების ფონზე მოსახლეობის დაბერების ანალიზისათვის, ეკვივალენტობის პრინციპის საფუძველზე, მიზანშეწონილია მედიანური ასაკის გამოყენება. მათ შემოიტანეს ახალი მაჩვენებელი, ე.წ. პოტენციური მედიანური ასაკი<sup>125</sup>. ამ მაჩვენებლის დახმარებით ს. ვასინის მიერ ამ ქვეყნის მაგალითზე ნაჩვენები იქნა, რომ 2004 წლისათვის რუსეთის მოსახლეობა პოტენციურად უფრო დაბერებულია(პოტენციური მედიანური ასაკი – 51 წელი), ვიდრე ეს ამ დროისთვის არსებული მედიანური ასაკით (34 წელი) ჩანდა<sup>126</sup>.

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობის დღემდე არსებული აღრიცხვა, შესაბამისად, მოკვდაობის არსებული ცხრილები, ჯერჯერობით, ამ მაჩვენებლის სრულად გამოყენების საშუალებას ვერ იძლევა. თუმცა, ვეცადეთ, რომ კალოტისა და შესნეს მეთოდით გვეჩვენებინა საქართველოს მოსახლეობის დაბერების ინტენსიურობა.

(ცხრილი2).

**ცხრილი 2. საქართველოს მოსახლეობის დაბერების ინტენსიურობის დინამიკა 1959-2002 წწ.**

60+ ასაკის მოსახლეობის წილის შესაბამისი ასაკი	(60+)=11,0%	(60+)=14,4%	(60+)=18,5%
წელი			
1959	60	56,5	51,6
1989	63,5	60	56
2002	67,5	64,7	60

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 8 წლით დაბერდა. ამასთან, შევნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოს მოსახლეობა პოსტსაჭოთა პერიოდში, უფრო მეტად დაბერდა

<sup>123</sup> Calot G. et Chesnais Jean-Claude(1997).Le Vieillessement démographique dans l' union européenne à l' horizon 2050.Travaux et Recherches de Prospective - n°6. p.7.

<sup>124</sup>Pol Paillat. Vieillessement et vieillesse. Presses Universitaires de France.Paris.1982.

<sup>125</sup>Sanderson W. and SherbovS. "Average remaining lifetimes can increase as human populations age", 2005, Nature.c. 811-813.

<sup>126</sup>Новая концепция возраста:ретроспективный и потенциальный возраст. <http://demoscope.ru/weekly/2008/0317/tema05.php>

(4,5 წელი), ვიდრე იქამდელი ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე (3,5 წელი), რაც მეტად საგულისხმო ფაქტია.

მაშასადამე, მოსახლეობის დაბერების აჩქარება პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა. გ. კალოტისა და ჟ. შესნეს მეთოდით ე.წ. ეკვივალენტობის პრინციპის საფუძველზე მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლების გაანგარიშებამ საშუალება მოგვცა გვეჩვენებინა, რომ ამ პროცესს განვითარების ისეთი მაღალი ტემპი, როგორც 90-იან წლებში შეინიშნებოდა, ადრე არ ჰქონია.

ამ პერიოდში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ძირითადი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი და ამით გამოწვეული ემიგრაციაა, რამაც საქართველოშიჩამოაყალიბა დემოეკონომიკური განვითარების მეტად სპეციფიკური პროცესი.

### **Some Methodological Issues in the Study of Population Aging Process**

**Mzia Shelia**

Institute of Demography and Sociology

#### **Summary**

Acceleration of population aging along with depopulation and intensive emigration is the most important trend in demographic development of post-Soviet Georgia. In the work, by the method of G. Kalots and J. Chesnais, on the basis of so called equivalence principle and on the basis of computing population aging indicators it is shown that such a high rate of the development of population aging as it was observed in the 90s, had not previously been reported.

In this period, the main factor of population aging was the country's economic and political crisis and emigration caused by this factor. That, in turn, created extremely specific process of demo-economic development.

**საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკური შესწავლა  
(ავსახეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონში მცხოვრები  
ქართველების მაგალითზე)**

**ზამირა შონია**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასისტენტ პროფესორი*

**მაია გიორგობიანი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასისტენტ პროფესორი*

საზოგადოებრივი აზრი-ეს არის ხერხი, საშუალება, საზოგადოებრივი ცნობიერების გამოვლენის, მსჯელობის, რეკომენდაციის მოთხოვნის გზით.

სტატისტიკაში საზოგადოებრივი აზრის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოპოვებულ იქნას სხვადასხვა სახის სტატისტიკური დაკვირვებით: შერჩევითი, ინტერვიუს, ანკეტური გამოკითხვის, თეორიული კონფერენციის გზით, დოკუმენტების (წერილობითი წყაროების, სატელევიზიო გადაცემების, ფილმების, ფოტოგადაღებების და ა.შ.) გაანალიზებით. საზოგადოებრივი აზრის თაობაზე მონაცემთა მოპოვების მეთოდთა უმატესობა გამოკითხვის ფორმისაა.

გამოკითხვას აქვს უდიდესი შესაძლებლობა, თუმცა მათი ოპერირებისას რიგი შეზღუდვების გათვალისწინება აუცილებლობითაა გამოწვეული. მაგალითად, გამოკითხვის ერთ-ერთ ნაკლად მიჩნეულია ის, რომ ცალკეულმა რესპოდენტმა შეიძლება სხვანაირად გაიგოს დასმული კითხვა. ერთი და იგივე ფორმის კითხვები სხვადასხვა კატეგორიის რესპოდენტთათვის შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი იყოს. თითოეული კატეგორიის რესპოდენტისთვის სხვადასხვა კითხვარის შედგენა ფიზიკურად შეუძლებელია და გარდა ამისა უაზრობაცაა, რადგანაც ვერ შევადარებდით მიღებულ პასუხებს.

მოსახლეობის მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა სახალხო მსჯელობის გზით საყოველთაო მნიშვნელობის მწვავე სადაო საკითხებზე, სამეურნეო, სამმართველო პრობლემაზე წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრს. ის ეფექტური იარაღია სოციალური პოლიტიკის გატარებისა, მართვისა სოციალური კონტროლისა. საზოგადოებრივი აზრი შეიძლება აღმოცენდეს სტიქიურად-ცხოვრებისეული გამოცდილების კარნახით ან მიზანშეწონილად. ერთი რომელიც პოეტი წერდა, რამდენი ადამიანია, იმდენი აზრიაო, დიახაც ასეა, ამიტომ ერთიანი საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვეთად აუცილებელია ხალხის უმეტესი ნაწილის, უმრავლესობის აზრი და არა ჯგუფის, არა კოლექტივისა. საზოგადოებრივ აზრს ახასიათებს შემფასებლური ბუნება. ის ეხება სუბიექტების ინტერესს, მიზანსა და შეიცავს შეფასებას რაიმე პრობლემისა, რაზეც თავიანთ აზრს გამოთქვამენ რესპოდენტები. საზოგადოებრივ აზრს ახასიათებს დინამიურობა და კონკრეტულობა. ის შეიძლება იყოს სხვადასხვა ინტენსიურობის, დადებითი, უარყოფითი, ახლადამოცნებული და ობიექტური. რომელიც სწრაფად იცვლება ახლად აღმოცნებული ობიექტური და სუბიექტური პირობების საფუძველზე. საზოგადოებრივი აზრის გავრცელების მასშტაბები განისაზღვრება მისი ობიექტით და სუბიექტით.

საზოგადოებრივ აზრს აქვს პრაქტიკური მნიშვნელობაც. ეს იმაში გამოიხატება, რომ ასეთი აზრი იქმნება მაშინ როდესაც პრაქტიკულადაა საჭირო ამა თუ იმ საკითხის გადაჭრა. საზოგადოებრივი აზრის თავისებურებაა ისიც რომ მას ახასიათებს ინტენსიურობა და სხვა.

ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, რომ საზოგადოებრივი აზრის შესახებ ინფორმაცია მოპოვებული იქნა სტატისტიკური დაკვირვებით, დოკუმენტების შესწავლით, საზოგადოებრივი ატესტაციის მეთოდით, ანკეტური გამოკითხვით და ა.შ. შეფერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

დაკვირვება ესაა ყველაზე მასობრივი მეთოდი საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა. გამოიყენება დაკვირვების ნაირსახეობები, უფრო მეტად შერჩევითი. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ორგანიზაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს :

- დაკვირვების ორგანიზაციული გეგმის შედგენას;
- დაკვირვების პროგრამისა და მონაცემთა დამუშავების ხერხების შემუშავებას;
- დაკვირვების ჩატარებას;
- დაკვირვების მასალების დამუშავებას;
- მონაცემთა ანალიზს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას შერჩევითი დაკვირვების ხერხებიდან გამოვიყენეთ საკუთრივ შემთხვევითი შერჩევა და მექანიკური შერჩევა. საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევისას დაკვირვების ობიექტად გვევლინება სოციალური ჯგუფები, ცალკეული რეგიონის მაცხოვრებლები, შრომითი კოლექტივები და ა.შ

დაკვირვების ერთეულია პიროვნება, მისი აზრი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენის შესახებ.

გამოკვლევის ანკეტისადმი წაყენებულია შემდეგი მოთხოვნები:

– ანკეტის დასაწყისში საჭიროა მოკლე მიმართვა რესპოდენტისადმი. (მასში მოკლედ უნდა იყოს მოცემული გამოკითხვის მიზანი, ამოცანები, ანკეტის შევსების წესი, ანკეტის დაბრუნების წესი);

– ანკეტის შედგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ მის შევსებაში დაიხარჯოს 30-40 წუთი ;

– რთული საკითხები რომლებიც სპეციალურ გააზრებას მოითხოვს უნდა მოთავსდეს ანკეტის შუა ადგილას:

– უნდა იქნეს შევსებული ანკეტის სამისამართო ნაწილი;

– ცალკე უნდა იყოს მოთავსებული ჯგუფი საკითხებისა, რომლებიც ავლენენ გამოსაკითხის აზრს მოცემულ საკითხზე;

– ანკეტის ძირითად ნაწილში საკითხები ისე უნდა განვალაგოთ, რომ იწყებოდეს მარტივით და ამასთანავე საინტერესოთი;

– ანკეტაში ძალიან ხშირად შეაქვთ „შეკითხვები ფილტრები“, რომლითაც ვლინდება რესპოდენტების კომპეტენტურობა მოცემულ საკითხზე და სხვა.

ჩვენ გამოვიყენეთ 200 რესპოდენტზე ანკეტირების მეთოდი, ხოლო 650 რესპოდენტზე გამოკითხვის სახეობიდან ინტერვიუს მეთოდი.

ჩვენი დაკვირვების ობიექტი იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობა, კერძოდ გალის რაიონის.

ქართველ-აფხაზთა საომარი კონფლიქტის დაწყებამდე გალის რაიონში გაერთიანებული იყო 26 სასოფლო საბჭო და მოსახლეობა შეადგენდა 95 ათას კაცს. საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ ნაწილი გალის რაიონის სოფლებისა გადანაწილებული იქნა ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებზე, ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობის გარეშე.

2012 წლის მონაცემებით რაიონში ამჟამად შედის 18 სასოფლო საბჭო და ცხოვრობს 43 ათასი ქართველი.

ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ფორმალისებული ინტერვიუს–გამოკითხვა, რომელიც წარმოებდა წინასწარი შედგენილი კითხვარებით. რაც შეეხება საზოგადოებრივი აზრის შესახებ სოციალურ–სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების ანალიზს, ის როგორც წესი წარმოებს სტატისტიკური მეცნიერების ნაცადი მეთოდების საშუალებით, როგორცაა დაჯგუფების, ტიპოლოგიის, თავმოყრის, ცხრილების, აბსოლიტური და შეფარდებითი სიდიდეების, საშუალო სიდიდეების ნაირსახეობების – ხარისხოვანი და სტრუქტურული საშუალების – მოდის, მედიანის, ვარიაციის მაჩვენებლების, დინამიკური მწკრივების სახეობების, კორელაციის და სხვა საშუალებით.

ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის მიერ 2002 წლის ივლის-აგვისტოში აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი კითხვარი.

საზოგადოებრივი აზრის შესახებ გამოკითხვამ მოიცვა მნიშვნელოვანი საკითხები:

- 1) საინფორმაციო საშუალებების მიერ აფხაზეთის მოვლენების შესახებ გავრცელებული ინფორმაციისადმი დამოკიდებულება, სანდოობა;
- 2) საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების მშვიდობიან და ძალისმიერ მეთოდებს შორის არჩევანი;
- 3) კონფლიქტის ზონაში რუსეთისა და სხვა სამშვიდობო ძალების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი;
- 4) დეფაქტო პრეზიდენტის არჩევნებში ქართველების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი;
- 5) რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების საკითხი;
- 6) აფხაზეთის სტატუსის მოდელის შესახებ საკითხი;

7) აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად შუამავლის მიზანშეწონილობის საკითხი.

**საინფორმაციო საშუალებების მიერ აფხაზეთის მოვლენების შესახებ გავრცელებული ინფორმაციისადმი დამოკიდებულება, სანდოობა**

ცხრილი .1.

№	საინფორმაციო საშუალებების მიერ აფხაზეთის მოვლენების შესახებ გავრცელებული ინფორმაციისადმი დამოკიდებულება, სანდოობა	%
1.	საინფორმაციო საშუალებებს ენდობა და აკმაყოფილებს	11.5
2.	საერთოდ არ უყურებს	5.5
3.	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	7.0
4.	არ აკმაყოფილებს	68.5
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	7.5

პირველ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ცხრილიდან ჩანს რესპოდენტთა 68,5% უკმაყოფილებას გამოთქვამს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ (ტელევიზია, პრესა) აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გამოკვლევით რესპოდენტები აფხაზეთის დაბრუნების გზების თაობაზე გარკვეული მოსაზრების არიან (იხ. ცხრილი 2).

**აფხაზეთის დაბრუნების გზები**

ცხრილი 2

1.	მხოლოდ მშვიდობიანი გზა	40.0
2.	ერთად-ერთი მშვიდობიანი გზა	57.3
3.	ძალისმიერი მეთოდების გამოყენება	0.7
4.	მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება	0.5
5.	მიჭირს პასუხის გახემა	1.5

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი ქართველები მხოლოდ მშვიდობიან გზას მიიჩნევენ აფხაზეთის დაბრუნების საშუალებად. ისინი აღნიშნავენ, რომ სისხლი სისხლით არ განიბანება. ჩვენც ვეთანხმებით ამ სადად მოაზროვნე ხალხს. აფხაზეთში ბევრნი არიან ისეთნი, რომელთაც სჯერათ, რომ “სისხლი სისხლით არც განიბანილა და არც განიბანება”. ამიტომაც სურთ მდგომარეობის მშვიდობიანი გზით დარეგულირება.

92 წლის რესპოდენტმა ომისა და შრომის ვეტერანმა ლავრენტი ბერიძემ ინტერვიუ ასეთი სიტყვებით დაასრულა: ღმერთო! მომასწრე კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას და ჩვენი ძველებური, მეგობრული ცხოვრების აღდგენას! არ გამწირო და ისე არ გამიშვა სასუფეველში რომ არ ვიცოდე, როგორ ვტოვებ ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, ძმა-მეგობრებს.

**აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთისა და სხვა სამშვიდობო ძალების მიზანშეწონილობის საკითხზე დამოკიდებულების შესახებ %**

ცხრილი 3

1.	რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია	15.4
2.	რუსეთის სამშვიდობო ძალები უნდა ჩანაცვლდნენ აფხაზურ-ქართული ძალებით	51.9
3.	რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნა აუცილებელია	21.2
4.	მიჭირს პასუხის გაცემა	11.5

მოცემული ცხრილიდან ჩანს, მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომ რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით (51.9%) რუსეთის სამშვიდობო ძალები უნდა ჩანაცვლდნენ ქართულ-აფხაზური ძალებით. ისინი თვლიან რომ ქართველებს და აფხაზებს მათი ტრადიციებიდან გამომდინარე, შეუძლიათ, თანამშრომლობა, ერთმანეთთან კეთილი ურთიერთობა და ქვეყნის დაცვა.

ჩვენს მიერ დასმულ მე-4 საკითხთან დაკავშირებით რომელიც ეხება დეფაქტო პრეზიდენტის არჩევნების საკითხს, სადაც ქართველებს უარი უთხრეს არჩევნებში მონაწილეობაზე (იხ. ცხრილი 4).

**დეფაქტო პრეზიდენტის არჩევნებში არ მონაწილეობის მიმართ დამოკიდებულების შესახებ %**

ცხრილი 4

1.	მსურს არჩევნებში მონაწილეობა და ჩემი უფლებები დაირღვა	9.3
2.	არ მსურს არჩევნებში მონაწილეობა	78.0
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	12.7

მე - 4 საკითხთან დაკავშირებით მონაწილეობდა 500 რესპოდენტი, გალის რაიონში 26 ათას ქართველს აქვს აფხაზური პასპორტი, პრივატულ საუბარში მათ განაცხადეს, რომ ეს პასპორტი არის მათთვის უბრალოდ გადაადგილების საშუალება და თავიანთი ქონების დაცვა, რადგანაც ამ პასპორტის გარეშე ისინი თავიანთ სახლს ვერ გადაიფორმებენ. ჩხრილიდანაც ჩანს რომ 78%-ს არ სურს არჩევნებში მონაწილეობა და არალეგიტიმურად თვლის არჩევნებს რომელიც ჩატარდება 2014 წლის 25 აგვისტოს.

მე-5 საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში რა გადაწყვეტილებებს მიიღებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობა, რესპოდენტთა 21 %-მა უპასუხა რომ არ დატოვებს აფხაზეთს და თანახმაა მიიღოს რუსეთის მოქალაქეობა, 55% - მა განაცხადა რომ დატოვებს აფხაზეთის ტერიტორიას და არმიიღებს რუსეთის მოქალაქეობას, ხოლო 20 % - მა განაცხადა რომ ამაზე საუბარი ნაადრევი, ხოლო 4% -ს უჭირს პასუხის გაცემა.

რაც შეეხება მე-6 საკითხს აფხაზეთის სტატუსის მოდელის შესახებ საკითხს, გამოკითხულებს ასე წარმოუდგენიათ.

**აფხაზეთის სასურველი პოლიტიკური სტატუსი % ში**

ცხრილი 5

1.	დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით	0
2.	ავტონომიური რესპუბლიკის სახით, გაფართოებული უფლებებით, საქართველოს შემადგენლობაში	45
3.	ყოველგვარი ავტონომიის გარეშე საქართველოს შემადგენლობაში	52
4.	მიჭირს პასუხის გაცემა	3

როგორც ცხრილიდან ჩანს რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით (52%) აფხაზეთი ყოველგვარი ავტონომიის გარეშე საქართველოს შემადგენლობაში უნდა იყოს. ეს არის აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის აზრი(კერძოდ გალის რაიონში მცხოვრები ქართველები).

ბოლო მე-7 საკითხს რაც შეეხება აფხაზეთი კონფლიქტის მოსაგვარებლად შუამავლის მიზანშეწონილობის საკითხს, რესპოდენტთა უმრავლესობა 78.5% თვლის, რომ აფხაზებს და ქართველებს შეუძლიათ თვითონ მოაგვარონ ურთიერთობები მესამე მხარის ჩარევის გარეშე. ერთ-ერთმა რესპოდენტმა ამ კითხვას ასე უპასუხა: იშვიათად თუ მოიძებნება ანალოგი ორი ძირძველი ერის ასეთი ნათესაური, მეზობლური და მეგობრული დამოკიდებულების შესახებ, როგორც არსებობს აფხაზებსა და ქართველებს შორის. ჩვენც ვეთანხმებით ამ აზრს და ბოლოს გვინდა დავასრულოთ აფხაზი ცნობილი პოეტის დიმიტრი გულიას სიტყვებით: “ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთი მიწის ზედიზე გვიშენებია, ჩვენი კულტურა, ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო – ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი ერის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია, ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია.”

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რესპოდენტების 78%-ის აზრით ქართველები და აფხაზები ურთიერთობის აღდგენას შუამავლის გარეშე შეძლებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი აზრი სარკესავით ირეკლავს მოსახლეობის საქმიანობის შედეგებს, რაც გვიჩვენებს აქტუალური პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებს. მეცნიერულ-სტატისტიკურ კვლევაში ზოგჯერ არის შემთხვევები, მოცემული კატეგორიის სხვათი ჩანაცვლებისა, მაგრამ ეს როლი საზოგადოებრივ აზრთან მიმართებაში არც ერთ ფენომენს არ ხელეწიფება, ის შეუცვლელია. ამის ერთ-ერთი სარწმუნო მაგალითია თუნდაც საზოგადოებრივი აზრით ოპერირება, ისეთ საკითხებზე, როგორცაა აფხაზეთის დაბრუნების საკითხი, კონფლიქტის მოსაგვარებლად შუამავლის მიზანშეწონილობის საკითხი, აფხაზეთის სტატუსის სხვადასხვა მოდელის საკითხი და ა.შ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1) Турава М. И. Социальная статистика. Интеллект 2010
- 2) აფხაზეთის პრობლემა საზოგადოებრივი აზრის სარკეში. თბ.2002
- 3) ზ.შონია “საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკა საზოგადოებრივი ცნობიერების გამოვლენის მძლავრი იარაღი.” ჟ.ეკონომოკა 1–2; 2005.
- 4) Танчев. изучение и формирование овшественного мнения.М.Мысль. 1983

**STATISTICAL RESEARCH/STUDY OF PUBLIC OPINION**

(IN TERMS OF GEORGIANS RESIDING IN GALI REGION  
OF ABKHAZIAN OCCUPIED TERRITORIES)

**ZAMIRA SHONIA**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Assistant Professor

**MAIA GIORGOBIANI**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Assistant Professor

**Summary**

The Paper studies the meaning and significance of public opinion, its estimating and ratable character, dynamism, concreteness, intensity, etc. In addition there are studied those traditional and non-traditional methods that are utilized during the statistical research/study. Specifically, are used such tried-out-true methods of statistical science as bunching/clustering, typology, combination, table, absolute and relative values, variety of medium/average values – qualitative and structural potential – mode, median, variation indicators, shapes/forms of dynamic rows/lines, correlation, etc.

In the upshot of selective observation, the Paper scrutinized Gali Region inhabitants' opinion on the following issues:

- Attitude towards the information widespread in mass media
- Choice between peaceful and forcible/violent methods of incorporation of Abkhazia into Georgia
- Expedience of inclusion of mediator/conciliator for the conflict settlement
- Different models of the status of Abkhazia in course of its incorporation in Georgia
- Attitudes of Georgians living on the territory Abkhazia in case of referendum, etc.

**საქართველოში უმაღლესი განათლების მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი და მისი  
გავლენა დასაქმებაზე**

**ლია ჩარეკიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მოწვეული ასოცირებული პროფესორი,  
„საქსტატის“ განყოფილების უფროსი

**შესავალი**

განათლება ადამიანის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს მის როლს ცხოვრების გზაზე. მაგრამ მნიშვნელოვანია არა უბრალოდ განათლების მიღება, არამედ ხარისხიანი განათლება, რომელიც დასაქმების წინაპირობაა.

განათლების სისტემაში ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია განათლების ხარისხი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც სტატისტიკურად არ არის შესწავლილი.



ცივილიზაციის მაღალი დონის შესაბამისად, განათლებაზე მოთხოვნა განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა, რამაც განაპირობა ის, რომ ადამიანებში მკვიდრდება ახალი სახის აზროვნება და ესაა თანამედროვე ხარისხიანი განათლების დაუფლება. თავის მხრივ, განათლების სისტემის მუდმივი ცვლილებები განაპირობებს, გლობალიზაციის გაღრმავების შესაბამისად, განახლებული სასწავლო პროგრამების შეთავაზება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როცა მოსალოდნელია შესაბამისი კაპიტალდაბანდების და ინვესტიციების გამოყენების მაღალი ეფექტიანობის გამოვლენა, ანუ კურსდამთავრებულთა დასაქმება მიღებული პროფესიის შესაბამისად, მისი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია.

მნიშვნელოვანია ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გავლენის შესწავლა და მისი წილის განსაზღვრა საქართველოს ცოდნის ეკონომიკაში. ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება პირდაპირ თუ ირიბად განსაზღვრავს ეკონომიკის ზრდას. ეს კი იმით იზომება, თუ რამდენი იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტიდან და როგორია ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში განათლებაზე. ქვეყანა მით უფრო წარმატებული ხდება, რაც უფრო მეტს ხარჯავს აღნიშნულ სფეროზე, რომლის საბოლოო შედეგი კურსდამთავრებულთა დასაქმებაა.

### 1. საქართველოს უმაღლესი განათლების სტატისტიკური ანალიზი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი შეუწყო მრავალი კერძო, ფასიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებას, თუმცა დროთა განმავლობაში ეს პროცესები დარეგულირდა კანონმდებლობით და 2013–2014 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 19 სახელმწიფო და 47 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

ამჯერად შემცირებულია კერძო უმაღლესი დაწესებულებების ხვედრითი წილი.

საქართველოში, ამ ტიპის დაწესებულებებზე მოდის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 29,3 %. 2000/2001 სასწავლო წელს საქართველოს სტატისტიკის ორგანოების მიერ აღრიცხული იყო 26 დამოუკიდებელი სახელმწიფო, 14 მათთან არსებული ფილიალი და 146 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 2000 წლის 1 ოქტომბრისათვის ლიცენზირებული იყო 301 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 2013/2014 წლებში კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რაოდენობა შემცირდა 68,2%-ით 2006/2007 წლებთან შედარებით.

სტუდენტთა რიცხოვნობამ, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2013–2014 სასწავლო წელს ბაკალავრიატის პროგრამებზე 73797 სტუდენტი შეადგინა, მაგისტრატურასა ან რეზიდენტურაზე 7572, და პროფესიულ პროგრამაზე 1881. იგივე მაჩვენებელმა კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგინა შესაბამისად 31012; 3264; 184 სტუდენტი.

2013/2014 წლებში ბაკალავრიატის პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხოვნობა გაიზარდა 4,2%-ით 2012/2013 წლებთან შედარებით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ყველაზე დიდი რიცხოვნობა დაფიქსირდა 2004/2005 წლებში, ყველაზე მცირე კი - 2008/2009 წლებში.

კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატში და დიპლომირებულ მედიკოსთა პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი 2013/2014 წლებში გაიზარდა 16,4%-ით 2012/2013 წლებთან შედარებით. პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულთა რიცხვი კი საგრძნობლად შემცირდა 2009/2010 წლებთან შედარებით და შეადგინა 88,3%.

2013/2014 წლებში პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება 1,8-ჯერ გაიზარდა 2012/2013 წლებთან შედარებით.

საქართველოში, კურსდამთავრებულთა რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირდა 2007/2008 წლებში. ყველაზე მცირე რაოდენობა კი ფიქსირდება სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში - 2009/2010 წლებში, კერძოში კი - 2012/2013 წლებში.

სადოქტორო პროგრამებიდან ყველაზე რეიტინგულ მიმართულებებს წარმოადგენს: სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის სფეროები, ხოლო ყველაზე ნაკლებად მოთხოვნადია - სოფლის მეურნეობა.

2013 წელს წინასწარი მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოყოფილმა ხარჯებმა შეადგინა მთლიანი ხარჯების 8.8 %, ნაცვლად 2007 წლის 7.5 %-ისა. აგრეთვე, 2013 წელს მშპ-ში განათლების ხვედრითი წილი (წინასწარი მონაცემებით), 3.1 %, ნაცვლად 2007 წლის 3.1 %-ისა.

ამასთან, საქართველოს მოსახლეობის მიერ განათლებაზე გაწეულმა საშუალოთვიურმა ხარჯებმა მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში 2013 წელს შეადგინა 4,0 %, ნაცვლად 2007 წლის 3.8 %-ისა.

## 2. დასაქმების ზოგადი სტატისტიკური ანალიზი

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ძირითადი ფუნქციაა წარმოებისა და მომსახურების სფეროების შესაბამისი ადამიანური რესურსებით დროული და ოპტიმალური უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური კმაყოფილება. შრომის ბაზრის ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური) და შრომის ბაზარზე მათი გადაკვეთით გარკვეულწილად ფოკუსირდება ქვეყანაში არსებული ვითარება<sup>127</sup>.

2013 წელს საქართველოში<sup>128</sup> უმუშევრობის დონე 2012 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 14.6 პროცენტი შეადგინა.

2013 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 66.2 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 1.2 პროცენტით, ხოლო აქტიურობის დონე 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. უმუშევრობის და აქტიურობის დონის შემცირებასთან ერთად დაფიქსირდა დასაქმების დონის უმნიშვნელო (0.2 პროცენტული პუნქტით) შემცირება. წინა წელთან შედარებით აქტიურობის და დასაქმების დონეების შემცირება განაპირობა ქალაქის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებლების შემცირებამ, რაც შეეხება სოფლის ტიპის დასახლებებს, მოსახლეობის აქტიურობის დონე უცვლელი დარჩა, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა.

ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. 2013 წელს 2012 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა როგორც დაქირავებით დასაქმებულთა, ასევე თვითდასაქმებულთა რაოდენობა, შესაბამისად 0.7 და 1.0 პროცენტით, რის შედეგადაც აღნიშნული თანაფარდობა პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.


უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. 2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონის თანაბარი კლება დაფიქსირდა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად 25.6 და 6.5 პროცენტი შეადგინა.

<sup>127</sup> საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს N199 დადგენილება, გვ. 5.

<sup>128</sup> საქსტატის ვებ-გვერდი ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge))

რაც შეეხება უმუშევრობის დონის მაჩვენებელს რეგიონულ ჭრილში, წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონის ზრდა მხოლოდ აჭარის ა.რ.-ში დაფიქსირდა (1.7 პროცენტული პუნქტი), თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია რეგიონებიდან, აღნიშნული მაჩვენებელი უცვლელი დარჩა, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში 3.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

**უმუშევრობის დონის ცვლილება რეგიონულ  
ჭრილში 2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში,  
პროცენტული პუნქტი**



*გრაფიკი 1*

\*დანარჩენი რეგიონები-სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.

წყარო: საქსტატი.

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სტრუქტურულ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ქალებში უმუშევრობის დონე შემცირდა 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში პირიქით 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 12.3 და 16.5 პროცენტი შეადგინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 43.2 და 22.7 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონე.

2013 წელს 2012 წელთან შედარებით აქტიური ქალების რაოდენობა შემცირდა 2.4 პროცენტით, ხოლო კაცების - 0.3 პროცენტით. რაც შეეხება აქტიურობის დონეს, ქალებში შემცირდა 0.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.9 პროცენტული პუნქტით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს კაცებში ეკონომიკური აქტიურობის დონემ პიკს მიაღწია (78.2%) ბოლო 15 წლის მანძილზე.


2013 წელს 2012 წელთან შედარებით ქალებში დასაქმების დონე 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და ყველაზე მაღალ ნიშნულს (49.8 პროცენტი) მიაღწია ბოლო 9 წლის განმავლობაში, ხოლო კაცებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 64.5 პროცენტი შეადგინა.

უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2013 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (43.0 პროცენტი). უმუშევრობის დონე შემცირებულია 35-39, 40-44, 45-49, 55-59 და 60-64 წლების ასაკობრივ ჯგუფებში. ამასთან, უმუშევრობის დონის ყველაზე დიდი ზრდა (6.1

პროცენტული პუნქტი) დაფიქსირდა 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო ყველაზე დიდი კლება (2.9 პროცენტული პუნქტი) - 55-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

გრაფიკი 2

უმუშევრობის დონის ცვლილება ასაკობრივ ჯგუფში 2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში, პროცენტული პუნქტი




წყარო: საქსტატი.

უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

უმუშევრობის დონე ქვეყნების მიხედვით ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

გრაფიკი 3

უმუშევრობის დონე ქვეყნების მიხედვით, 2013 წ., %



წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია საქართველოში დღეისათვის ძალიან მწირია. ამ დეფიციტს პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ არ ჩატარებულა სპეციალური კვლევა, რომელიც შეისწავლის მიღებულ განათლებასა და შესაბამისი პროფესიით დასაქმების მაჩვენებლებს. ბოლო მოსახლეობის აღწერა, რომელიც არის მნიშვნელოვანი წყარო მონაცემების მიღების, ჩატარდა 2002 წელს, ხოლო მომდევნო დაგეგმილია ა. წ. ნოემბერში.

კუსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ მონაცემების მოპოვება და გაგრძელება არ ხორციელდება არც ერთი უწყების მიერ და ეს კიდევ უფრო ართულებს შეფასებების გაკეთების შესაძლებლობებს.

### 3. საერთაშორისო ქვეყნების გამოცდილება

განვითარებული ქვეყნები, რა თქმა უნდა ასორციელებენ მონაცემების შესწავლას კურსდამთავრებულთა რაოდენობის და მათი დასაქმების მაჩვენებლების გაანალიზების მეშვეობით. ქვემოთ მოვიყვანთ ამის რამოდენიმე მაგალითს.<sup>129</sup>

გაერთიანებულ სამეფოში მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების კონტროლი სისტემატიურად ხორციელდება მრავალი წლის განმავლობაში და გულისხმობს, მაგალითად, უმაღლესი განათლების სისტემის კურსდამთავრებულთა გამოკითხვას - Destination of Leavers from HE survey (უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დასრულებიდან 6 თვის და 35 თვის შემდეგ), დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევას უმაღლესი განათლებისადმი - National Employer Skills survey and Employer Perspective Survey. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის შეგროვებაზე ოფიციალურად პასუხისმგებელია უმაღლესი განათლების სტატისტიკის სააგენტო(HESA), რადგან ბრიტანეთში სამუშაო ბაზარი მეტ-ნაკლებად ინდეფერენტულია აპლიკანტის სპეციალიზაციის მიმართ (ეს მახასიათებელი განასახვავებს დიდ ბრიტანეთს ევროპის ბევრი სხვა ქვეყნისგან, სადაც სწავლის მიმართულება უფრო მკაფიო კავშირშია სამუშაო ბაზართან), HESA-ს კვლევებში ერთმანეთისაგანაა გამიჯნული სწავლის მიმართულებასთან უშუალოდ დაკავშირებული კომპეტენციები და ზოგადი კომპეტენციები.

საფრანგეთში მოთხოვნა-მიწოდების კონტროლის ფუნქციას ასორციელებს კვალიფიკაციების კვლევის ცენტრი Centre d'études et de recherches sur les qualifications (CEREQ), რომელიც სახელმწიფო და რეგიონალურ დეპარტამენტებს მიაწოდებს ინფორმაციას დასაქმების ტენდენციების შესახებ ყველა დონისა და ყველა ტიპის პროგრამისათვის. ცენტრის ანგარიშები უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ ანგარიშებით, მაგალითად, ინტენსიურად სარგებლობს ეროვნული შეფასების სააგენტო საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციისათვის AERES, the national evaluation agency for accrediting university programmes.

შვედეთში უმაღლესი განათლების ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის შესახებ. წლიური ანგარიშები რეგულარულად იბეჭდება 2003 წლის შემდეგ და შეიცავს ინფორმაციას დასაქმებულ კურსდამთავრებულთა წილის შესახებ (სწავლის დასრულებიდან 12-18 თვის შემდეგ). მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია სამუშაო ბაზრის ტენდენციების დეტალური აღწერა და კურსდამთავრებულთა კლასიფიკაცია ოთხ კატეგორიაში დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით. ამგვარი კლასიფიკაცია

<sup>129</sup>ბრეგვაძე თამარ, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013, გვ. 18

შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთს შევადართო სხვადასხვა უნივერსიტეტები და პროგრამები.

ფინეთში ოფიციალური სტატისტიკა მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის შესახებ გროვდება განათლების სამინისტროს, სტატისტიკის სააგენტოსა და კერძო კომპანიების მიერ. რეგიონების დონეზე სტატისტიკას აგროვებენ რეგიონალური დეპარტამენტები. სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენება პოლიტიკის რეგიონალური ქსელების მიერ, რომლებშიც ჩართულნი არიან რეგიონის მმართველობის წარმომადგენლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დამსაქმებელთა ასოციაციები და დიდი ბიზნეს კომპანიები.

აუცილებელია საქართველოშიც გადაიდგას ნაბიჯები ამ მიმართულებით და შემუშავდეს მონაცემთა ბანკი-დასაქმების რეესტრი, სადაც თავმოყრილი იქნება კურსდამთავრებულთა შესახებ მონაცემები.

### დასკვნა

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის შესაბამისად საქსტატმა სხვა უწყებებთან ერთად უნდა განახორციელოს:

- ✓ სამუშაო ძალის მიწოდების სტატისტიკური კვლევის მეთოდური და ორგანიზაციული მომზადება; სამუშაო ძალის მიწოდების მონაცემთა ბაზის პარამეტრების შემუშავება;
- ✓ დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვის მეთოდის სრულყოფა;
- ✓ ხელფასების სტატისტიკური კვლევის მეთოდის სრულყოფა;
- ✓ სამუშაო ძალაზე დანახარჯების სტატისტიკური კვლევის მეთოდის სრულყოფა
- ✓ „დასაქმების სტანდარტული ეროვნული კლასიფიკატორის“ შემუშავება (Iშნ -88-ის ბაზაზე);
- ✓ შრომის ბაზარზე მოსალოდნელი ტენდენციების პროგნოზირების მეთოდის შემუშავება;
- ✓ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კვლევის ინსტიტუციონალიზაციის მეთოდური და ორგანიზაციული მომზადება; სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მონაცემთა ბაზის პარამეტრების შემუშავება;
- ✓ სამუშაო ძალის მიწოდების სტატისტიკური კვლევის მეთოდური და ორგანიზაციული მომზადება; სამუშაო ძალის მიწოდების მონაცემთა ბაზის პარამეტრების შემუშავება.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე წლის ბოლოსთვის, გარკვეული მეთოდოლოგიური წინსვლა უნდა იყოს განხორციელებული.

ჩემი კვლევა გაგრძელდება იმ მიმართებით, რომ დავადგინო, მიღწეული განათლება როგორ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ანუ გამოვიკვლიო ფუნქციონალური განათლება, ამ მისიის შესრულება იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, ჩემი მთავარი გამოწვევაა. ამ მიმართულებით დაგეგმილი მაქვს შემდეგი კონკრეტული საკითხების სტატისტიკური კვლევა:

- ✓ ცალკეული პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების (მუშაობის დაწყების) ხვედრი წილი;
- ✓ კურსდამთავრებულთა მიერ მუშაობის დაწყება მიღებული პროფესიის მიხედვით;
- ✓ ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან და სხვ.

დღეისათვის შეუძლებელია რაიმეს თქმა საქართველოში როგორია კურსდამთავრებულთა აქტიურობის დონე პროფესიული დასაქმების სფეროში. მაგრამ ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის რეალიზაციის შედეგად, შესაძლებელი გახდება მომდევნო ნაბიჯები გადაიდგას სპეციალიზებული კვლევის ჩატარებისთვის და შესაბამისი შეფასებების გაკეთებისთვის. ეს კი საშუალებას მომცემს განვახორციელო ჩემი კვლევითი

პროექტი, გაგაანალიზო უმაღლესი განათლების როლი კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბრეგვაძე თამარ, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013
2. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, საქართველოს მთავრობის 2013 წ. 2 აგვისტოს №199 დადგენილება
3. „საქსტატის“ ვებგვერდი ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge))
4. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, (თბილისი 2013)
5. ჩარეკიშვილი ლ., უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი საქართველოში, თსუ „ეკონომიკა და ბიზნესი“ 3, გვ. 123-142
6. ჩარეკიშვილი ლ., მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის საკითხები თანამედროვე საქართველოში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ. 17 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში”. გვ. 131-135
7. UNECE Statistical Database ([www.unece.org](http://www.unece.org))

### **Statistical Analysis of Condition of Higher Education in Georgia and its influence on Employment**

**Lia Charekishvili**

Associate Professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Head of Sub Division of GeoStat

#### **Summary**

Education for Human Development is one of the most important factors that will determine its role on the road of the life. But it is important not just to get an education, but also the quality of this education, which is a prerequisite for employment.

Statistical data of higher education system and employment in Georgia is analyzed.

Reviewed is the situation of employment of the graduates in the developed countries. Unfortunately there is no data about employment of graduates of Georgia by occupations.

### **გლობალიზაციის პროცესები და თანამედროვე კრიზისის სპეციფიკა**

**მალხაზ ჩიქობავა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი*

XX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XXI საუკუნის დასაწყისში ფინანსური კრიზისები გახშირდა. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში ის უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე განვითარებულში. ასე მაგალითად, XX საუკუნის 90-იან წლებში სავალუტო კრიზისებს ადგილი ჰქონდა 60-ზე მეტ ქვეყანაში, საიდანაც ორი მესამედი განვითარებადი

ბაზრის ქვეყანა იყო (იხ. Ломакин 2005: 175; აგრეთვე Кобяков, Хазин 2003). მაგრამ, XXI საუკუნის დასაწყისში ძლიერი რყევები სწორედ აშშ-ში მოხდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალი კომპანიების, ე.წ. „დოტ-კომ ბუბბლე“, „I.თ. ბუბბლე“, ანუ, ინტერნეტ-კომპანიების ფინანსური საპნის ბუშტები 2000-2001 წლებში (იხ. Кобяков, Хазин 2003). აღნიშნული კრიზისის მიმდინარეობისას ტრილიონობით დოლარი აორთქლდა, თუმცა მასშტაბური ეკონომიკური კრიზისი მას არ მოჰყოლია.

საბირჟო კრიზისები, რომლებიც უკავშირდება საფონდო ინდექსების მკვეთრ ვარდნას, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაუფასურებას, რასაც ხშირად უმსხვილესი ფინანსური დაწესებულებების გაკოტრება მოსდევს, ფინანსური, სავალუტო და სხვა კრიზისების მსგავსად, ყოველთვის როდი იწვევს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნის პროვოცირებას. თუმცა, ციკლური ეკონომიკური კრიზისები, რომელთა ისტორია თითქმის 200 წლისაა, გვიჩვენებს, რომ საბირჟო კრიზისები ძალიან ხშირად წინ უსწრებს მათ და ეკონომიკური კრიზისების ნაწილად გვევლინება. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მსოფლიო კრიზისი სულაც არ არის გამონაკლისი.

როგორც ცნობილია, 2007 წლის ბოლოსათვის აშშ-ში მოქალაქეთა მნიშვნელოვან რაოდენობას იპოთეკურ კრედიტებზე ფიქსირებული პროცენტების გადახდის პრობლემები შეექმნა, რაც აშშ-ის ეკონომიკაში საერთო პრობლემების ზრდასთან ერთად განპირობებული იყო ენერგომატარებლებზე, ნედლეულსა და სურსათზე ფასების ზრდით. მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლები ვერ ასწრებდა ფასების საყოველთაო ზრდას. საცხოვრებელი სახლები იაფდებოდა, ხოლო მათზე მოთხოვნა ეცემოდა, ბანკები ვერ ახერხებდნენ მათ მიერ გაცემული სესხების გაუნაღებლობითა და ფასების ვარდნით გამოწვეული ზარალის დაფარვას. 2008 წლის ივნისის დასაწყისში თითქმის ოთხი მილიონი საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ღირებულება ტრილიონ დოლარს აღწარებდა, გაუყიდავი დარჩა. აშშ-ის იპოთეკური ბაზარი უზარმაზარია, ის უტოლდებოდა 12 ტრილიონ დოლარს, საიდანაც ორი წამყვანი ფედერალური ფინანსური კორპორაცია „ანნიე აე“ და „რედდიე აც“ ფლობდა აშშ-ის იპოთეკური ბაზრის დაახლოებით ნახევარს. ორივე შეიქმნა აშშ-ის მთავრობის მიერ, პირველი 1938 წელს, მეორე კი – 1970 წელს, დაბალშემოსავლიანი ოჯახების მიერ საცხოვრებელი სახლების ყიდვის დაკრედიტების მიზნით (იხ. МедведевР., МедведевЖ. 2009). როდესაც ისინი ბანკროტობის ზღვარზე აღმოჩნდნენ, 2008 წლის სექტემბრის დასაწყისში აშშ-ის ფედერალური მთავრობა იძულებული გახდა მოეხდინა ორივე ბანკის ნაციონალიზაცია.

ამერიკის მთავრობა რომ დახმარებოდა მომდევნო „დაავადებულ“ ფინანსურ გიგანტს – ბანკს „ეჰმან როტჰერს“, რომელსაც 150 წლიანი ისტორია ჰქონდა, შესაძლოა კრიზისით გამოწვეული ზარალი ნაკლები ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკის მთავრობა ჯერ კიდევ არ იყო მზად იმისათვის, რათა დახმარებოდა ყველას. კერძო ბანკი „ეჰმან როტჰერს“, რომლის მთლიანი აქტივები დაახლოებით 300 მლრდ დოლარს შეადგენდა, აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მსხვილ ბანკროტად იქცა. ამის შემდეგ დაიწყო საბირჟო კოტირებების მკვეთრი ვარდნა. დამფრთხალი მთავრობა, რომელიც ცდილობდა თავიდან აეცილებინა საბირჟო ინდექსების სრული ვარდნა და პანიკა, გაკოტრების ზღვარზე მისული გიგანტური სადაზღვევო კომპანიის, მსოფლიოში ფინანსური რისკების დაზღვევის სფეროში ყველაზე დიდი სუბიექტის, „მერიცან ინტერნაციონალ როუპ – (I)“-ის ფაქტობრივ ნაციონალიზაციაზე წავიდა. 2008 წლის ნოემბერში აშშ-ის მთავრობის მიერ გადარჩენილ იქნა ამერიკის ყველაზე მსხვილი ბანკი „ჩიტიგროუპ“, რომელსაც იმდროისათვის 107 ქვეყანაში ჰქონდა თავისი ფილიალი და 2,2 ტრილიონი დოლარის ღირებულების ფონდებს აკონტროლებდა (იხ. МедведевР., МедведевЖ. 2009). ეჭვგარეშეა, რომ ამ და სხვა ქმედებამ, კერძოდ, უოლ-სტრიტზე არსებული სხვა საინვესტიციო ბანკების ფაქტობრივმა ნაციონალიზაციამ, გარკვეულწილად აღკვეთა მოსალოდნელი უმძიმესი შედეგები, თუმცა კრიზისის შეჩერება ვეღარ შეძლო. კრიზისი



იპყრობდა სულ უფრო ახალ ქვეყნებს, საბირჟო ვარდნა კატასტროფულად ამცირებდა კურსებს, აკოტრებდა კორპორაციებს, აუფასურებდა ვალუტებს და ბანკოტობის წინაშე აყენებდა მთელ რიგ ქვეყნებს. მალე დაიწყო ეკონომიკური ზრდის შენელება, წარმოების ვარდნა (აშშ-ში 2008 წლის მე-4 კვარტალში თოქმის 6%-ით შემცირდა წარმოება), მასობრივი დათხოვნები სამსახურებიდან, სამრეწველო საწარმოთა დახურვა. ფინანსური კრიზისი ეკონომიკურში გადაიზარდა.

მიუხედავად ცალკეული ანალიტიკოსებისა და პოლიტიკური ლიდერების ოპტიმიზმისა, გლობალური კრიზისი დღესაც გრძელდება. იმის შესახებ, თუ საბოლოოდ რა მასშტაბებს მიაღწევს, რამდენად ძლიერი იქნება რეცესია და როდის დაიწყება ახალი აღმავლობა, ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნები, არამედ მთელი მსოფლიო რამდენიმე წლით უკან დაიხვეს. ყოველ შემთხვევაში, დიდი დეპრესიის პერიოდში ზოგიერთი ქვეყნის მთლიანი გამოშვების მოცულობა 1913 წლის დონეზე დაბლა აღმოჩნდა, მაგალითად, აშშ-ში მრავალი მაჩვენებელი 1905-1906 წლების დონეს გაუტოლდა. ნებისმიერ ეკონომიკურ კრიზისს ახასიათებს საერთო სისტემურ-სტრუქტურული თვისება, რომელიც დაკავშირებულია სისტემის კომპონენტებს შორის ოპტიმალური პროპორციების რღვევასთან. თანამედროვე კრიზისსა და წარსულ კრიზისებს, განსაკუთრებით დიდ დეპრესიას შორის არსებობს არცთუ მცირე, ზოგჯერ აშკარა დამთხვევა. ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები მომენტი, რომელიც ააშკარავებს ასეთი კატაკლიზმების მექანიზმს, ისაა, რომ 1929 წლის კრიზისის პირველადი მიზეზი ნიუ-იორკისა და სხვა ბირჟებზე საბირჟო სპეკულაციების მკვეთრი ზრდა იყო, რომელიც ძალიან გვაგონებს თანამედროვე ფინანსურ „საპნის ბუშტებს“. რადგანაც გლობალიზაცია საკმაოდ გვიან დაიწყო და 1920-1930-იანი წლების კრიზისიც აგრეთვე გლობალური იყო, ნიუ-იორკის ბირჟაზე კრახმა გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე. ის შეეხო ინდუსტრიულად განვითარებულ ყველა ქვეყანას (გარდა საბჭოთა კავშირისა) და მრავალ აგრარულ ქვეყანასაც კი, რომლებიც ჩართული იყვნენ მსოფლიო ბაზარში. მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ პერიოდში მრავალი რეგიონი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩებოდა წამყვან ქვეყნებს და მსოფლიო ეკონომიკაში არ იყო ინტეგრირებული, ამიტომ, მათზე კრიზისს თითქმის არ მოუხდენია გავლენა. ასეთი მსგავსება სოლიდურ საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რათა შევეცადოთ გავიგოთ, თუ რატომ დაიწყო ახლანდელი კრიზისი და როგორი იქნება მისი საბოლოო შედეგები. ამ ვარაუდებიდან ბევრი მეტ-ნაკლებად სიმართლესთან ახლოსაა, კერძოდ, რომ ის გამოწვეულია ეკონომიკური პროცესების ციკლური ხასიათიდან. მაგალითად, არსებობს საკმაოდ დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ 2008 წლის კრიზისი დაემთხვა ე.წ. ჟუგლარის ციკლის შედარებით მცირე, 7-11 წლიან ფაზას, რაც უკავშირდება ფასებისა და საკრედიტო განაკვეთების რყევებს და კონდრატიევის უფრო ხანგრძლივ 45-60 წლიან ეკონომიკური ციკლის ფაზას. მოცემული იდეა გამოითქვა მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომელიც მუშაობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროგრამის ფარგლებში „მსოფლიო ეკონომიკის დინამიკის სისტემური ანალიზი და მათემატიკური მოდელირება“ (ხელმძღვანელი ვ. ა. სადოვნიჩი, კოორდინატორები: ა. ა. აკაევი, ა. ვ. კოროტაევი, გ. გ. მალინეცკი). ეს ციკლი დაკავშირებულია შესაბამისად ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის ფაზებთან (ე.ი. დაღმავალ ფაზაში წარმოიქმნება ახალი იდეები, ხოლო მათი დანერგვა და კომერციალიზაცია აღმავლობის ფაზისათვის ქმნის პირობებს). ეკონომიკის ციკლურობა სავსებით გასაგები მოვლენაა: არც აღმავლობაა მუდმივი და არც რეცესია. მაგრამ რატომ მოხდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ციკლურობას არ გამოუწვევია ასეთი სერიოზული შედეგები? მართალია, ათწლეულების განმავლობაში მთავრობები ახერხებდნენ სულ უფრო დახვეწილი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამებით კრიზისების შედეგების შერბილებასა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები სულ უფრო რთული

და შემოსავლიანი ფინანსური ინსტრუმენტების, კერძოდ, ყბადაღებული დერივატივების სრულყოფასა და პოპულარიზაციას ეწეოდნენ.

მიუხედავად ამისა, რატომ იქცა მიმდინარე კრიზისი XX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ ყველაზე მასშტაბურ კრიზისად? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ ხერხები, რომლითაც შესაძლებელი იყო აქამდე ამგვარი მასშტაბის რყევებისგან თავის არიდება, ძველებურად ვეღარ მოქმედებენ. როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ძალიან მაღალი იყო რწმენა იმისა, რომ სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკით, მაგალითად, საკრედიტო განაკვეთების რეგულირებით შეიძლებოდა ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა. ალბათ, სწორედ ამიტომ არ მიექცა სათანადო ყურადღება 2007 წლის ბოლოსათვის არსებულ კრიზისულ შედეგებს, როგორც ადრე არ იქნა გამოტანილი სათანადო დასკვნები 1995-2001 წლების კრიზისებიდან, რომლებიც თავს დაატყდა მექსიკას, აღმოსავლეთ აზიას, რუსეთს, ბრაზილიას, არგენტინას და სხვა ქვეყნებს და რომლებიც უფრო მასშტაბური რყევების მაუწყებელი იყო. მაგრამ, ეს კრიზისები იყო იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი ჰქონდა ცუდ მართვას (იხ. Кальвокорессе 2003; Бонровниковидр. 2002), დემოკრატიის არასაკმარისად განვითარებას, ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების სისუსტეს. ერთი სიტყვით, ამ ქვეყნებში არ არსებობდა ეკონომიკის რეგულირების მოქნილი მექანიზმი.

მეორე მხრივ, თანამედროვე კრიზისის მიზეზებში გაჩნდა ახალი შტრიხები. დღევანდელი კრიზისის 80 წლის წინანდელი კრიზისისაგან ერთი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ იგი სხვადასხვა ქვეყანაში ერთბაშად გამოვლინდა. 1929-1933 წლების კრიზისი ერთბაშად არ შეხებია სხვა ქვეყნებს, მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთს. მეორე განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ მცირეა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც არ დაზარალდნენ ამ კრიზისისაგან. თუმცა, რასაკვირველია, კრიზისის დაწყებას თუ ავითვლით 2007 წლის ბოლოს აშშ-ში წარმოქმნილი იპოთეკური პრობლემიდან, ვნახავთ, რომ კრიზისის მწვავე ფაზაში გადასვლას არც ისე მცირე დრო დასჭირდა. ამასთან, ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სწორედ მსოფლიო კრიზისის წლებში საბჭოთა კავშირმა დაასრულა ინდუსტრიალიზაცია და უზრუნველყო ეკონომიკის უზარმაზარი ტემპებით ზრდა. ფაქტობრივად, XX საუკუნის 20-30-იანი წლების მსოფლიო კრიზისმა არა უბრალოდ დაადასტურა განვითარების შესაძლებლობა პრინციპულად სხვადასხვა ეკონომიკური მოდელებით, არამედ სახელმწიფო მოდელმა თითქოსდა მიიღო ერთგვარი უპირატესობა ლიბერალურ-საბაზროსთან შედარებით, რაც გამოიხატებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებებში საბჭოთა კავშირში, გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში. აგრეთვე ნიშანდობლივია დღევანდელი მთავრობების განსაკუთრებული აქტიურობა და საერთაშორისო ფორუმების ჩატარების სისწრაფე. გავიხსენოთ აგრეთვე, თუ რაოდენ განსხვავებულად იქცეოდნენ სხვადასხვა ქვეყნები დიდი დეპრესიის პერიოდში, როცა ცდილობდნენ გამოსულიყვნენ კრიზისიდან სრულიად სხვადასხვა მეთოდებით. სწორედ კრიზისის დროს და მისივე ზემოქმედებით დაიწყო აქტიური მზადება ომისათვის და პირდაპირი აგრესია (მაგალითად, ასე იქცეოდა იაპონია შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის მიმართ 1931 წელს), ხოლო გერმანია და იგივე იაპონია 1933 წელს გავიდა ერთა ლიგიდან, რითაც დემონსტრაციულად აჩვენეს, რომ ისინი არ აპირებდნენ ანგარიში გაეწიათ მსოფლიო საზოგადოების შეხედულებისათვის.

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების სპეციფიკა 1920-იანი წლების კრიზისის წინა ვითარებისგან იმითაც განსხვავდება, რომ მაშინ ძირითადი ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობდა მოწინავე ქვეყნების მცირე ჯგუფში, ხოლო მსოფლიო ეკონომიკაში ბოლოდროინდელი აღმავლობა ეყრდნობა უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნებისა და საშუალო დონის ქვეყნების ზრდას, მათ შორის, ყველაზე დასახლებული ქვეყნების ჩათვლით, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრიზისის ასეთი მასშტაბები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუქაზე არსებით და ძირეულ ცვლილებებს იწვევს, რაც ხდებოდა კიდევ დიდი დეპრესიის შედეგად, როცა ტოტალურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს საკუთარი პოზიციების მკვეთრად გაძლიერება. ამიტომ,

გეოპოლიტიკური სიტუაციის ესა თუ ის ცვლილება დღევანდელი კრიზისის შედეგად გარდაუვალია, თუმცა, შესაძლოა ის ისეთი მკვეთრი არ იქნება, როგორც გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კრიზისის მიზეზები მრავალგვარია და მათგან თითოეული ამა თუ იმ ზომით საჭიროებს დაწვრილებით ანალიზს, მაინც აუცილებელია მოვახდინოთ შემდეგის კონსტატაცია: წარმოიშვა გარკვეული ახალი ფუნდამენტური მიზეზები, რომლებიც უეჭველია რომ უკავშირდება გლობალიზაციის ზრდას, მსოფლიო ეკონომიკაში გლობალური პროცესების განვითარების ხარჯზე მთელი რიგი სახელმწიფოებისა და რეგიონების განვითარებას, რაც წილად ხვდათ მაღალგანვითარებულ და საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებს, თუმცა სარგებელი ძალზე არათანაბარზომიერად განაწილდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე კრიზისი – გლობალიზაციის არასასურველი თანამდევნი პროდუქტია (იხ. Гринин 2008). განვიხილოთ ის ასპექტები, რომლებიც გვარწმუნებს იმაში, რომ სწორედ გლობალიზაციის პროცესებია თანამედროვე კრიზისის სპეციფიკის განმსაზღვრელი.

არნახული მასშტაბების ფინანსურმა პირამიდებმა, სპეკულაციებმა, „საპნის ბუშტებმა“ შექმნეს ძალიან არამდგრადი სიტუაცია აშშ-ისა და მრავალი სხვა ქვეყნის ეკონომიკაში, რაც გავლენას ახდენს მთლიანად მსოფლიოზეც. თუმცა სპეკულაციებსა და „ფინანსურ საპნის ბუშტებს“ თითქმის ყოველთვის ჰქონდა ადგილი აღმავლობის პერიოდებში. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო ორი ათწლეულის სპეკულაციური ვაკხანალიები ეყრდნობოდა ახალ, თუმცა ადრეც ცნობილ, მაგრამ ბოლო პერიოდამდე შეზღუდული მასშტაბებით გამოყენებად ფინანსურ ტექნოლოგიებს. თვით ეს ტექნოლოგიები ემყარება კაპიტალის კონცენტრაციასა და სხვისი საშუალებების მართვის მზარდ შესაძლებლობებს; რისკების მრავალდონიან გადაზღვევას; კრედიტების დაჩქარებულ გაცემას და კაპიტალის დეპერსონიფიკაციის გაძლიერებას, რომლებიც მიმოიქცევა საერთაშორისო ბაზრებზე და ა.შ. ყველა ამ ტექნოლოგიამ გიგანტური ინფორმაციულ-კომპიუტერული ინოვაციების ფორმა მიიღო, რამაც საშუალება მისცა ცალკეულ სუბიექტებს გამოეყენებინათ კომპიუტერული პროგრამები ბირჟებზე სათამაშოდ და ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად შეუზღუდავად მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე (იხ. Гринин 2009). ამგვარმა სიმბიოზმა ფინანსურ ოპერაციებს არნახული მასშტაბი შესძინა, რის გამოც ფაქტობრივად ეს ფინანსური ტექნოლოგიები სრულად მოწყდა რეალურ სექტორს<sup>130</sup>.

ზემოთაღნიშნული პრინციპულად უმნიშვნელოვანესი მომენტი. ამასთან დაკავშირებით, კარგი იქნება თუ აღვნიშნავთ ფინანსური ტექნოლოგიების საწარმოო ტექნოლოგიებისაგან მსგავსი მოწყვეტის ზოგიერთ ისტორიულ ანალოგიებს, რათა დავინახოთ თანამედროვე სიტუაციის საერთო და სპეციფიკური შტრიხები. თვით ოქროსა და ვერცხლის მონეტების გამოჩენა, რომელთა სტანდარტები გარანტირებული უნდა ყოფილიყო მთავრობების მიერ, სხვადასხვა კრიზისების წყარო გახდა, რაც უკავშირდებოდა ოქროს შემცველობის შემცირებას. ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი რომის იმპერიაში. ინგლისში XVI საუკუნის პირველ ნახევარში მეფე ჰენრი VIII აქტიურად მიმართავდა მონეტების ოქროს შემცველობის შემცირებას, რამაც დიდი ინფლაცია გამოიწვია. ფინანსურ და საწარმოო ტექნოლოგიებს შორის პროპორციების რღვევასთან მიმართებაში შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ასევე ციკლურ პროცესებს, რომლებიც გამომდინარეობს იქიდან, რომ, ერთი მხრივ, ფულადი სიმბოლოების უკმარისობა აფერხებს წარმოების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მათი სიჭარბე დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს მასზე. XV საუკუნეში ძვირფასი ლითონების უკმარისობა, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთისაკენ ახალი გზების ძიებისა მთავარი მიზეზი გახდა. შემდგომ,

<sup>130</sup> bolo aTweulSi vaWroba ufro swrafad ganviTarda, vidre realuri seqtori, romlis mniSvnelobac mTlianobaSi Semcirდა. amgvarad, mSp-is zrდა, upirvels yovლისა, arasamrewvelo seqtoris xarjze xdeბა (ukeTes SemTxveბაSi – mSeneblobis), rac ekonomikis mdgradobas kidev ufro amcireბს.

XVI საუკუნეში ამერიკაში ვერცხლის მოპოვების მეთოდების სრულყოფამ, ჰოლანდიასა და იტალიაში ფინანსური სექტორის ზრდასთან ერთად გამოიწვია ცნობილი ფასების რევოლუციები ევროპასა და წინა აზიაში. ვაჭრობის, წარმოების, სახელმწიფო ხარჯების ზრდა XVII და XVIII საუკუნეებში მოითხოვდა კრედიტებისა და ანგარიშსწორების უფრო მოსახერხებელი სისტემების განვითარებას. ამან ხელი შეუწყო ბრუნვაში ქაღალდის ფულისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაშვებას, რამაც XVIII-XX საუკუნეებში არაერთხელ გამოიწვია ფულადი სექტორის რეალურისაგან მოწყვეტა, კრიზისები, განსაკუთრებით მასშტაბურები რევოლუციური მთავრობების მოქმედების შედეგად<sup>131</sup>. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტი იყო სახელმწიფო ვალის სისტემა, რომელიც მრავალი ეკონომიკის არსებობისა და აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ინტეგრაციის მუდმივ ფორმად იქცა.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში უდიდესი როლი დაეკისრათ სხვადასხვა სააქციო საზოგადოებებს, ბანკებს და ა.შ. XX საუკუნის პირველ ნახევარში გიგანტურმა კორპორაციებმა (მონოპოლიებმა) დიდწილად განაპირობეს თანამედროვე ინდუსტრიის შექმნა, მკვეთრად გაზარდეს საერთაშორისო ვაჭრობისა და მისი სპეციალიზაციის მოცულობა. მაგრამ, სწორედ ისინი იყვნენ ძირითადად პასუხისმგებლები დამანგრეველ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებში. XX საუკუნეში ნათელი გახდა, რომ ეროვნული წარმოება შეუძლებელია სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. საბოლოოდ, ეროვნულმა სახელმწიფოებმა უკეთ ან უარესად აითვისეს ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება ეროვნულ და ნაწილობრივ ზეეროვნულ ეკონომიკურ სივრცეში ეკონომიკაზე სხვადასხვა დახვეწილი რეგულატორების ზემოქმედებით, რითაც კრიზისული მოვლენების მინიმიზაცია შეძლეს. ამასთან, ფულის საბეჭდი მანქანით მანიპულაციას გვერდი ვერ აუარეს, რის გამოც ინფლაცია ეკონომიკის მუდმივ თანამგზავრად იქცა, თუმცა მაინც მოხერხდა გარკვეული წესებისა და რეკომენდაციების შემუშავება და მათ საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების უფრო მკაცრად გაკონტროლება.

თანამედროვე ფინანსურმა კორპორაციებმა მართლაც გიგანტურ მასშტაბებს მიაღწიეს, ბევრ მათგანში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ასობით ათასი მაღალკვალიფიური ფინანსისტები მუშაობენ, რაც სრულიად ახალი მოვლენაა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გიგანტური მონოპოლიების წარმოშობის მსგავსია. მაგალითად, ზემოთნახსენებ უმსხვილეს ბანკში „ჩიტიგროუპ“ მუშაობდა 358 ათასი კაცი, ხოლო ბანკში „ეჰმან როტჰერს“ - დაახლოებით 30 ათასი (იხ. МедведевР., МедведевЖ. 2009). ამ გიგანტური ფინანსური კორპორაციების გაფართოებამ განაპირობა ახალი ფინანსური ტექნოლოგიების წარმოშობა და სპეკულაციური კაპიტალის მოცულობის ზრდა. სწორედ ფინანსური სექტორი იქცა ეკონომიკური გლობალიზაციის თავისებურ ავანგარდად, რომელიც ერთდროულად ასტიმულირებდა აღმავლობებს იქ, სადაც გადაედინებოდა და იწვევდა კრიზისებს სუსტ ეროვნულ ეკონომიკაში მკვეთრი გადინების შემთხვევაში<sup>132</sup>.

ეროვნული ეკონომიკების ერთმანეთში მჭიდრო კავშირი იწვევს პლანეტის სხვადასხვა ადგილას ლოკალურ კრიზისებზე ძალიან სწრაფ და უმეტესწილად უმართავ რეაგირებას. ეს დადასტურდა სხვადასხვა ქვეყნებში ბოლო ათწლეულების ფინანსური კრიზისებით – განსაკუთრებით, თანამედროვე კრიზისით. ასეთი არამდგრადობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები ჩამორჩება ეკონომიკურს, რომელიც დიდი ხანია გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და საჭიროებს ზენაციონალურ დაგეგმვას, ფინანსური და სხვა სახის ბაზრების რყევების მიზეზების ერთობლივი კონტროლის რაღაც ფორმას. ამგვარად, ეკონომიკური გლობალიზაცია ბევრად უსწრებს საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური გლობალიზაციის განვითარებას. კერძოდ,

<sup>131</sup> pirveli aseTi krizisebi iyo jer kidev axalgazrda aSS-Si da revoluciur safrangeTSi XVIII saukunis bolosaTvis (იხ. Далин 1983).

<sup>132</sup> zogierTi mkvlevaris azriT, globalizacia emyareba finansur kapitalis. sxvebi globalizacias ganxilaven, rogorc saerTaSoriso kapitalis mxridan msolfio kvlavwarmoebis ciklis stadiis kontrolis zrdas (იხ. Англионис, Зотова 2005).

აშშ-ს არ სურს არავითარი საერთაშორისო შეზღუდვა თავისთვის, მაშინ, როცა მისი ზემოქმედება დანარჩენ მსოფლიოზე კოლოსალურია, ხოლო მსოფლიო პოლიტიკური ორგანოები უძლურია. მეტწილად ეს მოვლენების ბუნებრივი მსვლელობაა, მაგრამ ასეთი „ორმაგი მოწყვეტა“ - ფინანსური ტექნოლოგიებისა რეალური სექტორისაგან და ეკონომიკური გლობალიზაციისა სამართლებრივი და პოლიტიკური გლობალიზაციის ასპექტებისგან – უთუოდ მიგვიყვანს ამა თუ იმ კრიზისთან, რაც აიძულებს წამყვან პოლიტიკურ მოთამაშეებს შეცვალონ პოზიციები და დაიწყოთ რეგულირების ახალი ინსტრუმენტების ძებნა და საერთო პრობლემების გადაჭრა (იხ. Гринин 2009).

ფინანსური ბაზრები არაგანჭვრეტადი და არასტაბილურია, ამიტომ ისინი ისევ და ისევ გამოიწვევენ კრიზისებს, თუ ვერ მოხერხდება ერთობლივი წესების შემუშავება, თუ კონტროლს არ დაექვემდებარება მსოფლიო სპეკულაციური კაპიტალი. როგორც თავის დროზე უფრო მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა კერძო საკუთრება, ისე ახლა რეგულირების უფრო მკაცრ წესებს უნდა დაექვემდებაროს ეს გიგანტური ფინანსური ნაკადები. თვით ე.წ. დიდი ოცეულის შეკრების ფაქტი მოწმობს ზემოთნახსენები პრობლემების გადაჭრის აქტუალობაზე, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული შედეგები ამას არ მოჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, ურთიერთქმედების ეს ფორმა, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბების სტადიაშია. არსებობს აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეფორმირების აუცილებლობაზე საინტერესო წინადადებები, რომლებიც დღესდღეობით ფაქტობრივად აშშ-ზე არიან დამოკიდებულნი.

იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო ნათელი ხდება ფინანსური და სხვა სახის აგენტების გლობალური რეგულირების აუცილებლობა, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამის შედეგად ეროვნული სუვერენიტეტის შინაარსი, როგორც ჩანს, ტრანსფორმირდება მომავალში. გარკვეულწილად სუვერენიტეტი გაძლიერდება, რადგანაც სწორედ კრიზისის დროს იზრდება სახელმწიფოს როლი. სახელმწიფოს ძალაზე, მისი ხელმძღვანელობის უნარიანობაზე ამჟამად ბევრადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკების ბედი. მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ მსოფლიო კრიზისმა უფრო ნათლად დაგვანახა სუვერენიტეტის საზღვრები: როგორც პრაქტიკამ აჩვენა, თვით აშშ-საც კი არ ძალუძს იმოქმედოს სხვა ქვეყნების რეალური მხარდაჭერის გარეშე. იმის მსგავსად, როცა რთულ პერიოდში მეფე შემოიკრებდა წარმომადგენლებს, ვერ ღებულობდა რა მარტო არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს ან უბრალოდ არ იცოდა, რა გადაწყვეტილება მიეღო, ისე დღეს აშშ-მა გადაწყვიტა შეხვედროდა მათ, რომელთა მხრიდან ადრე არც იფიქრებდა რჩევის მოსმენას. თუ ადრე აშშ-ის მოუფიქრებელ ქმედებებს საგარეო პოლიტიკურ სფეროში იძულებით ითმენდნენ, ამჟამად, როცა ამერიკული კორპორაციების კრაზი მრავალი სახელმწიფოს ცხოვრების ყველაზე მგრძობიარე სფეროებსაც შეეხო, აშშ-ის პოლიტიკა ხშირად აწყდება გაღიზიანებასა და წინააღმდეგობას. ამგვარად, დაიწყო მსოფლიოს ერთპოლუსიანი მოდელიდან ახალ გეოპოლიტიკურ ყაიდაზე გადასვლის უფრო აქტიური პროცესი, რომელიც თანდაყოლილი იქნება ზესახელმწიფოებრივი ეკონომიკური რეგულირების ახალი ფორმის მოძიებით.

სპეკულაციური კაპიტალის მუდმივად მზარდი მასშტაბები მრავალი წელია აწუხებს ყველაზე სადადმოაზროვნე ეკონომისტებს, რომლებიც სამართლიანად თვლიან, რომ სპეკულაციურ კაპიტალს და სავალუტო კურსების რყევებს არ უნდა მიეცეს საშუალება განსაზღვროს რეალური ეკონომიკის ბედი (იხ. Капра 2004). ასეთი დამოკიდებულება აბსოლუტურად დაადასტურა ფინანსურმა კრიზისებმა სხვადასხვა ქვეყნებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში, როდესაც „ცხელი“ საერთაშორისო კაპიტალი ლამის რამდენიმე საათში იწვევდა კრიზისებს. სპეკულაციური კაპიტალის მსგავსი გავლენა სრულიად ახსნადია. მაგალითად, მსოფლიოში აღირიცხება რამდენიმე ათასი ე.წ. ჰეჯ-ფონდები, რომლებმაც გამოიმუშავეს რისკიანი ფინანსური ოპერაციების ძალზედ ეშმაკური ტექნოლოგიები, რათა მოახდინონ შესაძლო დანაკარგების მინიმიზაცია ან

კომპენსაცია. მათი მოქმედების ძირითადი მიმართულებაა რისკიანი, მაგრამ მაღალშემოსავლიანი სპეკულაციური ოპერაციები სხვადასხვა ფონდებზე, ბირჟებსა და ბაზრებზე. მაგრამ რისკების დაზღვევის როგორი დახვეწილი ხერხები არ უნდა იქნეს მოფიქრებული, ასეთი ფონდების ნაწილის კრაზი და ბანკროტობა გარკვეული დროის შემდგომ გარდაუვალია, ხოლო ეს იწვევს გაკოტრების, აქტივების ღირებულების შემცირების ჯაჭვურ რეაქციას. საერთო სიტუაციაზე ამ ფონდების არაპროგნოზირებადი და ნეგატიური გავლენის საშიშროება მკვეთრად ძლიერდება იმით, რომ ისინი ახდენენ თავიანთი პაის განთავსებას დახურული ხელმოწერით, ხოლო მათი კლიენტების წრე იზღუდება შეძლებული პირებითა და ფინანსური ინსტრუმენტებით, რაც ამ ფონდებს ათავისუფლებს რეგულაციური შეზღუდვებისა და ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნებისგან, რომლებიც ვრცელდება ურთიერთფონდებისა და ბანკების საქმიანობაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, XXI საუკუნის დასაწყისში, მხოლოდ 5-6 ასეთ უმსხვილეს ფონდს შეეძლო გარკვეული ვადით 1 ტრილიონ დოლარიანი (იხ. Ломакин 2005; Мазурова 2000) შეტევა განეხორციელებინათ ცალკეულ ეროვნულ ვალუტებზე და მოეხდინათ მათი მკვეთრი გაუფასურება. თანამედროვე კრიზისის დასაწყისში ასეთი ფონდების შესაძლებლობები არსებითად გაიზარდა. აქ არც არაფერია საკვირველი. ასეთი ფონდების საკუთარი კაპიტალი შეიძლება ყოფილიყო ძალიან მცირე, მაგრამ კრედიტებისა და ახალი ფინანსური ტექნოლოგიების წყალობით მათ შეეძლოთ მოეხდინათ გიგანტური თანხების აკუმულაცია<sup>133</sup>. ჰეჯ-ფონდების კაპიტალის საერთო მოცულობა ფასდება 1,7 ტრილიონი დოლარით (იხ. Лаврентьев 2008). თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმისა, ჰეჯ-ფონდების კაპიტალი ფერმკრთალდება სხვა ინსტიტუციური ინვესტორების კაპიტალის მოცულობასთან შედარებით, რომელიც აჭარბებს 20 ტრილიონ დოლარს მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, ამ სპეკულაციური ფინანსური ორგანიზაციის ზღაპრული მოგება ითრევედა რისკიანი ოპერაციების მართონში სულ უფრო ახალ სოლიდურ ფინანსურ ორგანიზაციებს, მათ შორის, უმსხვილეს ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების ავტორები აღიარებენ, რომ, ერთი მხრივ, ჰეჯ-ფონდების საინვესტიციო და ფინანსური ტექნიკა უჩვეულოდ მრავალგვარია, მეორე მხრივ, სხვა ინვესტორებიც ჩართულნი არიან აქტიურობის მრავალ ფორმაში, რომლებიც გამოიყენება ჰეჯ-ფონდების მიერ... (იქვე). შედეგად, სპეკულაციური და რაც მთავარია, უკიდურესად რისკიანი ციებრ-ცხელება მოიცავს მსოფლიოს მთლიან ფინანსურ სისტემას.

მსოფლიო ფინანსური სტაბილურობის ყველაზე სერიოზული საფრთხე ა. კობიაკოვისა და მ. ხაზინის აზრით ე.წ. წარმოებული ფასიანი ქაღალდების ბაზრებიდან მოდის. თუ ტრადიციულ ფასიან ქაღალდებს (აქციებსა და ობლიგაციებს) ხშირად უწოდებენ ფიქტიურ კაპიტალს, წარმოებული ფასიანი ქაღალდები (დერივატივები) წარმოადგენს მეორე რიგის ფიქტიურ კაპიტალს. როგორც ცნობილია, დერივატივები (ფიუჩერსები, ოპციონები, სავალუტო და საპროცენტო სვოპები, ვარანტები, ოპციონები ფიუჩერსებზე და სხვ.) წარმოადგენს ფინანსურ კონტრაქტებს, რომლებიც იძლევა უფლებას (ვალდებულებას) ვიყიდოთ (გავყიდოთ) განსაზღვრული რაოდენობის საბაზისო აქტივი (მაგალითად, აქციები, ობლიგაციები, ნავთობი და ა.შ.) შეთანხმებული ვადის განმავლობაში წინასწარ დადგენილი ფასით. ამგვარად, მათი ღირებულება, აგრეთვე მათი დახმარებით შემოსავლების მიღების შესაძლებლობა უშუალოდ დამოკიდებულია სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე ან სასაქონლო აქტივებზე არსებული ფასების მოძრაობაზე. დერივატივების მსოფლიო ბაზრის საერთო სიდიდის შეფასება დიდწილად მიახლოებითა და XXI საუკუნის დასაწყისში მერყეობდა 85-125 ტრილიონი დოლარის ინტერვალში

<sup>133</sup> ai monacemebi erT-erTi aseTi fondis – LTCM-s mimarT, romlis gadarCenac saWiro gaxda 1998 wels. 1998 wlis 23 seqtembrisaTvis LTCM-s sakuTari kapitali (aqtivebis wminda Rirebuleba) fasdeboda 600 mln dolariT, xolo mis balansze arsebuli pozicia aWarbebda 100 mlrd dolars (e.i. sakuTari kapitalis 167-er aWarbebda). aRniSnul fonds wina wlebSi Tavisi klientebisaTvis SeeZlo moetana yovelwliuri mogeba 33%-is odenobiT.

(საბაზისო აქტივების ნომინალური ღირებულების მიხედვით). ფიუნერსები, ოპციონები, ფიუნერსები ოპციონებზე, სვოპები, ვარანტები და სხვა მრავალი დერივატივები არსებითად თრგუნავენ მსოფლიოში მატერიალურ რესურსებზე ფასწარმოქმნის მექანიზმის (იხ. Кобяков, Хазин 2003).

სანედლეულო ბაზრებზე ფასები უკვე დიდი ხანია განისაზღვრება არა მოთხოვნა-მიწოდების ბალანსით, არამედ ფიუნერსების ფასებით, რომელთა სავაჭრო რაოდენობა მრავალჯერ აღემატება მსოფლიოში რესურსების საერთო რაოდენობას. ამგვარად, ნავთობსა და სხვა რესურსებზე ფასების გიგანტური რყევები არ უნდა გვიკვირდეს, რადგანაც ისინი დიდი ხანია მოწყდნენ რეალურ სიტუაციას.

საბირჟო აქტივები, თავისი არსით, ყოველთვის წარმოადგენს ეროვნული და მსოფლიო სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულების ტიტულს (უფლებას, გამოხატულებას). მაგალითად, აქციების კაპიტალიზაცია თეორიულად აღნიშნავს შემოსავლების ერთობლივ მოცულობას, რომლის მოცემა მას შეეძლო მფლობელისათვის მრავალი წლის (ზოგჯერ, ათეული წლების) განმავლობაში. ამიტომ, სულაც არ არის მოულოდნელი, რომ თანხა, რომლებიც მიმოიქცევა ბირჟებზე, საფინანსო დაწესებულებებში, უბრალოდ ასტრონომიულია, ისინი ყოველწლიურ ერთობლივ შემოსავალზე მრავალჯერ მეტიც უნდა იყოს. ასე მაგალითად, იპოთეკური ფონდების აქტივებმა 12 ტრილიონი შეადგინა. ესოდენ დიდი რიცხვი სულაც არ მოგვეჩვენება უზომოდ დიდად, რამდენადაც ის უტოლდება სულ რამდენიმე მილიონ საცხოვრებელ სახლს (თითოეულის ფასი, ვთქვათ, თუ მერყეობს 100-დან 200 ათას დოლარამდე). საშიშროება მომდინარეობს იქედან, რომ, პირველი, ფასიანი ქაღალდების ფასები ძალიან ხშირად ჩამოშორდება რეალიებს; მეორე, ასეთი თანხა იწვევს ბრუნვას მთელი სიჩქარით; მესამე, საკუთრების ამ პირველად ტიტულებზე (აქციებზე, ობლიგაციებზე, კრედიტებზე და სხვ.) იწარმოება მეორადი, მესამე რიგის და მომდევნო ხარისხის ფასიანი ვალდებულებები, რომლის შედეგად მიმოიქცევაში არსებული აქტივების საერთო ღირებულება სრულიად არათანაზომიადი ხდება რეალურ სიმდიდრესთან და წარმოებასთან. თვით ამ მეორე-, მესამე-, მეოთხე- და ა.შ. რიგის ვალდებულებების უზრუნველყოფა ხდება უკვე არა რეალური მატერიალური რესურსებით, არამედ სხვა ფასიანი ქაღალდებით. ამ დროს, ფინანსური მოთამაშეების რეალური გადასახდელები და რისკები უმნიშვნელო ნაწილია იმ აქტივების ღირებულებასთან შედარებით, რომლებზეც მათ შეუძლიათ გავლენის მოხდენა ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დახმარებით. ეს კი, ზოგიერთი ეკონომისტის განმარტებით, თანამედროვე ფინანსური ეკონომიკის ნაწილს „გლობალური კაზინოს ეკონომიკად“ აქცევს. შედეგად, აქტივების ფასეულობა დამოკიდებულია მრავალ რყევებზე, რომელიც მთლიანობაში არც ისე მნიშვნელოვანია და მიზეზებზე, რომლებიც ხშირად საქმეს არ ეხება, ხოლო საზოგადოების ეკონომიკური ფუნდამენტი ძალზე არამდგრადი ხდება (იხ. Гринин 2009).

ზემოთქმული ამყარებს იმის რწმენას, რომ რეგულირების ჯეროვანი ზომების, სამართლებრივი ბაზის განვითარების გარეშე, არამედ მხოლოდ იმის იმედად, რომ ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს, მთელი მსოფლიო უწინდებურად სპეკულიანტებისა და ფინანსისტების შედარებით მცირედი ჯგუფების სიხარბის, არამართლზომიერი ქმედების, ეგოიზმის და ელემენტარული შეცდომების მძევლად დარჩება. საბოლოოდ, ისინი შეიძლება გარდაიქმნან უმართავ ძალად, რომელთაც ძალუძთ მსოფლიო ქაოსის პროვოცირება.

ფინანსური ბაზრების არამდგრადობისა და უმართაობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება ჩამორჩება ეკონომიკურს, რომელმაც დიდი ხანია გადალახა ეროვნული ჩარჩოები და საჭიროებს ზეეროვნულ რეგულირებას (იხ. ВандерБее 1994), ფინანსური და სხვა ბაზრების რყევების წყაროების ერთობლივი კონტროლის რაიმე ფორმას. მაშასადამე, შეიძლება ველოდოთ, რომ დაიწყება უფრო მკაცრი წესების შემუშავება და გამოჩნდება გარკვეული

შეთანხმებები ან ორგანოები, რომლებიც საერთაშორისო სპეკულიანტების ინტერესებს გარკვეულ კონტროლს დაუქვემდებარებენ.

მსოფლიოს თანამედროვე დინამიკა, რომელიც თავისი მრავალგვარობით უსაზღვროა, მაინც იძლევა საშუალებას გამოვეყნოთ განვითარების საერთოსაკაცობრიო ტენდენციების კონტურები და ზოგადი სახით ჩამოვაყალიბოთ ამ განვითარების გარკვეული პარადიგმები. ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, ფინანსური მოქმედების ადგილის ეკონომიკური კონტურები უკვე მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების შედეგად. მაგრამ სხვა მიმართულებები და ქვეყნების უმრავლესობისათვის მისაღები გლობალიზაციის ფორმები ჯერ-ჯერობით ძლიერ გვიანდება. მთლიანობაში მიზნებსა და ფასეულობებზე ძველ წარმოდგენებსა და ახალ რეალიებს შორის, ასევე რეგულირების უწინდელ ფორმებსა და ახალ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს შორის დიდი წინააღმდეგობები წარმოიშობა. ყველაფერი ეს, პირობითად რომ ვთქვათ, თანამედროვე ეპოქის მნიშვნელოვან წინააღმდეგობაში გამოიხატება. ეს შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: წინააღმდეგობა მსოფლიო და რეგიონული ინტეგრაციისადმი მიდრეკილებასა და ნაციონალურ ეგოიზმს შორის, კაცობრიობის პლანეტარულ ბედსა და კორპორაციულ-ნაციონალურ შეზღუდულობებს შორის (იხ. Гринин 2009). აკი ეკონომიკა სულ უფრო გლობალური ხდება, ხოლო რესურსების გამოყენება, კანონები და ნორმები, გადაწყვეტილებების მიღება რჩება უმეტესწილად კერძო-კორპორაციული, პარტიული ან უკეთეს შემთხვევაში – ნაციონალურ-კორპორაციული. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ადრინდელი პრიორიტეტები და საფუძვლები, რომლებიც ეყრდნობოდა აშშ-სათვის მომგებიან საფუძვლებს, მათ შორის, დოლარის ერთპიროვნულ ბატონობას, უმნიშვნელოვანეს მსოფლიო ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუტებში აშშ-ის უპირატეს ძალაუფლებას, სულ უფრო მეტი კრიტიკისა და ეჭვის ობიექტი ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან მოხდება მისი ტრანსფორმაცია სხვა ყაიდის წესრიგში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Ван дер Вее, Г.** *История мировой экономики 1945–1990*. М.: Наука. 1994.
2. **Гринин, Л. Е.** *Производительные силы и исторический процесс*. М.: КомКнига. 2007. *Политический срез исторического процесса*. М.: КомКнига/ URSS. 2007. Производственные революции и периодизация истории. *Вестник Российской академии наук*. Т. 77 (4): 309–315. 2008а. *Глобализация и процессы трансформации национального суверенитета. Век глобализации* 1: 86–97. 2008б. Нежеланное дитя глобализации. Заметки о кризисе. *Век глобализации* 2: 46–53.
3. **Гринин, Л. Е.** Глобальный кризис как кризис перепроизводства денег. *Журнал: Философия и общество*. Выпуск №1(53)/2009.
4. **Кальвокоресси, П.** *Мировая политика*: в 2 кн. Кн. 2. М.: Международные отношения. 2003.
5. **Капра, Ф.** *Скрытые связи*. М.: София. 2004.
6. **Кобяков, А. Б., Хазин, М. Л.** *Закат империи доллара и конец «Рак Americana»*. М.: Вече. 2003.
7. **Лаврентьев, С.** Хедж-фонды теряют клиентов. *РБК daily*. 17 ноября. 2008. Интернет-ресурс. Режимдоступа: <http://www.stockportal.ru/main/invest/world/articles/hf>
8. **Ломакин, В. К.** *Мировая экономика*. 2-е. изд. М.: Юнити. 2005.
9. **Мазурова, Е. К.** Изменения в механизме наднационального регулирования международной кредитно-финансовой системы. В.: Осьмова, М. Н. (ред.), *Роль государства в экономике: мировой опыт* (с. 23–32). М.: Теис. 2000.



10. **Медведев, Р. А., Медведев, Ж. А.** Глобальный экономический кризис может перейти в депрессию. 2009. Интернет-ресурс. Режим доступа: <http://news2000.org.ua/print?a=%2Fa%2F61162%3Fp%3D2>

## **The process of globalization and the specificity of the modern crisis**

**Malkhaz Chikobava**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

### **Summary**

In given work are analyzed the process of globalization and it's influence on specificity of the modern crisis. It is shown that causes of the current crisis deserve attention: there are some new fundamental reasons. These new reasons undoubtedly lie in the growth of globalization, prosperity through the development of global processes in the global economy. Although these benefits distributed very unevenly. In other words, the modern crisis is the reverse side of the process of globalization.

The current dynamics of the world allows us to highlight the contours of human development trends and to formulate in general terms some of this development paradigm. Economic contours of the field of action of new technologies (including financial) took shape as a result of economic globalization. But other directions and accepted for the majority of the countries of a form of globalization while strongly are late

And in general, there are great contradictions between the old ideas about the goals and values and new realities, between the old forms of regulation and new technological possibilities. All this is expressed, relatively speaking, in the most important conflict of the modern era. We formulated it as a contradiction between the craving for regional integration and national egoism, between planetary fate of humanity and national corporate constraints.

Economies is becoming increasingly global, and the use of resources, laws and regulations, decisions remain largely private, corporate, party, or at best national corporate. Former priorities and the former heart of the world economic order, based on the interest of the USA, are increasingly exposed to criticism and therefore sooner or later they will be transformed into a new order.

### **უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში**

**ქეთევან ჩიტაღაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

უკანასკნელ პერიოდში, სხვადასხვა სტატისტიკური, კონიუქტურული თუ სოციალური გამოკითხვებით საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია და ის ხშირად იკავებს საწყის ადგილს ქვეყნისა და ქართული საზოგადოების წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს შორის. უმუშევრობის დროს ფართოდ იკვეთება ეკონომიკური არასტაბილურობის ისეთი


ფაქტორები, როგორცაა ერთობლივი მოთხოვნის, დანაზოგებისა და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება, ერთობლივი მიწოდების კლება, წარმოების დაცემა და სხვა. ყოველივე ეს კი შეუძლებელს ხდის მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენება და ეროვნული სიმდიდრის შესაძლო ზრდა. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევა და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს. ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით ეგრეთ-წოდებულ გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვღებულობთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება, ანუ, იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. წლები გადის, იცვლებიან მთავრობები და პრიორიტეტები, მაგრამ საქართველოში უმუშევრობა კვლავაც ნომერ პირველ პრობლემად რჩება.

საქართველოში უმუშევრობის დონე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, 2014 წელს 13,7%-მდე შემცირდება, აღსანიშნავია, რომ შარშან ეს მაჩვენებელი 14,32%-მდე აღწევდა, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სომხეთის (18,64%) შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მესამე ადგილზე დაუსაქმებლების რაოდენობით ლიტვას (12,12%). 10-10%-იანი უმუშევრობის დონე დაფიქსირდა ლატვიაში, უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში. საქართველოსთან შედარებით, თითქმის ორჯერ დაბალია უმუშევრობის დონე უკრაინასა (7.89%) და ყირგიზეთში (7.9%); 5-6%-ის ფარგლებში მერყეობს რუსეთში, ბელარუსში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში უმუშევრობის დონის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ნახ.1).

**უმუშევრობის დონე საქართველოში 1998-2013 წლებში**

ნახაზი 1.




მოცემული დიაგრამით ვხედავთ, რომ უმუშევრობის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ყველაზე მაღალი დონე 2008-2009 წლებში ფიქსირდება, რაც 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. 2008 წელთან შედარებით 2013 წელს უმუშევრობა 1,9%-ით შემცირდა და 14,5% შეადგინა, რაც თავისთავად ნიშნავს 24 ათასამდე ადმიანის დასაქმებას და მათი ეკონომიკური, თუ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა

უმრავლესობა სტატისტიკაში თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა გამიჯვნის მომხრეა. ჩვენი კანონმდებლობა, რომელიც მსოფლიო შრომის ორგანიზაციის კანონმდებლობას და წესებს ეყრდნობა, თვითდასაქმებულ ადამიანებსაც დასაქმებულად თვლის. ეს მეთოდოლოგია ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, თუმცა არიან ქვეყნები რომლებიც ცალკე ითვლიან თვითდასაქმებულებს და დასაქმებულებს. შესაბამისად, ამით მათ უფრო მეტი ინფორმაციის მიღების საშუალება აქვთ.

უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიების, ისე რეგიონების მიხედვით. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. 2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონის შედარებით თანაბარი კლება დაფიქსირდა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად 25,6%-ი და 6,5%-ი შეადგინა. განვიხილოთ ეს მონაცემები 21-ე საუკუნის საქართველოს რეტროსპექტივაში (იხ. ნახ. 2)<sup>134</sup>:

უმუშევრობის დონე საქართველოში ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაში (2000-2013 წწ)

ნახაზი 2




მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე სოფლად ბევრად დაბალია არ გვაძლევს იმის საფუძველს ვივარაუდოთ თითქოს მოსახლეობა უფრო მდიდარია. პირიქით, სიღარიბის პრობლემები ძალზედ მწვავეა საქართველოს რეგიონებში. რაც სოფლის მეურნეობის ნაკლები პრიორიტეტულობით შეიძლება აიხსნას. ამ ანალიზშიც უმუშევრობის დონე ქალაქში 2008 წელთან შედარებით (28,9%) შემცირდა და გახდა 25,6%. უმუშევრობის დონე უმნიშვნელოდ შემცირდა სოფლებშიც 0,5%-ით და შეადგინა 6,5%.

<sup>134</sup> www.geostat.ge

უმუშევრობის დონეები უშუალოდ რეგიონებში შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. ნახ.3)<sup>135</sup>:


ნახაზი 3.



ნათლად ჩანს, რომ ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ფიქსირდება თბილისში 29,1%. რეგიონებიდან მაღალი უმუშევრობით გამოირჩევა აჭარის რეგიონი - 18,1%, და სამეგრელო-ზემო სვანეთი - 15,8%.

ძალზე მნიშვნელოვანია უმუშევრობის დონის განხილვა სქესობრივ ჭრილში (იხ. ნახ. 4)

**რეგიონების მიხედვით უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში (2003-2013 წწ.)**



ნახაზი 4.

როგორც ვხედავთ, მამაკაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. 2013 წლის მდგომარეობით უმუშევრობის დონე მამაკაცებში არის 16,5%, ხოლო - ქალებში 12,3%. ამასთან, თუ დასაქმებას ეკონომიკური კუთხით განვიხილავთ, სხვა რეალობას დავინახავთ. კერძოდ, უმუშევარ ქალთა რაოდენობა თითქმის 50%-ით მეტია


<sup>135</sup> www.geostat.ge

უმუშევარ მამაკაცებთან შედარებით და ეს თანაფარდობა თითქმის შენარჩუნებულია უკანასკნელი წლების განმავლობაში. გლობალური დასაქმების კუთხით, რომელიც ეკონომიკურ დასაქმებასთან ერთად საოჯახო მეურნეობის წარმართვას, ბავშვების აღზრდას, ინვალიდების და მოხუცების მოვლას მოიცავს, ამ საქმიანობაში ჩართული ქალები ითვლებიან დასაქმებულებად. ხოლო, არააქტიურობის დონე ქალებში თითქმის ორჯერ აღემატება მამაკაცებში იგივე მაჩვენებლებს.

განსხვავებულია უმუშევრობის დონე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც. მეტად მწვავეა ეს პრობლემა ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობისათვის (იხ. ნახ. 5).

ნახაზი 5.

უმუშევრობის დონე ასაკობრივ კრილში 2013 წელს, %



როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა შრომისუნარიან მოსახლეობაში მეტად მაღალია უმუშევრობის დონე და ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება. დასაქმების მხრივ ყველაზე მძიმე პირობებში 20-დან 35-წლამდე ასაკის მოსახლეობა იმყოფება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ასაკიან მოსახლეობაში უმუშევრობის დაბალი დონე განპირობებულია მათი გადასვლით ეკონომიკურად არააქტიურთა რიგებში. საპენსიო ასაკი იწყება 60 წელს ზემოთ, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

შრომის ბაზრის რეგულირებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი შრომის ანაზღაურების მოცულობაა. რაც მეტია ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანების წილი, მით მეტია ბაზარზე მაღალხელფასიან სამუშაო ადგილებზე მოთხოვნა. ხელფასის დაბალი დონის პირობებში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ნაკლებად მიმართავენ შრომის ბირჟას (დასაქმების სამსახურს), რაც ბუნებრივია ხელს უწყობს შრომის ბირჟის რიცხოვნობას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში უმუშევრობის პრობლემა გაცილებით უფრო რთულად დგას, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს. სადავო არაა ის გარემოება, რომ დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობასთან შედარებით, ფაქტობრივ უმუშევართა რიცხვი მნიშვნელოვნად მეტია. აქ საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ შრომისუნარიან აქტიურ მოსახლეობაზე. მაგრამ, არის კიდევ სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომლებიც როგორც საქართველოს მოქალაქეები შრომით საქმიანობას ეწევიან უცხოეთის ქვეყნებში, რადგანც მათთვის სამუშაო ადგილი საკუთარ სამშობლოში ვერ მოიძებნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმება ნიშნავს ისეთი სამსახურის ქონას, რომელშიც ადამიანს უხდიან ფულს და რომელიც უზრუნველყოფს როგორც მისი, ასევე მისი ოჯახის ნორმალურ არსებობას. თუ ამ ტერმინის შესაბამისად ვიმსჯელებთ

საქართველოს მოსახლეობის თითქმის უმრავლესობა დაუსაქმებელია, რადგან ცოტა თუ მოძიებნება, რომელსაც საკუთარი ხელფასით შეუძლია, თავიც და ოჯახიც ნორმალურად არჩინოს.

იმისათვის რათა დავსახოთ უმუშევრობის გადაჭრის რეალური გზები, პირველ რიგში აუცილებელია განვიხილოთ მისი გამომწვევი მიზეზები. უშუალოდ მიზეზების გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება სწორი სტრატეგიის შერჩევა აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლო ვეგლად.

შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები (სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა), მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი, მოქმედების შეზღუდული არეალი, ნაკლები ელასტიურობა, სამუშაო ძალის დაბალი მობილობა, სამუშაო ძალის დაბალი ფასი და ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, რაც თავისთავად ასახვას პოვებს უმუშევრობის გამომწვევ ძირითად მიზეზებში. კერძოდ:

- შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;
- სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე;
- შრომის დისკრიმინაციული პირობები;
- შრომის დაბალი ანაზღაურება;
- პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი;
- სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილობა;
- სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა;
- სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა (ე.წ. „იმედგაცრუებულები“);
- დასაქმების სფეროში საშუამავლო სერვისის განუვითარებლობა/ხელმიუწვდომლობა.

აღნიშნული მიზეზებიდან ნაწილი ობიექტურია, ნაწილი კი სუბიექტური. შედეგად კი, საქართველოში სამუშაო ადგილის მოძიება და დასაქმება ძალიან რთულია, ხოლო დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად.

შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შრომის ბაზრის განუვითარებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახით. ამიტომ ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად (რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ბუნებრივი და ძირითადი ფაქტორია), აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან მისი ელემენტების განვითარების მხარდაჭერის გზით. რაც, შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრას მოითხოვს, ასევე საჭიროებს სათანადო საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

ჩამოთვლილ მიზეზებთან ბრძოლა უმუშევრობის დონესაც შეამცირებს და ქვეყნის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. ამ პრობლემის მოგვარება თავის მხრივ, აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოს მხიდან ჩარევასა და რეგულიერებას. თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი ვერ იქნება თუ საზოგადოებამ, დამსაქმებლებმა, სამუშაოს მაძიებლებმა, დასაქმებულებმა და არააქტიურმა მოსახლეობამაც არ გაითავისეს აღნიშნული საკითხის აქტუალობა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე - სოციალური სტატისტიკა 2013 წ.

2. გაბიძაშვილი ბ. - სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2011 წ.
3. ლაცაბიძე ნ. შელია მ. ბადრიძე ვ. გურგენიძე ვ. ანთაძე ც. ყარაშვილი კ. გაგნიძე ი., კუსრაშვილი ე. ხარაძე ნ. - შრომის ეკონომიკა, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბ., 2004 წ.
4. ხმალაძე მ. „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. გამომც. „მერიდიანი“ თბილისი 2011;
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული. თბ., 2012 წ.
6. ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ. – უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ №2, 2009
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. <http://jrcr.ge/index.php?a=main&mid=14&sid=23&lang=ge>
9. <http://www.mes.gov.ge/uploads/angarishi-1.pdf>
10. [www.civil.ge](http://www.civil.ge)
11. [http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=5053](http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5053)
12. <http://www.tabula.ge/ge/story/76202-msoflio-bankis-2011-tslis-angarishi-ekonomikuri-zrda-da-sigharibe>
13. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

## Statistical analysis of unemployment in Georgia

**Ketevan Chitaladze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
PhD in Economics

### Summary

This paper deals with the study of the unemployment statistics. Based on statistical data, the real unemployment situation in Georgia is analyzed according to the age and gender, regional and city/rural perspective. The causes of the problem are identified and major measures are set to reduce unemployment.

### გლობალიზაცია - წარმატების ფორმულა 1

**პაატა ცაგარეიშვილი**  
საქართველოს ბიზნესის აკადემიის - **SBA**  
ასოცირებული პროფესორი

ყველას გვსურს ვიყოთ წარმატებული, მაგრამ იშვიათად (თითქმის არასდროს) დაეფიქრებოთ იმაზე, თუ რა ფაქტორებს თვლიან აუცილებლად წარმატების უმოკლეს ვადაში მისაღწევად უკვე წარმატებული ადამიანები.

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია მოსაზრება, რომ ადამიანი დიდ წარმატებას<sup>136</sup> ვერ მიაღწევს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის დამთავრების გარეშე (რა თქმა უნდა ინგლისურისა და კომპიუტერის ან/და საზღვარგარეთული დიპლომის ფლობის გარეშე). საინტერესოა, როგორი მოსაზრებაა გავრცელებული წარმატების მისაღწევად საჭირო მეთოდების შესახებ უფრო გლობალურ დონეზე, მაგალითად განვითარებულ ქვეყნებში.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ თავი მოგვეყარა ინტერნეტ სივრცეში არსებული მასალებისთვის, სადაც მსოფლიოში ცნობილი წარმატებული ადამიანები გვიჩვენებენ, თუ როგორ მივალწიოთ წარმატებას უმოკლესი გზით.

კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ინგლისურ და რუსულენოვან საიტებზე ყველაზე გავრცელებულია „კოუჩების უნივერსიტეტისა“ (Coach University, 1992) და „კოუჩების საერთაშორისო ფედერაციის“ (International Coach Federation, 1994) დამფუძნებლის, ამერიკელი ტრენერის თომას ლეონარდის (1955-2003) წარმატების ფორმულა:  $10\%+40\%+50\%=100\%$  წარმატება, სადაც:

- 10% - განათლება (ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები);
- 40% - აზროვნების წესი;
- 50% - გარემოცვა.

ბევრი ადამიანი (მათ შორის მეც) თავიდან ეჭვის თვალით უყურებს წარმატების ასეთ განმარტებას, რადგან გამოდის, რომ რაც აქამდე გვისწავლია - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა თუ დოქტორანტურა, სპეციალური უნარები გამოგვიმუშავებია, სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებსა თუ კონფერენციებში მიგვიღია მონაწილეობა, პრაქტიკული გამოცდილება დაგვიგროვებია და ა.შ. წარმატების მიღწევის საქმეში მხოლოდ 10%-ს შეადგენს (?).

თუმცა რაც დრო გადის, ადამიანი (მაგალითად მე) თანდათან ხვდება აღნიშნული ფორმულის ჭეშმარიტებას. პირადად ჩემთვის, წარმატების ეს ფორმულა ძალიან კარგად მუშაობს და ძალიან გამიკვირდა - ინტერნეტ სივრცეში ქართულ ენაზე არაფერი არ იძებნება მის შესახებ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ წინამდებარე ნაშრომი მიგვეძღვნა ამ ფორმულისთვის.

პირველი, რაც ამ ნაშრომის სათაურის მოფიქრებისას გამახსენდა, იყო ის შთაბეჭდილება, რომელიც დამეუფლა ფორმულის პრაქტიკაში გამოცდისას. ესაა წარმატების მიღწევისკენ გასაოცარი სისწრაფით სვლა. სწორედ ამიტომ დავარქვით ნაშრომს „... - წარმატების ფორმულა 1“ (ან რაც იგივეა - „წარმატების F1“<sup>137</sup>).

**განათლება.** ფორმულის ავტორის აზრით (და ეხლა უკვე ჩემი აზრითაც), განათლება აუცილებელია, თუმცა არა გადამწყვეტი. მართლაც, წარმატების მიღწევაში მარტო განათლებას რომ ჰქონდეს გადამწყვეტი როლი, მაშინ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული და მდიდარი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ პროფესორ-მასწავლებლები. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, თუ წარმატებას შევადარებთ მრავალსართულიან შენობას, განათლება იქნება არა მისი რომელიმე სართული, არამედ საძირკველი (იხ. ნახაზი **№1**), რომელიც საერთოდ არ ჩანს მიწის ზედაპირზე, თუმცა წლების განმავლობაში იჭერს მთელ რიგ კონსტრუქციას შიგ მყოფ ათეულობით ადამიანთან ერთად.

**აზროვნების წესი.** ჯანმრთელობა, სიმდიდრე, ბედნიერება - თუ ამ სიტყვებს სწორი პრიორიტეტების მიხედვით დავალაგებთ, მივიღებთ პასუხს შეკითხვაზე როგორ უნდა ვიაზროვნოთ, რომ წარმატებას მივალწიოთ ამა თუ იმ სფეროში?

<sup>136</sup> სიტყვა „წარმატებაში“ ვგულისხმობთ ადამიანის მიღწევას, როდესაც ის გახდება ფინანსურად დამოუკიდებელი და ბედნიერი პიროვნება.

<sup>137</sup> ფორმულა ერთი (ინგლ. **Formula One**, ასევე **formula-1**, ან არაოფიც. **სამეფო ფორმულა**) – მსოფლიო ჩემპიონატი წრიულ ავტობოლაში. ავტობოლის ყველაზე ძვირი და მაღალტექნოლოგიური სახეობა <http://ka.wikipedia.org>.



მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი წარმატებული ამერიკელი ტრენერის - ჯიმ ბანჩისა და დსთ-ს ქვეყნებში ასევე ძალიან პოპულარული უკრაინელი ტრენერის - ნიკოლაი ლატანსკის ლექციებიდან ვიგებთ, რომ ადამიანი აუცილებლად უნდა ზრუნავდეს განვითარებაზე სამივე ზემოაღნიშნული მიმართულებით, შემდეგი პრიორიტეტულობის დაცვით: ბედნიერება ->ჯანმრთელობა-> მატერიალური კეთილდღეობა.

ჯანმრთელობისა და სიმდიდრის შესახებ ბევრს არ ვისაუბრებთ, როგორც წესი, ისედაც ძალიან ბევრი ხარისხიანი მასალის პოვნა შეიძლება ინტერნეტ-საიტებზე. თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ, თუ მიმოვიხედავთ ირგვლივ, დავინახავთ უამრავ ადამიანს, რომელთაც ჯანმრთელების პრობლემებმა ვერ შეუშალეს ხელი მიეღწიათ დიდი წარმატებისთვის და ისინი მსოფლიომ გაიცნო: ბეთხოვენი, რეი ჩარლზი, სტივ ვანდერი, ნიკ ვიუჩინი და სხვ.

რა არის ბედნიერება? ამის გარკვევას ასევე გლობალურად, ინტერნეტის მეშვეობით შევეცადეთ და აღმოვაჩინეთ ძალიან საინტერესო კვლევა, რომელიც უნგრული წარმოშობის ამერიკელმა ფსიქოლოგმა მიჰალი ჩიკსენტმიჰალი (Mihaly Csikszentmihalyi) ჩაატარა. კერძოდ, 1990-იან წლებში მან დაწერა წიგნი „The Flow“ (ქართულად „დინება“). ამ კვლევის შედეგად გამოიკვეთა რვა ძირითადი ემოციური მდგომარეობა, რომელშიც შეიძლება ადამიანი აღმოჩნდეს თავისი ცოდნისა<sup>138</sup>და მის წინ მდგომი ამოცანების<sup>139</sup> სირთულის ურთიერთდაპირისპირებით. ამ რვა მდგომარეობიდან ერთ-ერთს, რომლის დროსაც ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობს, ავტორმა უწოდა „დინება“.

2004 წელს გამოვიდა ჩიკსენტმიჰალის მორიგი წიგნი „Good Business“ („კარგი ბიზნესი“), სადაც ავტორმა მოგვცა რჩევები თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა „დინების“ მდგომარეობას, ანუ მდგომარეობას როდესაც თავს გრძნობს ბედნიერად. ამ წიგნების თანახმად ადამიანი მაშინ არის ბედნიერი, როდესაც ვითარდება - ანუ როდესაც ის დაისახავს რთულ ამოცანას და აქვს საკმარისი ცოდნა მის შესასრულებლად<sup>140</sup>(იხ. ნახაზი 2).

როგორც №2 ნახაზიდან ჩანს, თუ გვინდა ცხოვრების უმეტესი ნაწილი გავატაროთ ბედნიერად („დინების“ სექტორში), და არა მოწყენილობის ან პანიკის სექტორში, საწყის ეტაპზე ჯერ სასურველია მივიღოთ შესაბამისი ცოდნა (A-B მონაკვეთი) რაც აუცილებელია პირველი ამოცანის შესრულებისთვის, ხოლო შემდეგ შევასრულოთ ამოცანა (B-C მონაკვეთი). დავსახოთ შემდეგი ამოცანა, მივიღოთ შესაბამისი ცოდნა (C-D მონაკვეთი), შემდეგ შევასრულოთ იგი (D-E მონაკვეთი) და ა.შ. საბოლოო ჯამში, ასეთი აზროვნების წესი აუცილებლად მიგვიყვანს გარანტირებულ წარმატებასთან ნებისმიერ სფეროში.

რაღაც დროის გასვლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ის, რისი შესრულებაც ადრე წარმოუდგენლად რთული გვეჩვენებოდა, დღეს უკვე შესრულებული გვაქვს.

**გარემოცვა.** ამერიკელი ტრენერი, ჯიმ რონი ამბობს - „თქვენ ხართ იმ ხუთი ადამიანის საშუალო არითმეტიკული, ვისთან ერთადაც ატარებთ დროის უმეტეს ნაწილს“.

„წარმატების ფორმულა 1“-ის ავტორის, თომას ლეონარდის აზრით „ყოველი ადამიანი ცდილობს უდიდესი ნებისყოფის ხარჯზე შეცვალოს საკუთარი თავი.

<sup>138</sup> ტერმინ „ცოდნის“ ქვეშ იგულისხმება არა მარტო აკადემიური განათლება, არამედ ნებისმიერი სახის ცოდნა, გამოცდილება, უნარი, დახელოვნების დონე, რაც საჭიროა კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად ნებისმიერ სფეროში (მედიცინა, ეკონომიკა, იურისპრუდენცია, ფერწერა, მუსიკა და ა.შ.)

<sup>139</sup> ტერმინ „ამოცანის“ ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი მიზანი, რომელსაც ადამიანი დაისახავს - სკოლის ან უნივერსიტეტის დამთავრება, სამსახურის დაწყება, ბიზნესის აწეობა, ბინის ან კომერციული ფართის შეძენა, დაოჯახება, შეილების აღზრდა, კარგი მეგობრობის შექმნა, გამდიდრება და ა.შ.

<sup>140</sup> მიჰალი ჩიკსენტმიჰალი, დინება-ბედნიერების საიდუმლო, [www.v1pllist.com](http://www.v1pllist.com).

სინამდვილეში მათ უნდა იცოდნენ მხოლოდ ის, რომ საქციელს და აზროვნების წესს პრაქტიკულად მთლიანად განსაზღვრავს 9 ადამიანი საკუთარი გარემოცვიდან, და თუ ჩვენ შევძლებთ „ავაშენოთ“ საჭირო შიდა (აზროვნების წესი) და გარე გარემო (ხალხი ვისთან ერთადაც დროის უმეტეს ნაწილს ვატარებთ), ეს გარემოცვა თავისდაუნებურად დაიწყებს თქვენს ხელშეწყობას მიზნისკენ სწრაფვაში“.

გარემოცვასთან დაკავშირებით უცხოურ საიტებზე ნაპოვნი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, დავინტერესდით გაგვეგო იგივე მოსაზრებებს თუ აქვეყნებდა ვინმე ქართულ ენაზე. აღმოვაჩინეთ „წარმატების აკადემია MK“-ის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ათეულობით საინტერესო სტატია. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმატებული გერმანელი ფინანსისტის, „ფინანსების მოცარტად“ წოდებული ბოლო შეფერის საკონსულტაციო წერილები, რომლებიც ძალიან ჰგავს ამერიკელი თომას ლეონარდის მოსაზრებებს გარემოცვასთან დაკავშირებით. წარმოვიდგინეთ ერთ-ერთ მათგანს - „თქვენ ალბათ გსმენიათ ანდაზა: „**მითხარი ვინაა შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ**“. სამწუხაროდ თუ საუბედუროდ ეს ასეა. თუ თქვენ გინდათ რაიმე შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში, მაშინ უნდა შეიცვალოთ გარემოცვა და უფრო მეტად იურთიერთოთ იმ ადამიანებთან, რომლებიც შეგიწყობენ ხელს თქვენი მიზნების ასრულებაში:

**გსურთ გყავდეთ უფრო მეტი კლიენტი** – უფრო მეტი დრო გაატარეთ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ადვილად პოულობენ და იზიდავენ კლიენტებს.

**გსურთ გახდეთ ქარიზმატული პიროვნება** – ეცადეთ დაუახლოვდეთ და ხშირად იყოთ ქარიზმატული ადამიანების გვერდით.

**გსურთ გხდეთ ვეგეტარიანელი** – იმეგობრეთ ვეგეტარიანელებთან.

**გსურთ გახდომა, ჯანმრთელობა, ბედნიერება, გამდიდრება** – ეცადეთ იმეგობროთ იმ ადამიანებთან, რომლებმაც უკვე მიაღწიეს ამ ყველაფერს.

ჩვენს გარემოცვას აქვს უზარმაზარი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე. ხშირად ეს ძალზე საშიში და მავნებელია. მოგიყვანთ რამოდენიმე მაგალითს გარემოცვის ნეგატიურ გავლენაზე:

თუ შედარებით სუსტი აღნაგობის ადამიანი მსუქნების და ღიპიანების გარემოცვაში აღმოჩნდება, ხშირად მოუწევს იმის მოსმენა, რომ „რაც ავადმყოფურად გამოიყურება“, ვინც არ სვამს სპირტიან სასმელებს, მას დაღვევის მოყვარულები საყვედურობენ „შენ არ იცი გართობა“, ღარიბები აცხადებენ, რომ „ფული აფუჭებს ადამიანს“, ზარმაცები კი დასცინიან შრომისმოყვარეს „რა იყო, სად გაგექცევა საქმე, გაჩერდი, რა თავს იკლავ“... პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი წერილმანებიც კი ახდენენ ჩვენზე გავლენას... მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია, რომ საკმარისია ორმა ადამიანმა ერთად გაატაროს ერთი საათი და მათი ელექტრონების 10% იცვლის პატრონს. ანუ თითოეული მათგანი 10% – ით ხდება სხვა ადამიანი.

თუ ერთსაათიანი ურთიერთობის შემდეგ თქვენი აზრების 10% იცვლება მეორე ადამიანის აზრებით, მაშინ ვისთან ისურვებდით მეტი დროის გატარებას?

თუ სათლში მოვათავსებთ კიბორჩხალებს და ერთ-ერთი მათგანი შეეცდება ამოსვლას, სხვები მაშინვე დაიჭერენ და უკან ჩაითრევენ. ბევრი ადამიანი იქცევა კიბორჩხალასავით. არა იმიტომ რომ ბოროტები არიან, არა, უბრალოდ ასე მიაჩნიათ სწორად. მთავარია, არ მისცეთ თქვენი დაჭერის საშუალება - ვერ მიაღწევთ წარმატებას, თუ გარემოცვას მისცემთ საშუალებას არ გაგიშვან თქვენი „კომფორტის ზონიდან“.



რაც არ უნდა მკაცრად ქდერდეს, თქვენ გაქვთ მხოლოდ ერთი არჩევანი: ან უარი თქვით თქვენს მიზნებზე, ან შეიცვალოთ გარემოცვა... ან ნუ მისცემთ უფლებას სხვების აზრებს შეგბოჭონ და შეგაფერხონ მიზნებისკენ მიმავალ გზაზე. ნამდვილი კეთილდღეობა ხომ ჩვენი ხელშეუხებელი უფლებაა. **ბოლო შეფერი**“.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო ადრეულ ასაკში ჩაწდება ადამიანი „წარმატების ფორმულა 1“-ის შინაარსს, მით უფრო მაღე მიაღწევს დასახულ


მიზნებს. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განათლებას მართალია სულ რაღაც 10% უჭირავს, თუმცა ის უდიდეს როლს თამაშობს წარმატების მიღწევის საქმეში - თუ ჩვენ გვინდა გადავახტეთ ტალახიან გუბებს, აუცილებელია შედეგზე გათვლილი 100%-იანი ნახტომი, წინააღმდეგ შემთხვევაში ტალახში აღმოვჩნდებით. ამასთან, რაც უფრო დიდია/ღრმაა ჩვენი განათლება, მით უფრო დიდი რიცხვის 10%-ს წარმოადგენს ის და მით უფრო დიდი მიზნების მიღწევაა შესაძლებელი. კერძოდ, „წარმატების ფორმულა 1“ სიმბოლურად შეგვიძლია შევადაროთ ამწეს (იხ. ნახაზი №1). ნახაზის კონტექსტი არის ის, რომ რაც უფრო დიდი წონა (ნახაზი №1, ლურჯად აღნიშნული ფიგურები - a) აბალანსებს ამწეს, მით უფრო დიდი ტვირთის (ამოცანის) დაძლევა შეუძლია მას. ამასთან, როგორც №1 ნახაზიდან ჩანს, ცალკე აღებული განათლება (ლურჯი ფიგურები) ვერ მოიტანს სარგებელს წარმატებაზე ორიენტირებული აზროვნების წესის (ნახაზი №1, მწვანედ აღნიშნული დეტალები რახედაც დევს/ჩამოკიდებულია ლურჯი ფიგურები, საიდანაც იმართება ამწე - b) გარეშე. აქედან გამომდინარე, ყოველთვის უნდა ვზრუნავდეთ თვითგანვითარებაზე (№2 ნახაზის შესაბამისად), რათა გავზარდოთ ბალანსის წონა (ლურჯად აღნიშნული ფიგურების რაოდენობა №1 ნახაზზე), ვინაიდან სწორედ ასეთი აზროვნების წყალობით არის შესაძლებელი იმ ურთულესი ამოცანების დაძლევა, რითაც უმოკლეს დროში „ვაშენებთ“ დიდ წარმატებას.

აღნიშნულ რეკომენდაციებთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რაც უფრო მეტად ხდება ჩვენი ახალი წინადადების მოწონება ადამიანების მიერ ჩვენი გარემოცვიდან (ნახაზი №1, ამწეს წითელი ფერით აღნიშნული საყრდენი კორპუსი - c), მით უფრო იოლად და გარანტირებულად ვაღწევთ წარმატებას და პირიქით, თუ ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანები ხშირად არ გვეთანხმებიან, აკრიტიკებენ ჩვენს ყოველ იდეას, წამოწყებას, გვღალატობენ და ა.შ. მით უფრო რთული ხდება მათზე დაყრდნობა და შესაბამისად წარმატების მიღწევა. ყოველთვის უნდა ვეცადოთ ისეთი ადამიანების წრე მოვიზიდოთ ჩვენს გარშემო, რომლებიც ობიექტური არგუმენტების გარეშე არ აკრიტიკებენ ჩვენს ყოველ სიტყვას, მხარს გვიჭერენ წამოწყებებში, აზროვნებენ ჩვენს მსგავსად და შეიძლება მათ რჩევებზე დაყრდნობა.

1. წარმატების ფორმულა 1



2. წარმატებაზე ორიენტირებული აზროვნების წესი



## Formula 1 of Success

**Paata Tsagareishvili**  
Business Academy Of Georgia -SBA  
Associate Professor Of

### Summary

In the present work, we tried to gather all the material on the Internet, where the world-famous successful people advise on how to achieve success in the shortest way possible.

We found that the most common in English and Russian sites is the Formula for Success of founder „Coach University“ (1992) and the „International Coach Federation“ (1994), of American trainer Thomas Leonard (1955-2003):  $10\% + 40\% + 50\% = 100\%$  success. where,

10% - Knowledge, skills, abilities;

40% - Thinking.

50% - Setting.

The sooner people realize content of "Success Formula-1", the more early they will achieve its objectives.

### Time-series properties of earnings:

#### First evidence from the Georgian Stock Exchange

**Erekle Pirveli\***

Doctoral Student, Researcher Department of  
Accounting and Control University of Bremen  
Hochschulring 4, 28359 Bremen, Germany

**Jochen Zimmermann, PhD**

Full Professor  
Department of Accounting and Control  
University of Bremen  
Hochschulring 4, 28359 Bremen, Germany

### Working paper

#### Abstract

*The Georgian Stock Exchange (GeSE) is one of the smallest and most illiquid capital markets worldwide. Inefficient regulation and high transaction costs feature high in describing the embryonic stage of Georgia's capital market. This paper, by supplying first empirical evidence on time-series properties of the GeSE earnings, attempts to consider and explain the capital*

market properties from an earnings quality perspective. The major finding suggests that reported earnings are poorly persistent and predictable, making it difficult for investors to assess firm value. This is a pervasive phenomenon: Additional analyses provide evidence that the extent of thin trading, auditing and crisis years of 2008 and 2009 do not drive the poor earnings quality. The same holds for firm-specific characteristics such as size, profitability, financial leverage and growth.

**Keywords:** Time-series properties of earnings; earnings quality determinants; pooled OLS regression

**JEL Classification:** G14, G18, M41, M42


## 1. Introduction

Capital market development is a pivotal indicator of long-run economic growth (Levine and Zervos, 1996). Its importance should not be undervalued for the *less*-developed economies<sup>2</sup>, where capital market growth may represent one of few means to accumulate national wealth.

The Georgian Stock Exchange (GeSE) represents the sole organized stock exchange in Georgia, established under the Law on Securities Market as of 1999. It has a legal status of Joint Stock Company (JSC) and its shares are held by brokerage companies. As of the end of 2012, 133 JSCs were registered at the stock exchange, from which only 3 companies were listed either in A or B categories (Interview, Khizanishvili, 2012).

**Figure 1: Market Capitalization (as a % of GDP)**

This figure illustrates market capitalization of Georgia (represented in relative terms) hand by hand with the average indicators of European Union (EU), lower middle income (LMI), and European and Central Asian (E&CA) countries.<sup>3</sup>



*Source: Authors' own, based on World Bank dataset.*

Figure 1 represents market capitalization of Georgia (as a % percent of GDP) hand by hand with the average indicators of European and Central Asian (E&CA)<sup>4</sup>, lower middle income (LMI), and European Union (EU) countries throughout 2000-2012. For the beginning of the century the indicator for Georgia was less than 1 percent; reached its maximal value (13.7 percent) as of 2007. At the end of 2012, Georgia' market capitalization (843 million USD) constitutes 6 percent of the GDP, and positions on 125<sup>th</sup> place out of 134 countries worldwide. The average

---

<sup>2</sup> Authors already register for the discomfort raised from the use of various terms while denoting the countries other than advanced capitalist countries, and call Georgia as a *less*-developed country.

<sup>3</sup> Please, see the exact list of the benchmark country groups on the website: <http://data.worldbank.org/>.

<sup>4</sup> Within the E&CA only developing countries are meant from Europe and Central Asia.




indicators from the benchmark countries importantly outweigh the Georgian indicator. The outcomes suggest that Georgian capital market is considerably smaller than those within the benchmark groups.

Figure 2 represents value of stocks traded (as a % percent of GDP) at the GeSE hand by hand with the above-listed benchmark countries' average indicators. The outcomes are exhibited in a logarithmic scale. For the beginning of the century the indicator was quite minuscule; reached its minimal value as of 2003. A staunch increase is noticeable in 2012. Though, should be mentioned that after starting from 2008, when trading on the so called “grey market” became allowed, the indicator lost the power; more than 95 percent of the trading moved on the second market; starting from 2008, the value of trading is increased, though, a lion’s share comes on the fixing volume rather than on the sessions. Moreover, after the regulation, the stock exchange has lost its function of holding transparent trading. Prices dramatically (e.g. 10 times) vary within a day.

**Figure 2: Value of Stocks Traded (as a % of GDP)<sup>5</sup>**

This figure illustrates market capitalization of Georgia (represented in relative terms) hand by hand with the average indicators of European Union (EU), lower middle income (LMI), European and Central Asian (E&CA), and European and Central Asian countries without Turkey (E&CA - Turkey).<sup>6</sup>



Source: Authors' own, based on World Bank dataset.<sup>7</sup>

<sup>5</sup> Please pay attention that notwithstanding to the Figure 1, Figure 2 is expressed in a logarithmic scale.

<sup>6</sup> Please, see the exact list of the benchmark country groups on the website: <http://data.worldbank.org/>.

<sup>7</sup> Please, keep in mind that for Georgia's value of stocks traded, authors use selves-calculated information from the GeSE. Notwithstanding to the market capitalization, in terms of value of stocks trading, World Bank indicators

(particularly after 2008) do not coincide with those given by the GeSE.

The average indicators from the benchmark countries importantly outweigh the Georgian indicator. E&CA countries average is mainly driven by the Turkey capital market; without the Turkish capital market, this benchmark group exhibits much lower indicator, though still outstripping Georgian market activity (except of the year 2012). The outcomes suggest that Georgian capital market is considerably more illiquid than those within the benchmark groups. Overall, the stock exchange is one of the smallest and most illiquid capital markets worldwide<sup>8</sup> (Pirveli, 2014).

Limited access to financial recourses is claimed to be one of the most critical factors – impeding development of Georgian economy (Global Competitiveness Index, 2013-2014). In the absence of functional equity market, Georgian financial sector stands only on one leg – debt-market (Silagadze, 2012; National Bank of Georgia, 2009; Pirveli, 2014). Socio-economic development strategy “Georgia 2020” (Georgian Government, 2013) recognizes importance of the GeSE development and declares it as one of the most important macroeconomic postulate within the upcoming years. Inefficient regulation, high transaction costs, and market actors’ limited financial education are blamed to be the main impediments for the market development (Georgian Government, 2013).

The role of earnings quality in market efficiency should not be undervalued. High quality accounting information enables market participants to implement investment decisions on the basis of efficiency (Biddle and Hilary, 2006), promoting to augmented market liquidity. Notwithstanding to high importance of earnings quality in capital market functioning, prior literature keeps silence on the quality of GeSE earnings. This paper aims to fill up the existing research corridor.

Its contributions lie in several folds. Evidence on earnings quality from the less-developed economies, and particularly from the Caucasian region, is scant. By basing on manually collected primary data, this study furnishes first empirical evidence on earnings quality in the context of Georgia. Findings could be immediately relevant for the policy makers – currently working on the formulation of more investor-oriented regulation at the stock exchange; investors – interested to buy shares at the stock exchange; future academics – planning to base their future analyses about the Georgian accounting quality on the prior findings. The work attempts to bring its modest contribution in future market development.

The work is organized as follows. In the second chapter we spell out reporting incentives at the Georgian Stock Exchange (GeSE) and formulate hypothesis. The third chapter briefly reviews

<sup>8</sup> At least between the countries – available in World Bank dataset;

the employed methodology, sample selection procedure, and descriptive statistics. The fourth chapter furnishes empirical evidence. The last part concludes and supplies policy-relevant recommendations.

## **2. Reporting incentives at the GeSE and hypotheses formulation**

Energy consumption for 2011 year in EU-27 (see figure №2), similar to previous years, is mainly dominated by the transport sector, accounting for one third, followed by households and industry sector, amounting to 25% and 26% of final energy consumption respectively. It should be noticed that transport and service sectors has been increased significantly (by 1/3 each), compared to 90's. Also, energy-intensive technologies (Computer, air conditioning and so on) has increased energy consumption considerably in the service sector.<sup>3</sup>

**Figure №2.** Final energy consumption, by sector, EU-27 and Georgia



**Source:** International Energy Agency (IEA) <sup>4</sup>

The case for Georgia is little bit different. The main energy consumption sector is households, followed by transport and industry segment, unlikely to EU-27. If the figures on the left (EU-27) shows us the distribution of energy consumption for the developed world, on the left side we could see how the developing country's economy

<sup>1</sup> 2013 monitoring report of the EU sustainable development strategy, Eurostat, 2013 pp. 217-234

[http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY\\_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF](http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF)

<sup>2</sup> Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia <http://moe.gov.ge>

<sup>3</sup> 2013 monitoring report of the EU sustainable development strategy, Eurostat, 2013, pp 67-96


[http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY\\_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF](http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF)

<sup>4</sup> Energy Balances Statistics <http://www.iea.org/statistics/topics/energybalances/>

is function, where residential sector is consuming two times more Ktoe (million tons of oil equivalent) than industry sector and the % of Service in the final energy consumption is almost two times less in Georgia compared to EU-27.<sup>1</sup>

From the sustainable development point of view it means that in Georgia we are using our energy resources not for construction and production of new goods which could substitute foreign import in a short term and produce more export products in a long run, but simply to cover everyday needs. In other words - no sustainable development could be achieved in this way.

**Figure №3.** Municipal waste treatment, by countries and regions, 2011<sup>2</sup>



Source: Eurostat (online data code: tsdpc240)

European Union is outperforming the most countries given on the map; the only surprise for EU is Korea, where almost 50% of all wastes are recycled (Figure №3). The same parameter for EU is 40%, which means that this amount of waste is recycled or composted. Unfortunately, the terrible situation is in Georgia, nothing is done in this area in a sustainable way. However, investments are done and according to officials in the end of 2014 there a waste management system will appear throughout the country and impressive amount of the waste will be recycled. According to the calculation around 9% of all wastes could be recycled in the year 2034.<sup>3</sup> Let's wait and see.

## 9. Global Partnership

Advancing global partnership should be one of the top priorities of the international community. Acting separately individual countries are doomed to the failure from the very beginning. International organizations were created exactly for the reason to united countries and regions for the common goal, which will be oriented for the prosperity of everyone.

For this reason different policies were elaborated, for instance: The European Consensus on Development (adopted in 2005 year) shows the EU dedication to reduce poverty and support a peaceful development in the world.<sup>4</sup> The document identifies shared values, goals and obligations to put into practice in EU member state development policies. In 2012 Council of Europe adopted the "Agenda for Change", which focuses on:

1. Human rights, democracy and other key elements of good governance, and

<sup>1</sup> In-Depth Review of Energy Efficiency Policies and Programmes Georgia

[http://www.encharter.org/fileadmin/user\\_upload/Publications/Georgia\\_EE\\_2012\\_ENG.pdf](http://www.encharter.org/fileadmin/user_upload/Publications/Georgia_EE_2012_ENG.pdf)

<sup>2</sup> NB: 2003 data (instead of 2011) for AUS and JP; 2004 data (instead of 2011) for Republic of Korea; 2005 data (instead of 2011) for US; 2006 data (instead of 2011) for EU-27 and Georgia.

<sup>3</sup> The future of municipal waste treatment in Georgia <http://liberali.ge/ge/liberali/articles/113985/>

<sup>4</sup> European Commission, The European Consensus on Development

[http://ec.europa.eu/europeaid/what/development-policies/european-consensus/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/europeaid/what/development-policies/european-consensus/index_en.htm)



## 2. Inclusive and sustainable growth for human development.<sup>1</sup>

Some of the global partnership examples for Georgia are: a GSP+ and Deep and Comprehensive Free Trade Agreement projects with EU, which gives a lot of advantages for international trade between EU and Georgia. Even more important document is Association Agreement, which will give a chance and promote Georgia to fully come in line with EU standards and cooperate with minimum barriers.

GSP+ ensures preferences for developing countries (reduced or special tariffs), which covers 7200 types of products could be imported to EU with special conditions in the event of proper adherence to sanitary and phyto-sanitary norms. Unfortunately for Georgia, its strategic goods – wine and mineral waters are not included in “GSP+” list and consequently are taxed while imported to EU market.

On the other hand DCFTA will provide Georgia with an opportunity for trading with EU in free trade regime, of course in case of compliance with relevant standards. The economists assume that ensuring compliance with EU standards in short period of time will be expensive as for the Government of Georgia so for the business, however it will be really profitable in a long run prospective. According to the results of survey implemented by UNDP, enactment of free trade regime between EU and Georgia could have the following results: <sup>2</sup>

- ✓ Insignificant negative impact on fiscal revenues;
- ✓ Insignificant positive influence on all sectors of local production;
- ✓ Purchasing power of population will be increased as well as nominal GDP;
- ✓ Increase of direct investments and stronger international support.

### Conclusion

While EU is recovering from the world financial crisis of 2008 year and taking back its top positions in different areas (in a sustainable way), there is not very optimistic reality for Georgian state’s development (in a sustainable way).

From one point of view it is obvious that Georgia’s future should be and must be closely related to the sustainable development, however, on the other hand continuous fake projects are destroying Georgian economy day after day (in a long run) and the light in the end of the tunnel is dying very fast. Urgent interference is needed. Economic development, social fairness and the natural environment should be balanced in the name of sustainable development.

Georgia, as well as EU (in a less extent) should work hard in the following areas: decreasing air pollution; create and improve clean transport system; focus on bio products mass production; attract only “green” investments; cooperate with international community for global sustainable projects; invention of better social protection system; better health care, climate change on local and global levels; and etc.

The only future Georgia and EU have is a sustainable future in a sustainable environment.

### Literature:

1. Beridze T., “The National Economic Model and Globalization (The Case of Georgia)/ Georgia in Transition. Experiences and Perspectives.” Peter Lang GmbH. Internationaler Verlag der Wissenschaften. Germany, Frankfurt am Main. 2009. P.165-174.
2. Blewitt J., Understanding Sustainable Development, Earthscan, 2008

---

<sup>1</sup> European Commission, Agenda for Change [http://ec.europa.eu/europeaid/news/agenda\\_for\\_change\\_en.htm](http://ec.europa.eu/europeaid/news/agenda_for_change_en.htm)

<sup>2</sup> V. Charaia, “Eastern Partnership Status Quo Assessment and Future Prospects”, EU Integration Issues - Visegrad Countries and the South Caucasus, Caucasian Institute for Economic and Social Research, Tbilisi, 2013. [http://www.csogeorgia.org/uploads/library/108/EU\\_Integration\\_Issues\\_Visegrad\\_Caucasus-geo.pdf](http://www.csogeorgia.org/uploads/library/108/EU_Integration_Issues_Visegrad_Caucasus-geo.pdf)

3. Charaia V., "Eastern Partnership Status Quo Assessment and Future Prospects", EU Integration Issues - Visegrad Countries and the South Caucasus, CIESR, Tbilisi, 2013.
4. Charaia V., "Global Competitiveness of Georgian Economy" // Economics and Business, #1, Tbilisi, 2014 year, pp. 137-150.  
[http://www.tsu.edu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/ekonomika12014.pdf](http://www.tsu.edu.ge/data/file_db/economist_faculty/ekonomika12014.pdf) accessed 08/06/2014
5. Charaia V., "Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia" // International Journal of Social, Human Science and Engineering Vol:8 No:2, WASET, 2014, pp. 570-573. <http://www.waset.org/publications/9997562> accessed 08/06/2014
6. Estes J., Smart Green: How to Implement Sustainable Business Practices..., Wiley, 2009
7. **European Commission, International Trade and FDI, EUROSTAT, 2013 edition**
8. European Commission, Monitoring report of the EU SDS, Eurostat, 2013
9. European Commission, The European Consensus on Development, 2005
10. In-Depth Review of Energy Efficiency Policies and Programmes Georgia, ECS, 2012
11. **Khaduri N., Analyses and prospects of Georgian economy..., PMC Group, 2010**
12. [Krosinsky C.](#), [Robins N.](#), Evolutions in Sustainable Investing..., Wiley Finance, 2011
13. **McNamara P., Sustainable Investment in Real estate, PEI, 2011**
14. **Papava V., Economic Reforms in Post-Communist Georgia**, Nova Science Pub Inc, 2013
15. **Papava V., Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism, iUniverse, 2005**
16. **Papava V., Untraditional Economics, Paata Gugushvili Institute of Economics, 2011**
17. Social protection and social inclusion in Georgia, European Commission, 2011
18. Todua L., Murgulia S., Sustainable Development and Georgian Reforms, CSRDG, 2011
19. UN, Report of the world commission on environment and development, GAR 42/187, 1987
20. UN, World Economic and Social Survey 2013, Sustainable Development Challenges
21. UNEP, "Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development...", 2011. p.16

**web-resources:**

1. [www.cia.gov](http://www.cia.gov)
2. [www.crrcenters.org/](http://www.crrcenters.org/)
3. [www.ec.europa.eu/eurostat](http://www.ec.europa.eu/eurostat)
4. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
5. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
6. [www.goodgovernance.ge/](http://www.goodgovernance.ge/)
7. [www.greengeorgia.ge](http://www.greengeorgia.ge)
8. [www.moe.gov.ge/](http://www.moe.gov.ge/)
9. [www.mof.ge/en/](http://www.mof.ge/en/)
10. [www.transparency.ge](http://www.transparency.ge)

**მდგრადი ეკონომიკური განვითარება საქართველოსა და ევროკავშირში, შედარებითი ანალიზი**

**ვახტანგ ჭარაია**  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*დოქტორანტი*

**რეზიუმე**

მოცემულ სტატიაში განხილულია საქართველოს და ევროკავშირის პოლიტიკები მდგრადი ეკონომიკური განვითარების კუთხით, საიდანაც ნათელი ხდება, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო ევროკავშირის მაღალი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

სტატიის ფარგლებში განხილულია საქართველოს და ევროკავშირის მიდგომები ისეთი აქტუალური საკითხებისადმი, როგორცაა ეფექტიანი მმართველობა, სოციო-ეკონომიკური პოლიტიკა, კლიმატის ცვლილება, გლობალური პარტნიორობა და სხვა. შედარებულია ევროკავშირის და საქართველოს მიდგომები, აგრეთვე სტატიის ბოლოს მოცემულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

**ფინანსური ანგარიშგების საჯაროობის პრობლემა საქართველოში**

**იზოლდა ჭილაძე**  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*ასოცირებული პროფესორი*  
**ნინო ლომიძე**  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*ასისტენტ პროფესორი*

ბიზნესის მართვა, როგორც წესი, სათანადო ინფორმაციას მოითხოვს. საწარმოთა საქმიანობის მრავალმხრივი შედეგების ამსახველი ეკონომიკური ინფორმაცია აუცილებელია არა მხოლოდ საწარმოს შიგნით, მმართველობისათვის, არამედ, გარეთ მეოფი სუბიექტებისათვის, სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგების ამსახველი საფინანსო-ეკონომიკური ინფორმაცია არანაკლებ საჭიროა სამეცნიერო კვლევებისათვის.

წინამდებარე შრომის მიზანია, ვაჩვენოთ საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საჯაროობის აუცილებლობის მნიშვნელობა საქართველოში, როგორც ქართული ეკონომიკის, ისე ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

მეოცე საუკუნეში, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ინტეგრაციის ღრმა პროცესებში გადაიზარდა. წარმოიქმნა ტრანსნაციონალური კორპორაციები. სახელმწიფოთა შორის გაფართოვდა ინვესტიციების მოცულობა. ეკონომიკური პროცესების საერთაშორისო ინტეგრაციის გაღრმავების შედეგად აღმოჩნდა,

რომ სხვადასხვა სახელმწიფოებში საწარმოები ეკონომიკურ მაჩვენებლებს განსხვავებული პრინციპების საფუძველზე აღრიცხავდნენ და ითვლიდნენ. როგორცაა, პროდუქციის თვითღირებულება, შემოსავლები, მოგება, და ა.შ. ასევე განსხვავდებოდა აქტივების, საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების პრინციპები. ასეთი განსხვავებები კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდა არა მხოლოდ ტრანსნაციონალურ კორპორაციების შიგნით, თვით ქვეყნებს შორისაც კი. ყოველივე ამან წარმოშვა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სააღრიცხვო მეთოდის შესწავლის აუცილებლობა. ამ და მსგავსი პრობლემების მოგვარების მიზნით, 1975 წელს, გაეროს ეგიდით შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი, რომელსაც დაევალა შეესწავლა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებული სააღრიცხვო მეთოდიკა და მათგან ყველაზე საუკეთესო გამოეცა, როგორ აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი. აღნიშნულმა კომიტეტმა, პირველად 1978 წელს გამოსცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს), რომელიც გაეროს წევრი ყველა ქვეყნისათვის სავალდებულოა. პერიოდულად მათში ხდება ცვლილებები. 2003 წლის ცვლილებების შემდეგ მას ეწოდა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები (ფასს), რომელიც ამჟამად უკვე შეიცავს საკუთრივ ფინანსური ანგარიშგების თხუთმეტ სტანდარტს და ბუღალტრული აღრიცხვის ოცდაათამდე საერთაშორისო სტანდარტს. ფინანსური ანგარიშგებისა და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის ჰარმონიზაცია საერთაშორისო მასშტაბით.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. მას ჩვენი უცხოელი კოლეგები აგრეთვე უწოდებენ ბუღალტრული აღრიცხვის გვირგვინს, რომელშიც ანგარიშგების ელემენტები ანუ ნაერთი (აგრეგირებული) ეკონომიკური მაჩვენებლები (აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები) ისეა დაჯგუფებული და წარმოდგენილი, რომ მათი მეშვეობით რამდენიმე ასეული კოეფიციენტის გამოთვლა შეიძლება, რომელთა შესწავლა, ანალიზი და კვლევა, საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობისა და მოსალოდნელი რისკების მრავალ კითხვაზე იძლევა პასუხს.

კომპანიების (ნებისმიერი ტიპის საწარმოების) მენეჯმენტის უმთავრესი მიზანი, როგორც წესი, არის საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა, კონტროლი და გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიზნების განხორციელებას სათანადო ინფორმაცია სჭირდება, რომლის დაახლოებით 80%-ს ბუღალტრული აღრიცხვა ამზადებს. სააღრიცხვო ინფორმაცია, როგორც წესი, მოიცავს მმართველობითი აღრიცხვის შიდა დეტალიზებულ ინფორმაციას და ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებას.

საწარმოს ნაერთი ფინანსური ინფორმაცია გადმოცემულია მის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც ყოველთვიურად, კვარტალურად და წლიურად მზადდება. მათგან, წლიური ფინანსური ანგარიშგება არის საჯარო ინფორმაცია, როგორც ამას ფინანსური ანგარიშგებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის (ბასს) საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავენ.

ფინანსური ანგარიშგების პაკეტს მიეკუთვნება: ბუღალტრული ბალანსი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება), მოგება/ზარალის ანგარიშგება (სრული შემოსავლების ანგარიშგება); ფულადი ნაკადების ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება; განმარტებითი შენიშვნები.

ბუღალტრულ ბალანსში ასახულია ინფორმაცია საწარმოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების (ანუ ქონების), მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შემადგენლობის შესახებ, წლის დასაწყისისა

და წლის ბოლოსათვის. ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება შესწავლილ იქნას საწარმოს გახდისუნარიანობის, კაპიტალის ადეკვატურობის, ფინანსური სტაბილურობის, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის და ფინანსური რისკების მთელი რიგი კოეფიციენტები.

შეგნიშნავთ, რომ ბოლო ცვლილებებით, ფასს-ის საბჭომ ბუღალტრულ ბალანსს უწოდა „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“, რასაც ვერ ვეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციაზე დაყრდნობით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მრავალი მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალოს, არის ისეთი მაჩვენებლებიც, რომელთა განსაზღვრისათვის ბალანსის ინფორმაცია ავტონომიურად არ კმარა. მაგალითად, ფინანსური რისკების და ფინანსური სტაბილურობის მთელი რიგი მაჩვენებელი და აგრეთვე, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლების გამოთვლას (რომლებიც ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელთა სისტემას მიეკუთვნება) სჭირდება მოგება/ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების მონაცემები. ასე რომ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრულად შეფასებისა და გამოკვლევისათვის, ფინანსური ანგარიშგების მთელი პაკეტის ინფორმაცია საჭირო. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხოლოდ ბუღალტრულ ბალანსს ეწოდოს „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“, გამართლებულად არ მიგვაჩნია.

აგრეთვე, მოგება/ზარალის ანგარიშგებას ეწოდა „სრული შემოსავლების ანგარიშგება“. მაგრამ, მასში, როგორც აღრე, ახლაც, სახელწოდების შეცვლის შემდეგ, წარმოდგენილია საწარმოს საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიც და გაწეული დანახარჯებიც. ასევე, ჩვეულებრივ განსაზღვრულია მოგების სხვადასხვა მაჩვენებლებიც. ამდენად, მოგება/ზარალის ანგარიშგების არსი არ შეცვლილა, სათაური კი არსებითადაა შეცვლილი - „სრული შემოსავლების ანგარიშგება“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება და არის ერთი უხერხულობაც, პირველ ნაწილს სათაური არა აქვს. მეორე ნაწილს კი ეწოდება „სხვა სრული შემოსავლები“. შეგნიშნავთ, რომ თვით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ცნებები: შემოსავალი და ხარჯები განსხვავებული მაჩვენებლებია და აგრეთვე, შემოსავლი და მოგება სინონიმები არაა.

გამომდინარე იქედან, რომ ცნება „მოგება/ზარალი“ - იმთავითვე გულისხმობს სხვაობას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, ახალი სახელდებით: სრული შემოსავლების ანგარიშგებაშიც - წარმოდგენილია სხვადასხვა სახის შემოსავლები და ხარჯები, რომელთა სხვაობით გამოთვლილია მოგების სხვადასხვა მაჩვენებელი. ასე რომ შინაარსი ეწინააღმდეგება ახალ სახელწოდებას. თუ ვიტყვით „სრული შემოსავლების ანგარიშგებას, მაშინ ლოგიკურია მასში ნაჩვენები იყოს მხოლოდ შემოსავლები და არა ხარჯები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღრეულია ცნებები: შემოსავალი და მოგება. რაც გაუმართლებელია. ამდენად, მართებულად ვთვლით, სახელდება კვლავ დარჩეს: „მოგება/ზარალის ანგარიშგება“.

ანგარიშგება „საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ“ - ასახავს ინფორმაციას ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საწარმოს კაპიტალში მიმდინარე წლის განმავლობაში. მათ შორის ისეთ ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეული არ იყო აქციონერებთან განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საწარმოს ფულადი თანხების შემოდინება და გადინება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან ცალ-ცალკე. იგი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ხომარ განიცდის საწარმო ფულის დეფიციტს და საჭიროა თუ არა დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა.

განმარტებით შენიშვნებში განხილულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და მოცემულია განმარტებები და შენიშვნები. რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ვერ ან არ აისახა. მასში მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მუხლების აღწერა ან გაშიფრვა. ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.

გარდა ამისა, მენეჯმენტი საწარმოს უმაღლეს ხელმძღვანელობას წარუდგენს მის მერ მომზადებულ ფინანსურ მიმოხილვას, რომელშიც აღწერილია და ახსნილია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ძირითადი საკითხები. კერძოდ: ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები, რომლებიც მოიცავს საწარმოს საქმიანობის გარემო პირობებში მომხდარ ცვლილებებს, საწარმოს რეაგირებას ამ ცვლილებების მიმართ და მათი ზემოქმედების შედეგებს საწარმოს საქმიანობაზე, ინვესტიციების შენარჩუნებისა და ეფექტიანობის ამაღლების პოლიტიკას, მ.შ, დივიდენდების პოლიტიკას. აგრეთვე მოცემულია საწარმოს დაფინანსების წყაროების სტრუქტურა და ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთნ ფარდობის გეგმური კოეფიციენტი. ასევე, განმარტებებში მოტანილია ინფორმაცია ისეთი რესურსების შესახებ, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ვერ აისახა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ზემოთქმულისა, საწარმო ხელმძღვანელობას წარუდგენს სხვა მრავალ ინფორმაცია, რომელიც სცდება ბასს-ის მოქმედების სფეროს. როგორცაა მაგალითად, ანგარიში ბუნების დაცვის შესახებ, გადასახადების შესახებ და სხვ.

ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ უზრუნველყოს ინფორმაციის შესაბამისობა მისი მომხმარებლების ინტერესებთან (აკმაყოფილებდეს არსებითობის პრინციპს), იყოს შესაღარისი, საიმედო და აღქმადი.

ფინანსური ანგარიშგება (გარდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა) უნდა მომზადდეს დარიცხვის პრინციპით და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოთა ფინანსურ ანგარიშგებაში გადმოცემულია საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველი აბსოლუტური (მოცულობითი) ხასიათის მაჩვენებლები, აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები. ამ მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელი ხდება გამოთვლილ იქნას რამდენიმე ასეული ფარდობითი კოეფიციენტი. როგორცაა, საწარმოს გადახდისუნარიანობის, ფინანსური სტაბილურობის, კაპიტალის ადეკვატურობის, ფულადი თანხებით უზრუნველყოფის, ინვესტიციების უკუგების, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის, ავანსირებული ღირებულების ბრუნვალობის, მომგებიანობის, ფინანსური რისკების და სხვა ტიპის კოეფიციენტები, რომელთა ტენდენციების ანალიზი და მათი მიზეზების კვლევა საწარმოთა საქმიანობის ყველა სფეროში არსებული მდგომარეობის სრულყოფის და პროგრესული განვითარების მრავალ კითხვაზე იძლევა პასუხს. ყოველივე ეს მიმართულია როგორც კაპიტალის მფლობელების, ისე დასაქმებული პერსონალის, სახელმწიფოს და მთელი საზოგადოების ინტერესების დაბალანსებული უზრუნველყოფისაკენ.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ვრცელდება მხოლოდ გარეთ გამოსაქვეყნებელ ანგარიშგებაზე და არა საწარმოს საქმიანობის წლიურ ანგარიშში წარდგენილ სხვა ინფორმაციაზე ან რომელიმე სხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე, რაც საჭიროა შიგა მოხმარებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შეფასდეს საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის მრავალი ასპექტი.

ფინანსური ანგარიშგება აჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათზე მიხედვით რესურსების მართვის შედეგებს. ამ მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების (მ.შ. შემოსულობების და დანაკარგების) შემადგენლობა. აგრეთვე ნაჩვენებია სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში და საწარმოს ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან. ყოველივე ეს გამოსადეგია ამ ინფორმაციით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს, გარდა თვით საწარმოს მენეჯმენტისა, წარმოადგენენ მესაკუთრეები, დასაქმებული პერსონალი, პოტენციური ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, კრედიტორები, დებიტორები, სახელისუფლებო სტრუქტურები და საზოგადოების წარმომადგენლები: მეცნიერ-მკვლევარები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და სხვ. საწარმოს ხელმძღვანელობა დაინტერესებულია მოგების მიღებით, მათ განკარგულებაში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებით. მესაკუთრეებს აინტერესებთ მათი წილის შესაბამისად მეტი მოგება ხომ არ შეიძლებოდა მიეღოთ. დასაქმებული პერსონალი თვალყურს ადევნებს შეუძლია თუ არა საწარმოს მათი შრომის დროული ანაზღაურება და სტიმულირება. პოტენციურ ინვესტორებს აინტერესებთ მათ მიერ საწარმოში ჩადებული ინვესტიციები მომავალში როგორ უკუგებას მოუტანთ და როგორია სადივიდენდო პოლიტიკა კომპანიაში. ხომ არ განიცდის იგი ფულის დეფიციტს. საფინანსო დაწესებულებებს (კომერციულ ბანკებს) აინტერესებთ, რამდენად გადახდისუნარიანი და მომგებიანია საწარმო, შეუძლია თუ არა მას დროულად დაფაროს აღებული სესხი და პროცენტები. საქონლის (ან მასალის) მომწოდებლები (კრედიტორები) დაინტერესებული არიან რამდენად სანდოა ამა თუ იმ საწარმოსთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება, არის თუ არა იგი რეალური გადამხდელი. მყიდველები დაინტერესებულნი არიან საწარმოს იმიჯით, შეუძლია თუ არა მას დროულად შეასრულოს საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები. გარდა კომერციული ინტერესების მატარებელი სუბიექტებისა, არსებობენ კიდევ საზოგადოების სხვა წარმომადგენლები როგორცაა, მეცნიერ-მკვლევარები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და სხვა, რომელთაც სჭირდებათ ინფორმაცია როგორც ცალკეული საწარმოების საფინანსო-ეკონომიკური, ისე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ, რათა გამოიკვლიონ ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები.

საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა ორმხრივი დადებითი შედეგების მომტანია. ერთი მხრივ, სულ უფრო პროგრესულად ვითარდება სამეცნიერო ეკონომიკური აზროვნება, მეორე მხრივ, საწარმოები ნერგავენ რა რეკომენდაციებს მათი წინსვლისა და განვითარებისათვის, შედეგად მიიღება ეფექტიანი და სტაბილური ბიზნესი, დასაქმებულთა კეთილდღეობის ამაღლება, სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა და მაღალგანვითარებული ძლიერი სახელმწიფო.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მეცნიერებმა შეისწავლეს რა ათეულობით კომპანიების მრავალწლიანი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია, დაადგინეს მეტად საჭირო და პრაქტიკული ღირებულების ტენდენციები. შემუშავებული იქნა სხვადასხვა ფაქტორული მოდელები, რომლებიც წინასწარ აფრთხილებს კომპანიას, ემუქრება თუ არა მას გაკოტრება უახლოეს მომავალში. მაგალითად, ალტმანის კრედიტუნარიანობის ინდექსი, ბივერის კოეფიციენტი და ა.შ.

ალტმანის კოეფიციენტს შემდეგი სახე აქვს:

$$Z = 3,3 K_1 + 1,0 K_2 + 0,6 K_3 + 1,4 K_4 + 1,2 K_5: \text{ სადაც:}$$

K1 - არის პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე არსებული მოგების ფარდობა მთელ აქტივებთან

K2 - რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ფარდობა მთელ აქტივებთან

K3 - საკუთარი კაპიტალის ფარდობა მოზიდულ კაპიტალთან

K4 - დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების ფარდობა მთელ აქტივებთან

K5 - საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა მთელ აქტივებთან

მოტანილ ინდექსში გამოყენებულია ხუთი მაჩვენებელი საწარმოს ბუღალტრული ბალანსიდან და ორი მაჩვენებელი მოგება/ზარალის ანგარიშებიდან, რომელთა საფუძველზე გამოთვლილია ხუთი კოეფიციენტი. პროფესორმა ალთმანმა კვლევა ჩაატარა იმ სამრეწველო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომლებიც ამერიკაში 1946-1965 წლებში გაკოტრდნენ და ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოჩენილი კანონზომიერებების საფუძველზე, 1968 წელს შეიმუშავა ხემოთ მოტანილი კრედიტუნარიანობის ინდექსი, რომელიც 2,675-ზე დაბალი არ უნდა იყოს. რაც ნიშნავს, რომ საწარმოს მომავალი ორი-სამი წლის განმავლობაში გაკოტრება არ ემუქრება. მეცნიერები აგრძელებენ კვლევას მისი დასაშვები სიდიდის შესახებ.

ასევე, ბივერის მიერ შემუშავებული იქნა კრედიტორული დავალიანებების დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც გამოთვლილია წმინდა მოგებისა და ამორტიზაციის თანხების ჯამის ფარდობით ნასესხებ კაპიტალთან. მისი მინიმალური ზღვარი, ავტორის თვალსაზრისით 0,45-ზე დაბალი არ უნდა იყოს.

ცხადია, მუდმივად მიმდინარეობს კვლევები საწარმოთა ფინანსური რისკების კოეფიციენტების დადგენაზე, გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების სრულყოფისა და დასაშვები ნორმების შესახებ. მეცნიერები ამით მნიშვნელოვნად ეხმარებიან არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნების ეკონომიკას. იმავდროულად, ვითარდება ეკონომიკური მეცნიერული აზროვნება. საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების შესწავლა და კვლევა ასევე მეტად მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერების, დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და სტუდენტებისათვის, რათა გამოიკვლიონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაში არსებული პრობლემები. გააკეთონ ადეკვატური დასკვნები და რეკომენდაციები.

მაგრამ, საქართველოში მსგავსი კვლევების ჩატარება თითქმის შეუძლებელია, რადგან ჩვენში მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება შესახებ არსად არ არსებობს. გარდა კომერციული ბანკებისა, ფინანსურ ანგარიშგებას არცერთი იურიდიული პირი არ აქვეყნებს. არ არსებობს ინფორმაციული ბაზა, სადაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის საწარმოთა ყოველი წლის ფინანსური ანგარიშგების პოვნა. თვით საწარმოთა ხელმძღვანელობაც კი არ იძლევა ფინანსური ანგარიშგების ინორმაციას იმ მოტივით, რომ ეს თითქოს კონფიდენციალური ინფორმაციაა. მათ ან არ ესმით, ან არ სურთ იმის აღიარება, რომ ფინანსური ანგარიშგება საჯარო ინფორმაციაა, რომელიც აუცილებლად უნდა ქვეყნდებოდეს.

ყოველივე ამის შედეგად, კი მაგისტრანტების, დოქტორანტების და ნებისმიერი მკვლევარის დასკვნები რეალობისაგან შორსაა და თითქმის ფიქტიურ ხასიათს ატარებს. ამდენად, ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საჯაროობის მთავარი მოთხოვნა საქართველოში ჯერ კიდევ რეალიზებული არაა.

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საჯაროობის პრობლემის მოგვარების მიზნით საჭიროდ ვთვლით მეწარმეთა კანონში და საქართველოს გადასახადო კოდექსში შეტანილი იქნას ცვლილებები, რაც დაავალდებულებს საწარმოებს, ყოველწლიური



ფინანსური ანგარიშგება ინტერნეტით წარუდგინოს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს, რომლის ინტერნეტ საიტებიდან, ყველა დაინტერესებული პირი შეუფერხებლად მოიპოვებს ნებისმიერი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას. ამასთან, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქართველ მკვლევართა დასკვნები არ უნდა იქნეს განოყენებული მეწარმეთა სამართლებრივი დევნის ან ჯარიმების დაკისრების მიზნით, ჩატარებული კვლევებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში, რათა საწარმოებს მიეცეთ აუცილებელი დრო, გაატარონ მათთვის მისაღები რეკომენდაციები.

ზემოთ მოტანილი ღონისძიებების განხორციელება ერთი მხრივ, დაეხმარება საქართველოში მოქმედი ყველა ტიპის ბიზნესს მის წინაშე მყოფი პრობლემების გადაჭრაში. თვით ბიზნესი გახდება გამჭვირვალე და აღარ იარსებებს სახელწმიფოს მხრიდან არც პოლიტიკური და არც ფინანსური თავდასხმების საშიშროება. მნიშვნელოვნად გაიზრდება თვით ბიზნესის კულტურა, რაც გარდაუვლად იწვევს მოსახლეობის სოციალური ფონის გაუმჯობესებას. მეორე მხრივ, განვითარდება თვით ქართული ეკონომიკური აზროვნება და მეცნიერება, რაც თავის მხრივ მუდმივად პროგრესულ უკუზეგავლენას მოახდენს მთლიანად ეკონომიკაზე. ყოველივე ეს კი იქნება მიკრო და მაკრო ეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი საქართველოში.

### **The problem of financial statement transparency in Georgia**

**Izolda Chiladze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Associate Professor

**Nino Lomidze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Assistant Professor

### **Summary**

The research of the indexes of enterprise financial statements can provide answers to numerous problematic questions of the enterprise's financial-economic activities. The major requirement of the International Financial Reporting Standards (IFRS) is that the Financial Statement of an enterprise must be public information, which is prepared to be published openly. This requirement is still not met in Georgia. As a result, Georgian scientists/researchers are unable to study objectively the financial-economic problems that the enterprises operating in Georgia can face, and to work out ways of solving these problems.

Aiming at the improvement of this flaw, we consider it necessary to carry out the following measures:

- The requirement should be included in The Entrepreneur Law and The Tax Code of Georgia that all legal entities operating in Georgia present via internet financial statements to the statistics department on a daily basis, according to the requirements of the International Financial Reporting Standards;
- All persons concerned should be able to gain Financial Statements of any enterprise of any sector of Georgian economy from the statistics department websites easily and without any charges;

- Georgian law enforcement organizations should not use the results of the research on the financial statement information with the aim of prosecution or financial fining within the first two years after the completion of the research. The enterprises should be allowed time to implement the recommendations suitable for them.

## სოფლის მეურნეობის სტატისტიკა პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრისათვის

ეთერ ხარაიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პროფესორი*

საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისათვის აუცილებელია კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება. დასაბუთებული პოლიტიკის საფუძველზე კი უნდა განისაზღვროს სტრატეგია.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია<sup>1</sup> და იგი რესურსების განაწილებისა და გამოყენების პოლიტიკის საბოლოო მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის დაკავშირება მსოფლიო ბაზართან და სოფლის მეურნეობის ძირითადი ფუნქციების (მოსაღებობის გამოკვება, წვლილი ექსპორტში და გარემოს დაცვა) შესრულება.

მსოფლიო ბაზარზე საკვებზე ზრდადი მოთხოვნის ტენდენციები აღინიშნება. ამ ფონზე უმნიშვნელოვანესია საქართველოში სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებად გამოცხადება. სტრატეგია დარგის მოდერნიზაციისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობისათვის ითვალისწინებს: ეფექტიანი და მდგრადი აგროსასურსათო სექტორის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ღირებულებითი ჯაჭვის შექმნას, ინვესტიციების მოზიდვას კერძო სექტორთან პარტნიორობის გზით ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ახალ ბაზრებზე შესვლის პერსპექტივების განსაზღვრას.<sup>2</sup>

საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარების ისეთი პოლიტიკა და სტრატეგია უნდა შემუშავდეს, რომლის პირობებშიც ბაზარი თავად გამოავლენს კონკურენტუნარიან და განვითარების პოტენციალის მქონე სექტორებს.

პოლიტიკის განსაზღვრაში მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში არსებული სტატისტიკური მონაცემების არსებობა. დღეს აგრარული პოლიტიკის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის იმის მიხედვით შეფასდება, თუ როგორია სოფლის მოსახლეობა, მისი წილი მშპ-ში, ასევე, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი, ექსპორტის მოცულობა, შემოსავლების დონის მაჩვენებლები, პროდუქტების გადამუშავების შესახებ მონაცემები და სხვ. მაშასადამე, სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრისათვის აუცილებელია ხანგრძლივი სტატისტიკური მონაცემების გამოყენება.

<sup>1</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლების სტრატეგია, თბილისი, 2012.

<sup>2</sup> იქვე

ამჟამად სოფლის მოსახლეობის წილი მაღალი და მდგრადია. 2014 წლის მონაცემებით სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 46,2%, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 47,5% იყო.<sup>1</sup> სტრატეგიის შემუშავებისას გასათვალისწინებელია მიწის რესურსების რაოდენობა ერთ ინდივიდზე (მოსახლეობის სიმჭიდროვე). ეს, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს გავანალიზოთ შემოსავლების გენერირება სოფლად. ამ მაჩვენებლის შეფასება სამწუხაროდ შეუძლებელია, რადგან 2004 წლის შემდეგ არ არსებობს მონაცემები მიწის რესურსების შესახებ ქვეყნის დონეზე, ცხადია, რეგიონულ დონეზედაც ვერ ხერხდება ანალიზის ჩატარება და დასკვნების გაკეთება. იგივე შეიძლება ითქვას სახნავი მიწების მიმართაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიწის რესურსების სტრუქტურის შესწავლა. დღეს იგივე პრობლემის გამო ამ საკითხის განხილვაც შეუძლებელია.

დღეისათვის, ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა განსაზღვრულია, როგორც ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ცხადია, წარმოების მოცულობის ზრდა ხელს უწყობს, ასევე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას.<sup>2</sup> აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაანგარიშება ფერმერებს დაეხმარება საექსპორტო შესაძლებლობების რეალურად შეფასებაში, კერძოდ, გამოვლინდება პროდუქტები, რომლებზედაც მოთხოვნა იქნება მსოფლიო ბაზრებზე.

კონკურენტუნარიანობის დონის ადექტაური შეფასებისათვის საჭიროა საიმედო და ხელმისაწვდომი სტატისტიკა. ჯერჯერობით აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაანგარიშება საერთაშორისო სტანდარტებით მხოლოდ FAO–ს ვებ-გვერდზე არსებული მონაცემებით არის შესაძლებელი<sup>3</sup>. საერთაშორისო შედარებისათვის აუცილებელია სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მსოფლიო ინფორმაციული სისტემის ანალოგიურად უზრუნველყოს ისეთი ადექვატური მონაცემების გამოქვეყნება შესაბამისი საძიებო სისტემებით, როგორებიცაა: აგრარული პროდუქტების ექსპორტისა და იმპორტის მთლიანი მოცულობა მსოფლიოში, კონკრეტული პროდუქტის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა მსოფლიოში, საქართველოს აგრარული პროდუქტების მთლიანი სასაქონლო ექსპორტი და იმპორტი და სხვ.

მსოფლიო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების გასასვლელად აუცილებელია ფერმერებს ჰქონდეთ ინფორმაცია არა მარტო ამ პროდუქტების კონკურენტუნარიანობის, არამედ სხვა მახასიათებლის შესახებაც. ექსპერტულმა შეფასებამ გვიჩვენა, რომ ფერმერთა უმეტესობა არ ფლობს ინფორმაციას საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებით; ასევე, არ აქვს მონაცემები ინოვაციურ ტექნოლოგიებზე.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აგროსასურსათო სფეროში აქვეყნებს ისეთ პუბლიკაციებს, როგორიცაა საოჯახო მეურნეობათა ანალიზი, სასოფლო-სამეურნეო აღწერა, „საქართველოს სოფლისმეურნეობა“ და ყოველწლიური პუბლიკაცია, კვარტალური ბიულეტენები, წელიწადეულები, „სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა“ და სტატისტიკური ბიულეტენი და სხვ. აღნიშნულ პუბლიკაციებში მოცემულია ინფორმაციები დასაქმების, კვების, ფერმების მოცულობის, გამოყენებული მიწის ფართობი, სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების,

<sup>1</sup> [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)

<sup>2</sup> დადანიძე გ., საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2014, გვ. 65.

<sup>3</sup> FAOSTAT. Food and Agricultural Organisation of United Nations (FAO) <http://faostat.fao.org/default.aspx>

წარმოების პარამეტრების, შინაური საქონლის რაოდენობას, საგარეო ვაჭრობის, სასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფისა და მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ.

საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზუსტ ინფორმაციას და მის დროულ მოპოვებას, რაც ქართველი ფერმერებისათვის ხელმიუწვდომელია. აუცილებელია საქართველოს სოფლისმეურნეობისაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ბაზრის საინფორმაციო სისტემის (MIS) შექმნა. ამით შესაძლებელი გახდება სტრატეგიული სახის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შესაბამის ბენეფიციარებზე მიწოდება. აზრის საინფორმაციო სისტემა ქართველმწარმოებლებს მიაწვდის ინფორმაციას საექსპორტო ბაზრებისა და იმ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც დაეხმარება მათ ოპოტიმალური გადაწყვეტილებების მიღებასსა და ახალ ბაზრებზე ადგილის მოპოვებაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისათვის გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის ერთი სახეობა გამოზნულია მყისიერი მოხმარებისთვის და ასახავს მიმდინარე ვაჭრობის მოცულობას, ფასებს, სავალუტო კურსში მომხდარ ცვლილებებს; მეორე კი უფრო ხანგრძლივ დროზე გათვლილი მონაცემებია და ასახავს პოლიტიკის ჩარჩოს, ეკონომიკურ მიმართულებებს. ვაჭრობის სფეროში საინფორმაციო სისტემის შექმნა მრავალმხრივ სასარგებლოა როგორც საქართველოს მთავრობის, ისე მომხმარებლებისა და მწარმოებლებისათვის. შაბაზრო ფასების ამსახველ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ, თუ როდის და სად მოხდეს პროდუქციის გაყიდვა. ასევე, საჭიროა განისაზღვროს გრძელვადიანი გადაწყვეტილებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა დაითესოს. ეს იქნება აგრარული პოლიტიკის შემუშავების საფუძველი.<sup>1</sup>

საქართველოსათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია იმპორტიდან ექსპორტზე რეორიენტაცია. დღეს აგროსასურსათო პროდუქტების წილი მთლიანი ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებში დაბალია (28%). ამასთან, ევროკავშირი საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებისათვის საკმაოდ მომთხოვნი ბაზრით გვევლინება.<sup>2</sup> თუმცა, მნიშვნელოვანი პრობლემაა საექსპორტო შესაძლებლობების სტატისტიკური შეფასება. განვითარებული ქვეყნების ბაზარზე შედგენა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უნდა განხორციელდეს. ამ თვალსაზრისით აუცილებელია საქართველოს სტატისტიკური მონაცემების შესადარისობაში მოყვანა პარტნიორი ქვეყნების მონაცემებთან.<sup>3</sup>

ჩატარებული შეფასებების საფუძველზე დადგინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ინფორმაციის დეფიციტი შეინიშნება, ასევე, ზოგიერთ მაჩვენებელში მთელი რიგი შეუსაბამობებია, რის გამოც ფერმერები და ინდივიდები გაუთვითცნობიერებლად, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს წარმოებისა და გასაღების სტრატეგიების შექმნაზე. ექსპერტულმა შეფასებამ კი აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობაში მწარმოებლებსა და მომხმარებლებს სურთ ინფორმაციები: მიწის სავარგულების (მათ შორის ნაკვეთების განაწილების შესახებ კულტურების მიხედვით), სურსათზე ფასების, ადგილობრივი პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების თანაფარდობის, ქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების შესაბამისად

<sup>1</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლების სტრატეგია, თბილისი, 2012.

<sup>2</sup> შავგულიძე რ., სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება, USAID-ის კვლევის მასალები, თბილისი, 2010, გვ. 4.

<sup>3</sup> ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 95.

ექსპორტ-იმპორტის შესახებ და სხვა. სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა არასრულყოფილი ინფორმაციის არსებობა. მონაცემების შედარებითი ანალიზის დროს ხშირია ინფორმაციების შეუსაბამობის შემთხვევებიც, რაც არასაიმედო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას ზრდის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სტატისტიკური მონაცემების მხრივ შემდეგი პრობლემები გამოვლინდა:

- 2004 წლის შემდეგ არ არსებობს მონაცემები სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების შესახებ;
- შეუსაბამობებია სოფლის მეურნეობაში დასქმებულთა სტატისტიკურ მონაცემებსა და ზოგადად მოსახლეობის სტატისტიკაში;
- არ არსებობს სრულყოფილი მონაცემები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ;
- ექსპერტული მონაცემებისაგან განსხვავებულია შინაური ფრინველისა და კვერცხის წარმოების მაჩვენებლები;
- არაადეკვატურია სოფლად შემოსავლების დონის მაჩვენებლები, კერძოდ განსვავებულია მაჩვენებლები სტატისტიკურ კრებულებში „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ და „სტატისტიკური წელიწადწლეული“.
- წინააღმდეგობრივია სოფლად სიღარიბის დონის მონაცემები;
- რეგიონულ დონეზე ინფორმაციული მონაცემების დეფიციტია;
- არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია აგროსასურსათო პროდუქტებზე საცალო ფასების შესახებ;
- არ მოიპოვება მონაცემები ფერმერულ მეურნეობათა სისიდიდის შესახებ;
- დეფიციტია მონაცემებში აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის მიხედვით;
- არ მოიძიება მასალა აგროსასურსათო პროდუქტების ვაჭრობის შესახებ;
- სტატისტიკურ კრებულებში არ მოიძიება ინფორმაცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების მაჩვენებლებზე;
- შესაბამისი უწყებების მიერ არ გაიანგარიშება და შესაბამისად არც აისახება სტატისტიკურ წელიწადწლეულებში მონაცემები აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის შესახებ;
- არ ხდება გამოთვლები წარმოების, პირადი მოხმარების, გაყიდვების შესახებ და სხვ. სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, ინფორმაციების დაზუსტება, მათი მსოფლიოში არსებულ სტანდარტებთან ადეკვატურობაში მოყვანა დასაბუთებული კვლევებისა და წინადადებების საფუძველზე უნდა განორციელდეს შესაბამისი პროექტებითა და პროგრამებით. ეს უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ოპტიმალური აგრარული პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრაში.

### Statistics for defining Agriculture policy and strategy

Eteri Kharashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor

## Summary

The necessity of forming optimal strategy and policy for agriculture development is consented in the article. While defining the policy, the existence of agricultural statistical data is considered as crucial. Based on this concept the cases of deficit and conflicting data in regard of agriculture in Georgia are analyzed.

Through expert assessments the list of information need for producers and consumers in agricultural sector is revealed: division of land by cultures; prices for every type of agricultural food products; comparison of production and consumption of local products; quantity and types of available agrochemicals and plant protection means; the structure of export and import by plant growing and animal husbandry, etc.

In the article the proposals are offered for improving agricultural statistics in Georgia. The importance of its role is concluded for defining the optimal policy and strategy.

### მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში

მანანა ხარხელი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ასისტენტ პროფესორი*

**ტრისტან ჯინჭარაძე**

*თბილისის თავისუფალი*

*უნივერსიტეტის პროფესორი*

მსოფლიო საზოგადოება და მათ შორის ქართველი ერი ამჟამად იმყოფება პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება ეროვნული ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით.

საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გლობალურ სამყაროში ქვეყნის როლის ახლებური გააზრება და მისთვის დამატებითი – საერთაშორისო ფუნქციის შექმნის აუცილებლობა. ამ ფუნქციის შინაარსს საქართველოს აძლევს ის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცე – სამხრეთ კავკასია – რომელშიც ის მდებარეობს. ეს ხომ ის სივრცეა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზასაყარზე, სივრცე რომელიც პატარაა, მაგრამ განსაკუთრებულია. აღმოსავლეთიდან იგი უკავშირდება რუსურსებით (განსაკუთრებით ნავთობით) მდიდარ აზერბაიჯანს და აზიის ქვეყნებს, დასავლეთიდან კი შავი ზღვის მეშვეობით – ევროპას. თუ საქართველო (და საქართველოსთან ერთად მთელი სამხრეთ კავკასია) სისტემურად და თანმიმდევრულად შეასრულებს მსოფლიოს ამ ორი უდიდესი რეგიონის – აზიის და ევროპის – დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას, რომელიც უკვე დაწყებულია „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ ნავთობ და გაზსადენის ამუშავებით, ეს იქნება მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში მისი ახალი მისია, მისი არსებობის და განვითარების ახალი ფორმატი.

ამ ახალი მისის შესრულება საქართველომ უნდა შეძლოს მსოფლიო სატრანსპორტო ბიზნესის ლოგისტიკურ სისტემაში სრული ჩართვით, იმ კონვენციებთან მიერთებით,

რომლებიც ამ სფეროში მსოფლიო დონეზეა შექმნილი და მსოფლიო სტანდარტებით მუშაობს.

აუნდა ავლნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ვერ პოვა თავისი ბუნებრივი, ისტორიული ფუნქციის შესაფერისი ადგილი და ვერც დროის მოთხოვნის შესაბამისი ნაბიჯი გადადგა. მაშასადამე, ჩვენ დღემდე მთელი სისრულით ვერ გამოვიყენეთ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის შანსი. ასეთ დროს, ჯერ კიდევ შაჰ-აბასს ჰქონია ასეთი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სპარსეთთან შეერთებას, ფაზისზე ძლიერი საზღვაო ფლოტის შექმნას და ევროპასა და შიდა აზიას შორის ვაჭრობის ძირითადი გზის ხელში ჩაგდებას” [1, გვ. 204].

ქართველი მეცნიერი ზ. ხონელიძე წერს, რომ ”დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, დრო ჩვენს სასიკეთოთ შემოვატრიალოთ და ჩვენი ბედის გადაწყვეტის დარჩენილ მცირე დროში მხოლოდ მაყურებლის როლში არ აღმოვჩნდეთ” [2, გვ. 3]. ამას მაშინ მოვალწევთ, თუ ჩვენ შევძლებთ საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემაში ინტეგრირებას, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფნის ახალ ფორმატში ისე მუშაობას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა განაწილოს აღიაროს ქართული სახელმწიფოს მნიშვნელობა და მისი განვითარებული სამყაროს ღირსეულ, სრულყოფილებიან წევრად ქცევის საჭიროება.

ასეთ პირობებში, როცა დაირღვა ეროვნული საზღვრები, გაფართოვდა ქვეყნებს შორის კავშირების მასშტაბი და სიმჭიდროვე, წარმოიშვა მრავალეროვნული ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც ფილიალები მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში აქვთ, ცხადია, ცვლილებები განიცადა კავშირის საშუალებებმაც, კერძოდ სატრანსპორტო ბიზნესმა.

ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოდგენილია ტრანსპორტის გარეშე, ტრანსპორტის ფუნქციონირება კი – ლოგისტიკის გარეშე. ლოგისტიკის სატრანსპორტო უზრუნველყოფის აქტუალობა დღითიდღე მატულობს, რადგანაც საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირებში ჩართულ სახელმწიფოთა რიცხვი ყოველდღე იზრდება, რაც ლოგისტიკურ სამსახურებს ავალებს მოაქციონ ისინი მატერიალური, ინფორმაციული თუ ფინანსური ნაკადების ერთიან მსოფლიო ჯაჭვში და მართონ ისინი როგორც ერთი მთელი.

ცნობილი მოვლენების გამო, რაშიც ვგულისხმობთ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფას და სტაბილური კავშირების მოშლას, ტრანსპორტის გამართული მუშაობა შეფერხდა. ამდენად, 1990 წელი, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინა წელი, იყო პიკი ტრანსპორტის საქმიანობაში. ეს ეხება ტვირთების გადაზიდვასაც, მგზავრთა გადაყვანასაც და ტვირთ და მგზავრთბრუნვასაც.

2012 წელს საზღვაო ტვირთბრუნვა 1990 წელთან შედარებით თითქმის განულებულია (0,4%-ია), რკინიგზის ტვირთბრუნვამ შეადგინა 38,6%, საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 26,1%, საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 1,7%. მთელი სიმძლავრით არ არის ამუშავებული ”ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” და ”ბაქო-თბილისი-ერზრუმის” ნავთობ და გაზ მაგისტრალური მილსადენებიც. პირველი ათვისებულია სანახევროდ – 29,67 მლნ ტონა (ნაცვლად 60 მლნ ტონისა), მეორე კი – 40%-ით (8 მლრდ კუბ მეტრი, ნაცვლად 20 მლრდ კუბ. მეტრისა).

გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ გადაზიდულ ტვირთებში პირველ-მეორე ადგილს რკინიგზა და ავტოტრანსპორტი ინაწილებენ. საზღვაო ტრანსპორტს გარდა იმისა, რომ მისი წილი ტვირთბრუნვასა და მგზავრთბრუნვაში მცირეა, არც მისი დინამიკა აქვს სახარბიელო. ასეთ დროს მისი ტვირთების დამუშავების მოცულობა ზრდადია.

მაშასადამე, საზღვაო ტერმინალებში და პორტებში შემოსული ტვირთების მოცულობა იზრდება, მაგრამ სათანადო გადაზიდვები არ ხდება. ჩვენი გამოკვლევით ამის მიზეზია

გადამზიდავ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობა. მაშინ როდესაც უწინ ჩვენს საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში ირიცხებოდა 90 გემი, ამჟამად ერთი ლაინერი და ტანკერიც არა აქვთ. სწორედ ამ მიზეზით და კიდევ სხვა მიზეზებითაც (პროცედურების სიძვირე და სირთულე, საბაჟო მომსახურების ხანგრძლივობა, ტვირთბრუნვის მარეგულირებელი კანონმდებლობის არასტაბილურობა და ა. შ.) შუა აზიიდან და აზერბაიჯანიდან წამოსული ტვირთების გადამისამართება ხდება უფრო კონკურენტულ მაგისტრალზე (მხედველობაში გვაქვს რუსეთის მაგისტრალი). შეუთანხმებლობა და არასინქრონიზაცია სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვებს შორისაც. ყველა ეს მიზეზი სუბიექტურია და გამოსწორებადი.

ამ ვითარებიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია რომ საქართველოს ტრანსპორტის დეპარტამენტს ყველა სახის ტრანსპორტისთვის და აგრეთვე, ყველა საზღვაო პორტებისთვის ცალ-ცალკე ყავდეს შიდა ანალიტიკოს-აუდიტორი, რომელიც სისტემატურად ჩაატარებს SWOT-ანალიზს, ე. ი. შეისწავლის როგორც ჩვენი, ისე კონკურენტების ძლიერ და სუსტ მხარეებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს და რეგიონში ლიდერის პოზიციის დასაკავებლად მისცემს რჩევებს შესაბამისი სახის ტრანსპორტის ხელმძღვანელობას.

საქართველოს სატრანსპორტო ბიზნესი უნდა გახდეს საერთაშორისო ლოგისტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი, მათ ერთი სტანდარტით და "ერთ ენაზე" უნდა იმუშაონ. ამაში ვგულისხმობთ სწორედ ერთნაირი კანონმდებლობით მუშაობას. ასეთ დროს, საქართველო მეტად მრავალ საერთაშორისო სატრანსპორტო კონვენციებთან არ არის მიერთებული. ეს საკითხი სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი.

საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს ჩართულობის გაფართოების ხაზით. საქართველოს დიდი პერსპექტივა რომ აქვს, ეს ცხადზე-ცხადია. ამაზე ბევრს წერენ ტრანსპორტის დარგის ქართველი მკვლევარებიც – ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, თ. ჩხეიძე, ვ. კუჭუხიძე, ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე, რ. თევდორაძე, ე. ტუხიაშვილი, თ. გოჩიტაშვილი და სხვები. სწორედ მათ გამოკვლევებზე და ზოგიერთ უცხოურ გამოცემებზე (რუსულ, ინგლისურ) დაყრდნობით, რომლებშიც შეფასებულია, შედარებული და შეჯერებულია ამ სფეროში საქართველოს გეოგრაფიული, ტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური შესაძლებლობები, ვაკეთებთ დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველო როგორც ევროპა-აზიის სატრანზიტო დერეფანი მთელი სიმძლავრით უნდა ამოქმედდეს, მთლიანად უნდა დაიტვირთოს მისი ყველა სახის ტრანსპორტი, როგორც ქვეყნის "სისხლ ძარღვთა სისტემა" და საქართველოს სამომავლო პერსპექტივაზე უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მისი სატრანსპორტო კონვეიერის მუშაობის რითმის მიხედვით.

წინამდებარე ნაშრომის მოცულობის შეზღუდვულობის გამო ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ რკინიგზის ტრანსპორტზე და საჰაერო ტრანსპორტზე.

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის მეტი ჩართულობის მიმართულებით მხარს ვუჭერთ "ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზის მშენებლობის საკითხს და რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის საკითხს.

საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემაში საქართველოს რკინიგზის მეტ ჩართულობას წინ უპირველესად უდგას ტექნიკური პრობლემები. ეს იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ და ჩვენ მეზობელ ქვეყნებს რკინიგზის განსხვავებული ლიანდაგები გვაქვს. ჩვენი რკინიგზის ლიანდაგი 1520 მმ-იანია, თურქეთისა – 1656 მმ-იანი. ამიტომ თურქეთში საქართველოს მხრიდან რკინიგზის ხაზების გაგრძელება, რა თქმა უნდა, დასახელებულ ტექნიკურ პრობლემას აწყდება. ეს პრობლემა დგას "ბაქო-თბილისი-ახალ ქალაქი-ყარსის" რკინიგზის მშენებლობის იმ მონაკვეთზე, რომელიც ახალქალაქს ყარსთან (თურქეთის ტერიტორია)



აკავშირებს. განსხვავებული ლიანდაგის მქონე ხაზიდან მეორე ხაზზე უნდა განხორციელდეს ტვირთის ჩამოტვირთვა-გადატვირთვის სამუშაოები. ეს კი ტვირთის ტრანსპორტირებას მეტად აძვირებს.

მაშასადამე, საქართველოს და თურქეთის რკინიგზის განსხვავებული ლიანდაგები, მათი შეუთავსებლობა, აუცილებლად პრობლემას შეუქმნის ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მონაკვეთს, რომლის მშენებლობა დაწყებულია. იგივე მოხდება ირანის შემთხვევაში, თუკი საერთოდ დაისმება სომხეთის გავლით ირანთან სარკინიგზო ხაზით დაკავშირება.

ყოველივე ამის მიუხედავად, ქართველი მეცნიერები ს. პავლიაშვილი და ზ. გარაყანიძე, რკინიგზას მაინც განიხილავენ აზიის რეგიონების ცენტრალურ ევროპასთან დაკავშირების ერთ-ერთ ალტერნატიულ გზად. ისინი თავიანთ ნაშრომში – "საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები და პერსპექტივები" – განიხილავენ "ბაქო-თბილისი-ახალ ქალაქი-ყარსის" რკინიგზის და რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის საკითხს (რომელიც აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების გამო დაიკეტა).

"ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზის განხილვისას ისინი საუბრობენ საქართველოს და თურქეთის საზღვარზე ვაგონების გოგორწვილების ევროპულზე გადაცვლის პროცესს და წერენ რომ "მატარებელს აზერბაიჯანული ლოკომოტივი საქართველოს საზღვრამდე მოიყვანს, შემდეგ მას ჩაიბამს საქართველოს ლოკომოტივი. სავარაუდოდ, თურქეთის საზღვართანაც იგივე პროცედურა განხორციელდება თუ არ ჩავთვლით ვაგონების გოგორწვილების ევროპულზე გადაცვლის ხანმოკლე პროცესს, რაც ახალქალაქთან სპეციალურ სადგურზე განხორციელდება" [3, გვ. 29].

გოგორწვილების გამოცვლა რკინიგზის ერთი ხაზიდან მეორე ხაზზე ტვირთის გადატანის (გადატვირთვის) ერთი მეთოდია. ეს მეთოდი გამოსადეგია არაგაბარბიტული, საშიში და თხევადი ტვირთების ტრანსპორტირებისას, აგრეთვე, ასეთ გადატვირთვას აზრი აქვს ევროპის სტანდარტის ვაგონებისთვის. ასე რომ, მხედველობაში მისაღებია ისიც, თუ როგორი სტანდარტის ვაგონები იმოდრავებენ "ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის" რკინიგზაზე.

განიხილება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის საკითხიც. ამ საკითხით განსაკუთრებით სომხეთია დაინტერესებული, რადგან იგი სომხეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ამ გზით სომხეთი ყველაზე მოკლე და იაფი გზით შეიტანს რუსეთში პროდუქციას.

ამ საკითხის გადაწყვეტა რუსეთის, აფხაზეთის, საქართველოს და სომხეთის ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული. ყველაზე ძნელი დასათანხმებელი ალბათ იქნება აფხაზეთი, რომელიც შიშობს, რომ რკინიგზით მიმოსვლის აღდგენას მოყვება ლტოლვილების დაბრუნება აფხაზეთში. თუ ეს შეთანხმება მაინც შედგა, რაც გააფართოებს ჩვენს ჩართულობას რეგიონის ქვეყნების სატრანსპორტო კავშირებში და რაც სასარგებლო იქნება ყველა მონაწილე მხარისთვის, საქართველოს ბევრი ტექნიკური საკითხი ექნება გადასაწყვეტი.

საქართველოს რკინიგზას რომ თანდათან ემატება საერთაშორისო და სატრანზიტო გადაზიდვები, ამის შესახებ საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკაშიც არის ჩაწერილი: "რკინიგზის ტრანსპორტს მნიშვნელოვნად ეკარგება შიდა გადაზიდვების ფუნქცია და იგი, ძირითადად სატრანზიტო გადაზიდვების მომსახურებაზე ხდება ორიენტირებული. კერძოდ, გადაწყვეტი ხდება მისი როლი "ევროპა-კავკასია-აზიის" სატრანსპორტო დერეფნის ფორმირებაში" [4, გვ. 39].

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს რკინიგზაში შემუშავებული "სწრაფი რკინიგზის" პროექტი, რაც გულისხმობს საქართველოს რკინიგზის ცენტრალური

მაგისტრალის სრულ მოდერნიზაციას და რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთზე ახალი, სწორი მაგისტრალის მშენებლობას [4, გვ. 39].

მეტად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თბილისი-ერევნის რკინიგზის რეაბილიტაციის პროექტი. ორივე ეს პროექტი ხელს შეუწყობს მზარდი ტვირთნაკადების მოზიდვას საქართველოს რკინიგზაზე და მის კიდევ მეტ ინტეგრაციას მსოფლიო სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემაში.

სატრანსპორტო ბიზნესის საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემაში საქართველოს ჩართულობას გარკვეული პერსპექტივა აქვს საავიაციო ტრანსპორტშიც. 1990 წელთან შედარებით საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვები საქართველოში მეტად შემცირდა. არც მგზავრთა გადაყვანებია შესაძლებლობის ფარგლებში.

ამჟამად ქართულ ავიაბაზარს ყოველდღე ახალ-ახალი ცვლილებები აქვს. ზოგი კომპანია ბაზარს ტოვებს (მაგ., ჩეხეთის კომპანია) ან ამცირებს რეისებს, ზოგი კი ეხლა შემოდის ბაზარზე, თანაც, საკმაოდ დაბალი ფასებით (მაგ., "ფლავი დუბაი"). ეს ბოლო გარემოება მძიმე მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ კომპანიებს – "აირზენას" და სხვებს. "აირზენას" განცხადებით "ღღეს ქართულ ავიაბაზარზე საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. თუ სახელმწიფო სერიოზულად არ ჩაერევა და ვითარებას არ დაარეგულირებს, სულ მალე ქართველი მგზავრები მხოლოდ თურქული ავიაკომპანიების მომსახურებით ისარგებლებენ. ქართული ავიაკომპანიებიც დაიხურებიან და ავტორიტეტული უცხოური კომპანიებიც წავლენ" [5, გვ. 27].

როგორც ჩანს, ქართულ ავიაბაზარზე მწვავე კონკურენტული ბრძოლაა გაჩაღებული. უცხოურ კომპანიებს ჩვენი ავიაკომპანიები ვერ უწევენ სათანადო კონკურენციას, არც სახელმწიფო პროგრამა გაგვაჩნია ამ დარგში და მთელი ავიაბაზარი "უხილავ ხელს" არის მინდობილი. საზღვარგარეთ ასეთი პროგრამები არსებობს, იქ ავიაკომპანიებს აქვთ სახელმწიფო დაფინანსება.

ჩვენი აზრით, ეს დარგი საქართველოს სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, თუნდაც მისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენთვის ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ყველა უცხოურმა ავიაკომპანიამ შეწყვიტა ჩვენთან ფრენები, მარტო ქართულ „აირზენა“-ს არ შეუწყვიტია იგი. ამის შემდეგ არ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ჩვენ სათანადოდ განვითარებული და სახელმწიფოსგან მხარდსაჭერილი ავიაპარკი უნდა გვქონდეს?

საქართველოს აეროპორტები (მაგალითად, თბილისის) ასრულებენ სატრანზიტო ფუნქციებს, მაგრამ ამ მხრივ დიდ კონკურენციას ხვდებიან თურქული საერთაშორისო აეროპორტების მხრიდან, რომლებიც ევროპას და აზიას შორის საჰაერო ხიდის ფუნქციას ითავსებენ და საქართველოს ამ მხრივ, სერიოზულ კონკურენციას უწევენ. ჩვენი აზრით, თუ ჩვენ აეროპორტებს სახელმწიფო დაფინანსება გაეზრდებათ, მაშინ, მათ შეეძლება გარკვეული შეღავათები და მომსახურების უკეთესი პირობები შესთავაზონ როგორც მგზავრებს, ისე ტვირთშიდავ ავიაკომპანიებს, რომ მათ საქართველოს აეროპორტები აირჩიონ სატრანზიტო პუნქტად.

ამის გარდა, ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანი, როდესაც რომელიმე ქვეყანაში (განსაკუთრებით დაშორებულ ქვეყანაში) მიემგზავრება, ის სატრანსპორტო საშუალებად საჰაერო ტრანსპორტს ირჩევს. ასე რომ, საჰაერო ტრანსპორტი განსაკუთრებით გახდა მნიშვნელოვანი იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ტურიზმის განვითარებაზე აკეთებენ აქცენტს და გლობალურ ტურისტულ ქსელით წამყვანი ადგილის დაკავებას ცდილობენ.

რამოდენიმე წელია ცნობილია, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული და საკმაოდ ყურადღება ეთმობა

საქართველოს პოპულარიზაციის საკითხს ტურისტების მოსაზიდად. იმ ქვეყნებისათვის კი, რომელსაც ამ დარგში ასეთი ამბიციური გეგმები აქვთ და მილიონობით ტურისტის მოზიდვას ისახავენ მიზნად, აუცილებელია საკმაოდ მოზრდილი, საერთაშორისო სტანდარტების დონის აეროპორტის ქონა, რომელიც დააინტერესებს დიდი პრესტიჟის მქონე ავიაკომპანიებს და უცხოელი ტურისტებისთვის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს შექმნის.

ტურისტის კმაყოფილება აეროპორტიდან იწყება. როცა იგი აეროპორტშივე დებულობს დაბალ მომსახურებას, რაც ჩვენ აეროპორტებში ხდება (ლოდინი, პროცედურების სირთულე და ა. შ.) ის უკვე ნეგატიურად განეწყოება ამ ქვეყნის მიმართ.

ევროპა ჩვენთვის ტურისტების ჩამოსვლის ძირითად სამიზნე რეგიონს წარმოადგენს, ევროპელები კი მომსახურების მაღალ სტანდარტებს არიან მიჩვეულნი. ამიტომ ქართულმა მხარემ აქცენტი სწორედ ულტრათანამედროვე სტანდარტების მქონე საერთაშორისო აეროპორტზე უნდა გააკეთოს.

ამის გარდა, აეროპორტები ჩვენ მხოლოდ მსხვილ ქალაქებში გვაქვს, საიდანაც ტურისტული ზონები (თუშეთი, რაჭა, სვანეთი, ხევსურეთი და სხვ.) საკმაოდ დაშორებულია, ხოლო მათთან საავტომობილო გზები უკიდურესად უვარგისი. საზღვარგარეთ დიდ ყურადღებას აქცევენ ასეთ ზონებსაც, კერძოდ, პატარა მასშტაბის, მაგრამ არანაკლებ მაღალი სტანდარტების აეროპორტების აშენებას, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ტურისტისთვის გადაადგილება არაკომფორტული და დამღლეელია. თუ ჩვენ ასეთი დონის ტურისტული ზონების აეროპორტები გვექნება, მაშინ ბათუმის, თბილისის და ქუთაისის აეროპორტებიც უფრო მეტად დაიტვირთებიან. ამის მაგალითად მოვიყვანთ პორტუგალიას, სადაც ალგარვეს რეგიონში ფაროს აეროპორტის გახსნამ ქვეყანაში ტურისტების რიცხვი საგრძნობლად გაზარდა [6, გვ. 27].

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის გასაფართოებლად რეზერვია ტვირთების მოცულობის გაზრდაც. საქართველოს მთავრობამ აქტიურად უნდა იფიქროს იმაზე, რომ რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შემდეგ საქართველოს პროდუქცია გაიტანოს ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც შედარებით სხვა ქვეყნების პროდუქციასთან ეკოლოგიურად სუფთაა (ამიტომ არის, რომ თურქ და ირანელ გადამზიდავებს, რომელთაც ავტოტრანსპორტით ჩამოაქვთ საქართველოში იქაური კარტოფილი, კიტრი, პომიდორი და სხვა ბოსტნეული, უკან მიაქვთ იგივე დასახელების პროდუქცია, მხოლოდ ქართული ჯიშის და ქართულ მიწაზე მოყვანილი). ეს პროდუქცია მაღალუჭადია და მას სათანადოდ მოწყობილი ავიასაშუალებები სჭირდება, ხოლო მის ევროპაში გატანას-სათანადო ორგანიზაცია. ამას ცალკეული ფერმერი (მით უფრო გლეხი) ვერ გააკეთებს, ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. თუ პოლანდიის მთავრობა აკეთებს ამას ყვაილებთან მიმართებაში და თითქმის მთელ მსოფლიოს აწვდის მათ ავიაკომპანიების მეშვეობით, რატომ იგივე არ უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ, მაგალითად, ქართულ, კერძოდ ქუთაისურ მწვანილზე, რომლის ევროპაში მიწოდება მეტად მომგებიანი იქნება. არსებობს აზრი, რომ ქუთაისური მწვანილის მწარმოებლები მცირე მეწარმეები არიან და სატვირთო რეგულარული ავიარეისის დანიშვნის შემთხვევაში ისინი ვერ დატვირთავენ მას [7, გვ. 20]. ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე ექსპერიმენტის მსგავსად სახელმწიფოს დაფინანსებით გაიგზავნოს ევროპაში, თუნდაც ნაწილობრივ დატვირთული ავიალაინერი და მისი წარმატების შემთხვევაში, მთავრობამ იზრუნოს როგორც მწვანილის ფართობების გაზრდაზე იმერეთში, ისე მის ხარისხზე და, ისე მის გადაზიდვაზე მომავალში. იგივე ეხება კახეთის და ქართლის ატამს, სუფრის ყურძენს და სხვას.

ამრიგად, საქართველოს დღეს აქვს შანსი გახდეს გლობალური მსოფლიოს ღირსეული წევრი. მან ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. ჩვენი აზრით, მან ეფექტურად უნდა გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა და ტრანსპორტის სათანადო განვითარებით ევროპული ღონის მომსახურება გაუწიოს ევროპა-აზიის ტვირთ და მგზავრობის ნაკადებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 204.
2. ზ. ხონელიძე, სამხრეთ კავკასია - გეოპოლიტიკური სივრცე, გაზეთი "ბანკები და ფინანსები", 23-29/VI, 2014, გვ. 3.
3. პავლიაშვილი ს. გარაყანიძე ზ., საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი, პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2014, გვ. 29.
4. საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფცია, თბ., 1997, გვ. 39.
5. ასათიანი ლ., რატომ აშინებთ ოწ ჩოსტ კომპანიები ავიაბაზრის მოთამაშეებს, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №3, 2012, გვ. 27.
6. კუჭუხიძე ვ., აეროპორტები და მათი მნიშვნელობა რეგიონის განვითარებისთვის, ჟ. "ბიზნესი და მენეჯმენტი", №3, 2012, გვ. 21.
7. ნადარია ო., გორგოძე ო. და სხვები. ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ჟ. "ეკონომიკა და საბანკო საქმე", 2013, ტ. I, გვ. 20.

## The World Globalization Process

**Manana Kharkheli**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Assistant Professor

**Tristan Jincharadze**

Tbilisi Free University

Professor

### Summary

The paper deals with the issue of Georgia's participation widening in global world processes. It says, that Georgia should use its geographic location maximally and reach an appropriate level of development of transport to serve effectively the number of people and goods coming from Asia to Europe and on the contrary.

The article discusses the matter of air transport and railway's further development possibilities, in terms of Georgia's greater involvement in global economy.

**ცვლილებები და გარდაქმნები საქართველოს ბიზნეს სუბიექტებში როგორც ანტიკრიზისული ღონისძიებები**

**მანანა ხარხელი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ასისტენტ პროფესორი*  
**გიორგი მორჩილაძე**  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*მაგისტრანტი*

კომპანიები არსებობის პროცესში, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოში, გარკვეული პერიოდულობით საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე, რაც აისახება კომპანიის საბაზრო წილის შემცირებაში, ბაზარზე პოზიციების კარგვაში, თანამშრომელთა უკმაყოფილების ზრდაში, მომხმარებელთა უკმაყოფილების ზრდაში და შესაბამისად არჩევანის ცვლილებაში, ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებაში და სხვ. რაც ყოველივე იმას მიანიშნებს რომ კომპანია კრიზისულ სიტუაციაშია ან უახლოვდება მას. ასეთ მდგომარეობაში ძალიან მნიშვნელოვანია მენეჯმენტმა გამოიჩინოს ინიციატივა და შეიტანოს ცვლილებები მართვის პროცესში და ის ხარვეზები რომლებსაც ხედავს გამოასწოროს. როგორ ვიცით არ არსებობს დიდი პრობლემა, არსებობს ბევრი პატარა-პატარა პრობლემა, საჭიროა ეს კარგად გაითავისოს მენეჯმენტმა და პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ თანმიმდევრულად და მობილურად მიიღოს გადაწყვეტილებები რომელთა შესაბამისადაც კომპანია მოახერხებს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას. ცვლილებების განხორციელება და გაბედული ნაბიჯების გადადგმა რა თქმა უნდა ადვილი არ არის, მაგრამ ის არის აუცილებელი იმისთვის, რომ კომპანიამ არსებობა განაგრძოს ან ყოველ შემთხვევაში შანსი მაინც გამოიყენოს თავის გადარჩენის.

ძირითადი საკითხები რომელსაც კომპანიამ ჩვენი აზრით პასუხი უნდა გასცეს კრიზისულ სიტუაციაში თავიდან, არის შემდეგი :

- მიზნობრივი სეგმენტი სწორად არის თუ არა შერჩეული და ხომ არ არის საჭირო სხვა სეგმენტზე გადართვა, მისი გაფართოვება ან შევიწროვება,
- პროდუქტი, რომელსაც თავაზობს კომპანია მომხმარებელს, ხომ არ საჭიროებს ცვლილებას,
- ხომ არ არის საჭირო ახალი რეალზიაციის გზების ძიება,

როგორც მარკეტინგის ცნობილი თოერეტიკოსი ფილიპ კოტლერი აღნიშნავს მარკეტინგული სტრატეგიისა და მარკეტინგული კომპლექსის მართვა პირველ რიგში საჭიროებს ბაზრის სეგმენტირებას, მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრას და ბაზარზე პოზიციონირებას. ბაზრის სეგმენტირება ეს არის, ბაზრის დაყოფა გარკვეული ნიშნის მიხედვით. ასე მაგალითად შესაძლებელია ბაზრის სეგმენტაცია:

- გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით : მსოფლიო ან ქვეყნის რეგიონი, ქვეყნის მიხედვით, ქვეყნის რეგიონის მიხედვით, ქალაქის ზომის, სიმჭიდროვის და კლიმატის მიხედვით;
- დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით: ასაკი, სქესი, ოჯახის სასიცოცხლო ციკლი, შემოსავალი, საქმიანობა, განათლება, რასა, შთამომავლობა, ეროვნება;
- ფსიქოგრაფიული ნიშნის მიხედვით: სოციალური კლასის მიხედვით, ცხოვრების სტილის და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით;
- ქცევის მიხედვით: სიტუაცია, სარგებელი, მოხმარებლის სტატუსი, მოხმარების სიხშირე, ერთგულების სტატუსი, მზადყოფნის სტადია, პროდუქტისადმი დამოკიდებულება;

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ სეგმენტაციის პროცესი მენეჯმენტის მხრიდან სწორედ განხორციელდეს და გათვალისწინებულ იქნეს ის ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება რაც არსებობს. ასე მაგალითად, სეგმენტი უნდა იყოს:

- ადვილად გაზომვადი
- ხელმისაწვდომი
- მნიშვნელოვანი
- დიფერენცირებადი
- განხორციელებადი

მას შემდეგ რაც კომპანია განახორციელებს ბაზრის სეგმენტირებას, ყურადღება უნდა მიაქციოს სამ ფაქტორს იმისათვის რომ ახალი სეგმენტის არჩევის პროცესში შეამციროს შეცდომის დაშვების რისკი, კერძოდ კი გასათვალისწინებელია : სეგმენტის ზომა და ზრდის ტემპი, სეგმენტის სტრუქტურული მიმზიდველობა (მაგალითად გარკვეული სეგმენტზე შესვლა არ იქნება სასურველი კომპანიისთვის თუ აღნიშნულ სეგმენტზე ძალიან მძაფრი კონკურენციაა) და კომპანიის მიზნები და რესურსები.

მიზნობრივი ბაზრის შერჩევის პროცესში კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა სახის მარკეტინგული სტრატეგიები. საერთო ჯამში კომპანიას შეუძლია აირჩიოს ოთხი სტრატეგიიდან ერთ-ერთი კერძოდ კი: არადიფერენცირებული (მასობრივი) მარკეტინგი, დიფერენცირებული სეგმენტირებული მარკეტინგი, კონცენტრირებული (ნიშის) მარკეტინგი და მიკრომარკეტინგი (ადგილობრივი ან ინდივიდუალური) მაკრეტინგი.

არადიფერენცირებული მარკეტინგის სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში კომპანია უგულვებელყოფს სეგმენტებს შორის განსხვავებას და ყველა სეგმენტს უკეთებს ერთნაირ შეთავაზებას. მასობრივი მარკეტინგის სტრატეგიის არჩევის შემთხვევაში კონცენტრირება ხდება ადამიანთა (მომხარებელთა) საერთო მოთხოვნებზე. როგორც პრაქტიკა ამბობს თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი მარკეტინგის სტრატეგია თანდათან სულ უფრო და უფრო სარისკო ხდება კომპანიებისთვის, რადგან მომხარებელთა მოთხოვნილებები სულ უფრო და უფრო იზრდება და ისეთი პროდუქტის ან მომსახურების შექმნა რომელიც ყველა სეგმენტს დააკმაყოფილებს ძალიან რთულია, ამიტომაც მრავალი კომპანია მასობრივ მარკეტინგთან შედარებით უპირატესობას სხვა სტრატეგიებს ანიჭებს. დიფერენცირებულ მარკეტინგის (იგივე სეგმენტური მარკეტინგის) სტრატეგია გულისხმობს იმას, რომ კომპანია ბაზარს განიხილავს რამოდენიმე სეგმენტად და თითოეულ სეგმენტს თავაზობს განსხვავებულ და მათზე მორგებულ პროდუქტებს. ასე მაგალითად ავტომწამოებლები თავაზობენ როგორც ძალიან ძვირადღირებულ მანქანებს მომხარებლებს ასევე შედარებით იაფიანსაც. მაგალითად ალკოჰოლური სასმელების ბრენდი JackDaniels-ი თავაზობს სხვადასხვა ფასისა და ხარისხის სასმელს მომხარებელთა სხვადასხვა სეგმენტს. კონცენტრირებული მარკეტინგი (იგივე ნიშის მარკეტინგი)- გამოიყენება ძირითადად კომანიათა მხრიდან იმ შემთხვევაში თუ კომპანიის რესურსები შეზღუდულია, ამ შემთხვევაში კომპანია კონცენტრირებას აკეთებს განსაკუთრებით ვიწრო სეგმენტებზე (ასე მაგალითად სადაზღვევო კომპანია რომელიც სპეციალიზირებულია ცხოველთა დაზღვევაზე და სხვ.). მიკრომარკეტინგის სტრატეგია წარმოადგენს ადგილობრივი მარკეტინგის და ინდივიდუალური მარკეტინგის კომბინაციას. ადგილობრივი მარკეტინგის არსი მდომარეობს იმაში რომ, კომპანია პროდუქტს ან მომსახურებას რომელსაც სთავაზობს მომხმარებელს მაქსიმალურად არგებს თითოეულ მათგანს, ხოლო ადგილობრივი მარკეტინგი კი გულისხმობს მიზნობრივი სეგმენტისთვის პროდუქციზე ან მომსახურებაზე მოქმედი ადგილობრივი მახასიათებლების განსაზღვრას.

მას შემდეგ რაც კომპანია განახორციელებს ბაზრის სეგმენტირებას და მიზნობრივი ბაზრის შერჩევას აუცილებელია გააკეთოს პოზიციონირება. ფილიპ კოტლერის

განმარტების შესაბამისად ბროდუქტის პოზიცია - ეს არის მომხარებლის მიერ პროდუქტის შეფასება მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით და აღნიშნული განაპირობებს პროდუქტის პოზიციას. (ფ. კოტლერი, 2006) ეს არის პოზიცია რომელიც მოცემულ პროდუქტს უჭირავს მყიდველის თავში კონკურენტი პროდუქტებთან მიმართებაში. პოზიციონირება გულისხმობს მომხმარებლის გონებაში ბრენდის უნიკალური სარგებლისა და განმასხვავებელი მახასიათებლების ჩაბეჭდვას. იმისათვის რომ კომპანიამ განახორციელოს საკუთარი თავის პოზიციონირება მან უნდა გაიაროს შემდეგი სამი ეტაპი:

- დაადგინოს შესაძლო კონკურენტულ უპირატესობათა ჩამონათვალი,
- მოცემული კონკურენტული უპირატესობებიდან ამოირჩიოს ერთ-ერთი,
- შეარჩიოს პოზიციონირების სტრატეგია,

კომპანიის კონკურენტული უპირატესობა გულისხმობს კომპანიის უნარს, მიაწოდოს კონკურენტებთან შედარებით უფრო დიდი ფასეულობა მომხმარებელს. ამასთან შეთავაზება მომხარებლისთვის პროდუქტის შეიძლება იყოს მისაღები ხარისხი - დაბალი ფასი ან მაღალი ხარისხის და მაღალი ფასი (ან მისაღები ფასი). კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და კონკურენტებისგან დიფერენცირება კომპანიამ შეძლება მოახერხოს: უშუალოდ პროდუქტის, მომსახურების, რეაქციის არხის, პროფესიონალი კადრების ან სხვა საშუალებებით. მაშ შედეგ რაც კომპანია ჩამოწერს საკუთარ კონკურენტულ უპირატესობებს, როგორც ზემოთ დავწერე საჭიროა მან ამოარჩიოს ის რომელზე დაყრდნობასაც გააკეთებს და რომლის შაბამისადაც წარუდგენს ბაზარს თავს. კონკურენტული უპირატესობის ამორჩევის პროცესში კარგი იქნება თუ კომპანიის მენეჯმენტი გაითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას, ასე მაგალითად, კონკურენტული უპირატესობა რომელსაც უნდა ემყარებდეს კომპანია, უნდა იყოს :

- მნიშვნელოვანი - მომხმარებლისთვის რელევანტური ფასეულობის შეთავაზება იგულისხმება
- განსხვავებული - კონკურენტების უპირატესობებს არ უნდა იმეორებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი არ ექნება დიფერენცირებას
- საუკეთესო - მომხარებელი უნდა მიხვდეს იმას, რომ უფრო მეტი სარგებლით პროდუქტის შექმნას სხვაგან ვერ მოახერხებს
- შესამჩნევი
- დაცული - არ უნდა იყოს ადვილი მისი კოპირება მეტოქეებისთვის;
- ხელმისაწვდომი
- მოგმებიანი

შემდეგი ეტაპი პოზიციონირების არის პოზიციონირების სტრატეგიის განსაზღვრა. ბრენდის სრულ პოზიციონირებას ეწოდება ბრენდის ფასეულობათა განაცხადი: სარგებლის სრული კომპლექტი რომლითაც პოზიციონირებულია ბრენდი. ქვემოთ მოყვანილია დიაგრამა №1- ზე მოყვანილია სტრატეგიები, რომლითაც კომპანიას პოზიციონირება შეუძლია:

		ფასი		
		მეტი	იგივე	ნაკლები
სარგებელი	მეტი	მეტი- მეტით	მეტი- იგივეთი	მეტი- ნაკლებით
	იგივე			იგივე - ნაკლებით
	ნაკლები			ნაკლები - ნაკლებით

დიაგრამა № 1. კომპანიის პოზიციონირების სტრატეგიები

მეორე კითხვა, რომელსაც კომპანიამ უნდა გასცეს პასუხი მდგომარეობს შემდეგში: შეესაბამება თუ არა პროდუქტი რომელსაც კომპანია სთავაზობს მომხმარებელს იმ მოთხოვნებს რომელსაც უყენებენ მას მომხმარებლები. პროდუქტი ეს არის ყველაფერი რაც შეიძლება ბაზარს მიეწოდოს ყურადღების მისაქცევად, შესაძენად, გამოსაყენებლად ან რომელიმე სრუვილის ან საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ნებისმიერ კომპანიას ესაჭიროება მუდმივად სრულყოფილი და განავითაროს პროდუქტი, ან შესთავაზოს ახალი პროდუქტი მომხმარებლებს. ახალი პროდუქტის შეთავაზება კომპანიას შეუძლია 2 გზით : 1) შესყიდვის გზით - მთლიანად ორგანიზაციის ან არამატერიალური აქტივის (პატენტის ან ლიცენზიის) 2) ახალი პროდუქტის განვითარებით - კომპანიის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტზე დაყრდნობით. კომპანიის მხირდან ახალი პროდუქტის შექმნა ყოველთვის ძალიან დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, ძალიან მაღალი პროცენტი ახლად შექმნილი პროდუქტების ვერ პოულობს წარმატებას ბაზარზე და ზარალიანი გამოდის. ეს არ არის გასაკვირი მძაფრი კონკურენციის გამო, ამასთან თუ ისეთ გიგნატებს როგორებიც არიან: FordMotors, Coca-Cola, Apple და სხვ. აქვთ დაშვებული შეცდომები ახალი პროდუქტის გამოშვების დროსა არჩევანის გაკეთებისას, მაშინ ცხადი ხდება რომ ნებისმიერი კომპანია შეიძლება ამგვარი რისკის წინაშე დადგეს.

ახალი პროდუქტის განვითარების ეტაპები არის შემდეგი:

- იდეების გენერაცია
- იდეათა შერჩევა
- კონცეფციის და მისი განვითარების გამოცდა
- მარკეტინგული სტრატეგიის განვითარება
- ბიზნეს ანალიზი
- პროდუქტის განვითარება
- ტესტ-მარკეტინგი
- კომერციალიზაცია



ამასთან თითოეული ეტაპი საჭიროა კომპანიამ სრულყოფილად გაიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისედაც მაღალი წარუმატებლობის რისკი კიდევ უფრო გაიზრდება.

ახალი პროდუქტის განვითარების ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს ორი გზიდან ერთ -ერთით:

- პროდუქტის თანმიმდევრული განვითარების გზით
- პროდუქტის ერთდროული განვითარების გზით

პროდუქტის თანმიმდევრული განვითარების შემთხვევაში ახალი პროდუქტის შექმნის ეტაპები მიმდინარეობს თანმიმდევრულად და ახალი ეტაპი იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება წინა ხოლო ერთდროული განვითარების შემთხვევაში კი იურიდიული, ფინანსების, გაყიდვების, დიზაინის და სხვა განყოფილებები ერთდროულად მუშაობენ ახალი პროდუქტის შექმნაზე .

მესამე საკითხი, რომელზეც აუცილებელია კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლელად დაფიქრდეს კომპანია არის რეალიზაციის არხების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აუცილებელია ის გზები, რომლითაც პროდუქტი საბოლოო მომხმარებელამდე მიდის სწორედ იყოს შერჩეული. კომპანიის გაყიდვების არხზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ერთმანეთისგან გაყიდვების და მიწოდების არხები. გაყიდვების არხის არსი იმაში მდგომარეობს რომ, დაარწმუნოს მომხმარებელი დადებითი გადაწყვეტილების მიღებაში პროდუქციის შექმნისას, ხოლო მიწოდების არხის დანიშნულება კი არის მისცეს მომხმარებელს საშუალება კომპანიის საქონელი თუ მომსახურება შეიძინოს. მაგალითად, თუ ფარმაცევტულმა კომპანიამ აწარმოა ახალი წამალი და განათავსა ფარმაცევტულ ქსელში სარელაიზაციოდ, ხოლო წამალის საყიდლად აფთიაქში შესულ ადამიანის ფარმაცევტი ურჩევს მოცემულ წამალს და აუხსნის თუ რა დადებით ეფექტის მოტანა შეუძლია აღნიშნულ წამალს მოცემული ადამიანისთვის, მაშინ მიწოდების არხი ( მოცემულ შემთხვევაში აფთიაქი, სადაც იყიდება აღნიშნული წამალი) ასევე გაყიდვების არხადაც გვევლინება.

აღნიშნული სახის გამოიჯენა მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ უფრო ეფექტიანი გაეხადოთ კომპანიის გაყიდვების არხები. გაყიდვების არხების ეფექტიანობის მახასიათებლები არის :

- არხის საიმედოობა მომხმარებლისთვის - მომხმარებლები არჩევანის გაკეთების პროცესში, ცდილობენ რამდენადაც შეუძლიათ საიმედო წყაროდან მიიღონ ინფორმაცია პროდუქტის ან მომსახურების შესახებ (მაგალითად მეგობრებს, ნათესავებს ან ახლობლებს კითხონ) და აქედან გამომდინარე კი ერთ-ერთი ყველაზე კარგი არხი შეიძლება იყოს ლოკალური მომხმარებლები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას გარშემომყოფებში მოცემული კომპანიის შესახებ;
- არხის შეღწევადობა - მოცემული მახასიათებელი გულისხმობს იმას, თუ რამდენად სრულად ახერხებს კომპანიის გაყიდვის არხი პოტენციური მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
- ინფორმაციის სრულად გადაცემის შესაძლებლობა - იგულისხმება არხის უნარი, სრულად გადასცეს პროდუქტის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს (რაც ხშირად საკმაოდ რთულია რადიო ან სატელევიზიო არხების გამოყენების შემთხვევაში);
- არხის ექსპლუატაციის ხარჯიანობა - ანუ მოცემული გაყიდვების არხით ინფორმაციის გავრცელება და მომხმარებელთა დარწმუნება რამდენად ძვირი უჯდება კომპანიას;

- არხის აწყოების და გამართვის სირთულე - ინფორაციის მიწოდება მომხარებლისთვის შეიძლება სხვადასხვა გზით. ეს შეიძლება მოხდეს მაგალითად ბილბორდების ან ბანერების გამოყენებით, რაც არ არის დიდ სირთულეებთან დაკავშირებული ან პირდაპირი დაკავშირების მეთოდით მომხარებლებთან რაც უფრო რთულია, რადგან მოითხოვს თანამშრომელთა სწავლებას, განვითარებას, მოტივაციას და სხვ.

თუ კომპანიის მენეჯმენტი კრიზისულ სიტუაციაში გასცემს პასუხს მოცემულ სამ შეკითხვას, რომელიც ეხება : მიზნობრივ ბაზარს, პროდუქტს და გაყიდვების არხებს და შემდეგ მიღებული პასუხების შესაბამისად განხორციელებს ბიზნეს მოდელის ცვლილებას, მნიშვნელოვნად გაიზრდება კომპანიის შანსები გამოვიდეს კრიზისული სიტუაციიდან.

მსოფლიო პრაქტიკით დაგროვილია საკმაოდ დიდი გამოცდილება რომელიც კომპანიებს ცვლილებების განხორციელების პროცესში ეხმარება. როგორც ზემოთ მაქვს ნახსენები, კრიზისულ სიტუაციაში კომპანიას ესაჭიროება ბიზნეს მოდელის ცვლილება, რომელიც ზრდის კომპანიის კრიზისიდან წარმატებულად გამოსვლის შანსებს. რეკომენდაციები დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილებიდან არის შემდეგი :

- არაადმასრულებელი დირექტორის პოზიციის ჩამოყალიბება ადმასრულებელ ორგანოში;
- მენეჯმენტის მხრიდან გააზრება იმის, რომ ორგანიზაციულ ცვლილებებს ხშირ შემთხვევაში ახლავს წინააღმდეგობები თანამშრომელთა მხრიდან და რომ საჭიროა შესაბამისი წინააღმდეგობის გამომწვევი მიზეზის იდენტიფიკაცია და მისი გადაჭრა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
- ცოდნის მართვის სისტემის დანერგვა;
- ცვლილებების განხორციელებისადმი დამოკიდებულების ცვლილება;

ერთ - ერთი გზა ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესის გაუჯობებისთვის არის: არაადმასრულებელი დირექტორის პოზიციის ჩამოყალიბება ადმასრულებელ ორგანოში. აღნიშნული პოზიციის არსებობის პრაქტიკა თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული და გამოყენებადია, რაც მისი ეფექტიანობით აიხსნება.

არაადმასრულებელი დირექტორი (NED) არის დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც არ ეკუთვნის ადმასრულებელ ორგანოს. მას ორგანიზაციაში აკისრია საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი. მისი ფუნქცია არის ის, რომ დირექტორთა საბჭოს დაეხმაროს საქმიანობის განხორციელებაში ობიექტური კრიტიკით. არაადმასრულებელი დირექტორები აფასებენ კომპანიის სტრატეგიას და მის პრობლემებს, მის მწარამოებლურობასა და რესურსების განაწილებას. საკანონმდებლო მოთხოვნები - პასუხისმგებლობა და პოტენციური ვალდებულებები მათ მიმართ ისეთივეა (მსოფლიო პრაქტიკით), როგორც ადმასრულებელი დირექტორების მიმართ. არაადმასრულებელი დირექტორის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ჩვეულებრივ არის შემდეგი, ის უნდა იყოს:

- დამოუკიდებელი
- მიუკერძოებელი
- დიდი გამოცდილების მქონე
- სპეციფიური ცოდნის მქონე
- კორპორატიული კულტურის შესაბამისი პირადი მახასიათებლების მქონე

აღმასრულებელმა დირექტორებმა აუცილებლად უნდა მოუსმინონ და გაითვალისწინონ რჩევები არააღმასრულებელი დირექტორების. არააღმასრულებელი დირექტორების ძირითადი პასუხისმგებლობა არის შემდეგი :

- სტრატეგიული მიმართულებაზე დაკვირვება

ისევე როგორც აუტსაიდერს, არააღმასრულებელ დირექტორს უნდა ჰქონდეს მკაფიო, ნათელი და ფართო ხედვა გარე ფაქტორებზე რომლებიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის სატრეტივის რეალზიაციაზე და მის გარე ფაქტორებზე. ერთ-ერთი ძირითადი როლი არააღმასრულებელი დირექტორის სწორედ ის არის, რომ მას ევალება განახორციელოს კომპანიის სტრატეგიაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების გაცემა.

- მონიტორინგის განახორციელება

არააღმასრულებელმა დირექტორმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი კომპანიის სტრატეგიის შესრულების პროცესზე, ასევე მის პროგრესზე და განვითარებაზე.

- კომუნიკაციის ფუნქცია

მნიშვნელოვანი როლი, ასევე რომელიც აკისრია არააღმასრულებელ დირექტორს არის ის, რომ განახორციელოს კომუნიკაცია აღმასრულებელ ორგანოს, ბიზნესსა და ორგანიზაციის გარეშე პირებთან, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული სარგებლის მოტანა კომპანიისთვის.

- რისკების კონტროლი

არააღმასრულებელმა დირექტორმა უნდა განახორციელოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობისა და ფინანსების მართვის პროცესში არსებული რისკების ანალიზი და მიაწოდოს გარკვეული რეკომენდაციები აღმასრულებელ ორგანოს .

კომპანიის მენეჯმენტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ის, რომ ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების პროცესში საკმაოდ ხშირად დგება თანამშრომელთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის პრობლემა . ორგანიზაციებში ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას წარმოადგენს ნებისმიერი განწყობა ან ქცევა, რომლებიც დემონსტრირებენ მათი სურვილის არ ქონას გაატარონ ან მხარი დაუჭირონ სასურველ ცვლილებას.

ჩემი აზრით ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესს ნებისმიერ კომპანიაში გაამარტივებს მენეჯმენტის მხრიდან თანამშრომელთა წინააღმდეგობის მიზეზების გამოვლენა და წინასწარ განსაზღვრული წინააღმდეგობის დაძლევის მეთოდების ჩამოყალიბება .

ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების წინააღმდეგობის მიზეზები შეიძლება იყოს: გაურკვევლობის შიში, საკმარისი ინფორმაციის არქონა, ჭორები, ძალაუფლების დაკარგვის შიში, წარუმატებლობის შიში და სხვ. კომპანიის მენეჯმენტს აუცილებლად უნდა ახსოვდეს ის რომ, წინააღმდეგობები რომლებიც წარმოიქმნება ცვლილებების განხორციელებისას თანამშრომელთა მხრიდან არის ლოგიკური და მოსალოდნელი საქციელი. მენეჯმენტის მხრიდან საჭიროა მათთან მიმართებით იმგვარი მიდგომის ჩამოყალიბება რომ, მოხდეს მათი მოტივაცია და გახდნენ ისინი ინიციატორები ცვლილების განხორციელების. თანამშრომელთა მომართვა და მოტივაცია საქმის შესრულებისთვის შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებათა კომპლექსით, ასე მაგალითად საჭიროა მენეჯმენტმა გაავრცელოს ყველა საჭირო და რელევანტური ინფორმაცია თავიდანვე, იმის გამო რომ არ მოხდეს გარკვეული ინფორმაციის გაუონგა, რომელიც კიდევ უფრო დამახინჯდება სანამ თანამშრომლებამდე მივა და ბევრად უფრო მეტ პრობლემას შექმნის ვიდრე შექმნიდა თავიდანვე გავრცელების შემთხვევაში. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლებმა იგრძნონ მხარდაჭერა ხელმძღვანელობისგან ანუ დარწმუნდნენ იმაში, რომ საჭიროების შემთხვევაში კომპანია მას აუცილებლად დაეხმარება,

გარკვეული ცოდნის უკმარისობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სპეციალურ ტრენინგებს და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია მენეჯმენტს ახლო კომუნიკაციის პროცესი მუდმივად ჰქონდეს თანამშრომლებთან.

ჩემი აზრით ასევე ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესს კომპანიებში მნიშვნელოვნად გაამარტივებს ცოდნის მართვის სისტემის დანერგვა. იმის გასარკვევად თუ რა ცვლილებები და როგორ განხორციელდეს მოითხოვს საკმაოდ დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, სწორედ ამიტომ ცოდნის მართვის სისტემის დანერგვა კომპანიაში უზრუნველყოფს მენეჯმენტისთვის ცვლილებების მართვის პროცესის გაამარტივებას.

უკანასკნელ ხანს ინტერნეტი ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ცოდნის მართვაში - ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციისა და მათი გავრცელების გზით.

ცოდნის მართვა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, მიმართულს ორგანიზაციული კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ცოდნის მართვა მიმართულია ორგანიზაციის ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლებისკენ, რომელიც დღეს უკვე წარმოადგენს ორგანიზაციის უმთავრეს კაპიტალს.

ცოდნის მართვისთვის გამოყენებული ტექნოლოგიებიდან ცნობილია:

- ინფორმაციული საცავები
- ინფორმაციის გატარება
- კორპორატიული ინფორმაციული ქსელები (ინტრანეტი)

ჩემი აზრით ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესს კომპანიაში მნიშვნელოვნად გაამარტივებს კომპანიის თანამშრომლებში და მთლიანად ორგანიზაციაში ცვლილებებისადმი იმგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება რომლის შესაბამისადაც ის იქნება უბრალოდ ინსტრუმენტი კომპანიისთვის ძირითადი დანიშნულების განსახორციელებლად.

საჭიროა თითოეულმა თანამშრომელმა გაიაზროს რომ, კომპანიას სადაც ის მუშაობს აკისრია მნიშვნელოვანი მისია, რომლის გამოც ის არსებობს და რომლის შესრულებისკენაც მუდმივად მიიღტვის და რომ ეს პროცესი თავისთავად არსში მოიცავს მრავალი ცვლილების განხორციელებას, რადგან სრულყოფა რაღაცის თავის მხრივ გულისხმობს ძველის უკუგდებას.

ჩვენი აზრით, კომპანიის მენეჯმენტი უნდა ეცადოს იმას, რომ კომპანიის თანამშრომლებს გაათავისებინოს ის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიისთვის მისი მისიის შესრულებაა, რომელიც მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას გულისხმობს. როდესაც მენეჯმენტი ამას მოახერხებს მას ძალიან გაუმარტივდება ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება კომპანიაში .

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არმსტრონგი გ., კოტლერი ფ., მარკეტინგის საფუძვლები . თბილისი “პეარსონ ედუკატიონ” , 2006 (706 გვ.)
2. სინერჯი ჯგუფი, თანამედროვე ორგანიზაციების მართვა. თბილისი, “სინერჯის ბიზნეს გამომცემლობა”. 2012 (208 გვ.)
3. სინერჯი ჯგუფი. ვინ გაყიდის ხვალ .თბილისი. თბილისი, ”სინერჯის ბიზნეს გამომცემლობა”. 2012 (192 გვ.)
4. სინერჯი ჯგუფი.მართვის ახალი გეომეტრია. თბილისი, ”სინერჯის ბიზნეს გამომცემლობა”. 2012 (213 გვ.)

5. სინერჯი ჯგუფი.მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის.თბილისი, თბილისი, "სინერჯის ბიზნეს გამომცემლობა". 2012 (213 გვ.)

**Changes and transformation of Georgia's business entities as anti-crisis arrangement**

**Manana Kharkheli**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Assistant Professor**

**Giorgi Morchiladze**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Assistant Professor**

**Summary**

**In the modern world, there is big risk of crisis for any company. The reasons of crisis can be unwanted changes in company's internal and external factors. Presented work is about questions and solutions, which will be helpful for companies to solve problems in crisis, In addition there are recommendations, which will make it easier change realization process in short-term and long-term period.**

**РОЛЬ ВУЗОВ В РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКЕ**

**ХАНКИШИЕВА ДЖАМАЛЯ ХАНКИШИ КЫЗЫ**

Азербайджанский Государственный

Экономический Университет

Эффективность экономического развития страны по рыночному пути зависит не только и не столько от накопления материальных благ, сколько во многом и от состояния кадрового потенциала, профессиональной технической, экономической и научной подготовки специалистов.

Как следствие такой постановки вопроса, следует рассматривать высшую школу, с одной стороны, как институт государства, с другой стороны - как институт рыночной экономики, который обеспечивает непрерывный выбор образовательных услуг, осуществляя, тем самым, взаимосвязь между рынками квалифицированной и неквалифицированной рабочей силы и рынком образовательных услуг. Целью такой взаимосвязи является постоянное пополнение рынка специалистов, который играет существенную роль для рыночной экономики благодаря концентрации необходимых по качеству и количеству трудовых ресурсов в местах эффективного и прибыльного приложения капитала. Как отмечено в «Законе об образовании Азербайджанской

Республики» у современного специалиста должно формироваться умение овладевать высоким интеллектуальным уровнем и способностью к практической работе, осваивать новые технологии и быстро ориентироваться в потоке информации [1. Закон об образовании Азербайджанской Республики-Гор.Баку,19 июнь 2009 г.,№ 833-ЫЫЫГ. –Баку 2010, 60 с]. Спрос же на специалистов обладает тенденцией роста, тем более на тех, которые обладают методологической, прогностической и информационной грамотностью, так как в современных условиях происходит перемещение акцента с трудоемких процессов на наукоёмкие.

Таким образом, ВУЗ является неотъемлемым звеном на пути формирования высококвалифицированных специалистов. Пользуясь рынком неквалифицированной рабочей силы, он обеспечивает занятость части молодежи, привлекая абитуриентов и проводя всевозможные курсы повышения квалификации и переквалификации для населения. ВУЗ обеспечивает функционирование элементов рынка услугами, не создавая при этом материальных ценностей и, в тоже время, сам является производителем и потребителем. Эта двоякая сущность определяет роль ВУЗа как одного из элементов рыночной экономики, образующего и поддерживающего рыночные отношения.

Как всякая составляющая рынка, высшая школа требует постоянного обновления. Но содержание образования - такая категория, которая имеет свойство стареть, становиться неактуальной и, при этом, не отвечать изменяющимся запросам личности, общества и государства. Поэтому постоянное обновление содержания образования является существенным моментом, определяющим его качество.

В настоящее время рынок труда ощущает дефицит в квалифицированных экономистах, обладающих знаниями, умениями и опытом прогнозирования развития рыночных отношений, подготовки и обоснования комплексных социально-экономических решений в экстремальных ситуациях, владеющих логистикой и способами математического моделирования экономических систем. К тому же, рынок выдвигает принципиально новые требования к организации и содержанию подготовки и переподготовки специалистов по менеджменту, маркетингу, финансам, экономике и моделированию процессов и систем.

Таким образом, главная задача ВУЗов, готовящих специалистов различного профиля по экономическим вопросам, состоит в обеспечении роста человеческих качеств личности, профессионализма, способностей и талантов; и возможности способствовать повышению спроса на профессиональный и высококвалифицированный труд экономистов, финансистов, аудиторов, менеджеров и др.

Решая задачу такого уровня, нельзя оставить в стороне вопрос, касающийся того, что за время обучения в ВУЗе у студента часто остаётся не сформированным представление о глубинной сути своей будущей профессиональной экономической деятельности, истинного смысла и весомости той или иной изучаемой дисциплины.

Основной проблемой любого профессионального образования является переход от учебно-познавательной деятельности студента к усваиваемой им профессиональной деятельности специалиста. Другими словами, это проблема перехода познавательных мотивов в профессиональные, так как именно мотив является конструирующим признаком деятельности. Данная проблема должна найти свое отражение в содержании обучения, которое проектируется не как учебный предмет, а как предмет учебной деятельности последовательно трансформируемый в предмет профессиональной деятельности. Одной из причин нарушения такой трансформации является изучение достаточно большого количества

дисциплин никак не связанных между собой методологически. Поэтому, возникает проблема разработки идеи перехода от дисциплинарной к системной модели содержания обучения.

В данном случае, основой учебного процесса должна стать образовательно-профессиональная программа в целом. Это позволит создать новое поколение междисциплинарных учебных комплексов, которые повлекут за собой понимание и видение в целостном представлении динамически развивающуюся модель или структурную схему своей будущей профессиональной деятельности. Что, в свою очередь, выступит в качестве мотивирующего фактора по отношению к изучаемым дисциплинам. Система профессионально-подобных ситуаций позволяет студенту (в имитационных моделях) выходить за рамки объективных значений той или иной задачи, соотносить почерпнутую из учебных текстов информацию с профессиональными ситуациями, благодаря умению, выработанному в процессе обучения в ВУЗе. Студент использует это в целях осуществления собственных практических действий и поступков, благодаря чему информация превращается в знание, адекватно отражающее профессиональную деятельность.

Таким образом, имеем дело с системой, обладающей свойством эквиваленции: студент получает возможность увидеть смысл и весомость той или иной изучаемой дисциплины в свете своей будущей профессиональной деятельности, а само представление об этом будущем выступает в качестве фактора, управляющего процессом обучения.

Кроме того, обучение в ВУЗе должно обеспечивать как профессиональное, так и личностное развитие специалиста, и быть ориентированным на формирование его творческой индивидуальности.

Таким образом, технология учебного процесса в высшей школе должна быть направлена на развитие личности специалиста, её творческих способностей. Для достижения этих целей можно использовать широкую систему разноуровневых творческих заданий, исследовательских проектов, анализ, в нашем случае, экономических явлений и ситуаций, прогнозирование развития рыночных отношений, моделирование различного рода ситуаций и др.

Между тем весь опыт передового современного высшего образования показывает, что ведущим методологическим принципом качественной подготовки специалистов является сочетание базового (единого для всех) и вариативного компонентов в содержании обучения.

Обеспечение усвоения фундаментальных базовых знаний, которые необходимы каждому специалисту, независимо от специализации, отводится базовому компоненту. На его основе создаётся плодотворная почва для удовлетворения потребностей личности в углублении, расширении и специализации подготовки с учётом индивидуальных особенностей. Вариативный компонент даёт возможность личности в расширении путей профессионального и личностного развития, а также творческих способностей и индивидуальности. При этом только единство базового и вариативного компонентов в содержании обучения может обеспечить качественную подготовку специалистов.

Бесспорным является тот факт, что при осуществлении Вузовского образования, решение проблемы улучшения качества, повышения активности и обеспечения индивидуализации обучения в высшей школе, достижимо лишь на основе целенаправленного органического применения современных технологий. Нельзя недооценивать информационные возможности и быстрое действие современного компьютера в отношении

создания неограниченного пространства для педагогического творчества преподавателей, позволяя модернизировать старые и внедрять новые технологии и формы обучения.

При реализации концепции системного высшего экономического образования следует отвести достойную роль тенденциям развития научно-технического прогресса. Ускоряющийся процесс формирования и накопления человечеством новых знаний - базы развития науки, техники и права; проблемы управления на основе широкого использования коммуникационных сетей и новых информационных технологий; инновационные тенденции во всех отраслях экономики; высокая динамичность производства, его технологическая обновляемость с учётом спроса потребителей и пр. должны найти отражение в содержании обучения.

Разные дидактические цели и неодинаковое содержание обучения предполагают и наличие разных технологий. Одни из них могут обеспечить формирование знаний и умений, другие - целенаправленное развитие мышления, третьи - развитие творчества и т. п. Все это должно найти своё отражение при подготовке специалистов различного, особо акцентируя внимание - экономического, профиля [1. Бабаев Ю. Качество подготовки специалистов в условиях перехода к рынку. // Высш. образов., в России, 2006, №4.- С.82 - 84. ].

Сегодня глобализация ставит перед нашей страной все новые и новые задачи. Интеграция в мирохозяйственный механизм через транснациональные и совместные компании принесли Азербайджану огромные дивиденды в виде западных технологий и передового менеджмента. Следующий этап интеграции Азербайджана в глобальную мировую экономику можно условно назвать конвертацией наших специалистов за рубежом. Это означает, что в транснациональных компаниях, работающих за пределами Азербайджана, наряду с американскими и европейскими специалистами должны работать наши специалисты. И этот процесс должен быть массовым. Вместе с этим, в наших ВУЗах должны учиться не только студенты из братских и развивающихся стран, но и европейские страны должны отправлять своих студентов в наши университеты. Для этого наши ВУЗы должны соответствовать высоко рейтинговым мировым учебным заведениям, как в плане педагогической составляющей, так и в плане наличия информационно-коммуникационных технологий в учебном процессе.

Современный этап информатизации Азербайджанского образования характеризуется переходом на качественно новый уровень, характеризующийся реализацией теоретических и методических разработок в области широкого использования информационных и коммуникационных технологий (ИКТ) в учебно-воспитательном процессе. Рыночная экономика ставит перед высшей школой все новые задачи. Непрерывное развитие предъявляют к учебному процессу возрастающие требования, к которым можно отнести, с одной стороны, требования к совершенствованию содержания, форм и методов, а, с другой стороны, к его рациональной организации и управлению.

В зависимости от типа экономического роста развиваются и основные специальности, которым необходимо уделять больше внимание. Например, для инновационной экономики, основанной на производстве высокотехнологической продукции, необходимы инженеры соответствующего профиля. Для сырьевой экономики, в которой развитие в большей степени зависит от экспорта сырья, необходимы экономисты, умеющие анализировать и прогнозировать биржевые тренды, акции мировых производителей, от цен которых зависят цены на энергоносители, и т.д. Количество и уровень подготовки специалистов в основном зависит от ВВП, бюджетных ассигнований на образование, уровня доходов населения, а также количества



высокооплачиваемых рабочих мест, на которые могут быть трудоустроены выпускники ВУЗов. Между этими параметрами существует определенная связь. Задача усложняется тем, что не только все параметры влияют на один (основной, который мы хотим исследовать), но и каждый параметр может взаимно влиять на другие. Бывают также случаи, когда процесс зависит от прошлых показателей, другими словами от лаговых показателей своих параметров.

Показатели экономического развития страны, возможность интеграции с развитыми странами обусловлены уровнем образования. Особенно важная роль в процессе социально-экономического развития отводится экономическим специальностям. Оценка соотношения экономического роста, увеличения доходов населения, рост расходов на образование, а также влияние всех указанных факторов на рост оплаты труда экономистов, является важной задачей. Все эти вопросы непосредственно влияют и на качество подготовки специалистов данного профиля.

$$U = \sum_{t=1}^T (b_C^t p_C^t y^t + b_i^t (l_F^t + l_L^t + l_M^t) - e^t (1 - \frac{x^t}{\bar{x}})^2 - d_T^t (1 - \frac{\eta_T^t p_T^t y^t}{e_T^t})^2 - d_P^t (1 - \frac{\eta_P^t p_P^t y^t}{e_P^t})^2 - d_D^t (1 - \frac{\eta_D^t Z F_D^t}{e_D^t})^2 - d_C^t (1 - \frac{\eta_C^t Z F_C^t}{e_C^t})^2) \rightarrow \max \quad (18)$$

აქ  $\eta_T, \eta_P, \eta_D, \eta_C$ , სიდიდეები ეგზოგენურად პროგნოზირებადია, დანარჩენი ცვლადები კი შეფასებას და განსაზღვრას ექვემდებარებიან ოპტიმუმის პირობიდან.

### მოდელის რეალიზაცია

რადგან ტრადიციულ მაკრომოდელებს - ჩვეულებრივი კობა-დუგლასის საწარმოო ფუნქცია ავტონომიური ტექნოლოგიური პროგრესით - მიყვარათ კლებად კაპიტალუკულების დინამიკასთან, რაც მათი პრინციპული ნაკლია. საინტერესო იყო გაგვეანალიზებინა კაპიტალუკულების დინამიკა განზოგადებული მაკრომოდელის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ საოპტიმიზაციო ვარიანტისათვის, რომელიც მის ტრაექტორიას გვიჩვენებს, რეალურად არის დამახასიათებელი ზრდადი კაპიტალუკულება, რაც საწარმოო ფაქტორების ხარისხობრივ ზრდას უნდა მიეწეროს, რომელთა ასახვა ტინბერჰენის მამრავლების ნეიტრალური ტექნოლოგიური პროგრესით შეუძლებელია. ზრდადი კაპიტალუკულებით ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიის შესაძლებლობათა თეორიული განზოგადება უნდა განვიხილოთ როგორც განზოგადებული მაკრომოდელის ხარისხობრივი მიღწევა.

როგორც ვნახეთ, აგებული იქნა მიზნის ფუნქცია და მაკროეკონომიკური განვითარების ოპტიმალობის ინტეგრალური სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმი. მიზნის ფუნქციის პარამეტრების შეფასება მოხდა ტრაექტორიის საბაზო უბნის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ პერსპექტიული ტრაექტორია გაგრძელდება იმავე ტემპით.

ოპტიმალობის კრიტერიუმი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიას შემდეგი ორი მიმართულებით შეაფასებს:

კეთილდღეობა შეიძლება დავაკონკრეტოთ როგორც მატერიალური სიკეთის არასაწარმოო მოხმარების გარკვეული საბოლოო დონის მიღწევა. მიზნის ფუნქციაში ამ კატეგორიის ასახვის მიზნით აიგო მიმდინარე და ნახევრად გრძელვადიანი საგნების ფაქტიური მოხმარების მათ ნორმატიულ დონესთან მიმართებაში გადახრის კვადრატების შეწონილი თანხის ალგორითმი და ამას უნდა დაემატოს ანალოგიური თანხა, რომელიც გრძელვადიანი მოხმარების საგნების და ფიზიკურ გამოხატულებაში სოციალური

ინფრასტრუქტურის ფონდების ეფექტიან უზრუნველყოფის დონის შესაბამისი ნორმატიული დონისგან გადახრის სოციალურ ეფექტს გაზომავს.

სულიერი განვითარების პირობა პირველი მიახლოებით შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ ორ მაჩვენებელად: სამუშაო დროის ფონდი ერთ მუშაკზე გაანგარიშებით და საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული და მართვის სფეროების განვითარება (მათში ფარდობითი დასაქმების დონის მიხედვით). ამას გარდა, ეკონომიკის განვითარების საერთო მიზანს შეიძლება მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო მოხმარების მაქსიმიზაცია (გარკვეულ პროპორციებში).

მოდელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალო გამოთვლებისათვის თუ შეფასებული არ იქნება ოპტიმალურობის კრიტერიუმის პარამეტრები. ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა აირჩევა ისე, რომ საბაზო ინტერვალში ექსტრემალი ყველაზე უკეთესად შეეთანხმება ფაქტიურ ტრაექტორიას. ამისათვის რეტროსპექტივაში საწყისი საოპტიმიზაციოს შებრუნებული ამოცანა ამოიხსნება.

როგორც შებრუნებული, ისე პირდაპირი ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულ იქნა არაწრფივი საოპტიმიზაციო ეკონომიკური მოდელების ანალიზის პაკეტი (MathLab).

პირდაპირი ამოცანის ძირითადი და ორადული ცვლადების რაოდენობა, და შესაბამისად, მისი ოპტიმალურობის პირობები ბევრად აღემატება მიზნის ფუნქციის უცნობ პარამეტრებს. ამიტომ შებრუნებული ამოცანა არის ზედმეტად განსაზღვრული. ამ გარემოების გამო პარამეტრები მოიძებნა იმ პირობით, რომ პირდაპირი ამოცანის ლაგრანჟის ფუნქციის წარმოებულთა კვადრატების ჯამი მისი ძირითადი და ორადული ცვლადების მიხედვით აღწევდეს მინიმუმს. მიზნის ფუნქციის პარამეტრების შეფასების პერსპექტივაში პროლოგირების შედეგად ძირითადი ამოცანა არაწრფივი პირობითი ოპტიმიზაციის კლასიკურ ამოცანად გარდაიქმნა, რომელიც ამოიხსნა ზემოთ მითითებული პაკეტის გამოყენებით. პირდაპირი საოპტიმიზაციო ამოცანის ამოსხნით მიღებულ იქნა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებმაც საშუალება მოგვცა გაეანალიზოთ ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები. ჩატარებული გამოთვლების შედეგად ძირითადი დასკვნები შეიძლება შემდეგნაირად დაგვაჯგუფოთ:

**პირველი.** სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაცია აშკარად ჩამოაყალიბებს რა ეკონომიკის განვითარების სამომხმარებლო მიზნებს, საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ საწარმოო ოპტიმიზაციის დიდი დეფექტი, რომელიც მდგომარეობს მშპ-ის და მოხმარების ფონდის ჭარბ ზრდაში. სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაციის შედეგების მიხედვით მოხმარების ფონდის 17 მლრდ. ლარამდე გაზრდით შესაძლებელი იქნება საქართველოს მოსახლეობის რაციონალური მოხმარების დაკმაყოფილება მატერიალური სიკეთითა და მომსახურებით. საწარმოო ოპტიმიზაცია კი დაგროვების იმავე ნორმისას მოგვცემდა 20 მლრდ. ლარის ოდენობის მოხმარების ფონდს, ანუ საქმე გვაქვს სრულიად გაუმართლებელ ჰიპერტროფიასთან სამომხმარებლო მიმართულების კუთხით.

**მეორე.** მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველ თავისებურებასთან. საწარმოო ოპტიმიზაცია იწვევს სულიერი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული განვითარების, ასევე მართვის სფეროს ინტერესების უგულვებელყოფას. ამ სფეროებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 2025 წელს, საწარმოო ოპტიმიზაციის მიხედვით მიაღწევს მხოლოდ 20%-ს, მაშინ, როცა სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაციის მიხედვით მან უნდა მიაღწიოს 27%-ს.

**მესამე.** სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაცია უზრუნველყოფს ინდივიდთა განვითარებისათვის საჭირო სივრცის გაფართოებას მუშაობისგან თავისუფალი დროის

სახით. გამოთვლების შედეგების მიხედვით საქართველოში 2030 წელს შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს 4-დღიანი სამუშაო კვირა 7 საათიანი სამუშაო დღით. ასეთი გრძელვადიანი გაანგარიშებანი საზოგადოების მიზნების აშკარა ფორმალიზაციისას არსებით ძვრებს უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური მახასიათებლების ინსტიტუციურ გარდაქმნებში.

**მეოთხე.** სოციალურ-ეკონომიკური საოპტიმიზაციო გაანგარიშებების რეალიზაცია საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ცვლილებები მოხმარების სტრუქტურაში. მიმდინარე მოხმარების ხვედრითი წილი მშპ-ში სასურსათო საქონლით გაჯერების შესაბამისად შემცირდება 19%-დან 12%-მდე, ხოლო ნახევრად გრძელვადიანი საგნების მოხმარების ხვედრითი წილი დასტაბილიზირებული იქნა უმნიშვნელო აბსოლუტური ზრდის კვალდაკვალ. გრძელვადიანი საგნების მოხმარების წილი მოხმარების სტრუქტურაში გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

**მეხუთე.** არსებითი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების ტემპებთან დაკავშირებით. მათი მწყობრიდან გამოსვლის ნორმა გაანგარიშებათა შედეგად 2012 წლის 1,7%-დან უნდა გაიზარდოს 6%-მდე 2025 წელს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისი ტემპი და მოძველებული ფონდების კანონზომიერი შეცვლის პროცესი.

**მეექვსე.** სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაციის მოდელიდან შეიძლება მიღებულ იქნეს მატერიალურ წარმოებაში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ნორმა. იგი განისაზღვრება როგორც შეზღუდვათა მოწყვლადი შეფასებების დაცემის ტემპი. გაანგარიშებებმა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ნორმის ასეთი დინამიკა აჩვენა: 7.7%-დან 2012 წელს, 9.1%-მდე 2025 წელს.

**მეშვიდე.** მაკრომოდელის ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი მიიღება მისი ოპტიმალობის სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმით შევსების შედეგად, რომელიც საშუალებას იძლევა ვაჩვენოთ მისი არა უშუალოდ საწარმოო, არამედ სწორედ სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმუმი. აგებული ასეთი კრიტერიუმი ასახავს სახელმწიფო მოხმარების ზრდის მიზნებს, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების და პირადი ქონების ზრდის მიახლოებას ნორმატიულ მაჩვენებლებთან, ასევე მოსახლეობის მიერ საქონლის მოხმარების დონის მიყვანას რაციონალური სამომხმარებლო ბიუჯეტის შესაბამისობამდე. გარდა ამისა, მოსახლეობის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნის ასახვის მიზნით კრიტერიუმი ითვალისწინებს სამუშაო დროის გონივრულ შემცირებას – წარმოების საჭირო დონის შენარჩუნების ინტერესების დაშვებით – სამეცნიერო-საგანმანათლებლო, კულტურის და მართვის სფეროების გაფართოებას. ასეთი კრიტერიუმით ოპტიმიზაციამ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღებული მიზნობრივი ფორმით, გვიჩვენა ვიწრო საწარმოო ოპტიმიზაციის ზედმეტად მომხმარებლური მიმართულება და იმის მიზანშეწონილობა, რომ განვითარების ადრეულ ეტაპებზე აქცენტები სულიერ განვითარებაზე და ინტელექტუალურ საქმიანობაზე უნდა გადაერთოს, ამისთვის საჭირო წინაპირობების შექმნით, მოხმარების ზრდისადმი გონივრული მიმართულების ჩამოყალიბებით.

მოდელის საფუძველზე ჩატარებული გამოთვლების შედეგად მიღებული შედეგები ეხმიანება იმ გამოკვლევას, რომლის მიხედვით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების რეალიზაცია ყველაზე უკეთ ქრისტიანული რელიგიის მოძღვრებაში აისახება, რომელიც ქადაგებს თავდაუზოგავ შრომას, მომჭირნეობით ცხოვრებას და დაგროვებისადმი მიდრეკილების აუცილებლობას, ასევე გაჭირვებულთა მიმართ დახმარება ღვთიურ საქმედ ითვლება. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში თანდათან მოხდება

მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის გაფართოება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება.

მთლიანი პროდუქტის მოცულობის ზრდის ტემპების ეკონომიკური მდგრადობა დამოკიდებულია მშპ-ის დანახარჯების, ანუ ეკონომიკისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის სტრუქტურაზე. რაც მეტია ინვესტიციების წილი ძირითად კაპიტალში და ნაკლებია მისი წილი კერძო მოხმარებაში მშპ-ის მიმართ მით უფრო მაღალი იქნება ეკონომიკური მდგრადობა და, შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის ხარისხი. საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება ჭარბი მოხმარებით (აბსორბციით), ანუ შიდა მოთხოვნა აჭარბებს ადგილობრივი ეკონომიკური სექტორის მიერ საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესაძლებლობებს. მთლიანი მოხმარება ძალზე მაღალია და მშპ-ს 85%-ს აღწევს, რაც ზრდის დაბალ ხარისხს გვიჩვენებს. როდესაც მოხმარებასა და დაგროვებას შორის თანაფარდობა დარღვეულია პირველის სასარგებლოდ, ეს ნიშნავს, რომ ახლანდელი თაობა მომავალი თაობების ხარჯზე ცხოვრობს, რაც მომავალ თაობების სიცოცხლის-უნარიანობაზე უარყოფილად აისახება. ეს ნიშნავს, რომ მოვიხმართ იმაზე მეტს, ვიდრე ამის უფლება გვაქვს.

მაკროეკონომიკური მოდელის საფუძველზე ჩატარებული გამოთვლების შედეგად ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა თუ რამდენად მდგრადია საქართველოს ეკონომიკა და არის თუ არა საქართველოს მთავრობის მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა საკმარისად ადეკვატური და თანმიმდევრული ეკონომიკური ზრდისათვის. რა დამატებითი ინსტიტუციონალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა შეუქცევად პროცესი გახდეს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ზრდის არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც. მხოლოდ მაღალხარისხიანი ეკონომიკური ზრდა შეიძლება გადაიზარდოს ეკონომიკურ განვითარებაში. თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდა მაღალი ხარისხისაა, თუ იგი მდგრადია და თან სტრუქტურული გაუმჯობესება და ინოვაციები ახლავს. მოკლედ მიმოვიხილავთ ეკონომიკური ზრდის სამ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვან წინსვლას განაპირობებს:

**ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის** აუცილებელია ინვესტიციების შემოდინება. საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი არასავაჭრო სექტორში მიემართება. რამდენადაც ადგილობრივ მწარმოებლებს არ გააჩნიათ იმპორტის ძირითადი ნაწილის შემადგენელი საქონლის ქვეყნის შიგნით წარმოებისათვის საჭირო სიმძლავრეები, ამიტომ მშპ-ის ზრდა ადგილობრივ რეალურ სექტორთან შედარებით უფრო იმპორტის ზრდის სტიმულირებას უწყობს ხელს. საქართველოში ხდება დასაქმებულთა გადანაცვლება საწარმოო საქმიანობიდან მომსახურების მიმართულებით, რაც, ერთის მხრივ, რესურსების განაწილების გაუმჯობესებაზე მიუთითებს და მეორეს მხრივ, ასახავს მშპ-ში სავაჭრო საქონლის წარმოების სექტორის წილის შემცირებას. საქართველოში ეკონომიკური ზრდა ძალიან სუსტად არის დაკავშირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან. უკანასკნელ ხანს საქართველოში შრომის მწარმოებლურობის უმნიშვნელო ზრდა აღინიშნა, თუმცა განვითარებულ ქვეყნებს ამ მაჩვენებლით 5-ჯერ ჩამოვრჩებით. იგი ასახავს მუშახელის განათლების, თანამედროვე ტექნოლოგიებით და მოწყობილობებით წარმოების აღჭურვის დონეს. ამ მიმართულებით ვითარების გასაუმჯობესებლად საჭიროა საქართველოში მეცნიერებადტევაი დარგების განვითარება..

**ინოვაციები** გულისხმობს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გენერირებას, გავრცელებას და წარმოებაში დანერგვას, რაც ეკონომიკური პროგრესის წინაპირობას

წარმოადგენს. ინოვაციურობის ხარისხის გასაზომად გამოიყენება კვლევისა და განვითარებაზე(დ& ) დანახარჯების პროცენტული ოდენობა მშპ-ს მიმართ, რაც საქართველოში 0.3%-ს შეადგენს მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 3-4 %-ს შეადგენს.

**სოციალური სტაბილურობის** ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მშპ ერთ სულზე, რითაც საქართველო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება, რაც ადამიანური განვითარების კუთხით დაბალ წინსვლაზე მიუთითებს. ეს მაჩვენებელი საქართველოში 5-ჯერ ნაკლებია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ხოლო 10-ჯერ - განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს ეკონომიკამ განიცადა ხანგრძლივი(5 წელი) და უღრმესი(თითქმის 75%) ვარდნა. 2000 წელს საქართველოს რეალური მშპ 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 30%-ს შეადგენდა 1988 წლის შემოსავლის დონის მიღწევა უკეთეს შემთხვევაში 2016 წელს იქნება შესაძლებელი. უახლოეს წლებში უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის პროცესების გენერირება და გრძელვადიანი სტაბილური ზრდის ტემპების აღდგენა. მოსახლეობის შემოსავლების პოლარიზაციის დონე უნდა შემცირდეს შემოსავლების დაბეგვრის პროგრესული მეთოდის გამოყენებით. საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა საშუალო ფენა(ჩვენთან 5-7% განვითარებულ ქვეყნებში 65-70%-თან შედარებით), რომელიც საზოგადოებაში ავანგარდის როლს ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებს. საქართველოში უთანასწორო განვითარების, სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირება კვლავ გადაუდებელ აუცილებლობად რჩება, რომლის გარეშეც ჩვენი საზოგადოების სოციალური სოლიდარობა და შედეგად კეთილდღეობის საბოლოო დონის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად, როდესაც ეკონომიკის ზრდა და გაჯანსაღება ყოველი მოქალაქის კეთილდღეობაზე რეალურად აისახება. ეკონომიკური და სოციალური განვითარების სამთავრობო პროგრამის პუნქტები დროში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს რეგულარული მონიტორინგი აწარმოოს თუ რა შესრულდა და რა - არა, რაც მორიგი არჩევნებისას გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. განხილული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკრომოდელი და მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა კონკრეტული პარამეტრებით შეფასდეს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დღევანდელი მდგომარეობა და მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის დრო და საშუალებები საკუთარი და მოზიდული რესურსების გამოყენების საფუძველზე ზრდის ტრაექტორიის კორექტირების გზით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მ. ჯულაყიძე. წარმოების და მომსახურების სფეროთა უკუგების მოდელირება ბიზნესში. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის პრობლემები და ტენდენციები. საერთაშორისო კონფერენცია. თსუ. 2012 გვ. 510-516;
2. მ. ჯულაყიძე. ადამიანური კაპიტალი და გლობალიზაცია. ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 2012, ტომი 1, გვ.361-367;

3. Merab Julakidze. A Macro Model of Georgia's Socioeconomic Development and its use in forming Economic Policy. "Central Asia and The Caucasus ". Journal of Social and Political Studies. Volume 11, Issue 1, 2010, CA&CC Press, SWEDEN, 2010 p.p.137-145;
- 4.მ. ჯულაყიძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკრომოდელი და მისი გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის. თეუსუ ჟურნალი „კომერსანტი“ №3(8), 2009, გვ.16-22;
5. მ. ჯულაყიძე. საქართველოს მშპ-სა და ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატების (დაზოგვა, მოხმარება, ინვესტიციები) ანალიზი და პროგნოზი გრძელვადიან პერიოდში. თეუსუ სამეცნიერო შრომების კრებული. 2009, გვ.171-190
4. David N. Weil. Economic Growth. Brown University. Second Edition. 2008;
5. Wooldridge M. Jeffrey. Introductory Econometrics. A Modern Approach. Fifth Edition. 2013.

**Optimization Macro model of Social and Economic development Georgia and results of its implementation**

**Merab Julakidze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

**Summary**

Generalization of macroeconomics dynamic model in mean of multipliable influence in different directions of scientific-technical progress on economic growth, connection between production and its intensification on non-production factors, and optimal component criteria for social-economic intensification process. Application of ultimate model for creation of aggregate figures' movement, rates and proportions and reaching of social purposes and their dynamic results: prediction of normative genetic consumption demand calculation on a person, public and state.

**შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების დემოგრაფიულ-სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (მხარეში)**

**ნანა ჯღარკავა**

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოციირებული პროფესორი*

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ამოცანათა შორის სულ უფრო მნიშვნელოვანია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხების კვლევა და რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მთლიანად ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების დაბალანსებული განვითარება, რეგიონებს შორის ცივილიზებული ეკონომიკურ-ფინანსური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიულ-ეკოლოგიური კლიმატის შექმნა. შესაბამისად, იგი მოიცავს რეგიონული ეკონომიკის ინტერესებს, თავისებურებებს, რომელთა საფუძველზე იქნება მიღებული

განვითარების ჰარმონიზაცია, რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე – ეკონომიკური ზრდა და სოციალური კეთილდღეობის ამაღლება.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ამოცანათა შორის სულ უფრო მნიშვნელოვანია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხების კვლევა და რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მთლიანად ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების დაბალანსებული განვითარება, რეგიონებს შორის ცივილიზებული ეკონომიკურ-ფინანსური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიულ-ეკოლოგიური კლიმატის შექმნა. შესაბამისად, იგი მოიცავს რეგიონული ეკონომიკის ინტერესებს, თავისებურებებს, რომელთა საფუძველზე იქნება მიღწეული განვითარების ჰარმონიზაცია, რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე – ეკონომიკური ზრდა და სოციალური კეთილდღეობის ამაღლება.

თანამედროვე ადამიანური კაპიტალის თეორიის ფორმირებაში ღირსეული წვლილი აქვთ შეტანილი მეცნიერ ეკონომისტებს, როგორცაა: გ. ბეკერი, უ. ბოუენი, ლ. ტუროუ, მ. ფიშერი, ტ. შულცი და სხვა. მაკროეკონომიკური შეფასებით ადამიანური კაპიტალი ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად გვევლინება. ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილია ადამიანური კაპიტალის ფორმირების რამდენიმე მოდელი. კერძოდ, ლ. ტუროუმ, გამოიყენა რა კობი დუგლასის საწარმოო ფუნქცია, როგორც საბაზისო მოდელი, შემოგვთავაზა ადამიანური კაპიტალის წარმოების მოდელი. ასევე, ცნობილია ტ. შულცისა და ი. ბენ-პორტის მიერ შემოთავაზებული ადამიანური კაპიტალის მოდელი.

საქართველოში შრომითი პოტენციალის განსჯიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მოსახლეობის გადაადგილების თავისებურ და განსაკუთრებულ ნიშანს მათი ტერიტორიული გავრცელების მკვეთრი შეზღუდულობა წარმოადგენს. ქვეყნის საერთო ფართობიდან, რომელიც 69,7 ათასს კმ<sup>2</sup> უდრის, ის ტერიტორია, სადაც თავმოყრილია საქართველოს საწარმოო ძალების უდიდესი ნაწილი, 25 ათასი კმ<sup>2</sup>-ია. დანარჩენი ტერიტორია კი რთული რელიეფური, კლიმატური და ნიადაგობრივი მძიმე პირობების გამო ძალიან სუსტადაა ათვისებული განსახლებისა და ეროვნული მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოში, როგორც სხვა საწარმოო ძალების განლაგებისათვის ასევე მოსახლეობის გადაადგილებისთვისაც დამახასიათებელია მისი ტერიტორიის სივრცობრივი შეზღუდულობა. როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობა თავმოყრილია ბარის ზონაში. ამ ზონას უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტი. აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 89,0 %. განსაკუთრებით დიდ როლს ამ მხრივ თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი ასრულებენ. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მთელი მოსახლეობიდან 36,8% ცხოვრობს ამ ქალაქებში.

შრომითი რესურსების მართვის პრობლემებს განიხილავენ სამი პარამეტრის მეშვეობით: 1) სოციალურ-დემოგრაფიული; 2) პროფესიულ-კვალიფიციური; 3) კულტურულ-საგანმანათლებლო. შრომითი პოტენციალის მართვის სოციალურ ეკონომიკური პრობლემების განხილვა მოსახლეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული (სქესობრივ - ასაკობრივი) შემადგენლობის ჭრილში წარიმართება, რამდენადაც მის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს სწორედ მოსახლეობის აღწარმოება ასრულებს.

საქართველოში შრომისუნარიან ასაკად დადგენილია ქალებისათვის 16–60, მამაკაცებისათვის – 16–65 წელი. შრომითი პოტენციალის შევსების მთავარი წყარო შრომისუნარიან ასაკში შესული ახალგაზრდობაა. ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არიან

იმ რეგიონებში სადაც შედარებით მაღალია შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი (0-15წ.) მოსახლეობის ხვედრითი წილი.

შრომითი პოტენციალის ფორმირებაზე არსებით გავლენას ახდენს საზოგადოების დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები, შრომისუნარიანი მოსახლეობის დემოგრაფიულ მახასიათებლებზე – სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ჯანმრთელობა, დასაქმების დონე, დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელზე კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეგიონების სოციალურ – ეკონომიკური განვითარება.

რეგიონული პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიის ორგანული ნაწილია. „მთლიანად მთელი ქვეყნის და მისი რეგიონების ურთიერთობა მთელისა და მისი ნაწილების ურთიერთობის ლოგიკის პრინციპებს ემყარება. იმაზე თუ როგორ ვითარდება ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დარგები რეგიონებში, არსებითად არის დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, ტემპი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი“. აქედან გამომდინარე რეგიონული განვითარების სტრატეგია და პოლიტიკა უნდა ასახავდეს მთლიანად ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიას და პოლიტიკას. თავის მხრივ, საერთო სახელმწიფოებრივი განვითარება კი უნდა ითვალისწინებდეს რეგიონების განვითარების ინტერესებს.

მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების ზოგადი მიმოხილვა უჩვენებს, რომ საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობამ 2012 წელს შეადგინა 2029,1 ათასი კაცი, რაც წინა წელთან შედარებით 3,5 პროცენტით გაზრდილია. 2013 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 1,25 %-ით და შეადგენს 2003,9 ათას კაცს. 2013 წელს საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან – 85,4% დასაქმებულია, ხოლო 14,6% - უმუშევრები არიან. დასაქმებულ მოსახლეობაში მაღალი წილითაა წარმოდგენილი თვითდასაქმებული მოსახლეობა (1043,8 ათასი) - 60,9% , ხოლო მნიშვნელოვნად დაბალი წილით დაქირავებული მოსახლეობა (658,2 ათასი) - 39,1%<sup>1</sup>.

რადგანაც საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია შრომითი პოტენციალი, მასზე დიდადაა დამოკიდებული ასევე ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებისა და რეალიზაციის ხარისხობრივი მხარე.

სხვადასხვა ტერიტორიულ დონეებზე მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების ხასიათი, მათი მამოძრავებელი ძალებისა და განვითარების პერსპექტივების ცოდნა, დემოგრაფიულ-ეკონომიკური განვითარების მიზნებით მათი მართვის შესაძლებლობა წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას, როგორც ტერიტორიული პოზიციის, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით<sup>2</sup>.

დემოგრაფიული ფაქტორის გაუთვალისწინებლობა სოციალურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელებაში ისევე მიუღებელია, როგორც ამ უკანასკნელთა გაუთვალისწინებლობა რეგიონის განვითარებისათვის. ამიტომ, სისტემური მიდგომა რეგიონის ზუსტ გამოყოფასაც გულისხმობს, რამდენადაც მასთან დამოკიდებულებაში ზოგი დემოეკონომიკური ფაქტორი გვევლინება შიგა, ხოლო ზოგი გარე კავშირად.

შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განაწილების პრობლემა აუცილებელია განვიხილოთ ეკონომიკისა და მოსახლეობის, როგორც ორი ურთიერთდაკავშირებული სისტემის დიალექტიკური ერთიანობის ფონზე. მათი კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ როგორც ცნობილი დემოგრაფი ა.გ. ვიშნევსკი აღნიშნავს „მოსახლეობის განვითარების ეკონომიკური შედეგები დემოგრაფიული პროცესების მრავალ შედეგებს შორის იმყოფება

<sup>1</sup> [www.Geostat.ge](http://www.Geostat.ge). უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.09.2014

<sup>2</sup> ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, გვ. 12



და იგი იზოლირებულად შეიძლება შეფასდეს ანალიზის განსაზღვრულ სტადიაზე, რომელიც მაინც უსათუოდ წინ უნდა ეძღოდეს სინთეზს”. ზემოაღნიშნულ ურთიერთობაში აშკარად გამოიკვეთება შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განაწილების პრობლემები.

ეს პრობლემები ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე უმწვავეს საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება მოიცავს როგორც დასაქმების, ისე აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ თავისებურებების განსაზღვრას, რომელიც თავის მხრივ, განპირობებულია ამა თუ იმ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ადგილით მოსახლეობის აღწარმოებაში, დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ზრდაში.

საგულისხმოა რომ, მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების დონის შეფასებისას აუცილებელია, გამოვაგლინოთ დემოგრაფიული ვითარების ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებანი, საჭიროა დემოგრაფიული პროცესები გარკვეული პერიოდის მანძილზე განვიხილოთ ეკონომიკურ განვითარებასთან ურთიერთკავშირში.

როგორც ცნობილია, დემოგრაფიული პროცესების განვითარება ზემოქმედებს ეკონომიკაზე. ეს ზემოქმედება სხვებთან ერთად შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებების მეოხებითაც ხდება. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება უფრო მეტად ამ პროცესის რაოდენობრივ მხარეზე ზემოქმედებს, რადგან მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა დამოკიდებულია სქესსა და ასაკზე. ასევე ცნობილია რომ, ახალგაზრდობას ხნიერ თაობასთან შედარებით ახალი ცოდნის ათვისების და ახალი გარემოსადმი შეგუების მეტი უნარი ახასიათებს. ამ ნაკლს ხნიერი თაობა წლობით დაგროვებული გამოცდილებით ავსებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანდათან, რაც უფრო დრო გადის მიღებული ცოდნის მოძველება მით უფრო სწრაფად ხდება და უკვე ხნიერი ასაკის მუშაკებს სულ უფრო მეტად უძნელდებათ ახალი ტექნიკისადმი ადაპტაცია, მათი ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგები კლებულობს.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც მოსახლეობის აღწარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, უშუალო კავშირშია მოცემულ ქვეყანაში (რეგიონში) ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესთან, საზოგადოებრივი განვითარების დონესთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით დემოგრაფიულ სტატისტიკაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მექანიკური გადაადგილების მაჩვენებლები უნდა განვიხილოთ გარკვეულ ისტორიულ პირობებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ფონზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა არის რეგიონში შრომითი პოტენციალის კვლევა, ძირითადი ტენდენციებისა და თავისებურებების დადგენა, რომლებიც თავის მხრივ ამ რეგიონის დემოგრაფიული განვითარების დონეს განსაზღვრავს.

შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი მხარე მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტენდენციებითაა განპირობებული. ამ მხრივ მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს სამცხე - ჯავახეთი, სადაც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა სოციალურ - ეკონომიკური განვითარების დონე, წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურა.

აღნიშნულ რეგიონში განსხვავებულია ცალკეული რაიონების დემოგრაფიული განვითარება. იგი სხვა მიზეზებთან ერთად განპირობებულია მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურით, მიგრაციით გამოწვეული მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაციებით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონით.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა რაიონების მიხედვით განხილულია ცხრილი №1-ში.

ცხრილი №1

*მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა სამცხე-ჯავახეთში<sup>1</sup>*

რაიონები	აღწერის წლები	რიცხოვნობა		
		მოსახლეობა სულ	მათ შორის	
			ქალაქის	სოფლის
ადიგენი	1979	19 975	3 192	16 783
	1989	21 282	3 686	17 596
	2002	20 752	2 348	18 404
ასპინდა	1979	12 411	2 877	9 534
	1989	13 432	3 783	9 649
	2002	13 010	3 243	56 231
ახალქალაქი	1979	69455	13224	56231
	1989	69108	15192	53916
	2002	60 975	9 802	51 173
ახალციხე	1979	50 350	25 802	24 545
	1989	54 822	30 983	23 839
	2002	46 134	23 483	22 651
ბორჯომი	1979	37 228	23 105	14 123
	1989	38 973	25 581	13 392
	2002	32 422	20 372	12 050
ნინოწმინდა	1979	226 051	71 817	154 234
	1989	235 512	86 169	149 343
	2002	207 598	65 535	142 063

როგორც ცხრილი №1-დან ჩანს, მოსახლეობის რიცხოვნობა ყველა რაიონში შემცირებულია, განსაკუთრებით ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში. ამასთან მაღალია სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი (გარდა ახალციხის რაიონისა).

სამცხე-ჯავახეთის შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და მისი რაოდენობრივი მხარის შესწავლისათვის აუცილებელია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მანევრებლების განხილვა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტების შედარება გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში (ცხრ. №2).

ცხრილი №2

*ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები სამცხე-ჯავახეთში<sup>2</sup>*

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე

<sup>2</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

	1990	1995	2002	2013
დაბადება	19,5	14,7	8,2	11,2
გარდაცვალება	7,4	7,7	7,7	9,7
ბუნებრივი მატება	12,1	7,0	0,5	1,5

შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტის მატებისა ბოლო პერიოდში, აღნიშნული კოეფიციენტი ბევრად ჩამორჩება გასული საუკუნის 90-იანი წლების შესაბამის მაჩვენებელს. ხოლო რაც შეეხება ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს ბოლო წლებში ქალაქ-სოფლის მიხედვით ასეთ სურათს იძლევა (ცხრ. №3)

ცხრილი №3

*ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები სამცხე-ჯავახეთში<sup>1</sup>*

	2010			2011			2012			2013		
	სულ	ქალაქი	სოფ.	სულ	ქალაქი	სოფ.	სულ	ქალაქი	სოფ.	სულ	ქალაქი	სოფ.
დაბადება	2706	936	1774	2329	778	1551	2413	790	1623	2394	804	1590
გარდაცვალება	2184	739	1445	2167	749	1418	2162	780	1382	2068	751	1317
ბუნებრივი მატება	522	193	329	162	29	133	251	10	241	326	53	273

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქალები შობადობის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. ეს ძირითადად განპირობებული იყო სოფლის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილით, სომეხი ეთნოსის მოსახლეობაში შობადობის ტრადიციული დონის სიმყარით, აგრეთვე ზემო აჭარიდან ჩასახლებული ახალგაზრდა კონტიგენტის მაღალი შობადობით. ამჟამად კი, ანალიზი უჩვენებს, რომ აღნიშნულ რეგიონში შობადობას მკვეთრად გამოხატული შემცირების ტენდენცია ახასიათებს, განსაკუთრებით კი ქალაქებში. ყოველივე ეს კი გავლენას ახდენს რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. თუმცა სომეხი ეთნოსის მოსახლეობაში შობადობის ტრადიციული დონის სიმყარე მეტ-ნაკლებად მაინც შენარჩუნებულია, ამას ხელს უშლის მხოლოდ ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის მიგრაციული პროცესები.

ბუნებრივია, შექმნილი ვითარება აისახება შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული ბაზის განვითარებაზე. არსებითი ნიშანი, რომელიც ახასიათებს შრომითი პოტენციალის დემოგრაფიულ ზრდას, ის არის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის ასაკის კონტიგენტის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი. ეს უკანასკნელი წარმოებისა და მოხმარების პროცესში ამა თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობის ხარისხით განისაზღვრება.

აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში შემდეგი ცვლილებები შეიმჩნევა, 39 წლამდე მოსახლეობა მცირდება, ხოლო 40-59 წლის მოსახლეობა დიდი ცვალებადობით არ გამოირჩევა, განსაკუთრებით აღსანიშნავია 60 წელზე მეტი ასაკის

<sup>1</sup> იგივე

მოსახლეობის ხვედრითი წილის მატება მთელ მოსახლეობაში. ეს მანქნებელი ბოლო აღწერის მიხედვით მკვეთრად არის გაზრდილი. შრომითი პოტენციალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია შრომისუნარიან კონტიგენტში შიგა ასაკობრივი სტრუქტურის დახასიათება, მისი თავისებურებების განხილვა ცალკეული რაიონების მიხედვით.

ცხრილი №4

*შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის განაწილება სამცხე-ჯავახეთში  
რაიონების მიხედვით<sup>1</sup>*

რაიონები	მოსახლეობა სულ	შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა	20-40 წლის ასაკის მოსახლეობა
ადიგენი	20753	12324	5380
ასპინძა	13010	7402	3387
ახალქალაქი	60975	37031	16795
ახალციხე	46134	27884	11993
ბორჯომი	32422	20342	8715
ნინოწმინდა	34305	21481	9936
სულ	207599	126464	56206

ცხრილი №4-ის ანალიზით ჩანს, რომ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი ყველაზე დაბალია ასპინძისა და ადიგენის რაიონებში, ხოლო 20-40 წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობა ყველაზე დაბალია ახალციხისა და ადიგენის რაიონებში.

იმ ტენდენციებიდან, რომელიც ახასიათებს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას და შრომით პოტენციალს, მნიშვნელოვანია დემოგრაფიული დაბერების პროცესის განვითარება, რომლის ანალიზის გარეშე შეუძლებელია შრომითი პოტენციალის ფორმირების ცვლილებების ახსნა.

მოსახლეობის დაბერების შეფასებისათვის გამოიყენება მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი. ანალიზი მოწმობს, რომ თუ 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 4%-ზე ნაკლებია, ეს მოსახლეობა ახალგაზრდაა, 4-7%-ზე სიბერის საზღვარზე მყოფი მოსახლეობაა, ხოლო 7%-ზე მეტი მიეკუთვნება ბებერ მოსახლეობას. ე. როსეტის გრადაციით ბებერს მიეკუთვნება ისეთი მოსახლეობა, როცა 60 წლის და უფროსი მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 12%-ს აღარბებს. ამ მხრივ, მეტად საინტერესო დემოგრაფიულ სურათს გვაძლევს აღნიშნული რეგიონი. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთი მიეკუთვნებოდა ყველაზე ნაკლებად დაბერებული რეგიონების რიცხვს. თუმცა ამას ვერ ვიტყვით ბოლო პერიოდში, რადგანაც ნახტომისებურად გაიზარდა 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში. ამასთან დაბერების კოეფიციენტი სამცხეში გაცილებით მაღალია, ვიდრე ჯავახეთში. რეგიონის ცალკეული რაიონების მიხედვით კი დაბერების მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა ბორჯომის და ახალციხის რაიონები, სადაც ჩამოყალიბებულია რეგრესული ტიპის ასაკობრივი სტრუქტურა, ხოლო დაბერების კოეფიციენტი ყველაზე დაბალია ნინოწმინდის რაიონში.

შრომითი პოტენციალის ფორმირებაში არსებით როლს ასრულებს მოსახლეობის მიგრაცია, სადაც მაღალი წილით არის წარმოდგენილი შრომისუნარიანი მოსახლეობა.

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე (უფრო ახალი ინფორმაცია რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დახასიათებლად არ მოიპოვება)

სამცხე-ჯავახეთში მიგრაციული პროცესების აქტიურობას ხელს უწყობს ეთნიკური მრავალფეროვნება. ფართო მასშტაბი მიიღო დასავლეთ ქვეყნებში ემიგრაციამ. ემიგრანტთა შორის ჭარბობენ სომხები, ებრაელები, ბერძნები და ქართველები.

ამრიგად, დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა სამცხე-ჯავახეთში საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ამ რეგიონის მოსახლეობაში მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები მოხდა, რამაც უშუალო ზეგავლენა მოახდინა შრომითი პოტენციალის ფორმირებაზე. ეს კი აისახა შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირებაში. პრობლემის დაძლევაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია, რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით, მეცნიერულ დონეზე დამუშავებული სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას, რომელსაც ხელს შეუწყობს მთავრობის მიერ მხარდაჭერილი „დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“, თუმცა შედეგებს გარკვეული დრო სჭირდება და ეფექტს მოგვიანებით უნდა ველოდოთ.

### **Analysis of statistical data of formation and use of labor in Samtskhe-Javakheti Region**

**Nana Jgarkava**

Samtskhe-Javakheti state university

Associate Professor

#### **Summary**

Methodological and methodical aspects of knowledge at real socio-demographic trends and determination of other public events have been discussed in following article. Regional peculiarities of demographic and statistical data according to the implementation stages of its formation and regularity detection are also studied. Characteristics of national and migratory movement have been discussed in the article in order to analyze demographic situation of potential formation, use and distribution of labor in Samtskhe-Javakheti. Demographic aging process, which is important for explanation of changes of labor potential formation, has been separated.

### **Example of Swedish-Georgian cooperation in Statistics**

**Allan Henrysson**

*Chief Advisor at Statistics Sweden*

**Ia Kakichashvili**

*Local consultant*

*at Statistics Sweden*

*Statistics Sweden and Geostat cooperation project*

**Abstract:**

The aim of the paper is to present a project which is currently running in Georgia and refers to the cooperation between two statistical authorities and one funder – Statistics Sweden (SCB) and National Statistical Office of Georgia (Geostat), funded by the Swedish International Development Cooperation Agency (Sida). The main goal of the project is to strengthen Geostat's knowledge within the statistical methodology, to increase awareness of- and to improve the image of Geostat within the Georgian society. The Project covers the period from May 2011 until April 2015. The goal of the paper is to shortly present the results of the cooperation and also to highlight the importance of this kind of cooperation for the overall development of Georgian Statistics.

## **INTRODUCTION**

When in 2010 Geostat got its independent status and was established as Legal entity of public law (LEPL), the trust in the authority was considered low among the Georgian public. Management of Geostat faced challenges to overcome difficulties of the old Soviet image with lack of legislative ordinances, out-dated software and lack of communication. The need of changes was already considered when the cooperation project began. The main directions of the project were broken down into six different components to work with, namely National accounts, Business Statistics, Price Statistics, Statistical methodology, IT and Management. In the first three years 46 working missions and 14 study tours have been conducted.

### **Joint work of Swedish and Georgian statisticians**

The cooperation project was structured in such a way that each working component was preliminary assessed in each initial mission. The idea of assessment missions was to both present the Swedish way of work on the subject-matter statistics and to investigate the Georgian current situation at Geostat. Finding out needs for the further development of particular statistical direction was basis of the further work that is why this process was very important for the project. Geostat management's active participation in that process has played an important role.

First missions on Price statistics, Business statistics, National accounts and Business register was conducted in the first six month of the cooperation project. For Statistical methods five weeks of training courses, which covered statistics from an elementary to an advanced level, was conducted. The average number of participants who attended the courses was 15 persons, from which 7 was trained on an advanced level.

Working missions normally included a 5 day working week, where Swedish expert was working on the preliminary prepared Terms of references with staff members from the corresponding subject matter division at Geostat. The success of such joint work was notable since Swedish and Georgian colleagues had the same areas and the same interests to discuss. Even though there were some times language difficulties, communication was considered good. Positive attitude towards work was also an indicator that for the next missions the same Swedish experts were used. As an overview in the components of National accounts, Price statistics and Business statistics, an average of 8 missions for each subject has been conducted. During the three years period the same Swedish consultants have been visiting Geostat in each component for the working missions.

It is also worth mentioning, that besides of the statistics related components, there was components which was oriented on work with management, communication and HR issues. Those components played an important role in the overall organizational development of Geostat. Based on those missions it was prepared the basis for the implementations of such items as Time reporting system, HR inventory, Training need matrices for the need of training and other important management tools.

## **Results**

Main result of the project is that Geostat have conducted work in different areas. First visible results affected the Price statistics when, based on the recommendations, the CPI basket was changed and presented to the main users in January 2012. Quality of Consumer Price Index (CPI) was increased due to the change of its weights. Previously the CPI weights were based on data given from Business statistics, but after the change, the CPI weights are based on National Account data. Price statistics improved the data collection tools such as software and method. Paper based data collection was replaced by hand-held computers which made monthly data collection process more precise and also made the work of the enumerators more efficient. It is notable that publication of Producer Price Index (PPI) started after work with Swedish experts. All changes led to preparations of manuals and guideline documents for the users and data producers. For the moment of being the main results achieved in that direction are:

- Hand-held computers for CPI field work;
- Instructions for the price enumerators;
- Consumer Price Index Manual (methodological handbook);
- Training course in Index theory;
- New basket and weights derived from National accounts;
- Increase of the sample size;
- Development of new software for PPI;
- Written instructions to price collectors;
- Format of the Press release for PPI is introduced;
- Web based questionnaires for PPI are finished and in use;
- Import- and Export price indices.

Compared with price statistics, the component of Business statistics had much more problems to solve. The Business survey is still conducted under the condition that no enterprise is obliged to submit information to Geostat. This survey is a main economical survey conducted in Geostat and the initial goal was to improve its quality. The Business statistics component was divided in two directions; Business statistics sampling and Business Register. In the frame of the project, reached outcomes is better quality of the business register. This was done by better processing of source information and also with an increase of the quality of data sets received from different sources. A higher quality of Business register data has improved the sample frame for the survey and also gave better precision while imputing missed values. Based on the three years cooperation period the most valuable results are the following:

- Metadata and methods;
- Updating procedures of Business Register; CATI (Computer assisted telephone interviews);
- Decision tables and formulating of what actions to take for Units in BR, depending on information and source. For example if the units is active or not;

- Creation of tables for enterprise units and local units;

Improvements achieved within Business statistics influenced also the National Accounts component. From the very beginning of the project, it was prepared an action plan for the enhancement of the quality of National Accounts. During the cooperation period this area of statistics increased attention to the improvements from the users and consequently results followed which is shortly listed below:

- Revision of time series
- Sector Accounts
- Supply and Use tables
- Metadata and documentation
- Preparations for change from System of National Accounts 93 to 2008
- The Ecotrim model implementation

As a result of activities within the National accounts component, Geostat has improved publications, data processing, dissemination and has formed internal working groups.

It is also notable that during the project, several study tours were organized for Geostat's staff members. The main purpose of the study tours is not only share the exchange of information and to better understand the practice of how the work process is conducted in reality. Study visits were also organized for a Summer school in statistics in Sweden.

Resuming the project it is worth of saying that, during the three years period it has been a well stimulated cooperation between Geostat and Georgian governmental authorities, which is expected to increase the positive image and role of Geostat. Geostat has signed Memorandum of understanding with different Ministries (Ministry of Energy, Ministry of Education, Ministry of Environment and protection of Natural resources, Revenue Service and ministry of Regional Development).

**შვედურ-ქართული თანამშრომლობის მაგალითი სტატისტიკაში**

**ალან ჰენრიხსონი**

*შვედეთის სტატისტიკის მთავარი მრჩეველი*

**ია ყაყინაშვილი**

*შვედეთის სტატისტიკის ადგილობრივი კონსულტანტი*

**რეზიუმე**

სტატის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს პროექტი, რომელიც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს და რომელიც ეხება შვედეთის სტატისტიკური უწყების თანამშრომლობას საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან. პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ. პროექტის ძირითადი მიზანია, საქატატის თანამშრომელთა ცოდნის გაუმჯობესება სტატისტიკური მეთოდოლოგიის მიმართულებით, გაზარდოს საქსტატის როგორც უწყების ცნობაობა და გაამყაროს მისი ავტორიტეტი ქართულ საზოგადოებაში. პროექტი მოიცავს პერიოდს 2011 წლის მაისიდან 2015 წლის აპრილამდე. სტატია ემსახურება აღნიშნული პროექტის



შედეგების და ასევე მსგავსი პროექტების დადებითი როლის წარმოდგენას ქართული სტატისტიკის განვითარებაში.